

მია ბადალი

მჯდომარე სიყვარულის
მანტია

წიგნი მეორე

I

ცხოვრება უცნაურობებითაა სამსე. ზოგჯერ ერთი ადამიანი რამდენიმე ადამიანის მრავალფეროვანი ცხოვრებით ცხოვრობს, ერთ დიდ ისტორიულ წიგნს წარმოადგენს მასთან ურთიერთობა. ზოგი კი, ისე მშრალად გალევს წუთისოფელს, რომ მის თავს არანაირ ინტერესადმძვრელ მოვლენას არ გაიმეტებს გროტესკული ცხოვრება.

ნიკიშევების ეზო ყოველდღე ხალხით იყო სამსე. წამსვლელ-მომსვლელს მჯდომარე ანასტასია ეკერა პირს. ის მუდამ გულმხურვალედ მლოცველი, დაყუდებული თავის მუხლებზე ბადის შუაგულში, წუთითაც არ უშინდებოდა ამინდის ცვალებადობას. ტფილისში ხმა დაირხა თუ არა, ანასტასია ნიკიშევა მჯდომარედ დაყუდებულია, და მის ეზოში დვთაებრივი სასწაულების კასკადი ხდებოდა, მნახველ-მომლოცველი არ აკლდებოდა ეზოს, რომელთა დიალოგები დაახლოებით ასე უღერდა:

– შეყვარებული ბიჭის თვითმკვლელობის გამო ასე დაიხოქა, ელოდება მისი სულის ჯოჯოხეთიდან დახსნას. მისთვის დროს, სივრცეს, ამინდს მნიშვნელობა აქვს დაკარგული, არც ღამე იცის და არც ზამთრის ყინვა, სულ ასე ზის, ერთაღაგას გამუდმებულად მლოცველი.

– ამბობენ, არაერთხელ უნახავთ ახლო-მახლოს მცხოვრებთ მისი ეზო არაბუნებრივად გაკაშკაშებული. თვითონ ანასტასია ბევრს არ საუბრობს, ცოტას თუ გაესაუბრება მასთან ახლოს მისულს, მაგრამ აგერა ფაქტია, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მშობლები მასთან დადიან და დასაიმედებელ რჩევა-დარიგებებს იღებენ.

მჯდომარე ანასტასიად წოდებული ნასტია ნიკიშევა სახედამშვენებული, კმაყოფილებაადვსილი ღიმილით იჯდა ტყემლის ხის მახლობლად, რომელსაც ხშირად ესაუბრებოდა, განსაკუთრებულად უყვარდა ეს ტანგაცრეცილი, ნორჩი ხე. მისი მუხლჩახრიდან მესამე თვეს, როდესაც გაზაფხულმა შემოაღო ტფილისის კარი, ნაადრევად აყვავდა ტყემლის ხე, მან ისე შეიცვალა ქორფადგაფოთილი, ქვედა ტოტის მდებარეობა, რომ გვერდულად გადაგრეხილ-გადაწეული, მიწიდან აღმოცენებულ, მომწუსხელი სილამაზის ყვავილივით მჯდომარე ნასტინკას, თავზე რკალურად გადაეწყო. გაზაფხულის სურნელით დამტკბარმა ნაადრევად იწყო აყვავება. გადაპენტილი ტოტი ანასტასიას

ისე გადაეგლო თავს, ეზოს ჭიშკრიდან ერთი თვალის შევლებით საპატარძლო დედოფლის ყვევილებით გადაპენტილ ფატა-თავსაბურავში მყოფი გეგონებოდათ. მხოლოდ ახლოს მისული მნახველი თუ მიხვდებოდა ტყემლის ხის „ოინს“. ამ სასწაულის ხილვის გამო უამრავი ტფილისელი მოდიოდა, რომელნიც აკვირდებოდნენ ტყემლის ხის ბუნებრიობას, ზოგი დვთაებრივი ძალის ნამოქმედარს აწერდა ახსნას, ზოგი ხის მგრძობიარობას. ასე იყო თუ ისე, ანასტასია ხანდახან სიხარულის ცრემლებად იღვრებოდა, მარტოობის განცდა სადღაც გაქრობოდა. თავს ზევით რკალურად გადავლებულ, ყვავილებით გადაპენტილ, აფეთქებულ ტოტს ფაქიზი ხელით ეაღერებოდა, მშვიდ სახეზე მსხვილი ცრემლები წყება-წყება მარგალიტების მსგავსად გადმოსცვივდებოდა ხოლმე.

ნასტიას შუათანა და, ანნა, დის მუხლდაჩოქვიდან რამდენიმე თვეში მორალურად ისე გაზრდილიყო, გეგონებოდათ უკვე დიდი ასაკის მქონე, წინდახედული და ერთხელ დაბერებული მეორედ აახალგაზრდავებული ყოფილიყოს. მან იკისრა ვაღდებულება უფროსი დის მზრუნველობისა და მოვლა-პატრონობის შესახებ. უთენიაზე დგებოდა, მეტალის ტაშტით წყალი მიჰქონდა ეზოში მუხლდაყუდებული უფროსი დისთვის ხელ-პირის ჩამოსაბანად. თეთრი ქათქათა პირსახოცით სახეს ნაზად უმშრალებდა. გრძელი, ქერა თმის ნაწნავებს დაუშლიდა, ფქიზად დავარცხნიდა და ხელახლა უწნავდა. უფროსი და კი სიყვარულით სამსე თვალებით უმზერდა მასზე მზრუნველს, ყოველჯერზე უნათდებოდა გული მისი ხილვისას. დები იყვნენ ახლა ყველაფერ მიწიერის შემცვლელნიც, შეუფასებელი სიყვარულიც და ცხოვრების მოაზრენიც. ნასტინკა საუზმედ მცირედს მიირთმევდა, ისიც მხოლოდ ანნას თხოვნა-მუდართ, რამდენჯერმე მოყლუპავდა დის თვალის დასანახავად ლერწმის შაქრით დამტბარ ჩაის და მისაყოლებლად ერთ ლუკმა პურის გულს მიაყოლებდა. მერე ანას გულის მოსაგებად თხელი, გამხდარი ხელის მტევნებს ერთმანეთს მიატყაპუნებდა, საუზმით გამოწვეული კმაყოფილების გამო და გაღიმებული სახით შეუცინებდა მასზე მზრუნველ დაიკოს.

ახლა ანნა უმცროსი დის გასაღვიძებლად ეზოდან სახლში შერბოდა. მუდამდღე შეძლებისდაგვარად ანებივრებდა ვერკას, საბანში კომბოსტოსავით შეფუთულ გოგონას ხელით შეაბანჯლარებდა და შეუძახებდა: – ვერაჩკა, რახანია ინათა დღემ, მზე ზენიტში მოექცევა საცაა, აშენდა ქვეყანა, სამსახურში ვაგვიანებთ, ადუ შე ძილისგუდა, მძინარავ და სიზმარავ! ნეტა ვიცოდუ სიზმრად რა გეზმანა, ასე გადაბადრულს რომ გძინავს?

ვერას გაღვიძებისთანავე ანნა სხვა საქმიანობას ჰკიდებდა ხელს. საქმისაგან ციბრუტივით ტრიალებდა ოთახში. ანნა და ვერა სამკერვალო ფაბრიკის მუშები იყვნენ. გასამრჯელო, მიზერულობის გამო, მათი შრომატევადი საქმიანობის შესაფერისი ვერ იყო, მაგრამ დები მომავლისადმი რწმენითა და იმედებით იყვნენ ადვსილნი: – მთავარიც ეგაა, გჯეროდეს მომავლის, გწამდეს სინათლის და სიკეთის მთესველი ადამიანების მიმართ მოწიწებით იბადრებოდუ, იმ იმედით, რომ რაც მეტი

გვეყოლება სიკეთის მთესველნი, მოსავლიანობის ნაყოფიც უხვი და ტკბილი იქნება. ბოროტების აღმოფხვრა შეუძლებელია კაცთა ძალისათვის, მაგრამ მისი ძალზედ შემცირება ადვილ საქმეს წარმოადგენს.—იმედინად დამოდღვრავდა ხოლმე უფროსი უმცროსს დებს.

დილით სამსახურში წასვლამდე ვერა შუბლზე ეამბორებოდა ანასტასიას, მერე ნაჩქარევად ეზოგადასულნი ანნა და ვერა მიემართებდნენ სამსახურში. უფროს დას გული სწყდებოდა ნაბოლარა დის უსწავლელობაზე, მან ვერ მოახერხა გიმნაზიაში დაწყებითი განათლების მიღება, არც წერა-კითხვა იცოდა და არც ხალისი და ინტერესი ჰქონდა მისი დაუფლების.

დების წასვლის შემდგომ, ღამის პერანგის ამარამ იცოდა ეზოში გამოსვლა დედინაცვალმა მარიამ. სახლსა და ეზოს ჭიშკარს შუა, ფიცრით ნაშენებ შელახულ საპირფარეშოში გასული, თვალს შეგნებულად არიდებდა მუხლზე დაჩოქილ, ერთთავად მლოცველ გერს, რომელიც მეტანია-ლოცვისას შუბლით მიწას ეხებოდა. სახლში მარტოდ დარჩენილი მარია, ფანჯრიდან თვალს უშტერებდა მლოცველ ანასტასიას და უკმაყოფილო სახით სიტყვებს კი არა, მხოლოდ ბგერებს ამოსთქვამდა პირიდან:—ნწუ, ნწუ—წამოიძახებდა და უკმაყოფილების ნიშნად თავს აქეთ-იქით გააქნევ-გამოაქნევდა:

—მე სიმდიდრეში მინდოდა მყოლოდა, —უთხრა ერთხელ ანნას. —კარგი ეჭამა და ესვა, განა რამდენ ხანსლა იცოცხლებდა ასაკში შესული საქმრო, ვაჰარ გარგაროვიჩი, ის გადაბრუნდებოდა და საიქიოს გზას დაადგებოდა, მაგრამ იმოდონა ქონებას თან ხომ ვერ მოიკიდებდა ზურგზე და წაიღებდა?.. ხომ ნასტიას დაუტოვებდა? მე შენ გეტყვი და მოცილე ოქროს ქოჩრიანი ძმები და ძმისწულები გამოუჩნდებოდნენ... მაგრამ, ნასტიამ ჩემი ნაამაგარი ვერ დააფასა.—ამოიოხრა ისე, რომ , თითქოს, გულ-მუცლის ამოყოლებას აპირებდესო.

ანნამ შინაგანად იგრძნო, თუ როგორ ორჭოფობდა დედინაცვალი. მას თავისი გადაწყვეტილება კი მოსწონდა, მაგრამ მთლად დარწმუნებითაც არა, რადგან პატარაობიდან მის ხელში გამოზრდილი გოგონას მდგომარეობა სადღაც, გულის რომელიღაც კუნჭულში სტკიოდა.

—ანგარებისთვის ანგარიშიშეცემელი აზროვნებისა აღმოჩნდა.— დაასკვნა უმცროსმა და- ვერამ.

—აღბათ.— დაეთანხმა ანნა.—მაგრამ კარგი საქმე რომ ვერ ჩაიდინა და ნასტინკას ბედი და მომავალი წაართვა ეგ ხომ ცხადია. მეცოდება ჩემი ნასტინკა, ჩვენზე მზრუნველი, მის ფრთის ქვეშ დავიზარდეთ, ობლებს ობლობას არ გვანახებდა. მეცოდება, როდემდე იქნება ასე?..

—ასე თქვა; სანამ კირილეს სულს ჯოჯოხეთიდან არ გამოვიხსნი იქამდეო.—

დები სინანულის თვალებით მალულად იმზირებოდნენ ფანჯრიდან, რომლის მიღმა მუხლდაჩოქილი, მხურვალედ მლოცველი ქალიშვილის ნატიფი სხეული მოჩანდა.

შუადღის საათებში მნახველებს დებულობდა მჯდომარედ მლოცველი. მათთვის ღოცვასა და კეთილ რჩევას არ იშურებდა. საღამოს კი დიდი გულისყურით სულგანაბული ელოდა გარდაცვლილ სატრფო-კირილეს მეგობრის, დათა მაყაშვილის გამოჩენას. დათამ მშფოთვარე მიმოვლა იცოდა, წამს ნასტიასთან იყო და ესაუბრებოდა, მეორე წამს ანნას ბადის კუთხეში განამარტოვებდა, წამს ვერას თმაზე ხუმრობით შეავლებდა ხელს. ახალთ-ახალი პოლიტიკური ამბები მიჰქონდა ქალიშვილებისთვის, ხან იუმორით ავსებდა და ახალისებდა დებს, ხანაც ნასტიას წინ ჩამუხლული კირილეს შესახებ უცაბედად მოვარდნილი მოგონებების ტალღას ვერ ინელებდა:

–ნასტია, ამ ქუჩას ბასეინაიას ქუჩა აღარ ჰქვია იცი?–ეზოში ქარსაყოლილივით, ენერგიულად შეჭრილი დათა პირდაპირ ნასტიას მიადგა.

–აბა, რა ერქმევა?–დაინტერესდა ანნა.

–რა და... ამ ქუჩაზე წყლის მიწოდება რეზერვუარებიდან უნდა მოხდეს, დადგეს კიდევაც რაღაცა დიდრონი ჯღანი, ჯღანს ზედ აწერია რეზერვუარ... ჰოდა, მისი პატივისცემის ნიშნად რეზერვუარის ქუჩას არქმევენ. მაღე ლითონის ფირფიტის მიკვრას დაიწყებენ ჭიშკარზე, „რეზერვუარნაია“ N 11.

–დაარქვან დათა, დაარქვან, მთავარია ჩვენ არ დაგვარქვან რეზერვუარნაია, თორემ ქუჩას არა უშავს.–მშვიდი ხმით გამოეხმაურა ნასტია და დროებით შეჩერებული ღოცვა განაგრძო.

მცირედ ხანობას მღუმარებამ წაიღო ყურთა სმენა, თითქოს, ყველა თავის განვლილ გზას ჩაუფიქრდა, თავის წარსულს. დათა ფიქრებშიც კი მოუსვენარი იყო, დიდხანს ვერ დაუდგებოდა წარსულზე ნაფიქრს, წამსვე სამომავლოდ იწყებდა გეგმების დაწყობას:

–ანნა, ხომ არ გაგვესეირნა?–მიუბრუნდა ფიქრში წასულ ქალიშვილს.

–წადით, გაისეირნეთ, ოღონდაც მეფისნაცვლის სასახლეში ნუ შეხვალთ გასართობად, ცოდვათა ცოდვით ეგ კედლებიც კი სევდიანობენ.–თქვა ნასტიამ და ისევ ღოცვა აღაგლინა.

–წამოხვალ?–ჩაეკითხა უფრო მეტი გულისყურით ვაჟი.

–წამოვალ!–გადაებადრა სახე ანნას. ეზოდან სახელში შეირბინა, სარკის წინ იტრიალა ჩითის კაბაგამოცვლილმა. ვერკას დაუბარა, ნასტიას მიმიხედე, წყალი მიუტანე, თორემ თვითონ არასდროს მოგთხოვსო, და დათასთან ერთად სასეირნოდ ქუჩას დაუყვა.

დათა მაყაშვილი მოუსვანერი იუმორის მქონე იყო, არასდროს მოასვენებდა სახუმარო სიტყვებს, მუდამდღე მათ გამოყენებაში გახლდათ, განსაკუთრებულად მაშინ, როდესაც გვერდს უმშვენებდა მისი სატრფო, ანნა.

II

ჭიშკრის კარები ბრახუნით გაიღო და უფრო ხმაურიანად დაიხურა, როდესაც მოგრიალე ქარიშხალივით ეზოში მარია შემოვარდა. პირისახით მუხლდაყუდებული გერის თვალსაწიერიდან გაუჩინარების მიზნით მისი მიმართულებით თვალწინ ხელი აიფარა. ეზო გადაირბინა და სახლის ზღურბლს გადაცილებულმა ანნას შესძახა:

–სახლში არაა.–გამოეპასუხა ვერა ანნას ხმის მოლოდინში მეოფ დედინაცვალს.

–მა, სადაა?

–რა ვიცი, ალბათ საქმეზე თუ გავიდა.

–სახლის ფორმითაა?–იკითხა ძალზედ შეწუხებულის სახით.

–სულ სახლის ფორმით არ დადის? აბა, ძვირფასი აბრეშუმის საკაბეები არჩევანზე როდისაა?

–აი, სწორედ მაგაშია საქმე, ვერკა!.. ანნას სად აოხრია და ატივლია საოპერო კაბეები, მაგის ცვლაში რომ იყოს? მე კი სულ ოცნებაში ვარ, ჩემი გოგოები კარგად დავაბინაო, არც სხვის კაბაზე რჩებოდეთ თვალი და არც საჭმელზე.

დედინაცვლის აზრთა გაქლერებისას ვერას გულში ცუდად გაკენწლა. უნდოდა ეკითხა, ახლა რაღა ჩაიფიქრეო, მაგრამ ვერ გაუბედა. ვაი თუ ანნაც იგივე ბედის გახადოს, რაც ჩემ უფროს დას არგუნაო, ფიქრობდა და ამ აზრს ჭკუიდან გადაჰყავდა უმცროსი გერი. მცირედხნიანი დუმილის შემდეგ კი მარია ახალი აზრის გახმოვანებას შეუდგა:

–აბა, ის კაცი რა დასაკარგი იყო. აქეთ-იქიდან მოსამსახურეები ეხვია გარს, იმოტონა ჰამქარს ამუშავებდა. ბებერი, დაჩიავებული დედაც კი შეაწუხა ნასტიას გულობისთვის, მახანკალიდან ჩამოიყვანა, მერე აქეთ ამოუყვანა გასაცნობად... ადამიანს რომ ჭკუა არ ეყოფა სასხვისოდ, სათავისოდაც უმაქნისი იქნება!

–ეხლა სადა ბრძანდება ვაჰარ გარგაროვიჩი? რაც უნდოდა, ხომ მოსწია ჩემს დას?–გამოესარჩლა სიტყვიერად უფროსი დის ბედს ვერა.

–შენ დას ვაჰარმა კი არა, ბოჰემურმა ცხოვრების ტრფიალმა უქნა. გადაიკიდა ვიღაც საწყალი, თავსაც მოსწია და იმ ბიჭსაც... ვაჰარი რა შუაშია, ჰქონოდა შნო, სამაგისოდ არ მინდოდა სიკეთე, სიმდიდრე და მომავლისადმი კაი ყოფიერება? ახლა ხომ არის კარგად, ქარსა და წვიმაში თავლიად რომ ზის? აბა, ზამთარი რომ დადგება და თოვლს ჩამოჰყრის, ყინვა–ყიამათში გადარჩება? ალბათ, ერთხელაც იქნება, დები გააკითხავთ დილაუთენიაზე და გათოშილი, უსულოდ გადაქცავებული დაგიხვდებათ, ისე ჩემთვის მაინც სულ ეგეთი იყო!

–ეგეთი როდის იყო?.. განა ნასტია ქვა იყო შენთვის?!–გაწიწმტებულმა ვერამ პირველად აღიმაღლა ხმა დედინაცვლის წინაშე. ხვდებოდა, რომ გერების მეტი თვინიერობით უფრო თავს გადიოდა, თავის უტოპიურ აზრებს ახვევდა და აიძულებდა ამ აზრების განხორციელებას.

–მოლვეის ქვა რომ არ იყოს ასე იდგომილებდა ერთ ალაგას? ასეთმა უმოძრაობამ ან ფეხი არ ატკინა, ან კოჭი, ან მუხლი, ანდაც დისკომფორტი მაინც არ შეექმნა? მარტო ლოცულობს, რაც უყვარს იმას მიჰყო ხელი, ადვილსა და იორდას. არა, ზამთარში ვნახოთ მისი სიმაგრე. კითხვაზე გიპასუხებ, სად არის ვაჰარიო, რომ მკითხე... ის მუდამ ბედისგან განებივრებული, ფუფუნებას ნაჩვევი, კმაყოფილად გრძნობს თავს. ეგაა, ცოლი ჯერ არ შეურთავს. ჰოდა, ვიფიქრე, დასაცოლებელია მაინც და იქნებ, ჩვენი ანნა დაფიქრებულიყო ამ არაჩვეულებრივ კანდიდატზე, ასეთი შანსი აღარ განმეორდება.

–რას გადაეკიდა ჩემს დებს, სხვები ვერ ნახა საცოლედ?.. თუ რახან ობლები ვართ, ჩვენ უპატიებებს უფლებაც კი არ გვაქვს არჩევანის, ჩვენი შესაფერი ასაკის მაინც გეინდოდეს? იქნებ ჩემს დას სხვა უყვარს, ან იქნებ, არ ფიქრობს გათხოვებაზე!

–უყვარს!–ჩაიქირქილა დედინაცვალმა–აი, იმასაც უყვარდა და ახლაც უყვარს უკვე გარდაცვლილი, იმიტომაც ზის ასე.

ადრე მარიამ ხმის აწვევა და აღიაქოთ-წიოკი იცოდა საპირისპირო აზრის მოსმენისას. არ უყვარდა გერების მიერ აზრთა შეწინააღმდეგება, ახლა მოტეხილს ჰგავდა, აშკარად, მაგრამ ეს მორალურად მოტეხილი თავის აზრიდან ჯიუტად მაინც არ გადადიოდა.

შებინდებულზე დაბრუნებულმა ანნამ, ვერასგან გაიგო რა დედინაცვლის ჩანაფიქრი, გული შეუწუხდა:–ახლავე გავალ, ნასტიას ვუამბობ მარიას ჩანაფიქრებს, ნასტიასაც მაგან მოსწია ყველაფერი. იმ ბიჭმა, კირილემ, პირდაპირ მაგის ნათქვამზე მოიკლა თავი. ვერ გაუძლო ასეთ აგრესიულ ტყუილს მისგან.

–არ უთხრა ნასტინკას!–შეაჩერა ვერამ ფეხზე ამდგარი ანნა, რომელსაც ნუგეში უფროსი დისგან სჭირდებოდა. –ვერ ხედავ, ისედაც, როგორ იტანჯება, როგორ ლოცულობს დღე-ღამე კირილეს სულისთვის, და ვინ ჩააგდო მაგ დღეში? ჩვენი დედინაცვლის მზაკვრულმა მონდომებამ ვაჰარის

ჰამქრის მოსახვეჭად... და იმ ვაჰარმაც, რომელსაც საკუთარი ასაკი დავიწყებისთვის გაუმეტებია და ობლებს დაგვდევს თავისი სიწუწკის განხორციელებისთვის, წუწკი გარყვნილებისთვის.

–ბილწი!–გააწყვეტინა ვერას აზრი ანნას ნათქვამმა–მართალი ხარ ვერაჩკა, ნასტიამ არა თუ არ უნდა გაიგოს ეს ამბავი, არამედ აქ მოსულიც კი არ უნდა ნახოს.

–აბა, როგორ მოვიქცეთ?.. მე რომ დაგუხვდე გზაში, ან ჰამქარში მივიდე და გამოვლანდლო?

–არა, ლანძღვას არავინ გაპატიებს, ჩვენს დროში მიუღებელია შენხელა გოგომ კაცს ენა შეუბრუნოს, ვერაჩკა, შენ არ ჩაერიო, თორემ, ახლა შენზე დაიწყებს ფიქრს ცოლის მოსაყვანად გამზადებული. ხომ ხედავ, რაც უფრო ასაკში შედის ვაჰარ გარგაროვიჩი, მადა მით უფრო პატარა გოგონებზე ეხსნება. მე ვიცი როგორც უნდა მოვიქცე, ყველაფერს დათას ვუამბობ, ის მოუვლის შეჭველად ამ პრობლემას.

–გული არ მინდა დაგწყვიტო, ანნა, მაგრამ ნასტინკაც შესწიოდა კირილეს ვაჰარის ამბებს, და არაერთხელ, მაგრამ ის რატომღაც თავს არიდებდა. არ ვიცი, შესაძლოა იმის ასაკი აშინებდა, ან ჰამქრის უფროსობის გამო ერიდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ სოლდატი იყო, მებრძოლიც, იატაკქვეშა ორგანიზაციების ნაქირავები მებრძოლიც...

–კირილეში არ შეგეშალოს დათა მაყაშვილი!–თქვა ანნამ და ნიშნისმოგებით გადახედა შეშინებულ უმცროს დაიკოს.–დათა განსხვავებულია თავისი პრინციპებისადმი პატივისცემით, მისი დაცვითა და ბოლომდე გატანის მცდელობით. ვნახოთ, აბა, დათა მაყაშვილი რას მოიმოქმედებს!

–იქნებ მარიაც გაგვეფრთხილებინა, ასეთი მზკვრობა მეორედ გულში არ გაეგლო?

–არა, უარესს იზამს. ეგ აზრი არ გამოდგება.– უპასუხა ანნამ და ჩაის მოდულებას შეუდგა. ვერა ხელებში შეჰყურებდა სამზარეულოში მოფუსფუსე დას, თუმცა, მისი გონება სრულებით სხვა საფიქრალზე გადართულიყო. ის ფიქრობდა, რომ, რა ეშველებოდა თუ პრობლემა, რომელმაც მათ ოჯახს ტრაგიზმის მკაცრი მარწუხებით შეეხო, ისევ განმეორდებოდა და ამჯერად მიზანში შუათანა დას ამოიღებდა. ანნაც მსგავსად წარსულისა, შეყვარებული გახლდათ რჩეულ დათა მაყაშვილზე, ისევე როგორც ნასტია იყო თავდავიწყებული ტრფობით შემკული სატრფოზე. ისიც უსაზღვროდ იყო შეყვარებული სამხედრო პირზე, კირილე მისთვის სულით ახლობელი აღმოჩნდა და იმდენად თავდაჯერებულად ჰპოვა ნავსაყუდელი ქალიშვილმა ვაჟის ბუნებაში, რომ მის იქით სხვა მამაკაცის სიყვარული საჩოთიროდ და სამარცხვინოდ ეჯერებოდა. ნასტიას სიყვარულის გულისთვის კირილემ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, ხოლო თვით სატრფომ ვერ აპატიო თავს მოუწესრიგებლობის გამო ბროწეულის ხის უკან მალვა, ისეთ

დროს, როდესაც ვაჟს, გაიგო რა მისი ავადმყოფი ყოფიერებისა თუ გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია, აფექტური მდგომარეობა დაემართა. თავს ვეღარ აკონტროლებდა გამუდმებით რთული მდგომარეობისა თუ ნაღვლიანი წარსულის მქონე, რომლისთვისაც ერთადერთ სასიხარულო ნუგეშად ნასტიას გულწრფელი სიყვარული მოეველინა. ახლა ანნას შეუჩნდნენ ვაჰარ გარგაროვიჩი და მისი სუფლიორი, დედინაცვალ-მარიას სახით. ახლა რაღა მოხდება, ნეტა ისევ თავიდან ხომ არ დაიწყება არეულობა ამ ერთი ასკოვანი უსტაბაშის გულისთვისო, დარდობდა ანნა და საკუთარ თავს უმაგრდებოდა ზღვა ცრემლი რომ არ გადმოშლოდა თაფლისფერი თვალებიდან.

მეორე დღესვე დაწვრილებით უამბო ანნამ დათა მაცაშვილს დედინაცვლის მზაკრული ჩანაფიქრის შესახებ. არც იმის მოყოლა დააკლო ნაუბარს, თუ როგორ იმსხვერპლა კირილესა და ნასტინკას სიყვარული, ტრაგიკულობის გამო ნასტინკამ მჯდომარე მლოცველად დაყუდება გადაწყვიტა, და რომელსაც ტფილისელებმა მჯდომარე ანასტასია შეარქვეს.

დათა ბუნებით მოუსვენარი იყო, ერთ ადგილზე გაუჩერებელი. მისი ხასიათობრივი ცქმუტვა ფიზიოლოგიურად გარეგნობაზეც აისახებოდა: გამუდმებით დინამიური, ერთ ადგილზე რამდენიმე წუთზე მეტხანს რომ ვერ დაყოვნდებოდა. მოდმივ მოძრაობაში უნდა ყოფილიყო, მუდმივ ნაცნობობაში უცნობ-ნაცნობებთან, თუმცა ამჯერად, ანნას მსმენელის როლში მყოფი, სუნთქვაშეკრული და სულგანაბული აყურადებდა მისი თითოეული სიტყვის გახმოვანებას. საუბარის დასასრულს კი ანნას ჩვეულებისამებრ შუბლზე ეამბორა, ნუ იჯავრებ, რაც არ უნდა გითხრას მარიამ ერთი ყურიდან შეუშვი და მეორიდან უშფოთველად გამოუშვიო, დაარიგა.

სახლამდე ჩვეული იუმორით მიაცილა, ნასტიასთანაც მცირედხანს შეყოვნდა საუბრის გამო, და შებინდებულზე მათი ეზო დატოვა.

სწორედ იმ საღამოს თავისი ჰამქრის სიახლოვეზე ვაჰარ გარგაროვიჩს, რომელსაც გრძელმოსასხამიანის კალთები ტფილისის მონავარდე სიოს გამო აქეთ-იქით უფრიალებდა, გზაზე გადაეღობა და კითხვები ერთმანეთის შეუსვენებელივ მიაყარა:

– კნიაზო ვაჰარ, აბა, თქვენო გულმოწყალება, მითხარით უცოლოდა რათ დაიარებით? ნუთუ ესეთი კარგი გარეგნობის მხცოვანი ვაჟკაცი არავის უნდისართ? არავინა გკადრულობთ?.. იქნებ თქვენი მესამედი ასაკის ქალწულს ეძებთ საცოლედ? ანდაც, იქნებ წიწკვი ჯველი გგონიათ საკუთარი თავი ვარდის გაუშლელი კოკორივითა?

ეს უკანასკნელი მიუხვდა ახალგაზრდა ყმაწვილს სიბრაზის მიზეზს და საქმის გაგრძელებას საიმედო არგუმენტით შეეცადა:

– მე რა რაა, საქმეს სასიდედრო მიჩარხავს. იმას ვუნდივარ, თორემ მე რა, რა... კალთებს კი არავის ვაფხრეწ და...

– აჰ, თურმე გეხვეწებიან კიდენაცა, არა? ქორფა, ახლადწამოხიტული გოგონები გყვარებია თურმე.– ჩაიცინა ნაძალადევად დათამ და ირონიულად დასძინა–თქვე ბებერი ვირთაგვასავით წუწკო და მსუნაგო, თქვენა!

–ვის უბედავ მაგასა, ვისა?!–აყვირდა ვაჰარი, რომელსაც ჭარხლისფერი დასდებოდა ლოყებგანიერ სახეზე.

– ჰო, რა იყო, რა... რატომ აპილპილდი, რა მაგ ცხვირ-პირზე მური ხომ არ წამისვამს? უბრალოდ ვიკითხე რადა. ისე, რომ გითხრათ, ის გოგო ჩემია–მეთქი და მეორედ მასზე სუსი არ გაიღოთ არამც თუ ხმა-კრინტი დაძრა-თქო, რას იზავდი?–დათამ ნიშნისმოგებით გადახედა მის წინ მდგომელა მეტოქეს და გვერდით ადგილი თვალისზომით მოინიშნა გადასახტომად. გადახტა კიდევ, როდესაც მომენტალურად ვაჰარმა მუშტის დასარტყმელად გაიწია. დათამ აიცდინა, მაგრამ საპასუხოს დაბრუნებას ვერ აკადრებდა საკუთარ თავს, რადგან მოჩხუბარი მეტოქე მასზე გაცილებით უფროსი ასაკისა გახლდათ:

–პაპახემის ასაკისა არ იყო და მერე მე ვიცოდი!–გასძახა მუქარის ტონით და ისევ უკან დახევა ამჯობინა. თუმცა ვაჰარმა თავის მუშახელს დასახმარებლად ყვირილით მოუხმო:

–ჰამქრის აქსნაფებო, აქეთ,აქეთ!.. თქვენ ტოლას მინდა დაეჭიდოთ! –მართლაც დაძახილზე ათიოდე ყმაწვილკაცი გამოექანა. ერთერთი მათგანი დიდ ბოლორა ძაღლს ჯაჭვიანად მოარბენინებდა. ძაღლი ავიმომასწავებლად ყეფდა, გააგრესიულებულს ზურგზე ბალანი ყალყზე დადგომოდა.

–ბაქმაზი ღვინოსავით უნდა დაადვინოთ ეს მაჭარკაცი. სღულს, სღულს და დაღვინებას ვერა აცლის თავის ბაინდურა თავი. აბა, აქსნაფებო ეცით და თუ ვინიცობია გაგექცევათ, მერე, ემანდ ბასარას აფლეთინეთ, მშიერი მყავს მაინცა, თანაც საქონლის სისხლზე გამოკვებილს სისხლი სწყურია, ისე კაცისა და ვაცის სისხლი არაფერს გაუყვია!

ჰამქრის ჯეელმა მუშებმა შუაგულ წრეში მოიქციეს თავისზე უმცროსი დათა მაყაშვილი, ერთიანად მისცვივდნენ და ბეგვა დაუწყეს:

–ფერდები, ფერდები არ დაგავიწყდეთ ბიჯოო, ფერდებიც დაუზილეთ მაგ აბუტებულა ცეტს, გზა მომიჭრა ისე, თითქოს, ეგეცა მყოლოდა გობაკ-ქამრიანი ყარაჩოღელი, ემანდა ვინმე უნაირო დედლის წიწილი ხარ და თუ შაიფერებ-შაიფერე, თუ არა და თავს წაგაცლი, რას მემამლაყინწები, შე უდეზოვ, შენა!– გაიძახოდა ვაჰარი და ხავერდის მოსაცმლის კალთებს დიდრონი ხელის კოტიტა თითებით იკაპიწებდა.

მიწას ბუქი ავარდა მეტი წიხლების ცვეთით. მტვრის განგლი რომ გადავიდა, მერედა გამოჩნდა ჰამქრის მუშების მიერ ნაწიხლარ-ნაცემი და მუშტებით ნათეთქვ-ნაბეგვი დათა მაყაშვილი, რომელიც ძირს დაგდებული, მუცელმოკაკეული სიმწრით იკლაკნებოდა:

– ეხლა თავი უშვით მაგასა, მოხვდა რაც მოსახვედრი იყო, ჩემი საკუთარი ბოლორა მიუშვით, ბოლორამ იცის სისხლის გემო და ფასი, ცოტაოდენაზე კუჭს გაიძღომს!– გასცა განკარგულება ყურმოჭრილ ხელქვეითებში, რომელთაც სახეზე ეწერათ, ჩხუბში ხელის გასვრა დიდათაც არა ეწადათ, მაგრამ უფროსის გამო მოჩვენებითაც, ნაძალადეგად დაივალდებულეს თავი, რადგან კაპრიზის შეუსრულებლობით არაერთხელ დაუსჯია ხელქვეითი აქსნაფები ვაჰარს.

მეცხვარული, ცეცხლისფრად აელვარებული ბოლორა, სახელად–ბასარა, რომელიც მეტი სიავისგან ყეფისას დუჟი გადმოსდიოდა აქაქანებული პირიდან, საყელოდან აუშვეს. თვითონ ვაჰარი ჰამქრის გარშემო შემოვლებული დიდი გაღავნის ბჭე-კარში შევიდა თუ არა, თვალთახედვიდან გაუჩინარდა. ხოლო მისი აქსნაფებიც არემარეს მოსწყდნენ. ზოგი უკან დაედევნა, ზოგიც სხვა მიმართულებით წავიდ-წამოვიდნენ. ჩხუბის ადგილას მხოლოდ ძირსნაგდები დათა მაყაშვილი და მისკენ მყეფავი ბასარაღა შემორჩნენ. დათა რის ვაი-ვაგლახით წამოდგა, დასვრილ შარვალს და მოფლაგებულ, გვერდებზე შეფხრეწილ სერთუკს სინანულით შეავლო თვალი.

დახეთქილი ტუჩის კუთხიდან სისხლი თითებით მოიწმინდა, სისხლიან თითებს სახეამრეზით დახვდა. ასე უყურა ერთხანს, მერე მის წინ ყეფისგან სულისმოსათქმელად წამიერად დადუმებულ ძაღლს გაუწოდა მოსალოკად. ბოხორამ სისხლიანი თითები ლოკვა-ლოკვით გაუსუფთავა, მერე კუდის ქიცინს მოჰყვა კმაყოფილების ნიშნად. ესაც არ აკმარა და სახეზე უწყო ლოკვა, ცხვირზე, გახეთქილ ტუჩზე, შუბლზე: – გეტყობა შენც, გულს რომ არ გეხატება ის ეშმაკის მოციქული, არა?– წაუკენესა დათამ ძაღლს. – აგრე რომ არ იყოს, აქ სალოკავად არ მომადგებოდი და ის აშაღლარა, შენი პატრონი, კიდე პატარა გოგოებს უკან დევნას არ დაუწყებდა. წავიდეს რაღა და თავისნაირი მოფხაგებული ჩაჩანაკი ნახოს, რაღა ობლებს გადაემტერა?

დათა რის ვაი-ვაგლახით წამოდგა. დედისგან მალულად სახლში მისულმა სრულიად დაითვალთქვა თავი სარკეში. ჩალურჯებულ თვალზე მეტად დაფხაგებული სერთუკის გამოუდგეგარობას ჩიოდა გულში. საკუთარ თავს უჯავრდებოდა, სხვამხრივ მოქცევა რომ არ მოისაზრა. ტანთ გამოიცვალა, მოკლე თმები ხელით შეისწორა, სარკეში უკმაყოფილოდ შეავლო თვალი თავს გამხდარი სხეულის ვიწრო წელს და უჩუმრად შემოსული უჩუმრადვე გადავიდა სახლის უკანა ღობიდან.

ღობეზე გადამხტარი წინ დაესკუპა მთვარის შუქზე თიხის ქილებით მაწონხელდამშვენებულ დედაკაცს და მის პატარა გოგონას, რომელთაც შემინებულბმა ერთი კი შეჰკვივლეს ყაჩაღ-მოღანდებას, თუმცა ღობიდან გადმომხტარ რაინდს უფრო შეეშინდა დედა-შვილის წიოკზე, ერთი კი შეკრთა ნაუცბათეფზე და გვერდის ასხლეტვით შურდულივით ჩაუქროლა.

ნასტიას ვახშამი არ უყვარდა, არასდროს ვახშამობდა, თუმცა, როდესაც დები ჩაის ფინჯნებით ხელში აქეთ-იქიდან შემოუსკუპდებოდნენ, დიდად

ნასიამოვნებელი რჩებოდა. ახლაც, გარკვეული დრო დაჰყვეს დებმა ერთად. როდესაც უმცროსი დები მიჩუმათებულ სახლში დასაძინებლად შევიდნენ, ნასტიამ ლოცვის აღვლენას მიჰყო ხელი. საოცარი სანახავი იყო ტყემლის აყვავებული ტოტის ქვეშ მჯდომარედ მომლოცველი, ულამაზესი სინატიფის მქონე ქალიშვილი. ის ჯერ ლოცულობდა, მერე კი, ისეთ დროს, როდესაც მოკრძალებულად ამოწვერილი მთვარე ჰორიზონტს საგრძნობლად მოსცილდა, თავს წადგომამდე კირილეს ნაქონ ძველმან პლედში გაეხვია, მოიბუზა და მუხლმჯდომარემ ჩაიძინა რამდენიმე საათით.

ღამე კარგად ფეხმომავრებული იყო, როდესაც ქუჩის კუთხიდან ყვირილის გაურკვეველი ხმები მოჰქონდა გაზაფხულის მოქრიალე სიოს. მერე ცეცხლის ალებმაც გაანათეს რეზერვუარნიას ქუჩის დასაწყისი, რომელთა მწველი ენები ცის კიდევებს სწვდებოდნენ. მხოლოდ დილით, მაწვნის საყიდლად გასული მარია, უკან აჩქარებული, ნასტიას თვალთახედვის მიმართულებით ხელმოფარებული ეზოს ელვისებურად გადარბენილი, სამზარეულოში გერების წინ სულს ძლივს ითქვამდა მტირალი:

–ვაჰარ გარგაროვიჩისთვის ვიღაც ნაძირალას ჰამქარი გადაუწვავს... ჯერ უჩხუბია იმასთან, ვაჰარს ისე უცემია, ისე, რომ აქსნაფებს ძლივს გაუგდებინებიათ ხელიდან, რომ არ შემოკვდომოდა. მერე, ახლა რაც ვაჰარს დაუკლია მის გიჟ-გადარეულ ძაღლს დაუმატებია, სულ გამოუგლეჯავს ხორცები ფერდებიდან. ვაჰარი ერთ ამბავშია, რაღა მეშველებო, რამოტონა ზარალი ვნახეო, აქსნაფებს ჯამაგირსაც კი ველარ გადავუხდიო... –ლოყებს იხოკავდა მარია. ანნამ წყლით სამსე ჭიქა მიაწოდა გულის მოსაბრუნებლად. ვერამ კი ანნას საქციელი უადგილოდ ზრდილობიანად მიიჩნია, რაზედაც ცხვირაბზუებულმა აგრძნობინა ნამოქმედარის მიმართ არასასიამოვნო განწყობა.

–დამშვიდდი, არაფერი მოუვა, მიხედავს თავის საქმეს თვითონვე.–თქვა ანნამ დედინაცვალ მარიას მისამართით.

–შენთვის რა იოლი ნათქვამია, არაფერი მოუვაო. იმხელა ჰამქარი, უამრავი ტყავი, უამრავი მატყლი აუბურბურა იმ არამზადა ვიგინდარამ, ნეტავ ვიცოდე ვინ იყო, ჩემი ხელით გაეფხრეწდი და გავწეწდი!

–ნეტა ვინ იყო?–სასხვათაშორისოდ იკითხა ვერამ და გამომცდელი მზერა მარიასაკენ მიმართა.

–რა ვიცი, ვინ იყო და... ის იყო, შენ დასთან ერთად რომ დაბრძანდება აღმა-დაღმა. მე უკვე გულისადგილი აღარა მაქვს, ვერაჩკა... ჯერ იყო და ნასტიას ვდარდობდი. ვიღაცა უმარიფათო, სუსტი კაცის გადამკიდეს, ვდიე, ვდიე და ვერ შემოვატრიალე ბედწაღმისკენა, მაინცდამაინც ბედუკუდმართობა ირჩია. ახლა ანნას სანერვიულოდ გავიხადე თავი.

–ეს ვისდა გადაეკიდა? ანნას გადამკიდევ სუსტი, უმარიფათო კაცია?–ნამეტანი მიამიტად მოაჩვენა თავი დედინაცვალს ამ კითხვით, თუმც მასში ცინიზმის ელემენტები დაემალა უმცროსს დას.

–ანნას გადამკიდევ, უმარიფათო და სუსტი რომ იყოს რაღა მიჭირდა?.. ერთი თავზეხელაღებული, ვიგინდარა და დაუმორჩილებელი ნაგიჟარია. აბა, ეგეთი რომ არ იყოს, ჰამქრის გადაწვას გაბედავდა, ეგ უმსგავსო, ეგა?

–მაგან რა იცის, რით ამტკიცებს დათას ნამოქმედარია თუ სხვისი?– ვერ აიტანა სატრფოს ავტორიტეტის შელახვა ანნამ, სახეზე აწითლებულიყო მეტი ემოციებისგან, გულის ბაგა-ბუგი ყურებში უმნოდ მოესმოდა.

–როგორ თუ რა იცის?! –დააბნია კითხვამ მარია–აღბათ თუ დაინახა, თორემ რატომ მე არ მადებს ხელს, ან ამას?–თქვა და ხელი დადუმებული ვერასკენ მიიღო.

–ტყუილად ცილის წამება ყველაზე საშინელი დანაშაულია, დათა თუ არაა დამნაშავე და ვაჰარი მას ადანაშაულებს, სასიკვდილო ცოდვით დაისჯება!– ცხარედ თქვა ანნამ და დედინაცვალს კუშტი მზერა მიაპყრო. კიდევ სურდა ნათქვამისას რაღაცის მიმატება, მაგრამ გადაიფიქრა, როდესაც შიშნატამთვალეებიანი დედინაცვლის წამოსტომა და მისი ელდანაკრავივით გაუჩინარება იხილა. მიხვდა, რომ ნათქვამი ეკალივით მოხვდა მარიას გულს, სიმწარემ ფეხზე წამოაგდო და თავის საძინებელში შეიკეტა.

იმ დღეს დათა მაყაშვილი ცალთვალზე ხელაფარებული დაიარებოდა დები ნიკიშევების ეზოში. ერთადგილზე გაჩერებას ვერ იტანდა, ბოლთის ცემაც კი ემოციური და მოუსვენარი ჰქონდა:

–ასეა ნასტინკა, ასე, თუ არ გასვენებენ, არც შენ უნდა მოასვენო, და ისე არ უნდა მოასვენო, რომ იქით გადარიო... და თანაც ისე უნდა გადარიო, რომ აქედან გააქციო... თანაც ისე უნდა გააქციო, რომ აქაურობის გახსენება დიდად შეშინებულზე ბურძგლავდეს, და ისე უნდა ბურძგლავდეს, რომ მეტადრე ადამიანობაში სინდისის ქენჯნას უღვივებდეს, და ისე უნდა უღვივებდეს...

–დათა, არაა საჭირო!– შეაწყვეტინა ნასტიამ.–ბოროტება ბოროტებით არასდროს მარცხდება, პირიქით, ის უფრო დიდ სიბოროტეს შობს. ნაშობი სიბოროტე შენ თუ ვერაფერს დაგაკლებს, შენს მონაგარში რომელიღაცას გაუმწარებს პირის გემოს, ან შენ გვერდით მყოფ სუსტებს შეიწირავს. არ გინდა დათა, გთხოვ, სიკეთეზე დიდი სიძლიერე და გამარჯვება ბუნებას არ გამოუგონია. ყველაზე ძლიერი ხრიკი, იარაღი თუ ორთაბრძოლა, სიკეთეა. მერწმუნე, დათა, გთხოვ.–ნასტიას თვალზე კამკამა ცრემლი მოსდგომოდა, რომელიც ნაზი ნამივით უბრწყინავდა თვალზე.

–მე ჩემი სიყვარული ამ გზით დავიცავი, ამ გზით გადავარჩინე და თუ საჭირო გახდება, უფრო მკაცრადაც მოვექცევი მოლაყბე დაუნდობლებს,

გაზვიადებული წარმოდგენა რომ აქვთ საკუთარ თავებზე და სრულიად ფუჭადაც...

– არა, დათა, გთხოვ, არ არსებობს სიკეთის მიერ დაუჯახბნავი პრობლემა, სიყვარულს სიბოროტით ვერ დაიცავ, ეგ წარმოუდგენელია.– ნასტიამ ხმამაღალი ლოცვა იწყო. ლოცულობდა მთელი გულიდან ამოტყორცნილი სიტყვებითა და ამ სიტყვების სრული ემოციური გამოხატულობებით. სახეზე ცრემლი დაუდიოდა, ცრემლი ცვარივით ეწვეთებოდა ხან მის მკერდს და ხანაც ძირს, მიწაზე ეშვებოდა. დათას მშფოთვარე ხასიათს ტკბილად მოხვდა ლოცვის ძალა. ესამოვნა გულს უმანკო ქალიშვილის სასიამოვნოდ მოდუდუნე, სალოცავად დაყენებული ხმა. ეზოში მოუსვენრად მოხეტიალე მყისიერად დამშვიდდა. ნასტიას რამდენიმე მეტრის მოშორებულზე, გადაჭრილ კუნძულზე ჩამოჯდა და სმენად გაიკრიფა.

რამდენიმე დღის შემდეგ კი ვერამ თავისი თვალთ იხილა, თუ როგორ ემზადებოდა სამგზავროდ აბარგებული ვაჰარ გარგაროვიჩი. რეზერვუარნიას ქუჩის დასაწყისში ორ ცხენშებმულ დროგზე გამჭვარტლულ, უამრავ საყოფაცხოვრებო ნივთს უდებდა, ზოგს ნახანძრალს და ზოგსაც გადარჩენილს. მარია შორიასლოს დარცხვენით ტრიალებდა. ნაღვლიანად ადევნებდა თვალს დაღონებული სასიძოს ფუსფუსს. დროგზე შემომჯდარს დასამშვიდობებლად მიადგა, იმან დიდად ნაწყენი სახით, ერთი კი გამოხედა იდეებგამზიარებელს, მერე ცხვირპირი უკმაყოფილოდ მიუბრუნა და მედროგეს შესძახა: –ჰაა, დაიძარ რაღა!

ბარგი-ბარხანით დატვირთული დროგი მძიმედ დაიძრა. ჭრიალით იწყო დროგის თვლებმა ნელა ტრიალი. მარიას უღონოდ ჩამოშვებული ხელები უთრთოდა, განიცდიდა გაკოტრებული ვაჰარ გარგაროვიჩის სამუდამო გამგზავრებას. მომჭკნარ სახეზე სევდისფერი ჩრდილები დასთამაშებდნენ. მოლურჯო ფერის მომწვარულ კაბის კალთას ნიაგი სუსტად უფრიალებდა. გაჭაღარავებული თმები უკან ერთ კონად დაეკოსავებინა, რაც არსებულ წლოვანებას უფრო მეტად მატებდა ასაკოვან შესახედავობას:

–ვაჰარ გარგაროვიჩ, ტფილისში რომ ჩამოხვალთ, აუცილებლად მინახულეთ, ვაჰარ გარგაროვიჩ...– დაედევნა მარია დროგით გაქცეულ ყოფილ სასიძოს, რომელსაც თავისი ნებით დაეთმო ნანატრად მოხვეჭილი სასიძოს სახელი. უკმაყოფილოდ ჩაიქნია ხელი მამაკაცმა, ისე, რომ მადევარი მარიასთვის ზედაც არ შეუხედავს.

მგზავრის თვალის მიფარვას აღარ დალოდებია მარია. სახლში მისული კი კრაზანასა და შავთავას ბალახებისგან ნერვების დამამშვიდებელ ნაყენს იხარშავდა, რათა მომხდართი გამოწვეული ნერვიულობა ოდნავ მაინც ჩაეცხრო.

სისხამ დილას ფოთის პორტში ფრანგული დროშის ქვეშ მცურავი პოლანდიური გემი სახელად „სირიუსი“ შემოვიდა. გემი სამგზავრო დანიშნულების არ გახლდათ, ის ტვირთშიდი და კონკრეტულად იარაღის გადამზიდი იყო. გემიდან სწრაფი დანიშნულებით წინასწარ გუნდ-გუნდად შემდგარმა პირტიტველა ახალგაზრდებმა იწყეს იარაღის ჩამოტვირთვა, მერე პორტის საწყობში შექქონდათ. „სირიუსიდან“ ჩამოცლილი იარაღი ერთ-ერთ პოლიტპარტიას, სოციალ-ფედერალისტებს ეკუთვნოდათ, რომელიც მასიურად სტუდენტ-ახალგაზრდებით იყო დაკომპლექტებული. მათი რაოდენობა საკმაოდ ჭარბობდა სოციალ-დემოკრატთა მომხრეების რაოდენობას. ფედერალისტებმა „სირიუსის“ იარაღი: ხელყუმბარები, საბრძოლო თოფები, რევოლვერები და ქვემეხის ყუმბარები იდეოლოგიურ მომხრეებში დაარიგეს.

როდესაც რევოლუციურ ამბოხს მოაწყობდნენ, ხალხი წინასწარ მზადყოფნაში უნდა ყოფილიყო, რადგან მათ საკუთარი თავისა და ოჯახების დაცვა შეძლებოდათ. რევოლუციას ფედერალისტები დაშნაკებთან ერთად გეგმავდნენ ცარიზმის მმართველობის წინააღმდეგ. შეიარაღებულ სამხედრო ნაწილზე თავდასხმა და განადგურება გემის მთავარი ნაწილი იყო. რევოლუციისათვის საჭირო თანხასაც მოუყარეს თავი, როდესაც დუშეთის მაზრის ხაზინა დაყაჩაღებისას პირთამდე გააცამტვერეს, ყაჩაღებს დარაჯები ისე გაეკოჭათ, დილით ნაპოვნებს გაბაწრულ ხელ-ფეხს ვეღარ უხსნიდნენ. ყველაფერი ძირიაღმა მოექციათ, რაც რამ ენახათ, გაეზიდათ: საწყობში შენახული დროგის ბორბლები, რომლებიც დიდად არავის დასჭირდებოდა, თან წაეღოთ, ასევე კედლის საათი, ხელით ნახატი - დაბღვერილი ქალის პორტრეტი, რომელიც ისე იყო გამურული, გამოსახულების ამოცნობა ჭირდა და ღუმელის მუხლი, რომელსაც ქვენა ქარისას უკეთებდნენ, რათა მილიდან კვამლი და ჭვარტლი უკან არ წამოსულიყო.

გაკოჭილი ყარაულისთვის ჯიბიდან ნაჭრის პარკში საგულდაგულოდ გაკრული ხმელა თუთუნი ამოეცალათ და ხელს გაეყოლებინათ. რაც შეეხება ხაზინას, ის კარგა ხვაიანი აღმოჩნდა, რამაც ხელი შეუწყო პოსტრევოლუციური მოვლენების სწრაფად განვითარებას.

„სირიუსიდან“ ჩამოტვირთული იარაღიდან წილი დათა მაყაშვილსაც ერგო. გახარებულმა შეათამაშა ხელში ხელყუმბარები, რამდენიმე რევოლვერი და საბრძოლო თოფები, რომელთაც ისეთი გალაქული კონდახები ჰქონდათ, თვალს ჭრიდა მნახველს. იარაღებს, თავის პატრონტაშ-ქამრებიანად დამდამობით ზიდავდა სახლში. სახლის უკან მიწაში საგანგებოდ გაშადებულ „სარკოფაგ-სამაღავში“ ფლაავდა. მას ზემოდან ჯვრიანი ქვა ედგა, ვითომდაც გარდაცვლილი პაპისადმი ხსოვნის საპატივისცემოდ. არადა პაპაც სახეზე ჰყავდა და პაპის მამაც. ოჯახის წევრები საქმის კურსში იყვნენ და ხელსაც უწყობდნენ მის ხრიკიანობას. თუმცა, თავდაპირველად დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ, სჯიდნენ სხვადასხვანაირად, მაგრამ როცა ვერას გახდნენ, იძულებულნი შეიქმნენ

მხარს თუ არ აუბამდნენ, არც მისი დასჯით შეეწუსებინათ ოჯახის თბილი და უზომოდ მოსიყვარულე წევრი.

რევოლუციური სურნელი დღითიდღე მძაფრდებოდა საქართველოს დიდ ქალაქებში. მათი მოსახლეობა ყოველდღიურ სამსხვერპლოს იღებდა ძარცვა-ყაჩაღობის გამო, გაბატონებული ჩაგვრისა და ძალმომრეობის ფონზე. რევოლუციური აღმაველობა „მაყვირალთა ჯგუფებით“ დაიწყო. „მაყვირალნი“ ახალგაზრდა ფედერალისტები იყვნენ, რომელთა მიზანი ხალხში პანიკის შეტანა, იდეოლოგიური ანარქიზმის დათესვა და ქაოსის მომკა იყო.

ქაოსს აყოლილი, პანიკაში მყოფი მოსახლეობა კი ქუჩაში გამოვიდოდა თუ არა, სწორედ მაშინვე უნდა მომხდარიყო ცარიზმის არმიასთან შესატაკებელი მანევრები. რევოლუციური იდეოლოგია გულისხმობდა ქუჩაში გამოსული პანიკას აყოლილი მოსახლეობისა და ცარიზმის არმიის ერთმანეთზე დატაკებას. ასეთ დროს რევოლუციონერებიც ჩაებმებოდნენ აქტიურ ბრძოლაში და მოლოდინში მყოფნი გამარჯვებას იმედოვნებდნენ.

რევოლუციური პანიკა ყველა ქალაქში ერთიდაიმავე დროს უნდა დაწყებულიყო. რევოლუციონერები დიდად შემართებითა და იდეალისტრად განწყობილნი ელოდნენ შესაფერის დროის მომენტს.

დათქმულმა დრომ მოაწია გაზაფხულის მიწურულს, დილაუთენიაზე „მაყვირალთა გუნდი“ მცხეთას შეიჭრა, ქუჩაში საბაასოდ შეგროვილ რამდენიმე ქალს ყვირილით ჩაუარეს და თავის გადასარჩენად თავდაცვისაკენ მოუწოდეს:—მოდიან, თავს უშველეთ, ხალხნო, არავის ინდობენ... გაიქცით, სახლებში ნუ დარჩებით!

ქალებმა ისეთი წიოკი ატყეს, მთელი ქალაქის მაცხოვრებლები გარეთ გამოცვივდნენ. ბოღჩებაკიდებულნი ვინ საით გარბოდა:

—რა მოხდა, რა, ხალხო?—გარეთ გამოიჭრა პანიკაშეყრილ ხალხში ოთხი შვილის მამა, მცხეთის გვარიანად ძირძველი მაცხოვრებელი, რომელიც კარგი, მშრომელი და სამართლიანი კაცის ავტორიტეტით გახლდათ ცნობილი.

—თავს უშველეთ, ნოე ბატონო, თავს, ცარის არმია დაგვესხა თავს, ხალხი გამორბოდა გვერდითა სოფლიდან!— გამოეპასუხა ბოღჩებშეკრული მამაკაცი, რომელმაც საპასუხოდ შეაჩერა ელვის სიჩქარით მორბენალი მუხლი, მატარებელზე გავრბივარ ნოე ბატონო!

—მატარებლით საით უნდა გაიქცე, საით?—დაადევნა სიტყვა ქარივით მქროლავ მგლისმუხლას. პასუხი კი ძალზე შორიდან გააგონა, მამაკაცის გამოსახულება ნელ-ნელა ბუზისოდენადაც დააპატარავა მანძილის სიშორემ.

—სადაც თვალი მიჭრის, იქ!—

სახლში შევარდნილმა ნოემ ცოლს ბოღჩების შეკვრა უბრძანა, მძინერე შვილებს დაერია, გააღვიძა და გარეთ გამოყარა. უფროსი ქალიშვილი—ნაზი თოთხმეტი წლისა გახლდათ. თვალადი, ტანადი, მტრისთვისაც კი საამური შესახედაობის იყო. მისი მომდევნო თერთმეტი წლის ვაჟიშვილი-ლეონი, გარეგნულად მამის ასლი, ცელქი და მოუსვენარი გახლდათ. მისი მომდევნო ხუთი წლის კახაბერი და სულ პატარა სიდონია, ფეხზე გაუვლელი, ჯერ წლისაც არ შესრულებულიყო.

ცოლმა ბოღჩები ქმარს გადასცა, თვითონ კი პატარა სიდონია აიტატა ხელში, შვილებს სისწრაფისკენ მოუხმო და ოჯახის თავკაცს უკან, ფეხდაფეხ მიჰყვა. რკინიგზის სადგურისკენ გაქცეულებს გზადაგზა ააღებულები კვამლი, სადღაც შორიდან ქარს მოტანილი წვილ-კივილის ხმები უფრო მეტად უქმნიდნენ პანიკის საფუძველს.

სიჩქარით არაქათგამოცლილები მიიწვედნენ წინ. ოჯახის თავკაცმა აჯობა ყველას, მატარებლის დაძვრამდე მიაღწია ნაუცბათევად მიზანდასახულ ადგილს. ღიანდაგებზე შემდგარი აკივლებული მატარებელი გასასვლელად მომზადებულიყო, თუმცა ნოე ცოლ-შვილის გარეშე ასვლას არ აპირებდა. მათ ხელის ქნევით აჩქარებდა. უფროსმა შვილმა, ნაზიმ პირველმა მიირბინა მამასთან. ამ უკანასკნელმა ხელის მიშველიებით უკვე ნელა დაძვრული მატარებლის კიბეზე შეახტუნა, მატარებელმა დაძვრის ხმა კედევ უფრო მჭექარედ დაიხუვლა და ჩვეული სიჩქარით აიღო გეზი, დაიძრა. ბაქანზე დარჩენილ მამასთან მეორე შვილმა-ლეონმა მოიირბინა. ხუთი წლის მტირალი კახაბერი ჩვილით ხელატატებულ დედას კაბის კალთაზე ჩაბღუჯებული ადგილიდან აღარ იცვლიდა ფეხს. დაღლილობით შეღონებული ჯიუტად მოსთქვამდა, ერთმანეთში არეოდა ცრემლი და წყვინტლი, აჩქარებული ქოშინობდა.

ჩვილატატებულმა მაკრინემ ცალი ხელი ჩაავლო კახაბერს, მიხვდა ვერ მიუსწრებდა უკვე დაძვრულ მატარებელს, ქმარს უძახდა, ანიშნებდა, რომ არ დალოდებოდა, ხელი მოეკიდა ლეონისათვის და მატარებლის ღია კარში მდგომ ქალიშვილს აჰყოლოდა, მაგრამ ნოეს ეს მინიშნებები ხმაურში არ ესმოდა, ან შეიძლება ხვდებოდა კიდევ ცოლის, გულისთქმას. ის ხომ უსიტყვო მონამორჩილი იყო საკუთარი ოჯახის, ცოლის რომლის თვალეში ჩახედვით ხვდებოდა მის სიხარულსა თუ წუხილს, გადაღლასა თუ ოჯახის უღელის სიმძიმეს. ნოე გადამკვდარი მამა და ქმარი იყო. ის ვერ შეძლებდა მოსიყვარულე ცოლისა და ორი შვილის მიტოვებას მტრისათვის უამს, არადა უკვე დაძვრულ მატარებელს მისი თოთხმეტი წლის ქალიშვილი-ნაზი მიჰყავდა.

ნოემ, რომელმაც ტრანსპორტში ასვლის იმედი გადაწურა, მთელი ძალით უყვირა გაქანებული მატარებლის ღია კარში მდგარ ქალიშვილს, რომელიც შეწუხებული სახით უმზედა ბაქანზე მდგარ, უღონოდ მკლავებჩამოყრილ მამას, რომელსაც ზურვით ნათრევი ბოღჩები ძირს, აქეთ-იქით მიმოფანტა.

აბნეული ნოე წამიერად გონს მოეგო. ქალიშვილს გაქანებული მატარებლიდან გადმოსტომას ანიშნებდა, უყვიროდა, ხელებს უქნევდა და

ჩამოხტომის მანერას იმეორებდა მთელი ტანით. ქალიშვილი მამისგან სიშორის შიშმა აიტანა, წამიერად გაივლო გულში რომ არ გადამხტარიყო და მატარებლს შორს, ძალიან შორს წაეყვანა, მაშინ, როგორ გაძლებდა თავისი მშობლების, მოსიყვარულე ძმებისა და პატარა სიდონიას გარეშე?

ხელებმაქნევარი მამა უკან დარჩა, მერე თვალსაც მიეფარა. მამა დაუკარგეო, გაიფიქრა და ამ ტრაგიკულმა აზრმა გაბედულება შემატა. მთელი ძალა მოიკრიბა, ერთი ღრმად ჩაისუნთქა. თუმცა გაბედულებას ისევ შიშმა აჯობა, გადმოხტომა ვერ გაბედა. მატარებლის სიჩქარით უკანმოტოვილმა პეიზაჟებმა, რომელიც ერთ, ბუნდოვან ზოლად გაწოლილიყო, თვალები აუჭრელა, ყურებში მხოლოდ შხუილის ხმა ჩაესმოდა. ასე არაფერი გამოვაო, გაიფიქრა შეშინებულმა და იმდენად ძლიერად გასჭვავა მშობლიური კერის სიყვარულმა, რომ დაუფიქრებლად დახუჭა თვალები და მატარებლის ღია კარიდან გადმოხტომის ნაცვლად, მძიმედ გადმოგორდა. ეს წამის მეასედში მოახერხა. იგრძნო, თუ, როგორ მოწყვეტით დაენარცხა ცივ დედამიწას, როგორ გაუხურდა გვერდი მიწასთან შეხებისას, თითქოს ცეცხლი შეუნთესო დაცემის ალაგას. ფეხებზე სიმძიმე იგრძნო, მერე სიცივე და საშინელი ტკივილი. მოჩუქჩუქე მატარებლს ბოლო არ უჩანდა, ერთი კი მოახერხა გვერდიდან სიმძიმეშეყოლილი ადგილისკენ თვალის გაპარება, მუხლსქვევით გადაჭრილი ფეხებიდან სისხლი თქრიალით ასხამდა გაქცეული მატარებლის ჟანგისფერი ლითონის ბორბლებსა და ლიანდაგს. აღისფერი სისხლის გუბურის ხილვამ კი მომენტალურად მოუცვლა გონი.

აქოშინებული მირბოდა ნოე შვილის სიყვარულით გულანთებული, მას არ დაუნახავს მისი გადმოხტომა, თუმცა გულით გრძნობდა რომ ვერ გაბედავა გაჰყოლოდა მარტო რკინის ფუტლიარს, რომელიც უცხო-უცხო ხალხით იყო გადაჭვდილი. თითო ნაბიჯი საუკუნესავით ეწელებოდა, შორიდან შეამჩნია ძირს დაგდებული ადამიანის გამოსახულება, ჩასაცმელით იცნო შვილის სხეული. ლიანდაგებსა და მის გარდიგარდმო აღისფრად აელვარებულმა სისხლის გუბემ შეაკრთო ნოე, მაგრამ როდესაც გონდაკარგული ქალიშვილის სხეულს დააკვირდა, ხელები თავში წაიშინა. მუხლებთან გადაესერა ფეხები უგრძნობ მატარებელს. დაბნეულმა მამამ უშინაარსო ყვირილი მორთო. მშველელს ეძებდა თვალებით, არემარეზე კი კაციშვილი არ ჭაჭანებდა.

ბაქანზე სამ შვილთან დარჩენილ დედას დედობრივმა ინტუიციამ ცხოველური ღრიალი დააწყებინა. მწარე შეგრძნება მოჰგვარა ხასიათში და გულის კოვზი დაუთუთქა. ქალიშვილის ბედისწერას მთელი სისრულით გაუცნობიერებლად აღიქვამდა, გაქცევას უქადდა შინაგანი ძალა, მაგრამ სამ შვილს ვერ თმობდა ბაქანზე უმეთვალყურეოდ დასატოვებლად. კვილი მორთო, გამვლელ-გამომვლელთა ყურადღება მიიქცია, ხელით ანიშნებდა მიმავალ ლიანდაგს მიღმა საფრთხის არსებობის შესახებ. რამდენიმე მამაკაცს სახეზე ენაცნობა კიდევ ქალი, მის მიერ მითითებული ადგილისკენ სირბილით დაიძრნენ საშველად.

ადგილზე მისულებს შემზარავი სურათი დაუხვდათ, თავპირს იბრღვნიდა გულამოსკენით მტირალი მამა ფეხებგადაჭრილი, უგონოდ მყოფი ახლადწამოჩიტი ქალიშვილის წინაშე. ქონორი გაჩეჩვოდა ნოეს, აქამდე შავად მობზინვარე, მომენტალურად გაჭადარავებოდა, შვილის საცოდაობით სახე შეშლოდა, ქვაც კი იწვოდა მამა-შვილის საოდავობით.

საშველად მისულთაგან ერთ-ერთმა შავი, ჩალილული ლაბადა გაიძრო და ძირს დააფინა, ზედ დაასვენეს ქალიშვილის ჯერ კიდევ მოთბო სხეული, აქეთ-იქიდან ასწიეს მამაკაცებმა და ახლომდებარე სამხედრო მედპუნქტისკენ გააქანეს.

მცხეთა პანიკის ქარცეცხლში გახვეულიყო. ქუჩებში ტალღა-ტალღა ხალხის ნაკადი გაურკვეველი მიმართულებით ქოტურად მოძრაობდა. ანარქია ტფილისის ქუჩებსაც უმაღლ დაეცყო. დედაქალაქში რევოლუციური მოვლენები მცხეთაში განვითარებული სიტუაციის პარალელურად მიმდინარეობდა.

მამალს ახალი ნაყივლი ჰქონდა, როდესაც ტყვია-წამლით შეიარაღებული დათა მაცაშვილი რეზერვუარნიას ქუჩისკენ მიისწრაფოდა. საბრძოლო მზადყოფნაში მყოფი ვაჟი დაურიდებლად გადავიდა ჭიშკარს. ეზოდან ნათლად მოჩანდა ბაღის შუაგულში მუხლზე მჯდომარე ანასტასია, რომელსაც ტყემლის ფოთლებახასხასებული ტოტი ისე გადაფარვოდა თავზე, თითქოს, სიმწვანით მის შარავანდედს მოსავდა. ახალგაღვიძებულ სახეზე მშვიდი ღიმილი დაფენვოდა, თვალებში ნათელი სხივები გამოკრთოდნენ, მისი შინაგანი სამყარო ლოცვისთვის მომზადებოდა. დათა მსწრაფლ მიეახლა ანასტასიას, თავი დაუკრა და მის წინ, პირისპირ ჩაემუხლა:

–ნასტია, როგორ ხარ?–

ანასტასიამ დედური სითბოთი გაუღიმა ყმაწვილს და თავი, კარგად ყოფნის ნიშნად, ნაზად დაუკრა:

–მითხარი, ვინმე ხომ არ გაბრაზებს?.. მითხარი და თავსაც წავაცლი!

ქალიშვილმა კოპები შეუკრა ყმაწვილს:

–დათა, განა ეს შენი სანიმუშო საქციელი იქნება? აბა, მითხარი, მიტვეებაზე საუკეთესო საჩუქარი საკუთარი სინდისისათვის რა უნდა იყოს? იცი, რას ნიშნავს კოპწია სინდისდამშვიდებულობა?

–ნასტია, მე... სოფლად მივალ, ცოტა ხნით, გთხოვ, ანნას მიმიხედე, შენ გაბარებ მის თავს!– დათამ შეაწყვეტინა საუბარი მუხლებმოდრეკილ მშვენებას, რომლის ხმაში მუდარა გამოსჭვიოდა.

–ვიცი მე, როგორ სოფელშიც მიდიხარ, ვხვდები... მაგ „სოფლებში“ სიარულმა ჩემს კირილეს ნერვული სისტემა დაუსუსტა. ისიც შენსავით სულ ბრძოლიდან-ბრძოლაში გადადიოდა, ბოლოს თურქეთის საზღვარზე

აგზავნიდნენ, ბრძანების შესასრულებლად თავს არ ზოგავდა. რა მოიგო, თუ არ წააგო. განა სისხლი, თუნდაც მტრისა იყოს, დასადვრელად სასიამოვნოა? მას არ ახლავს შინაგანი განცდებით გამოწვეული სიმძიმე, რომელიც მთელი ცხოვრება გასდევს?.. სინდისის მჭამელად ევლინება ძილში, სიზმრად არ ასვენებს, მარტოდ დარჩენილს მშფოთვარეს ამყოფებს.

– ხანდახან სიმარტოვეც კარგია.

– მხოლოდ ძლიერთათვის, მონანიებისათვის დაფიქრების საშუალების მისაცემად, მაგრამ სუსტნი სიმარტოვეს განუბრძან, იმ შიშის გამო, რომელიც წარსულში ჩადენილმა ცოდვამ შვა. რაც უფრო გადის დრო, მით უფრო უმძაფრდება ადამიანს შეუშუსუბუქებელი ცოდვათა სიმძიმე...

– აბა, რა ვქნა, არ წავიდე?

– ვერაფერს გეტყვი, სამშობლოს სიყვარულის აკრძალვის უფლება არავის აქვს. ისე უნდა გიყვარდეს, როგორც შენ გგონია მართებულად.

– ხო, მე რომ სამშობლოსთვის ვიბრძოლებ, ჩემს სამშობლოში ხალხი და მათი კეთილდღეობაც ხომ შედის? ჩემი სამშობლო ხომ ესაა – თქვა და დასტურად თვალი მიმოავლო გარშემო არეალს – ამაში შენც, ნასტია, კირილეს ხსოვნასთან ერთად, შედიხარ... ანნაც შედის, მისი კეთილდღეობაც, თქვენი პატარა ვერაც და დედაჩემიცა.

ნასტასიას სახეზე თბილი ღიმილი დაეფინა, თვალებში უმანკოდ ბრწყინავი ცრემლები აუთამაშდნენ:

– გახსოვდეს, სამშობლოს სიყვარული მხოლოდ რაინდთა ხვედრია, სამშობლოს არ ირჩევენ, ის თვითონ გირჩევს შენ. შენი ერთგულებიდან და ადამიანობიდან გამომდინარე, როგორც მოექცევი მას, როგორც დაიცავ, ეს შენივე თვისებებზეა დამოკიდებული, გმირულსა ან მხდალზე. დათა, ვილოცებ შენს გამო, ნუ დარდობ, მშვიდობით დაგვიბრუნდები, რაინდო!

მიწაზე ჩაცუცქული დათა მოკრძალებულად წამოიძარა. სახეზე ამაყი ღიმილი დასთამაშებდა, რაც ანასტიას სიტყვებით იყო გამიწვეული: – მე ანნას, ვნახავ, იმასაც ვეტყვი სოფელში რომ მივდივარ, ვაითუ დიდი ხნით მომიწიოს გაუჩინარება და...

ანასტასიამ სითბოთი სამსე თვალები გააყოლა დათას ზურგს, რომელმაც სატრფოს გასადვილებლად ხის კარზე თამამად დააკაკუნა.

ანასტასიამ ხმა მიაშველა, ანნას ხმამაღლა შესძახა. სახლიდან საძინებლის კარის ჭრიალი მოისმა, ნაბიჯების ხმაც თანდათანობით ახლოვდებოდა. კარი ხალათმოცმულმა ანნამ გააღო. ზღურბლზე შემდგარ დათას შეჰღიმა და ნასტიასაკენ გაიხედა:

– მეძახდი დაიკო? დილა მშვიდობის!

–ჰო, ჩემს გამო გეძახდა, ანნა, ცოტა ხნით სოფლად მივემგზავრები, ნათესავთან. შესაძლოა ძალიან მალეც დავბრუნდე.

–როდის მალე?

–ხვალ დილასვე, ანდაც რამდენიმე დღე დაგყოვნდე, წინდაწინ ხომ არ ვიცი. –აიწურა მხრები დათამ, რომელსაც სატრფოს ნახვის გამო ხასიათში ღმობიერება გაღვივებოდა: –არ გამაცილებ?... აი ჭიშკრამდე მაინც...

ანნამ კიდევ უფრო წრფელად გაუღიმა, სახლის ზღურბლს გადასულმა კარი ფაქიზი მოძრაობით მიიხურა ზურგს უკან.

ხალათის საყელოს კიდები ორივე ხელით ახლოს, გულისპირთან მიიწია, კდემამოსილი კრძალვით მიჰყვებოდა გვერდდამშვენებულ ყმაწვილს.

ეზოდან ქუჩაში გადავიდნენ. სახლს გასცდნენ. მერე მეზობლის სახლიც მოიტოვეს უკან: –ასე ჩაცმულმა ქუჩის ბოლომდე გინდა გაგაცილო?–მორიდებით ჰკითხა ანნამ.

დათამ წინიდან მოუჭრა გზა ქალიშვილს, ძალიან ახლოს მივიდა მასთან. ყმაწვილის სუნთქვა სახეზე ელამუნებოდა ანნას. ვაჟმა სახე სახესთან მიუტანა სატრფოს, ბაგეზე ნახად ეამბორა. დაურიდებლად, მოულოდნელად წინასწარი შემზადებების გარეშე ამბორმა ანნა დააბნია, თუმცა ნასიამოვნებელი დარჩა პირველი კოცნით. გული აუჩქროლა ვაჟის ტუნებმა, რომელთა მიკარებისას სიძლიერესთან თანაზიარება იგრძნო კაფანდარა ქალიშვილის გულმა. სიყვარულით სამსე თვალებით შეჰხაროდა ამბორის დასრულების შემდეგ.

შორიახლოდან გაურკვეველი შეძახილის ხმამ გამოაფხიზლა სიყვარულით აღვსილი წყვილი. ჭიშკრიდან მარიას გამოყოფილი თავი დალანდეს. ანნა უმნიშვნელოდაც კი არ შეშინებულა, იმის გაფიქრებისას რომ დედინაცვალმა მისი და დათას ამბორი იხილა. მეტიც უფრო დიდი შემართებით წარსდგა მის წინაშე სახლში შესული სატრფოს გაცილების შემდეგ. თითქოს, ბრძოლით სულშემართებული ყმაწვილკაცის გამბედაობა და ხასიათობრივი შეუპოვრობა ქალწულს ამბორით გადასდებოდა ინფექციასავით. ანნა ნელა და ღრმად სუნთქავდა, არასდროს უგრძნია ისეთი თავდაჯერებულობა, როგორიც ახლა.

დედინაცვალი დუმდა. დუმილით გამოხატავდა თავის ზიზღისმიერ დამოკიდებულებას საკუთარი თვალთ ნანახის გამო. ანნას კი გული ისე ჰქონდა სიყვარულით გაპილპილებული, ისეთი ემოციებით სამსე შთაბეჭდილება გამოჰყოლოდა პირველი ამბორის შემდეგ, რომ ზედმეტად არაფერ მიწიერს აღარ შეეძლო მისი ნერვის ატოკება და მოფუტკნა. დღემ უხმაუროდ ჩაიარა ნიკიშეგების სახლში.

თუმცა ტფილისი ისევ არეულობის ქარცეცხლში გაეხვია. რევოლუციონერებმა დიდად ვერაფერი საგმირო ვერ ჩაიდინეს ქალაქის

არეულობისას. რეგიონებმა უფრო მეტად განიცადეს ხელოვნური პანიკის დათესვა. შედეგიც სავალალო იყო ზოგიერთი ოჯახისთვის.

მცხეთელი ნოეს ქალიშვილი-ნაზი, ცოცხალი გადარჩა, თუმცა ხეიბარს უნდა ეცქირა წინდარჩენილი ცხოვრებისთვის. დამოუკიდებელს ვერ უნდა გაეგლო და მისთვის ის სიხარული, რაც მანამდე არსებობდა, იმ ერთ ხელოვნურად აღმოცენებული პანიკის დღეს სავალალოდ მოიმკა ქვეყნისა და ერის წინაშე სრულიად უდანაშაულო, ალაღმართლობისა და შრომა-გარჯის მოყვარულმა ნოემ.

ტფილისში რევოლუციურმა მცდელობამ არეულობა გამოიწვია, თუმცა არა ისეთი, როგორსაც ელოდნენ. ხალხის მასებზე პანიკამ საჭიროებისამებ მიზანმიმართულად ვერ იმუშავა. ისინი უბრალოდ სახლებში შეიკეტნენ, ქუჩები სრულიად გამონთავისუფლდნენ და მისი კონტროლი უფრო იოლად გახლდათ შესაძლებელი, მაგრამ აქა-იქ დაპირისპირების პარტიზანულ შემთხვევებსაც ჰქონდა ადგილი. ერთ-ერთი მცირე შეტაკებისას პოლიცმაისტერ-ნაომის სიცოცხლე ემსხვერპლა. ამ ამბის გამო უფრო მეტად გაძლიერდა ქუჩებში კონტროლიც, სახლებში დაურიდებელად პოლიციის შევარდნა და ჩხრეკისას რაიმე საეჭვოს აღმოჩენის შემთხვევაში, თუნდაც იარაღის, უანგმოკიდებული ხანჯლის, დიდი დანის ქონისას, ოჯახის თავკაცს საწამებლად მეტეხის ციხე არ ასცდებოდა.

კიდევ ერთმა რევოლუციურმა მცდელობამ ჩაიარა უტოპიურად, არაფრის მომცემად. არადა, დაშნაკებთან ერთად დიდ იმედებს ამყარებდნენ იარაღითა და ფულით მომარაგებული ლიდერები, რომელთაგანაც ზოგი დააკავეს, დახვრიტეს და ზოგიც უმისამართოდ გადაიხვეწა სტამბოლსა თუ პარიზში.

IV

ანასტასიასთან მომსვლელ-სტუმართა გუნდი არ წყდებოდა. ზოგს ეცოდებოდა და საკვებით ამარაგებდა, ზოგნიც მასში ზებუნებრივ მფარველობას ხედავდნენ და მადლის მისაღებად სტუმრობდნენ. ზოგს ხილი მიჰქონდა, ზოგსაც ყვავილები.

გიმნაზიის მეგობრებმა მოინახულეს. ერთად გაიხსენეს ბავშვობის დროინდელი თავს გადახდენილი ამბები. დალილას გულისშემაწუხებლად შავი ძაძვით შეეხვია თავი, რომლის ფოჩები თვალებს უფარავდა:

—უკვე დავქვრივდი, ქმარი მომიკლეს, ქუჩაში გადასროლ-გადმოსროლისას სრულიად უდანაშაულოს ბრმა ტყვია მოხვდა გულში. ჩემს ხელში დალია სული... ერთი ვაჟიშვილი დამრჩა, ჯერ სულ პატარაა...

ნასტია მთელი გულით შეიგრძნობდა მის მწუხარებას, ითავისებდა ბავშვობის ამხანაგის რთულ ყოფიერებას, თავზე ნუგეშის გამო ხელით თბილად ეაღერებოდა:— ახლა რაღა ვქნა, არ ვიცი, რა მეშველება,

ნასტიკა, როგორ დავძლიო ეს მწუხარება? მეტს ვეღარ ვუძლებ, აღარაფერი შემიძლია ტირილის გარდა—კვნესით მოთქვამდა ნორჩი ქალი, რომელიც ანასტასიას გვერდით ჩამოსკუპებულიყო კოჭჯჯუჯა ტაბურეტზე:

—ილოცე, ძვირფასო, ილოცე და მოგეშვება. როცა მწუხარება შემოგიტყვს, ლოცვით იწამლე. ინკურნება ყოველივე. გარდაცვლილსაც ნათელი ადგება შენი ლოცვის ძალით, შენც კეთილგეყოფა... არ იფიქრო, რომ სიკვდილით ცხოვრება მთავრდება, შეიძლება მიწიერი თვალით ხილვა დაგიმთავრდეს, მაგრამ გჯეროდეს, სიკვდილით ცხოვრება არასდროს მთავრდება. არც სიცოცხლე მთავრდება სიკვდილით, არც სიყვარული.

—ეგ როგორ?—ადმოთქვა დალილას გვარდში მჯდომმა ეკატერინამ და თვალები უფრო მეტად გაუფართოვდა ინტერესით.

—აი, ასე, ჩვენ გვეგონია, რომ რასაც ვერ ვხედავთ არ არსებობს. ხომ ასეა, მაგრამ იმაზე თუ გვიფიქრია რომ ის რისი დანახვაც გვინდა, საჭირო არაა ყველა ხედავდეს. დაუნახავად დაჯერება და შეგრძნება იმ ყოველივე არსებულისა, რაც სხვისთვის მიუწვდომელია, მხოლოდ ძლიერთა ხვედრია. ასეა, სულ თავიან და ასე იქნება სულ ბოლომდე. თუ ირწმუნებ მთელი შენი არსით, შეიგრძნობ ისე ძლიერ, რომ დანახვასაც შეგაძლებინებს ღვთიური კავშირები. ყველაფერს ძლიერი უნდა შეხვდე, ყველა განსაცდელს, ყველა გასაჭირს. დღევანდელი უშაქრობა რა საწუწუნოა, როცა ხვალ შაქრის ქონის საშუალებაც მოგეცემა და გასათბობად ნავთისაც. ამაზე არ უნდა იდარდოს ძლიერმა, წვრილმენებზე მხოლოდ სუსტები ფიქრობენ.

ნასტიამ დროებით სიჩუმე არჩია საუბარს, პირჯვარი გადაიწერა და სულგანაბულმა შორიდან ჭიშკარს მიაყურადა. ხალხი ირეოდა ქუჩაში, რას აღარ ამბობდნენ, ქალაქურ ამბებს ჰყვებოდნენ, რევოლუციურ სცენებს ახსენებდნენ და მთელ ემოციებს ღვრიდნენ მომხდარი რევოლუციის და რევოლუციონერების შესახებ. ნასტია კი იყო მუხლებზე დაყუდებული, საკუთარ სამყაროში მკაცრად გამოკეტილი, თავზე ტყემლის ტოტი გადაწვეროდა, მადლა ახედვისას პირს ღიმილი მოადგებოდა-ხოლმე, ხანდახან ხელით იცოდა ტყემლის ტოტის ალერსი, მადლიერი ღიმილით ეჩურჩულებოდა მის ქერა თმებთან მოთამაშე ფოთლებს.

ეზოში ტორტმანით დაიარებოდა ორი ბატი, რომელნიც კირილესგან საჩუქრად მიიღო. ის დღეც ნათლად ახსოვს შეყვარებული ჭაბუკის სიყვარულით სამსე სახე, რომლიდან წამოსული სიტბო ნასტიას გულში უკვდავების წამლად იღვენტებოდა, მის გარეშე სამყარო ცარიელდებოდა. გამუდმებით მასთან ერთად იყო. ფიზიკური სიახლოვე თუ არ აკავშირებდა, მაინც მასთან იყო, ფიქრებსა თუ ოცნებებში. სარეცხის რეცხვისას მასზე ეფიქრებოდა, სადილის მზადებისას ასევე მასზე...

—გაიგე, რა თქვა მოძღვარმა, სიყვარული რა არისო?.. ის თუ გაიგე, რომ მის გარეშე სიცოცხლე ჭირსო?—თვალწინ წარმოუგა კირილეს ნათელი სახიდან აღმოცენებული მრავლისმეტყველი ღიმილი. კითხვები, რომლებიც ტაძარში ყოფნის დროს მოძღვრის ქადაგების შემდეგ ეკითხებოდა სატრფოს.

არაერთხელ უგრძნია მისი ჯარისკაცული სურნელი, რომელიც ქალიშვილის მესხიერებას ესოდენ სათუთად შემოენახა ვაჟის ხსოვნის საპატივსაცემოდ.

შეყვარებული ვაჟის მოგონება გულს სიხარულით უვსებდა, თუმცა როდესაც მისი თვითმკვლელობის შესახებ მცირე დეტალს იხსენებდა, გულში უსაშველო ტკივილის შეგრძნება ფეთქდებოდა, რომელიც ლოცვისას თუ ჩაცხრებოდა და მიხუმათდებოდა. იმ დღიდან, რაც ბაღის ამ ადგილას დაიდო სამყოფელი უამრავმა ქარცეცხლმა გადაიქროლა მის თავზე. უამრავმა ამინდმა გადაიარა მის თხელ მხრებზე, მაინც მედგარი აღმოჩნდა ქალიშვილი.

ანნას სიყვარულსაც გულით განიცდიდა, დასაც ხომ გრძნობები ისეთი ვაჟის მიმართ გასჩენოდა, რომელიც სიამაყითა და ცხოვრების სტილით მის კირილეს დამგვანებოდა. ალბათ, დებს ასეთი გემოვნება თუ გვაქვს დაბადებიდან თანდაყოლილ, გაიფიქრებდა ხოლმე და ანნას სიყვარულს გულში უწყებდა დალოცვას.

დათა მაყაშვილი ბოლომდე გულწრფელი იყო ანნა ნიკიშევას გრძნობების მიმართ. ეგ იყო მხოლოდ, ასაკით ჯერ პატარები იყვნენ:— ოჯახის შექმნისთვის ჯერ შეუფერებელი ხარ! – ვაჟს დედის დარიგება ყურში საყურესავით ჰქონდა გაყრილი: –პატარა ხანს ცოტა მოიცადე, როცა კარგად დავაუკაცდები მერე დაიწერე ჯვარი ანნასთან.

დედის ხათრს გვერდს ვერ აუვლიდა, მაგრამ გულს საგულეში ვერ იტევდა, როდესაც ანნას სიახლოვეს ტრიალებდა. იძინებდა და მისი გაბრწყინებული თვალები წაბლისფერთმებთან ფერშეხამებული სიზმრად ევლინებოდა. ვერ წარმოედგინა ანნას გარეშე თავისი მომავალი:

–იცე, რუსი კი ხარ, მაგრამ დედაჩემს გავხარ, დედა მთიულის ქალია. ეგეთი ფერის თვალები და თმები აქვს, იმასაც შენნაირი გამოხედვა და მზრუნველი თვალის შევლება სჩვევია, როდესაც სადმე წასლას დავაპირებ.—გამოუტყდა გულისნაფიქრში შეყვარებულ გოგონას, რომელმაც ვაჟის ნათქვამი დიდ ქათინაურად მიიჩნია.

*

არშემდგარი წარმატებული რევოლუციის შემდგომ დაღონებული მოუყვებოდა სატრფოსკენ მიმავალ გზას. რეზერვუარნაიას ქუჩის გზისპირს ფეხზე ტანად დიდრონი, მაგრამ სიგამხდრით გვერდებამოლასტული ძაღლი გაეხახუნა. ვაჟი თავდაპირველად შეერთა:—გადი ძაღლო იქით!—დაუყვირა, მაგრამ წინ წასულმა ძაღლმა ერთი თვალის შევლებით ნაღვლიანად ამოხედა უკან მოტოვილ დათას და ენაგადმოგდებულმა ქაქანი იწყო.

ბიჭს ენაცნობა ძაღლის გამოხედვა, მაგრამ, როდესაც ძაღლი ორასი მეტრის მოშორებით დაცილდა, სწორედ მაშინ გაიხსენა ძაღლის ნაცნობობა. ეს ვაჰარ გარგაროვიჩის ბასარა იყო, რომელიც განთქმული იყო სიავითა და სისხლისმსმელ ნაგაზად იწოდებოდა მთელ ნახალოვკაში.

დათას დაღონებული სახე გაუნათდა, სიხარულის ემოციებმა სრულებით გამოუცოცხლა მოწყენილობაში ჩამკვდარი გუნება-განწყობილება. უკან დაედევნა ბასარა-ბასარას ძახილით.

ძაღლმა შორიდანვე გაიგონა რა თავისი სახელი, მოტრიალდა და მთელი სიჩქარით შესაგებებლად გამოექანა ვაჟისკენ. ახლოს მისულმა კუდის ქიცინს სასიხარულო წკაპწკაპი არ დააკლო, ერთურთის ნახვა უხაროდათ ძაღლსაც და ვაჟსაც:

–ბასარა, როგორ ხარ ჯიგარო?–ედუდუნებოდა ნაგაზს დათა მაყაშვილი და ტანზე აბურძგნულ ბალანს ხელით უსწორებდა.–შენ არ წაგიყვანა იმან, მიგატოვა? რას იხამ, კაი კაცი ძაღლს არ მიატოვებს, და თუ მაინც მიტოვება შეძლო, მაშინ ყველას მისატოვებლად იოლად გაწირავს, კაცსაც, ქალსაც, დედასაც და ქვეყანასაც. ვახსოვს, იმ თავის მონა-აქსნაფებს რომ უბრძანა ჩემი ცემა-ტყეპა, იმათაც ერთგულების დასაასტურებლად სიტყვის დამთავრება არ აცდეს, მაშინვე უსიტყვოდ შეუსრულეს ყველაფერი. ასეა, ჯიბეში ორი კაპიკი თუ აუჩხრიალდა ზედმეტად კაცს, ყველა უთაგმოყვარეო ემონება და ეჩლუნგება, მაგრამ თუ ფეხი გადაუბრუნდა, იმ ზედმეტ ორ კაპიკს ცხვირიდან ძმრად ამოადენს, საფლავზე მისასვლელად ფიანდაზები რომ უშალო, არ წავა და თუ მაინც წავიდა, იმისთვის რომ მის ხსოვნას ის ზედმეტი ორი კაპიკი ერთი-ათასმაგად წამოაყვედროს. უტვინო ადამიანები მონად ტყუილად არდაუმონებია გამჩენს. აი, შენ კი სულ სხვა ხარ. სისხლის სასმელად მოგიგდეს ჩემი ნაცემი თავი, ახლაც ყურში მიწუის იმ შენი არაპატრონის ხმა; მშიერია, სისხლი სწყურიაო, გაიძახოდა. შენ კი ამლოკე სანუგეშოდ და ცუდისთვის ვერ გამიმეტე. ჭკვიანიც ხარ და შეგნებულიც. აბა, როგორ დაგივიწყო სიკეთე?.. ბასარა, ბასარა–ხელს გამაღებით უსვამდა თავზე, ტანზე. ძაღლიც სიამოვნებით გატრუნულიყო ძველი ნაცნობის მოალერსე ხელის ქვეშ.

–ბასარა, ხომ წამოხვალ ჩემთან, ჩემი მეგობარი ხომ იქნები? გპირდები საჭმელ-სასმელს არ მოგაკლებ, მე გამოვიდებ პირიდან ლუკმას და შენ მშიერს არ დაგტოვებ!–დათამ შარვლიდან ქამარი შეიხსნა. ბალთებიდან უხეშად გამოაძვრინა ქამრის საღტო. მერე ძაღლს ყელზე ფაქიზად შეუბნია და შემართებულად დიდრონი ნაბიჯებით სიხარულით გაეშურა სატრფოს სახლისკენ.

ჩვეულებისამებრ, მასპინძლის დაძახების გარეშე გადავიდა ეზოს. ჩამუხლული ანასტასიასკენ გასწია. მის წინ პატარა სკამებზე ჩამომდარი ორი მეგობარი დიდრონთვალებიანი ძაღლის დანახვისას შიშით ფეხზე წამოცვივდნენ და ორივემ უკან დაიხია. ნასტას გაუხარდა დათას ხილვა. გულთბილი ღიმილით მიესალმა:

– ჭკვიანური გამოხედვა აქვს, ერთგულიცა ჩანს, –თქვა ანასტასიამ ძაღლის ახლადშექმნილი პატრონის მისამართით.

–ხოოო, ეს დღეიდან ჩემი ძაღლია!–დაიკეცხნა დათა მაყაშვილმა.

–და დღევანდელ დღემდე ვისი იყო?

–ვისი და იმისი, აქედან რომ გაიქცა... სახელიც კი არ მინდა მისი ვახსენო!–მცირედხნიანი ყოყმანის შემდეგ ჩაიხურჩულა–ვაჰარ გარგაროვიჩის.

–ვისი?!–მოესმა დათას ზურგს უკნიდან სატრფოს ხმა.–იმის ძაღლს შენთან რა უნდა, იმის ძაღლი იმისია და შენ კარგს რას გარგებს?–ანნას ხმაში სიბრაზე შერეოდა, რომელსაც დათას ხილვით გამოწვეული სიხარული დაეთრგუნა.

–ანნა, ეს ძაღლი იმას გამოექცა, უფრო სწორედ ვაჰარმა მიატოვა. შენ არ იცი, რა ჭკვიანია, ჩხუბი რომ მომივიდა იმ დღეს... ამას ეძალებოდა ჩემზე საკბენლად, მაგრამ ამან, აი, ამ ძაღლმა მტყვან-მართალი კაცის გარჩევა იცის. ჩემთვის ერთიც კი არ დაუყეფავს, პირიქით, გვერდით მომისკუპდა და თანაგრძნობით ამლოკა. აი, ეგეთი ჭკვიანი და თვინიერია ჩემი ბასარა.

დათას არგუმენტმა ანნას ძაღლის მიმართ გული მოიღბო. კეთილად შეავლო თვალი კუდმოქიციანე, ენაგადმოგდებულ ნაგაზს. მერე სახლიდან კუტი პურის ნამტვრევები გამოუტანა და ძაღლს გაუმასპინძლდა. სულმოუთქმელად, ერთლუკმად სანსლავდა ჰაერში დაჭერილ პურის ნატეხებს მშიერი ბასარა:

–კეთილი ყოფილხარ, ალაღია შენზე ჩემი გამომცხვარი პური.– ნაზის ხმით ეალერსებოდა ძაღლს და თვალი დათა მაყაშვილისკენ ეჭირა.

ბრახუნით გაღებული ჭიშკრისკენ მექანიკურად მიიხედა ყველამ. სახლში დედინაცვალი-მარია დაბრუნებულიყო. თმაგაჭადარავებული, ხმელა ქალი სწრაფი ნაბიჯებით გადადიოდა სახლისკენ მიმავალ ეზოს ბილიკს, რა დროსაც დათას მოჰკრა თვალი. წუთით შეჩერდა, მზერა გაუმტერა, თითქოს, თვალს-თვალში უყრიდა, მერე დაკვირვებული მზერით ანნა შეათვალიერა და ხელით ანიშნა სახლში შეყოლა. ანნაც დაჰყაბულდა დედინაცვლის სურვილს:

–მაგ ვაუბატონს ხელი ჰკარი და აქედან გაუძახე!.. ანდაც ჩემთან დასალაპარაკებლად შემოუშვი!–ბრძანების ტონით გააჟღერა სურვილი მარიამ. ანნას ძალიან არ უნდოდა არც ერთისა და არც მეორის შესრულება, დაყვავებით შეეცადა დედინაცვლისთვის აზრის გადათქმას. დედას დაძახება შეწყვიტა იმ დღის შემდეგ, რაც ნასტიას შეყვარებულმა ყმაწვილმა, კირილემ თვითმკვლელობა ჩაიდინა მარიას ნაჩხუბარზე, მაგრამ ახლა მზად იყო დედა დაეძახა მისთვის, ოღონდაც ნუ მოისურვებდა საკუთარი პრინციპების ფონს გატანას.

–დედა, გთხოვ, ნუ მაიძულებ ამის გაკეთებას, გთხოვ–ყელზე კანი გამოუწია მუდარის ნიშნად.

–ანნა, თუ გამიჯიუტდები, მე თვითონ გავალ ეზოში და ადგილზე დაველაპარაკები, თუმც ეს ნასტიასთვის შესაძლოა რთული გადასატანი აღმოჩნდეს!

დედინაცვლის ნათქვამმა გული მოუსუსტა ანნას. ოღონდაც მის მუხლდაჩოქილ, ფაქიზი ბუნების დას ზედმეტად სანერვიულო არ შეხვედროდა და მზად იყო ყოველგვარი წინააღმდეგობის საკუთარ თავზე გადატანის. ანნა ეზოში უღონოდ მხრებჩამოყრილი გავიდა. დათას უხმო: –დედინაცვალი გიხმობს, გთხოვ ზედმეტი პოლემიკით ნუ ამიფორიქებ ჩემს დებს, ნასტინკას ახლა განსაკუთრებულად რთული პერიოდი აქვს.

–ნუ დელავ, მე ასეთად მიცნობ?! როდის იყო ქალს ვებრძოდი, გინდა სიტყვით და გინდაც საქმით?–ძალი იქვე ნაძვის ხის ტოტს გამოაბა და მორჩილი, თვინიერი ნაბიჯებით მიჰყვა წინმიმავალ სატრფოს.

–მოგესალმებით პატივცემულო ქალბატონო მარია, როგორ ბრძანდება თქვენი აღმატებული ჯანმრთელობა?–ძალზედ ჯენტლმენური მანერით, გულზე ხელმიდებულმა დაუკრა თავი და მოწითალო დივანი თვალთ მოიზომა ჩამოსაჯდომად.

დათას მისალმებით დედინაცვალი დაბნეული ჩანდა, ვერ მიმხვდარიყო დასცინოდა თუ სრულიად სერიოზულად ებაასებოდა დივანზე ფეხი-ფეხზე შემოდებული ყმაწვილკაცი:

–ქალბატონო მარია, კრძალვით გიხდით ბოდიშს, აქამდე რომ ვერ გაგეცანით, თუმც მე დაუსწრებლად გიცნობთ. თქვენ ჩემი ანნას გამზრდელი ბრძანდებით. სიძნელესთან იქნებოდა დაკავშირებული სამი პატარა გოგონას გაზრდა, გამოკვება, მოვლა-პატრონობა, მაგრამ თქვენ ამას ჩინებულად გაართვით თავი. მე მადლიერი გახლავართ, ანნას კულტურული აღზრდით, მე...

–შენ?– განცვიფრებისგან გულზე ხელმიდებული მარია ენას პირში ვერ იქცევდა სასაუბროდ. გაოცებული შეჰყურებდა უასაკო ყმაწვილს, რომელიც ზრდასრული მამაკაცივით თავდაჭერილად იქცეოდა და არნახულად ზრდილ საუბარ-მანერებს ამჟღავნებდა.

–მენდეთ, ქალბატონო მარია, როდესაც თქვენ ასაკში შესულს პატრონობა დაგჭირდებათ, მე მიგულებთ მეპატრონედ, ნიავს არ გაკადრებთ, ჩემი საცოლის აღზრდისთვის უზომოდ მადლიერი გახლავართ.

–ბატონო?.. ვინ შენი საცოლის?.. ვინაა შენი ანნა? ანნაში ვის გულისხმობ?–გადარეული ხმით იკითხა მარიამ და კუშტად გააგებული მზერა დათასკენ მომართა.

–თქვენ რა, არ იცით? მე და ანნამ რახანია ერთურთს საუკუნო პირობა მოვეცით, რომ სამომავლოდ ჯვარდაწერილები დავხდებით ღვთისა და ერის წინაშე.

–მერე ცოლს შენახვა არ უნდა?.. შენ რისი შემნახავი ხარ!

–აბა, მითხარით, ვაჰარი, რომელსაც აღარც ჰამქარი გააჩნდა, გაკოტრებულს ძაღლის შენახვის თავიც კი აღარ ჰქონდა, გენდომებოდათ სასიძოდ?

მცირედხნიანი დუმილისა და დაკვირვებული მზერის შევლები შემდეგ დედინაცვალმა უპასუხა:– დიახ, მენდომებდა. მინდოდა კიდევ, მართალია გაკოტრებული, მაგრამ ის ცხოვრებისგან გამოცდილი მამაკაცი იყო, არ გაუჭირვებდა ცოლს ცხოვრებას. მიყვარს მამაკაცს შნო და მარიფათი რომ აქვს ნასწავლი ცხოვრებისგან.

–როგორ ფიქრობთ, ბებერ მამაკაცს ცხოვრებისგან ნასწავლი შნო და მარიფათი უფრო მეტად ექნებოდა თუ მე, რომელსაც ახალგაზრდობით მერჩის ჯანი და ღონი. მე, რომელსაც უწრფესი სიყვარულით მიყვარს ჩემი ანნა, და მის გამო, მზად ვარ თითოეული მისი ოჯახის წევრი ჩემიანად მიგიღოთ და შეგიყვაროთ.

–არამც და არამც!–წამოიყვირა გააგებისგან მარიამ, თუმც დათამ ნათქვამი უმაღვე შეაწყვეტინა.

–ქალბატონო მარია, მე რამდენადაც მოსიყვარულე და ჰუმანურ პრინციპებზე აღზრდილი პიროვნება გახლავართ, იმდენაც მკაცრი და ფარულად გულდვარდიანიცა ვარ. ვინც მე და ჩემს ანნას, რომელიც, როგორც მოგახსენეთ, უკვე გულში მეჩემება, ხელს შეგვიშლის, საბრძოლველად არ დავინდობ, სიცოცხლის ბოლომდე მტრად მოგვეკიდები. აბა, მითხარით, თქვენს უკან, მეზობლის პატარა სახლი რომ არის, ცარიელი რატომაა, მიატოვეს?

–არა!–უწინდებურად დაეტყო სახეზე დაბნეულობა მარიამს–უბრალოდ მისი მეპატრონეები სამშობლოში, პეტრბურგში ნათესავების მოსანახულებლად გაემგზავრნენ. გასაღები კი ჩვენ დაგვიტოვეს, მაგრამ ამას შენთვის რა მნიშვნელობა აქვს?–აიწურა მხრები განცვიფრებისგან ტუჩებმოპრუწულმა დედინაცვალმა.

–ის მნიშვნელობა აქვს, რომ ბინას დავეძებ ჩემი ანნასთვის, ცალკე მინდა გავიყვანო. უფრო მეტად მინდა სითბო და სიტკბო ვაჩუქო. გოგოს არც დედა ჰყავს გულის დამწველად და არც მამა, ეყო აქამდე ობოლ-ოხრობა!–დათას ტონში კატეგორიულობა გამოსჭვიოდა, აგერა, ნასტიაც მისი შესანახია, მისი მოსავლელი, უმცროსი დაც გზაზე დასაყენებელი ჰყავს...

–მე აღარავინ მკითხავს მათ გზაზე დაყენებას, მე არაფერი გამიკეთებია აქამდე?

–ვშიშობ, რომ...–გააწყვეტინა საუბარი ფეხზე ადგომით დათა მაყაშიღმა დედინაცვალს.–ვშიშობ, თქვენი აფქტური საქციელით გულდაწყვეტილი ნასტიასავით დამიჩაგრავთ ანნას! ანასტასია ნიკიშევას გასაცოდავებული

ბედი ხომ თქვენს კისერზეა ცოდვად დამძიმებული. მისი დაძლევა, არა მგონია, იოლი საქმე იყოს... ანნას არავის დავაჩაგვრინებ, ვიშრომებ, თუ საჭიროა ვაჭრობის სახლსაც გაეხსნი, სრულებითაც არა ვთაკილობ, ოღონდაც ანნას არაფერი მოაკლდეს. მე ანნას დროებით თქვენი მეზობლის სახლში გადავიყვან. არა მგონია მალე დაბრუნდნენ მეპატრონეები პეტერბურგიდან.

–მაგრამ, როცა იქნება ხომ დაბრუნდებიან?

–დიახ, მათი დაბრუნების შემდგომ, ჩემს სახლში გადავიყვან, დედაჩემთან ერთად ერთ სახლში ვიცხოვრებთ.

–ახლა რა გიშლის ხელს, ახლა რატომ არ მიგყავს დედაშენთან ერთად საცხოვრებლად?– ირონიულად გამოსცრა მარიამ კბილებში.

–ახლა, ასე ნაუცბათევად ანნა ვერ დატოვებს თავისი მეთვალყურეობის გარეშე ანასტასიას და ვერას.

–და მერე დატოვებს?

–მერემ მერესი წაიღოს, მერეს მერმისი გვიჩვენებს... მდგომარეობიდან გამოვალთ, ქალბატონო მარია, მგონი, ჩვენი საუბრიდან საერთო ამოსავალი წერტილი ვიპოვეთ!

–ბატონო? –ვერაფერსმიხვედრილი სახით იმზირებოდა მარია– რა წერტილი?

–ჩვენი საუბრის მთავარი, კულმინაციური წერტილი, ნასკვი ვიპოვეთ.

–რა ნასკვი?

–ის, რომ ორივეს ერთი საერთო საზრუნავი გაგვაჩნია. ეს ჩვენი ანნაა. მე მისი ბედნიერება მწადაია, ისევე როგორც თქვენ. თქვენც ხომ მისი კეთილდღეობა გადელვებთ? გამოდის რომ ჩვენ საერთო მიზანი და სრბოლა გაგვაჩნია. ამიტომაც, მე, დათა მაყაშვილი პირობას ვდებ თქვენი, აღმზრდელი და გამზრდელი ქალბატონის წინაშე, რომ ანნა საკუთარ თავზე მეტად მეყვარება, მოვუფროთხილდები და სიცოცხლის ბოლომდე მისი ერთგული ვიქნები. ახლა მე გტოვებთ, მაგრამ იმ იმედით, რომ ანნას არანაირად არ შეეხება თქვენგან წამოსული მოწინააღმდეგე აზრი, მე მისი აღელვება და ნერვიულობა არად მჭირდება. გთხოვთ, ნურას უსაყვედურებთ ჩემს ანნას წმიდა სიყვარულის გამო.

დედინაცვალი განცვიფრებული შესცქეროდა ესოდენ უასაკო ყმაწვილის მძაფრად გამოსატულ ენიანობას, მის სიტყვა-პასუხს დაებნია კიდევ. უფრო მეტი გაოგნება კი ყმაწვილის მიერ მის სიგამხდით დამჭკანრ ხელზე ამბორმა გამოიწვია. დათა ისე გადავიდა სახლის ზღურბლს რომ გაოგნებულ მარიას საკუთარ აზრზე მოსვლა ვერ მოეხერხებინა:

–არა, შნო და მარიფათი არა აქვს საერთოდ, მაგრამ სიტყვა-პასუხი დაუყოლებია ღმერთს მისთვის, თანაც ზედმეტადაც... მგონი, კი, იცხოვრებს ეგ ბიჭი, ცოლს რა ბედში ამყოფებს, ეგ რა მოგახსენოთ, მაგრამ სათავისოდ რომ კარგა გვარიანად წაუეშმაკუნებს, ფაქტია.

აზრი გამოთქვა დედინაცვალმა ვახშობისას ანნას და ვერას თანდასწრებით. ანნა კმაყოფილი იყო დათას და მარიას პოლემიკით. მისი შიში, შესაძლო ხელჩართული კამათ-ჩხუბის გამო, არ გამართლდა, ამიტომ ბედნიერების ვარსკვლავებს სულ ერთიანად მოეყარათ თავი მის თვალებში.

რამდენიმე დღის შემდეგ დათამ სახლიდან წამოღებული ერთი, მომცრო ზომის ჩემოდანი მიიტანა, მეზობლის სახლში შებარგდა და ანნაც საცხოვრებლად თავისთან მოიხმო.

ანნას სიხარულს საზღვრები დაეკარგა, თანაც ისე, რომ მისი უსაზღვროება თავიდან-ფეხებამდე მოსდებოდა მეპატრონეს, და მის დებზეც გადასულიყო:

–არა, მე ძალიან მომწონს ჯიუტი და თავისი სიტყვის გამტანი დათა. კირილეც რომ ასეთი პრინციპული ყოფილიყო, დღეს ჩემი დაიკო ბედნიერი იქნებოდა.–დაიჩივლა ვერკამ ანასთან. –ხომ ნახე, რა სიტყვებით ელაპარაკებოდა მარიას, სულ გამოათაყვანა, დაღებული პირის დახურვას ვეღარ ახერხებდა, საწყლად შეჰყურებდა.

–და ვაჰარ გარგაროვიჩს რა უქნა, სულ გააქცია საწყალი.–გაეცინა ხმამაღლა ოთახის მიღაგებით მოფუსფუსე ანნას.

–ხო, ჯერ გააკოტრა და მერე კუდით ქვა ასროლინა. ის მშიშარაც სულ გადაიკარგა თავის ჩინ-მენდლებიანად. ისე გაქცეულა, ძაღლის წაყვანა დავიწყებია...

ვერას ნაუბარი ანნას ხასიათს უკეთებდა, მისი ბედნიერი კისკასი მთელ ეზოში მოისმოდა.

V

„ჩემი სულის ამოძახილები“, „საფერავზე სათქვამი“, თქმულა ართქმული“–წაიკითხა მომცრო ზომის რვეულებზე სათაურად მინაწერები დათა მაყაშვილმა და სამივე დღიური ანნას გადასცა შესანახად. მანაც რვეულებს ხელი წამოავლო და გარდერობის თავზე შემოღო. ანნამ ქართულად წერა-კითხვა არ იცოდა, შესაბამისად საყვარელი ვაჟის დღიურებს ვიზუალურად თუ დაათვალიერებდა, თორემ მის შინაარსს ვერაფერს გაუგებდა.

დათა ყოველ დილას მიიჩქაროდა იატაკქვეშა მოძრაობის ამხანაგებთან, ახალთ-ახალი ამბების გასაგებად, რომლებიც ესოდენ უხვად არსებობდა და ელვის სისწრაფით ცვალებადობდა. პირველს უარესი მომდევნო

ცვლიდა, რომელშიც სწრაფად ვითარდებოდა მოვლენები, ქვეყანას დიდ თავსატეხს უქმნიდა.

ანნა და ვერა ისევ ერთად მიდიოდნენ დილაადრიანად სამსახურში. კერვა ორივეს კარგად ეხერხებოდა. სამკერვალოში მუშაობა არ უძნელდებოდათ ჭრა-კერვაში ნასტიას ნამოწაფართ. ანა განსაკუთრებით ბედნიერად გრძნობდა თავს, დათა მაყაშვილის გვერდით. ეგონა ყოველდღიურად ისე მალდებოდა, რომ ერთიანად შეეძლო ზეციდან ვარსკვლავების ჩამოკრეფა, ახალ, ჟორჟეტის კაბის კალთაში მოგროვება და მათთან თამაში.

ანასტასია მუხლზე მჯდომარე კვლავაც უანგაროდ განაგრძობდა ხალხის ნუგეშს, რომელთაგანაც ზოგი რევოლუციის დროს დაკარგული შვილის დედა იყო ზოგი ოხრანკის მიერ სახლიდან გაყვანილი და არდაბრუნებული მამაკაცის ცოლი, ზოგი სამხედრო-საველე სასამართლოს მიერ დახვრეტილი ჯარისკეცის მოხუცებული მამა, რომელიც გულს ვერ აჯერებდა უდანაშაულო შვილის დახვრეტას.

სოფლებიდანაც ბევრი ჩამოსდიოდა. თითქმის, ყოველ კუთხეში გაიჩინა მეგობარ-ნაცნობები. გუბერნიებსა და კუთხეებში მრავლად განლაგებულიყო სამხედრო-საველე სასამართლოები, რომელიც მეზობლების დასმენაზე იყო ძირითადად მომუშავე. მეზობელს მეზობლის ჯავრი ან შური თუ სტანჯავდა, ცილს დასწამებდა მეფის რუსეთის წინააღმდეგ შეთქმულებაში, ანონიმურად ასმენდა და შედეგიც გარანტირებული ჰქონდა. დასმენის დასრულებისთანავე გააკოჭავდნენ ცილისწამებულს, პატარა სასამართლოს მოუწყობდნენ არამშობლიურ ენაზე, და დასახვრეტად გაამზადებდნენ. არადა მსხვერპლს შესაძლოა თავისი სამეურნეო ნაკვეთში თესვა-მკის იქით არაფერი სცოდნოდა და შეძლებოდა. მაგალითად, ვინ იყო ცარის ნაცვალი, ვინ იყვნენ და რა უნდოდათ მისგან სამხედრო-საველე სასამართლოს ფორმიან მუშაკ-ჯალათებს.

სამხედრო-საველე სასამართლოები მოსახლეობისთვის ერთგვარი „ჰუმანური შეღავათი“ იყო „შავი რაზმისგან“ განსხვავებით. პირველში მაინც კულტურულად ხვრეტდნენ ან გრძელვადიანად ასახლებდნენ შორეულ ციმბირში უდანაშაულოებს. აი, მეორეს კი არსადაც არ მიჰყავდათ დასახვრეტად განწირული უდანაშაულო ადამიანები, უბრალოდ თვალში არ მოსდიოდათ ვიღაც, ან მთელი დღის მშრომელი, ან ჯან-ღონიანი ვაჟკაცი, რომელზედაც გაიფიქრებდნენ, რომ შესაძლოა აჯანყების პერიოდში თავისი ძალიდან გამომდინარე რაიმე საფრთხე შეექმნა მათთვის, ანდაც შესაძლო სამომავლოდ მოსახდენი რევოლუციისას მას დიდი წარმატების მოტანა შეეძლებოდა რავოლუციონერებისთვის... ვიღაცა ზედმეტად მაღალი იყო, ვიღაცა ზედმეტად ნასწავლი, ვიღაცა ზედმეტად სახელოვანი...

შავი რაზმის წევრებს უფლება ჰქონდათ საეჭვო პირის პირდაპირ ადგილზე ლიკვიდაცია-განადგურებისა. ქალების, ბავშვებისა თუ

მოხუცების თვალწინ ხან ვის ხვრეტდნენ და ხანაც ვის კლავდნენ. ყველას შიშის ზარს სცემდა „შავი რაზმის“ წევრების შავად აპრიალებული ლაბადის ხილვა და ლეშისმჭამელი ყორნისფერი ჩაცმულობა.

ასეთი უსამართლო სისხლისმღვრელი სიმკაცრე ტფილისსა და საქართველოს კუთხეებში მას შემდეგ დაიწყო, რაც იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემ გამოსცა კანონი ქვეყნის არეულობების მომტანი სოციალ-დემოკრატების დევნის შესახებ. ისინი გლეხობასა და ბურჟუაზიულ ფენებში ორატორობდნენ, მათში პროტესტის გრძნობას აღვივებდნენ და რევოლუციური გზით პრობლემების მოგვარებისკენ მოუწოდებდნენ. რევოლუციური გზით მონარქიული წყობის დასამარებისთვის თავს არ ზოგაბდნენ რუსი მოსახლეობა, რადგან ისინი გადაიღალნენ უსასრულოდ გაუთავებელი გადასახადებისგან, რომლებიც მიზანმიმართული იყო მონარქიის ტახტზე მიღებული დიდგვაროვნების შესანახად. ისინიც ესოდენ უხვად მომრავლებულიყვნენ, რომ რაოდენობრივად გლეხობას უსწრებდნენ. სოციალ-დემოკრატები მათ დაუძინებელ მტრად ევლინებოდნენ, ამიტომ ამ პარტიის ლიდერებზე პირდაპირი ნადირობა დაიწყო, და რადგან ისინი ან ქართული წარმოშობისაღნი გახლდნენ, ან უშუალოდ ქართული გენის, საქართველო ყველაზე მეტად დაიასაჯა მათ გამო. სწორედ მათი დევნის გამო იყო ყოველ კუთხე-კუნჭულში გახსნილი სამხედრო-საველე სასამართლოები. მათ წინააღმდეგ მუშაობდა უსასტიკესი „შავი რაზმი“, მათ გამო არსებობდა ოხრანკების მიყურადებები, რომელთა ყურები ძირითადად მეზობლებზე გადიოდა: ვინაიდან და რადგანაც რევოლუციონერი სოციალისტები მეტსახელებით მუშაობდნენ, რომლებსაც ძირითადად გვარებიდან გამომდინარეს იღებდნენ, სიტყვების: ჯუდა, კომანდო, გეგენა, გეგეჭკორა, ჟორდა, სვიმონი და სხვათა წარმოთქმა პირდაპირ სასიცოცხლოდ საშიშროებას წარმოადგენდა. თუცა ისინი საქართველოდან გაქცეულიყვნენ, ხან ბაქოში მართავდნენ ფარულ სხდომა-შეხვედრებს და ხანაც ერევნის იატაკქვეშეთში.

ყველამ დიდმა თუ პატარამ, ძალოვანმა თუ სუსტმა, იარაღიანმა თუ უიარაღომ, კარგად იცოდა, რომ სოციალისტები დიდი გადატრიალებისთვის ემზადებოდნენ. ოხრანკა კი, თუ ვინმეს შესაძლო ნაცნობობასთან დაკავშირებით მიიტანდა ეჭვს, მაშინვე დახვრეტას არ ააცილებდნენ.

ანასტასიას ეზო დიდიდანვე უპატიო მშობლებით, მოხუცებულებითა და შავძაძიანი ხალხით ივსებოდა. ზოგჯერ დიდი რიგიც კი დგებოდა ჭიშკართან:

–გენაცვალე, თხოვ, მითხარი, ჩემი შვილი –ერეკლე, დასახვრეტად გაყვანილი ვაენი სუდიას მიერ, ცოცხალი გადარჩა თუ აღარ არის?–ემუდარებოდა ცრემლიანი თვალებით თალხებშემოსილი შუახნის ასაკის მცირედად გადაბერებული ქალი.

ანასტასიამ თვალები დახუჭა და ღოცვად მიინაბა. ხელებით პირჯვერს თუ არ იწერდა, განზე გადმოუშვებდა იდაყვში მოხრილ თხელ მკლავებს.

ყველამ იცოდა ღოცვის შემდეგ თუ მის წინ არსებულ რაიმეს ხელში მიაწვდიდა, ცოცხლად მყოფს გულისხმობდა, თუმცა ასეთი რამ უფრო იშვიათად ხდებოდა: მუხლს წინ მიწა მოეხვეტა თითებით და თავისი ნაზი ხელებით მცირედი მიეწოდებინა, ანდაც წვიმის შედეგად მოტანილი კენჭი, ქვა. სტუმრად მომსვლელთა მოსაკითხიდან პურის ნაჭერი, რაც იშვიათად ხდებოდა:

–ილოცე მატუშკა, ილოცე, ტკბილია სამოთხე, იქ მოხვედრა კი ძნელი... ნუ გეშინია, შენი უდანაშაულო ვაჟკაცი უფალთან მიდის, ილოცე სამოთხეში დამკვიდრებისთვის–უთხრა ნასტასიამ თხოვნა-მუდარის ხმით და მის წინ პატარა სკამზე ჩამომჯდარ თალხმეხეულ ქალს ხელები ჩასახუტებლად გაუწოდა. ანასტასიას სუსტ მხრებზე დაადო ქალმა თავი და აქვითინდა. ანასტასია ეფერებოდა, თავზე ხელს უსვამდა და სანუგეშოდ სიტყვას არ იშურებდა.

–ყველას საბოლოო გზა იქით მიდის, უდროოდ წასვლაა მწარე, თორემ უდანაშაულოთა სულებით სავსეა სასუფეველის გზანი.

მომსვლელი სტუმარნი ნასტასიას მიმართ მადლიერებით აღსავსენი იყვნენ, მისი სიტყვები გულს მალამოდ ეფინებოდა, გარდაცვლილთა სახელებს ფურცლებზე უწერდნენ, რათა ღოცვებში გამუდმებულად მოეხსენიებინა და მათი სულებისთვის ელოცა.

სახლში შეკეტილი დედინაცვალი ფანჯრებზე ჩამოფარებული სქელ, მოჟამული ფერის ფარდებით ბურავდა და აბნელებდა ოთახს, რათა ეზოში არსებული სიტუაცია და ხმა დაეფარა, მაგრამ მაინც წასძლევდა ხოლმე ცნობისმოყვარეობა და გარეთ გაიჭყიტებოდა მოთქმა-გოდების გაგონებისას. სწორედ ერთ-ერთი ასეთი გაჭყეცისას თავი ვერ შეიკავა, გარეთ გაეჭრა მომტირალ ქალს, წინ გადაუდგა და სხვების გასაგონად შეჰყვირა:–რა გატირებს რაო...გითხრა რომ მკვდარია და სამოთხეშიაო?... შენც გჯერა? ნეტა ამან რა იცის?... სათავისოდ რა იცის, ახლა სასხვისოდ გაიხადა ცოდნა!

გააგებული დედინაცვალი ახლა ეზოს გაბმულ რიგში მდგომებს მიმართავდა:

–თუ დაფიქრებულხართ, რომ ესეც თქვენსავით საცოდავი და მორალურად გაჭირვებული ადამიანია, რომ მასაც შეყვარებული მოუკვდა და მის მერე...– თქვა და საჩვენებელი თითი საფერთქელთან დაიტრიალა, ამ ქმედებას ერთი მცირედი ჩაშტვენაც დაურთო თან და განაგრძო:

–თავისი თავისთვის ვერ უშველია, თქვენ რა უნდა გიშველოთ? წადით აქედან, გასცით!.. აბა, ჰე!–თქვა და ხელით ისეთი მოძრაობები გააკეთა, თითქოს ფრინველებს აფრთხობდა თავის გარშემო ადგილებიდან.

ვიღაც ასაკოვანმა მამაკაცმა ამრეხით შეხედა მარიას, მერე რიგში მდგომ მის წინას ჰკითხა: – ეს ქალი იმ გოგოს დედინაცვალია?

– არ ვიცი, ბატონო!– გამოეპასუხა მხრების აჩქვით წინ მდგომი მამაკაცი, რომელიც ახლა თავის გვერდით მდგომს მიუბრუნდა იმავე კითხვით.

– ვერაფერს გეტყვით, კარგი ადამიანობის რომ არა ჩანს, ნათელია, მაგრამ თუ ვინაა, არ ვიცი!

მამაკაცმა თვალი გაადევნა ანასტასიასაკენ ლანძღვით მიმავალ ქალს, მერე გზად დაეწია და მკლავში მოქაჩა. ამ უკანასკნელმა ეჭვის თვალით შეათვალიერა უცხო, საკუთარი მხედველობიდან უეცრად აღქმული:

– შენ ვინლა ხარ?!.. შენ ვინ გაწვალეხს, ის გზაძალი?.. რა გული გეთანადლება ჩემს გაზრდილზე თუ იმის შეყვარებულზე? შენ რა, რა?.. აბა, მე მკითხე, როგორ ვწუხდები, მთელი დღე რია-რია მაქვს, წამსველელი მოდი, მომსველელიც მოდი! – აღარ შემიძლია ამდენი ხმაურისა და აურზაურის ატანა, გაიყვანეთ ეს გოგო ქუჩაში, დაისვით და გინდა სამოთხეზე იბაასნეთ და გინდა სიყვარულზე, მე აღარ შემიძლია თქვენი ატანა! – ანერვიულებული შლიდა ხელებს მარია და სახეში ქვევიდან მაცქერალი უყვიროდა ტანად მასზე მაღალ, შავლაბადიან მამაკაცს.

– ხალხო!– მიუბრუნდა შავლაბადიანი მამაკაცი რიგში მყოფებთ, რომელიც მარჯვენა ხელს ცხვირწინ ინიაგებდა– ერთი ნახევარლიტრიანი ჭაჭა ვიღაცას დაუუნახე, ჯიბეზე ჰქონდა, გაზეთით თავშემოკრული, რომელს გქონდათ?

გაჩუმებული რიგიდან ჩამი–ჩუმი არ მოისმოდა, ყვალანი სმანად გაკრეფილიყვნენ და მოსაუბრე მამაკაცისა და მის წინ მდგომი გააგებული ქალის ქმედებებს აკვირდებოდნენ სუნთქვაშეკრულნი:

– ხალხო, დაიდეთ ამ ქალის მაღლი, ჰქმენით სიკეთე! ერთი „პოლიტიკრა“ ნუ დაგენანებათ!– გაიძახოდა შავლაბადიანი და სიტყვა ბოლომდე დასრულებული არ ჰქონდა, რომ მოხუცებული მამაკაცი გამოეყო რიგში მდგომებს: ტანად დაბალი, წელში მოხრილი, თმა-წვერ თოვლისფრად ჭადარას დარდი და ვარამი სახეზე ეწერა. „ბუშლატის“ ჯიბიდან ბოთლი ამოაცურა, კამკამებდა მასში არსებული სითხე, მამაკაცის მოძრაობას აყოლილი, თამაშით ხან იქით ინჯდრეოდა და ხან აქეთ. გაზეთი, რომელიც ბოთლის თავზე ხუფის როლს კისრულობდა, შემოაცალა და აკანკალებული ხელით გაუწოდა შავლაბადიან, ინტელიგენტურად ჩაცმულ-დახურულ მამაკაცს.

გაიხარე, ჯიგარო, გაიხარე... ამისთვის მაღლია.– თქვა და მარიას გაუწოდოდა არყის ბოთლი, ამ უკანასკნელმა უსიტყვოდ ჩამოართვა ძღვენი, ხალხს ნიშნისმოგებით, გამარჯვებულის სახით გადახედა და ფარდებით დაბურულ სახლში შეიკეტა:

–მადლობის მეტი რა მეტქმის, მადლობა ბატონო!–გულზე ხელის დადებითა და თავის დაკვირვებით მოუმადლიერა შავლაბადიანმა ბუშლატიან მამაკაცს:– ხომ ნახეთ, რა დღეში იყო, პირიდან არყის სუნად ყარდა, ეტყობა ნაბახუსევი თუ იყო.

–ქალი რომ გალოთდება, წასულია მისი საქმე!– უშნოდ ჩაიქნია ხელი თანამოსაუბრე მამაკაცმა.

–რას ამბობთ, და კაცი?.. კაცი თუ გალოთდა, არა უშავს, ეპატიება და ქალი თუ გალოთდება უშავს ხომ?–გამოელაპარაკა უკმაყოფილოდ წინა რიგში მდგომი ქალი.–ისე ძნელია სახლში ასეთების ატანა, არ დაგიდევენ სტუმარს, მასპინძელს, სირცხვილს, თავმოყვარეობას, ყველაფერს ერთ ტაფაში მოხრაკ-მოაუუქებენ.

–არაა მთლად ეგრე, გარეგნულად მწარე ადამიანს შინაგანი სიკეთის მარცვლები უფრო მატად აქვს გაღვივებული, ვიდრე არამწარეს. პირველნი საკუთარ შინაგან მდგომარეობას სიფიცხით გამოხატავენ, მეორენი თავშეკავებულობით. ღმერთს ისეთი ადამიანი ჯერ არ მოუვლენია, რომლისთვისაც სიკეთის მარცვლები გულში მზითვად რომ არ გამოეტანებინა... ვინ როდის გამოამზეურებს ნამზითვეს, ეგ დროსა და ჩვენზე, გარსმყოფებზეა დამოკიდებული. ამ ქვეყნად დრო მკაცრად განსაზღვრული გვაქვს. არასდროსაა თავისუფალი დრო თავზე და პირზე საყრელი ფუფუნება, ამიტომ უნდა ვეცადოთ არა სხვისი ნაკლის თვალშისაცემი მდგომარეობა კრიტიკითა და მდეღვარებით განვსაჯოთ, არამედ საკუთარ თავზე მაფიქრალნი უნდა ვიყოთ, როგორ გავისიგრძეგანოთ დრო, რომელიც შეზღუდულია. როგორ სახელს და ხსოვნას დავტოვებთ ჩვენს მომავალ თაობებში, ჩვენი მონაგარისთვის სამარცხვინო გასახსენებლად ხომ არ გავიხდით თავს... ცუდი ავტორიტეტი არასდროს წაგვადგება იქ.–

ანასტასია თავდახრილი საუბრობდა მის წინ მდგომების გასაგებად. მისი ნაუბარი ყოველთვის სიმშვიდით გამოირჩეოდა, მის სილამაზეს ლოყები სიმორცხვით შეფაკლოდა, ყოველთვის დარიდებით საუბრობდა უფროსებში, რიდი და კრძალვა თან სდევდა მის ხასიათს. სილამაზეს ვერაფერი დაკლებოდა შეცვლილი ცხოვრების წესის გამო. ამინდები, თავზე წვიმა-ქარის გადავლა უსუსური აღმოჩენილა ქალიშვილის მშვენებასთან:

–მთვარესავით გადაბადრული სახე აქვს, ნეტა ამის შეყვარებული ვინდა იყო, მაცოდინა.–ჩაიჩურჩულა რიგიდან ქალმა გვერდით მდგომის გასაგონად.

–ამბობენ დედინაცვლის ენაზე მოიკლა თავიო, აი იმ ქალის გამო, გარეთ რომ გამოვარდა ჩხუბითა და ლანძღვით.–გამოელაპარაკა მეორე.

–ის თქვენი დედინაცვალი იყო?–ჰკითხა ანასტასიას შავლაბადიანმა და ხელი მოწყენილად მდგომი, ხის შელახული სახლისკენ მიიღო.

–დიას, ჩემი გამზრდელია, დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ მან გაგვზარდა, სიკეთეს ვერ დავეუკარგავთ, უბრალოდ დედის შენიშვნას მძაფრად ვერ აღვიქვავთ, დედინაცვლისას კი, ქათინაურსაც ეჭვის თვალით ვუყურებთ. ხუმარა ვირის ამბავს მიყვებოდა ხოლმე მამაჩემი, მინდა თქვენც გაგამხიარულოთ. –თაფხალუნულმა ღიმილით ამოხედა მის წინ მოგროვილ ხალხის ტალღას, რომელთაც მკაცრად დაცული რიგი დაეშალათ და წრეში მოექციათ თხელი აღნაგობის, გამხდარმხრებიანი მუხლმჯდომარე ასული:

–ერთი პატარა ვირუკუნა, მხიარული და ანცი გაუჩნდა პატრონს. საყვარელ ხასიათს, მისი გარეგნული სილამაზეც თვალში მოუდიოდათ ადამიანთ. ისინი გამუდმებით ეფერებოდნენ და ანებივრებდნენ შექლებისდაგვარად. ვირუკუნა შემაწუხებელი არ იყო, არასდროს ყროყინებდა უშნოდ, არასდროს დატლიკინობდა ეზოში, მხოლოდ არხეინად დაიარებოდა, უზრუნველყოფიერებაში მყოფი, საჭმელი იმას არ აკლდა, სასმელი და სითბო. კარგმა პირობებმა, პატრონის მზრუნველობამ და ალერსმა გაანებივრა პატარა. სასიამოვნო კისკისიც ისწავლა ყროყინის ნაცვლად. სხვა, მისი თანატოლი ვირები კისკისის ნაცვლად ყროყინებდნენ, ამიტომ პატრონს ისინი დიდად თვალში არ მოუდიოდა. საპატიო სტუმარი თუ ეწვეოდა, მაშინვე კოხტა ვირუკუნას, რომელსაც კეკლუცი კუნტრუში და კისკისი უყვარდა, გარეთ უშვებდა თავისმოსაწონებლად, სხვებს კი მაღავედა.

გაიზარდა ჩვენი ვირუკუნა და კისკისს მაღალფარდოვანი სიტყვების ნუსხის დასწავლაც მიაყოლა. ისეთი დამაჯერებლობით საუბრობდა, ისეთ სიამტკბილობას ანიჭებდა მნახველს, რომ ვურუკუნაზე შეყვარებულთა ადამიანთა ჯგროს რიცხოვნობა დღითი-დღე იზრდებოდა. დრო კი გადიოდა. სხვა ვირები თავიანთ წილ შრომას არ თაკილობდნენ, ჯაფაში ოფლიანდებოდნენ, ფიზიკურადაც იწრთობდნენ და ფსიქიკურადაც. ჩვენი გრძელწამწამება ვურუკუნა კი, მიჩვეული უკვე მაღალ საზოგადოებრივ ეთიკას, გადაპრანჭული საუბრის მანერა-კისკისს, მოძმე ვირების დაცინვით გადიოდა ფონს. საგანგებოდ ლამაზი მოწყობილობის გომურში კოტრიალობდა და კისკის-ღიღინით ირთობდა თავს.

მოგესხენებათ ზღაპრებისეულ ცხოვრების კიბეზე საფეხურების არევა ჩვეულებრივი ამბავია. ჰოდა, აირია ვირუკუნას ცხოვრების კიბეზე საფეხურები. მეპატრონეს გაუჭირდა ეკონომიურად და ვირები დაყიდა. ენანებოდა ინტელიგენტი ვირუკუნას გაყიდვა, მაგრამ სხვა გზა არ დარჩენოდა, ვეღარ იმეტებდა საშიმშილოდ. ამიტომ ისიც გაყიდა. ახალ პატრონს ყელგამოწეული სთხოვდა, ნებიერადა მყავს გამოზრდილი და გაუფრთხილდი, ზედმეტი ჭაპანით ნუ გადატვირთავო.

ახალმა მეპატრონემ მასში კარგა გვარიანი თანხა გადაიხადა. აბა, მაღალფარდოვანი სიტყვების ნუსხაც იცოდა, კისკისიცა და დაცინვაც, ამიტომ ფასი ჩვეულებრივ ვირებთან შედარებით ოთხმაგად მეტი ჰქონდა, და რადგან ფასი გაოთხმაგებული ჰქონდა, ამიტომ ყველაფერს ოთხჯერ

მეტს ითხოვდა მისგან ახალი მეპატრონე. ახალ ალავს მუშაობა მოუხდა. რას ხედავს, სხვა ყურებპარტყუნა ვირები დაუღალავად შრომობენ, ნაკლებს ისვენებენ და პატრონისგან უფრო დაფასებულნიც არიან, ვიდრე თვითონ, ლამაზი ვირუკუნა, რომელიც დრომ და შრომამ სილამაზე წაართვა, უამინდობამ ხასიათი გაუფუჭა, კისკისი ყროყინში გადაუვიდა და ისევ იმ ვირებს დაემგვანა, რომელსაც უწინ დასცინოდა. მხოლოდ მაღალფარდოვანი სიტყვების ნუსხის ცოდნით განსხვავდებოდა თავის მოჯიშ-მოჯილაგეებისგან. ეს მაღალფარდოვანი სიტყვებიც არას არგოდა სამომავლო პერსპექტივისთვის. ლამაზი წამწამები ჯაფაში გადაექცვა, ტანზე ბზინვარე ბეწვი გასძვრა, ზურგზე გადატყავდა და უწინდელ ხასიათს ვეღარ პოულობდა. შინაგანად ჩაიკეტა, დაღონდა, მოვალეობის მოხდის მიზნით ჯაფობდა, ისიც იმიტომ, რომ პატრონს მშიერი არ დაეტოვა. შესვენებისას სხვა ვირებს, რომელთაც ადრე თანამოძმეებად ვერ აღიქვამდა, გამოეყოფოდა და ცრემლებად ღვარღვარებდა. აბა, რას იზამდა და რაღას გააწყობდა? რითი დაედწია ჯაფისგან და გაუთავებელი შრომისგან თავი? ადრე ყვავილებიან მინდორში კუნტრუშობდა, ახლა ყვავილების სილამაზეს ვეღარ ამჩნევდა. ასეა, თუ ხასიათი გამოკეთებული არაა, ვერანაირ სილამაზეს ვეღარ ხედავს თვალი.

ასეა თუ ისე, გადაწყვიტა თავისი მაღალფარდოვანი სიტყვების ნუსხა გაესხენებინა და პატრონისთვის თავი მოეწონებინა. დილაუთენია დასაპურებლად შესულ პატრონს მაღალფარდოვანი სიყვებით დაუწყო ბაასი, მაგრამ თავმოწონების მაგიერ, პირიქით გამოუვიდა. ახალმა მეპატრონემ იეჭვა; ამას უთუოდ ჩემგან ჯამაგირის გამოტყუება სწადია, აბა, ასეთი მაღალფარდოვანი სიტყვები ტყუილად ხომ არ დაუსწავლიაო და ავისმომასწავლებლად შეფიქრებდა. მერე, ნაძალადევად კეკლუც ვირუკუნაში სასურველი სურვილი რომ ჩაეკლა, გამუდმებულად უხეშად მოქცევა და გაწკეპლაც არ დააკლო. სხვა ვირები თავდაუღალავად შრომობდნენ, გასამრჯელოდ საკვებს ღებულობდნენ და კმაყოფილნიც იყვნენ.

შეიძლება არც იყვნენ კმაყოფილნი, მაგრამ ვირულ ყოფას ნახვევნი, უკეთესზე პრეტენზია აღარ ჰქონდათ. აი, ვირუკუნა კი პატრონის უხეშმა საქციელმა ისიც გააუხეშა, კაპასი და ანხელი გახადა. მუდამ ვიღაცას ებუზღუნებოდა, მაგრამ თუ საბუზღუნოს ვერ ნახავდა, საკუთარ თავთან იწყებდა მწარე პოლემიკას. ვირუკუნას ბედმა მწარედ გადაიარა, ისევე როგორც სხვებისამ, მაგრამ აზიზ-მაზიზობის მომლოდინე ვირუკუნას ცხოვრებამ სიმწრის გზით ატარა, სხვა ვირებთან შედარებით ზედმეტად გაურთულდა და გაუძნელდა არსებობა. ასეა, მამაჩემისგან უამრავი ასეთი ზღაპარი მახსოვს.–

თითქოს მორცხვი ხასიათი შესცვლოდა ანასტასიას.

დედინაცვალი კი სახლში შეკეტილი, არყის სიმძაფრეს შვევით ხვდებოდა, მაგრამ ეს შვევაც დროებითი იყო. მარია განიცდიდა ანნას სახლიდან გადასვლას, მართალია იმავე ეზოში, მეზობლის სახლში

გადაბარგდა, მაგრამ მაინც განიცდიდა უიმისობას. ვერა უფროს დას გადაჰყვა, მის გარეშე არ შემოიძლიაო—უთხრა. დათა ზრდილობიანად კი ესალმება ხოლმე, თუმც მის გამოც გულდაწყვეტილი დარჩა. მიუხედავად იმისა, დათასგან უზრდელი ან უხეში საქციელი არასდროს ახსოვს, მაინც გული აუწვა იმ შემთხვევითობამ, რომლის გახსენებაც მწარე ეკალშერტობილივით წვაეს ხოლმე.

ერთხელ, როდესაც მარიამ რძის ბლითები გამოაცხო, გადაწყვიტა მეზობლის სახლში დროებით შებარგებულ ანნასთვის გადაეწოდებინა და ახალ სასიძოსთან გემრიელი ნახელავით თავი მოეწონებინა. ფეხაკრეფით მიადგა შესასვლელს, ფანჯრები დაელო გასანიავებლად ანნას, საიდანაც მისი ხმა მოესმა:— დათა, რამე მკაცრად უთხარი მარიას, ხომ შეგიძლია თუნდაც ერთხელ, მკაცრად დაუქნიო თითი. დამიჯერე, გაჭრის ეგ საქციელი მასზე, შეშინებით თუ არ შეეშინდება, რიდი მაინც გაუჩნდება ჩემი, ნასტინკასაც სულ ებუზღუნება!

—ქალს ვეჩხუბო? განა ასეთ სუსტ კაცად მიცნობ?—დაუბრუნა კითხვა კითხვითვე დათამ.

—დამდალა, დამდალა მთელი ცხოვრება, გუშინ ეზოს ხვეტვისას, თავზე დამადგა და მბრძანებლობდა, აქთ მოხვეტეო, იქითაცაო, წელმოწყვეტილს ჰგაეხარო...

დათას ფიცხი ხმა ყურთ მჭახედ მოხვდა დედინაცვალს:—დამანებე თავი ანნა, დედინაცვლისგან სხვას რას ელოდები? მოუთმინე რა!

შემცბარი მარია თავის რძის ბლითებიანად უკან გამობრუნდა. მუხლმოდრეკილ ნასტიას შეუშინეველი არ დარჩენია მარიას უხასიათობა, თუმცა არაფერი უკითხავს. ერთი კი გადახედა ნაღვლიანი თვალებით და დროებით შეწყვეტილი ლოცვა განაგრძო.

იმ დღეს მწარედ იგონებს ხოლმე. განა, რადგან დედინაცვალი მქვია, ჩემი ყველაფერი ცუდად უნდა აღიქვან? მე შენიშვნის უფლება აღარ მაქვს? ოდნავ მკაცრი კი ვიყავი გერების მიმართ აღზრდისას, მაგრამ მათთვის არასდროს მიღალატია, არასდროს მიმიტოვებია უპატრონოდ, გაჭირვება და მწუხარებაც ხომ ერთად გადავიტანეთ. ნუთუ ერთი სიტყვიერი ნუგემის ღირსი აღარა ვარო?— ფიქრობდა: რაღა ცხოვრებაა, სამი გაზრდილი გოგონადან ერთიც არ დამირჩა გვერდით, უფროსია და უმძრახად მიზის და თავისი ცხოვრება რას დაიმგვანა, შუათანა დაა და ჩემთან ცხოვრება აღარ სურს, მეზობლის ხუხულაში შეყუყული, ალბათ, საქმროს სახლში გადავა მალე. ვერაც მისი მდევარი რომ არის და ჩემი უარმყავი, ამას წყალი არ გაუვაო, ფიქრობდა და ფიქრი დარდში გადაუდიოდა. დარდს არყით იკლავდა. არაყი მისი ავი ფიქრების დროებითი მკვლეელი იყო, მცირედხანობისას შვებისა და ნუგემის მომგვრელი. ცრემლები თოვლის ფიფქებივით აღნებოდა მყვრიმალეებსა და ნიკაპზე. მარიას ასეთი შინაგანი სიცარიელე და სიმშრალე არასდროს უგრძენია

VI

თბილი ამინდის მიუხედავად, სითბოს ნაცვლად სუსხს გრძნობდა ანნა, რომელიც თავისი თხელი, რძისფერი სხეულით ახლად აბიბინებულ ლორთქო ბალახზე გაწოლილიყო. ცვრიან ბალახს, სასიამოვნოდ გრილს და ნოტიოს, მთელი სიმძაფრით შეიგრძნობდა სხეულის თითოეული ნაწილით: გულით, კანით, შიშველი ფეხებით, ხელის ზურგით, თმებით, რომელიც გაშლილი გრძლად მიმოვლებოდა ახლოს აბიბინებულ ბალახებში. თითქოს, ისინიც ძალით იბღუჭავდნენ თმის თითოეულ ღერს... ცა ახლოს იყო, იმდენად ახლოს, რომ ხელისგულებზე აირეკლებოდა ღრუბლების ჩრდილი. ანნას სათუთად მგრძნობიარე კანმა, რომელიც ლორთქო ბალახის ცვრიანობას სიმშვიდით ხვდებოდა, სიუხეშე იგრძნო. ბალახი იმ ერთ წამში გამხმარიყო და გაუხეშებულ ხმელა ღერებით მის კანს კაწრავდნენ. წამოდგომა სურდა ანნას, მაგრამ ძალა არ ჰყოფნიდა. საკუთარი თავი, რომელიც ისეთი უღონო გამხდარიყო, თავის გვერდზე გადაწევაც კი აღარ შეეძლო, არ ემორჩილებოდა. სხეული მექანიკურად მოსრიადე მაგნიტს დამსგავსებოდა, რომელსაც მიზიდულობას სადღაც შორს უქადდა.

ბალახში სხეულმოდუნებული და უსიამოვნოდ მშფოთვარე ხასიათით დაბლა ეშვებოდა ნელ-ნელა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ვიდაცა უხილავს უშნოდ ჩაებღუჯა ხელები ასულის მგრძნობიარე ფეხის ტერფებზე და ხმელა თივად ნაქცევ მკვდარ ბალახზე თავქვე დაბლა მიასრიალებდა მაქსიმალურად შენელებული მოძრაობით. უღონო, ძალაგამოცლილი არაფრის შემძლე ხელები ზემოთ მოუყვებოდნენ მოსრიადე სხეულს, ხელის მტევნის ზურგი ისე დაფხაჭნილიყო სისხლის კვალს ტოვებდა სრიალისას. სტკიოდა ნაკაწრი ადგილები, სიმწრით სურდა ხელის მტკივანი ზურგი ზევით, ცის მიმართულებით მოექცია, ხელის გულები კი ქვევით-ბალახისკენ ექნა, მაგრამ ძალის მცირედი ნატამალიც კი არ შემორჩენოდა, არაფერი ემორჩილებოდა. მხსნელად სიყვარულით მასზე მზრუნველი დათა გაივლო გონებაში. ვაჟი, რომელიც მისი გულობისთვის მთებს გადადგავს, სალ კლდეს რიყის ქვებად დაშლის და არემარეზე მიმოაბნევს. დათა მაყაშვილი აქამდეც უნდა გახსენებოდა მშველელად. დაუძახებს და მის ხმაზე იქვე თვალის დახამხამებაში გაჩნდება...

მაგრამ ანნას სისხლისფერმა ბაგეებმა განსაკუთრებული მცდელობის შედეგადაც კი ვერ მოახერხა სიტყვის წარმოთქმა. ისევ ფეხებში წამწვდარი ეწეოდა უხილავი გონჯი ქვევით, ანნაც წედანდელივით უღონო, ძალაგამოლეული მორჩილად დაუყვებოდა მის ნებას, სრიალებდა დაბლა, ნელი მოძრაობით, თითქოს, დედამიწა დაქანებული ფერდობი ყოფილიყო. საინტერესო იყო, ამ ფერდობის ქვეშ, იქ სადაც დასასრულია, რა დაუხვდებოდა, ანკარა წყაროს წვეთებით სავსე გუბურა, რომელსაც უკვდავების მაგიური თვისებები ჰქონდა, თუ კიდევ უფრო სხვა რამ?.. ერთი კი იყო, შიშს გრძნობდა, გაუთავებელს, გულში საკლავ შიშს, და ეს შიში

მაშინ უფრო გაძლიერდა, როდესაც მისგან ნახევარი მეტრის მოშორებით ფერდობზე მსგავსად თვისსა ნელა მცურავი ადამიანის თავს ზევით გაწოლილ უღონო მკლავებს მოჰკრა თვალი. მის სახეს ვერ ხედავდა, რადგან გრძელი, ნემსებივით ამოწვერილი გამხმარი ბალახები ეფარებოდნენ, თუმცა გუმანით გრძნობდა ფერდობისკენ სრიალა ადამიანის ახლობლობას. უცხო არ იყო, მაგრამ ვინ უნდა ყოფილიყო, ნასტინკა თუ ვერა? ან იქნებ გარდაცვლილი დედა ან მამა იყო, რომელთა დიდი ხნის უნახავობამ გაუცხოვება მოჰგვარა?

ანნა გამთენიისას შეშინებული წამოვარდა ლოგინიდან, „ავი სიზმარი წყალს უნდა გაატანო“, გაახსენდა მეზობლად მცხოვრები კატო ბებოს ნათქვამი, რომელიც ისევე შთანთქა სიკვდილის ქვესკნელმა, როგორც სხვა გარდაცვლილი ადამიანები. მათგან მხოლოდ მოგონებალა შემორჩება ხოლმე გულსა და გონებაშიო, გაივლო აზრი. მერე გვერდით არხეინად თვალდასუტულ დათას შეავლო თვალი, რომლის ნახვა, თუნდაც მძინარე, სიძლიერისა და სიმშვიდის გარანტიად ევლინებოდა. ერთჯერადად კი გადაიფიქრა გუნებაში დათას ხილვის შემდეგ, სიზმარმა რა უნდა დამაკლოსო, მით უფრო რომ თბილი ლოგინიდან ბინდბუნდში წამოდგომა დაეზარა, ეზოში გასვლა და ონკანის წყლისთვის სიზმრის გატანება. თვალის კი მიუნაბა ერთხანს დათას ხმაურიანი სუნთქვით გულდამშვიდებულმა, რომელიც ტბილ, კლასიკურ ჰანგებზე უფრო მგრძნობიარედ ჩაესმოდა ყურთ, გულის კუნჭულში სიამოვნების ვარსკვლავს აბრჭყვიალებდა... მაგრამ, გაახსენდა, რომ ბავშვობისას დედაც უძლეველი ეგონა, მერე მამაც, ოღონდაც დედაზე ოდნეუ ნაკლებძლევეამოსილი. თუმცა სიკვდილმა ორივე დაურიდებლად შთანთქა. სიცვიისა და შიშის ეკალმა დაბურძგლა, კანზე პატარ-პატარა წერტილებმა იწყეს გადმოყრა. ელდანაკრავივით გადმოხტა თბილი ლოგინიდან, უმძრახ მდგომარეობაში გადაირბინა ეზო. ონკანი გახსნა და ახლოს მიტანილი პირიდან ამოსთქვა სამჯერ: – ჩემი სიზმარი წყალმა წაიღოს, ჩემი სიზმარი წყალმა წაიღოს, ჩემი სიზმარი წყალმა წაიღოს...

მერე, თითქოს შვება იგრძნო, მაგრამ ახლა ცრუმორწმუნედ ჩათვალა თავი. სიზმარს მისთვის მოსვენება დაეკარგინებინა. სულიერ სიმშვიდეს ეძებდა მშობლიურ წილში. წელში გასწორებულმა გადახედა მახლობლად ბადის შუაგულში მუხლზე დაყუდებულ უფროს დაიკოს, რომელიც გაღვიძებული უძრავად სულგანაბული, თვალს ადევნებდა დის საქციელს.

„ღვიძავს“, გაივლო გულში ანნამ. მძინარეც უნახავს ნასტინკა, მუხლზე მჯდომარე მუცელმოკუნტულიყო, თავი მუხლებში ჩაერგო. ასეთ დროს პატარა მრგვალ ქვას ემგვანება ხოლმე მთვარის მიმქრქალ შუქზე მძინარი:

–ნასტინკა, არ გძინავს?–ახლოს მისულმა ძალიან ჩუმად ჰკითხა. მუხლზე მჯდომარე ანასტასიამ დას ქვევიდან ამოხედა, მთვარის შუქმა სახე გაუნათა. მის ფერმიხდილ სახეზე მარგალიტებივით წყება-წყება მოგორავდნენ მსხვილი ცრემლები. ანნა დაიბნა, სურდა დასთან

მიახლოვებით საკუთარი სიმშვიდე ეპოვნა, მაგრამ პირიქით დაუხვდა, მასაც გადასდებოდა ანნას მტანჯველი ხასიათი.

–ნასტინკა, შენ ტირი?–ჰკითხა ისევ ჩუმის ხმით, თუმცა პასუხად დუმილი მიიღო. ანასტასია მას ისეთი მუდარის თვალებით უმზერდა. ქვევიდან ზევით, რომ ფეხზე მდგარმა ანნამ უპირატესობა იგრძნო უფროსი დის წინაშე, უფრო ძლიერად მოეჩვენა საუთარი თავი. გაკვირვებულმა ერთი კი შეავლო მზერა, მერე ახლოს მიეჭრა, კისერზე ხელები შემოხვია და უფროსი დის თავი მუცელზე მიიხუტა. მის გრილ თმებს ფერება დაუწყო, ცრემლებმა დაპა-ღუპით თავისით იწყო დენა ანნას თვალებიდან, მუცელზე მუხუტებული დის სუნთქვაზე გრძნობდა მის ქვითინსაც. ორივე ტიროდა, ფეხზე მდგომიც და მუხლზე მჯდომიც:

–ნასტინკა, ცუდი სიზმარი გეზმანა? ნასტინკა... რა გატირებს ჩემო დაიკო?–ეკითხებოდა ანნა და ცდილობდა დისთვის შეუმჩნეველი დარჩენოდა საკუთარი ცრემლებით გამოხატული სისუსტე. მაღლა ბნელი ცისკენ იხედებოდა, რომელზედაც ვერსკვლავთ ციალი არსაიდან მოჩანდა, შავ ღრუბელს მიფარებული მთვარე შორიდან, ბუნდოვანდებოდა სიმუქეში აღბეჭდილი.

–სიზმარი იყო, ანნა, სიზმარი...–ტირილით ამოუქვითინა უფროსმა დამ, რომლის წინაშეც ანნამ მუხლზე დაიხოქა, ჩახუტებულნი ერთმანეთის გულის ფეთქვას გრძნობდნენ და შეგრილებულ სხეულს საკუთარივით უთბობდნენ ერთურთს.

–გახსოვს, რას გვარიგებდა დედა?–მდულარე ცრემლები საუბარს ანაწევრებინებდა ნასტიას.

–დედა სულ გვარიგებდა, მუდამდღე...

–არა, ერთმანეთზე გვარიგებდა, გვერდით დოგმა უნდა შეგეძლოთო...

–ჰოდა, ხომ ვდგავართ, თუ ვზივართ გვერდიგვერდ.

–ის გახსოვს? დედმამიშვილზე ახლობელი არავინაა ამქვეყნადო, დედა-შვილიც ვერაა ისეთი ახლო მშობლიურად მაკავშირებელი, როგორც ერთი დედმამის შვილებიაო?

–კი მახსოვს ნასტინკა, მახსოვს...

–დედმამიშვილები ერთი ბიოლოგიური ორგანიზმის პროდუქტები არიან, ერთ ნიადაგზე გახარებულ-ადმოცენებულნი, ერთ რტოზე მსხმოიარე ვაშლის ნაყოფები, ერთი სისხლისა და ხორცის მქონენი...

–ვიცი!

–ერთურთის ტკივილის გამზიარებლები და ემოციების მატარებლები უნდა იყოთო.

–ვართ კიდევ.

–ანნა, ძალიან მიყვარხარ, დაიკო...–ნასტიამ სახე ჩამოადო ანნას კაფანდარ მხარს და აქვითინდა.

–მეც მიყვარხარ... ჩუ, ნუ ტირი, რა მოგივიდა, ნასტინკა?...–ჩურჩულით ამშვიდებდა უფროსს დაიკოს, შუბლს უკოცნიდა და თვითონაც უნებლიედ მაცრემლარი იყო.–სიზმარი ნახე?

ნასტიამ მღუმარედ დაუქნია თავი დას.

–მერე, სიზმარი რომ ტყუილია, შენ არ იცი? რა გატირებს?... სიზმრის გულისთვის რომ ტირი, ბავშვი ხომ არ ხარ?

–შენ, ანნა, განა შენთანაც სიზმარი არ იყო?

ანნა დააფიქრა დის ბუტბუტმა, თავისი სიზმარი თითქოსდა წამიერად გადავიწყებოდა. მერე ერთავად სიცივის ეკალმა დაუარა თავიდან ფეხებამდე, მის ძარღვებში მოცირკულავე სისხლიც კი სიცივის შეგრძნებას ტოვებდა. მას კარგად ახსოვდა, ნასტიასთან საკუთარი სიზმრის შესახებ კრინტი არ დასცდენია, მან კი, თითქოდა, იცოდა ანნა სიზმრის შესახებ.

–გააჩნია სიზმარს, ანნა, ზოგის უნდა გვჯეროდეს, ზოგისაც არა, მაგრამ იმის შიშით რომ შესაძლოა შევცდეთ რომელია დაუჯერებელი, მისი შიშით დასაჯერებელსაც არ ვიჯერებთ.

ანნა კვლავინდებურად სიცივისგან აკანკალდა. ხმის ამოდება უძნელდებოდა, დაფანტულ აზრებს თავს ვერ უყრიდა, გაოგნებულიც იყო, განცვიფრებულიც, გახარებულიც, იმიტომ რომ დის შეუცნობელი სამყაროება ძალისმიერ მფარველად ევლინებოდა. დედის გარდაცვალების შემდეგ ნასტია ჰყავდა დედასავით მოამაგე, მისი ნდობა და დამაჯერებლობა ზენიტში აჰყავდა ორივე დას. გვერდზე გაიხედა, საღებავშემოცლილ სახლს დაკვირვებულად გაუშტერა თვალი. ნეტა, მარია თუ ხედავს სიზმრებს? თუ ეყურება ჩვენი ტკივილის? ნეტა, ჩვენი ცრემლი გულს თუ უჩუყებს?– ფიქრობდა თავისთვის და ამ აზრის გახმოვანებას არც აპირებდა ნასტიასთან, რათა გულისტკივილი არ გამოეწვია მასში.

–ან რა ვაღდებულეებაა, ჩვენმა ცრემლებმა გული აუჩუყოს? რატომ უნდა სტკიოდეს ჩვენს მაგიერ? ჩვენი წილი ჯვარის სიმძიმე გინდა აიძულო მანაც გაინაწილოს? არავინ დაავაღდებულო შენს სიყვარულში, არავის თანაზიარობა არ აკადრო. ეს მისი ნებაა შეგიყვარებს თუ არა, გაინაწილებს თუ არა შენს სევდიან ყოფიერებას...სევდიანს, თორემ მხიარული ყოფიერების გამზიარებლობას მოპატიჟები არ ჭირდება, უღევად დაგესევინ თავს ცბიერნი... – თავისთვის, ისე სასხვათაშორისოდ საუბრობდა დამრიგებელური ტონით ანასტასია.

ანნა გაფაციცებით უგდებდა ყურს დის მონოლოგს, რომელიც ესოდენ გაჯერებულიყო სევდიანი, მაგრამ თბილი ხმის ბგერებით. დედობრივი მზრუნველობით აღსავსე დარიგებები, თითქოს, სადღაც შორიდან მოესმა,

ცას კიდევებზე აისის ელფერი დაკრავდა, შემოვარდისფერებულად შეპარვოდა ჰორიზონტს მსუბუქი ნაბიჯით მავალი ალიონი:

– რამდენი ხანია სახლში არ ვყოფილვარ, მისი სითბო აღარ შემეგრძენია.– ღრმა ამოსუნთქვა ამოაყოლა ნათქვამს ანასტასიამ. მერე დადუმდა, მცირედხნიანი დუმილის შემდეგ ანნას სმენამახვილმა ყურმა კარგად გაიგონა თუ როგორ მსუბუქად ჩაეცინა დას. –რამდენი ხანია აქ აღარ მიფუსფუსია, საქმით რომ გადავიღლები ხოლმე, ვნატრობდი, ნეტა ამ სახლს მომაშორა-თქო... ახლა, მენატრება. კრძალვით ვივსები, როცა მახსენდება თუ როგორ დაიარებოდა თავისი მშვიდი ხასიათითა და ნაზი ნაბიჯებით დედა, არისტოკრატი წარმოშობის, ლამაზი და მიუხედავად აზიზად გაეზარდათ თავის მშობლებს, მისნაირად არისტოკრატი და ასეთი მშრომელი არ მეგულება სხვა... მამაც მახსენდება, დამახასიათებელი სიარულის მანერით, სამსახურზე გამუდმებულად მაფიქრალი, ჩვენს უჭმელობას რომ დარღობდა...

ანნას გარდაცვლილი მამა წარმოუდგა თვალწინ, ბავშვობის დროინდელი კადრი, სანთლისფერი, არაფრისმთქმელი სახით, ყინულივით ცივი და გაღურჯებული ტუჩებით, თვალწინ წარმოუდგა. ასეთი შემონახული კადრები გასახსენებლად უჭირდა, სურდა გაექრო მეხსიერებიდან, მაგრამ ამოდ, დაძველებული კადრები გაქრობას არ ექვედებარებოდა. ტკივილით სამსე კადრების გახსენება ცხვირის წვერს უწვავდა, წვის მერე ცრემლებმა იცოდნენ თვალის კალაპოტიდან გადმოღვრა. მიუხედავად თავისი აზრების თუ წარმოდგენების გაუხმოვანების, მიხვდა, რომ ნასტიაც იმასვე გრძნობდა და განიცდიდა, რასაც თვითონ:

–ხო, მამა გარდაცვალებისას მეც მტკივნეულად ჩამრჩა მეხსიერებაში. მომაკვდავის ცხვირწინ სარკე მიჰქონდა მარიას და შიშით უყრებდა, დაიორთქლავდა თუ არა... სუნთქვის შესაწყვეტად ვერ იმეტებდა. მარიას მაშინ ძალიან უჭირდა, მამის დაკრძალვის შემდეგ ფსიქიკური პრობლემები შეექმნა საცოდავს, გვერდით მდგომი და გულის დამწველი არავინა ჰყავდა ჩვენს მეტი... ჩვენც რა, პატარები ვყავდით. ეგეც შესაცოდია, მამაჩვენის დღემოკლეობამ კარგი ვერაფერი მოუტანა. არც საკუთარი შვილი არ დარჩა, ჩვენს იმედად ამყოფებს ზენა.

ანნამ გაიფიქრა რომ მიუხედავად დედინაცვლის მწარე და რთული ხასიათისა, მაინც როგორ შესცოდებიაო, ანასტასიამ კი თქვა:

–ჰო, ცოდოა და შესაბრალისი. არავის უნდა რთული ხასიათი გააჩნდეს ამ ქვეყნად, რადგან თავის ხასიათით სხვას არ ვნებს იმდენს, რამდენსაც საკუთარ თავს... ახლაც ცოდვია, მარტოა, ცუდი სიზმრები მასაც უმწარებს სულსა და გულს. ისიც დაეხეტება ხოლმე მარტო, ეული სახლის ჩაბნელებულ ოთახში. ცოდვია აბა, რა, ცხოვრებას ნებიერ ვარსკვლავზე სანარნაროდ კი არ მოუვლენია, არამედ გასაჭირის დათმენისთვის, სიღუბნეში სიკეთის შესანარჩუნებელის გამოსაცდელად.

–რას ვიზამთ, ყველას თავისი მისია აქვს შესასრულებელი.– დაეთანხმა ანნა და თვითონაც გააკვირდა, საპასუხოდ გამოთქმული აზრის დაკვირვებისას.

–მართალი ხარ დაიკო!

ანნა უყურებდა მოსაუბრე ნასტიას და გრძნობდა სარკის ეფექტს, მისი ხილვისას, თითქოს, სარკეში საკუთარ თავს ირეკლავდა. აზრები ორივეში ერთნაირად იბადებოდნენ, ერთურობის შესაცნობად სიტყვიერი გახმოვანება საჭირო აღარ იყო, ფიქრობდა ერთი და მეორე იმავეს გრძნობდა. დებს შორის მჭიდრო კავშირი აშკარა თვალშისაცემად იგრძნობოდა:

–დაიკო, მართალი ყოფილა დედა.– გადაულაპარაკა ანნამ. –არავინაა ისეთი ახლობელი ქვეყნად, როგორც ერთი დედ-მამის შვილები. შენზე ახლობელი არავინ მყოლია. ვგრძნობ შენს ყველაფერს, რას გრძნობს შენი გული, ჩემმა ზედმიწევნით კარგად იცის, და გულწრფელად თანუგრძნობს.

ნასტასია უხმოდ ტიროდა. თვალდახუჭულს ცრემლები ღაწვებს უსველებდა, სუსტი მხრები უთრთოდა. ანნა ხვდებოდა, რომ ეს ცრემლები სიხარულისა და იმ სევდის ნაზავი იყო, რომელსაც ბავშვობისას განიცდიდნენ, ორივესთვის საერთო იყო ტკივილიც და სიხარულიც. ანნას აღარ სციოდა. მასში შინაგანი მღელვარება სითბოს შეეცვალა. ძარღვებში თბილმა სისხლმა დაუარა. მუხლზე დაჩოქილ დაიკოს ჩაეხუტა. მათ თავს წამოდგომდათ დილის შემობრძანება:

–როგორ თქვი წედან, რამდენი ხანია სახლში არ ვყოფილვარო?

–კი, ასეა. მომენატრა კიდევ...

–არ გინდა შემომყვე? ერთად შევიდეთ, დედაჩვენის ნახელავები ამოვალაგოთ სკივრიდან: ნაქარგები, ნაქსოვები, მისი ხელით შეკერილი კაბები... ვერას წითელი კაბა გახსოვს? დედას ნაქონი მოცეკვავე ბალერინიანი ზარდახშა გახსოვს?

–წითელი კაბა ისევ არსებობს?–ნასტიას თავშეკავებულად ჩაეცინა, ბაგეზე მოკრძალებული ღიმილი დაეფინა.

–შენ მოუტანე ხომ გიმნაზიიდან ვერას?

–კი, ანნა, მე მოვუტანე, ჩემს მეგობარს ჰქონდა თავის ნახელავი. იცი, როგორი განცდა მქონდა, როცა სახლში მოვიტანე და დავმალე? ის დღე ნათლად შემომრჩა აქ– თქვა და საჩვენებელი თითი თავზე ნაზი სიმსუბუქით მიიკაკუნა. –ბევრი მოგონება მაკავშირებს ჩემს ოჯახთან, სახლთან. ხანდახან თვალედახუჭული ვფიქრობ, რამდენს გაუძლო ამ თხელმა ხის კედლებმა, რამდენის მნახველი იყო ეს მიწა, ეს ხეები... ყველაფერი მენატრება, ოჯახური სითბო-განსაკუთრებულად.

–ჰოდა, რადგან ასე გენატრება ოჯახური სითბო, მე შეგიძღვები სახლში, ერთად შევიდეთ ახლა, ამ დილას, ხომ გინდა?

ანნამ დაკვირვებულად შეავლო თვალი დის მზერას, რომელიც სახლის კედლებს სიყვარულით აღსავსე ესიყვარულებოდა.

– არა, ჩემო ანნა, არა, მე უკვე აქ დავიმკვიდრე ადგილი. აქედან ფეხის მომცვლელი აღარა ვარ. შევპირდი კირილეს სულს და უნდა შევუსრულო.

– ცოტა ხნით დაიკო, ერთი საათით, გთხოვ, მერე ისევ მოდი და ისევ დაიხოქე ძველებურად.

ნასტია ერთხანს გაირინდა, პირზე ღიმილმა გადაურბინა, თვალწინ წარმოუდგა სახლის კედლები, რომელსაც სითბო და სიმყუდროვე მოკლებოდა მის იქ ყოფნისას, ახლა კი დასევდიანებულ მგლოვიარედ ქცეულიყო:

– არა დაიკო, ჩემი აქედან წამოდგომა წარმოუდგენელია, ეგ არასდროს მოხდება. ჩემი ბედი და მომავალი უკვე გადაწყვეტილი მაქვს. მე კირილეს სულს მსხნელად უნდა დაუდგე, მედგრად ვარ, მედგრად... არაფერი მიჭირს, ნუ შემიცოდებ, ანნა. ხომ გითხარი, უკვე ყველაფერი მტკიცედ გადაწყვიტე.

ეზოში შაშვმა იწყო გალობა, დილის შემობრძანებას ეგებებოდა ტკბილი ხმით.

– ასე ძალიან გიყვარდა? – ჩუმად იკითხა ანნამ.

– მიყვარდა. – თავი დაუკრა ანასტასიამ – ახლაც მიყვარს.

– ახლაც?

– ჰო, ახლაც. იმასაც ვუყვარდი...

– ახლა?

– ახლა სული უჭირს. დიდი ცოდვა მოსწია თავს ჩემს გამო, ჩემი სიყვარულის გამო.

– მერე რატომ ქნა ასეთი რამ, პატარა ხომ არ იყო ვერ გაეცნობიერებინა რას სჩადიოდა?

– ნუ დამისჯი ახლა საყვედურებით, ნუ დამისჯი სიტყვებით ისედაც დასჯილს. სიტყვებით ადამიანის ხელმეორედ დაბადებაც შეიძლება და გარდაცვალებაც. რამდენჯერაც თვითმკვლელს თვითმკვლელებისთვის დაძრახავ, იმდენჯერ ხელახლა იკლავს თავს. ნუ დაუმძიმებ ყოფიერებას ჩემ კირილეს სულს, გთხოვ, პირიქით თქვი: კარგი რომ იყო, ის თქვი ხშირ-ხშირად, კეთილიც ხომ იყო, სამშობლოზე თავდადებულიც, ერთგულება რომ უყვარდა, ეგაც თქვი. მეგობრის ღალატს გულში ვერ გაივლებდა. ყველა უყვარდა, ყველა გულთან ახლოს მოუდიოდა. გლახაკსა და უპოვარს გულგრილი ვერ ჩაუვლიდა. „მარიაკების“ მიერ მოკლული მეგობრის ოჯახს ჯამაგირი რომ მიაწოდა, მის ცოლს ებევრა. თურმე, თავისი მიუცია, ორი გასამრჯელო იყო იქ, მისთვის არ უთქამს, მხოლოდ მე გამანდო, ისიც ძალიან მოკრძალებულად. კირილე მებრძოლი მყავდა. ბუნებით მეომარ

მამაკაცს ყოველთვის აქვს აფექტობასთან მჭიდრო საზღვარი, თუ ზღვარს გადავა მისი განცდები, მერე თავის კონტროლი აღარ შეუძლია.

კირილეც ასეთი იყო... არც ერთ სხვა მამაკაცს არ შეუძლია, ისე დაუახლოვდეს სიკვდილს, რომ საკუთრივ გაითავისოს, როგორც სიკვდილის პირას მყოფ მომაკვდავს და მეომარს. პირველი მას ნელა ეჩვევა, მეომარს კი იმდენჯერ აქვს სიკვდილითვის თვალეში ჩახედული, რომ მისი არსებობა, ანდაც სიახლოვეს ყოფნა, აღარ აღარდებს, არც უშინდება სიკვდილს. ჩემი კირილე ზედმეტად უშიშარი მყავდა, არასდროს დაემონებოდა შიშებსა და მისით გამოწვეულ უსიამოვნო განცდებს, ამას არამებრძოლი თვისებების მქონე კაცი ვერ გაიგებს, იმიტომ რომ მას თავის თავზე შეყვარებულს, სიკვდილისთვის თვალი თვალში არ გაუყრია და პანიკურად ეშინია მისი წარმოდგენის... კირილემ ჩემი სიყვარულისთვის ჩაიდინა არჩასადენი, ჩემს გამო... მე ვერ გამოვდექი ხელმარდი, აზრმარდი, შორს ვერ განვჭვრიტე მოვლენები. იცი, სიყვარული გადარჩენისთვისაა მოგონილი. ორის სიყვარული ერთი ხდება ხოლმე. იმის თვალით დანახვა რომ შეგეძლოს, რაც უჩინარია, გაცდები. ადამიანს, როგორც ნისლი, ბურუსი ასეთი ჰერის ტალღები დასდევს, მაგრამ როცა შეყვარებულია წრფელი გულით, მაშინ ფერს იცვლის ეს თანმდევი ნისლეული, მკრთალად ფერადდება. თუ მას ისეთივე წრფელი სიყვარულით უპასუხებს მეორეც, მაშინ მათი ნისლი ერთიანდება, უფრო მეტად ფერადდება. ვარდისფრიდან გარდამავალი ფერია, იასამნისფერში... ანასტასიამ ხელით მოხაზა ჰაერში წრე, თითქოს თვალით სრულიად სხვა სივრცის ნახვით გართულიყო. მის გარშემო, დედამიწაზე არსებული საკაცობრიო სიცარიელე ამოეფსო იმ ფერის ნისლეულებით, რომელსაც ანასტასია სიტყვიერად ხატავდა უმცროსი დისთვის.

–სული რა არის?

–სულიც მაგ ფერებშია, ხომ ნათელია ახლა, სული თუ მოსიყვარულე მდგომარეობაშია, როგორ ნეტარი შვებით იმსება, უსიყვარულოდ სული ქორფა ტოტზე საცოდავად მობუზულ ჩიტს ემგვანება. უსიყვარულო ადამიანის ნისლეული მოთეთროა, ვნებებისგან გარყვნილის, აი ისეთის, სიყვარულის ნიჭი და უნარი რომ აღარ შესწევთ მეტი მრუში ფიქრებისა თუ ქმედებებისგან, მოშავო.

–მართლა?–გაიოცა ანნამ.– ...და როგორ ფიქრობ, დათას თანმდევი ნისლეული რა ფერია?

ნასტიას ისევ თბილმა ღიმილმა დაუმშვენა მთვარესავით გადაბადრული სახე. მოსიყვარულე თვალებით შეხედა დილის ქორფა სინათლეზე დაიკოს, რომელიც გვერდს უმშვენებდა და უთბობდა სხეულის მიხუტებით და თბილი ხმით უპასუხა:

–შენი დათა ძალიან, ძალიანაა შენზე შეყვარებული, და თანაც ისე ძალიან, რომ თითქმის უზომოდ და უსაზღვროდ. სიყვარული ორის გულში იბადება და მთელ მათ საცხოვრებელ არეალს ათბობს. რომ არა ეს გრძნობა ამ ქვეყნად ჩვენც არ მოვევლინებოდით. აქ, სწორედ, იმისთვის

ვართ, რომ ჩვენი რჩეულის ძლიერი სიყვარული შევძლოთ, რათა სულიერად უფრო მეტად ავმაღლდეთ, სიყვარული იქ ანასტასიამ თვალებით ზეცას ახედა და ჩაილაპარაკა-იქ, წაგვადგება.

– ხანდახან მგონია, რომ სიყვარული ჩვენ, ადამიანებმა გამოვიგონეთ, იმიტომ, რომ ასე უფრო მოგვეწონა, მერე გავაზვიადეთ, თითქოს უიმისობა აღარ შეგვიძლია, მერე...

– ჩუ, ანნა, მსგავსი აღარ გაიმეორეო. ჩვენ ვერ გამოვიგონებთ სიყვარულს. ჩვენ, ადამიანებს მხოლოდ სიძულვილის გამოგონება შეგვიძლია. სიყვარული ეს იმან, ზეცად რომ გვეგულვის, იმან გამოიგონა. ის ძალზედ ტკბილია, მზრუნველი თითოეული მასთან მყოფი სულისთვის... სამოთხეც მასშია, მის შიგნით...

ნასტიას თვალებიდან ცრემლები ჩამოუგორდა, პირჯვერი გადაისახა თხელი თითებით და შუბლი მიწას შეახლო ისე მძლავრად, რომ ტუჩები მიწას მიაბჯინა. მიწას ეამბორებოდა მლოცველად მობუტბუტე.

ზურგს უკან ბრახუნის ხმა მოესმათ დებს. ნასტიამ ყურიც არ ათხოვა კარის ბრახუნს, ძველებურად განაგრძო მთელი გულის შეგრძნებით ლოცვა. ანნამ მშვიდად მიაბრუნა თავი მეზობლად მოდგმული სახლისკენ, კარში ახლადგადვილებული დათა მაყაშვილი იდგა, თმებაბურძენული, კოპებშეკრული:

– ანნა, შემეშინად ასე დილაუთენია რომ ვერ გნახე, ხომ მშვიდობაა?– გაუის შეშფოთებული მხერა თავს არ ანებებდა ანნას თბილ, დამშვიდებულ სახეს.

– სიზმარი ვნახე ცუდი, წყალს გავატანე, მერე ნასტინკასთან ჩამოვჯექი ცოტა ხნით და თავზეც დაგვათენდა... მერე, შენც დაგვადექი და...

დათა ღიმილით მიუახლოვდა ახალგაზრდებს, ხუმრობით ჰითხა: – მეც აქ ხომ არ ჩამოვმჯდარიყავი?

– დათა, შენ ხომ გახსოვს ჩემი კირილე?– დაეკითხა ძალზე მშვიდი სახითა და აულეღვებელი ხმით ნასტასია. – გთხოვ, გაიხსენე, როგორი იყო კირილე ბუნებრივად?

– ძალიან ჯიგარი.– დაიწყო დათამ. – ჯიგარი ბიჭი იყო, მეტი რა ვითხრა, რა გაინტერესებს? უკან დახევა არ იცოდა, მეგობრებს გასაჭირში არ მიგვატოვებდა, მარტო მეგობრებს კი არა, ცხრა უცხოს მიეფერებოდა და გაჭირვების ჟამს გვერდით დაუდგებოდა. შენ ასე, როდემდე უნდა იჯდე, შენში დრომ ვერ შეამსუბუქა კირილეს ნატრილობევით გამოწვეული ტივილი?

– ვერც შეამსუბუქებს დრო ამ ტივილებს, იქამდე, სანამ მის სულს შევბას არ ვაპოვინებ.

– შენ როგორ მიხვდები მერე მისი სულის შვების პოვნას?

–მივხვდები, დათა, მე პირველს მეცოდინება ეს... უფალმა ყველას ცოდვა აიღო საკუთარ თავზე, დაითმინა და შეძლო. მე ერთი კინკილა კირილეს ცოდვას ვერ დავძლევე?–ხმაში ფაქიზი იუმორი შეეპარა ანასტასიას.–შენ რას შერები დათა? აბა, ეგაც თქვი.

–ჰო, რას უნდა ვშერებოდე, ცოტა გახარებულებიც კი ვართ. ლონდონში კრება გამართულა, პარტიული, იქ ყრილობაზე კენჭისყრა სამით თერთმეტზე მოუგეს მენშევიკებმა ბოლშევიკებს. მენშევიზმი იმარჯვებს, მგონი თავისუფლება არ უნდა აგვცდეს, ავტოკეფალიასაც გამოვკრევთ ხელს და კიდევ ბევრ რამესაც. მე ახალი ბინის მიღებაზე ვმუშაობ. დამპირდნენ, და ახლა ალბათ...

–ნეტა ჩემი სიზმარი რას ნიშნავდა? იქნებ ახალ ბინაში გადასვლის ნიშანი იყოს?– ანნას გაფაციცებული მხერა ნასტიასგან დათაზე გადაჰქონდა და პირიქით.

–ანნა, ალბათ ომი დაიწყება, მზად უნდა ვიყოთ!–თქვა ანასტასიამ და პირჯვარი გადაიწერა.

–ჩვენთან?– დათას ხმაში შეშფოთება დაეტყო.

–ჩვენთან არა, მაგრამ, ჩვენ...– სიტყვის დამთავრება აღარ აცალა დათამ ანასტასიას, შევებით ამოიოხრა ამ უკანასკნელმა და ანნას მხრებზე ხელისგული მოუთათუნა. –გვეყო საუბრები, ადგ, საუზმისთვის მოვემზადოთ. მიწაზე ჩამოცუცქული ანნა ერთბაშად წამოხტა, კაბის კალთა ხელით შეიბერტყა და მეზობლად მდგარი ვიწრო სახლისკენ დაიძრა. სახლის ზღუბლზე ახლად გაღვიძებული ვერაც გამოჩნდა:

–თუ ომი ჩვენთან არ იქნება, აბა, სანერვიულოც არაფერი გეკონია, პირიქით, სამადარიჩოდ გვაქვს საქმე, აღჩუზე აწყობილი. –საუმზედ ცხელ ჩაის ლუკმებად აყოლებდა პურის ნაჭრებზე გადასმულ კომშის ხელფაფას.–მალე ბინას მივიღებ, იქ გადაგიყვან, კარგად ვიქნებით, აბა, ამ უცხო სახლში როდემდე უნდა ვიყოთ?

–მე?–ვერამ დარდიანად გამომცდელი თვალები მიაპყრო დათას –მე უთქვენოდ როგორ უნდა ვიყო აქ?

–ვინ დაგაჯერა რომ უჩვენოდ აქ უნდა იყო? შენც წაგიყვან, ხომ მეთანხმები, ანნა?.. შენც გადაგიყვან აქედან, შენ შენი ოთახი გექნება ღამაზად მოწყობილი.

–სარკვეც მექნება ჩემს ოთახში?

–სარკვეც გექნება შენს ოთახში!–ცხელი ფინჯანი პირთან მიიტანა, ერთი ყლუპის შემდეგ კი დასძინა:–აუცილებლად ღამაზი ავეჯი, საკერავი მანქანა-ზინგერი, თავის მაგიდიანად...

–ვერსადაც ვერ წავაღოთ!–ერთიხელის მოსმით ჩაუყარა ნანატრი იმედები მეოცნებეებს ანნამ.–ჩემს დას რა ვუყო? ნასტინკას აქ ხომ ვერ დავტოვებ,

საწყალი გოგო ვერ დადის, ერთთავად მუხლდაჩოქილია, ერთი ბოთლი წყლისა და ერთი ლუკმის მიმწოდებელი ხომ უნდა ჰყავდეს გვერდით?

–ხოოო, მერე რა, ნასტიაც თან წავიყვანოთ, იქ ჩაიმუხლოს სადაც ჩვენ ვიქნებით. ლუკმასაც მივაწვდით და...– მოკრძალებულ მაგიდას გადახედა დათა მაყაშვილმა, სიტყვის მარაგი გამოლეოდა, სურდა გაეხსენებინა, კიდევ რის გაკეთებას შეძლებდა ანასტასიასთვის, ჩაის ცარიელ ფინჯანს მოჰკრა თვალი და წარმოსთქვა:–ჩაისაც, ჩაისაც მივაწვდით, მსხლის ჯემიან პურსაც.

–ოცნება ოცნებაა, ოცნება რომ არ არსებულებო როგორღა ვიქნებოდით, თავს რითიღა ვინუგეშებდით?–ხალისიანად თქვა ანნამ და წინსაფარზე სველი ხელები შეიმშრალა.

–ანნა, უძახე შენ ოცნება და ერთხელაც შინ დაბრუნებულზე რომ გეტყვი, აბაა, აკრიფე შენი და შენი დების ბარგი-ბარხანა, ჩვენს სახლში გადავდივართ-თქო, მაშინ რაღას მეტყვი, შე მართლა ოცნებასავით ტკბილო, საინტერესოა.

მარტოდ დარჩენილი ანნა ისევ განცდიან სიზმარს ჩაფიქრებოდა. საინტერესოდაც ეჩვენებოდა და უჩვეულოდაც, მაგრამ გული ეჭვებით უფრო მეტად გამძაფრებოდა, როდესაც იმავე დღეს პურის რიგში მყოფმა ყური მოჰკრა რუსეთ-თურქეთის შესაძლო ომის დაწყების შესახებ ამბავს.

ორ ქვეყანას შორის მოქცეუნი, ალბათ შუაში გავიჭყლიტებითო, სევდიანი ფიქრობდა. შეშფოთება დღითი-დღე მძაფრდებოდა, მერე სიზმარი დრომ დაავიწყა, მაგრამ ომი მართლა დაიწყო. პირველივე ხანებში იგრძნობოდა ეკონომიური კრიზისი. პურზე უფრო დიდი რიგები დაიწყო, ნავთზე გაუთავებლად უშველებელი. ქალაქში ნებისმიერი ასაკის უმწეოებს ყოველი ფეხის ნაბიჯზე ნახავდით.

დილაუთენია იყო, როდესაც ნასტასიას თავისი ბავშვობის მეგობრები, პაშკა და დათო ესტუმრნენ. სამხედრო ფორმით შემოსილები, იარაღით ასხმულნი დაადგნენ თავს. პირისპირ ჩამოუსხდნენ და ბავშვური თავგადასავლების მოგონებებს შეუდგნენ:

–პაშკა, აი ამ ხეზე აიდგი პირველად ფეხი–გულიანად იცინოდა დათო და ბროწეულის ხისკენ ახედებდა მეგობარს –ნაბიჯებს აქ გითვლიდით, რომ იცოდე, სულ ხეზე დადიოდი, ჩიტებს დაინახავდი და იმდენს დასდევდი, იმდენს რომ ეცოდებოდი ხოლმე და ძალით გეჭყერინებოდნენ.

–რას მეჭყერინებოდნენ? –გაცეცხლდა პაშკა, თავზე ქოჩორი წამოეშალა მეტი ემოციებისგან– იმოტონა ჯაფარა რომ დავიტრე ცოცხალად, ეგაც რა, ძალით დამეჭყერინა?.. აღარ გახსოვს?

–კი, ძალით დაგეჭყერინა, შეეცოდე და აბა, რას იზამდა, შენი საცოდაობით ქვაც კი იწვოდა, ფეხსაცმელს ფეხსაცმელზე ყიდულობდა დედაშენი, სულ ახლებს ისე გაუცვვითდი ხოლმე წვერებს, რომ თითის ბალიშები ზემოდანაც კი გიჩანდა.

–მე ყოჩად ვიყავი, ფეხმარდი და მაგიტო, აბა შენნარიად სისარულისას კი არ მეძინა,

–მე მეძინა სიარულისას?

–ჰო შენ, ხვრინავდი კიდევ. ვერც დარბოდი, ფეხბურთშიც მე გჯობდი, შენ მეკარედ თუ ვარგოდი, ჰა და ჰა, ისიც თუ მოიხალისებდი მაშინ.

–დახედეთ ერთი ამას, თუ გინდ ეხლა გამეჯიბრე აბა, გინდა სირბილში, გინდა ხოხვაში,

–ხეზე ცოცვაში გამეჯიბრე აბა, აი წიწვოვან ხეზე ძრომიალში–თქვა და ხელით ახლომდგომი ცამდე აწვერილი ნაძვის ხისკენ მიანიშნა.

–განა შენსავით ციყვი ვარ, ნაძვზე ვიძრომიალო გირჩებისთვის. აგერა ფულუროსაცა ვხედავ ზედ, მიდი აძვერი და იქვე დარჩი, შეეტევი კიდევცა, ეგაა უკულო ციყვი ეყოლება ნასტიას ბაღში, ფაფუქ კუდიანი ციყვის ყოლასაც ბედი სდომებია.

ანნა გულიანად კისკისებდა იუმორს აყოლილი ბიჭების შემყურე. ნასტია ღიმილმორეული მშვიდი სახით უმზერდა ბავშვობის მეგობრებს, რომელნიც ისე შეხუმრებოდნენ ერთურთს, რომ თავი მართლაც ბავშვობის სამყაროში ეგონათ ჯერაც. ისინი გამალებულნი ხუმრობდნენ, საოხუნჯოდ სიტყვის ძალას არ იშურებდნენ.

ბიჭები ისეთივე მხიარული მანერებით წავიდნენ, როგორითაც მოვიდნენ. მათი მხიარული შეძახილები და ხარხარი მეზობელ სახლებს სწვდებოდა. წინ პაშკა გარბოდა, მსუბუქი ნაბიჯებით, უკან დათო მისდევდა შედარებით მძიმე სიარულის მანერით. პაშკა დათოსთან შედარებით უფრო სუსტი, წვრილი აღნაგობის იყო. მათი მოსვლისას თითქოს ეზო, კარ-მიდამო სამხიარულო განწყობაზე დამდგარიყო. მათი წასვლის შემდეგ ანასტასიამ ბავშვივით ტირილი მორთო.

–რა გატირებს?–ჰკითხა ანნამ და შუბლზე ამბორით მიუაღერსა საყვარელ დაიკოს.

–ისინი ომში წავიდნენ, მე არაფერი მითხრეს ამის შესახებ, მაგრამ გუნებაში მხიარულებით ცდილობდნენ თავიანთი დარდით დაფარვას. აქ, გამოსამშვიდობებლად მოვიდნენ, თუმცა არ გაამხილეს.

–მერე რა, დაბრუნდებია, ჩემო დაიკო, აი, ნახავ, პირველად მიდიან ომში თუ რა?

–ეს სხვა ომია, ანნა, იმ ომიდან დაბრუნება ძნელი იქნება. ჩემი კირილევც რომ ცოცხალი მყოლოდა, იმასაც მოუწევდა დიდ ომში წასვლა.

–ანასტასიამ მცირედხანს დუმილი ირჩია, მძიმედ ამოიოხრა, თითქოს მას ამოაყოლა ტკივილის მომგვრელი დარდი და სევდა. მერე კი თავისთვის დასძინა:–ნეტა ომის საკბილო გამხდარიყო და არა სხვა რამის... მაგრამ მაინც მაგარი მყავდა.–ჩაილაპარაკა დანანებით ნასტია.

–დათა რომ არ მიდის ამ ომში, რა ბედნიერებაა, იცი დაიკო?–თქვა სიხალისეაყოლილი ხმით ანნამ და ბაღში საქმიან ფუსფუსს შეჰყვა.

–ეგ შენთვის შევბაა და არა ბედნიება.–ისევ თავისთვის, ჩუმად ჩაილაპარაკა მჯდომარე ქალწულმა, ისე რომ ანნამდე ხმა ვერც მიაწვდინა, და ტკბილის ხმით ღვთისმშობლის სავედრებელ გალობას შეუდგა.

VII

ერთ დღესაც გაცისკროვნებულ ცაზე მზის დაბნელება დაიწყო და მოიცვა მთელი საქართველოს თავს მოსილი ზეცა, რომლის ცისფერი, წმინდა კამკამ-ციალი ბნელეთის სიმუქემ შთანთქა.

მოვლენებმა სწრაფად იწყეს განვითარება. ჯერ ეკლესიებს წართმეული ავტოკეფალია დაუბრუნდათ: ტაძრებში მხურვალედ გაჩაღდა წირვა-ლოცვა მშობელ ენაზე, მრევლი დაუბრუნდა ეკლესიებს, თავისუფლების სურნელით გაჯერდა არე-მარე, ჩიტებმაც კი თავისუფლად იწყეს ჰაერში გაჭრისას ნავარდიც და აყვავებული ნუშის ტოტზე ჩამოსკუპებულმა ბუღბუღ-შაშვამაც გალობა. თუმცა ეს დროებითი აღმოჩნდა.

ჯერ იყო და ისე იძრა მიწა, რომ მთელი გორი მიწასთან გაასწორა. შენობა-ნაგებობანი ნაცარტუტად აქცია, ნანგრევებიდან ავარდნილმა მტვერმა შეუძლებელი გახადა გადარჩენილ ადამიანთა სუნთქვა, რამდენმა ვერ გაუძლო ასეთ ნანგრევების მტვრით სამსე უჰაერობას და მოიხრჩო. რა ამბავიაო ჩვენს თავს?– კითხულობდნენ შიშით გათანგულები და განცდებს მწუხრი ეფენებოდა, როდესაც ნანგრევებთან აცრემლებულ ხალხს ხედავდნენ: მგლოვიარე დედა მიწასთან გასწორებულ სახლის ნანგრევებში შვილს ეძებდა, მამაკაცები შიგ მოყოლილ ცოლ-შვილს... მიწისძვრის თანმდევი ბიძგები ყოველდღიურად მეორდებოდა, ამიტომ გორელები სავალი გზის შუაში ფეხაკრეფით დადიოდნენ.

რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ ანასტასიას მეგობრები, დათო და პაშკა აღარ დაბრუნებულან. პაშკას სახელს გარდაცვლილთა სულის მოსახსენიებელ ლოცვებში იხსენიებდა ანასტასია, დათოს კი არა. ომის ხვედრი მტერ-მოყვარის სიცოცხლის ყლაპვაა, მარტო მიწების მტაცებლობა კი არა. დილიდან ლოცვას იწყებდა და ლოცვით აცილებდა დღეს მოსასველენლად. ღამის შემობრძანებასაც ლოცვით ხვდებოდა.

ერთთავად დაყუდებულს, გაუშლელი მუხლი თავიდან სტკიოდა, ფეხები უბუჟდებოდა, მაგრამ ტკივილი მაშინ მცირდებოდა, როდესაც ტკივილზე მაღლდებოდა არსობრივად. ფიზიკური ტკივილი მაშინ ითრგუნება, როდესაც სულიერი მხარე ზენიტშია. პირველი მეორის გასაძლიერებლადაა გამოგონილი.

ძლიერებას და სისუსტეს პარალელები ერთთავად ევლება საკაცობრიო ისტორიაში. ძლიერი იმიტომაა ძლიერი, რომ თვითონაც უნდა გაუძლოს და სხვასაც გააძლიეროს ტკივილი, სასოწარკვეთა და რთული ყოფიერება. ძლიერს რომ შეხედავს სუსტი, რომელსაც მხოლოდ მიმბაძველობა აკმარა ბუნებამ ნიჭად, თავდაც ეცდება მისნაირად სირთულის გამკლავებას. ამისთვისაა გამოგონილი ძლიერის სირთულის მოძალება და სუსტის მიმბაძველობა. სევდა სხვა რამეა, ეს სულის მდგომარეობაა – გამოხატოს პროტესტი სხვის უგუნურობაზე.

–არასდროსაა ადამიანი ისე ახლოს ღმერთთან, როგორც წრფელი სიყვარულის ჟამს და დიდი მწუხარებისას. ამ დროს სრულიად სხვას გრძნობს სულიერი: –უამბობდა ანასტასია მის მოსანახულებლად მოსულ სტუმარს. –როცა გიყვარს თვით ღმერთი შემოდის შენში, ისედაც შენშია თუმცა, უაზრო აზრები, ვნებებისადმი ლტოლვა მას ხელს ჰკრავს, ვერ შეიგრძნობ, მაგრამ სიყვარულისას, როცა გიყვარს და ისე, რომ შეგიძლია მის გამო საკუთარი თავი უკანა პლანზე გადაიყვანო, და მასაც შეეძლოს ანალოგიური გამოხატულება ჰქონდეს შენს გამო, ეს სრულიად ღვთაებრივი მდგომარეობაა.

საერთოდ ცხოვრებაში ბევრი საფრთხე არსებობს, ბევრი მახეა დაგებული. ძლიერიც კი გაებმევა ხოლმე მასში, მაგრამ თუ სიფრთხილისადმი შიში გააჩნია ადამიანს, ის ძლიერ და ნიჭიერ ადამიანადაა მოვლენილი ამ ქვეყნად. მე მკითხავი არ ვარ, ზოგი სამკითხაოდ მოდის ჩემთან. ამაზე ძალიან ვნერვიულობ, მე არ შემიძლია ვიღაცის მკითხაობა, ვუმარჩიელო, ხვალ მურაბიან ჩაის მარჯვენა ფეხის ფეხზე გადადებისას მიირთმევს თუ მარცხენა ფეხის შემოდებისას. მსგავსი სისულელეების გაიღიალებით ცხოვრება შეუძლებელია. წვრილმანებზე ყურადღებას მხოლოდ უსუსური ფსიქიკა აკონტრლებს. რა საჭიროა ასეთები. ამას წინათ ქალი მოვიდა, ფულს მაძალებდა, ოღონდაც მიმკითხავე ჩემი ქალიშვილებიდან, ოღია უფრო მაღე გათხოვდება თუ ვალიაო. არ შემიძლია-თქო ვუთხარი. იმან კიდევ-გეცოტავა ჩემი ფულიო?... ვეხვეწებოდი თავი დამანებე-მეთქი. ბოლოს თავი მუხლებზე დავიდე და ნამძინარევად მოვაჩვენე თავი. წავიდა, მაგრამ ანნას დაუბარა კიდევ მოვალო. მე ჩემი გასაჭირი მეოფნის, ჩემი კირილეს სულის ტანჯვა მჯიდად მაწევს მკერდზე, ან რა მარჩიელობაა, ვინ უფრო ადრე გათხოვდება. მთავარი ადრე გათხოვება კი არა, მთავარი ბედნიერების მოპოვებაა.

ნასტიას მშვიდი საუბრის ტონს სტუმრის ხასიათში სიღინჯე შეჰქონდა. ჭიშკრის კარი ხმაურით შეაღო დათა მაყაშვილმა და ჩვეულზე უფრო

სწრაფი მანერით გადაიარა ეზო. ნასტიას მიახლოებისას საღმის ნიშნად მარჯვენა ხელი აუწია და ხმის გაუცემლად გაუჩინარდა:

–ანნა, შეპყევი ერთი, ჰკითხე, მის თავს რა ამბავია?–ანნას მისამართით წარმოსთქვა მუხლდანიოქილმა ანასტასიამ და სტუმრის მოსაკითხიდან, რომელიც მის წინ, მიწაზე იდო გაზეთით თავმოხვეული ორჯამიანი, ჟანგისფერად გაბერილი შაფრანის ვაშლი ამოიღო და დათასთან გაატანა: –პირს გაისველებს ბიჭი, დაღლილი ჩანდა.

ანნა ფეხდაფეხ მიჰყვა დათა მაყაშვილს, რომელიც ტანსაცმლის კარადასთან ფუსფუსებდა. ანნას ფეხის ხმაზე მიყურადებისას კი იკითხა:

–ჩემი შავი ქურთუკი ხომ არ გინახავს?

–რაში გჭირდება? ჯერ მისთვის შესაფერი ამინდი არ დამდგარა, არ გამოთბა საიმისოდ–ოთახში შესული ანნა კედელს მიეყუდა და თვალი გაუშტერა დათას მოუსვენრობას.

–ამინდის გამო არ ვეძებ, მჭირდება... ანნა, მივდივარ! –დათამ კარადიდან ნაჭრებში გახეული დაკუნკრუშებული ნივთი გადმოიღო, ფაქიზად დაუწყო შეფუთვას გახსენა. ნაჭრების გროვა შემოაცალა შავად ალაპლაპებულ რევოლვერს. მერე ტყვიები მონახა, გარდერობში შედებულ დიდრონყელიან ჩექმაში ჩაყარა, ჩექმა პირდაპირ ლოგინზე გადმოაპირქვა, რევოლვერის ტყვიები მთასავით დაახვავა საწოლის გაქათქათებულ ზეწარზე.

ანნას სიკოპწიავე უყვარდა, მის ხელმონაკიდებს ისეთი პეწი და ლახათი ახლდა, რომ მაშინვე მიხვდებით ასულის სისუფთავის მოყვარულ ხასიათზე.

–დათა, მაგის გადმოყრა რაში დაგჭირდა?

–მივდივარ, ანნა, საჭიროა ჩემი წასვლა, ბიჭებმა ქეიფი გადავწყვიტეთ ბუნებაში და... შეიძლება სროლაშიც გავეჯობროთო, თქვეს.

–დათა, რაღაცას მიმაღავ, ხომ?! –ანნას ხმაში შეშფოთება გამოკრთოდა. მას დათა მიუახლოვდა, კედელმისუტებულ ანნას მხრებზე მოხვია ხელი და თვალმინაბულმა ჩაიხუტა. შუბლი ამბორით დაუთბუნა.

–მალე დაგბრუნდები, გპირდები, მალე...

ასულმა ნაღვლიანად ამოიხრა, ხელის გულით ჟანგისფერი ვაშლი გაუწდა: –ნასტიამ გამოგიგზავნა, პირს გაისველებსო.

–შენ მიირთვი, ასე უფრო მეტად შემერგება. ერთადერთი რაზედაც გული მწყდება, ისაა, რომ აქამდე ვაუიშვილი არ მეყოლა. არადა, როგორ მსურდა მყოლოდა, გიორგი დამერქმია და ჩემს ჭკუაზე გამეხარდა, სიყვერული მესწავლებინა, სამშობლოს სიყვარული... ჩემს ძმაკაცებში წამეყვანა და გული მეჯერა მისი ანცობით.

– გვეყოლება, დათა, რა ვიცი, სულ ასე ხო მარ ვიქნებით? – ანნამ დარიდებით დაიმორცხვა, დათა თმებზე ეამბორა, თავზე მოუთათუნა სიყვარულის ნიშნად ხელის მტკვანი.

მერე თავის ჩვეული მანერით სწრაფად გაემართა ანასტასიასკენ.

ის მარტო იყო, მუხლზე მჯდომი თვალს ადევნებდა თუ როგორ ეპარებოდა ირგვლივ მიმობნეულ პურის ნამცეცებს ნიბლია ჩიტი. დათას ქარიშხალივით მიახლოებამ ხელისგულოსოდენა ჩიტი დააფრთხო, ნიბლია ელვის სისწრაფით აფრთხილდა ჰაერში და თვალიდახამხამებაში გაუჩინარდა:

– ნასტია, მე მივდივარ, ჩემს მოსვლამდე ანნას შენ გაბარებ, მართალია, შენ იქით ჰყავხარ მისახელი, მაგრამ... შენ იცი, როგორ ჭკვიანურად დაარიგებ და გაამხნევებ ჩემი არყოფნისას.

– შენ საით გაგიწევია?

– მე, როგორც ყოველთვის, ჩემს საქმეზე უნდა წავიდე. არ ვიცი, იქედან როგორი დავბრუნდები. –

– რომელ საქმეზე?!

– შეტაკებას ელოდებიან. მოკლედ, დიდი ამბავია... მას შემდეგ, რაც საქართველომ აღიდგინა ავტოკეფალია და დამოუკიდებლობის ავტორიტეტი, მეგობრულ ურთიერთობაში ყოფნა მოინდომა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებთან. თუმც ბევრს არ გახარებია ჩვენი დამოუკიდებლობით წინსვლა. რამდენი ქვეყანაც გვესაზღვრება აქეთ-იქიდან, იმდენს უნდა საქართველოს დაპყრობა. ახლა, თურქეთში, ფრონტიდან მოხსნლი რუსული შეიარაღებული შენაერთები ითხოვენ, ვითომდაც სამშობლოში დასაბრუნებლად სარკნიგზო ხაზით, თბილისის გავლით შავი ზღვის ნავსადგურისკენ გადაადგილებას. ჩვენი ეროვნული საბჭო ამბობს: საკმარისია ისინი თბილისში შემოვიდნენ, რომ შეიარაღებულები თბილისის აღებას მოითხოვენო. საბრძოლო მოქმედებებისთვის უნდა ვიყოთო მზად, რა თქმა უნდა უარს ეუბნევიან თბილისზე გავლასთან დაკავშირებით, უკვე რეზერვისტების მობილიზაცია გამოცხადდა, სამხედრო ნაწილები ყაზარმულ სისტემაზე გადასულები, საომარი მოქმედების განგაშისათვის მზადყოფნაშია:

– ნუ გეშინია დათა, ყველაფერი მშვიდად დასრულდება, ყველაფერს წერტილი დაესმება, შენც მშვიდობით დაგვიბრუნდები, ანნაც კარგად დაგიხვდება, წუთითაც არ გაივლო გულში მისი დარდი, ანნა ისეთი არაა, დაუმორჩილებლობა გამოგიცხადოს, მას შენი სიყვერული ღოდინის საუკეთესო ნებისყოფას გამოუმუშეებს.

იმავე საღამოს გაცილება მოუწყო ანნამ მებრძოლად ქცეულ დათას. თვალის მიფარვამდე უყუებდა მიმავალს. პირჯვრისწერით ავედრებდა ზეციურს მის მშვიდობით დაბრუნებას:

–იცი, ასე მითხრა, გული მწყდება ვაჟიშვილი რომ არ მყავს აქამდეო, –გაუმხილა საიდუმლოდ დას დათას გულისტკივილი. ნათქვამმა ნასტიას ღიმილი მოჰგვარა.

–შენ თავს სარკეში არ უყურებ?.. როგორი გამხდარი ხარ, სუსტი, თანაც შესაფერი ასაკიც არ გაქვს. როგორ გეყოლება ბავშვი?

–როგორ მოვიქცე?.. ძალიან მინდა ორსულად დავრჩე, დათას გავახარებდი... გიორგი უნდა რომ დაარქვას.

–თავისი დრო აქვს ყველაფერს, ანნა, ღვთის მადლით, ყველაფერ კარგს თავისი დრო გააჩნია. ნუ იღარდებ, გეყოლება შენც ვაჟიშვილი, შენც გაახარებ დათას, ისიც გიორგის დაარქმევს ნანატრ ვაჟიშვილს, მთავარია ყველაფერ დროულისადმი სულსწრაფობა არ გამოიჩინოთ. ლოდინისათვის ნებისყოფაა საჭირო.

ღამით უიმისობა გაუძნელდა ანნას, ლოგინზე დაღონებული დაეშვა, ფეხები უხალისოდ გადმოშალა ძირს, ხელები კალთაზე დაილაგა და ფიქრს მისცა თავი. ვერა დაღონებულ დას სოლიდარობის მიზნით გვერდით მიუცუცქდა, ნაჩვევი იუმორით ხასითის გამოკეთებას შეეცადა, არაფერი გამოუვიდა, ამიტომ თავი კალთაში ჩაუდო და თვალი მიუნაბა მთელი დღის გადაღლილმა.

ანნას ეჩვენებდა, რომ დათას გარეშე კედლებიც კი მოწყენილად იმზირებოდნენ, არც სახლის მილაგების სიხალისე აჰყოლოდა დათას გამოჩენამდე. ნასტიასთან ცლიდა მონატრებულ ნიადაგზე აღმოცენებულ ნოსტალგიას. ერთკვირიანი მოლოდინის შენდეგ დათა დაბრუნდა. გაბადრული შეეგება ჭიშკარში გამოჩენილს, ვერა სიხარულით დავლურს უვლიდა წყვილის გარშემო. ანასტასიაც ხმამაღლა გამოთქვამდა სასიხარულო ემოციებს.

საღამოს ვახშობისას დათა ენად გაიკრიფა. თვალეზგაფართოვებით მომღიმარ გოგონებს, ანნასა და ვერას მთელი დრამატიზირებით უამბობდა გამარჯვებისას თავს გადახდენილ საბრძოლო დეტალებს:

–დაუდგენელმა სამხედრო შენაერთებმა, რომლებსაც თურქული ფრონტის ხაზი დაეტოვათ, მართლაც მონდომეს თბილისზე გავლა. ეს გავლა კი არა ჩექმით გადავლა იქნებოდა, ნება რომ დაერთოთ... მოკლედ ჩვენმა ეროვნულმა საბჭომ თბილისში შემოშვებაზე უარი განაცხადეს, მაგრამ სამხედრო შენაერთების ერთმა ნაწილმა ძალით სცადა დედაქალაქში შემოჭრა. ბრძოლა გაჩაღდა შამქორის სადგურის მისადგომებთან. იძულებულნი გავეხადეთ ბაქოს გზით გასულიყვნენ.

ის ამაყი იყო მოყოლისას. ნამდვილი მამაცი მეომრის თავდაჭერილობით საუბრობდა, იანვრის სუსხის გამო დერეფნის შესასვლელში ღუმელიც აეგუზგუზებინა ანნას, შეშის კაცა-ტკუცი სასიამოვნოდ გაუდიოდა. მთელ სახლში ნელღი შეშის სურნელება ტრიალებდა:

–ნასტიას რა ვუყოთ? ასე როგორ დავტოვოთ გაგანია იანვარში, მალე ყინვებს დაიჭერს, არ გაგვეყინოს და... –შფოთავდა ძილის წინ დათა მაყაშვილი, რომელიც ფანჯრიდან ათვალიერებდა მთვარის შუქით განათებული ბაღის შუაგულში მუხლზე დაყუდებული ანასტასიას. მას კირილეს ნაქონი, ძონძად ნაქცევი პლედი მხრებზე შემოეხვია და ერთ ადგილზე ქანდაკებასავით გაშეშებულიყო.

–სახლში რომ შემოგვეყვანა და აქ დამჯდარიყო?–ვერ იხვეწებდა დათა.

–ხომ იცი, მაგას არაფრით იზამს!–პასუხგაუცემელი არ დაუტოვა კითხვა ანნამ, რომელიც ლამფის შუქზე ლოგინს შლიდა.

–აბა, რომ გაიყინოს თვითონაც ცოდვია და ჩვენც, მე კიდევ თავი სად გამოვყო. მეზობლები იტყვიან, ცოლის და სახლში არ შეუშვა და გარეთ გაყინაო.

–ნუ დარდობ, არ გაიყინება.

–რატომ, ყინვაგამძლეა?

–ყინვაგამძლე არაა, მაგრამ შენსავით ჯიუტია. რასაც დაიხმებს ვეღარ გადააფიქრებინებ. თანაც, ხომ იცი, ჩათქმული აქვს, კირილეს გამო.

–ახლოს ცეცხლი მაინც დავუნთოთ, მიეფიცხება და გათბება.

–დაუნთე, ოღონდაც წინასწარ ნებართვა სთხოვე.

დათა ბაღში გადავიდა, ნასტიასთან პატარა კოცონის დანთების სათხოვნელად. ვერამ დრო იხელთა და ანნას სთხოვა, სახლში, სადაც დედინაცვალი იმყოფებოდა, ზამთრის სათბილობელი ტანსაცმელი მაქვს კარადაში და იქნებ გადმომიტანო, მე მერიდება იქით შესვლაო.

–მოსარიდებელი რა გაქვს? არ გადამრიო. შედი და თვითონ გამოიტანე შენი სათბილობელი.

–ძალიან გთხოვ, რა? კანზე ყელის გამოწვევით სთხოვდა ანნას უმცროსი დაიკო, თანაც მარია ეს დღეებია არ გამოიჩენილა საერთოდ, თვალის არ მომიკრავს ეზოში.

–რას ამბობ, ხომ კარგადაა ნეტავი?

ანნა სწრაფი ნაბიჯებით გადავიდა დედინაცვლის სახლში. ფანჯარებიდან სიბნელე გამოდიოდა, სინათლის მბუჭტავი წერტილიც კი არსაიდან მოჩანდა. ცას ახედა ანნამ, ისე იყო გადათეთრებული, უთუოდ თოვას აპირებსო, გაიფიქრა და მარიას შესასვლელ კარზე დაუკაკუნა. ჩამიჩუმი არ ისმოდა სახლდან. ანნამ კარი ხმაურით შეაღო, მაგრამ სიბნელის გამო შესვლა ვერ გაბედა. დათას მოუხმო დასახმარებლად, ამ უკანასკნელმა გზა შუქით გაუნათა. სახლში მდუმარე სიცივეს დაესადგიურებინა. უმნოდ ილანძებოდნენ კელაპტარებიდან არეკლილ შუქზე ლანდები, შუშაბანდი ფეხის ხმაურით გადაიარეს და მარიას ოთახს

აკაკლებულმა შეულო კარი. საწოლს მიანათა სანთელი დათამ. შიგ მწოლიარე ქალი თვალგახელი იწვა, ერთხანს მოეჩვენა კიდეც ანნას, თითქოს გაშეშებული უსულოდ იყო, შიშისგან კენესა აღმოხდა:

–მარია, აქ ხართ?–შესძახა დათამ, რომლის დაძახებაზე თვალები შეირხა, თითქოს, რაღაცის თქმაც სურდა, მაგრამ გაღებული პირიდან ხმა არ ამოსდიოდა.

–ცოცხალია?–იკითხა ანნამ და დათას გვერდიდან აეკრა.

–ხო, აბა, მგონი ცუდაა.

ანნამ ხელის გულით შუბლი მოუსინჯა, სიცხისგან ვარვარებდა, აშკარად გაციებულზედ სიცხე შეჰყროდა. თავს ვერ ერეოდა ავადმყოფი:

–საცოდავ ბედზე გაჩენილი... ანნა, გთხოვ მიხედე, ჩაი მოუდუდე, იქნებ მაყელის ფეხები იშოვნო, ნაყენი ოფლს მოადენს და სიცხე დაუწვევდა, ჩვენს მეტი არავინ ჰყავს, შესაცოდია... – ენანებოდა ავადმყოფობისთვის დედინაცვალი.

ქალი რამდენიმე დღეში ფეხზე წამოაყენა ანნამ. მარია მადლიერი თვალებით მომზირალი შესცქეროდა მასზე მზრუნველ გერს. მორიდებით განწყობილი ღიმილით ნიღბავდა თავის სიმცირეს:

–კიდევ კარგი ვერამ დამისაქმა, თორემ იმ დამეს შემოსვლას არც ვაპირებდი.

–კარგი გოგოა ვერაჩკა –სხვა მეტი ვერაფერი მოიფიქრა სათქმელად, თვალები ფანჯრისკენ გააპარა, ანასტასია სურდა დაეღანდა ბაღში მჯდომარე. –ისიც კარგია, ჩემს გამო რომ ჩამოჯდა ბაღში, ამ სიცივეში როგორ ძლებს ნეტა?

–ძლებს, ძლებს... ანნამ დათას მიერ დაჩეხილი შეშის გროვა კუთხეში მოაღაგა და კედელში დატანიებულ რუსულ ღუმელში ნაღვერდალი ააბრიალა. ცეცხლმოკიდებულ შეშას ტკაცუნის დააწყებინა. სასიამოვნოდ დათბა სახლში. მარია, თითქოს, რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ გამხელა უჭირდა. რამდენჯერმე პირიც დააღო გასახმოვანებლად, მაგრამ ხელისჩაქნევით გადაიფიქრა. ანნა მიუხვდა სათქმელის გაჭირვებულობას, თავად ჩაეკითხა.

–მარია, რამე ხომ არ გინდა მითხრა?–

ნასტიას დაჩოქებადღე დედას ეძახდნენ გერები, მას შემდეგ, რაც დედინაცვლის ენაზე კირილემ თვითმკვლელობა ჩაიდინა, დედა აღარც ერთს არ უწოდებია. ახლა უპირატესობანაგრძნობი ანნა, სახელით მიმართვას აღარ ერიდებოდა, რასაც ვერ გაბედავდა ალბათ ამ დღემდე.

მარიამ უარყოფის ნიშნად თავი გააქნია, მაგრამ გულში მჯიდის დაკვრით მაინც ყოყმანი გამოხატა:

–მითხარი მარია, მითხარი, ნუ გერიდება, რაღაც გაწუხებს, გხედავ, თქვი და მოგეშვება.

–იმასთან მინდა... შერიგება და ... –დარცხვენილი თვალებით მზერა აარიდა გერს, ფანჯრისკენ გაპარებული თვალებით, თითქოს, სირცხვილის საზღვრების გადალახვას ერიდებოდა.

ანნას კეთილად ჩაეცინა ნათქვამზე და ზოგადად მის მდგომარეობაზე.

–მაგას, რა მორიდება სჭირდება? ჩემი დაიკო შენთან გაბუტული არაა, თვითონ მეხვეწებოდა, მარიას უშველეო, მაყვლის ფესვების ნახარში მიეციო...

–მართლა?

–მართლა!

–არ გაბრაზებულა ჩემზე?

–არა, და არც არასდროს გაბუტულა.

–მაშ, როგორ დაველაპარაკო?

–როგორც გინდა, აი, კარგად რომ გამოშუშდები და გარეთ გასვლა შეგეძლება, ერთად მივიდეთ, ნახავ, როგორ თბილად მოგიკითხავს, ნასტია სხვანაირია, ჩვენგან განსხვავებული. მას არ შეუძლია ვინმეზე ცუდი აზრის გავლება, გულში ღვარძლის ჩატოვება. არც ავსიტყვიანობა ახასიათებს, არც ბოლმიანობა. წარსულიც თითქმის გადაივიწყა, ასე, რომ ნუ დარდობ, ნასტიას უყვარხარ.

–აბა, რაღატომ ზის, თუ დაივიწყა წარსული?

–ეს შენ გამო არ ზის, შენგან განაწყენებული იქ არ ჩამოჯდებოდა. თვითმკვლელი კირილეს სულის გამოსახსნელად დაეყუდა ასე. გახსოვს ნასტია ტაძარში რომ დადიოდა ხშირად? სულ ბავშვი იყო ჯერ, იქიდან დაიწყო გალობა. ჰოდა, იცის რელიგიურად როგორ უნდა უშველოს თავის სიყვარულს.

–მე რომ მაგის არ მჯერა?! მგონია, რომ ჩემთან უმძრახობამ მიიყვანა მაგამდე. იქნებ, რომ შევრიგებულიყავით ამდგარიყო მაგედან?–მარიას მზერაში თხოვნა გამოსჭვიოდა, თითქოს, არც უტყდებოდა გერს მოძალებულ სინანულში, მყარად და მედგრად აჩვენებდა შინაგან უტეხობას, მაგრამ ხასიათში შეპარულ სინანულის განცდას კარგად ვერ ნიღბავდა:

–შეიძლება არ გჯერა, შესაძლოა არც მე მჯეროდეს მაგალითად, მაგრამ შენი ოჯახის წევრის საქციელს ჩხუბით არ უნდა შევხვდეთ, პირიქით, მისი მდგომარეობა უნდა გავიზიაროთ და გვერდით დაგუდგეთ ყოფიერების შესამსუბუქებლად.

მარიამ ანნას სიტყვებით ნასიამოვნებელმა ჩაიღიმა, კალთაში მოქცეული ხელები ერთმანეთში კმაყოფილებით აათამაშა: –შენ როგორღა ხარ, ჩემგან გაქცეულ... დათა უკვე ქმრობას გიწვევს?

ასულმა თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად, კეთილშობილი ღიმილი მოეფინა სახეზე დათას ხსენებით. შეუმჩნეველი არ დარჩენია მარიას ეს ამბავი.

–ხომ არ გაბრაზებს? როგორ გექცევა, ფაქიზად თუ ერთი ტყიდან გამოქცეული ველური ქართველია?

–ჩემი დათა ქვეყნად ყველაზე ტკბილი და მზრუნველი მამაცია. ხომ გახსოვს, იმან გიპატრონა... აქ შემომყვა, ღუმელისთვის შეშა დაგვიჩხა. ნასტიასაც ახლოს კოცონს უნთებს, ედარდება არ გაიყინოსო, მერე მეზობლებში თავი სირცხვილით როგორ გავყო.

–მოიცა, მაგას მეზობლებში თავის გაყოფა ედარდება თუ თვითონ ნასტინკა?

–კარგი რა, ცუდად არ უთქვამს! –დედინაცვალმა იგრძნო, რომ ნათქვამით გაანაწყენა ანნა, ამიტომ საუბრის ტონი და თემა განზრახ შეცვალა.

–და აქამდე შვილი ვერ გაუჩინე?

–ვერა. –ბავშვური მიამიტობით გააქნია თავი გერმა, თითქოს, დიდად ნაკლოვან მდებრად თვლიდა თავს, დასევდიანებულმა გულს ოხვრა ამოატანა თან:

–მე მყავს ერთი კარგი ნაცნობი, შელოცვა იცის, მერე გამონასკვავს ხოლმე შენალოცს. შველის, დამიჯერე. თუ მენდობი და გამომყვები მასთან, ორსულად დაგარჩენს ძალიან მოკლე დროში.

ანნას ჭკუაში დაუჯდა მარიას ნათქვამი, შეშინებულად გააპარა შემპარავი მზერა ფანჯარიდან იმ ადგილას, საიდანაც მომლოცველი ანასტასია მოჩანდა.

–ნასტინკა რას მეტყვის მერე? მგონი, არ მოეწონება ჩემი საქციელი.

–შენც ნუ ეტყვი, ვითომ პურის მაღაზიაში მივდივართ, დიდი დრო კი არ ჭირდება გამოლოცვასა და გამონასკვას, მალე მორჩება და მოვალთ.

–შორს ცხოვრობს ეგ შემლოცველი?

–არა, აბანოთუბანში. გერმანელების სახლში, სულ რიგები უდგას, მე კი ურიგოდ შემიყვანს. შენ იცი, როცა ორსულად დარჩები, ნასტიასთან ჩემზე კარგები ილაპარაკე, გულით მინდა შემომირიგდეს, მარტო სიტყვიერად კი არა. მთელი ჩემი ახალგაზრდობა თქვენ შემოგწირეთ: შენ, ნასტიასა და ვერას. ვერა, თქვენთან შედარებით, განებივრებული გყავდა, პატარაობის გამო. ნასტია კი მეტად დაჩაგრული, უფროსობის გამო. ბევრ საქმეს

უძღვებოდა და ბევრშიაც მესმარებოდა. იმის მადლიერი, გვერდში თანადგომა იცოდა ყოველთვის. ეგ თვისება მამათქვენისგან გერგოთ. ასე იცოდა ჩემი თანადგომა ყველაფერში. სადილს თუ ვამზადებდი მისი სახელში ყოფნისას, გვერდიდან არ მცილდებოდა. გინდა ბალიდან ხახვი შემოგიტანო, გინდა ნიორიო, მეკითხებოდა. სულ დახმარება სურდა.

მადლიერებით აღსავსე ანნა მორჩილად უგდებდა ყურს დედინაცვალს, რომელიც გერისადმი გულის მოგების მიზნით რაღას არ ამბობდა.

ზუსტად ერთი კვირის თავზე ანნა მართალაც წაიყვანა დედინაცვალმა შემლოცველ ქალთან აბანოთუბანში. ანნა ერთხანს შეშინდა კიდევ, როცა შემლოცველმა თავზე თეთრი მიტკალი გადააფარა და ფქვილის მსგავსი ნივთიერება თავზე აყარა. შემლოცველი ქალის პირიდან გაურკვეველი სიტყვების ამოძახილმა შიში მოჰგვარა, ერთხანს გაქცევაც დააპირა, მაგრამ შიში მარიას იქ ყოფნამ ოდნავ გაუქარწყლა:

– აჰათ, ეს ნასკვი! – შემლოცველმა ქალმა, რომელსაც სახეზე კანი ისე გულისშემაწუხებლად ჰქონდა დაჭმუჭნული, რომ გეგონებოდათ შეგნებულად დაკუჭული ქაღალდი დაუკრავთო, ანნას რამდენიმე ადგილზე განასკვული წითელი ბაწარი მაჯაზე შეუბნია ბუტბუტითა და სისრულეში მოყვანილი საქმით კმაყოფილმა ხელების დაბანა იწყო კედელზე დაკიდებული მომცრო ზომის ჭურჭლიდან.

იმ დღიდან, თითქმის, ყოველდღე ეკითხებოდა მარია ანნას თავს რამე საეჭვო ნიშნებს ხომ არ ამჩნევო, მაგრამ პასუხსაც უარყოფითს ღებულობდა.

დათა კი განაგრძობდა თავის საქმიანობას, სახლიდან დილით გასული სადამოს გვიან ბრუნდებოდა. ანნას ეჭვები ღრღნიდა, შუა დამეს საწოლიდან დგებოდა და დათას ტანსაცმლის ჯიბეებს ჩხრეკდა, სუნავდა. ვაჟიშვილი ვერ გავუჩინე და იქნებ ამან აიძულა სხვა ქალის გაჩენა, იქნებ დამით იმიტომ მოდის რომ მთელი დღე საყვარელთან ატარებს, იქნებ იმიტომ მეაღერსება, რომ ეჭვი ვერ ავიღო... – ფიქრობდა და ამ ფიქრებს მოწყენილობამდე მიჰყავდა. თუმცა გვერდით მყოფ დათა მაყაშვილს ამას არ აჩვენებდა. თავის სადარდებელს გულში იკლავდა. ნასტასიას მოვლა-ზრუნვით დაკავებულს დების ზედმეტად დასევდიანება აღარ სურდა. არც ვერას ანდობდა გულის ნასევდარს. ცოდვავა, რაც დაიბადა სულ ჩვენი პრობლემებით უწევს ცხოვრება, ჩვენს გამო ნერვიულობს და განიცდისო.

დედინაცვალი კი დაბარებულივით ყოველ დილას კითხულობდა, შესაძლო უგუნებობის თაობაზე. უარის შემთხვევაში დაასკვნიდა, ფული რომ არ მივეცი, უბულოდა მოგვეკიდა შელოცვისასო.

ერთ დღესაც დათა მოწყენილი დაბრუნდა შინ, რაღაც ვერა გვაქვს საქმე კარგადო-თქვა და თავისი ნაწერი დღიურები მოიკითხა. დღიურები გარდერობის თავიდან გადმოულაგა ანნამ. დათა მაყაშვილმა ყველანი სათითაოდ გვერდიგვერდ მიაწვინა საწოლზე, ერთხანს ასე უყურა

თავჩაღუნულმა, თითქოს მის წინაშე მწოლ მომაკვდავ ადამიანს დასცქეროდა. მერე გულდაწყვეტილმა ააღაგა, ერთმანეთზე დამწკრივებული ხის ყუთში ჩაილაგა, თავზე ხუფიც მჭიდროდ მოარგო და დამე, სიბნელით გაპარპაშებულ ბაღის კუთხეში საგულდაგულოდ წაფლა. ზევიდან ძველმანი ფიცრისა და ნაფოტის გროვა მიაყარა.

ვაჟი დაღვრემილი სახით ჩამოუჯდა მახლობლად მჯდომარე ანასტასიას. ძირს, გათოშილ მიწაზე ჩამოსკუპტა, მიუხედავად იმისა რომ გვერდით მისი ნახელავი მომცრო ხის სკამებიც ელაგა, დათა ამ სკამებს მოსასვენებლად დიდად არ სწყალობდა:

–მიწა ცივია, არ გამიცვივდე. –მზრუნველური ტონით უთხარა ანნამ, რომლის ნათქვამს ყურიც არ ათხოვა დათამ.

–ნუ შეაწუხებ ზედმეტი მზრუნველობით, ანნა, თუ სიამოვნებს მიწაზე ჯდომა, მცირედი ხნით ჩამოჯდომა არ შეაცვივებს,–დასძინა ნასტიამ დის გასაგონად.

–რა ჯიუტები ხართ ორივე, რა მეშველება თქვენ ხელში. –ანნა უღონობისგან შეწუხებული სახლში შებრუნდა. დათამ კი ანასტასიას საუბარი გაუბა:

– ჩვენი ქალაქისა და ქვეყნის თავისუფლებას საფრთხე შეექმნა. რა ძნელია თავისუფლება, რა სჯობია ადარც კი ვიცი, სისხლისფერი მშვიდობა თუ მკვლელი ტყვეობა, მაგრამ ალბათ პირველი, იმიტომ რომ ორივე გზა სისხლზე, ადამიანურ გაუტანლობასა და წვალებაზე გადის, თავისუფლება რაღაზე დავიკლოთ?

–მართალიც ხარ და არც ხარ.–გამოეპასუხა ანასტასია, დათა მაყაშვილი კი განაგრძობდა:

–ჩვენი თავისუფლება თურქეთმა უარყო, მაგრამ რუსეთმა მხარი დაგვიჭირა. ახლა იქაც შეიცვალა სახელისუფლებო სიტუაცია, მენშევიკები მარცხდებიან, წითელი ბოლშევიკები იმარჯვებენ, ჩვენი სოციალ-დემოკრატები საკუთარ შეხედულებასა და აზრს იცვლიან საჭკვენოდ. სოციალ-ფედერალისტებს ვინდა ჰკითხავთ, უმცირესობაში მყოფებს, სოციალ-რევოლუციონისტებიც თავისას არ იშლიან. ყველა სხვადასხვა მიმართულებით აგრძელებს მალსრბოლას თავისუფლების შესანარჩუნებლად ან სხვის ხელში გადასაცემად. ვის რა გამოუვა არ ვიცი. ამბობენ, ბოლშევიკებმა რუსეთი მთლიანად სისხლისფრად გააწითლესო. ჩვენც თუ იგივე დაგვემუქრა, იამან მერე. –დათა საუბრისას აღელვებულ ზღვის ტალღას ემგვანებოდა. ემოციები ტალღოვნად მოაწვებოდა თუ არა, საუბარს აჩქარებდა და სახეზე წითლდებოდა, შინაგანი მღელვარება მოსვენებას უკარგავდა მის მნახველ-მსმენელსაც.

თუმცა, დათას სიტყვებმა სისხლისფრად შეღებვის თაობასთან დაკავშირებით, გამართლება მალევე ჰპოვა.

ერთ დღესაც, რომელსაც გარკვეულწილად რევოლუციური მოვლენები უძღოდა წინ, მუშათა ამბოხი და გაფიცვა, მე-11 არია შემოიჭრა. რამაც ხალხის მღელვარება გამოიწვია. მანამდე კი ყველა პოლიტიკოს ქართველს, ვისაც ხელი მიუწვდა მოსკოვის ტრიბუნაზე სიტყვით გამოსულიყო, ყველამ დაფიქრებით თუ დაუფიქრებლად, ნებსით თუ უნებლიედ, საქართველო აკრიტიკა თავისი ეკონომიკური თუ ყოფითი პრობლემების გამო, რელიგიური თუ ტრადიციული კულტურული ცხოვრების გამო... ზოგმა დაუთოვება მოინდომა, ზოგმაც მთლიანი საქართველოს გაციმბირება. დასჯის მოტივს კი თვითონაც არ უწყოდნენ. ვინ ხელისუფლების რომელიდაც წევრზე იყო გაბრაზებული, ვის პირადი ინტერესები ჰქონდა... ვიდაცას რომელიდაც მწერლის მოთხრობაში უადგლოს დასმული წერტილი არ მოსწონდა. ერთ-ერთი ქართველი ბოლშევიკური იდეოლოგიის ლიდერი, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ ვერ იტანდა საქართველოს და იმიტომ სურდა მის ქარ-ცეცხლში დიდთან პატარიანად გატარება, რომ სალიტერატურო ასპარეზზე ადგილის დაკვიდრების ამბიციებით შეპყრობილს „ჰუმანურად“ გაუკრიტიკეს შემოქმედების ბჭკარედი.

კრიტიკა რთული გადასატანი აღმოჩნდა, რომელმაც შეაძულა არა მარტო მწერალ-პოეტთა შემოქმედება, არამედ მთელი ქართულ-რუსული საინტელიგენციო ფენა და სრულიად საქართველო.

მოსკოვის ტრიბუნიდან მუშტმოდერებული ქართველნი გამოთქვამდნენ სადამსჯელო მეთოდებით გამდიდრებულ იდეოლოგიურ ნააზრევს.

მეთერთმეტე წითელამრიელების შემოჭრა მიზნად ისახავდა მთავრობის დამხობასა და კომუნისტური ბოლშევიზმის დამკვიდრებას. შეტაკებას შეტაკება მოჰყვა. ახალგაზრდა იუნკერები დედაქალაქსა და მის მისადგომებს თავგანწირვით იცავდნენ და იგერიებდნენ მოიერიშეებს. სტუდენტობა მოხალისეების რიგებში ჩაეწერნენ, თავისუფლებისათვის ბრძოლა ქაოსითა და სისხლისღვრით გაგრძელდა. რამენიმედღიანი შეტაკება ქართველთა მარცხით დასრულდა.

იუნკერები და პირტიტველა ახალგაზრდები ხელისუფლების უმაღლესმა პირებმა ბრძოლის ველზე შეატოვეს და ემიგრაციაში გაეშურნენ. ბათუმის პორტში მიატოვეს უძვირფასესი კარეტები თავის ბედაურებითურთ, სამაგიეროდ სამშობლოდან წადებული განძეულობა საგულდაგულოდ გადამაღეს სამგზავრო გემზე.

გეზი სტამბოლის გავლით პარიზისაკენ აიღეს, თუმცა სტამბოლში გართობაც არ დაეიწყნიათ. იმ დღეს თბილისში მოთოვა. ყინვით არ ყინავდა, მაგრამ თითოეული ადამიანის გული სისხლიანი შეტაკების შემდეგ გათოშილი იყო ტრაგიზმით. პატარაობიდანვე ბრძოლაში გამოწვრთნილი დათა მაყაშვილი, რომელსაც მუხლი არ ჩაუხრია ბრძოლის ველზე, შავებში შემოსილი მიუძღოდა სამგლოვიარო პროცესიას, ისინი მღუმარებით მიიწვედნენ წინ, ხალხის თვალუწვდენელი ტალღა უკანასკნელ გზაზე მიაცილებდა ცხრამეტი წლის ქალიშვილს, ბრძოლს ველზე გარდაცვლილ

უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტს, მარიკა მაყაშვილს.

საკუთარი სურვილით მოწყალების დად წასულს ბრმად გასროლილმა ნაღმის ნამსხვრევებმა მოუცვლა სამშობლოს თავისუფლების სიყვარულით გაჯერებული სიცოცხლე. 19 თებელვალმა შეიწირა 19 წლის თავისუფლებით მწყურვალი ქალწული. მამამისს შეატყობინეს რა ქალიშვილის დაღუპვის ამბავი, წარმოსადეგი მამაკაცი იმ დამესვე გადაჭადარავებულა მწუხარებით.

სიცივე ძვალსა და რბილში ატანდა, თუმცა სიცივეზე მეტად მდუმარება სერავდა გულს. ყინავდა. 23 თებერვალს 12 საათზე დანიშნეს მარიკა მაყაშვილის დაკრძალვის ცერემონია. მასთან ერთად შვიდი მთაწმინდელი ბიჭი მიასვენეს ქაშუეთის ტაძარში, ხალხი მდუმარებით იყო მგლოვიარე. მდუმარებით გამოხატავდნენ ქვეყნის, სამშობლოს, ქალაქის და ახალგაზრდების მიმართ მომხდარ ტრაგიზმს. მარიკა მაყაშვილის სასახლე კიდებარშიებიანი თეთრი სუდართი გაეწყოთ. მას მოელოდნენ პროცესიაზე მისული მგლოვიარენი და ქაშუეთის ტაძრის წინ დაყოვნებულნი შვიდი მთაწმინდელი პატრიოტი რაინდი სასახლიანად. ყველა გარდაცვლილი სიცოცხლეშივე ერთურთის კარგად მონაცნობე და შესანიშნავი ამხანაგები იყვნენ, რომელთაც თავგამეტებით უყვარდათ სისცოცხლე და თავისუფლების მწვერვალი.

მარიკას სამგლოვიარო პროცესია მალევე შეუერთდა მომლოდიენებებს, მხარზე შემოდგმულ სასახლეს მორჩილად მიასვენებდნენ შავებში მოსლი მამაკაცები, სულ წინა მხარეს სასახლის ამწვევი დათა მაყაშვილი გახლდათ., გამხდარი აღნაგობის ვაჟი კიდევ უფრო ერთიანად ჩამომდნარიყო, მწუხარე სახეზე სანთლისფერი დასდებოდა. ის დუმდა, ისევე, როგორც მის გარშემო შეკრებილი საზოგადოება. მდუმარებაში გამეფებულ სიჩუმეს მხოლოდ ფეხქვეშ დაფენილი თოვლის ჭრიალი არღვევდა.

სახალხო მდუმარება არც მაშინ დარღვევულა, როდესაც ერთად შეკრებილი გარდა-ცვლილები ქაშუეთის ტაძარში შეასვენეს. ტაძარში მგლოვიარედ მოსილნი სასულერო პირები მზადყოფნაში დახვდნენ. წინდაწინ მომზადებულებიყვნენ გარდაცვლილთა წესის ასაგებად. იქ მყოფ პროცესიის ყველა მონაწილეს შავი ფერის სამოსი ემოსათ გლოვის ნიშნად. მოთქმითაც არავინ მოთქვამდა, სამარისებურ სიჩუმეს დაესადგურებინა უწინ ხმაურიანი დედაქალაქი.

მათ დაკრძალვაზე თვით დამარცხებული ხელისუფლების ზოგიერთი სამთავრობო პირებიც გამოჩნდნენ. დათა მარიკას სასახლეს გვერდიდან არ სცილდებოდა. წელში გაეტეხა წინა დღეების ქარიშხალის მარცხ ბობოქრობას. ქაშუეთის ტაძრის პარალელურად აგებულ სამხედრო ტაძრის, სობოროს ეზოში ძმათა სასაფლაო გაეთხარათ წითელ არმიელებს. მთაწმინდელი შვიდი რაინდის საფლავი ერთ სამარხში უნდა გაემწესებინათ, მათგან ცოტა მოშორებით სასახლის გარეშე გარდაცვლილი იუნკერები

ჩაესვენებინათ, ვინც სად ენახათ გარდაცვლილი: კოჭრის მისადგომებთან თუ თბილისის შემოსასვლელში, მოეკრივათ და ძმათა სამარხში ეკრათ თავი.

მათი დასახიჩრებელი სხეულები და სახეები ერთურთისგან ძნელი გასარჩევი იყო. მთაწმინდელ ბიჭებს, რომლებთაც პატრონები გამოსჩენოდნენ და პატივად რგებოდნენ სასახლეში ჩასვენება, ერთად მოუყარეს თავი, გვერდიგვერდ მიჯრით ჩაასვენეს, ისე მჭიდროდ მიეწყვნენ სასახლეები გვერდიგვერდ, რომ ნემსის ყუნწიც არ ჩაიგდებოდა.

ბიჭების სამარის სიახლოვეს ცალკე ერთადგილიანი საფლავი გაეთხარ-გაემზადებინათ მარიკასთვის. ქალწულის ჩასვენების შემდეგ, მიწის მიყრა ერთდროულად დაიწეს, ერთდროულად დაიფარა მათი ჩასვენებული თავისუფლება მიწით, შვიდი მთაწმინდელი ბიჭის, მარიკა მაყაშვილის და გარდაცვლილი იუნკერების საფლავები. მათ განსასვენებელი სობოროს ტაძრის ეზოში ჰპოვეს. სამარისებრი მდუმარება არც მაშინ დარღვეულა, როცა მიწა ახმაურდა სამარხის ამოვსებისას. თვით სობოროს ტაძრის მესაფლავე, წითელ არმიელი სოლდატებიც კი ქედმოხრილნი იდგნენ სიცოცხლე წართმეული ახალგაზრდების ხსოვნის წინაშე. ისინიც შესაცოდნი იყვნენ ისევე, როგორც სიცოცხლეშეწყვეტილი ახალგაზრდა იუნკერები, რადგან ჯარისკაცი ჯარისკაცია და მას თავისი პირადი პრეტენზიები და ჰორიზონტს სწრაფვა არ სჭირდება. ჯარისკაცები იმ ადამიანების ბრძანებებს ემორჩილებიან, რომელნიც უსულგულო გაზვიადებული მიზნებისა თუ ამბიციებისთვის იზიდებიან მაღალ რანგად თვითწოდებულნი.

მიწას ფაქიზად აყრიდა ყველა, ვინ მუჭებითა და ვინ ნიჩბებით. მიწაყრილი მალევე თეთრმა ფანტელებმა დაფარა. 23 თებერვლის დღე სამარისებურ მდუმარებაში მიიწურა. 25თებერვალს გასაბჭოებელი საქართველოს ყველა შენობის თავზე საბჭოთა, სისხლიფერი დროშა აფრიალდა.

მომდევნო დღეებსა თუ კვირებში უამრავი ახალგაზრდის დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი ღოცვებისა თუ პარაკლისების გადახდა შეუსვენებლივ მიმდინარეობდა ქაშუეთის ტაძარში. უამრავ ოჯახს შეეხო თალხნარევი ბოროტების ხელი. დედაქალაქი კვლავაც შურისგების წყურვილით აღივსო.

წითელარმიელებს ხალხი თავს ესხმოდა, მათ ქალაქში გასვლა 26თებერვლის შემდეგაც უჭირდათ. მარტო მოხელთებულებს მწარედ უსწორდებოდნენ, ამიტომ იძულებულნი გახდნენ ბოლშევიკთა უფროსობა მე-11 არმიისთვის სახელი გადაერქმიათ. გადაარქვეს კიდევ და მათ „ჩონი“ უწოდეს, ჩონარმიელები მცირედად განსხვავებული ფორმით შემოსეს და „განსაკუთრებული დანიშნულების მისიის მქონე რაზმი“ – მიაკერეს იარლიყად.

მოსახლეობის თვალის ასახვევი ეს ფანდი წითელარმიელებისთვის მცირედად შედეგიანი აღმოჩნდა.

VIII

ანნას თავი ჩაედო მუხლდაჩოქილი ანასტასიას კალთაში და თვალდახუჭულს სურდა საიმედო სამყოფელი ეგრძნო. სახურავიდან თოვლის დნობის ხმა მოთენთილ სიმყუდროვეს ურღვევდა. მზის სუსტ სითბოს ირეკლავდნენ ეზოში მოციმციმე სხივები:

–რამდენი ხანია ჩვენს ეზოში ჩიტის გალობა აღარ მომისმენია.–თქვა ჩუმის ხმით ანნამ –ადრე სულ ჟრიამული გაუდიოდათ, თითქოს, ჩიტებიც შემცირდნენ, აღარ ჩანან.

–ამ ზამთარში ჯერ რა ეგალობებათ?

–სხვა ზამთარს მათი ჟრიამული რომ მოისმოდა?

ნასტიამ უპასუხოდ დატოვა დის ნააზრვეი. ის კი განაგრძობდა,–მალე გაზაფხულდება, შენს თავზე ისევ აყვავილდება ტყემლის ტოტი, ისევ დაემგვანები გაზაფხულის დედოფალს... ისევ იჟრიამულებენ ჩიტუნები ჩვენს ეზოში. წელს იქნებ მოვახერხო, აღდგომას მშობლების საფლავზე გასვლა. შარშანაც წავედით მე და ვერკა, მაგრამ ვერ ვიპოვეთ, სასაფლაო სავსე იყო ახალი საფლავებითა და ჯვრებით. მარტოებმა ვერ მოვახერხეთ პოვნა.

–და წელს მოახერხებ?–ჰკითხა ანასტასიამ.

–წელს დათა მპირდება წაყოლას, ეგ ხომ იცი როგორია, თუ რამეს დაგპირდება შეგისრულებს. მაგას სასაფლაოების არ ეშინია...

–და რა არის იქ შესაშინებელი?

–რა და მიცვალებულები, სასაფლაოზე სხვა რა უნდა იყოს?

–ანნა, ცოცხლების უნდა გეშინოდეს, არაფრის შემძლე მიცვალებულების კი არა. პირიქით მიცვალებულები არიან შესაცოდები ცოცხლების ხელში.

ანნამ თმაზე ხელი გადაისვა, სიოს ნავარდს აყოლილი თმის დერები ადგილზე დააბრუნა, მცირედხნიანი დუმილი მისმა მოკრძალებულად ნაზმა ხმამ დაარღვია:

–კირილე ისევ გიყვარს?

–რა თქმა უნდა, მიყვარს! –ისე კრძალებით ჩაედიმა ანასტასიას, ისე აუჭარხლდა აქამდე ფერმკრთალი დაწვეები, როგორც სატრფოს წინ მდგარ მორიდებულ, კდემამოსილ ქალწულს ახასიათებს.–ის იყო ვინც უნდა

ყოფილიყო, მან იცოდა ავ-კარგის გარჩევა, უბრალოდ თითო შეცდომა ყველას მოსდის.

– ეგაა, უპატიებელი ცოდვა ჩაიდინა, თორემ ბედნიერს გამყოფებდა თავის გვერდით.

– უპატიებელი ცოდვა არ არსებობს, ანნა, როცა პატარა ვიყავი მოძღვარმა ასეთი რამ გვიამბო ქადაგების შემდეგ, ეს ამბავი ყურში საყურესავით გაყრილი დამრჩა. იცი, არ არსებობს ადამიანური ცოდვა, რომლის მიტევებაც უფალს არა ძალუძს, მთავარია მისი გულით მონანიების სურვილი და ამ სურვილის შესაძლებლობა ვშობოთ ჩვენში. აი, ამბავი, რომელიც საკაცობრიო დონის ერთ ყაჩაღს გადახდა თავს: ის თავს ესხმოდა თავისი ბანდითურთ დიდ ქალაქებსა თუ სოფლებს ძარცვავდა და ჩაგრავდა განუწყვეტლივ ყველას, მდიდარსა თუ დატაკს, მოხუცსა თუ ახალგაზრდას, ქალსა თუ ბავშვს. წინააღმდეგობის გამწევს კი კლავდა და ასამარებდა თვალის დაუხამხამებლად.

ერთხელაც თავისი ბანდითურთ ნაძარცვი მიჰქონდა რა დროსაც შემობნელდა და გზა-კვალი აერია. მალევე მიხვდა, რომ უკაცრიელ უდაბნოში მოხვედრილიყო. ბევრი ხეტიალისა და უშედეგოდ გზის გაკვლევის მცდელობის გამო უფრო იკარგებოდნენ. აღარ იცოდნენ რა ექნათ. ბოლოს გადაწყვიტეს ცეცხლი დაენთოთ და მორიგეობით დაეძინათ, რათა უდაბნოს მხეცს ან რაიმე სხვა სახის საშიშროებას მათი სიმშვიდე არ შეეღახა.

ასეც მოიქცნენ. ნადავლიდან მოაგროვეს დასაწვავად ვარგისი ნივთები, მაგრამ ასანთს ცეცხლი არა და არ მოეკიდა. მერე თქარათუქრით წვიმა წამოვიდა, იქვე ახლოს ქვიშის ღრმული შენიშნეს და გადაწყვიტეს შიგ ჩასვლა, სადაც მეუდაბნოე მამაკაცი დაუხვდათ: გრძელწვერა, თეთრთმიანი, გამხდარი, შავი შესამოსელით. მას ღრმულის ერთ მხარეს, რომელიც აღმოსავლეთისკენ გაიციქრებოდა, უფლის, ღვთისმშობლისა თუ წმინდანთა ხატები ჩაემწკრივებინა. ბანდის უფროსი დაინტერესდა ყაჩაღის ვინაობით:

– მე ერთი მეუდაბნოე, მწირი ვარ. აქ ჩემი ცოდვების გამოსასყიდად ვიმყოფები, დიდი ხანია აქ ვცხოვრობ, ვლოცულობ, გულსა და სულს სიმშვიდეს არ ვაკლებ.

– მერე, ამხელა უდაბნოში ან არ გშვივდება, ან არ გწყურდება?

– ჩემი უფალი არც წყალს მაკლებს და არც საკვებს.

– ეგ როგორ?.. აბა, სად მოიპოვებ საკვებს?

– სულიერი კვება ყველზე გემრიელი და საგურმანო რამაა, თუ სულიერად მშიერია, ფიზიკურად რაც არ უნდა იკვებოს ადამიანმა, თუნდაც მეტი სიმადრისგან სიარული და სუნთქვა უჭირდეს, მაინც შიმშილის გრძნობა დატანჯავს, ხარბად მიირთმევს ყოველჯერზე საკვებ ხორავს, მაგრამ გაუმადლარი სტომაქის გამო მაინც ჭამა-სმისკენ უჭირავს თვალი. ასეა ქონებაც, რაც არ უნდა ბევრი ჰქონდეს ადამიანს, თუ სულიერება

აკლია მის ჯანს, ვერანაირად ვერ დააკმაყოფილებს დაგროვილი სიმდიდრე, მუდამ ხარბი თვალთ მსჯელობს და აზროვნებს, ჩემს გასაგისის-გასაგისს ეყოფა თუ არაო? სულიერი კვება აკლია ასეთ ადამიანს, თუ სულიერად ნაკვებია, მაშინ საკვებისა თუ ნადავლის სულ მცირედიც კი გააკმაყოფილებს და სიამოვნებით გავსებს.

–ეგ რა გაუგებრად ლაპარაკობ, ისე ზედ კი გატყვია კარგი ნაკვებობა და სიმადღე–თვალი შეალო მეუდაბნოე მწირის გამხდარ სხეულს და სხვა ყაჩაღების თვალში საცემად ირონიულად გაიცინა. იმათაც არ დააკლეს ხარხარი ბანის მისაცემად.

–კარგი, იყოს შენ როგორც გინდა, ჩავთვალთ ჩვენს წარმოსახვაში შიმშილი სიმადღრედ. ამ სიბნელეში როგორღა ძლებ, ის მაინც გვითხარი.–წარმოსთქვა ყაჩაღთა უფროსმა, როცა სიცილისგან გული იჯერა.

–მე არ მებნელება, ჯერ არაა საჭირო, მაგრამ როცა უკუნითისად ჩამობნელდება და მზე ჰორიზონტს კარგა გვარიანად გადაეფლება, როცა ცას არც მთარე და არც ვარსკვლავნი არ მინათებენ, მაშინ ეს სანთელი აკაშაშებს ჩემს სამყოფელს.–თქვა და გამხდარი ხელით ხატების კუთხეში ერთადერთ სანთელზე მიანიშნა.–მე მყოფნის მისი თვალისმომჭრელი სინათლე. მასზე ახალ აღთქმასაც თავისუფლად ვკითხულობ და ძველსაც, როცა ძალიან ბნელდება სანთელი თავისით ინთება.

–ეგ, როგორ?.. დაგვცინი?– ითაკილა ყაჩაღთა ბატონმა, კოპები შეიკრა და კუშტად შეათვალიერა ბერი.

–არა, სულაც არა, ღმერთმანი, თქვენ რა გაქვთ დასაცინი... დაიცადეთ დაღამებამდე და თვითონ ნახავთ, მე ვილოცებ, ჩემებურად რომ ვთქვათ, თქვენ კი მიყურეთ და დარწმუნდით რომ სანთელი თვითონ აინთება.

–როგორ გვაცუცურაქებს, არა?!–გადაიხარხარა ყაჩაღთა მეთაურის უკან მდგომმა რიგითმა ყაჩაღმა.

–და თუ არ აინთო, მაშინ? ხომ მე ვიცი რასაც გიზამ დაცინვისთვის და ამ ცრუ ფილოსოფიისათვის?–დაემუქა ბანდის უფროსი.

დაღამდა თუ არა, მწირმა მეუდაბნოემ ლოცვა იწყო. ის მშვიდი იყო და ხმამაღლა მომლოცველი. ხატების წინ მდგომი პირჯვარს ხშირ-ხშირად იწერდა, მერე მუხლებზეც დაემხო და მუხლდაჩოქილმა იწყო ღვთის სადიდებელი მეტანიების აღვლენა.

თავიდან მეუდაბნოეს ლოცვას ცინიკური ღიმილით ადევნებდნენ თვალყურს ყაჩაღები. გარკვეულ მომენტში მეუდაბნოეს ხმამაღალი ლოცვა აღიზიანებდათ კიდევ, სახეშეწუხებულნი უმზერდნენ ხან მწირს და ხანაც ერთურთს, მაგრამ შემდგომში ლოცვის ძალამ სიმშვიდე მოჰგვარა და დაუამა ის აფორიაქებული სამყარო, სადაც სიბოროტის და მისი გამოვლინებების გარდა არაფერი სხვა არ არსებობდა. მათ სიმშვიდისაგან სახე გადაებადრათ და დამძიმებულ მხრებზეც სასიამოვნო სიმსუბუქე იგრძნეს. ყაჩაღთა

უფროსმა, ბანდის თავკაცმა თვალნათლივ იხილა, თუ, როგორ აინთო ხატების კუთხეში სადგმელზე დამაგრებული თხელი სანთელი. სანთელმა სასიამოვნო თაფლის სურნელით გააჯერა მეუდაბნოეს სადგომი ფართი, რომელიც ყველანაირი საკვების საკმაზზე უფრო სურნელოვანი იყო. ყვავილების სურნელება ერთად თავმოყრილიყო ამ პატარა, წვრილდერა სანთელში, რომელიც თაფლის სიტკბოთი შეზავებულიყო. სასიამოვნოდ მშვიდ სინათლეს იძლეოდა და გულშიც ღრმად უნათებდა გაურკვეველი გრძნობების ალაგს.

ბანდის უფროსს თვალეზე ცრემლები შემოაწვა, სურდა თვითონაც ჩამუხლულ მეუდაბნოეს გვერდით მისჯდომოდა და ეტირა, ეცრემლა მთელი გულით, რათა უფრო მეტი შეება მოჰგვროდა მის იმ უხილავ სამყაროს, რომელმაც ახლახანს გაიღვიძა მასში და რომელიც ცრემლების წვიმას ითხოვდა სიმშვიდისა და სიამოვნების სანაცვლოდ, მაგრამ საკუთარმა თავმოყვარეობამ თუ პატივმოყვარეობამ უკან დაახევინა, განზრახვაზე ხელი აადებინა. თუმცა, სინანულში ჩააგდო და თავის განვლილ ცხოვრებას სხვა, აქამდე უცნობი თვალთ შეახედა:

—რა კარგად ცხოვრობ, ალბათ, ვინმემ გირჩია ასეთი ცხოვრების მოწყობა.—ჩაეკითხა ლოცვის დასრულების შემდეგ კეთილად მომდიმარ მწირს, რომელიც თხელ, გრძელ თითებს ნიკაპსა და წვერზე ისვამდა ჩაფიქრებული.

—დიახ, გულმა მირჩია.

—რა უცნაურობებს იტყვი ხოლმე!

—გულსა და გონებას შორის მუდმივი კავშირია. უბრალოდ, როდესაც ჩვენ უფლისთვის არახელსაყრელს ვაფიქრებთ გონებას, მაგალითად სიბოროტეზე, ან საღიზიმზე, ავ განზრახვაზე, გული გვეურჩება, გვიბრაზდება და გონებას ებუტება. გულის ხმა უფრო მარგებელი და კეთილშობილი სიბრძნით სავსეა, ვიდრე გონების, რადგან გული უკვდავი სამყაროს აზრებს კითხულობს და მისი მადლით იმოსება. გონება კი მოკვდავის დაწერილ წიგნებსა თუ აზრებს იზუთხავს და თანაც უფრო ხშირად მის არასწორ გააზრებას ახდენს. გონება უფრო მატერიალური ფუფუნებისკენაა მიდრეკილი, მისი გულობისთვის რას არ ჩაადენინებს მეპატრონეს. გული კი ფრთხილობს, უფრთხილდება პატრონკაცსაც და სხვასაც, მას ასაზრდოებს სიკეთის არსი, მაგრამ გულის ხმას ვინ ისმენს?...ან თუ ისმენს ვინ უჯერებს?...ან თუ გვესმის, ვინ ენდობა?

—რა ჭკვიანი ხარ, შენთვის ზიხარ, ლოცულობ და ხარ, არც კაცი გიშლის ნერვს და არც ვინმე ქალი, არც არა ცხოვრების ავლა-დიდებაზე ზრუნავ და არცა მისი შენახვის საიმედოობაზე. არც ოქრო გაღელვებს და არც ვერცხლი...

—ოქრო და ვერცხლის ციალი მაშინ გიხარია, თუ სინდისი ჯერ კიდევ ქორფა, ფეხგაუთელილი, სპეტაკი თოვლივით სუფთა და ქათქათაა. მაგრამ

თუ ოქრო-ვერცხლი, ფული და სიმდიდრე უსინდისობითაა მოპოვებული, არამი ლუკმაა, რომელიც ჯერ არც ერთ კაცს არ შერგებია და პირიქით, მის მონაგარს სიმწრის ცრემლებით უზღია ცოდვად გადასული წინაპრიდან შთამომავლობით მასზე.

მეუდაბნოეს მშვიდი ხმით ნათქვამმა გულში ჩააფიქრა ყაჩაღთა თავკაცი. ერთხანს ასე იდგა თავჩაქინდრული, თითქოს თვალს ავლებდა თავის განვლილ ცხოვრებას, რომელსაც მხოლოდ ძალისმიერი მეთოდებით იმრავალფეროვნებდა და ისე მიჩვეოდა ასეთი ცხოვრების წესს, რომ სხვაგვარად ვერც კი წარმოედგინა:

– არა, მაინც როგორ ინთება თავისით ეგ სანთელი, ჰა?

– ჰო, ეს ნიშანია ღვთის წყალობის, მისი მადლმოსილებით ცოდვის მიტევების.

ღამე იქ გაათენეს ყაჩაღებმა. ერთ კუთხეში მიმჯდარი მეუდაბნოეს წმინდა წიგნის კითხვით გართულს ჩასძინებოდა. მისი დაუპატიჟებელი სტუმრები კი საუბრობდნენ, ბჭობდნენ და ენით გახმოვანებულ ზოგიერთ აზრებზე და ხორხოცობდნენ. მალე ინათა, ივარდისფრა განთიადმა. მეუდაბნოეს ცის კამარაზე ახლად ამობრწყინებულმა მზის სხივმა შეანათა სახეზე და თბილად მოელამუნა. ახალი დღის განათებას განახლებული ხალისით შეხვდა გამოღვიძებული მეუდაბნოე და დილის ლოცვანს შეუდგა. ყაჩაღები დაუმშვიდობებლად გადავიდნენ მწირის საცხოვრებლის არეალს, ალბათ მისთვის ლოცვაში ხელის შეშლა არ სურდათ.

ლოცვის მორჩენის შემდეგ, როდესაც მეუდაბნოეს სტუმრები უკვე შორსწასული ეგონა, ყაჩაღთა ბანდის უფროსი თავს წაადგა:

– შენთან ლაპარაკი მსურდა.

– მოდი, ვილაპარაკოთ.

– მე იმდენი ცოდვა მაქვს ჩადენილი, შენსავიტ ღვთის სადიდებელი ცხოვრება რომც მოვინდომო, ღმერთი მაინც აღარ მაპატიებს.

– უფალი ჩვენი, მიმტევებელი არს და მისთვის არ არსებობს ცოდვა, რომლის მიტევებაც არაა შესაძლებელი.

– ანუ, ყველაფერი შეუძლია მაპატიოს?

– რა თქმა უნდა.

– ქურდობაც, მრუშობაც?.. კაცის კვლაც?

– ყვავილი თუ მიწის გარეშე აღმოჩნდება, როგორ ფიქრობ, გაიხარებს? ღვთის გარეშე დარჩენილი ადამიანი ის უმიწოდ დარჩენილი ყვავილია, რომელიც გადარჩენისთვის გამუდმებულად ეძიებს ნიადაგს. ჩვენც გამუდმებულად უნდა ვეძიოთ ღმერთი. ღმერთი, რომელიც ყველაფერს გვპატიობს.

–მაგრამ, ჩემნაირი ყაჩაღობა მისატყვებელი ცოდვა რომ არ მგონია მე?

–აბა სცადე, აიღე ეს სანთელი და შენც ჩემსავით მოეწყვე უდაბნოში, ყოველდღე გულით ილოცე და ღმერთს პატიება სთხოვე. აი, ნახავ, თუ არ მოგეტყვება ცოდვა. ცოდვა ეს დაავადება, უხილავი კეთროვანი წყლულები მოსვენებას გიკარგავენ, შესაძლოა არც არაფერი გაკლდეს მატერიალურად, კეთილდღეობაში გეჭიროს თავი, მაგრამ მაინც გიჭირდეს ცხოვრების გაძლება, სინდისის ხმა არ გასვენებდეს... ღმერთი ამ წყლულებს შველის, კურნავს, და სულიერ ეთილდღეობაში გადაყავხარ. შეეცადე და აუცილებლად იპოვი ნეტარ შევებას, და თუ ღმერთი ცოდვას მოგიტყვებს, დაე, ეს სანთელი თავისით აინთოს, მის სინათლეს სიხარულით ეკაშკაშებიანოს შენი შინაგანი სამყარო, ბედნიერებით აგვსებოდეს ნაღვლიანი თვალები, გონებას ნათელი მოჰფენოდეს და დაღონებულ-აფორიაქებული გული დაგმშვიდებოდეს.

ყაჩაღთა ბანდის მეთაურმა გამოართვა სანთელი მეუდაბნოე მწირს, გაშორდა სამუდამოდ ყაჩაღურ ცხოვრებას და თვითონაც მეუდაბნოე მწირად გადაიქცა. დღის უმთავრეს ნაწილს ლოცულობდა და დარჩენილ დროს საკვებად ვარგისი მცენარეების მოსაძიებლად დაეხეტებოდა. ეძიებდა წყალს და საკვებს, ასე გადიოდა დრო. ამოდ ელოდა სანთლის თავისით დანთებას. ყოველი ლოცვის დროს ახსენებოდა თითოეული ჩადენილი, უღმობელი ცოდვა. მისგან განწირული, დასჯილი ან გამწარებული ადამიანების სახეები უდგებოდა თვლწინ და სინანულით ცრემლები დაჰაღუპით დასდიოდა სახეზე, ხელზე, მკერდზე.

მეუდაბნოე გახდა, თმა-წვერი დათოვლილი თოვლივით გადაუთეთრდა. ახლად შეთოვლილი, ფუმფქლი ფანტელებივით ეფინა ქოჩორზე ჭაღარა.

ერთხელაც წყლის მოსაპოვებლად შინ დაბრუნებულს ვიღაც უსახური, მემონზე და მეკონკე კაცი ეწვია. ეტყობოდა შიმშილისგან გული მისდიოდა. ხელი შეაშველა უსახურს და წვალებით მოპოვებული წყალი შესთავაზა.

ხელზე გაესვენა უსახური, მის ძონძებს მთელი ადგილი ძნელად თუ მოეპოვებოდა, მან თმაჭაღარა მეუდაბნოეს სთხოვა მისი სულისთვის ელოცა, გარდაცვალების შემდეგ ქრისტიანული წესით დაეკრძალა და უდაბნოში ცხოველთა საჯიჯგნად არ დაეგდო მისი სხეული.

მეუდაბნოემ აუსრულა მწირს ნაანდერძალი დანაპირები. გარდაიცვალა თუ არა, მაშინვე ლოცვას მიჰყო ხელი, მერე გაუთხარა უდაბნოს ცხელ მიწაში საფლავი და მიაბარა ქრისტიანული წესით მიწას. ჩამავალ მზეს მუხლზე დაუჩოქა და ისევ ლოცვის ადგენას შეუდგა: –თუ რამე სასიკეთოდ მილოცია, ღმერთო, ამისი იყოს, მე თუ გინდა ნუღარ მოგიტყვებ, ნუ მაპატიებ, რათა არც ვარ პატიების ღირსი, ამას მიუტყვე მისატყვებელი...– ბუტბუტებდა თავისთვის და გული უსახური ადამიანის გარდაცვალების გამო სევდითა და ტკივილით ევსებოდა.

დიდი ხნის ნანატრი წვიმა წამოვიდა უდაბნოში. ჭაღარა მეუდაბნოემ ჯერ სახე შეუშვირა წვიმას, მერე წამოდგა და უდაბნოში თავის უდაბურ სამყოფელში შეაფარა თავი. ზღურბლს გადასული გაცეცხისგან გაშეშდა; სანთელი, რომელიც გზააბნეული ყაჩაღობიდან გადაყრილ მეუდაბნოეს საჩუქარი იყო, თავისით ანთებულყო. ამ დროს ელოდა დიდი გულმოდგინებით, ამიტომ ლოცულობდა ხოლმე თავგანწირული, ცრემლების თანხლებით, ამის გამო შეეშვა ყაჩაღურ თანაცხოვრებას და განიმარტოვა თავი, ღმერთმა მას ჩადენილი ცოდვები მიუტევა და ნიშნად სანთელი ზეციური ცეცხლით აუნთო. ვეღარ გაუძლო ყოფილი ყაჩაღის გულმა სიხარულს, რომელსაც 49 წელი ელოდა და ამ ხნის შემდეგ მიეტევა ყაჩაღთა თავკაცს ენით აულწერალი ცოდვები.

ანასტასიას ნაამბობი ბოლომდე დასრულებული არ ჰქონდა, როცა მათ ეზოში შუახნის ასაკს მიტანებული, სამხედრო ფორმიანი ორი მამაკაცი შევიდა. თავზე სამხედრო ქუდები ეხურათ, რომლის წინ წამოწეული ფრთა თვალებზე ჩამოეფხატათ, ხელოვნურად საშიში იერის შესაძენად. ხელში ფურცლების გროვა დაეჭირათ. მათ ეზო დაკვირვებულად მომიათვალიერეს, მერე შენიშნეს რა, ბაღის შუაგულში მუხლდაჩოქილი, მოხიბვლელი ქალიშვილი და მის კალთაში თავჩარგული მასზე უმცროსი ასაკის მეორე, ერთმანეთს გადახედეს და ბაღში თამამად შეაბიჯეს. უზომოდ განიერი, სამხედრო ნაბიჯებით მოუახლოვდნენ, შეათვალიერ-შემოათვალიერეს ქალიშვილებიც და არემარეც:

–საქონელი გყავთ?–მკაცრი ტონით აღმოხდა ბოხი ხმა პირიდან ერთ-ერთ მათგანს.

–საქონელი?.. არა!–ახლადა წამოწია თავი დის კალთიდან განცვიფრებულმა ანნამ.

–თუ გყავთ ორი, ერთი კოლექტივიზაციისთვის უნდა ჩააბაროთ!–გამოსცრა გაყვითლებული, მეჩხერი კბილებიდან პირველმა:
–ფრინველები გყავთ?

–რა ფრინველი?

–ქათამი, ბატი, იხვი...

–არა!

–თუ გყავთ ორი, ერთი უნდა ჩააბაროთ, კოლექტივიზაციისთვის გვესაჭიროება!

–და თუ მყავს სამი, ოთხი?–განცვიფრდა ანნა.

–მაშინ ერთი დაიტოვეთ, დანარჩენი უნდა ჩააბაროთ, კოლექტივიზაციისთვის გვესაჭიროება!–დაზეპირებულად იმეორებდა პირველი მათგანი და ფურცლებში ფანქრით რაღაცას გამალებით ინიშნავდა. მეორე კი მის მხარს მდგომი გატრუნულიყო.

–სულ არაფერი გყავთ?

–არა, ბატონო, სულ არაფერი გვეყავს!–თქვა ანნამ. ის იყო ფორმიანმა მამაკაცებმა თავიანთი მექანიკური მოძრაობებით ზურგი შეუქციეს გოგონებს და გასასვლელისკენ აპირებდნენ წინგადადგმულ ნაბიჯების განხორციელებას, რომ ზურგიდან ვერას ხმა გაისმა:–გვეყავს, როგორ არა გვეყავს!

კუშტად გამოხედეს ზურგიდან თავმობრუნებულებმა, მერე პირველმა კოპებშეკვრით, ნიშნისმოგებით ზევიდან ამაყად გადახედა ბაღში მიწაზე მჯდომარე დებს და დანაშაულზე ახლად წასწრებულივით მკაცრად შესძახა: –აკი არა გვეყავსო?!.. თურმე გყოლიათ!

შემდეგ უმცროსს დას, ვერას მიუბრუნდნენ, რომელიც მეზობლის სახლში დროებით აღვილდამკვიდრებული წინკარში გამოსულიყო: –თუ გყავთ ორი, ერთი ჩააბარეთ, კოლექტივიზაციისთვის გვესაჭიროება! რა გყავთ, საქონელი თუ ფრინველი?

–დედინაცვალი!

–თუ გყავთ ორი, ერთი ჩააბარეთ, კოლექტივიზაცია...–მონოტონურად იწყო გახეპირებულის გამეორება, რა დროსაც იდაყვში ხელის მოქაჩვით ანიშნა მეორემ, დაგვცინისო.

პირველმა იხტიბარი აღარ გაიტეხა:–დედინაცვალი არ გვესაჭიროება!

–რატომ?!.. კოლექტივიზაციისთვის მზად ვართ ერთადერთი დედინაცვალი დავთმოთ.

–დაგვცინით?!–დაიგრგვინა მჭექარე ხმით პირველმა.

–არა, ბატონო უფროსო.–ფეხზე წამოემართა სახეაწითლებული ანნა, ეს ჩემი პატარა დაიკოა, ახლავე ვასწავლი ჭკუას, გთხოვთ, ყურადღებას ნუ მიაქცევთ! –თქვა და ვერასკენ ბრაზმოსილებით აღვსილმა გაიწია. ვერამ კისკისით იბრუნა პირი და სახლში შეიკეტა. ანნა უკან ნასტიასკენ მიბრუნდა, რომელიც თავისთვის ლოცვას ბუტბუტებდა უკმაყოფილო სახის გამომეტყველებით. ისე იქცეოდა, თითქოს, მაღალ, ფორმიან, დაუპატიჟებელ სტუმრებს ვერ ამჩნევდა:

–ეს ვინდაა?! –იკითხა გაკვირვებით პირველმა და კოპებშეკვრული მზერა დააშტერა ნასტასიას სილამაზით მოხიბლულმა.

–ეს?!.. აქ მჯდომარეა!–მოკრძალებული პასუხით შემოიფარგლა ანნა.

–როგორ, სულ აქ ზის?

თავი უსიტყვოდ დაუკრა ანნამ პირველის კითხვას.

–როგორ, ყრუა? ჩვენი არ ეყურება?

–არა, ყრუ არ არის!

–აბა, ვერა გეხედავს?.. ბრმაა?–განაგრძობდა ქალიშვილის სილამაზის გამო ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი პირველთაგანი.

–არა! –მხრები აიჩეჩა ანნამ.

–აბა, ასე უცნაურად რატომ იქცევა?

–ეს, აქ მჯდომარე ცხივრების წესს ეწევა, სულ ესაა! –დის შესახებ მშრალი პასუხით დაკმაყოფილდა ანნა.

–დიდი ხანია?–არ ცხრებოდა ცნობისმოყვარეობისგან აღტკინებული პირველი.

–წლებია უკვე...

–რატომ, გიჟია?

ანნა გაშრა, ენას ვერ იმორჩილებდა პასუხის გასაცემად, გული სიბრაზით ამოხტომას ლამობდა. გრძობდა სახეზე ზღვა ემოციით გამოწვეული სიწითლე მოსწოლოდა, მაგრამ თავს ზემოთ მხსნელ გზას ვერ ხედავდა უკმაყოფილების გამოსახატად:

–უფროსო!–მუჯღუგუნი გაჰკრა პირველს და თავით მავთულხლართი ღობის იქით, მეზობლის ბაღში მდგარ ნაფიცრულისკენ მიანიშნა, რომლის თავზე რამდენიმე მტრედი ჩამოსხდარიყო, მომცინარი მზის სხივებით გამთბარნი, ფრთების ქექვით გართულიყვნენ.

–ვააჰ, მტრედები?.. მაგრამ მტრედები რომ არ გვიწერია ჩამოსართმევ ცხოველთა და ფრინველთა სიაში?

–ფრინველებში არა წერია?.. ალბათ გამორჩათ, თორემ ქათამივით იჭმევა.

–ბევრი ჰყავს? ჩამოვართვათ!..მაგრამ უარი რომ გვითხრას იმან–თქვა და თავისი უფროსი მოიყვენა მხედველობაში.

–თუ უარი გვითხრა, ავაფრენთ და, ისევ აქ მოუვლენ, ბოლო-ბოლო ფოსტა მტრედებია ეგენი, მისამართი და ადგილმდებარეობები არ ეწლებათ.

–ხო?

–ხო!.. ან თუ უარი გვითხრეს, მაგას რა ჯობია, გავპუტოთ და თხილის წნელებზე შევიწვათ, თითო ბოთლი ჭაჭა ორივეს მოგვეპოვება და...

ერთმანეთს დიდად ნასიამოვნებელი სახეებით გადახედეს.

–კულაკი, დამიხედეთ, ნახალოვკის კულაკი!–დაიძახა პირველთაგანმა და თითქმის ძუნძულით დაიძრა მეზობლის ბაღში შესაღწევად. ფორმიანებმა ნიკიშეების ეზო კულაკის ძახილით დატოვეს. დები გაკვირვებულები ადევნებდნენ თვალყურს მათ საქციელს. მეზობლის ბაღში თვითნებურად

შეჭრილნი ჯერ სამტრედეს მიუახლოვდნენ. შიგნით, თავის შეყოფის შემდეგ, აღმოაჩინეს, რომ მტრედების რაოდენობა ნაფიცრულის სახურავზე ჩამომსხდართან შედარებით ერთი-ორად მეტი იყო. ამას დაემატა ღობის ძირზე გამობმული დედა ღორი, რომელსაც ჯაგარი გამუდმებით დასვრილი ჰქონდა და დინგი ტალახის ჩიჩქნით გალაფული:

–კულაკი, აი, ხომ ამბობდნენ, კულაკი ცხოვრობს ნახალოვკაშიო, არ გვეჯერა და აი!– გაჰყვროდა პირველთაგანი.

მასპინძელი შიშნაჭამი გამოვარდა სახლიდან. მათთან მისახლოვებლად ფეხს ითრევდა. სახეზე გაფითრებული ცვილისფერი დასდებოდა. იმ წამს ისე დაპატარავებულიყო, რომ არსებული ღიპი სადღაც გაქრობოდა:

–შენია?–თავით მიანიშნა პირველმა ფრთაქექია ფოსტა მტრედებისკენ და თან წვერწათილი ფანქრით ფურცლებზე გამალებით რაღაცას ინიშნავდა.

–როგორ გითხრათ, –მოიქექა თავი პატრონმა –ჩემი არაა, აქ საიდან გაჩნდნენ არ ვიცი, აი, აქ, ფადული ავიშენე და იქ შეფრენილან ეს გასავერნებლები, თავისით დაუდიად ემანდ ბინა, რამდენია არც კი ვიცი, სიმართლე გითხრათ, არც კი შემხედავს შიგნით.

–მართლა?–ასო-ბგერა „ა“ დიდად ინპერპრეტირებული ცინიზმით წარმოსთქვა პირველთაგანმა, მერე ღობის ძირას გამობმულ ღორს გადახედა და დასძინა:–ეს ვიდასია, ესეც თვითონ ხენეშა-ხენეშით მოვიდა და აქ დაება?!

ღობის ძირას პალოზე დაბმულ ღორს მრავალმნიშვნელოვნად გადახედა მეორე პირმაც, მერე მზერა ღორის პატრონიზე გადაიტანა, რომელიც მეტი სიწითლისგან ჭარხლისფრად ბზინვარებდა:

–მოკლედ, აი, ამ მისამართზე გამოცხადდით და იქ განმარტეთ, როდის და საიდან მოვიდნენ თქვანთან მტრედები და ღორები!–თქვა და ფურცელი გაუწოდა, სადაც გაკულაკების დანიშნულების სპეციალური სამმართველოს მისამართი იყო აღნიშნული.

–ღორი მარტო ერთი მყავს–თავი გაიმართლა მასპინძელმა.

–ერთი? იქნებ სხვებიც თავისით მოვიდნენ მტრედებივით და ადგილზე დაებნენ, მოძებნაა საჭირო!

ლოგორც იქნა გაღვლეტილ ქალაქში ერთი კულაკი აღმოაჩინეს სამხედროფორმიანებმა და წინასწარი სიხარულით აღივსნენ ჯილდოდ მისაღები ჯამაგირის გამო.

ღობის მეორე მხრიდან სუნთქვაშეკრულნი ადევნებდნენ თაღყურს დები ნიკიშევები მეზობლად არსებულ ბაღში განვითარებულ უსათაურო დრამას. თვალწინ ჩაურბინეს წარსულის სიძველემუჭმულმა კადრებმა, პაშკას მამის იატაკქვეშა მოღვაწეობის შესახებ ამ მეზობელმა ბავშვების ნაუბარიდან გაიგო თუ არა, სწორედ იმ ღამეს უანდარმერია დაეცა, სახლში ნაქონი

პარიზში ნაბეჭდი გაზეთი „ხლები ი ვოლია“ აღმოუჩინეს და მას მერე პაშკას მამა თვალთ აღარავის უნახავს. სწორედ მაშინ დარჩა მთელი ცხოვრება პაშკა მამით ობოლი. სიჩუმე ანნამ დაარღვია, თავის მუხლდაყუდებულ, სევდიანი სახით მაცქერალ დას გადახედა და ჰკითხა:

–ნასტია, გახსოვს პაშკას მამა?.. ძია ალიოშა?

ნასტიამ, რომელსაც არ ესიამოვნა ანნას განახსენები მეზობლის ძველი ცოდვანი, საუბარი შეაწვეტინა:

–არ გინდა, ანნა, ნუ გაიხსენებ გულმტკივნეულს, ნურც სხვისი ცოდვით მოითბობ ენას. არაფერს შეგმატებს ეს. გეცოდებოდეს ყველა უგუნური, ყველა თავისას მიიღებს. შენ შენს საუკეთესო დროს სხვის ცოდვებზე ენისფხანით ნუ გაღვევ, გულს ამით ვერ გაახარებ. შენ ის მითხარი დათა რას შვრება? იმ გოგოს, მაროს დაღუპვის შემდეგ როგორ არის? რამხელა ტრაგედია დაატყდა ოჯახს თუ ქალაქს, კიდევ კარგი დათა შინ რომ არაა, თორემ იმ „მეკულაკეებს“ ვერ მოუთმენდა, ჩხუბს გაუმართავდა.

–მცირედხნიანი ფიქრის შემდეგ ისევ გააგრძელა ნაუბარი:

–ვინც ითმენს, თავის სამომავლო-საკეთილდღეოდ ითმენს. მომთმენი ყოველთვის უგებს მოწინააღმდეგეს. არასდროს გაანდო შენი ნააზრევი სხვას. სხვამ არ უნდა იცოდეს შენი გონებრივი შესაძებლობანი, შენი პირადი გონიერული მსჯელობა. მტერიც ახლოს ეძიე, შორს მყოფი მტრად ვერ მოგეკიდება, თუ შორსაა ის უსაფრთხო მტერია. ახლოს მყოფი მტრის შეგნებულად გერიდებოდეს, თორემ შიში მხოლოდ ბოროტისაა. შიშს ერთი თუ აჰყევი, თავის ტყვედ გაქცევს: დაგატყვევებს, მერე დაგამონებს. არადა ღმერთს ადამიანი მონობისთვის არ შეუქმნია, თავისუფლებისთვის შვა, არასდროს დაემონო და დაებრიყო სხვას. შენც ისეთივე თავისუფალი აზროვნების ხარ, როგორც საკუთრივ ის სხვაა.

ანნა მოსაუბრე დას ხელზე ეფერებოდა, უყვარდა ანასტასიას დებთან დამრიგებლური ტონით მიმართვა:

–ანნა, ხომ გინდა დათამ ოდნავ მაინც გადაიყაროს გულიდან მომხდარი?.. უნდა გაახარო!–ანასტასიას ნათქვამმა შუათანა დას თვალები გაუბრწყინა, სმენა გაამახვილა უფრო მეტის გასაგებად.

–ხელი უნდა მოაწერო, აგერა, ჩვენი უბნის სახკომში, ჩემს მოსანახულებლად რომ დადის ხშირად, ციალა, იმან მიაბო... ხელის მოწერა დაუშვეს, მიხვალ და ხელს მოაწერთ.

–მერე, პირადობის დამადასტურების საბუთები არ გვაქვს, რა ნაირად?

–მაგას აღარ აქვს მნიშვნელობა. პირადობის საბუთებს იმიტომ არ იძლევიან რომ სოფლის მცხოვრებმა მოსახლეობამ ქალაქში შემოსვლა ვერ შეძლონო, და პირიქით, აქაურებმა თავი სოფელს არ შეაფარონო... მაგრამ ხელმოსაწერად პირადობის დოკუმენტები საჭირო არაა, მხოლოდ თითო-თითო მეზობელია მოწმედ საჭირო, რომ დაადასტუროს შენი აქაურობა და

დათას ერთმა მეზობელმაც უნდა დაადასტუროს მისი აქ მცხოვრებობა. მათ თავიანთ თავზე უნდა აიღონ პასუხისმგებლობა რომ ნამდვილად აქაურები ხართ. წლოვანებასაც არ დაგიდევენ, ასაკი თუ გკითხეს, რამდენიმე წლით რომ მოიმატო თავი, არაფერი დაგიშავდება, თუ პირადობის დოკუმენტი არ გაქვს, ასაკის სისწორეს ვინდა დაგიდევს?

–ხელის მოწერას კი ვეტყვი ამ საღამოს, დაბრუნებისას, მაგრამ...– ანნამ უკმაყოფილოდ დაიმორცხვა, სახე თოვლჭყაპიან მიწას გაუშტერა და დანანებით თქვა:–ვაჟიშვილზე ოცნება ვერ ავუსრულე.

–ეგ რა ბაწარი შეგიბნევია ხელზე?–სასხვათაშორისოდ ჩაეკითხა ანასტასი და დის მაჯაზე გამობმულ რამდენიმე ნასკვის მქონე ძაფს ნაძალადევად აარიდა თვალი. სახე მალლა ცისკენ ადაპერო, თითქოს, მის თეთრად მოკრიალებულ სივრცეში ნაოცნებარს ისრულებდა.

–ეს?...–ხელი შეივლო ძაფზე და ნაცრისფერი პულოვერის შელახვისგან დაწევილ სახელოში შემალა.–ეს მარიამ რომ წამიყვანა, ერთხელ... შენთვის თქმა დამავიწყდა დაიკო...

ნასტასიას სახეზე უკმაყოფილება დასტყობოდა. თვალეზე ეტყობოდა, რომ დისგან უფრო მეტ სულგრძელობას მოითხოვდა, ვიდრე არსებულის ქონას:

–მაშინ, შემლოცველთან ვიყავით, ძაფი რამდენჯერმე გამონასკვა კიდევ, თავზე ფქვილიც მაყარა, მაგრამ მაინც არაფერი მეშველა.

–ფქვილს გაყრიდა? ვაი, შე ფქვილიანო... როდის აქეთ გახდა თავზე ფქვილის ყრა წამალი?... ალბათ, მაგიტომ დგას დეფიციტში ფქვილი, სულ რიგებში უწევს მარიას ყოფნა.–კისკისით გამოემცნაურა მსხლის ხეს ამოფარებული, აქამდე ჩუმად მყოფი ვერა.

–ვერა, შენ ხმას როგორ იღებ, დამცინი კიდევ?!–თვალეები აუწყლიანდა ანნას.–განა რა დავაშავე, ერთხელ წაყვევი მხოლოდ.

–ანნა მოიხსენი ღვთის გულისთვის ეგ ბაწარი, ვაჟიშვილების ყოლა ბაწარზე რომ იყოს დამოკიდებული, ყველა კისერზე ბაწარგამობმული ივლიდა–დაარიგა ანასტასიამ.

–რა ვაჟიშვილები გვეყოლება, რაც ბავშვობაში ფეხშიშველებს წყლები გვაქვს ნაზიდი, წელმოწვევტილებივით დამხდრებს იმიტომ ვგავართ.–ნაძალადევი იუმორის ტონით ნათქვამი სევდიან ხმაში გადაუვიდა ვერას–მასსოვს, ცივი წყალი პირთამდე სავსე ვედროდან ფეხებზე გვექცეოდა. დასველებულები დავდიოდით ცივ ამინდში მთელი დღის განმავლობაში. შემაწუხებელი იყო რა თქმა უნდა, მაგრამ ყურს ვინ შეიბერტყავდა ჩვენს გამო? მარიას მხოლოდ ჯორული შრომა უნდოდა ჩვენგან.

–მერე, ვინ არ შრომობს ბავშვობაში? აბა, ხელით მიმითითე!–გამოეპასუხა ანასტასია.

–ყველა, მაგრამ ნამდვილი დედა ამდენი შრომა-ჯაფისთვის შვილებს ვერ გაიმეტებს. აი, დავცივდით და ანნას შვილი არ უჩნდება. მე კი, ჯერ რა ვიცი, როცა ქმარი მეყოლება, გამიჩნდება?

უფროსმა დებმა ღიმილით გადახედეს ჯერ ერთმანეთს, მერე ორივემ მზერა უმცროს დაზე გადაიტანეს. ანნას გაეცინა: –იშ, თურმე თავის თავზე დარდობს ეს პაწუნა.

–სულაც არაა პატარა! –ხუმრობით გამოესარჩლა გაღიმებული ანასტასია–განა ისევ ისეთი პატარაა, დევებისა და ჯადოქრების რომ სჯეროდა, ძილის წინ ზღაპრის მოყოლის გარეშე რომ ვერ იძინებდა?

დათა მაყაშვილის ეზოში ნაჩქარევად შეჭრამ საუბარი შეაწყვეტინა. ჩვეული მანერით, ანასტასიას მისასალმებლად მარჯვენა ხელი აუწია, ვერას თვალი ჩაუკრა. ანნა გრძნობით სავსე მზერით გაათბო და სახელში შეირბინა, საცოლევ ფეხდაფეხ მიჰყვა.

*

ანნა ნიკიშევას და დათა მაყაშვილის ხელმოწერა შედგა ახლომდებარე შინსახკომის ნაცრისფერ შენობაში. ანნას ბედნიერებისგან სახე გაცისკროვნებოდა, ამინდის სუსხის გამო შეუფერებლად თხლად შემოსილიყო: კრემისფერი ჟორჟეტის წელში გამოყვანილი კოჭებამდე სიგრძის კაბა ქალწულის სუსტ აღნაგობას სიმკვეთრეს სძენდა. მის სუსტ მხრებზე მოეხვია ხელი მეწყვილე ვაჟს, რომელმაც მომავლის იმედით ჩაფიქრებულმა შეავლო თვალი საკუთარ მეორე ნახევარს. ასული ხელით ეალერსებოდა საქორწინო თაიგულს, რომელიც ახალბედა ენძელებისგან შედგებოდა. ფიქრიდან შინსახკომის თანამშრომლის მჭექარედ გაუღერებულმა ხმამ გამოარკვია, ეს ხმა სიჩუმით გამეფებულმა კედლებმა აიტაცეს და ექოდ გაიმეორეს სხვადასხვა კუთეში:

–წყვილს მოწმეები ჰყაავს?–დაეკითხა შინსახკომის თანამშრომელი და თანმხლები ახალგაზრდა გოგონა და ვაჟი დიდრონ ცხვირზე მორგებული სათვალის ზემოდან შეათვალიერა: –აბა, ვინ ადასტურებს მოქალაქე დათა მაყაშვილის აქაურობას, რომ ნამდვილად დაიბადა და ცხოვრობს ქალაქ თბილისში?

–მეე!–დაიძახა ზორბატანიანმა საშიკომ.

–მეეე, რა თხა ხარ?.. უნდა თქვა, მოწმე გახლავართ მოქალაქე დათა მაყაშვილის ქალაქ თბილისში დაბადებისა და ცხოვრების შესახებ!

სიტყვა-სიტყვით გაიმეორა სამხედროფორმიანის დარიგებული საშიკომ, თანამშრომელი კი თავისას აგრძელებდა:

–აბა, ვინ ადასტურებს მოქალაქე ანნა ნიკიშევას აქაურობას, რომ ნამდვილად დაიბადა და ცხოვრობს ქალაქ თბილისში?

–ვადასტურებ, მოწმედ გახლავართ მოქალაქე ანნა ნიკიშევას ქალაქ თბილისში დაბადებისა და ცხოვრებისა!–წარმოსთქვა ანნას ხელმოწმე დარომ.

სამხედრო ფორმიანმა შუახნის მამაკაცმა ცარიელ ფურცელზე ხელი მოაწერინა. წერა თუ არ იცით, შეგიძლიათ ჯვრები დასვათო, ანდაც ხაზები გაავლოთო. დათას სახეზე უკმაყოფილება გამოეხატა, მაგრამ აღარ შეიმჩნია, ერთი ყურიდან შემვებული სიტყვები წერის უცოდინრობასთან დაკავშირებით, მეორიდან გამოუშვა. ბედნიერ ანნას შემხედვარე, აღარ გამოეკიდა სათაკილო ნათქვამს:

–მდაა! –ჩაილაპარაკა სამხედრო ფორმიანმა და დაკვირვებით დააცქერდა სუფთა ფურცლის ქვეშ ხელმომწერთა კალიგრაფიას. საქორწინო ტექსტს მერე დაეურთავ, ძალაში თანდართვის შემდეგ შევა თქვენი ხელმოწერაც.

–როდის მერე?–ჩაეკითხა დათა.

–მერე, როცა მოვიცლი.–გამოსცრა მეჩხერი კბილებიდან და დათას გამომწვევი უკმაყოფილებით ამოხედა.

დათა მიუხვდა ნათქვამის უთქმელ დედააზრს. სამხედროფორმიანს ნებისმიერი ტექსტი შეეძლო თანდაერთო მათი ხელმოწერებისთვის, სამომავლოდ შესაძლო ავი ან კარგი საქმის წადგომისთვის.

ამიტომ, იძულებული გახდა დათა ხელი ჯიბეზე გაეკრა. წითელთუშნიანი ამოიღო, დაანახა სამხედროფორმიანს, მერე, მისსივე თვალის დასანახავად გულის ჯიბეში ჩაუდო. განსაკუთრებულ ხასიათზე დააყენა შინსახკომის მკაცრი თანამშრომელი წითელთუშნიანმა. სიხარულით გაღმეჭილმა მაშინვე სხვა ფურცელი მოიძია და ტექსტი მათივე თვალწინ გადაწერა. ეს ტექსტი უკვე ნამდვილად საქორწინო შინაარსის შემცველი იყო. გადაწერა თუ არა ტექსტი, ღიმილით გადაბადრულმა ამოხედა თავს წამდგარ დათა მაყაშვილს და მჭექარე ხმით თქვა: –საბჭოთა კავშირის წინაშე ოფიციალურად გაცხადებთ კანონიერ ცოლ-ქმრად. შეგიძლიათ მიულოცოთ ერთმანეთს.

მოსიყვარულე წყვილმა ერთმანეთი გადაკოცნა, გვერდით მყოფმა მოწმეებმაც გახარებული სახეებით გადახედეს გაბედნიერებულ წყვილს, ჩახუტებით მიულოცეს ცოლქმრული ცხოვრების დაკანონება. ანნამ თავი დათას მკერდს ჩამოადო და თვალეზღახუჭული, გაღიმებული, ბედნიერებას გაენახა:

–ხედმეტად გამოსატული ცოლქმრული მანერები და ალერსის შემცველი სიტყვების თქმა საზოგადოების წინაშე, ამორალური ნაქმედი გახლავთ! –მჭექარედ ბოხი ხმით დაარიგა და გაარკვია საქორწინო წესებსა თუ სეხელმწიფოს მიერ განსაზღვრულ საზოგადოებრივ ქმედებათა ეთიკურ კანონმდებლობაში.

წყვილს მოწმეებიც ჩაეხუტნენ. ანნასთან მიახლოვებულ დაროს ფეხზე დათას მოწმე-საშიკომ ფეხი უნებლიედ დააბიჯა. რადგანაც დიდთავა

საშიკოს აღნაგობა ზომით ძალზე მაღალი და ტანმსხვილი გახლდათ, მწარედ მოუვიდა უნებლიედ უხეში საქციელი. დიდი ზომის ტერფის დაბიჯება ქალის თხელ ფეხზე მწარეზე-მწარე აღმოჩნდა. ისეთი შეჭკივლა დარომ, რომ სახკომის მჭექარესმიანი თანამშრომელი მოულოდნელად მაღლა შეხტა:

–ჰაა-მეთქი! –ამოსძახა აცრემლებულ, მომკივან ქალიშვილს.–ეგეთი სასიხარულო ემოციები სახლში გაბედე, აქ არ შეიძლება წიოკობა, გორკა და ეგეთები სახლში, სახლში...

ფეხმტკივანი დარო შიშისგან დადუმდა. კოჭლობით ფეხათრეული გაჰყვა გასასვლელისკენ დაძრულ წყვილს. სახკომის კიბეზე დათა თავის ხელმომიდუ- საშიკოს მცირედხანს გაუჩერდა. საშიკო გულით ულოცავდა გაბედნიერებას, რა დროსაც განაწყენებულმა დარომ დრო იხელთა და ანნას გულისნადები გაანდო:

–იცო, ყველა კაცი განავალია, ოღონდაც ზოგი კარგი და ზოგიც ცუდი.

–რას ამბობ, დარო, ეგრე როგორ შეიძლება ფიქრობდე ერთი ფეხის დადგმის გამო?

–ბოდიშიც კი არ მომიხადა დათემა, მართლა დათვი ეგა, მე ჩემს აზრს არ შევიცვლი კაცების შეხედულებაზე, ისინი განავლები არიან, ოღონდ ზოგი კარგი და ზოგიც ცუდი.

–კარგი განავალი გაგიგია შენ?–გულწრფელად გადაიკისკისა ანნამ.

–სწორედ მაგაშია საქმე, ყველა კაცი ერთნაირიაო, მაგ აზრიდან მომდინარეობს. მე, პირადად არასდროს არ გავეთხოვდები, მტკიცედ გადავწყვიტე უკვე.

–გნახავ, ჩემო კარგო, გნახავ...–ანნას ხმაში იუმორი იგრძნობოდა. დიდი სიხარულით გაიწია დათას მიერ გამოწვდილი ხელისაკენ ჩასაჭიდად.

სახლში დაღონებულები დაბრუნდნენ, ჯვარი ვერ დავიწერეთ, ღვთისმშობლის ტაძარი აღარ მოქმედებს, აბანოდ გადაუკეთებიათო, შესწივლა ანნამ მუხლდაჩოქილ ანასტასიას:

–ნუ დელავთ ახალგაზრდებო, მე დაგლოცავთ, აბა, აქეთ მოდექით!– ანასტასიას საზეიმო განწყობა შექმნოდა, მოსიყვარულედ უდიმოდა ორივეს. მის წინაშე მუხლდაჩოქილ დასა და სიძეს, რომელიც მთელი თავისი შინაგანი არსით უყვარდა და ათანაბრებდა დების სიყვარულთან. დათა მისთვის განსაკუთრებულად სათუთი ფიქრი იყო, კირილეს მეგობარი, დის მეორე ნახევარი, ოჯახის საპატიო და კეთილშობილი წევრი და მასზე არაერთხელ მოზრუნავი. ეს თვისებები უკვე საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ საკუთარი დედმამიშვილების სიყვარულთან გაეთანაბრებინა დათას სიყვარულიც.

ანასტასიამ გულითადად იგალობა მათ წინაშე, ლოცვაც განსაუთრებულად ტკბილი გამომეტყველებით წარმოსთქვა მათთვის, ევედრებოდა ზეციურ სამყოფელს დაეფარა ქართული ეკლესია-მოასტრები შებღაღვისგან და წყვილი, რომელმაც ჯვრისწერა ვერ შეძლო ტაძრის უფუნქციოდ დატოვების გამო, სთხოვდა ჯვარდაწერილად ჩათვლილიყვნენ.

ბედნიერების სადღეგრძელო ითქმებოდა ანასტასიას წინ გაშლილ პატარა ტაბლახზე, რომელსაც დათას მიერ შეკრულ მომცრო ხის სკამებზე ჩამომსხდარიყვნენ ახალგაზრდა, გაბედნიერებული წყვილი მოწმეებითურთ. ანნას სიხარულს საზღვრები დაეკარგა, უზომოდ აღელვებულ ტალღად აზვირთებულყო და ძლივს იკავებდა საკუთარ კაფანდარა სხეულს, რათა ბედნიერების მორევს გაურკვეველი მიმართულებით თან არ წარეტაცნა.

იმ ღამით კვლავაც წყეულად შემოჩვეული სიზმარი ეხმანა. ისევ ისე იწვა თავიდან მწვანედ ახასხასებულ, ლორთქო ბალახზე, რომელიც წამიერად გადამხმარიყო. ზედ მიმოყრილ ხმელ ფოთლებზე მწოლი ქვევით მიასრიალებდა უხილავი. კანი ეფხაჭნებოდა ნასუსს, დათრთვილულ გამხმარ ბალახზე სრიალისას. ნაკაწრებიდან წამოსული სისხლის კვალს ტოვებდა და საშველად გამოსავალს ეძებდა. წართმეული ხმის გამო საშველად დათას მოხმობა არ შეეძლო, თუმცა, თავისნაირ მდგომარეობაში უხილავის მიერ ნაძალადევად მოსრიალეს რამდენიმე მეტრის მოშორებით ხედავდა, ამოწვერილად გადამხმარი ბალახი ეფარებოდა ეხილა მისი სახე, თუმც თავს ზემოთ უღონოდ გადაყრილ ხელებს, მის მტევნებს, რომლის ხელისგულები ცისკენ მოქცეულიყო, მკაფიოდ არჩევდა ახლობლობას.

მაინც ვინააო, ფიქრობდა და სწორედ ეს ფიქრი მტანჯველად მოვლენოდა. შორს, ყურთასმენისთვის ოდნავ შესამჩნევად მშიერი მგლის ყმუილი მოისმოდა. ყმუილი გარკვეული დროის განმავლობაში ნელ-ნელა ახლოვდებოდა და მკაფიოდ უსვამდა ხაზს, რომ მის მიერ ნაყმუვლი ხმის უღერადობა ეკუთვნოდა მშიერ, სიმაძღრით დაუკმაყოფილებელ, გაუმაძღარ მგელს, რომელიც აშკარად მშობლიური ტრამალებიდან შორს გადახვეწილი საკუთარ სამშობლოს ძიებაში სხვისას ჩემულობდა. ნადავლ ლეშს პირით ეძებდა და წინასწარი ყმუილით სხვა მოცილობლებს აფრთხობდა. ანნას შიშისგან თავგზა არეოდა, არც გამოძრავება შეეძლო, არც ხმის ამოდება, მორჩილად მორჩილებდა უხილავ გამწევ ძალას, რომლის დასასრულს, ფერდობის ძირას მდებარე უცნობი ადგილი, მისთვის სასიკვდილო განაჩენის აღმოჩნდებოდა ან პირიქით, შვების მომტანი.

ძილიდან გამოღვიძებული ცივ ოფლში ცურავდა. ლოგინიდან გადმოუშვა აკანკალებული თხელი ფეხები. ფანჯარასთან მიიღრბინა. მთვარით განათებულ ბაღში თვალთ ანასტასიას მდებარეობის ადგილი მოზომა. მთვარის შუქი მქრქალად ღანდავდა მის მლოცველ სხეულს, პირჯვარის წერის შემდეგ ხშირად შუბლით მიწას ეხებოდა.

ანნას მლოცველი დის სხეული მშფოთვარე მოეჩვენა. შორიდან გრძნობდა მის თრთოლვას, ემოციებით აჩქარებულ მის სუნთქვას... სურდა

მისულიყო, ძველებურად ცუდი სიზმრის შემდეგ თავი მის კალთაში ჩაერგო და განუწყვეტლივ გულამოსკვნილს ეტირა. ეტირა, რადგან ტირილის შემდეგ გამოწვეული შვება ეგრძნო, თუმცა ასეთ შემთხვევაში დას უფრო მეტად ააფორიაქებდა, ამიტომაც შეეცადა გაფრთხილებოდა მის ფიზიკურ უმწეობას.

მთვარის შუქზე გარკვევით დაინახა, თუ როგორ მოხედა ანასტასიამ სწორედ იმ ფანჯარას, რომლის სიბნელიდან ანნას შემფოთებული, აცრემლებული მზერა მომართულიყო. ანნას გულმა ბაგა-ბუგი დაუწყო: „ნუთუ ჩემი მზერა იგრძნო, ნუთუ ჩემი სიზმრით გამოწვეული უგუნებობა იგრძნო?“ – უფრო მეტად შეეცოდა ყოვლის ამტანი, ერთადერთი სიყვარულის ერთგული და ყველაფერში გულწრფელობის მოქომაგე თავისი დაიკო.

IX

ანნას და დათას ოფიციალურად ხელმოწერილმა ქორწინებამ მარიაც გაახარა. სამკერვალო ფაბრიკიდან დაბრუნებულმა დიდი ემოციებით ჩაიხუტა ორივე, თუმცა შინაგანად გული სწყდებოდა დათას მცირე ასაკოვნების და ხელმოკლეობის გამო. მე სხვანაირი მინდოდა მისთვისო, გაანდო ერთხელ გულის ნადები ვერას:

– ეკონომიურად შეძლებული და ასაკითაც დამჯდარი, დაღვინებული. ქარაფშუტურას რა ჭკუა უნდა მოჰკითხო, სათაგისოდ თუ არა აქვს, სასხვისოდ ექნება?

ვერასთვის დედინაცვლის აზრები უცხო არ იყო, ამიტომ დიდად გულთან ახლოს არ მიიტანა: – ყველაფრს თავისი დარი ახლავს, ოღონდ გამოდარებას დრო სჭირდება.– მიუგო პასუხად.

– ოჰო, შენც გისწავლია ენატლიკინობა, არა, ვცდები, კი არ გისწავლია შენ სულ ასეთი იყავი, შენი დებივით უენპირო კი არა, ყოველთვის ენაპირიანი მყავდი. რას ვიზამ ვერაჩკა, ახლა გვიანია შენი გამოცვლა, რადგან ჩემგან წვრთნა-ვარჯიში შენ ვეღარ გიშველის.

– წავსულვარ ხელიდან და ეგაა! – გაეცინა ხმამაღლა ვერას. მის სიცილს დედინაცვალიც აჰყვა. კისკისებდა ძალზედ ხმამაღლა, დაურიდებლად, პირს დიდზე აღებდა და გაშაფებულ, ჭიანახრავ კბილებს აჩენდა. არაბუნებრივად ეჩვენა ვერას დედინაცვლის სიცილი. სხვა დროს ასეთი არასდროს ენახა, გარკვეულად მკაცრ საზღვრებში ჰქონდა მოქცეული სიცილი, რომელიც ესოდენ იშვიათი იყო მის ხასიათში:

– მარია! – ჰკითხა განციფრებულმა ვერამ, რომელსაც სახეზე ღიმილი შეციებოდა: – ხომ კარგად ხარ?

– რაა? – ძლივს შეაჩერა დაუძღურებელი სიცილი ქალმა.

–ხომ კარგად ხარ? გეკითხები, ამ ბოლო დროს რამე ხომ არ გაწუხებს?

–რაა? მაწუხებს?... კი, მაწუხებს, ბევრი რამ მაწუხებს, ვერაჩკა, მაგრამ ექიმბაშების მისაცემი ფული მე არ მაქვს. ქალიც ვიცი, მკითხაობს და შიგადაშიგ გეუბნევა ავადობის გამომწვევ მიზეზს, მაგასთან რიგში დგომა არ შემიძლია და თანაც მეძვირება. რა ვიცი, იმიტომ მინდოდა შენი დებისთვის შეძლებული ქმარი, სიძეს ოჯახისთვის ხელი მოემართა. –მარიამ თავზე ფაქიზად შეივლო ხელი, ზედ წაკრული მოსახვევის კიდევებით კვანძვი გაიმადრა და მეორე ოთახში გავლით თავი აარიდა გერის არასასიამოვნო კითხვებს.

სახლიდან გამოსული უმცროსი და შუათანას მიეჭრა და მარიას ავადობის შესახებ საკუთარი ვარაუდი მოახსენა. ანნამ გულთან ახლოს არ მიუშვა ვერას ნაუბარი: –მოგეჩვენებოდა, თორემ საუბრით მშვენივრად საუბრობს, მუშაობით მუშაობს და არც ჭამის მადას უჩივის.– დააწყნარა ვერა.

თბილისში, ისევე, როგორც მთელ საქართველოში ტაძრების ნგრევა დაიწყო. დედაქალაქში შიშით ლანდებივით მავალი ადამიანები დადიოდნენ. ყველა ცდილობდა თავისი მოკრძალებული საქციელით ვინმეს თვალში არ ჩავარდნოდნენ, რადგან შესაძლოა ამ თვალში ჩავარდნას მისი სიცოცხლე რეპრესიებით მოეცვლათ, ხოლო რეპრესირებული ადამიანის მეუღლე აუცილებლად ცხრიდან ოც წლამდე შორეულ ციმბირში გადასახლებას გამოჰკრავდა ხელს. ოჯახში დარჩენილი წევრები: მოხუცები და ბავშვები კი ქუჩაში აღმოჩნდებოდნენ.

მიუხედავად მოკრძალებული სუნთქვისა, სარეპრესიო გეგმის შეუსრულებლობის დატოვებას ვინ გაბედავდა? ამიტომ დასმენის გარეშეც კარგად მუშაობდა ჩეკა. ვინმე უცხოს, უდანაშაულოს სახლში შეუცვივდებოდნენ გვიან ღამით და ასე ასრულებდნენ დასახვერეტთა და შორეულ ციმბირში გადასახლებულთა რაოდენობრივად შესასრულებელ გეგმიანობას. განსაკუთრებით კი მწერალ-პოეტები იყვნენ დღის წესრიგში, რადგან მათზე უფრო იოლი იყო სარეპრესიო სისხლიანი ხელის შეწმენდა.

ტაძრების ნგრევას ვინდა ჩიოდა, ან ვინდა იყო სამომხივნოდ დარჩენილი, ან რომ ყოფილიყო, ვინდა გაბედავდა. 1500-მდე ტაძარი უკვე დავანგრიეთო, თავს იწონებდნენ სახელმწიფო მოხელენი. 700-მდე ხორბლის, მარცვლეულის შესანახ საწყობებად ვაქციეთ და 100-მდე კიდევ აბანოებადო.

ღვთისმშობლის ტაძარი, რომელშიაც ბავშვობიდან მოგალობე გოგონად ითვლებოდა ანასტასია, აბანოდ იქცა. ხალხს ავადლებულებდნენ შიგ სიარულს. ახალი ჰიგიენური წესების შემოღება იწყეს, რომლებიც ხშირად საგაზეთო სტატიებად გამოდიოდა ქალაქში. ეწყინა ანასტასია ნიკიშევას ტაძრის დანიშნულების გაუკუღმართება, მაგრამ სხვა ვერაფერი გააწყო საკუთარ თავთან, დედის ნაქონი ღვთისმშობლის მცირე ზომის ხატი კედლიდან ჩამოახსნევინა ანნას და თავისთან დაიბრძანა. ყოველდღე ხმამაღლა გალობდა ღვთისმშობლის სადიდებელ საგალობელს.

გალობის მოტკბილო ხმა მეზობლებს მისწვდა. ყოველდღიურად გალობისას ანასტასიასთან გადმოდიდობდნენ, რათა დამტკბარიყვნენ მისი ტკბილი, უფლის მორჩილი ხმით:

–გალობის მადლი მეწია, ანასტასია... გალობის მადლი. – ხელჯოხს დაყრდნობილი მოხუცებული კოლა თავაზიანად უამბობდა თავის გასაჭირს. –ფერდში მჭვალამდა, ხელის მიჭერით მუშტისოდენაზე რაღაც იგრძნობოდა. ტკვილი მუთაქაზე თავს არ მადებინებდა, მთელი ღამე ლოგინში მოსასვენებელ ადგილს ვეძებდი, ვწრიალებდი და ვჭრიალებდი, მაგრამა ამ წრიალსაც ძილის გაფრთხობის მეტი არა მოჰქონდა. ჩემმა დედაკაცმა ხან რითი მზილა და ხანაც რა ბალახ-ბუღახის ნაყენი მასვა, მაგრამა საშველი არა მექნა. შენი გალობის ხმა გულს მომწვდა, რაც აქ დავდივარ ღამე ბანგიანივით უშფოთველს მძინავს, ფერდშიც მუშტის სიმსხო რომ მქონდა, დაპატარავდა, აღარცა მტკივა. რავი, გენაცვალე, შენ უნდა გიმადლოდე, ღმერთსა თუ უბრალოდ დამთხვევაა, მაგრამა გულს კი მაღამოდ მომედო შენი ნაგალობარი და...

ანასტასიამ მორჩილად დაუკრა თავი და დასძინა:

–უფლის მადლიერი უნდა იყოთ, ასეთ მძიმე პერიოდში უფრო მეტადაა ჩვენს გვერდით. ნურაფრის შეგეშინდებათ, ნურც ტაძრის გაუქმების, რადგან ჩვენთვის უფლის სხეულზე დიდი ტაძარი არა არსებობს. ნურც დღევანდელ დღეს შიშში ნუ გაღვეთ, რადგან ეს ყოველივე თქვენი დაშინებისთვისაა გამოგონილი. დაშინებული ადამიანი დემონის ბრმა მონა და უსიტყვო შემსრულებელია. ნუ იღარდებთ უსამართლობაზე, რადგან უსამართლოდ დასჯილი ადამიანის სული განსაკუთრებული სისათუთით ჰპოვებს უფალში სასუფეველს.

ანასტასიას ნაუბრის შემდეგ მოხუცი კოლას ცოლი, სიდონია, თხოვნით მიუახლოვდა: –გენაცვალე, პატივი მინდა გცე, თუ შეიძლება, ეს მურაბა შენთვის მიწილადებია და...–

გაზეთით თავშემოხვეული ფართოყელიანი თიხის ქილა, სამსე კაკლის მურაბით წინ დაუდგა მუხლდაჩოქილს და განაგრძო: –გენაცვალე, სხვა მხრივაც მინდა პატივის ცემა გამოვხატო, მინდა მოგიარო, ან დაგბანო, ან ეზო მოგიხვეტო, ბალის დაბარვაც შემიძლია, მითხარი გენაცვალე რით გცე პატივი?

ახლოსმდგომმა ანნამ ხელები გაასავსავა: –დეიდა სიდონია, ჩემს დაიკოს ყველაფერს ვუკებ, აქ არა ვარ? ვბან კიდევ და არც საჭმელს ვაკლებ.

–ვიცი გენაცვალე, ზედ ეტყობა როგორ გაკოპწიავეებული გიზით ახლადგაჩენილი ბადრი მთვარესავითა,–გულზე იტაცა ხელი მეტი გულწრფელობისთვის ქალმა.–მაგრამა, ჩემის მხრიდანა მინდა პატივნაცემი დავტოვო.

–ნუ შეწუხდებით დედაჩემო, შენი აქ ყოფნა ჩემთვის უკვე საგრძნობლად დიდი პატივია. –ანასტასიამ ისეთი მოსიყვარულე თვალებით ახელა მის წინ

მდგომ ქალს, რომ ამ უკანასკნელმა მშვენიერების მოთბო მზერას ვერ გაუძლო და მკერდში ჩაიხუტა ქალიშვილის სასიამოვნოდ გრილი სხეული.

გაზაფხულის მზეს ყინვა მოესუსტებინა. ფეხდაფეხ იგრძნობოდა მისი მზით გამთბარი სურნელი, გზისპირებზე ამოჩიტული ყოჩივარდები სასიამოვნო მზერას პარავდა პატრონს.

–სობოროს ტადარი დაანგრის. ზედ რაღაც შენობის აშენებას აპირებენ. –მოიტანა ერთხელაც სამწუხარო ამბად დათა მაყაშვილმა, რომელიც ორთქლისმფრქვეველი ჩაის ფინჯნით ჩაიცუცქა ანასტასიას მახლობლად. –თურმე დასკვნა დაუდიათ, დიდად ისტორიული ძეგლის მნიშვნელობის მქონე ეგ არ იყო და... მეტეხის ციხეც ზედ დააყოლეს. თურმე, მისი კედლები ნაწამები ხალხის წარწერებით იყო სამსე, რას დაწერდნენ ხომ წარმოგიდგენია? –დაკვირვებით შეათვალიერა ანასტასიას მზერა, რომელმაც უხმოდ დაუკრა თანხმობის ნიშნად თავი.

ანასტასიას სევდიანად გაახსენდა გოლოვინის პროსპექტზე კირილესთან ერთად სეირნობისას, რა კომფორტულად გრძნობდა თავს შეყვარებული ვაჟკაცის გვერდით. გაიხსენა ცეკვის სასახლე, მის წინ, გზის პარალელურად აშენებული ქაშუეთის ტადარი. თვალთ შორს მისწვდა, თითქოს დროც შეჩერდა, შეენისლა ნაცრისფერ, დიდფანჯრებიან, გადაკაშკაშებულ შენობას, საიდანაც მოსაღამოვებულზე კლასიკური ვალსის პანგებზე მობაკუნე ფეხის ხმა მოისმოდა:

–ცეკვის სასახლე?.. კავკასიის ნაცვლის შენობას რა ბედი ეწია? –ჰკითხა ფიქრებიდან გამორკვევისას ჩაის სმით გართულ დათას, რომელმაც პასუხამდე ჯერ მდუღარე ჩაის ბარაქიანი ყლუპი გადააყლაპა და პირგაღებულზე ენას ხელით გაუნიავა.

–ცეკვის სასახლე სადღაა?.. მაგედან იმართებოდა ქვეყნის ბედიბალი, მანდ აფრიალდა პირველად ქვეყნის დამოუკიდებლობის დროშა, შემდგომში სომხეთისა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობაც მანდ გადაწვდა. ახლა, საბჭოთა მთავრობა განთავსდა. ამბობენ დიდი ბელადის დედას უპირებენ შენობის გადაცემასო, ნათქვამს გაზეთებიც ადასტურებენ. მაინც ვერა გამიგია, ერთი ადამიანისთვის მაგხელა შენობა ზედმეტად ბუმბერაზი არაა?

–რაც ჩვენი საქმე არაა, ნუ ვილაპარაკებთ. ვისაც უნდათ იმას გადასცემენ, ჩვენნაირი უბრალონი იქ მაინც ვერას გავიხარებთ.

მდუმარება ჩამოწვა ორში. დუმილი ქუჩიდან შემოსუმა ხმაურმა დაარღვია, მათი სახლის მახლობლად, გზის გადაღმა მცხოვრები კოლას და მისი დედაკაცის, სიდონიას ხმა მოისმოდა.

ახლახანს დაიწვეს ელექტრო ენერჯის გაყვენა ნახალოვკაში, რეზერვუარნიას ქუჩაზე, როდესაც ქალაქის ცენტრალურ ადგილებში გაცილებით ადრე გაკაშკაშდა ფანჯრები, აივნები, ქუჩები, მაღაზიები. ჯერ

ნიკიშევების პარალელურად ჩამწკრივებულ სახლებში გაჰყავდათ ელექტროენერგია დიდი ძაბვის ხის ძელებიდან. როგორც იქნა კოლას სახლში ნანატრი ნათურა აინთო. ელექტროენერგიის სიკაშკაშით აუტირებულმა ძველ ლამფას ხელი წამოავლო და გადასაგდებად ეზოში გამოარბენინა, რა დროსაც ცოლი დაეწია და ყვირილით სცადა ხელიდან წართმევა:

–რა ჩემ ფეხებადლა მინდა? მა, რაღა დანიშნულებისღაა? –გაჰყვიროდა კოლა და ცალი ხელით ცოლს იგერიებდა გზიდან ჩამოსაცილებლად.

–რათა, კაცო, რას გიშლის, თახჩაში შევდგამ და არ დაგანახებ, ხმას ეს არ გამოიღებს და ჩხავილს არ დაიწყებს, თავისთვის იქნება, შენ არას შეგაწუხებს!

–გამეცა დედაკაცო-მეთქი!.. მა, რაღათ მინდა? ვერა ხედავ ხალხი პროგრესზე გადავიდა, რაღა ჩვენ უნდა დაგხდეთ უპროგრესოები, ჰა?

სიდონიამ ხელები განზე გაშალა გზის გადასაღობად, ისე, როგორც კრუხი გაფაფხამს ხოლმე ფრთებს თავისი წიწილების დასაცავად. ელექტრონის განახჩახებით გაგულისებულმა მოხუცებულმა ქმარმა ემოციები ვეღარ დაიოკა, ძირს დასცა ლამფა, რომელსაც თავს ჩამოცმული, სიდონიას ხელით გაკრიალებული მინა ნამსხვრეებად იქცა, ხოლო მეტალის სხეულს დასაჭეჭყად ფეხით შესდგა:

–აი, აი, შე პირქვე ამოსაბრუნებელი შენა, ჭირი შენს მაჭირნებელს–წიკვინას ხმით მოსთქვამდა სიდონია, ფეხით დაჭეჭყელი ლამფა აიღო და დანანებით შეათვალიერ-შემოათვალიერა. –ჩემი მამამთილისთვის უწყალობნია თავის ახლად გაცნობილ ქვისლსა, სტამბოლში მცხოვრებსა, რომელსაც ლამის ოცი წელი არც კი იცნობდა, გაცნობისას და იმ დღესა ეს ლამპა ახსენებდა ხოლმე იმ საცოდავ ბედზე გაჩენილსა. ეს მისი ვეშაპი ვაუიშვილი კიდენა ფეხითა ჭყლეტამს. ვაი, თავო და ვაი ჭკუაგ, მოსატეხო! –მოსთქვამდა სიდონია.

კოლამ ხელიდან წაგლიჯა დაჭეჭყილი ლამპა და ცისკენ ასტყორცნა, ცაში კოლას ძალით აფრინდა დაჭეჭყილი, მუშტის სიმსხო ნივთი, თუმცა უკან დაშვებისას ბზრიალ-ტრიალი დაიწყო, გაურკვეველი მიმართულებით წამოვიდა დედამიწისკენ და სადღაც მოდენილი ზღართანისას დაიწკრიალა. კმაყოფილებით აღვისილმა კოლამ ჯიბეში იკრა მარდი ხელები და სტვენა–სტვენით სახლის ზღურბლს ამაყი ნაბიჯებით გადავიდა.

მაგრამ იმავე საღამოს, როდესაც დენი ჩაუქრათ, ბოძზე გადამყვანი ხაზის დაზიანების გამო, ფეხმარდი კოლა სანთლის შუქით ეძებდა თავის დანაჭეჭყ ლამფას:

–ნეტაი არ გასწორდება?.. ე დედაკაციცა რა ხეთეთო მყავს, განა ხელები კი არ გადამიჭირა, გამამტაცა, ან ისეთი სიტყვა მითხრა, რომა გული შიგნიდან შეეკრთო, ამჩუენულზე ხელიდან ნებით დამეთმო. დამეძგერა და ვაი, ვუი, ვაი... –კოლამ სახის მიმიკები დაიყენა ცოლის მისაბაძად,

მუხლებშიც მის გამოსაჯავრებლად ერთი-ორჯერ წაითაქა ხელი.–განაღა წამგლიჯა ხელიდან, განა მითხრა, ვერანავ, რა დედიშენისას მიჰქარავო! არა, არა, დედაკაცური სიმაგრისა არაფერი სცხია რა... ბოთეა, ბოთე! რაღა მაგას დაუუკავშირე ჩემი ბედ-იღბალი მეცა, ჟუნურუკაანთ მარუსია ვერ იყო ჯანიანი დედაკაცი, ხო მირიგებდა ხიფეფიანთ ქალი, ი ბურდას რძალი, მომეყვანა რა, ახია ჩემზე!– ნანობდა კოლა და წელკავშეყრილი ცალი ხელით წელზე წაკრულ შალს ხელით ისწორებდა.

მეორე დღის გათენებიდან ნიკიშეგების სახლში დაიწყეს საქმიანი ფუფუსუსი ელექტროენერგის შესაყვანად. დათა მაყაშვილი გვერდიდან არ შორდებოდა მომუშავეებს, ხან პურსა და ხან ღვინოს სთავაზობდა გასამასპინძლებლად და ხან დასვენებას. იღლიაში ამოეჩარა გაცრეცილყდიანი რვეული, დღიურის ფუნქციის სატვირთველად.

ყველა დღიურს თავისი სათაური ჰქონდა, თუმც ეს ერთადერთი შემორჩა მიწის ზემოთ, სხვები ყუთში ჩალაგებული მიწის ქვეშ გადაემაღა.

კაშკაშა სინათლე მათ ფანჯრებიდანაც გამოიჭრა, რომელსაც ადამიანური მღელვარება მოჰქონდა საჩუქრად. ყველა აღტაცებაში მოდიოდა სინათლის წყაროს არსებობით, გარდა დედინაცვალ-მარიასი. თავისი დამტკნარი ხელი უღონოდ ასწია ელექტრონზე მისანიშნებლად და სუსტი, ნაავადარი ხმით თქვა:

–მე ვერ ვიტან, სრულებით არ მახალისებს, ეს თვალეში მიტყეიტინებს და თავში ხმაურობს, თავს მტკენს, ალბათ მომწამლავი გამოსხივება თუ აქვს, უხილავი, რომელსაც მგრძნობიარე თავის მქონეები ვგრძნობთ და ტკივილით აღვიქვავთ.

მარიამ თავზე წაკრულ თავსაფარს კიდები შიგიდან მოუქცია. უმაღობა უფერულ სახესა და ტანზეც მკვეთრად დასტყობოდა:

– თავის ტკივილის გარდა სხვა რამ თუ გაწუხებს?–ჩაეკითხა ანნა.

–არა, მეტი რაღა უნდა მაწუხებდეს, თავია მთავარი, ადამიანის ტანს ზემოთ ეგაა, სხვა კი არაფერი. ტვინი მტკივა, აი, შიგნდან თითქოს ბევრი წიგნი მეკითხოს და გადადლილიყოს, ისეთი შეგრძნება მეუფლება, სულ მინდა დავისვენო, მგონია მხრებზე დიდი ვეებერთელა ბურთივითაა გაზრდილი და მამძიმებს. შიგნიდან მღრღნის, მღრღნის გაუთავებლად. დავაკვირდი და რაც ჩვენს ქუჩაზე ამ ხის ბოძებს დაუწყეს დაყენება და ზედ დენის მავთულებს გამბა-გამომბა, იმ დღიდან გათავდა ჩემი ჯანსაღთავობა. იმ დღის შემდეგ ტკივილიც შემომიჩნდა, თანაც ისეთი რომ ადგილზე მატორიკაგებს, მახარგანაგებს. სხვა დროს ღამით ისეთი ძილიანობა ვიცოდი ბანგნაყლაპივით, რომ მოგეკუჩებიანე და სადმე წაგეყვანე, არ გამეღვიძებოდა. ესღა თავივით თვალხილულს თუ მომეპარება ხოლმე აისი. მეტწილად უძილობა მაქვს, მე წინააღმებობის გაწევა მსურდა, არ მინდოდა ჩემს სახლში, ეზოში ამ სიმათხოჯე ხაზების

შემოყვანა, მაგრამ ვიცოდი თქვენ არ ამიბამდით მხარს და დათას ტყუილად რაღაზე მოვაძულებინო თავი-თქო, ვიფიქრე.

ანნა დაანადგლიანა მარიას ნათქვამმა. ეცოდებოდა მაინც ეს ახალგაზრდობაში მწარე ენაპირის მქონე. ახლა, მოხუცებულობის ზღვარს მყოფი თავს შეუძლოდ გრძნობდა, სახე გაუფერებული, უხვად ნაოჭდაყრილი, ამოღამებული უპეებით, ტანზე სიგამხდრით შელახული, სიფრიფანა ხელის მტევნები, მის სიჯანსაღეზე დიდი ხანია ვეღარ მეტყველებდა. მთელ დღეებს შუქჩამქრალში ატარებდა. ხანდახან ეჩვენებოდა, რომ ყველაფერი მის საწინააღმდეგოდ განწყობილიყო, ელექტრონის გაყვანიდან დაწყებული, თავის პეტერბურგში გამგზავრებული მეზობლებით დამთავრებული, რომელნიც თითქოს და მის ჯინაზე აღარ ბრუნდებოდნენ ოჯახურ კერაზე, რათა მათ სახლში შესახლებულ ახალგაზრდებს კეთილი ენებათ და მარიასთან გადასახლებულიყვნენ.

დაიღალა სიმარტოვით მარია. მის ყურებს ხანდახან ადამიანების ხმის მოსმენა დაენატრებოდა ხოლმე, ენას კი ხმის გამცემი. ხშირად ეფიქრებოდა სამყაროს კანონზომიერებაში, სანამ ახალგაზრდა იყო, ჯეროდა რომ მოხუცებულის გარდაცვალება, ეს სრულებით ნორმალურიაო, რადგან უკვდავი არავინაა, ამიტომ მოხუცი უნდა მიბარდეს მიწას და მისი წილი სიცოცხლე ახალგაზრდებს გადაეხაროთო. ამის მკაცრად სჯეროდა და სხვებსაც არწმუნებდა დასაჯერებლად. ახლა, როდესაც თვითონ გრძნობს უკვე სიბერის უძღურ ხელებს, საკუთარი სიცოცხლე ეხანმოკლეეება. აბა, ახალგაზრდობამ ისე სწრაფად ჩამირბინა დუხჭირ-ღატაკურად, რომ გაუხარებელმა დავთმე ბუნებისგან ბოძებული სინორჩე, ახალგაზრდობა, მისი სიმშვენე ვერ შევიგრძენი, ახლა, როდესაც დავბერდი, დავიჯერო უკვე ცოტადა დამრჩენიაო?—

აღარ მოსწონდა ადრინდელი, ნაჩვევი აზროვნება სამყაროს კანონზომიერების შესახებ. მოაგონდა მეზობელ კატოს გარდაცვალება. კატო და მაშო ტყუპი დები იყვნენ, გაჭრილი ვაშლებივით გვანდნენ ერთურთს, ორივე გაუთხოვრები დარჩნენ. კატოს სილამაზე განთქმული იყო ძველს ტფილისში. მასზე ძღვევამოსილი ვერცხლის ქამარში მწვანე ბაღდადგაჩრილი ყარაჩოღელიდან დაწყებული, უბრალო ჩოხა-ახალუხის მკერავ-დერციკად დამთავრებული. კირონაიას ასახვევში მცხოვრები შალ-ფართლეულების მღებავი ბოიასხი მის გამო მტკვერში აპირებდა თავის დახრჩობას.

რა ენაწყლიანი და თავმდაბალი იყო მშვენებით განთქმული კატო ახალგაზრდობაში. ცოლად არავის მიჰყვებოდა, ამბობდა რომ ერთის გაბედნიერებით სხვებს გააუბედურებდა, ასე გადაირბინა მდელლოზე სწრაფმრბოლი ფუფემფულაკუდიანი მელაკუდასავით მისმა ყმაწვილქალობამ. დარჩა გაუთხოვარი, დაუძღურებული სიბერით გარდაიცვალა. მის მისასამძიმებლად მისულ სამეზობლო წრეში მდგარი მარია ხმამაღლა ამბობდა:

–ბუნების კანონია ესა, ტირილი და მოთქმა რა საჭიროა, დღეს იქნებოდა თუ ხვალ, რა აზრი აქვს, მაინც მოსახდენი უნდა მომხდარიყო, თანაც უკვე საკმაოდ ასაკიანიც იყო...–მარია სახით მიბრუნებოდა გარდაცვლილის ტყუპისცალს, ფრთაჩამოტეხილივით მდგომ მაშოს: –ადამიანი დაბერდება და ფშუტ, მისი წილი სიცოცხლე ახალგაზრდებმა უნდა გაინაწილონ, მაშ, როგორ? –იქადნიდა თავს საკუთარი ორიგინალური ფილოსოფიის ცოდნა-მჭევრმეტყველებით.

მაშო მღუღარეგადასხმულს ჰგავდა, არაფერს თხოულობდა სანუგეშოდ, არც სიტყვას და არც მისამძიმრებას. მარიას არც ესიამოვნა როდესაც სამძიმერზე ანნა შევიდა და ნასტიას დანაბარები სამძიმრის სიტყვები გადასცა:

–ნუ გეშინია, დეიდა მაშო შენი დაიკო არ მომკვდარა, სიკვდილით სიცოცხლე არ მთვარდება. ის უსასრულობაში გადავიდა, იმ უსასრულობაში, საიდანაც მოვედით და საითკენაც მივექანებით ყოველდღიურად ჩავლილი დღის სიჩქარით. ადამიანის იოტისოდენა სიკეთეც კი არ იკარგება მარადუამობაში უკვალოდ, უყურადღებოდ. არასდროს დამავიწყდება გაჭირვებისას, ჩემი ოჯახის შიმშილოანობის დროს, როგორ მისმობდა ეზოს გადმომდგარი და სამსე ორჯამიანით ქუმელის მოსამზადებელ ფქვილს მატანდა, იმ მოტივით, რომ ვითომ თვითონ მოჭარბებულად ბევრი ჰქონდა, გასაფუჭებლად ენანებოდა, გასცემდა. მოგვიანებით მივხვდი, რომ თურმე ჩვენზე ზრუნავდა. არ დაიდარდო, მარტო ილოცე მისი სულის სავალი გზის შესამსუბუქებლად. თქვენი ღოცვისას წარმოთქმული თითოეული სიტყვა მას გზად დაეწევა, გაამხნევეს და მსუბუქად უქცევს ყველა დაბრკოლებას, მე ვაღიარებ, რომ ძალიან მიყვარდა თქვენი და, თქვენი ტყუპისცალი, რომელიც გაჭრილი ვაშლივით გგავდათ. მისი კეთილად ნახსენები ხსოვნა სახელოვნად წაადგება თავის სამკვიდრებელში. მუდმივად ევლოს იმ გზით სადაც სიყვარულით სავსე ოაზისისკენ სავალია.

მაშომ სანუგეშო ჰპოვა ნასტიას დანაბარებში, სამადლობელოდ მკერდში ჩაიხუტა ანნა. დედინაცვალს კი მის სიტყვებზე სახე აენტო, აღმურმოდებულებით აელეწა, ელვის სისწრაფით წამომხტარმა მეზობელს გადაულაპარაკა: –ყველა უგუნურს ენა როგორ წყლიანად ექავება, ბუნების კანონს ვერსად წაუვალთ, ასე ყოფილა და ასე იქნება. მოხუცის ბედიც ეგაა, მან თავისი დრო მოჭამა და ნუღარ ჩამოგტირით თავპირი, ჩვენც სიბერისას იგივე მოგველის.

მაგრამ მარიას მაშინ ეგონა, რომ სიბერე ძალზედ შორს იყო მისგან და ძალიან გვიან მოუბრუნდებოდა, მაგრამ როგორ ჩაირბინა წლებმა ისე, თვალისდახამხამება ვერ მოვასწარიო, დარდობდა. ახლა გახელებოდა ცხოვრების ხანმოკლეობას. ახლა ეტკბილებოდა, ეძვირფასებოდა. თურმე, მოხუცებულს უფრო ჰყვარებია ცხოვრება, სუნთქვა, გულის ფეთქვას დიდი რუდუნითა და სიყვარულით უგდებდა ყურს. ტკივილიც კი შეიყვარა, რადგან ის თავს ცოცხლად ყოფნას ახსენებდა. ახლა სურდა უკან წაეღო დის

გარდაცვალებით აცრემლებული ქალისადმი ნათქვამი სიტყვები, მაგრამ უკვე გვიანი იყო, მაშოც რა ხანია აღარ იყო ცოცხალი. დას გაჰყვა გარდაცვალებიდან ზუსტად სამ თვეში.

მარიას სიკვდილი შიში გაუჩნდა, იმ სიკვდილის, რომელზედაც ჯეელობისას არასდროს ფიქრობდა. ახლა ღამის სიბნელის ეშინოდა. სამარის სიბნელესთან ასოცირდებოდა და იგივედებოდა მის წარმოსახვაში, რომელიც ესოდენ ფაქიზად გამდიდრებოდა გულჩვილი აზრებით. ყოველ ღამე, საწოლში ჩაწოლილი ფიქრობდა, დილის გათენებას თუ მოესწრებოდა და ახლად გათენებულ დღეს ჩუმი პირჯვრისწერით სამადლობელოს უხდიდა, მოწყალედ ნაჩუქარი კიდევ ერთი დღისთვის.

თურმე სიცოცხლე ყველა სულიერს ჰყვარებია, ჭიანჭველაც კი გასრესვამდე თავის გადასარჩენად გარბის, ფეხის დადგამდე ობობა ნაბიჯს უჩქარებს. სიცოცხლე ყველასთვის ტკბილი ყოფილა, უბრალოდ ახალგაზრდა ასაკში ასე მგრძობიარედ ძნელი წარმოსადგენია. – ფიქრობდა მარია და ახლად ეჯერებოდა ღმერთის არსებობის. ყინვაგადატანილი ნასტიას ჯანმრთელობა აოცებდა. უწინ სუსტი, მუდმივად გაციებულ-გალეღეჩებული დაიარებოდა ცხვირში მოსრუტუნე, მთელი ტანით აბუზული. მჯდომარე დაყუდებული ცხოვრების წესის მიღების შემდეგ, რომლის დროსაც ლოცვისას თავს თოვლიან-ყინულიან მიწას ეხებოდა, ავადაც აღარ გამხდარა, არც კი გაციებულა. განა ორიოდ მეტრის მოშორებით, ისიც ღამ-ღამობით დათა მაცაშვილის დანთებულმა მბუჭტავმა კოცონმა ჯანი გაუძლიერა? გაუსაძლის ყოფიერებაში მყოფი ნასტია ზებუნებრივმა ძალებმა თუ მოაძლიერა თორემ, ყინვისას ყოველწლიურად, თითოეულ გათენებულზე ელოდა ანნას ნაკივლი გააღვიძებდა მას, როდესაც საკუთარ დას გაყინულ-გაყათმიშებულს იპოვიდა ალიონზე, მაგრამ ნასტიას ზამთრის მწარე ყინვამ, რომლის დროსაც სახლის სახურავიდან წამოსული და კედლის ქიმზე ჩამოკონწიალებული ნეხევარმეტრიანი სიგრძის ყინულის ლოლოები თვალს ჭრიდა, ვერაფერი დააკლო.

ანნას ჰკითხა ერთხელ, საპირფარეოს მოთხოვნილების დროს რას შერები, როგორ უწევ დახმარებასო, ის ხომ მუდამ მუხლდაჩოქილი, თავისივე ფეხებზე თუ ჩამოჯდება, მაგრამ ადგილს არაფრით იცვლისო. ანნას პასუხმა გააოგნა, ღამის ქოთანს ვუდგამ ქვეშ და დღეში რამდენჯერმე ვუცვლი, აბა, რა ვქნა, გოგომ ასეთი ცხოვრება აირჩია სატრფოს სულის საცხონებლად. რამდენი ვეხვეწე ამდგარიყო... დათაც მაიმედებდა, დრო ყველაფრის მკურნალია, გადაუვლის და ადგებაო, მაგრამ რაც დრო გადის უფრო მეტად უცხოველდება მისი ხსოვნა. ჩემი დაა, მე მზად ვარ მისი გულობისთვის ყველაფერზე წავიდე. ღამის ქოთნის გამოცვლა რა დიდი რამეა ჩემი დისთვის, მე მისი ყველანაირი მდგომარეობა მიყვარსო.

მარიას სიცივის ჟრუანტელამ დაუარა. აი, რას ნიშნავს სისხლისმიერი კავშირი, მისი ყველაფერი უყვარსო, გაივლო გულში და სინანულით აღიმსჭვალა. მას არავინ ჰყავდა გულის დამწველი, სისხლით მონათესავე.

ვინც კი ეგულებოდა თავისიანი ყველა ყირიმში დატოვა, აქეთ შემორჩა უთვისტომოდ ეული. ნასტიას წინაშე დანაშაულის გრძნობა ტანჯავდა, თითქოს, მისი მხრები უზარმაზარი ტვირთით დამძიმებულიყო, უჭირდა ზიდვა, მაგრამ თავს ზევით ძალის არ არსებობის გამო უძალიანდებოდა. რამდენჯერ დააპირა ახლოს მისვლა, გამოლაპარაკება, დიდსულოვნურად ეთქვა, რომ სურდა მისთვის კარგი მომავალი, მხოლოდ შეძლებულ მამაკაცთან მისი საქორწინო კავშირის მარადიულობა, მაგრამ თავს ვერ იმორჩილებდა, თითქოს უხილავად გამბული ძაფები ეწეოდნენ უკან და მოსძახოდნენ, თავი არ დაემდაბლებინა გერის წინაშე:

–ადამიანი გულით ყრუ თუ არაა, იგრძნობს წინათგრძნობის ძალით თავის ახლო მომავალს. უბრალოდ ადამიანებს, ან არ გვჯერა ხოლმე მისი არსებობის, ან არ გვაწეობს განსავითარებელ მოვლენათა წინაშე პასუხისმგებლობა.–

გაიხენა მარიამ ანასტასიას ნაუბარი, როდესაც მის სანახავად გიმნაზიის მეგობრები მოსვლოდნენ. მარიამ მაშინ ეზო გადაჭრა სწრაფი ნაბიჯით, რათა თვალი აერიდებინა ანასტასიას მჯდომარე მდგომარეობისთვის, რომელიც თავიდან დასაცინად არ ჰყოფნიდა, მერე შესაცოდად. ახლა საკვირველთა შორის საკვირველ ამბად მიაჩნდა. ვინმეს რომ ეთქვა ასეთი რამ, არ დავიჯერებდი და ჩემს თავს, ჩემს ოჯახს, ჩემს ეზო-კარმიდამოს ხდება ეს ამბავიო, ჰკვირობდა:

–ყველასთვის მოპატიებია, ყველასთვის, ჩემი კირილეს თვითმკვლელი ტრაგიზმის ცოდვა ჩემს თავზე ავიდე, ყველას მიტყეებული აქვს... –მაშინ ამ ყველაში ნაგულისხმევი თავი იგრძნო მარიამ, თუმც ცხვირის აბზუებით გაატარა ყურებში ანასტასიას ნათქვამი.

ახლა კი ნანობდა ანასტასიას ნათქვამს რომ არ გამოეპასუხა, პატიება არ სთხოვა იმ შეცდომისთვის, რომლის წინდაწინ მოვლენათა განვითარება ვერ განჭვრიტა. რაც მოხდა მოხდაო, მაგრამ ნუთუ ადამიანი მოახლოვებულს წინდაწინ გრძნობს ინტუიციის ძალით? ჰკვირობდა და გულს სევდა-ნადგელი ეძალებოდა. ბოლო დროინდელმა ავადობამ აიძულა სიკვდილზეც ეფიქრა. ნუთუ სამომავლოდ გარდაუვალი იქნება ჩემი სიკვდილთან შერკინება, რომელიც ყოველთვის მისი გამარჯვებით მთავრდებაო?–ფიქრობდა და მთელი თავისი შინაგანი განცდებით განიცდიდა.

ეზოში მფრინავი ალბატროსივით შემოვარდა დათა მაყაშვილი, წინ გარბენით ისკუპა და რამდენიმე მეტრზე შეხტა-შეიკუნტრუშა ჰაერში. ხმამაღლა ხარხარებდა და ანნას მოუხმობდა ხალისიანი ხმით.

ანასტასიასთან მიიღობინა, შუბლზე ეამბორა, გვერდიდან შემოურბინა და სახლისკენ დაიძრა:

–ანნა, აბა, რა უნდა გახარო?... რას მომილოცავ? –ხალისიანად შეიღობინა სახელში ყვირილით.

–ამხელა კაცია, ლამისაა დაბერდეს და პატარა ბიჭუშკასავით იქცევა–გადაულაპარაკა მაგიდას მიმჯდარმა ვერამ ხელდაფქვილულ ანნას, რომელიც ხატოს პელმენის კეთებით იხალისებდა თავს.

დათამ ჯერ ლოყაზე აკოცა, მერე ფქვილში მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითო ჩაყო და ანნას ცხვირის წვერზე მიადო, თეთრად დაემჩნა ქმრის ნათითური.

ვერამ სიცილი დააყარა წყვილს: –არა, გეუბნებოდი თუ არა, ანნა, ახლა მეტყვი ჩუმად იყავიო, და ხომ მართალი აღმოვჩნდი?

–რა უნდა მახარო? –ჰკითხა მშვიდი ტონით ანნამ და პელმენის მოხვევა ააჩქარა.

–რაა და... –თქვა ნიშნისმოგებით, მერე უმი პელმენი პირში გაიქანა, უგემოვნოდ დაღეჭილი, მაინც გადაყლაპა და თქვა: –ბინა მივიღე, ძალიან კარგი, დიდი, ნათელი, ზედ ვორონცოვის აღმართზე. დამთავრდა მეზობლის სახლში ჩვენი ყოფნის მოვალეობა, ახლა ახალ სახლში ვიცხოვრებთ!

ანნამ ხმამაღალი კისკისი ატეხა. ეზოში გაიჭრა, სურდა ნასტიასთვის გაეზიარებინა საკუთარი ბედნიერების ემოციები: –ჩემო დაიკო, ახლავე ჩავალაგებ ჩვენს ბარგ-ბარხანს, ახლავე, ყველანი ერთად წავალთ, ყველა ერთად ვიქნებით ბედნიერები, გახარებულები. ჩვენი ტანჯვა ამ სახლში უნდა დასრულდეს. –ჩურჩულებდა ანნა და უფროს დაიკოს მკერდზე იხუტებდა.

ანასტასიას სათქმელი პირზე მოადგა, მაგრამ გადაიფიქრა. აშკარად არ უნდოდა გახარებული დისთვის თავისი ნათქვამით სიხარულის გამომწვევი ემოციები ჩაექრო, ამიტომ დუმილი ამჯობინა. ანნამ სიხარულის გამოხატულებით გული იჯერა თუ არა, სახლის ზღურბლს გადავიდა. მისი დაწყებული საქმე უმცროს დას დაემთავრებინა. ახლად მოხარშულ პელმენს, რომელსაც ორთქლი თბომავალივით გაუდიოდა, დიდი მონდომებით შეექცეოდა დათა.

დილით წინკარში გამოალაგეს მთელი ღამის ნაშრომ-ჩალაგებული ბარგი. ვერა და ანნა ერთურთს ეხმარებოდნენ ბარგის აწვევაში. ჩიბუხზე კვამლგამდინარე დათა სკამზე მოკალათებული, დიდად ნასიამოვნებელი სახით გაზეთის კითხვით იქცევდა თავს:

–დათა, მოვრჩით ყველაფერს! –შესძახა ანნამ.

–მერამდენჯერ უნდა გაგიმეოროთ? მოგვაქციე ქალებს ყურადღება! –ფრთები შეახა დის შეძახილს ვერამ.

დათამ ჩიბუხი მაგიდაზე მიაგდო და ამაყი თავდაჭერილობით დაიძრა, ნელი და დინჯი ნაბიჯებით წინკარში გამოანათა. თმები ისე გაელაქა სარკესავით ღაპლაპებდა. მიათვალ-მოათვალაიერა იქურობა, ქალბატონებს

ახედ-დახედა, ჩაცმულობა და ხასიათი შეუთვალეირა, მერე მზერით ბარგის სიმძიმე აწონ-დაწონა და თქვა:

–ეხლა წავალ, ბარგის მზიდავ მუშასაც ვიჭირავებ, მერე ტრანსპორტზეც ვიზრუნებ, ნასტიას ხელში ავიყვან და ისე მოვათავსებ ტრანსპორტში. –თქვა კმაყოფილმა და დახოლილი პიჯაკის ჯიბიდან პორტსიგარა ამოიღო. ხელში შეათვალეირ-შემოათვალეირა. მერე გახსნა და მუქი მოყავისფრო ფერის სიგარა შეთამაშების შემდეგ პირში გაიქანა.

–ოჰოოო, –მიადახა ვერამ.–პირდაპირ კინოში მგონია ჩემი თავი!

–მე არსად მოვდივარ, ანნა, ვერკა, დათა! –გამოსძახა აქამდე მდუმარედ მყოფმა ანასტასიამ.

–რაა?–გადაირია დათა, პირიდან სიგარა უნებურად გადმოუვარდა და გაპრიალებულ ფეხსაცმელზე დაეცა. ფეხი აქეთ-იქით გაიქცია და სიგარით ამომწვარს უკმაყოფილოდ დახედა: –რას ჰქვია, არ მოდიხარ?!

–ნასტინკა, ჩემო დაიკო, ხომ იცი, უშენოდ ვერსად წავალთ, შენ გარეშე აქედან ფეხსაც არ მოვიცვლი, სადაც შენ მეყოლები მუხლდავანებული, მეც იქ უნდა ვისულდგმულო. გთხოვ, წამოდი, შენ არ იფიქრო მარტოს დაგტოვებ, გთხოვ, ნასტინკა. –ყელგამოწვდილი ევედრებოდა ანნა და მუდარის თვალებით მისი მზერა დაიჭირა.

–არა, ანნა, ვერა, დათა, ჩემებო. მე ამ სახლში დავიბადე, აქ უნდა ვიყო ჩემი აღსასრულის ბოლო წუთამდე. მე არსად წამოვალ, თქვენ წადით, უჩემობა არ იდარდოთ, მე თვითონ მივხედავ ჩემს თავს, მარიასაც ვუპატრონებ, ნუ ღელავთ, თქვენ წადით ბედნიერების მოთხოვნა და უფლება ყველას აქვს, მათ შორის თქვენც.

–შენც ჩემო დაიკო, ბედნიერების უფლება შენც გაქვს, ახალ სახლში იცხოვრებ, ყველაფერს ახლიდან დაიწყებ, ახალი თვალთ შეხედავ და აწონ-დაწონი ცხოვრებას–მოწოლილი ცრემლი ყელაპებოდა ანნას.

–ჩემი ბედნიერება ამ სახლში აღმოცენდა და იქ, ჭიშკრის პირას დასამარდა. ახლა სხვა მხრივ ვისწრაფვი ბედნიერების მისაღწევად. ახლა კირილეს სულის მშვიდი ნავსაყუდელისთვის ვსულდგმულობ. აქ მირჩენია, ფეხს ვერ მოვიცვლი, მეტს ნუღარ შემაწუხებთ, თქვენ წადით, გზისპირს დაგილოცავთ აქედან.–თქვა ანნამ და მეტანიებით დატვირთული ლოცვის შესრულებას მიჰყო ხელი.

პირში ჩალაგამოვლებულივით იდგნენ ანნაც და ვერაც. განცვიფრებულსახიანი დათა სარგადაყლაპულს დამგვანებოდა. აქეთ-იქით მიმოიხედა და გაოგნებული დიდრონ ჩემოდანზე ჩამოჯდა.

–ჩავვივარდა კოვზი ნაცარში! –ჩაიდუდუნა ვერამ და მეზობლის ნათხოვარ სახლში შევიდა. მათ დამმარებულ სახეებს ფანჯრის მიღმა

სიჩუმიდან თვალყურს ადევნებდა მარია, რომელსაც გულში საზეიმო ნუგეში მისცემოდა:

–შენ გაიხარე ანასტასია, შენ! –ჩურჩულებდა სახლში განაბული, ფანჯრიდან ფარადს ამოფარებული მარია და გულში მჯიღს იცემდა სუსტი, ძალაგამოლეული ხელით. –მომინდომეს წასვლა, მაშინ, როდესაც მოვლავ-პატრონობა და ყურადღება მესაჭიროება. ერთი მათლაფა კერძის მომწოდებელი მჭირდება, იქნება ვკვდები, თვალისდამხუჭველი აღარ უნდა მყავდეს, სამ-სამის გამზრდელს? –ჩაიბუტბუტა და მღუღარე ცრემლები დაუგორდნენ დაწვებსა და ლოყებზე.

მარია ლოგინს ვერ ეპუებოდა, თუმცა არც უიმისოდ გაძლება შეეძლო. თითქმის ყოველ ნახევარ საათში წვებოდა და თვალმიღული ყუჩდებოდა, კიდურებიც სტკიოდა, ჯანი შიგნიდან ტეხავდა, თავის ტკივილს გაუსაძლის ყოფამდე მიჰყავდა, ბალახეულის ნაყენს ასმევდა ანნა, თავიდან თითქოს აბრუებდა, მაგრამ იმ ნაყენის გამოდმებულ მიღებას მიეჩვია ორგანიზმი და წამლად ვედარ აღიქვამდა. მარიას ჯანმრთელობა დღითიდღე უარესდებოდა.

X

დედინეცვალ-მარიას გარდაცვალების იმ წელს, 1935 წელს, ცხელი ზაფხული დაიჭირა. პაპანაქი აუდიოდა ყველაფერს. ქალაქში გაძლება ჭირდა. ანასტასიას თავზე გადაფარებული ნაყოფით მოხუნდლული ტყემლის ტოტი მცირედად იჩრდილებოდა. მზის ნასიცხზე ბამბის ქულასავით თეთრი კანი აწითლებოდა ასულს. თმები ისე ჩამოზრდოდა, რომ ნაწნავი წელს ქვემოთ ჩასცდენოდა.

ანასტასიას თავდაპირველი განცდები, სინდისის ქენჯნის მაგვარ ტანჯვას ჰგავდა, რომელიც შემდგომში სრულიად სხვა ფორმის სინანულის განცდაში გადავიდა, ახლა ის უფრო შედარებით დამშვიდებული, გახლდათ, ვიდრე თავდაპირველად მუხლდაჩოქისას იყო.

დედინაცვლის გარდაცვალების შემდეგ, მეზობლის სახლიდან თავის სახლში გადმობარგებულ ანნას წინკარში პატარა მაგიდა გამოედგა, რომელზედაც ფქვილის გროვა მთასავით ამოწოწილიყო და ხინკლის ცომის ზელვით დაკავებულიყო. გაფქვილულ უხლოს ხან აქეთ მიუვსვამდა მარდი მოძრაობით და ხანაც იქით, ფქვილში ამოგანგლოდა ხელები იდაყუებიანად. ასეთი მოსწონდა და უყვარდა დათას. თავზე თეთრ თავსაფარწაკრლი და წინაც წინსაფარაფარებული, ხელებდაკაპიწებული ხინკლის მოხვევით დამშვენებული: –ასეთს, ხინკლის მზადების დროს, სულ მინდა თვალმოუშორებლად გიყურებდე, ერთ წერტილში გაქვავებული ვიჯდე და

შენი თითების მოძრაობით ვტკბებოდე, სულმოუთმენლად ვთვლიდე ხინკლის ნაოჭებს, – ხშირ-ხშირად უმეორებდა დათა ნანატრ ცოლს.

სიმშვიდე მათ მყუდროებას ხელისშემწყობად ევლინებოდა, საიდანღაც სიცხით მთვრალი ჩიტის ჟღერტული მოისმოდა. მზის სხივებს ამყოლი, თეთრი და კიდევშეცისფერებული პეპელა მოფარფატდა. ანნას დაფქვილულ მაგიდას მსუბუქად აუფრიალ-ჩაუფრიალა მოქანავე სიფრიფანა ფრთებით. ზედ ფქვილის გროვაზე აპირებდა ჩამოჯდომას. ანნამ ნაზი მანერით მოუქნია ხელი, პეპელა აფრთხილდა, აფარფატდა, მაგიდას მოშორდა მცირედი მანძილით, ანნა კისკასით გაედევნა ფრთაფარფატა პეპელას, ხელებს უქნევდა, ხან დასაჭერად ეპოტინებოდა, უხერხული მოძრაობით შეხტა ჰაერში მწერისთვის ხელწასავლებად, მაგრამ მიწაზე დახტომისას მუცელი ეტკინა, უსიამოვნოდ გასჭვალა წელმაც, ცალი ხელი წელზე მიიღო და ყვირლი მორთო:

– ვერკა, მიშველე!.. ვერკა...

სახლიდან ანცი ქალიშვილი გაჭირვების ტალკვესამებრ გამოხტა. ანნას მიეჭრა და ხელი შეაშველა. სკამისკენ უბიძგა დასაჯდომად. ანასტასია შეშინებული ადევნებდა თვალყურს, სანუგეშო სიტყვების კორიანტელს უძღვნიდა დას. შფოთავდა, თუმც ერთ ადგილზე მუხლდაჩოქილს სხვაგვარად დახმარების გაწევა არ შეეძლო.

ანნა სკამზე ძლივს-ძლივით ჩამოჯდა. დუმილი ჩამოწვა, სიჩუმემ იჭენეულად დააფიქრა ახალგაზრდა ქალი, მერე ხელი მუცელზე მოისვა, ჯერ ჩამუხლული ანასტასიასკენ გაიხედა, მერე ვერკა აათვალიერ-ჩაათვალიერა და ნაზად წარმოსთქვა: – ნუთუ!..

– რა ნუთუ?! – წარბებს შორის კოპები შეიკრა ვერამ.

– ნასტინკა, შენ რას მეტყვი? – არ ცხრებოდა შუათანა და, ნუთუ... მე?

– ალბათ, დაიკო ალბათ, დიდებულია უფლის უკეთილშობილესი ძალა, მიენდე და მოგენდობა, კეთილად შეგეწევა.–

გადიწერა პირჯვარი ანასტასიამ და სამადლობელი ლოცვა ააბუტბუტა მწიფობაშეპარული ალუბლისფერი ბაგეებით. კამკამა ცრემლი მოიწმინდა თლილი თითებით.

– მე ვერაფერს მიხვდი, თუ რა ხდება? – მოჰყვა წუწუნს უმცროსი დაიკო. – ასე იცით თქვენ, ვითომ პატარად მთვლით და არ მანდობთ თქვენს იდუმალ აზრებს, არადა უკვე დიდი ვარ, როდის უნდა მიხვდეთ ამას, საინტერესოა?!

– ვერკა, არაფერ იდუმალ აზრებს არ ვმალავთ, მგონი ფეხმძიმედ ვარ! – შეჰხარა ანნამ ბავშვურად განაწყენებულთვალეობა ვერკას, რომელიც ცალი მხრით ხეს მიყრდნობოდა.

ამის გამგონე ვერამ კისკისი მორთო, მერე სიცილითა და წელში გაჭიმულმა სიარულით გამოაჯავრა სიძე-ბატონი. დათას პაროდირებით როლში შესულ უმცროს დახე გულიანად იცინოდნენ უფროსი დები.

შებინდებულზე სახლში დაბრუნებულმა დათამ ბედნიერების დაირას შემოჰკრა სიხარულით:

–ვაჟია, გული მიგრძნობს, გიორგი მაყაშვილი იქნება, მაგრამ ქალიშვილიც მინდა, თუ გოგოც მეღირსა, აუცილებლად დედაჩემის მოსახელე იქნება. მოკლედ ორივე მჭირდება, ქალიშვილიც და ვაჟიშვილიც!– ისტიბარს აღარ იტყხდა დათა. კაკლის ხის ქვეშ ჩამომჯდარი გაზეთ „კომუნისტით“ ინიავებდა ცხვირწინ პაპანაქება ზაფხულის ცხელ ჰაერს:

–მეფისნაცვლის სასახლე ეკატერინე-კეკე გელაძეს გადაეცა დამსახურებულად გმირული დედობისათვის. მისმა მშობლიურმა მზრუნველობამ, და შვილის კდემამოსილი იდეოლოგიით აღზრდამ კაცობრიობას დიდი ბელადი შესძინა.–ხმამაღლა ამოიკითხა გაზეთიდან მცირე ამონარიდი და ჩაფიქრებულმა კაკლის ფოთლებში შეჭრილ მთრთოლვარე სიოს გაუშტერა მზერა.

–რალა გიჭირს, დათა, იქნებ შენი ბლარტიც რომ დაიბადება, ბელადი გახდეს, დიდი კომუნისტი, მთელი კაცობრიობის მასშტაბებს გასცდეს. –გაიხუმრა ვერამ კისკისით, რომელიც დათას არ ესიამოვნა. წუთიერი დუმილის შემდეგ სრული სერიოზულობით აღმოხდა:

–ჩემი შვილი დიდი ადამიანობის იქნება, დიდი გრძნობებისა და კეთილშობილების მატარებელი. ჩემს შვილს მშობლები არასდროს ეყოლება ბელადები, არც თვითონ ექნება ბელადობის ამბიცია, უბრალო იქნება, მაგრამ ამ უბრალოებაშია ადამიანურობის ყველაზე დიდი გულწრფელობა.

დათას ნათქვამმა, მისმა განაწყენებულმა სახის მიმიკებმა, წინდაწინ მუცლადმყოფ შვილზე სამომავლო დახასიათების წარმოდგენებმა დიმილი მოჰგვარა ანასტასიას. მით უფრო მეტი გულისყურით დააცქერდა სასახლის წინკარში მაგიდასთან ჩამომჯდარ შუათანა დაიკოს, რომელსაც ხინკლით სავსე საინი მიედგა და გემრიელად ილუკებოდა.

–ბავშვი ჯერ არ დაბადებულიყო და აბრაამს არქმევდნენო! –ვერამ ანდაზა მიუძღვნა სასიქადულოდ გამოჭიმულ სიძეს შორსმჭკრეტი აზრების გახმოვანების გამო და გულიანი კისკისით თავი ველარ შეიკავა.

–აბრაამს არა, გიორგის ვარქმევ!–თქვა მეტი სერიოზულობით ცალწარბაწეულმა მომავალმა მამამ და ცოლს, რომელსაც ხინკლით სამსე საინი მოეცარიელებინა და ტუჩების ლოკვით ახლა საერთო ჯამიდან მისდგომოდა ხინკლების თავის თეფშზე გადმოლაგებას, შეშინებული მზერა ანაცვალა.

–ამდენი არასდროს გიჭამია, არ გაწყინოს!

– ვჭამ, იმიტომ, რომ ავად ვარ!–დაასკვნა ანნამ და სიგამხდრით დაჩუტულ მუცელზე ხელი მოისვა.

– ადამიანი ავადმყოფი იცი როდისაა?– გადაებადრა სახე იუმორის მოყვარულ ვერას–როდესაც მშრალ პირში ლუკმას ძაღვად ჩაუდებენ, მიაღვლავენ, მოაღვლავენ და უკან გადმოაღვლავენ, შენ ჩემო დაიკო ავადობის რა გცხია? გეტყობა მუცელში გაუმაძღარი მაცაშვილი რომ გიზის.

ქუჩიდან კაკუნის ხმამ ყურთასმენა წაიღო. ვერას არ დაეხარა თაკარა მზეში, მაშინ როდესაც მისი მძაფრი მცხუნვარება ზენიტში იმყოფებოდა, ქუჩაში გაერბინა და კაკუნის მიზეზი გაეგო.

ვერას მოცისფრო, თხელ ლურჯდოლებად გადაზოლილი მუხლამდე კაბა ემოსა. შუბლიდან აწეული, ერთ კონად შეკონებული თმები კეფაზე დაეკოსავებინა, მსუბუქი ნაბიჯებით იცოდა სიარულიც და აუჩქარებელი სირბილი. უკან მობრუნებულზე სკამზე უკუდმად ჩამომჯდარ სიძეს, რომელიც სკამის საზურგეს მკერდით დაყრდნობოდა და გრძელი, გამხდარი ფეხები გარდიგარდმო შემოეღაგებინა, გაგებული ამბავი ჩაურაკრაკა:

– გარეთ მუშაკები მუშაობენ, ჭიშკარზე ლოთონის აბრევიატურებს, რეზერვუარნაია რომ წერია, აძრობენ, რადგან ქუჩას სახელწოდებას უცვლიან, ამბობენ, ბელადის ცოლის, ნადეჟდა ალილუევას თვითმკვლელობიდან სამიწლისთავი ახლოვდება ცხრა ნოემბერსო და რაიკომიდან ბრძანებაა დედაქალაქის ერთ, რომელიმე ქუჩას მის საპატივსაცემოდ „ალილუევა“ ეწოდოსო.

დათამ კოპებქვეშიდან ამოხედა ცოლის დას, უნდოდა მისი გამომეტყველებიდან ამოეცნო რეალურს ეუბნებოდა თუ საიუმოროდ იმეტებდა დის ქმარს. მაგრამ სიმართლე ქუჩიდან შემოჭრილმა მუშების კაკუნმა დაუდასტურა. დათამ ჯერ ფეხები აამოძრავა, მერე ელდანაკრავივით წამოვარდა, სახლიდან გაცრეცილყდიანი რვეული გამოამზიურა, ბადის კუთხეში, მიწაზე ჩამოსკუპტა და დღიურში ახალი ფურცლის წარმოებას განმარტოვებით შეუდგა:

– ამბობენ, – დაიწყო ვერამ ჩუმი ხმით, მხოლოდ დების მისაწვდენ ხმაზე – ავადობდა და შიმშილობდაო, როდესაც ქმარი ბორშჩით სამსე თეფშიდან საკუთარი ხელით დაუპირებდა ჭმევას, ტირილს იწყებდაო. წვენზე ამბობდა–ეგ რუსი ხალხის სისხლიაო, ხოლო ხორცზე–რუსი ხალხის ხორციაო და არ ჭამდა.

ვერას ნათქვამმა დაასევდიანა ანნა, რომელსაც ხინკლის ჭამისთვის თავი მიენებებინა, ხელები გულზე დაეკრიფა და სინანულის თვალებით სამსე მზერა მიეპყრო დისთვის. წუთის შემდეგ თითქოს გონს მოეგო, და ვერას აუკრძალა მსგავს თემებზე საუბარი რადგან: – კედლებსაც კი ყურები აქვთ, თანაც ვერა ხედავ გარშემო რა ამბები ტრიალებს, ვის კოლექტივიზაციის მტრად რაცხავენ, სახელმწიფოს ზიანი მიაყენა იმისთვის, რომ ჭარხლის თესლი 2სმ-სიღრმის ნაცვლად 4სმ-ზე ჩათესაო და ხვრეტენ,

ვის რაზე იჭერენ და ვის რაზე აციმბირებენ. არავის პატიობენ არაფერს, მსგავსი რამ სხვაგან არ წამოგცდეს, თორემ მთელ ოჯახს თავზე ლაფს გადაასხამ, ხალხისგან გავირიყებით, მოდალატეებად შეგვრაცხავენ! – ანნა გაბრაზებული წამოხტა ფეხზე, ხმაურით ჩაალაგა ლამბაქები ერთმანეთში, მაგიდას მილაგება დაუწყო.

ანასტასიასთვის სიჩუმე მის თანმდევად ქცეულიყო. დუმილით ადევნებდა თვალყურს დების ნაუბარს და ნამოქმედარს. მერე თავდაღუნულმა ცრემლების გროვა ვედარ შეიმაგრა, თვალებიდან ღაპა-ღუპით დასდიოდა გულწრფელი შეცოდების ცრელები. პატარ-პატარა ტირილები იცოდა და ხშირ-ხშირი, მაგრამ თუ ნორმაზე მეტი მოუვიდოდა, მაშინ თხელი მხრები აუთრთოლდებოდა, გული აუსლუკუნდებოდა, სუნთქვა აჩქარებული მალე ილღებოდა.

მოსაღამოვებულზე ეზოში მარჯვენა ფეხშემოდგმული და ჭიშკარში გადაქვავებული დაკვირვების თვალთ მზერა გაშტერებული სტუმარი შენიშნა ვერამ:

– მგონი შენთან ვიღაცაა, დაიკო, რაღაც უცნაურად გამოიყურება. – გადასძახა ანასტასიას და შესაგებებლად გაეშურა. რიყისქვებმოფენილი ეზო მსუბუქი ნაბიჯებით გადაიარა და სტუმარი მოიპატიჟა.

შუახნის ასაკს გადაცილებულ მამაკაცს, ჭადარა თმა-წვერი ამშვენებდა, მიუხედავად ზაფხულის პაპანაქებისა, მამაკაცს თხელი ქსოვილისგან შემდგარი ბერეტი თავზე ცერად ეხურა. ხელში ტილოშემოსხვეული ოთხკუთხედი ნივთი მოჰქონდა. ტანთ თხელ-ხმელი აღნაგობის გახლდათ, დაკვირვებული თვალების პატრონს მზერა აქეთ-იქით გაურბოდა.

ის ყველაფერს აღფრთოვანებული თვალებით აკვირდებოდა, ხეებს, მის ქვეშ აბიბინებულ ბალახებს, ეზოს თავზე მოკამკამებულ ცას, ხელმარჯვნივ წამოჭიმულ დაკბილულ კანტებმოვლებულ სახლის ფანჯრებს, ხეებით მოჩრდილულ ბაღს, მის ცენტრში დაყუდებულ, თხელმხრება, ნაზი გარეგნობის ქალს ხელოვანისთვის დამახასიათებელი დაკვირვებულობით თვალი გაუშტერა. მერე მოკრძალებული ნაბიჯებით მიუახლოვდა და მშვიდი, ჰარმონიული ხმით ჰკითხა: – შემთხვევით ხომ ვერ მიცანით მშვენიერო ქალბატონო?

ანასტასიას გაელიმა მის დანახვაზე, თავი მორჩილად დაუკრა, ხელით პატარა კლამისკენ დასაჯდომად ანიშნა. მამაკაციც დაჰყაბულდა მის ნებასურვილს და სკამზე ჩამოჯდა.

– მიგიხვდით, რომ მიცანით, არადა მეგონა ვერ მიცნობდით. ჩემი სახელიც გახსოვთ?

– მარჩელო მარჩიელი, თქვე მთელი ჩვენი ქალაქი გიცნობთ.

–როცა გავიგე თქვენი ამბავი, მუხდაჩოქილი ცხოვრება გიტვირთავთ, გავოცდი, ნუთუ თქვეს სიყვარულს ასეთი დასასრული ხვდა წილად?

–ჩემი სიყვარული ჯერ არ დამთავრებულა მარჩელო.

–არა, მე თვითმკვლეელი კირილეც ვიგულისხმე, ის ხომ აღარაა და...

–ის არის, ვინ თქვა რომ აღარაა... მთელი საკაცობრიო უბედურება სწორედ ამაში მდგომარეობს, რომ რასაც ვერ ვხედავთ აღარარსებულს ვუწოდებთ. ის არსებობს, კირილე არსებობს, და ჩვეი სიყვარულის დასასრულიც ჯერ არ დამდგარა. გახსოვთ კირილე?

–მახსოვს, მახსოვრობა კარგი მაქვს, ეს პორტრეტი მასი, წლების წინ დავხატე, –მარჩელომ ერთი ხელის მოსმით შემოაცალა საკუთარ ნახატს გადაფარებული თეთრი ნაჭერი, საიდანაც პირმომცინარი, ნაზი მზერის ქალწული თავს იწონებდა, ტანს მორგებული უბრალო სამოსი მის უბრალოებას უსვამდა ხაზს. მის მზერაში მაღალი სისუფთავის, არისტოკრატიული წარმომავლობა იკითხებოდა, ასულის სილამაზეს სინათლიდან არეკლილი მზის ჩრდილები სახეს ალაგ-ალაგ უბრჭყვიალებდნენ. –აი, ეს თქვენ დავხატეთ, მაშინ, ჩემს სამყოფელში რომ შემოაბიჯეთ...

–მახსოვს, ეს დღეც კარგად მახსოვს.

–პირველივე დანახვისთანავე მომხიბლა თქვენმა შეუდარებლობამ სხვა ქალბატონებთან მიმართებაში.

ანასტასიას მსუბუქად ჩაეცინა, თავი დარცხვენით დახარა ძირს, მოკრძალებული მზერა მარჩელოდან ნახატზე გადაჰქონდა, მერე ისევ მიწას დახედავდა დაფიქრებული.

–მაშინ, უფრო სწორედ თქვენი წასვლის მეორე დღეს, თავს თქვენი ვაჟბატონი დამადგა. გინდა თუ არა ეგ ნახატი დახიეო, მე ჩემი სატრფო არ მინდა ვინმემ დამიხატოსო,

–კირილემ?–გაეღიმა ნასტასიას და სახეზე არნახული ბედნიერება დაეწერა,

–დიახ, იმ ვაჟბატონმა. მე მაინც ჯიუტად დავხატე ის რაც გულით მეწადა, დავხატეთ, აი ეს მშვენებაც, მერე ბევრი ვიფიქრე ჩემი ნახელავი უნდა მეჩუქებია თუ არა თქვენთვის და გადავწყვიტე... მე, როგორ გითხრათ, იტალიაში მსურს გამგზავრება, აქ ხელმოცარული დავრჩი. ყველა კომერციული ობიექტი რაც კი გამაჩნდა ჩამომართვეს, კულაკი მიწოდეს, რომ არ დაგიჭირეთ მადლობა თქვიო... ჩემთვის მთელი ხელოვნება იყო ყავაზე მარჩიელობა... გულით რომ გიდოდეს ამოდენა ქვეყანაში ერთ კოვზ ყავას ვეღარ იშოვნო... ყავა ზარმაცი, მუქთახორა და ჭორიკანა ადამიანებისთვისაა მოგონილიო, გაგიგიათ ასეთი რამ? დავიჯერო ზევით, ცაბინეტ-კაბინეტებში მყოფნი ყავას არ მიირთმევენ?..

ანასტასია ღიმილმორეული სახით შეჰყურებდა, თუმცა მისი თვალებში სევდის უსაზღვრო თრთოლვა ირეკლებოდა. ხმას არ იღებდა, მღუმარედ ისმანდა მარჩელოს ნაუბარს.

–არ ვიცი, ჩემს მეგობრებთან საიდუმლო წერილები დავაგზავნე, ყველგან სადაც შევძელი ხმა მიმეწვდინა, ყველგან წერილი ვაფრინე: სტამბოლში, ვენეციაში, ფლორენციაში... იქნება იქიდან მოწვევა გამომიგზავნონ, და აქედან გავაღწიო, ეს ნახატი თან მინდოდა წამელო, მაგრამ საჭიროდ ჩავთვალე თქვენთვის გადმომეცა. გაუსაძლისობის დროს ამას შევყურებ ხოლმე და რწმენა მიბრუნდება, ვიჯერებ რომ შეუძლებელია მიწისაგან პირისა აღივაროს სილამაზე და მშვენება, რადგან სწორედ ამ ორ მოვლენას შეუძლია წარმოშვას მიწიერთა თვალში კეთილშობილება, ეს კი ადამიანებს შორის ჰარმონიული ურთიერთობის განვითარებას უწყობს ხელს. რომ არა მშვენიერება რა უბადრუკი იქნებოდა ხელოვან ადამიანთა თვალთახედვა. შემოქმედი ადამიანი მშვენიერებას ეძებს ყველგან, როცა პოულობს, ისეთი გრძნობით იმსჭვალება, თითქოს მას ეკუთვნოდეს და მისთვის მშობლიური ხდება. მე ყოველ რთულ სიტუაციაში ამას ნახატს ვუღრმავდებოდი და ვძებნე, ამაში დანახული სილამაზის, სათნო გამოხედვის, კეთილშობილი ხასიათის აღქმის შემდეგ ვხვდებოდი, რომ ირგვლივ გამეფებული ბოროტების გარდა კიდევ არსებობს ის მშვენიერება, რომელიც უნდა ვიწამოთ... დამაკლდება ეს მე, ჩემს ყოველდღიურ ცხოვრებაში დამაკლდება, მაგრამ სრულიად სამართლიანად ვამბობ, ეს ნახატი თქვენ გეკუთვნით.

ანასტასიამ დაკვირვებული მხერა მარჩელოდან ნახატზე გადაიტანა, საიდანაც საკუთარი თავი იმ დროიდან შემოჰკლიმოდა როდესაც კირილე ჰყავდა. რამხელა ზღვარი არსებობდა ახლანდელ დროსა და მასინდელ დროს შორის, თითქოს მათ საზღვრებში მიწიერი დროის შეგრძნება, წლები, საათები, წუთები კი არ აშორებდნენ, არამედ კირილეს ხსოვნა ჩამდგარიყო მათ შორის.

–კირილე გთხოვდათ რომ მე არ დაგეხატეთ?

–მთხოვდა კი არა... მაძალებდა. მე მაინც ჯიუტად გავიტანე ჩემი, თავდაპირველად სარდაფში გადავმალე და იქ შევძელ დამესრულებინა.

–თქვენი იყო, თან წაიღეთ სადაც გენებოთ.

–როგორ მჩუქნით?–სიხარულის ემოცია აღმოხდა მარჩელო მარჩიელს.

–ისედაც თქვენი იყო, რა მნიშვნელობა აქვს მასზე ვინ იქნება დახატული, ის ხომ თქვენი ნაშრომია, თანაც კირილესაც თუ არ სურდა... როგორც გენებოთ ისე მოექცით, გნებავთ წაიღეთ სადაც წახვალთ.

–ღიახ, თქვენ წინააღმდეგი არ იქნებით, მე წავიღებ, აქედან აუცილებლად გავაღწევ, მერეფლორენციაში ჩავალ და იქ, გაბრდებით, იქ საპატიო ადგილს მივუჩენ ამ ნახატს, ვგონებ შევძლებ, შედეგების გალერეაში დავამკვიდრო მისი ადგილი.

ნასტასიას გაეღიმა, –ოღონდაც ჩემს სახელს ნუ დააწერთ ზედ.

–მე უკვე მოგნათლე ეს ნახატი, მას ტფილისელი ანასტასია ვუწოდებ.

–არა, ოღონდაც ეგ არა, სხვა, სხვა რამ უწოდეთ...

–კარგით მაშინ, იყოს ისე ბარონესა, ანდაც მადმაზელ, ან მადონა...
ანდაც უბრალოდ ახალგაზრდა ქალი.

მარჩელოს წასვლის შემდეგ ანნამ უკმაყოფილო განწყობა ვერ დაფარა დის წინაშე: –შენ თუ არ გინდოდა, ჩემთვის მაინც გეჩუქებინა, თუ მართლა მოახერხა საქართველოდან გასვლა, მერე სადღა მიაგნებ მაგ ნახატს?.. არადა, როგორ მომეწონა.

ანასტასიას ანნას ნაუბარს ყურს აღარ უგდებდა, ის იმ დროის თითოეულ წამს უღრმავდებოდა, რომელიც მარჩელოს ნახატზე იყო გაჩერებული.

XI

კოლას შიდა ქართლის ერთ-ერთი სოფლიდან ელვა-დეპეშა მოუვიდა, შენი ძმისწული-ილიკო მძიმედაა, მისი ბრუტიანი ძმა-ბურდა იქნება წაიყვანოთო... გულს ელდა შემოაწვა კოლას. სიდონიამ მუხლები გამოითქვიფა მეტი ხელების წათაქებით, რაღა ვქნათ, იმ ბიჭს რომ რამე დაემართოს ოჯახს ვინღა შეუნახამსო?

კოლა ობლობაში გაზრდილი კაცი იყო, სწორედ მან იცოდა ობლობის მწარე ხვედრი, ამიტომ როდესაც ძმისწულები დაუობლდნენ, თვითონ ითავა მათი აღზრდა-შენახვა. დაზარდა, დააფრთიანა, ილიკოს ცოლი შერთო, დააწვრილშვილა, მაგრამ უმცროს ძმისწულს ვერაფერი მოუხერხა, მცირედად გონნაკლული დაურჩა. არაფერი ეშველა, თავისდროზე ექიმბაშთანაც ატარა, მკითხავებთანაც ამკითხვინა, თუმცა უშედეგოდ.

თავს აიბლენდა ბურდა, თივის ბულულივით დახვავებულ ქონორს თავის ერთი გაქნევით უკან გადაიქნევედა და სოფლის გზაზე გრრრ-ს ძახილით გაქუსლავდა, შიგადაშიგ ცხენივით დაიჭხვინებდა. ველა, დიდიან-პატარიანად ერიდებოდა გაქუსლულ ბურდას, რადგან ამოტონა სიგრძე-სიგანის კაცის დაჯახება უთუოდ ტრამფულად დამთავრდებოდა.

ქალაქში გადმოსახლებული კოლა გულს იმშვიდებდა ერთიხანობა, ილიკო ხომ ჭკვიანი და მშრომელი კაცი დადგა, ოჯახი ფეხზეც დააყენა და არც ბარაქა გამოუღიაო. ჰოდა, ის იქნება აბდალი ბურდას პატრონი, ერთ ლუკმას როგორ დააყვედრისო. ილიკო მშვიდი და

გაწონასწორებული ნერვების მქონე გახლდათ, რასაც ვერ ვიტყვით მის ცოლზე. სონას მეტსახელად ხიფეფიანთ ქალს ეძახნენ სოფელში, კოჭლობით სიარული სწევოდა, ზედმეტად მშრომელი ქალი ასეთივე ზედმეტად კაპასი და ანჩხლი იყო ხასიათებით. სწორედ ელვა-დეპეშაც მისგან მიიღო კოლამ.

იმავე საღამოს დაბრუნდა კოლა ქალაქში, წინ ბურდა მოუძღოდა, მხარზე გადებული ჯოხით, რომელზედაც მომცრო ზომის ბოხჩა ჩამოეკონწიალებინა. დიდი ანცობით მოუძღოდა კოლას, ამ უკანასკნელს კი დანა პირს არ უხსნიდა მწოლიარე ძმისწულის გამო. თავის აქეთ-იქით გაიქნევას მწარე ოხვრასაც ამოაყოლებდა ხოლმე. ბურდა კი მიდიოდა თმებაქორილი, ამაყი, დიდრონი ნაბიჯებით, მერე მოუბრუნდებოდა კოლას და ომახიანად შესძახებდა:

–კოლა ძია, გავაგრძელო?

–გააგრძელე გენაცვალა კოლა ძია, მაშა, გააგრძელე გზა, ცოტაც და მალე მივალო.

მანძილის მცირედი გავლის შემდეგ კვლავაც იგივეს ჰკითხავდა, და კოლაც ანალოგიურად ძველ პასუხს უბრუნებდა. ასე გაგრძელდა სახლამდე.

ეზოს შესასვლელში სიღონია დაუხვდა, ამაყად შესულ ბურდას ხელები გაუშალა შესაგებებლად, თუმც ბურდამ გვერდი ელვის სისწრაფით აუარა, და გეზი სახლისკენ აიღო.

–მაიცა ერთი რა, ძალო, შენცა ეხლა მყავხარ რა ჩემ გვერდზე სოფლელი ევა, რაში მჭირდები რო!

სახტად დარჩენილმა სიღონიამ სიტყვა დაადევნა მორბენალ ბურდას: –ი, საცოდავ ბედზე გაჩენილ ილიკოს რაღა მოუვიდა?

–რავი მე, ხარმა რქა ამარტყა, მინდორში გავრეკეთ საძოვარზე და... მერე გადაიჩეხა ილიკოი, ხელი დამიქნია წადიო, მეცა ვდურთე თავი და სახლში წავედი, სახლში რომ მივედი რძალმა მკითხა, რათ მოხვედიო? მეცა ვუამბე, ეგრე და ეგრე იყო, ილიკოი გადაიქცა და ხელი დამიქნია, მეცა წამოვედი-თქო, იმან კიდე წყევლა-კრულვა დამიწყო, ხელი იმიტომ დაგიქნია რომ საშველად გიხმოო. გაიგე ეხლა აბა, კაცი ხელს გიქნევს, მოდიო თუ წადიო, განიშნებს, მიხვდი აბა! - ხელიც დაიქნია ნათქვამის დასადასტურებლად.

–ხარმა სად ამარტყა რქა?

–მინდორში!.. გარეკილი გეყავანდა.

–რა ადგილას ამარტყა?

–მინდორში-თქო, კვრინჩიანის გვერდით, ცოტა იქით რა! –სწრაფად ირაკრაკა ილიკომ და სახლში შეიჭრა.

ეზოში დარჩენილმა ცოლ-ქმარმა ერთურთს შეხედეს.

–რაო, რა ამბობენ, ილიკო გადარჩებო?

–ქალაქიდან ექიმი დაუდით სახლში, ექიმბაშიცა ჰყოლიათ, რა გითხრა, მძიმედაა, ეს ყმაწვილი წამოვიყვანე, რძალმა თქვა მაგის გაძლება არა მაქვსო, დროებით მაინც გამარიდეთო, აქეთ წამოვიყვანე, კოლმეურნეობაში დავაწყებინებ მუშაობას, იქნება და მომესმაროს ცოტა, შრომა იცის და...

–ეგრე ვქნათ, კოლა, ეგრე! –თავი დაუკრე სიდონიამ თანხმობის ნიშნად.

ბურდას მართაც ფერმაში დააწყებინა კოლამ მუშაობა. მხარზე ჯოხგადებული სტვენა-სტვენით აუვლ-ჩაუვლიდა ხოლმე მწველავ ქალებს, ნიშნისმოგებით შეათვალიერ-შემოათვალიერებდა და მერე ყველას გასაგონად დასძენდა: –არა, ჩემი ევა რომ არის სილამაზითა, ეგრეთი არცერთი არა ხაართ, ვააჰ!.. არადა რა იმედი მქონდა, ქალაქელ ქალებს გავიცნობ, იქნება და მამხიბლონ-მეთქი, მაგრამა არა. სულ ტყუილები ხართ ევასთანა.

–რათა, ვითომ რას გვიწუნებ?–გაეარშყა ერთ-ერთი მწველავი

–მეტი რაღა უნდა დაგიწუნოთ, ზოგს ღრანჭიანი პირი გაქვთ, ზოგს უკბილო ლაშები, ზოგს თვალები აქეთ გაგირბით, ზოგს იქით, ზოგი კოჭლი ხართ, ზოგი უკოჭლო, ზოგი მსუქანი, ზოგი ნამეტანი მჭაკე, ვერ ვიტან მჭაკე ქალებს, ფერდი იმას არა აქვს და მკერდი, ლოყა-ლოყაზე რომ გაეკვრება ქალს, ის ქალი ქალია? მიდი და მაიყვანე აბა ცოლადა... ანდა თმებ რო გაიკრიჭამს და ოჩონა ვირს დაემგვანება, მაიყვა აბა ცოლადა... ვაი, ვაი ჩემო თავო, იმიტომაც დავდივარ უცოლოდა, აი.

ქალები ბურდას ნათქვამზე სიცილით სულს ვერ ითქვამდნენ, ბურდას გამოჩენას კოლექტივში დიდი მხიარულება და ხალისი შეჰქონდა.

–ბურდა!– შესძახა კოლამ ქალებში მოლაპარაკე ძმისწულს.

–რაი გინდა!

–ბურდა მინდორში გავდივართ, კოლმეურნეობის ბულულები უნდა დავახარისხოთ, ხომ წამოხვალ?

–მე იქ რა მესაქმება რო, აქ რა ქალების წყალი გამომდის თუ რა?!–თქვა ბურდამ და მომცინარი ქალები ერთიანად შეათვალიერა. კოლას არ უნდოდა ბურდას თავისი მეთვალყურეობის გარეშე დატოვება, ამიტომ ჯიუტ ძმისწულს თხოვნით მიმართა.

–ბურდა, გენაცვალოს კოლა, შენი დახმარება მჭირდება, ვიცი გაწუხებ, მაგრამა უნდა წამომყვე, უშენოდ ვერას ვაკეთებ, ხომ იცი, შე ყოჩაღო, შენა!

–ჰო, ეგრეა, უჩემოდ ვერა ვარგიხარ, განა არა, ეგ სულ ეგრეა, ქალებო მე წავალ და თქვენ აქ მამიცადეთ, ფეხი არ მოიცვალთ აქედანა.

ქალები სიცილს სიცილზე აყრიდნენ. თმებაქონრილი ბურდა კი ამაყად, დიდრონი ნაბიჯებით მიუძღვებოდა კოლას წინ.

მინდორზე გასულს კოლასა და ბურდას კიდევ უამრავი მუშა-ხელი ახლდათ. ერთიანად შესეულნი თივის ბულულებს ერთ ადგილზე აგროვებდნენ, მერე ძალიან დიდი და მაღალი ზვინი დადგეს, მისი თავი ცოტაც და ცას მისწვდებოდა, ფერმაში წასაღებად გაამზადეს.

მინდორს კოლა აქეთ-იქით ათვალიერებდა, სადმე ხომ არ დარჩენოდათ მუშებს თივის მონარჩენი, რადგან არსებული დროის მიხედვით, უამრავ ადამიანს დასდეს ბრალი კოლმეურნეობის წინააღმდეგ შეთქმულებაში, ანდაც მუქთახორობაში, კოლმეურნეობის შრომის ფუქსავატბისთვის, სახელმწიფო ქონების განიავებისთვის, ზარალისთვის რეპრესიების მანქანის საკბილოც გამხდარა ასეთად ბრალ და წუნ დადებული კოლმეურნეობის მუშაკები.

ამის შიშით კოლა ყოველთვის ფრთხილი და ფხიზელი იყო:

–კოლა ძია, კოლა ძია, აავაბიალო?–ზურგს უკანიდან მოესმა ბურდას ხმა. კოლამ თვალებს არ დაუჯერა, ბურდას ხელში ცეცხლმოკიდებული ასანთის ღერი თივის უძარმაზარი ზვინისთვის მიეშვრა და ბედნიერი სახით კოლას პასუხს ელოდა. გულზე ხელი იტაცა კაცმა, ავის მოლოდინში გაქვავდა. კოლას პასუხის დაყოვნებისას კითხვა კვლავაც გაუმეორა.

–კოლა ძია, კოლა ძია, აავაბრიალო?

–არა ქნა ბურდა, არ დამღუპო, არ დამაქციო, ბურდა, –ხავილის ხმას გამოსცემდა აღელვებული კოლა.

ბურდამ კოლას ხმას ყური არ უგდო, ცეცხლმოდებული ასანთის ღერი პირში ჩაიღო, და გამოწუწუნა.

ამასობაში დრო იხელთა კოლამ, ეცა ხელებში ბურდას და ასანთის კოლოფი გამოსტაცა. ბურდამ იუკადრისა კოლას ძალისმიერი ხერხი, ამიტომ გაქცეული რამდენიმე მეტრის მოშორებით გაჩერდა, და ნიშნისმოგებით ჯიბიდან ამოდებული მეორე ასანთის კოლოფი დაანახა: –აი, თუ წამართვი, აი, ააბრიალების რო გეშინია, ნახე სულ უნდა ვაბრიალო, მივიდე ფერმაში ქალბთანა! –დაიქანდა ბურდა და ქარივთ მსუბუქი ნახტომებით გაფრინდა ფერმის გზის მიმართულებით. კოლა

იქვე თივის ზვინის ძირში გაგორდა, ყურებში შხუილის ხმა
შემაწუხებლად მოქმედებდა მის ნერვულ სისტემაზე. თავი
აზვირთებულად მდინარის სველი ხახიდან დახსნილი ეგონა, თითქოს,
ხელმეორედ დაიბადა კოლა... თითქოს, ახლა მიხვდა სიცოცხლის ფასს,
მის წყურვილს და გემოს.

XII

შვილის შექენის შემდეგ დათა მაყაშვილმა ზედმეტი ხელუხვობით დაყარა
გული ოჯახზე. სამსახურიდან ნაადრევად დაბრუნებული ჩვილთან აღერსით
იბედნიერებდა ხასიათს. ცდილობდა ყოველგვარი მზრუნველობა თავის
თავზე აეღო. იოცნება კიდევ, სახლს ხელს შეავლებდა, შედეგად და
კედლებს განაახლებდა, ეზოს რიყის ქვებისგან გაცლიდა და სწორ გზად
აქცევდა, რათა ბავშვი სულ თოთო და ხელით სატარებელი ხომ არ
იქნებოდა, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ აუცილებლად მოისურვებდა
დამოუკიდებლად სიარულს, ამიტომ რიყის ქვებზე დაცემულს მუხლის
თავეები რომ არ გაეტეხა, აქედანვე უნდა ეზრუნა საფეხთმავლო გზის
სისწორეზე. ბაღში ბაღჩეულ კულტურებს დათესავდა, შვილს საკუთარი
ხელით მოყვანილი პროდუქტებით გამოკვებავდა. ანასტასიას ჩამუხლების
ადგილსაც მაღლიმად ათვალიერებდა.

ერთხელ, სისხამ დილის მზემცინარ ამინდში, სამსახურში წასვლამდე
დათამ ანასტასიასთან მიახლოებულმა დიდი ნაბიჯებით გადაზომა მიწა:
—ერ—თი, ოო—რი...—ითვლიდა მეტრიან ნაბიჯებს და ფიქრით დაკავებულმა
კეფა მოიფხანა, რა დროსაც მისმა ცოლმა, გაოცებულმა ჰკითხა თვლის
მიზეზი.

—სირცხვილის, რას იტყვის ხალხი, სახლში თუ კაცი ტრიალებს ერთი
ფარდულის მსგავსი გადახურვა ვერ გაუკეთესო?.. ამდენი ხანია წვიმა—თქეში
ამის თავზე გადადის.

—მართალი ხარ, არც ქოლგას იხურავს! —ქმარს მოუწონა ნააზრევი ანნამ.

—ჰოდა, განაგრძო ცოლისგან ფრთაშესხმულმა დათამ —აესე, აქედან —
აქამდე ხელით მოუზომა ადგილი—პატარა, ერთაგურ სისქეზე, ავაშენებ,
თავზეც კრამიტის ლამაზ გადახურვას გაგუკეთებ, დიდი დრო არ
დასჭირდება ამას!

მდუმარედ უგდებდა ყურს ანასტასია, ერთმხრივ მათი საუბარი გულს
უნათებდა, უხაროდა მოსიყვარულე ოჯახის წევრთა შემართებული ერთობა,
მეორე წევრისადმი დახმარებაზე მაფიქრალნი. მასზე მზრუნველნი და და
სიძე, რომელნიც განსაკუთრებული დამოკიდებულებით გამოხატავდა მასთან
და-ძმურ სიყვარულს, ის კარგად იცნობდა მის სატრფოს, მასთან ერთად
იყოფდა რევოლუციონერისთვის დამახასიათებელ შიმ-მწარე ყოფიერებას,

იცნობდა და ახსოვდა საკუთარი მეგობარი, როგორც კეთილშობილი და უღალატო მამაცი. შეჰხაროდა სიძეს ანასტასია წესიერი, ადამიანური დამოკიდებულების გამო, თუმც, მისმა მზრუნველობამ ფარდულის აშენების თაობაზე დიდად ვერ აღაფრთოვანა:

–დათა, ანნა, ჩემებო, არც კი იოცნებოთ მსგავსს მშენებლობებზე, მე გადახურული ოქროს კოშკიც რომ ამიგოთ, ვერ გამახარებთ, მე ეს სივრცე მიყვარს, ეს მჭირდება, აქედან ყველაფერი ჩემი ცნობიერების ნაყოფს ამწიფებს, აქ კარგად იკვეთება წარსულის თითოეული კადრი და მის გვერდითაა ოცნებისფერი მომავლის სიტკბო. აწმყო არსებობს ჩემთვის, წარსული პირდაპირ მომავალში გადავიდა. თქვენთვის რთულია ბევრი ჩემეულის გაახრება, მაგრამ გთხოვთ, ჩემი მდგომარეობის გამო მშენებლობებითა და ხალხის აზრის გამოთქმის წარმოდგენებით ნუ შეიწუხებთ თავებს.

–მე მცხვენია, აქ ხალხი ტრიალებს, რამდენი იტყვის ჩემზე უვარგისი და გულქვა კაციანო-გულს დარდად შემოაწვა დათას.– მე ავაშენებ, შენ შეხედე, თუ თვალში არ მოგივა, მერე შენი ნება იყოს.– ვერაფერს რომ ვერ გახდა დათა, მერე ხვეწნაზე გადავიდა, ყელგამოწვდილი სთხოვდა:

–ნასტია, გეხვეწები, შემიცოდე, შენი ცქერით ძვლები მადნება, სულ ცოტა მაინც გადამახურინე შენს თავზე, ნუ შემიღალახავ ხალხის თვალში კაცის ავტორიტეტს.

ანასტასია კატეგორიულ უარზე დადგა. არანაირი თავშესაფრის გახსენება და წარმოდგენა არ სურდა. ანნას პატარა პირმშო მიჰყავდა მაღლი-მალ და კალთაში უგორებდა დაიკოს, ანასტასია დიდი სიფაქიზით უაღერსებდა, მკერდზე მიხუტებული ანანავებდა და ტკბილი ხმით იავნანას უმღეროდა.

მაშინ, როდესაც დათას სახლის კედელზე თავისი ხელით შეკრული, ხის კიბე მიედგა და კედლებს მწვანე ფერში ღებავდა, ეზოში ანასტასიასთან მომსვლელი ხალხი ტრიალებდა, გალობის შემდგომ მასთან გასაუბრება ყველას ესურვილებოდა. ზოგი ხელზე ეფერებოდა, ზოგი დახმარებას სთავაზობდა, მეზობელ კოლას ცოლი, სიდონია, ხან თმაზე ეფერებოდა და ქმრის შესახებ ამბებს უამბობდა: – კოლმეურნეობის გეგმას გადააჭარბა შრომაში და საჩუქრად 60 მანეთი წაუმატეს ხელფასს–75 მანეთს. ტელეფონი თავის აპარატიანად გვისაჩუქრეს, ნომერსაც ჩაგაწერინებ, იქნებ დაგჭირდეს სადმე დარეკვა. ანნა ან ვერა გამოგზავნე და შენს გემოზე მოიხმარე.

ანნა სახლში რვეულისა და ფანქრის გამოსატანად შებრუნდა, ხელთ დათას დღიურის მეტი ვერა მოხვდა, გარეთ გამოარბენინა და შიგნითა ყდაზე მიაწერა სიდონიას ნაკარნახევი ციფრების კომბინაცია. მერე კიბეზე ასული მდებავი ქმრის იმედად დადგა, რვეული წინკარში მდგარ პატარა მაგიდაზე დადო და საუბარ-საუბარში გართული სიდონია ეზოს გადააცილა. კიბეზე ასულმა დათამ ახლადგადვიებული შვილის ტირილმა კიბიდან ჩამოიყვანა, ხელში ატატებულისთვის ზემოდან საბავშვო პლედი

მოეხურებინა, შემოდგომის ამინდმა არ დამიგრილოსო და დედის დაბრუნებას ელოდა, მაგრამ წინკარში მობრუნებულმა ანნამ დიდად შეიცხადა, რა დროსაც დათას დღიური მაგიდიდან გამქრალი იხილა. დათას არ ესიამოვნა მომხდარი, გულმა ცუდი უგრძნო:

–ასე რომ აჰყევი განგაშს, მაინც რა გეწერა შიგ ასეთი?–ჰკითხა ვერამ სიძეს, რადგან თვითონ და მისმა დამ, ანნამ, ქართულად წერა-კითხვა არ იცოდნენ.

–ყველაფერი ვერა, ყველაფერი. 1921 წლის სისხლიანი თებერვლის შემდეგ ვაწარმოვებდი... ავღწერდი რევოლუციური საქმიანობის შესახებ, ვადგენდი გეგმებს, მჭირდებოდა, რამდენი ძმაკაციც დაგვარგე ანექსიის დროს თავის სახელ-გვარებიანად, სულ აქ მეწერა... 1924 წლის აჯანყების შესახებ ვიწერდი, გასალანძღეს აქ ვლანძღავდი, რადგან ხმამაღლა თქმას ვერიდები ჩემი ოჯახის გამო, თქვენ გამო, გესმით?

–შემფოთებული მოთქვამდა დათა, –მარტო ეგ მქონდა მიწის ზემოდან, დანარჩენს მიწის ქვემოთ ვუყავი პირი და აზრიც.

–ჩემი ბრალია, მე არ უნდა გამომეტანა და თანაც სააშკარაოზე მიმეტოვებინა.–დარდობდა ანნა–მე, რომ არ ვიცი ქართულად კითხვა, მგონია რომ სხვაც ვერ წაიკითხავს, გულუბრყვილობისგან მომივიდა.

ოჯახის ყველა წევრს, დიდიან-პატარიანად დათას და ანნას განცდიანი ხასიათი გადასდებოდა. ჩვილი ხშირ-ხშირად უმიზეზოდ ჭირვეულობდა, ანნაც უსაზღვროდ განიცდიდა მომხდარს.

მაშინ, როდესაც ღამეს ჭადარა შეპარვოდა, ანნას შემოჩვეული სიზმარი, რომელიც შიშნარევი უსიამოვნო შეგრძნებით აღავსებდა, კვლავაც განმეორდა.

გვიანდელი შემოდგომის პეიზაჟი ნათლად ეზმანებოდა, უსიამოვნოს მიასრიალებდა ამოუხსნელი ძალა ხმელ ბალახზე დაწოლილ ანნას, ფეხებზე ებლაუჭებოდა, ანნას სხეული ეკაწრებოდა ხმელი ბალახის წვერებზე სრიალისას, თავს ზევით ძალის არმქონე მორცილად დაუყვებოდა იმ უცნობ ძალას, რამელიც ფეხებზე ებლაუჭებოდა, და თავისკენ ეძალებოდა. სიზმარში ახსოვდა ანნას გვერდით მოსრიალე ადამიანი, ისიც ახსოვდა რომ სხვა დროს ნანახ სიზმარში მისი სახე და ვინაობა გაურკვეველი დარჩა, რადგან მათ შუა გადაქელილი ხმელი ბალახის სიმაღლე ფარავდა ორივეს სახეს, ხილვადობას თრგუნავდა. თუმც ახლა, ამ სიზმარში ბალახი უფრო ჩამხმარიყო და სიმაღლეს დაკარგვოდა, თავისუფლად არჩევდა გვერდით მოსრიალე ადამიანის ჩაცმულობას, მისი თხელი სხეულის ნაწილებს, კარგად დააკვირდა...

ქვევით მოცურავე ადამიანში თავისი ქმარი დათა ამოიცნო, თვალეზღაუჭული დაჰყოლოდა უხილაგი ძალის ნებასურვილს, გაჰყოლოდა სადღაც გაუცნობიერებელ ადგილას, სადაც ქვეყნის დასასრული და დასაწყისი იკვანძება.

ანნამ სიმშვიდე იგრძნო, რადგან მისი ქმარიც მისგან ოდნავ მოშორებით, თავისნაირ მდგომარეობაში მყოფი ეგულებოდა. სურდა ეყვირა ქმრის სახელი, რომელიც ესოდენ ესათუებოდა მის სულიერ განწყობილებას, რომელიც უყვარდა პიროვნულად, თავისი შინაგანი თვისებებისა თუ მოუსვენარი საქციელის გამო, უყვარდა როგორც მის კეთილდღეობაზე მზრუნველი, მისი შვილის მამა, მისი სხეულის მეორე ნახევარი.

ანნა გარკვევით, ნათლად გრძნობდა, რომ აღარ ნერვიულობდა, თითქოს შეჩვეოდა არსებულ ყოფიერებას, მაშინ როდესაც პირველი ნახვისას განცდამ პიკს მიაღწია, მისი შფოთით კინაღამ გული გაუსკდა. ახლა აღარ დელავდა, შეჩვეოდა არსებულ მდგომარეობასა და გარშემო განვითარებულ სიტყაციას. თანაც შეგუება თავზევით ძალის არარსებობას უფრო გამოეწვია, ვიდრე თვით განვითარებული მოვლენის მისაღებ აზროვნებას. გვერდით ყველაფერი მორჩილი იყო: ბალახიც, რომელიც გახმა და მკვდარ თივად იქცა, ფოთლებიც, რომელნიც გამხმარნი უმწეოდ მიმოფენილიყვნენ უდაბურ სიხმელეში, მიწაც, რომელიც მეტი უსიცოცხლობით დაბლა დაწეულიყო, ფერდობი გაეკეთებინა და სწორედ ფერდობზე სასრილოდ იოლად მოქმედებდა ის უხილავი ხელი, რომელიც მათ ქვევითკენ ქაჩვით მომავლის ქონა-არქონა უნდა გადაეწყვიტა.

გამოდვიძებულ ანნას სხეულზე განცდის ეკალი ეკარა, სციოდა, თრთოდა:

-ეს სიზმარი რაღას გადამეკიდა, ნეტა მისგან განთავისუფლება თუ არის შესაძლებელი?—გულში მოთქმით განიცდიდა ანნა და ქვედა ტუჩს იკვნეტდა.

ანასტასიასთან გულის მოსახებლად ვეღარ გავიდა, გრძნობდა დის განცდიან მზერაში იმალებოდა ყოველივე მშფოთვარე ფიქრთა ნუსხა, მისი მგრძნობიარე ცისფერი ნათებით გამოკვეთილი, განცდიანი თვალები თან სდევდა ანნას. გული ეთუთქებოდა დის ტანჯვით, მისი ერთადგილზე უძრავობით, როდესაც მუხლებს ხელით ეხებოდა ანასტასია, გრძნობდა მასში ტკივილის უღმობელ ძალას, მისი აუტანლობის ხელს, გაუსაძლისობას, თუმცა ანასტასია ამას არასდროს იმჩნევდა, არასდროს წუხდა ფეხების ტკივილის, დაბუეების გამო.

დათა მაყაშვილის დღიურის გაუჩინარებიდან ზუსტად ერთი კვირის თავზე, გვიან ღამით, როდესაც კუშეტკაზე მიინარე ბავშვს, გვერდით ვერა მისწოლოდა და მოსიყვარულე მზერით ეალერსებოდა ოჯახის ყველაზე უმცროსს წევრს, კარზე უხეში კაკუნი მოესმათ. კაკუნი თავიდან იყო, მერე ბრახუნში გადაიზარდა, ხის კარზე მომცრო მინებს ზრიალი გაუდიოდა, ჩამოვარდნასა და ჩამომსხვრევას არაფერი აკლდა. ხმაურზე ბავშვს გაედვიდა და ისტერიული ტირილი მორთო.

დათა საწოლში ახალი შეწოლილი იყო, ანნას ებანავა და სველ თმას პირსახოცით მექანიკურად იმშრალებდა შეშინებული.

საცვლების ამარა წამოვარდა ფეხზე დათა, კარს მიეჭრა და ერთხანს მიაყურადა. გარედან ანასტასიას ხმამაღალი ქვითინი მოესმა, სიტყვებს არ

იშველიებდა, არავის უხმობდა, მხოლოდ ხმამაღლა, გულამოსკვნით ქვითინებდა:

–ვინ არის?–იკითხა დათამ, მიუხედავად იმისა, კარგად იცოდა ვინც უნდა ყოფილიყო კარს უკან.

–გაადეთ!–მოესმა ერთი სიტყვა, რომელშიც ყველანაირი მუქარა თავმოყრილიყო. ამ ერთ სიტყვაში გაჯერებოდა ერთმანეთს შიში, უპატივცემულობა, ადამიანური ვიგინდარობა, ბრძანება, მასპინძლისადმი არაკულტურული დამოკუდებულება.

ნირწამხდარმა დათამ ახალგაზრდა ქალებს მოხედა, თვალით ანიშნა, არ შეშინდეთო და კარი ნაძალადევად გააღო. ზღურბლზე სამნი, ჩექმებგაპრიალებულნი, შავ ლაბადიანები, შავ ცილინდრის ქუდებში მოლაპლაპე მამაკაცები იდგნენ.

სამივე ერთურთის იდენტური იყო, არაფერი განმასხვავებელი ნიშან-თვისება არ გააჩნდათ. ორმა მათგანმა აქეთ-იქით გაიწვი-გამოიწვია, სახლის ნივთებს მივარდნენ, გადმოერიეს და ჩხრეკას მოჰყვნენ. ერთი კი უკმაყოფილო სახის მქონე დათას გაუჩერდა და არასასიამოვნოდ ბოხი ხმით ჰკითხა: –სახელი, გვარი?!

დათას სახეზე უკმაყოფილო გამომეტყველება ცინიკურით შეეცვალა, გამჭოლი მზერა მიაპყრო სტუმრად შემოჭრილს. მერე მტირალა ბავშვისკენ გაიხედა, რომელიც კუთხეში ატუხუხულ, შიშით თვალებგაფართოვებულ ვერას მკერზე მიეხუტებინა.

–სახელი, გვარი-მეთქი!–გამოსცრა კბილებიდან მუქარის ტონით დათას წინ უძრავად ასვეტებულმა შავმა მამაკაცმა, რომელსაც სახის ნაკეთებიც კი უმოძრაოდ გაშეშებოდა. დანარჩენი ორი „სტუმართაგანი“ სახლს ძირიადმა ატრიალებდა ჩხრეკის გამო.

–როგორ, ვისთან მობრძანდებით, არ უნდა იცოდეთ?–კითხვა კითხვით დაუბრუნა მასპინძელმა, მერე კი დასძინა–დათა მაყაშვილი დახლავართ!

–ცოლის სახელი, გვარი?!

დათა დადუმდა, მაგრამ ანნას ხმა მოეწია ყურს:–ანნა ივანოვნა ნიკიშევა.

–ანნა ნიკიშევა და დათა მაყაშვილი, ჩაიცვით, უნდა გამოგვეყვით!

–სად?–იკითხა შეშინებულმა ანნამ.

–ჯერ შინსახკომში, მერე ისინი გადაწვევენ სადაც!

ანნამ ტირილით დაიწყო თბილი ჟაკეტის მოცმა, თეთრი საცვლის ამარა დათაც ნაჩქარევ ჩაცმას შეუდგა.

–ეს ქალი ვინაა?–ხელი აცრემლებული ვერასკენ წაეღო უხეშად ჯალათური ფართრეთის მქონე მამაკაცს, რომელზედაც ვერას მკერდზე

მიკრული პატარა ბავშვის გულამოსკვნილი ტირილი არ მოქმედებდა, წარბშუხრელად შეჰყურებდა კუთხეში ატუზულ-აბუზულებს.

–ეს ჩემი დაა და ჩემი...–

–დიშვილი!–არ აცალა ცოლს აზრის დამთავრება დათამ, რომელიც უხეშად ჩაეჭრა პასუხის გაცემისას.–ეს ჩემი მეუღლის ნახევარდაა, კაპიტალკა ნიკიშევა, ბავშვიც მისია, ისინი ჩვენი სტუმრები არიან.

–სტუმრები?!– თქვა შავმა და მზერაგაშტერებული ჩაუფიქრდა დათას პასუხს.–სტუმრები კარგია, მაგრამ... სადაურნი არიან სტუმრები? ტფილისელნი?.. მტკვრისნაპირას მცხოვრებნი?.. თუ...

–არა, ბატონო, თბილისელები არ არიან, ისინი აზერბაიჯანიდან, კერძოდ ბაქოდან გვსტუმრობენ. კაპიტალკა ივანოვნას ქმარი ჩეკას თანამშრომელია.–იცრუა დათამ, მაგრამ იმდენად დამაჯერებლად უღერდა მისი ნათქვამი ტყუილი, რომ ერთხანს ვერამაც კი დაიჯერა რომ თბილისელი კი არა, ბაქოდან ჩამოსული სტუმარი იყო.

–მდაა!–ჩაახველა შავლაბადიანმა მამაკაცმა, რომელსაც ისე ჰქონდა შავი შლაპის ფარფლი თვალებზე ჩამოფხატებული რომ ოთახის განათება მის სახეს ნათელს ოდნავადაც ვერ ჰფენდა. სახე მუდმივ სიშავეს დაეფარა, ისევე როგორც სახლის ამრეგ-დამრევი დანარჩენი ორი პირი.

–ბაქო კარგია. მაგრამ აქ რას აკეთებთ?–ისევ გამყინავი ტემბრის ხმამ დაიგრუხუნა და გააყრუა ყურთასმენა.

–სტუმარია–თქო, ხომ გითხარით!–გამოეპასუხა მასპინძელი–ნახევარდასთან სტუმრად ჩამოვდა, 20 წლიანი განშორების შემდეგ პირველად ნახეს ერთურთი.

ყველა სიჩუმედ იქცა, მხოლოდ სახლის კედლები ვერ დააადრუმა, თითქოს ბობოქარი ხმაურით აცნობიერებდნენ მწარე რეალობას, რომლისგან ნაჩვენებს აღარ სურდა ტკივილის განმეორება. სახლის მჩხრეკავი ორი შაოსანი პირი შესასვლელში მდგომ, გაშეშებულ პირველთან მიბრუნდნენ: –ვერაფერი აღმოგუჩინეთ საეჭვო.

–ესე იგი, საეჭვოს ვერაფერს წააწყდით?–

კითხვის ტონიც კი აუტანელი ეჩვენებოდა თბილსამოსში გამოწყობილ ცოლ-ქმარს, რომელნიც გუდანაბადაკრულ ზღაპრის გმირებს უფრო გვანდნენ, ვიდრე ეული ცხოველისას:

–წამოიყვანეთ!–გასცა ბრძანება პირველმა. ორიდან თითოეულმა ცოლ-ქმარს მკლავში ჩააღლეს ხელი და გასასვლელისკენ უბიძგეს. ისინი უჩუმრად დამორჩილდნენ. გარეთ გასულებს ანასტასას ქვითინი კვლავაც მოესმათ. მკლავში ხელჩაჭიდებული დათა დიდრონი ნაბიჯებით მიიწევა წინ, აშკარად ჩქარობდა ეზოდან გადასვლას, რათა დროულად გაეყოლებნა

ეს დაუპატიუბელი სტურები და თვალში ცუდად არ მოხვედროდათ
ადელვებუმი ანასტასიას ანდაც ვერას ქვითინი:

–ეს ვინდაა?–იკითხა პირველმა და უგრძობი ხელები მუხლზე
დაყუდებული ანასტასიასკენ მექანიკურად წაიღო, რომელიც სუსტად
ხილული ლანდივით მოჩანდა ბადის შუაგულიდან.

–ეს ჩემი დაა, ეს საწყალია, სულ ასე ზის, ვერ მოძრაობს, ვერც
დადის–სცადა დამძიებული ყოფიერების ახსნა ანნამ, იმ მოტივით რომ მისი
წაყვანაც არ მოესურვილებინათ ადამიანის მსგავსს თუ უმსმაგვსო პირებს.

–ზის?.. მუდამდღე ასე ზის?!–ჩაიბურღლუნა მონოტონურად პირველთაგანმა
შავმა–რატომ, გიჟია და იმიტომ ზის?.. თუ საერთოდ, გაჩენის დღიდან ზის?

–ფეხზე ვერ დგება, არ შეუძლია!

–არ შეუძლია!–კიდევ გაიმეორა პასუხის მორჩენილი ნაწილი და ეზოდან
გადასულნი კუნაპეტი ღამის იდუმალ სიბნელეს შეერივნენ. მერე
ავტომობილის ძრავის ხმა ჩაირთო, ასე ბღმუოდა ერთხანს, მალე ხმა
შორიდან მოისმოდა, რომელიც მთელ ალილუევას ქუჩას ექოდ სწვდებოდა,
და ბოლოს ისიც მიწვნარდა.

მოქვითინე ანასტასიასთან მოირბინა საშველად უმცროსმა დამ, მტირალა
ბავშვით ხელში, რომელიც კალთაში ჩაუგორა დას, თვითონაც მის გვარდით
დაიჩოქა, მხარზე მიაყრდნო თავი და უფრო მწარედ აქვითინდა. მათი
ცოდვით ქვაც იწვოდა, მოქვითინე ანასტასიას ცალი ხელი მტირალა
ბავშვისთვის შემოეხვია, მეორე კი უმცროსი დისთვის, ასე იყვნენ ერთხანს,
ვიდრე უსუსურად პატარა ბავშვის დაუოკებელმა ტირილმა არ აიძულა
გაყუჩება.

დასვედიანებულმა ანასტასიამ მკერდზე მიკრობილი პატარა თავისი
ტკბილი იავნანით ჩააძინა. მოსიყვარულედ დახედა მძინარეს და ვერას
სახლში შეყვანა და ლოგინში ჩაწვენა სთხოვა, მაგრამ უშედეგოდ,
შეშინებული ვერა სახლში ველარ შედიოდა, ეგონა კედლებში დამალვოდნენ
მოლანდებისფერი ცილინდრიანი პირები და შესვლისთანავე კედლებიდან
იწყებენ გადმოსვლას. ეგონა მასაც დისა და სიძის მსგავსად
ჩააფრინდებოდნენ უშნოდ, უხეშად მკლავში, რომელთა მწარე ნათითურები
ლილისფრად დაამჩნევდა უსახურ ნაკვალევს თხელ მკლავზე, მათი ხელის
ძალა ძვლამდე დავიდოდა.

ანასტასიამ სათბილობელი მოძებნა ხელით უკან გადაცურებული თხელი,
დადონძილი პლედის სახით და მძინარე ბავშვს შემოახვია. პლედმა კიდევ
ერთხელ გაახსენა თავის პატრონი, მხრებზე შემოხვეული პლედით. მისი
სახის გამოხედვა უსამართლობის დროს, მოუთმენელი ხასიათი და
ემოციები უკმაყოფილების დროს. ნეტა ახლა დაგანახა შენი ძმაცაცის
შეპყრობის ამბავი ჩეკისტების მიერ, გაივლო გულში ანასტასიამ და
კირილეს გახსენებამ კიდევ უფრო მეტად აუჩვილა გულ-მუცელი.

მეორე დღეს შეიტყეს რა მეზობლებმა დათას ცოლთან ერთად შეპყრობის ამბავი, მათ ოჯახთან ურთიერთობა შეწყვიტეს. ყველას შიში თავის თავზე გადაჰქონდათ, მომხდარზე საუბარს ყველა ერიდებოდა. დროც ასეთი იყო მენტალურად, „ტროცკიზმის“ ბრალდებით დაკავებულებს ნაცნობების შესაძლო თანამზრახველ-თანამოაზრეებში გასულიყვნენ.

დღეს–დღე მისდევდა, მხოლოდ ერთკვირიანი გაუთავებელი წამება-დაკითხვის შემდეგ დაბრუნდა ანნა. ძალზედ გამხდარი, შელახულ, ჩაწითლებულ თვალებზე დამჩნეული ტრაგიზმის წუხილით. მხრებში მოხრილი ოცი წლით დაბერებულიყო, აუტანელი მშრალი ხველება ყოველ სიტყვასა და სიტყვას შუა ახსენებდა წარსულს. ტირილით გაუჩერდა ანასტასიას ნახევარმეტრის მოშორებით, თავიდან ჩაის ფოთლის ფერი შალის თავსაბურავი მოიხადა. მოსვლეპილ, კიბე-კიბედ გადახოტრილ თავზე ლილისფერი ნაჭდეუები და ალისფერი იარები დამჩნეოდა. ანასტასია უცრემლოდ დააკვირდა განაწამებ დას, შეეცადა ძლიერი ყოფილიყო მის თვალებში, მერე ხელები განზე გაუწია და ჩასახუტებლად მიიწვია:

–კეთილი ყოფილიყოს შენი მობრუნება, საწუწუნო აღარაფერი გაქვს, ცოცხალი ყოფილხარ!–წაუჩურჩულა გამამხნევებლად და შეეცადა ძალზედ მსუბუქად ეკითხა ისე, სასხვათაშორისოდ, გულის სატკენად არ ყოფილიყო დაბასრული:

–... და, დათა სადაა, როდის გამოვუშვებთო, არ უთქვამთ?

ანნამ ქვითინი შეწყვიტა, დას თვალებში ჩახედა ძალიან ღრმად, აკანკალა: –მე არ ვიცი... ის არ დაბრუნებულა?.. რომ არ დაბრუნდეს? რა მეშველება?.. იქნებ ცოცხალია და გადასახლებაში მოაყოლეს, 9-10 წლის მერე დამიბრუნდეს?.. ხომ შეიძლება, დაიკო, მითხარი, შეიძლება?

ანასტასიამ შუბლი დაუკოცნა აკანკალებულ დაიკოს, რომელიც საცოდავი შესახელი იყო. უქმრობას უნუგემობამდე მიეყვანა, ყასითად ნათქვამი სიტყვებიც კი მისთვის წამლადსარგები ნუგეში იქნებოდა, ამოტომ მოხოტრილ თავზე ხელისგულით მოაღერსემ, მორალური გამაგრების გამო უთხრა:–ვინ რა იცის, შესაძლოა გადასახლებაშია და მართლაც დაგიბრუნდეს, წარმოგიდგენია, იქიდან დაბრუნებულს შენ და უკვე გაზრდილი ვაჟიშვილი რომ დაუხვდებით?.. უსამართლოდ დასჯის ნუ შეგეშინდება, ყოველთვის მაგალითისთვის გაიხსენე, უფალი უსამართლოდ დასაჯეს, დამდაბლებულს, განკაცებულს, სიყვარული ვერ აპატიეს, ჯვარს აცვეს ჯალათებმა. ნურაფრის შეგეშინდება, ყველაფერს მაგრად დაუხვდი!.. ბავშვს ენატრებოდი, თვალებით სულ შენ გეძებდა, მადლობა უფალს, ცოცხალი რომ დაგიბრუნდი.

ანნა დააყუჩა ნუგეშის სიტყვებმა. ერთხანს წარმოიდგინა კიდევ ვაჟიშვილის გაზრდით გამოწვეული ქმრის ემოციები. ოდნავ დამშვიდებულმა ვერას მოუხმო:–სახლში არაა, ბავშვთან ერთადაა წასული, სამსახურიდან გამოუშვეს, ამიტომ სამსახურის საძებნელად გაეშურა, მეზობელ კოლას

ნახვა სურდა, კოლმეურნეობის ფერმაში მწველავეები ესაჭიროებათო, ყური მოუკრავს.

ანასტასიას პასუხით გულმოსულმა მწარედ ჩაიღიმა. ლასლასით წამოდგა ფეხზე და სახლის ზღურბლს გადასული დის თვალთახედვიდან დროებით გაუჩინარდა.

XIII

უბანში ხმა დაირხა თუ არა, ანნა ცოცხალი დაბრუნდა შინსახკომიდანო, მეზობლებმა ნელა-ნელა დაიწყეს ნიკიშევებთან დაკარგული ურთიერთობის აღდგენა.

ანნა იმედით ცოცხლობდა, მისი ქმრის დაპატიმრებისა და გადასახლების შესახებ ინფორმაციას მოკრავდა ყურს, გაიხარებდა და დაიწყებდა ზრუნვას მისი მონახულების თაობაზე. სადაც არ უნდა წაეყვანათ, რა მანძილსა და დისტანციაზე არ უნდა დაეშორებინათ, ნახვას მაინც მოახერხებდა. მთავარია, დათა ცოცხალი ყოფილიყო. ქმრის სახელს ყოველწამიერად იმეორებდა, მის ტანსაცმელს იცვამდა, ღამით დათას გაურეცხავად შემორჩენილ პერანგს თავქვეშ, ბალიშზე გადაიფენდა და მის სურნელს გრძნობდა, გაჯერებულს ოჯახის სიყვარულით, მზრუნველობით, სიძლიერით, საკუთარ თავზე ტვირთის ამღები, წამი არ იყო ჩაუვლელი მასზე არ ეოცნება.

ახლა, როცა მისგან თვალისდაუნახავად შორს იყო, უფრო მეტად გაჯერებოდა სისხლი მისი სიყვარულით. მწველი იყო დათა მაყაშვილის გრძნობასთან თანაზიარობა, მისი სიყვარული –მწველიც და სანატრელიც.

ანნა სიზმარში ქმარს ვერ ნახულობდა, რამდენჯერ შეეცადა მის ხილვას, თვითონაც უკვირდა, არასდროს დამსიზმრებია მისი დაპატიმრების შემდეგ. ის მწარე სიზმარიც ახსოვდა, უგვანოდ ახდენილი.

„ნუთუ იდუმალება ინტუიციის ხელით სიზმრად მოვლენილი ცდილობდა ჩემთვის გაეცნობიერებინა მომავალის საფრთხე, მე უგუნური კი ვერ ჩავწვდი. იქნებ, ჭკვიანი ქალი ჩემს ადგილას ჩასწვდებოდა არსებულ სიზმარს, გააცნობიერებდა, თავს უშველიდა, იქნებ გაქცევით? იქნებ, პეტერბურგში გამგზავრებით?.. იქაც, დედ-მამისეული ფუძის ოჯახიდან, ვინმე ხომ მაინც შემორჩებოდა ჩვენი კეთილისმსურველი?.. იქნებ... მაგრამ სად გავიქცეოდით, როდესაც ნასტინკას გამო ხელ-ფეხ გაბოჭილი ვარ, როგორ მივატოვო ჩემი სისხლი და ხორცი?.. არ შემიძლია, ვერ გავძლებ! სამჯერ ერთი და იგივე სიზმრის ხილვა განსაცდელის მომასწავებელი რომ იყო, განა ამას როგორ ვერ მივხვდი, არც დათასთვის

მომიყოლია, იქნებ მას მაინც გადაერჩინა საკუთარი თავი ტყვეობისგან. ახლა როცა ვაჟიშვილი წამოიზრდება, და მკითხავს მამის შესახებ, რა უნდა ვუთხრა?... გადაწყდა, ფოტო ატელებ რომ გაიხსნა ჩემი კუჩის კუთხეში, აუცილებლად მივაკითხავ და ბავშვს ხშირ-ხშირად გადავუღებ სურათებს, მერე დათას ჩავუტან, ნახოს თავისი ნანატრი ვაჟიშვილის ზრდის ეტაპები“, ფიქრობდა და უმაგრებდა გაუსაძლის ყოფიერებას.

თვითონ უმუშევრად დარჩენილი, ახლა კოლმეურნეობის ფერმაში მწველავად მომუშავე ვერას კმაყოფაზე უნდა ეარსება. 75 მანეთის იმედად დარჩნენ ვერაც, ნასტინკაც, თვითონ ანნა და თავისი პატარა შვილი, რომელიც მხოლოდ თვალისა და თმის შეფერვილობით დამგვანებოდა დედის მხარეს, სახის მოყვანილობით, ნაკვეთითა და ხასიათის პრინციპულობით ტიპური მამის ასლი იყო. ანნას უყვარდა მამის მგვანება თავის პირმშოში. ხელში ხშირად შეათამაშებდა და ღიმილით ეუბნებოდა: –დათას მსგავსო, მასავით ტკბილო, მოსიყვარულე და ჯიუტზე-ჯიუტო ქართველო!

ვერა ყოველი თვის ბოლოს დებულობდა ხეფასს, 75 მანეთს. არასდროს წუწუნებდა, რადგან უნდა ყოფნოდნენ ხელფასს.

შემოდგომის თბილი ამინდი ჩამომდგარიყო, ირგვლივ სიჩუმეს დაესადგურებინა, ჩიტის გაფრენის ხმაც კი არ მოისმოდა, ნიავეც სადღაც მიყუჩებოდა მზის თბილ სხივებს. ანასტასიას მოსანახულებლად მოსულმა მეზობელის ახალგაზრდა ქალმა, შავი ღვინო მოართვა. მათაც პატარა მაგიდა მოკრძალებულად გაშალეს ნასტასიას წინ, გარშემო შემოსუხდნენ სხვა მეზობლის ქალებთან ერთად.

მეორე ჭიქის შემდეგ ანნას ალკოჰოლი დაეტყო. იგრძნო, თუ, როგორ დაუარა მხურვალე ძალამ თავიდან ფეხებამდე, სისხლი გაუსურდა კაფანდარა სხეულში, თითქოს, ერთავად დარდიანი ხასიათი გამოუკეთდა, გულიც ფეთქვის დროს დათა-დათას რიტმულობდა, ყოველ დამით ბალიშზე დადებული თავიც კი ყურებში დათას ხმაურობდა. ყველაფერი მის სახელს უკავშირდებოდა, მაგრამ მაინც არ ტიროდა, ცოცხალი კაცის ტირილი როგორ შეიძლება, ცუდ ბედს არ ვეწიო, გუნებაში ფიქრობდა, დათას ვაჟკაცი ბუნება რომ ვიცი, აუცილებლად გაუძლებს სირთულეს, ჩვენ გამო დაითმენს და ცოცხალი გამოძვრებაო, იმედოვნებდა.

მაგიდასთან ქალებმა სიმღერა შემოსძახეს. ანასტასიას თვალებში ნაღველი, ტკივილი დარდი ერთმანეთში არეოდა, ხმის ამოუღებლად იჯდა, დას თუ გადახედავდა შემპარავი დაკვირვებულობით და სწრაფი მხერა სხვა საგანზე გადაჰქონდა.

ანნამ იგრძნო თუ არა შავი ღვინით გამოწვეული სიმხურვალე, თავზე მოხვეული მოსახვევი გადაიძრო. მეზობლებმა მის გადაპარსულ თავს თვალი აარიდეს, თუმცა გულდამძიმებულებმა სიმღერა შეწყვიტეს. ყველა მომენტალურად დადუმდა. თუმცა ღვინის ძალამ მალევე თავისი გაიტანა, ხელი დარია მათ მოკრძალებულ თავშეკავებულობას და თითქოს, გუდას სტვირი მოხსნესო, ისე ამოიფრქვა ცნობისმოყვარე კითხვათა კორიენტელი.

ანნამ ღვინის ძალით გათამამებულმა, ველარ შეიკავა თავი, ანასტასიას ფაქიზი მდგომარეობაც კი გადაავიწყდა, თავს გადახდენილი ამბების თხრობა იწყო, თუ როგორ აიძულებდნენ ძალის გამოყენებით დაედასტურებინა ქმრის დალატი სამშობლოსადმი, კომუნისტური საზოგადოებისადმი, რომ მას ტროცკისტული იდეოლოგია ჰქონდა თავს მოხვეული და ოჯახში ხშირად აგრესიით ამჟღავნებდა ამ იდეოლოგიის დამკვიდრებას, აიძულებდა ცოლს მის მხარდაჭერას. ცრუ აღიარების სანაცვლოდ კი ხელშეუხებლობას, პარტიულობას, კარგ სამსახურს-კარიერული წინსვლის პერსპექტივით პირდებოდნენ. დათას გამქრალი დღიური სწორედ იქ, დაკითხვის მაგიდაზე ედოთ და ოქმშიც სულ ის ფიგურირებდა. სცემდნენ და აიძულებდნენ დაედასტურებინა მისი პატრონის ვინაობა.

კაფანდარა აღნაგობის ანნა კლდესავით უტეხი აღმოჩნდა. ერთ ღამეს, მშიერ-მწყურვალი ბნელ სარდაფში ჩაიყვანეს. ტანთ მამაკაცის დახეული პიჯაკი შემოაცვეს რომელსაც ჯიბეები ავსილი ჰქონდა გამხმარი სუხარის ნატეხებით, ხელ-ფეხი გაუკოჭეს და ასე დატივეს ბნელ სარდაფში. ფილაქანზე წყალი გამუდმებით წვეთავდა და აუტანელ, გულისწამდებ სამარისებრ სიჩუმეს შემაწუხებლად აყრუებდა. ვიწროდ მოჰამული სარკმლიდან სავსე მთვარის შუქი ერთ ზოლად სუსტად გაწოლილი თუ ანათებდა, რომელიც ბნელეთს დიდად ვერ შველოდა. სარდაფში აუტანელი სუნი ტრიალებდა. ნესტისა და შმორის გარდა, სისხლის სუნი იგრძნობოდა, ეს სუნი კარგად ნაცნობი იყო ანნასთვის, რადგან მათი ბადის გამყოფ ბოლოზე იცოდა მეზობელმა მოშენებული ღორის დაკვლა ძველით ახალი წლისთვის. ღორს ჯერ აჭყივებდა გულისშემაწუხებლად, მერე დიდ, უხემ უროს გამიზნულად ხეთქავდა შუბლში. დარეტიანებისგან ძირსდავარდნილ ღორს ზევიდან დააჯდებოდა და კისერზე მთავარ არტერიას უჭრიდა ხანჯლით, ცხოველს ისტერიული ჭყვივლი ემართებოდა, რომელიც სისხლის დაცლასთან ერთად სუსტდებოდა, დაკლულს იქვე გაფატრავდა, მის გამოსაყენებლად შიგნეულობას ხორცთან ერთად სახლში ამაყად ეზიდებოდა, ხოლო გამოუდგეგარ ნაწილებს თავის სისხლიანად იქვე ტოვებდა. ყროლდებოდა იქაურობა სისხლის სუნად. ასე გამოზაფხულდებოდა, მერე დაზაფხულდებოდა, იყო და ყარდა არე-მარე, მანამ სანამ საიდანაც შიმშილისაგან ვარაუდით მავალი მაწანწალა ძაღლი არ გამოჩნდებოდა, სისხლის სუნით განებივრებულ სვავეებს არ მიაფრთხობდა, და იქაურობას არ მოასუფთავებდა ლოკვა-ლოკვით.

ეს სუნი აღძრავდა ბავშვობის დროინდელ უსიამოვნო მოგონებებს და ბნელ ტყვეობაში მყოფ ანნას შიშით ზაფრავდა. რომელიღაც ბნელი კუთხე-კუნჭულიდან ფხაკუნი მოესმა, მერე უფრო გაძლიერდა, დატყვევებულმა ანნამ სიბნელეს შეაჩვია თუ არა თვალი, კარგად გააჩნია ორი, პატარა მანათობელი თვალი, რომლებიც მომენტალურად გამრავლდა. აშკარად იყო, სარდაფში მომწყვდეული მშიერი, ველური ვირთხების ხროვა არსებობდა. ისინი ხმელი სუხარის სუნს გაეხელებინა, ახლოს მოიწევდნენ თავდაპირველად ფრთხილი მოძრაობით, მერე გათამამდნენ. თანაც იმდენად

რომ ჯერ ფეხზე შედგნენ, ფეხიდან კაბის ძირს ეკონწიალებოდნენ და პიჯაკზე ასვლას ლამობდნენ, ყოველი მხრიდან დაკიდებული ვირთხების სიმძიმით ანნა ძლივს აიძულებდა თავს ფეხზე დგომას, ის კიოდა, კიოდა ბოლო ხმით განწირული, შეშინებული, აუტანელი, მონადირე ვირთხებისგან ცდილობდა თავდაცვას, მაგრამ ხელ-ფეხ შებოჭვის გამო ვერაფერს აწყობდა. კივილი მათ არ აშინებდათ, შეტყუებული ფეხებით იწყო ხტუნაობა ანნამ, შედეგად კი გრძნობდა რამდენიმე ვირთხით ნაკლებ სიმსუბუქეს. პანიკას ტონუსში მოყვანა შეშინებული ქალის სუსტი სხეული, ხტუნაობდა რეფლექსური გამალებით, შეუსვენებლად, დიდხანს... მაგრამ დაღლა ციკვრო, მუხლებში სისუსტე, ერთ-ერთი დახტომისას მსუქანი ვირთხის ტანს დაეხიჯა უხერხულად. ამ უკანასკნელს ემწარა, უშნოდ, შემაწუხებლად იკივლა და ისე გაფრთხილდა რომ ქალმა თავის შეკავება ვეღარ შეძლო, ძირს მწარედ დაენარცხა, გვერდულად. ტკივილმა დაუშანთა სხეულის თითოეული ნაწილი. ვირთხებმა ისარგებლეს დავარდნილი, ხელ-ფეხგაკიჭილი მსხვერპლის უმწეობით და პიჯაკში იწყეს შეძრომა.

ზოგი პიჯაკის ქსოვილს ბასრი კბილებით ფხრეწდა, რათა ჩაედწია მის ღრმად ამოკეტილ ჯიბეებში, საიდანაც სუხარის სუნი მძაფრდებოდა, ზოგიერთნიც უკვე მისწვდომოდნენ კიდეც გემრიელ სასუნსავს, აკნატუნებდნენ და გაუმაძღარნი კვლავაც ახლიდან იწყებდნენ ბრძოლას მადის აღმძვრელი საკვებისათვის. პიჯაკის შიგნითა გულის ჯიბეზე ხოხავდნენ გროვებად დახვავებული ვირთხები, მათი აქოთებული სუნი პირდაპირ ცხვირში სცემდა წაქცეულს. კივილისგან ხმა წართმეოდა, შიშისგან ვირთხის ბუსუსიანი ტყვავის კანზე შეხებით, და გაფშეკილი კულის შეგრძნებით გამოწვეული ზიზღისგან გული შემადრწუნებლად ეკუმშებოდა. სიკვდილს ნატრობდა და გუნებაში მოუხმობდა. სიკვდილში ხედავდა მხოლოდ საშველს, მაგრამ ხმას ვერავის აწვდენდა, თითქოს, გული შიშისგან უფრო ჯიბრობდა, ასე იყო მთელი ღამე, ერთი ღამე საუკუნეზე მეტად გაწელილიყო, ის ღამე მთელი ცხოვრება დაამახსვრდებდა, როგორც ნამდვილი კოშმარი, რომლის გახსენება საზარელ დაღს ასვამდა მკერდში. წარსულის კადრებზე ფიქრი გონების იარებს თავიდან უსისხლიანებდა.

დილით, სამხედრო ჩექმის უხეში ლანჩის ბრაგა-ბრუგი შორიდან მოესმა, მისი ხმა თანდათანობით ძლიერდებოდა და ახლოვდებოდა. შენობის ექო იტაცებდა და ამძაფრებდა ნაბიჯების ხმაურს. მერე შეჩერდა, გასაღების აცმა ხმაურიან ექოდ აჩხაკუნდა რკინის კარს მიღმა. კარი გაიღო და ღია ჭრილიდან სინათლის კაშკაშმა თვალი მოსჭრა ცივ ფილაქანზე წაქცეულს. ვირთხები დღის შუქზე წრიპინით აორთქლდნენ, გაუჩინარებულები კი გაისუსნენ ჩექმის ბრაგა-ბრუგის ხმაზე, ალბათ მათ ასეთი ჩექმის თუ ეშინოდათ. ასე ყოფილა ბუნება მოწყობილი, ძლიერზე ძლიერი და მომრევის მომრევი არ ილევა. ხელ-ფეხგაბოჭილ მისუსტებულ ქალს ვირთხების ეშინოდა, ამ უკანასკნელთ კი შავად ალაპლაპებული, რძელყელიანი სამხედრო ჩექმის, ჩექმის მეპატრონეს თავისი უფროსის, უფროსს მასზე უფროსის და ასე საფეხურეობრივად გრძელდებოდა მისი აღმატებულება – შიშის ბატონობა.

ძირს დავარდნილ ქალს მკლავში მტკივნეულად ჩააფრინდა მამაკაცის უხეშად ძლიერი ხელი, მისი ძალის დემონსტრირება ძვლამდე დავიდა, ფეხზე დაყენებულს თოკით შეკრული ხელ-ფეხი გაუნთავისუფლა. მკლავში ხელჩაბლაუჭებულმა გაიყვანა დაპატიმრებული ანნა სარკოფაგისეული ჯოჯოხეთიდან.

სარდაფიდან დერეფანში გასულს დღის სინათლემ თვალი აუწვა, თვამოჭუტული შეიყვანა დაკითხის ოთახში ქალის ფსიქიკის მიერ სიკვდილის ჯალათად აღქმულმა მამაკაცმა, რომელის ხილვისას, თვალში გეცემოდით ეშმაკური, მოუსვანარი სახის გამომეტყველება, რაც უბრალო საბჭოთა მოქალაქეთა შფოთისგან განასხვავებდა. რამდენჯერმე წაუვიდა გული და რამდენჯერ მოასულიერა ამ ადამიანურობის არმქონე ადამიანმა, აღარ ახსოვს, თუმცა მაგიდაზე მდგარი, წყლით სამსე გრაფინი სულ გამოეცარიელებინა გულწასულისთვის სახეზე წყლის დასხმით. ტანზე უშნოდ შემოტმასნოდა დასველებული ტანსაცმელი. ელექტრონი გამოირთო დაკითხვის ოთახში, რომელიც მომცრო ზომის ოთახი გახლდათ. ღამის ფარდებით დააბნელა და მაგიდაზე მდგარი მრგვალთავიანი ნათურა პირდაპირ თვალებში აუკაშკაშა დაპატიმრებულ, მთელი ღამის განაწამებ ქალს. მისი ნათება საძულველად უღიზიანებდა გონებას, თვალის დახუჭვის დროსაც კი გრძნობდა შემაწუხებელი ნათებისგან გამოწვეულ ტკივილს.

კვლავაც დაზუთხული კითხვა გაუმეორა, აღიარებდა თუ არა ქმრის ღალატს საბჭოთა სამშობლოსადმი, საეჭვო პირებთან კავშირსა და ტროცკისადმი გაიდიანებულ აზროვნებას. მთელი ღამის ნაკივლ ქალს ხმა წართმეოდა, მხოლოდ ერთი სიტყვით ამოიხავლა უარი. მიუხედავად მუქარისა, სარდაფში გამომწვევდევის განმეორებითი წამების შესახებ, ნაწამები ქალი მაინც თავის სიტყვას არ გადავიდა. გაუგებარი ხავილით ცდილობდა მაინც ესაუბრა, შეშფოთებულ სახეზე სიკვდილის ფერი დასდებოდა, უთმო თავზე ხელს ნერვიულად ისვამდა სკამზე ჩამომჯდარი ადგილზე ბორგვით ვერ კმაყოფილდებოდა:

– აქამდე მიკვირს, ჭკუიდან რომ არ შევიშალე, ეტყობა ძლიერი ფსიქიკა მერგო მშობლებისგან გენეტიკურად – დაასრულა მოყოლა და ახლად გაახსენდა მუხლმჯდომი დის მგრძნობიარე სული. იგრძნო, თუ როგორ წვალობდა მისი ნაამბობის შემდეგ, როგორი მოუსვენრობა დასტყობოდა, თუმც თავს იმაგრებდა, არ ტიროდა, არც ვინმეს ლანძღავდა. მდუმარებით უფრო მეტს ამბობდა, მეტად თანაუგრძნობდა ანნას, ვიდრე იქ მყოფი სხვა მსმენელი.

ანნა ვერც კი აცნობიერებდა აკრძალული თემის საუბრის სამომავლო საშიშროებას. თუმცა გული მაინც ქმრისადმი ნოსტალგიით გაჯერებოდა. მისი ადგილსაყოფელის შესახებ ფიქრი სულს უფორიაქებდა.

სწორედ იმ ღამეს, რომლის დადგომის დროსაც დათა მაყაშვილზე ფიქრი სულს უღამებდა, გადაწყვიტა ქმრის ადგილსამყოფელის მოძიება. როგორც

არასდროს ახლა გრძნობდა შინაგან სიძლიერეს, შინაგანი ძალის ყვირილი აიძულებდა მისი ქმრის ადგილსამყოფელის მონახულებას.

რკინის ქალამანი, ეს ის სიძიმეა, რომლის ტარებასაც არ დაიზარებდა, ოღონდაც მშობლიურად ნაქცევი სიყვარულის პირველწყაროს მონახულება შესძლებოდა.

დილით ადრიანად ამდგარმა ჯერ შემოდგომის ხმელი ფოთლებით გაჯერებული ჰაერი ღრმად, ფილტვების ტკენამდე ჩაისუნთქა, მერე დადუმებულ, დანადგლიანებულ დაიკოსთან მიჭრილმა დალოცვა სთხოვა. შვილი საბავშვო ბაღის ჩვილ განყოფილებაში მიიყვანა პირველად, მომვლელ ძიძასთან დატოვა და თამამი ნაბიჯებით გაეშურა სწორედ იმ რაიონულ შინსახკომის შენობისაკენ, სადაც პირველად ის და მისი მეუღლე მიიყვანეს, იქიდან სხვადასხვა ადგილებში გამწესებამ საკუთარი ქმრის გზას გაპყარა. ახლა აღარ ეშინოდა ავად სახსენებელი შენობის, მისი გარეთა ნაცრისფერი კედლების, არც შიგ შესულს შეშინებია სიჩუმეჩამოწოლილი დერეფნების, რომლის ერთ მხარეს სიგრძეზე დაკითხვის ოთახები ჩამწკრივებულიყო, საიდანაც კაცის შემზარავი ღრიალი მოისოდა, მერომელიდაციდან სილის გაწვნის ხმა, კვნესის ხმის მქონე დაკითხვის ოთახებსაც გასცდა. დერეფნის ბოლოში არსებულმა ყრუ კიბეებმა მეორე სართულზე აიყვანა. მის წინ კარლია ოთახი შენიშნა, ხაკისფერფორმიანი, გალიფე შარვლიანი მამაკაცი სამხრეებს ეფერებოდა საჩვენებელი კოტიტა თითით. მიახლოებულ კარს მიღმა ანნამ თავზე ჩაისფერი თავშალი შეისწორა და თვითმტკობი მამაკაცის მისამართით ჩაახველა.

ქალმა არ იცოდა თუ სად მიდიოდა, არც აწუხებდა, მაგრამ ის ამ წუთებში არაფერზე ფიქრობდა, გარდა საკუთარი ქმრის ბედ-იღბლის არსებობის შესახებ, არც იმაზე ფიქრით დარიდებულა, როგორ მიიღებდა ეს უცხო მამაკაცი მას, რომლის გარეგნობითაც თუ ვიმსჯელებთ, არაფრით განსხვავებული არ უნდა ყოფილიყო იქ მოღვაწე სხვა თანამშრომლებისგან. ანნას ეჩვენებოდა, რომ ყველას შტამპიანი აზროვნება და იდენტური გარეგნობა ჰქონდა:

–შემოდი, რა გნებავს?!–მოკლედ მოუჭრა მამაკაცმა დაურიდებლად კარში მდგომს.

–მე, ჩემი ქმრის, დათა მაყაშვილის ამბის გასაგებად გაწუხებთ.

–მდაა!–ჩაილაპარაკა იქ გაერცვლებული მანერა-ჩვევასავით, ანნა კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ არაფრით განსხვავებული იყო სხვა თანამშრომლებისგან, თუმცა ეს მას ახლა არ ანადვლებდა, გამოიწვევდა თუ არა მამაკაცში მისადმი უნდობლობას, ეჭვნულ პირს დასჯიდა თუ არა. ანდაც მეტი რაღა უნდა დამსაჯონ, სიკვდილი ერთი პატარა დასაშვები გადაწვევტილებაა, რომელიც ზოგჯერ შვებისმომგვრელიაო, ფიქრობდა.

–კონკრეტულად რა გაინტერესებს?–ისეთი გამჭოლი მზერით გასჭოლა ქალი, რომ ანნას შინაგანად დაუარა მაგნიტური ტალღასავით მისი მზერის სიშმაგემ.

–ჩემი ქმრის ადგილსამყოფელი, მისამართი.

–უიუ, ადგილსამყოფელიო... ცხერის დუმის ხაშლამა არ გინდა?.. ქალო, შენი ქმრისნაირი მარტო მე ამ სეზონზე 3000 მყავდა, აბა, რა გავიგო მისი ზუსტი ადგილსამყოფელი?!

–არა, მე გთხოვთ, მომიძებნოთ, ჩანაწერები გექნებათ, აღრიცხული იქნება ზუსტად თუ არ შეგიძლიათ თქმა, მიახლოვებული მისამართი მაინც, ძალიან გთხოვთ...

მამაკაცმა გააკვირვებული მზერა გაუშტერა ქალს, რომელიც არ შეუერთა არც მის „დოლუნოსტს“, არც მის არაფრისმთქმელ, გაციებულ თვალთა მზერიდან წამოსულ ორ სხივს. მერე ორივე ხელს ჩამოაყრდნო ლოყებშეცვენილი, ზომით დიდი თავი და ახლა ასე უყურა გარკვეულ ხანს, იქამდე, სანამ ოთახში მუყაოსფერი საქაღალდეებით დახვავებული სამხედრო ფორმიანი ქალბატონი არ შემოვიდა:

–ლუიზა მიხაილოვნა, –ჩაიდუდუნა მამაკაცმა საქაღალდეებიანი ქალის მისამართით –წარმოგიდგენიათ, ეს ქალი აქ მოვიდა თავისი ქმრის, კომუნისტური ხელისუფლების მოღალატე, დათა მაყაშვილის ზუსტი ადგილსამყოფელის დადგენის მიზნით... წარმოგიდგენიათ, რამხელა თავგასულობაა?.. ნაცვლად იმისა, მადლიერებით იმსჯვალეობდეს ჩვენი საბჭოთა სისტემის ჰუმანური პრინციპების მიმართ, იქით აქვს პრეტენზია, სამარცხვინო ქმრის ადგილსამყოფელის განსაზღვრისა! –

დაასრულა დიდთავა მამაკაცმა და მაგიდას ზორბა მუშტი ისეთი სიძლიერით დაჰკრ, რომ ზედ დალაგებულმა საქაღალდეებმა ჰაერში შეინავარდეს რამდენიმე წამით.

შესული, ლუიზა მიხაილოვნად წოდებული ქალი გამოარკვია მუშტის მაგიდაზე დაკრულმა ხმამ. სკამზე ჩამომჯდარ, გამხდარ ქალს დაკვირვებულად შეავლო თვალი და ბრძანების ტონით უთხრა:

–დათა მაყაშვილის შესახებ გამოტანილი განაჩენი აღსრულებულია. ვერაფერს გააწყოთ და ვერც ვერაფერს დაადგენთ. გთხოვთ, შინ მიბრძანდეთ, ალბათ ოჯახის წევრები გყავთ და მოუთმენლად გელიან!

ოჯახის წევრების ხსენებამ ანნას გაქვავებული გული მოთბილა. სამხედრო ფორმიანი ქალი კაბინეტიდან გადავიდა, ზურგიდან მიმავალს წვივის დაბერილი კუნთები მკაფიოდ მოუჩანდა, რაც მის ძლიერ ფსიქოლოგიურ ხასიათს უვლებდა ხაზს. წელს ქვემოთ მუხლამდე კაბის უკანა მხარე დაჭმუჭნული ჰქონდა. კიბეზე ჩასვლისას სამხედრო ჩექმიანი ნაბიჯების ხმა ექოდ გაუდიოდა შენობაში გამეფებულ მტკნარ სიჩუმეს.

ანნა ფეხზე წამოდგა, მკაცრი სახით გადახედა ბრჭყვიალა ვარსკვლავებშიმაგრებულ სამხრეებიან მამაკაცს, დაუმშვიდობებლად გამოვიდა უსიმაპტიურო ჩინოვნიკის კუთვნილი სადგომიდან, ფეხაკრეფით ჩაუყვა პირველ სართულზე დადმავალ კიბეს. გარეთ გასულს ხმა მოესმა:

–მოქალაქევ, მოქალაქევ!

ანნას ზურგს უკან ლუიზა მიხაილოვნად წოდებული სამხედრო ფორმაში წელგაჯგომული ქალი იდგა, ოღონდაც არა სახის ისეთი პრინციპულად ოფიციალური გამომეტყველებით, როგორც დიდთავა კაცის კაბინეტში ჰქონდა, არამედ უფრო მომბალი, ჰუმანური ადამიანობის მქონე, თვალეში კეთილშობილი სინათლის სხივის ნათელი წერტილები გამოკრთოდა, მასთან ძალზედ ახლოს მისულმა, აქეთ-იქით შიშნარევად მიმოათვალიერა გარემო და ჩუმის ხმით დაუწყო ბაასი:

–შენ მჯდომარე ნასტასიას და ხარ?

–დიახ, მისი ღვიძლი და ვარ,–გაუხარდა ანნას, იმ იმედით, რომ ქმრის ადგილასმყოფელის დადგენას სთხოვდა ქალს.

–ძალიან უყვარს დედაჩემს, მის შესახებ ბევრს მიყვება, არ მესმის, როგორ ხდება ასეთი სასწაული, წლობით ზედ აწვიმს, ათოვს, მზის მცხუნვარება მის თავზე გადადის და კირკიტი კაკალივით არაფერი ემართება, ან ის ტყემლის ტოტი რაღამ გადმოსწია, ნუთუ ხემ იგრძნო მისი უმწეობა და ტოტქვეშ შეიფარა? გაოგნებული დავრჩი ხილვით, ახლაც სიამოვნებით მოვინახულებდი, მაგრამ სამსახურის გამო ვერ მოვალ... მეკრძალება, ხომ გესმით!.. რომ გამიგონ... ხომ წარმოგიდგენიათ...

–ჩემი დათას მოძებნაში ხომ ვერ დამეხმარებოდით?.. ძალიან გთხოვთ!–ყელზე კანი გამოუწია თხოვნის მიზნით, სახე მოწყალედ გულმისასვლელი ჰქონდა,–გთხოვთ, რასაც გნებავთ იმას შეგისრულებთ, ოღონდაც მისი ადგილსამყოფელი დამიდგინეთ, მისი მონახულება მინდა. ტაივის შუაგულშიც რომ იდგეს ბანაკი, მაინც მივალწევ.

–რა ბანაკი, შენი ქმარი დახვრეტილია, სავარაუდოდ ყარაიაზე მოიყვანეს განაჩენი სისრულეში. შენც გასაცემბირებლად იყავი განწირული, ქმარმა გიხსნა. ასე უთქვამს, დიდი ბელადის დედის, კეკე გელაძის ძმისწულის ცოლი მისი ალალი დეიდააო... იცრუა ხომ, თუ მართლა ასეა?! თქვენი დეიდა ბელადის ბიძაშვილის ცოლია?–გამოსაცნობად აღმოცენებული დაკვირვებული მზერა შეავლო ტუჩებაკანკალებულ, თვალეზე ბინდჩამოწოლილ, გაოგნებულ ქალს, რომელმაც ეს-ესაა შეიტყო ქმრის დახვრეტის შესახებ.

–დათა მაყაშვილის დაკითხვის ოქმში ასე ეწერა, შენ გადაგარჩინა, მაგრამ თვითონ... დახვრეტამდე ვიდაც ექიმი დოღგორუკოვი, ნაცნობი აღმოეჩინა. ყარაიას ველზე დახვრეტის წინ დიდი ხმით შავლეგოს მღერა დაუწვია, მისთვის ხმა იმ დოღგორუკოვს აუბამს, მერე მთელი დასახვრეტა ტალდა, ალბათ 100-120 კაცამდე იქნებოდა, ჰო ვერე გაჰყავთ

ხოლმე, 100 კაცს ერთად წამოუწყია შავლეგო, ამაზე უფროსობა ძალიანაა გაბრაზებული. შვილი გყავს, აქ ნულარ გამოჩნდები, უარესად ნუ გააბრაზებ ამათ, ეცადე, თვალში არ ჩაუვარდე.–თქვა ლუიზა მიხაილოვნამ და თვალთ უკანმოტოვილი შინსახკომისკენ მიუთითა.

ანნას ის იმედის წვრილი ძაფი გაუწყდა, რომელზედაც აშენებდა სამომავლოდ ცხოვრებისეულ სიამტკბილობის კოშკებს. ამ ქვეყნად დათა მაყაშვილის აღარ არსებობის გამო კივილი სურდა, ძირს დავარდნილიყო, მუცლით მიწაზე ეხოხიალა, ყველაზე უდაბური ადგილის სოროში შეეყო თავი და მომკვდარიყო.

დათას დანატოვარი მემკვიდრე გაიხსენა, მთელი გული ახლა მასზე დაეყარა, თავი შეიმაგრა ქუჩაში ისტერიისგან. სახლამდე როგორღაც მიადწია, ზედ ჭიშკართან ფეხი აერია, ყურებში წივილის ხმა ჩაესმოდა, თითქოს, მატარებელი მის თავზე გაჰკიოდა, თვალეში ნელა-ნელა ღამდებოდა.

გულწასული მეზობლებმა მოასულიერეს, ხელში აყვანილი შეიყვენს სახლში და ანასტასიას გვერდით მიუსვეს. ანა ხმამაღლა მოთქვამდა, ანასტასიას კალთაში ჩაედო თავი: –ქმარი აღარ მყავს, დაიკო, ძალიან მიჭირს, აი, აქ მტკივა.–თქვა და გულზე მიიბჯინა თხელი ხელის მტევანი–ტკივილზე მეტად მკივა, ვეღარ ვუძლებ... სიცოცხლე აღარ მინდა, მეც აქ, შენსავით ჩამოვჯდებოდი, შენსავით ცხოვრებას ავირჩევდი, მაგრამ ჩემს შვილს რა ვუყო? როგორ მივხედო?.. ან რა ვუთხრა? ცოტა რომ მოიზრდება და გააცნობიერებს უმამობას, ხომ მკითხავს, რა ვუპასუხო?.. მამაშენს ქვეყნის მოღალატეობა დასწამეს და ყარაიას ველზე დაგიხვრიტეს–თქო? ხომ იმასაც ეტკინება, იქნებ გამიბოროტდეს კიდევც... ანდაც, იქნებ, ისიც მამის გზას დაადგეს მისი მონატრების გამო?.. ვის რას უშავებდა, დაიკო?

ანასტასია თავზე ეფერებოდა მთელი ხმით მომტირალ დას:

–უნდა გაუმაგრდე, დაე ამის მეტი ნულარაფერი მოხდება სამგლოვიარო, გაუძელი, რამენაირად გადაიტანე ვარამი. ასეთი არ იყავი ბავშვობისას, უფრო მედგრად დაუხვდი დედ-მამის გარდაცვალებას.

–დათას მკვლევლებმა როგორ უნდა იარსებონ ამ ქვეყნად? ნუთუ მკვლელმაც და არამკვლელმაც ერთი ჰაერი უნდა ვისუნთქოთ? ერთნაირად უნდა ვამძიმოთ მიწა? ერთნაირად ვუყუროთ ღამით ვარსკვლავების ციალს, ცას, მიწას მთას... იმათაც ხომ ჰყავთ შვილები, სხვისას რომ აობლებენ, მერე სახლში მისულნი „გენაცვალოს მამა“, ეტყვიან და თბილად ჩაიხუტებენ, მკვლელიც და არამკვლელიც ერთნაირად ქმნიან ოჯახებს...

–ანნა, მაგაზე ნუ იფიქრებ, არასდროს თქვა მსგავსი რამ, შენ არ იცი მკვლელი ადამიანის ფიქრები, მისი სიზმრები და სულის ავადობა, მისი თვალთახედვა სილამაზეს ვეღარ აღიქვამს, ვეღარც სიმშვიდეს. მოჩვენებითაა კარგად, ისიც სხვისი თვალთახედვიდან. არადა მკვლელი უფრო შესაცოდია, ვიდრე მოკლული.

–როგორ, ჩემს დახვრეტილ ქმარზე უფრო შესაცოდნი არიან ჯალათნი?

–ჩემო დაიკო, იოანე ოქროპირი ამბობს: ცოდვაში მცხოვრები მკვდრისგან არაფრით განსხვავდებაო... ჯალათების სიცოცხლე –სიცოცხლე კი არაა, სულის ავადმყოფური ტანჯვაა, მათ სიმარტოვეში დარჩენის ეშინიათ, რათა სულის ტკივილი მათში ლეთარგიული ძილით მძინარე სინდისს აღვიძებს, გაცხოველებული, სამართლიანობას მოწყურებული და სიმშვიდეს დამშეული, პატრონის ლემს უწყებენ ჯიჯგნას, ამიტომ ასეთ ადამიანს გაცხოველებული სწრაფვა აქვს ხალხმრავლობის, ხმაურის, თვით ეშინია ღმერთის, ამიტომ მისი ვერბალური უარყოფით მოჩვენებითად კლავს ფსიქიკაში. ღვთის მგმობს სულის ტკივილი აქვს, რისიც ეშინია, სწორედ მას ებრძვის. ზოგი ადამიანი სიცოცხლეშივე იწყებს გახრწნას და არა გარდაცვალების შემდეგ, გარდაცვლილის გარდაცვალებას დიდი აზრი აღარ აქვს შემდგომი გარდაცვალებისთვის.

–ნასტინკა მე, ის მიყვარდა!–ტირილისგან ძლივს ამოიღულულა ანნამ, მასში ზღვასავით მომატებული წყალივით დაწეულიყო ტრაგიზმით გამოწვეული ისტერიული მდგომარეობა. ახლა ჩუმი, წყნარი მონატრება გაღვიძებოდა უკვე ქმრის ხსოვნისადმი.

–გიყვარდა? ახლა, განა ახლა აღარ გიყვარს?.. ასე მალე შექელი დავიწყება?

ანნა გატრუნულიყო მის ხელებში მოქცეული, ტირილისგან თვალები ამოწითლებოდა, თავიდან ჩაისფერი, ხელით ნაქსოვი თავშალი ჩამოსცურებოდა, გადახოტრილ თავზე ახლადწვერამოყოფილი თმის ღინღლები შეინიშნებოდა. თავზე მოაღერსე ანასტასია შუბლზე ეამბორა და დასძინა:

–ახლაც უნდა გიყვარდეს, სიყვარულის მარადიულობა ამაში მდგომარეობს. ის გამოულეველი საუნჯეა, ვინც ამ გამოულეველ მდგომარეობას ფლობს ძლიერია, ვინც არა და საჯოჯოხეთოდ შესაცოდი. ახლა ადექი, გაუმავრდი ცხოვრებას, შვილზე იფიქრე, ბაღიდან გყავს მოსაყვანი.

ანასტასია იქვე მდგომ, მეზობლის შეწუხებულსახიან ქალებს მიუბრუნდა:– მადლობელი ვართ ჩვენი მდგომარეობის გაზიარებისთვის, ყურადღებისთვის, ღმერთმა სიხარულით გადაგიხადოთ სამაგიერო, ერთს გთხოვთ ჩემო საიმედო ადამიანებო, იცხოვრეთ ისე, რომ საკუთარ თავს ნურასდროს აკადრებთ მდაბიოთა ყოფიერებას. მდაბიობა ინიღბება კარგი ჩაცმა-დახურვით, ძირგამოცლილი განათლებით, მაგრამ ცოდვის ქმნისკენა მიდრეკილი. საკუთარ თავს ნუ აკადრებთ სხვის მოტყუებას, რათა მოტყუებული თვითონ დარჩება. ნურც თვითმკვლელობას, რომელიც ფუჭი ფიქრით იწყება, ნუ აკადრებთ საკუთარ თავს, ნურც სხვის ქილიკს, სიბილწეს, ორპირობას, ნურც ღალატს გაივლებთ გულში, ნურც სხვის სიკვდილს ინატრებთ. გიყვარდეთ თქვენი თავი, რადგან ღვთის შვილნი

ხართ, ღვთისგან რჩეულნი, ქვეყნად სიყვარულის მისაღებ-გასაცემად მოვლენილნი.

XIV

ინათა თუ არა თავს დაადგა სიდონია მჯდომარე ანასტასიას. ჯერ მის ლოცვას უსმინა, მერე მახლობლად ჩამოუჯდა და საუბრით შეეცადა ანასტასიას ნაღვლიანი ხასიათის გამოკეთებას. სოფლიდან ჩამოყვანილ ქმრის ნათესავზე, ბურდაზე უამბობდა, მის ოინებისა და გრძნობების შესახებ:

–ამ ჩვენ ბურდასა ქალი ჰყვარებია, ისეთი ქალი ყოფილა, იმისთანა თვალ-წარბისა თუ ტან-ფეხის პატრონი, იმისთანა მაჯის სიმსხო ნაწნავები ეყარა ზურგზე, რომ იტყოდი თურმე, ნეტა კიდევ ორი თვალი მამცა და ამას მაყურებინაო. გულში ჩავარდნია ბურდას ევა, რომელიც გვერდითა სოფლის მკვიდრი მაცხოვრებელი ყოფილა. თურმე ეს აბდალა კაცი დადის თავის სოფელში მეზობლიდან-მეზობელში გადადის, ოჯახიდან-ოჯახში, ბიჭებიდან-ბიჭებში და ტირილით მოთქვამს, ევა მიყვარს და მიშველეთ რამე, ან მომკალით და ან მომიტაცეთო. რაღას იზამდნენ ბიჭ-ბუჭობა, შეკრებილან ერთ სისხამ დილას და წყაროზე მიმავალ ევას დადარაჯებიან. დაუციათ ხელი, ცხენზე შეუგდიათ და მოუტაციათ. ცხრა დღე და ცხრა დამე ჰყოლით საბძელში გამოკეტილი ის საცოდავ ბედზე გაჩენილი ქალი. ახლოს არ იკარებდა ბურდას, პირს არ აკარებდა არც წყალს და არც საჭმელს. განუწყვეტლივ ტიროდა და მოსთქვამდა, იმის ცრემლით მგონი არაგვი დიდდებოდა. მერე შესცოდებიათ ისევ იმავე ბიჭ-ბუჭობასა ის ქალი და დღის სინათლეზე გამოუშვიათ. იმასაც დაუკრავს ფეხი და გაქცეულა თავისიანებთანა. აბა, ამ ბეჩავს როგორ გაუჩერდებოდა?.. ახლაც დავდგომია და გინდათ თუ არა ევა მომიყვანეთო. ჩემი ქმარი-კოლა სულ ყარაულობაშია, ერთხელაც არ მოუაროს თავში და ქალაქიდან გამეპაროსო...

ანასტასია ხმას არ იღებდა, მდუმარედ შეჰყურებდა მეზობლის ქალს, რომლის შინაგანი სამყაროს სისუფთავე იზიდავდა და აახლოვებდა. მახლობელ ხეს ზურგით მიყრდნობოდა ანნა, მის გულამდე არ დადიოდა სიდონიას ნაამბობი, თავის სევდიან ფიქრებში ლივლივებდა ძირგახვრეტილი, ფსკერზე ჩასაძირად განწირული ნავივით. დათასთან დაკავშირებული წარსულის გახსენებას სულ თავიდან იწყებდა, თუ როგორ დაიხსნა გარგაროვიჩის ძაღლის დაგლეჯვისგან დათამ, მაშინ ნახა სულ პირველად, თავდაპირველმა შთაბეჭდილებამ მოხიბლა ქალიშვილი, დიდი ბოხორა ძაღლი დამშეული ადამიანის ხორცსა და სისხლს, პირდაპირ მისკენ გამოექნა. ქოფაკის გაჩერებას ვერავინ იფიქრებდა, პირიქით, თავის საშველად გარბოდა. ვინ ხეზე შემხტარიყო, ვინ ჰამქრის ეზოში შევარდნილი უსაფრთხოებისთვის ალაყაფის კარს იკეტავდა, მაშინ მხსნელად დათა გამოუჩინდა, ძაღლი დაიმორჩილა, საყელოში წაავლო ხელი და მანმადე არ გაუშვა, სანამ შეშინებული ქალიშვილი სირბილით

თვალს არ მიეფარა. მადლობის თქმაც კი ვერ მოასწრო, ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, დაბნეული მდგომარეობიდან გამოსულს მაშინდა გაახსენდა მადლობის უთქმელობა.

მსსნელად მოვლენილმა დათამ ახლაც იხსნა საკუთარი მოხერხებულებით პატიმრობისგან. წარმოდგენაც კი უჭირს, როგორ იქნებოდა ქმარდახვერტილი ქალი, რომელსაც შორ გადასახლებაში უკრავდნენ თავს, თანაც საკმაოდ დიდი ხნით, ან როგორი იქნებოდა რეპრესირებულთა ოჯახის შვილი, რომელსაც არც ბაღში ღებულობდნენ იმხანად და არც სკოლაში, ყველა თანატოლ-მეგობრიანად, დიდიან-პატარიანად აბუჩად იგდებდნენ საბჭოთა სამშობლოს მოღალატის შვილებს. ალბათ, ეს თუ გაითვალისწინა დათამ, როდესაც სახლში შეჭრილ „სტუმრებს“ ჩეკადან უპასუხა, რომ ბავშვი ვერასი იყო და თანაც აქაურები არ არიანო. დათას მოხერხებულობაზე სევდიანად ჩაეღიმა ანნას, ჩვენთვის იყო მოხერხებული, თორემ სათავისოდ პრინციპულად მოუხერხებელი, იქნებ საკუთარი თავის დაძვრენაც შეეძლო იმ ავადსახსენებელი დაკითხის შემდეგ? გაიფიქრა და გონებამ ისევ ის ძაღლი გაახსენა, ვაჰარ გარგაროვიჩის სისხლისმსმელი ბასარა.

დათას მოლოდინით აღსავსე ანნა, რომელიც თავის ბაღში ელოდა მის გამოჩენას, დაპირებული გასეირნების შესასრულებლად, ძაღლიანი კავალერი ეახლა. ძაღლი მიუტოვებია პატრონს, ალბათ გზაში თუ გადმოაგდო ორმოდანო. ამასაც მე გავახსენდი და დამეძებდაო... ისეთი დარწმუნებული საუბრობდა ძაღლის ფიქრებზე, თითქოს, ოთხფეხა მეგობარს ეამბნოს დაწვრილებით გახსენებული აზრებისა და ჩანაფიქრების შესახებ. ძაღლი დიდხანს ჰყავდა გვერდით, ისიც კუდის ქიციინთა და თანაგრძნობის თვალებით შესცქეროდა სანუკვარ მეპატრონეს.

ასე იყო თუ ისე, ძაღლი ავად გაუხდა, რა წამალი არ სცადა ბალახებისგან რა ნაყენი არ უმზადა, მაგრამ ძაღლი ვერ გამოაჯანმრთელა. ძირსდაცემული კრუსუნებდა და აკანკალებდა. ერთ დილას ახალგაღვიძებულმა დათამ აღმოაჩინა რომ ძაღლი გაუჩინარებულიყო, მაშინ პირველად ნახა ანნამ ის მტირალი.

ნათქვამია, კარგი ძაღლი შინ არ კვდებაო, სადღაც გაიპარა სიკვდილის მოახლოვება რომ იგრძნო. მერე ტყე-ტყე დადიოდა და მკვდარ ძაღლს დაეძებდა, მიწას ღირსეულად უნდა მივაბარო, აბა, ყვავებისა და სვავების საკორტნელად ხომ ვერ დავაგდებო... ანნას გულს უსერავდა დათას გახსენება. წინკარში პატარა ტაბურეტზე ჩამოცუცქეული ფიქრებიდან მეზობლის ქალების სტუმრობამ გამოარკვია.

ანასტასიასკენ გაიხედა, მის წინ სიდონია ჩამომჯდარიყო და ხმადაბალი ბაასით იჯერებდნენ გულს. სიტყვებს გარკვევით ვერც კი არჩევდა მათი ნაუბარიდან. ნეტა ასე ჩუმად რაზე საუბრობენო, გაიკვირვა და სამი მეზობლის ქალის შესაგებებლად გაეშურა. ეზო ღიმილიანი ხუმრობით გადაიარეს სტუმრებმა, ერთ-ერთ მათგანს ქილით ღვინო მოეტანა, მეორეს

ღამბაქით ღომი შიგ მოტივტივე ყველის ბლომი ნაჭრებითურთ, მესამეს ლობიანები დაეიღლიავებინა. წინკარში მდგარ მომცრო ზომის ტაბლას ხელი წამოავლო ღვინის პატრონმა და ანასტასიას წინ ჩამოდგა, ზედ გაშალეს მოტანილი სანოვავე, ანნამ დათას ნახელავი პატარა სკამებიც ფაქიზად შემოულაგა გარშემო მაგიდას.

ღვინის ჩასუქნულმა პატრონმა თამაღობა ითავა. ანასტასიას არ სიამოვნებდა ქალების ხმაურიანი გარემო, თუმცა უხეშობის გამოსამჟღავნებელი თვისება მის ხასიათში არ მოიძებნებოდა, ამიტომ თავშეკავებული მოთმენა ამჯობინა. არასდროს ჰყვარებია ღვინით გართობა, სიმთვრალისადმი უარყოფითი შეხედულების გამო.

სადღეგრძელოს სადღეგრძელო მოსდევდა: სიყვარულის, მეგობრობის, მეზობლობის, კეთილი გულის და სხვა. ანნას თრობა დაეცყო, განერვიულებულ გულს, რომელშიაც მგლოვიარე სიყვარულის მწველი ნაკვერჩხლები აგიზგიზებუდიყვნენ, ღვინით ცდილობდა განეიტრალებას, მაგრამ, როდის იყო გულში აბურბურებულ ხანძარს ღვინო ანელებდა და აქრობდა. ანნას ტირილი მოეძალა, თავჩაღუნულმა ცრემლები გადმოშალა, თავზე თბილი ხელი იგრძნო, ანასტასია თბილი ხელის გულებით ეაღერებდა თავშლიან თავზე. თვალდახუჭულმა ანნამ ანასტასიას ხელი დედის თბილ ხელთან გააიგივევა, ასე ეფერებოდა დედაც თმის დავარცხნის შემდეგ, პატარა ანნა, გაბაბთულ თავს კალთაში უდებდა და სიამოვნებისგან გატრუნული პირში თითს იდებდა. დედის მონაყოლი ზღაპრებიც კარგად დამახსოვრებოდა, თავისი ფრაზებითურთ: ნამდვილ სიყვარულს ბევრი მაშურნებელი ჰყავსო, მაგრამ რჩეული ის რჩეულია, რომ სიყვარულისთვის თავის გაწირვა უნდა შეეძლოსო. რჩეულ რაინდსა და გოგონას, თუ სწორი გზით მიდიან, მახეს უამრავჯერ დაუგებს საწუთრო, მაგრამ ისინი არამც თუ ცდუნდებიან, არამედ ერთურთს უფრო მეტად იყვარებენ.

—თქვი რამე, თუ გეტირება იტირე, თუ სათქმელი გაქვს, თქვი და გული მოიოხე— უთანაგრძნო მეზობლის ქაღმა ერთ წერტილში მზერაგაშტერებულ, მდუმარედ მგლოვიარე ანნას, რომელსაც მსხვილ-მსხვილი ცრემლები ღაწვებზე წყაროს წყალივით დაუდიოდა.

—დაჭერის დროინდელი გვიამბნე რამე, შენც გულიდან ამოიგდებ და ჩვენც უფრო მეტად გავიგებთ მომხდარს.—ითხოვა მაგიდიდან რომელიღაცამ.

—არამც და არამც!—წამოხტა ფეხზე გაწიწმატებული სიდონია.—ამათ არა იციან, ქართული წერისა არ ეყურებათ, გახეთები რომ იკითხონ, ნუ ისარგებლებთ ამათი უმწეობით!

—რას ამბობთ, სიდონია დეიდა, ვერ მიგიხვდით!—ანნას ნაცრემლარი თვალები გაფართოვებოდა მეზობლის ნათქვამზე.

—იმას ვამბობ, ჩემო ანნა, რომ აკრძალულ თემებზე საუბარი არ შეიძლება, იქ, იმ შენობაში შესული ბევრი გაგვიგია, მაგრამ იქიდან თავისუფლად გამოშვებული მარტო შენ ხარ. ვისაც სახელში დასაკითხად

მიაკითხეს, არავინ დატოვეს რეპრესირებული, იკმარე შენი ქმრის დაღვრილი სისხლი, იკმარე დარდი, ამასაც აკმარე თავისიც და შენიც! –სიდონიამ ხელი ანასტასიასკენ მიიღო, რომელის თვალებში მუდარა ჩამდგარიყო, თხელი მხრები ფოთლებივით მთრთოვლარე გახდომოდა, ხან ერთს შეჰყურებდა თვალებში უმწეო ვედრების იერ-სახით, და ხანაც მეორეს.

–პირზედა მკაცრად ჩარაზული ბოქლომი დაიდგა და გაუფრთხილდი ცოცხლად დარჩენილ ოჯახის წევრებს.–არ ცხრებოდა გააფთრებული სიდონია.

–რას ვაშავებ სიდონია დეიდა, მხოლოდ ვლაპარაკობ.

–ლაპარაკით შავდება თავიდან ყველაფერი, ანასტასიაც ცოდვას, ვერა ხედავ?! ლაპარაკი არ შეიძლება სწორედ, თქვენ არ გაგივიათ დასმენის მანქანა ტრიალებს არემარეზეო, ყველგან ყურებს უშვებს, თითოეულ ჩვენ ნათქვამ სიტყვას იჭერს და ჩვენს სუნთქვას აკონტროლებს.

სიდონიას საუბარზე ხარხარი ატეხეს მაგიდასთან მყოფმა სტუმრებმა. გაგულისებულმა სიდონიამ კი ზურგი მიუბრუნა და ნიკიშეგების სახლი განაწყენებულმა დატოვა.

ტაბლას შემომსხდარმა სამმა სტუმარმა ხითხითი დაადევნეს ზურგს უკნიდან:

– იქნებ მართალსაც გეუბნევა ანნა, უფროსია, უნდა დაუჯერო, მის გამოცდილებას უნდა ენდო და სცე პატივი. –მუდარის კილოთი სთხოვა მუხლჩახსრილმა ანასტასიამ ალკოჰოლით აჟუჟუნებულთვალება დას.

სტუმრები ჩაჩუმდნენ, ერთმა მათგანმა ტაბლას ხელი დაავლო და ჭიშკრისკენ გასწია, ჭიშკარსა და სახლს შორის არსებულ პატარა ადგილას, რომლის უკან ხის საპირფარეშო იყო, ჩამოდგა. დანარჩენებიც მიიწვიან: –იქნებ მართალიცაა ის მოხუცი, ვინ რა იცის, ანასტასიას როგორ ვაწუხებთ, ჩვენ ლაპარაკი გვიყვარს, ლაპარაკით ვიოხებთ გულს, ის კი გამუდმებულად ლოცულობს, ხელსაც კი ვუშლით.

ანნამ, სანამ სუფრას შემოუსხდებოდნენ, ჯერ სახლში შეიხედა, ფანჯარას ხელით მოუჩრდილა და საწოლზე ჩამომჯდარ, თამაშით გართულ ვერასა და თავის გიორგის სიყვარულის თვალებით დააშტერდა. მერე ისიც შეუერთდა მარტოდ დატოვებულ სტუმრებს, უხერხულობის გამო, უჭმელ, ნანერვიულებელ ქალს ღვინო ადვილად მოეკიდა. სწორედ იმ ამბებზე დაიწყო დაურიდებლად საუბარი, რომლის გამოც გაგულისდა სიდონია, აკრძალულ თემებზე. ისხენებდა ანნა თავის პატიმრობის დროინდელ სიტუაციებს, დათას ამბებს, მის გამოხედვას ძალისმიერი დაშორების წინ, მის თვალებში მოსიყვარულე ადამიანისადმი ცქერის სიშმაგე გამოსჭვიოდა, მან იცოდა ალბათ, რომ უკანასკნელად ხედავდა ცოლს. ეს მზერა არასდროს დაავიწყდება ანნას, სწორედ ეს მოსიყვარულე სიშმაგის მზერა დგებოდა მასა და სამყაროს შორის, ასეთი თვალით ყურება მხოლოდ მის ქმარს, დათა მაყაშვილს შეეძლო. ტირილის ხასიათზე

მოსულმა ანნამ შინსახკომის თანამშრომელი ქალის ნათქვამი გაიხსენა, თუ როგორ მოიგონა დაპატიმრებულმა დათამ ცოლის გადარჩენის შესახებ ტყუილი, რომ ის ვითომდაც ბელადის დედის ძმისწულს ენათესავებოდა. ყელში ბურთისმაგვარი ნაღველი მწარედ ჩაეჩხირა:

–მეტი აღარ შემიძლია, მეტს ვეღარ მოვყვები! –თქვა და მწარე ცრემლი მაჯის სახელოთი მოიწმინდა, პირთამდე სამსე ღვინის ჭიქა ერთი მოყუდებით დაცალა.

–ასე იცრუა?–თავი დანანებით გაიქნია ღვინის პატრონმა,–ალბათ ფიქრობდა მაინც განწირულია და მაინცო, ვიცრუებ, იქნებ ჩემმა ცრუ ჩვენებამ გადაარჩინოსო, ანკესი გადაუგდია სასხვათაშორისოდ.

–ეგრეა, მისი სული გაანათლოს ღმერთმა!–დასძინა გვერდით მჯდომმა ქალმა.

–იქნებ კიდევ გვიამბო, ანნა, რამე მოგვიყევი პატიმრობის დროინდელი.

–არა, აღარ შემიძლია, გული ცუდად მიხდება მისი გახსენებაც კი მძაფრავს, სიმწრის სისხლი მიდუღს ახლაც კი.

–გეხვეწებით რა, ანნა, გთხოვთ, რამე თქვი, შენი დაპატიმრების შესახებ... და საერთოდ, საიდან გაიგე, ვინ გვიამბო, რომ დათას შენს შესახებ ცილი დაუწამია ბელადის დედის ძმისწულის ნათესაობაზედა? იქნებ ასეც არ იყო, შენ საიდან იცი?–ჩაეძვინა ერთ-ერთი მეზობელთაგანი.

–მითხრეს, არაფერია დამალული, ხომ იცით, ჰოდა გაცხადდა,–ნაღველიანად დაიწყო თხრობა ანნამ, თუმცა მისი საუბარი ნაძალადევი იყო, ლაპარაკი უჭირდა, გულზე ხელს მაღიმაღ იდებდა უსიამოვნო შეგრძნების გამო.

–მერე... მერე, თქვი მისი სახელი და გვარი, ვინც გვიამბო შენი ქმრის დაკითხვის ოქმის შესახებ! –არ ცხრებოდა სტუმრადმოსული ქალი.

–იმან... შინსახკომიდან გამოვედი თუ არა, ზურს უკნიდან ხმა მომესმა, მივტრიალდი და ჩემ უკან იდგა, მაღალია, მკაცრი შესახედაობის, მაგრამ რაც მთავარია, შინაგანად კარგი გულისაა. – თქვა ანნამ და ფეხზე წამოიმართა, მცირედხანს შეეყოვნა, თითქოს დაბარბაცდა კიდევ. მეზობლის ქალიც უმაღლე აჰყვა ფეხზე, მკლავში ჩაფრენილმა ერთი შეაბანჯღარა ანნა და კიდევ გაუმეორა თხოვნა: –მალე თქვი, იქნებ გაიხსენო მისი სახელი? გვარს თუ ვერ იხსენებ არა უჭირს, სახელი... მარტო სახელი...

მეზობლის ქალი ცალი ხელით მკლავში ჩაფრენოდა სიფრიფანა ქალს, რომელსაც აქეთ-იქით მოქანავეს, ზედვე ეტობოდა დგომისას ინერციას ვეღარ იკავებდა. შეწუხებულად არაბუნებრივი სახის გამომეტყველება მიიღო, რეფლექსურად ხელები პირზე მიიებჯინა.

სტუმარი ქალი მაინც თავისას არ იშლიდა: –აბა, გისმენ, თქვი რა...
თქვი!

მაგრამ ანნას აღარ ეყურებოდა სხვისი, წამიერად გადაუფითრდა სახე, ქალაღლისფერი დაედო, ინერციას ვეღარ იკავებდა, ბარგანაობდა. სახლის კედელი ხელის ცეცებით ძლივს მოძებნა და ცალი მხრით მიეყუდა:

–დათვრა ეტყობა, საწყალი, ნანერვიულეებუღია, უჭმელი, ქვრივი.
–დანანებით ჩაილაპარაკა ღვინის პატრონმა და ალკოჰოლმოკიდებული ადამიანისთვის შესაბრაღისი თვალებით შეხედა.

ანნას კანკალი დაეწყო, პირიდან ღვინო ამოსდიოდა, მუცელზე ხელმიღებული წელში ძლივს იხრებოდა, ერთიანად თრთოდა, ცალი ხელით საშველად მოუხმო მაგიდასთან მჯდომებს, თუმცა მათ შეზარებოდათ ქალის ნარწყევი, დასვრილი სამოსი, მობარგანავე და მოკანკაღე სხეული. ანნას თვალები არაბუნებრივად გაფართოვებოდა, თითოეული სახის მიმიკა საშველად მოხმობისკენ ჰქონდა მომართული, ორივე ხელი ყელზე მიიღო და რიყის ქვებით მოფენილ მიწაზე მოცელილი დავარდა. ინსტინქტური ყვირილით წამოიჭრა სტუმართაგან ერთ-ერთი მათგანი, ანნას სახეში სიღას ურტყავდა და გულწასული ქალის გონზე მოყვანას ცდილობდა. სწორედ ეს მეზობლის ქალი საოცრად განცვიფრდა, მაგიდიდან გაუჩინარებული ორი წევრის გამო. ისინი ისე ჩუმად, ფეხაკრეფით გაძურწულიყვნენ, რომ ქუჩაშიც კი არ დაიღანდებოდნენ.

ანასტასიამ ყვირილით მოუხმო ვერას ანნას მოშველებოდა, დაბმული ჩიტივით აწყდებოდა მის წინ უხიღავად გაბმულ გაღიის კედლებს. თხელ, გრძელ მკლავებს აქეთ-იქით მექანიკურად იქნევედა ხან სახლისკენ, და ხან ჭიშკრისა და სახლის კედელს შორის მდებარე ადგილისკენ, სადაც ძირსდაგდებული ანნა ეგულებოდა. პატარა დიშვილთან მოთამაშე ვერამ, გაიგო თუ არა უფროსი დის შეძახილი ანნას ცუდად ყოფნის თაობაზე, ელდანაკრავი გამოენთო გარეთ. ძირს დაიხარა და უგონოდ მყოფ დას ღუპით მოსვრილი სახე ბოლოკაბის კალთით მოწმინდა. ერთად ასწიეს მეზობლების ქალმა და ვერამ გულწასული, სახლში შეიყვანეს და საწოლზე დააწვინეს. მომხდართი შეძრწუნებული ვერა წყალს ასხამდა, მის გონზე მოყვანას უშედეგოდ ცდილობდა, გაღურჯებულ ტუჩებსა და ნიკაპის ადგილებს ხელის გულით უხეღდა. ექიმი გვჭირდებაო, ხვეწნით მოთქვამდა ვერა მეზობლის გასაგონად, ეს უკანაკნელიც გულისხმიერი აღმოჩნდა, უბანში მცხოვრები ნაცნობი ექიმის მოსაყვანად უმაღვე გაეშურა.

ანასტასია ისტერიულ მდგომარეობაში ჩავარდნილიყო. ის პირველად ცდილობდა 30წლის განმავლობაში უარყოფილ მოძრაობას, სურდა ფეხზე წამომდარიყო, სახლში შეერბინა და ანნასთვის დაეხედა, მზად იყო თავისი დადებული პირობის, გაუმოდრავებლად დაყუდების თაობაზე, დროებით დაერღვია, ოღონდაც საკუთარი დის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე ეზრუნა. საკუთარი თავიც კი გაწირა, როდესაც ახლად დაყუდებულისას მეზობლის სახლში თავშეფარებულს ხანძარი გაუჩნდა, მაშინ სწორედ ანნას

და ვერას ხელმარჯვეობით გადაურჩა შიგ ჩაბუგვას. დებმა იხსნეს მისი სიცოცხლე და ახლაც სწორედ რომ დების დახმარებით სულდგმულობდა,

ფეხზე წამოსადგომად მოემზადა, აქამდე უძრავად მქონე ტანი დაიმორჩილა, როგორც იქნა წამოიწია, მაგრამ მუხლი ვეღარ გაშალა, ძალაგამოლეოდა, მთლად მოსუსტებოდა, ვეღარ შლიდა, ვერც ტერფს ამოძრავებდა, ტერფს, რომელიც 30 წლის განმავლობაში მიწას ეხებოდა, ქუსლი კი მადლითა მხარეს ჰქონდა მოქცეული, დღე-ღამის განმავლობაში ზედ იჯდა, მთელი ტანით აწვებოდა, ხანდახან მეტი უძილობა თუ წაართმევდა თავს და მუცელში მოკუნტული შუბლს მიწაზე დებდა. მუხლიც და მის ქვეით ტერფი მიწას შეჩვეულივით, თითქოს მის გარეშე არსებობა აღარ გამოსდიოდა, ისევე, როგორც თევზს წყლის გარეშე, ვეღარ სცილდებოდა დედამიწას. ანასტასია მთელი ტანით უღონოდ დაეშვა. დაუმორჩილებელ მუხლებს, რომლის თავებსაც ხელის გულებით იხელდა, თითქოს გაქცევისთვის ამზადებდა, სურდა მათი დაყოლიება, მთელი ტანით ირწეოდა, ბორგავდა აქეთ-იქით, უშედეგოდ ტრიალებდა, მხოლოდ ერთხელ გავლას ნატრობდა, მხოლოდ დახედავდა თავის ღვიძლ დას, ანნას და ისევე სიყვარულის ხსნისთვის დადებული პირობის შესრულებას შეუდგებოდა.

უმწეო, მხოლოდდა მოსთქვამდა, სახეს იხოკავდა, იკაწრავდა, ნაკაწრი კანი წითლად აჩნდებოდა ბამბის ქულასავით თეთრ პირისახეს. გრძელ თმას იწვავლებდა, ტიროდა. უფრო ჩიტს ჰგავდა, უშედეგო აფრენის გამო არემარეს რომ იკლებდა საშველად, უკვე გადამფრენ თავისიანებს რომ დაშორებოდა და გულსკლავად ცდილობდა საკუთარი ყოფიერების გააზრებასა და მის მწარე შეგუებულობას.

ეზოს ჭიშკარი მეზობლის ქალმა ხმაურით შემადლო, შეჭადარავებულ ექიმ მამაკაცს სუნთქვააჩქარებული მოუძლოდა წინ, ეტყობოდათ რომ ერბინათ:

–გთხოვთ, უშველეთ, გთხოვთ... –თხოვნა დაადევნა ატირებულმა ანასტასიამ და ხელები სახეზე აიფარა. ახლა ჩუმადლა მოსთქვამდა.

პაციენტთან მიახლოვებულ ექიმს ლოგინზე გაწოლილი დაუხვდა ავადმყოფი, ზემოდან მისი უმცროსი და გადაფარებოდა და ჩუმად ქვითინებდა. ანნას გახელილი თვალები უსიცოცხლოდ მიშტერებოდა გამჭვარტულულ ჭერს, სიცოცხლის ნიშან-წყალი აღარ ეტყობოდა, იატაკზე ჩამომჯდარი პატარა ბავშვი ისტერიულად ტიროდა, ცრემლი და წყვინტლი ერთმანეთში არეოდა, ხელით ასაყვანად უხმობდა ხან დედას, და ხანაც დეიდას. ექიმმა ლოგინზე უსიცოცხლოდ მიგდებულ ანნას ყელზე თითით მოუსინჯა პულსაცია, მერე ტუჩები უკმაყოფილოდ მოკუმა, მარჯვენა ხელი სახეზე მიუტანა და ხელის ერთი მოძრაობით დაუხუჭა ორივე თვალი ერთდროულად. ზედ ეტყობოდა ხელი გასწაფვოდა გარდაცვლილ პაციენტთა თვალების დახუჭვით.

გარდაცვლილი დის მკერდზე დამხობილ, აქვითინებულ ვერას მხარზე ფაქიზად შეახო ხელი: –გისამძიმრებთ ქალბატონო, გისამძიმრებთ, მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის დედამიწის ყოველი შემობრუნება.

მეზობლის ქალმა პატარა გიორგი, რომელიც ტირილისგან სუნთქვას ძლივს იქცევდა, ხელში აყვანილი ეზოში გამოარიდა. მოქვითინე ანასტასიას მოხუცი სიდონია იხუტებდა მკერდში:

–რადას გააწყობთ ქალბატონო, დაკრძალვაზე იფიქრეთ –უთხრა ვერას და თანაგრძნობით სამსე სახეზე ნაღვლიანი ღიმილი დააჩნდა, ეს უფრო დამწუხრებული ადამიანისთვის მოკრძალებული მდგომარეობის გამომხატველი იყო. ღიმილი ყოველთვის არ ნიშნავს ბედნიერებას. ღიმილით შესაძლოა ინიღბებოდეს ადამიანი, მაგრამ გულის თითოეული კუნჭული სიმწრის ნამსხვრევების ბასრი წვერებით სისხლიანდებოდეს.

ექიმი დარიდებული ნაბიჯებით გადავიდა გაუცილებლად ეზოდან. მეზობლის ქალს ჩასველებული ბავშვის თავისთან წაყვანა სურდა. მოვუვლი, ვაჭმევ და დავაძინებო, მაგრამ ვერამ იუარა, თვალთახედვის არედან ვერ მოვიშორებ, ნეტა ანნასაც გამოვყოლოდიო. იმავე დღეს გაიქცა ბავშვით ატატებული კუკიის სასაფლაოზე და მესაფლავეებს მოურიგდა დაკრძალვის თაობაზე. ვერას სურდა, დედინაცვლის საფლავიდან მოშორებით გაეთხრევილებინა საფლავი, აქ მაინც მყავდეს მისგან დასვენებულიო.

მაშინ საპატივსაპემოდ ითვლებოდა და ერთგვარად მოღად დამკვიდრდა კიდევ სამგლოვიარო პროცესიაზე მიხაკების მირთმევა, სამკვდრო ყვავილს უძახდნენ ყვავილზე მოვაჭრენი. სამძიმარზე მისულ ნაცნობ-მეზობლებს სისხლივით მოღაუღაუე აღისფერი მიხაკები მიჰქონდათ.

ვერა გაუმაგრდა გლოვის სიმძიმეს, მთელი მისი ყურადღება ანნას შვილზე გადააქონდა, რომელიც თავისი საცოდავი დის ნაადრევად დაკარგული სიცოცხლის გამგრძელებელი უნდა ყოფილიყო.

დაკრძალვის ცერემონიამ ძალზედ ვიწრო წრეში ჩაიარა. რამდენიმე მეზობლის ოჯახი სრული შემადგენლობით და ანასტასიას ნაცნობები იყვნენ, დაახლოებით ათიოდე კაცამდე, ეს ათიოდე კაცი სწორედ ისინი გახლდნენ, ვისაც ქარიშხლის უმიზეზო აბობოქრების არ ეშინოდათ, ვისაც მთის წვერზე ასვლისას ელვის და მეხის გრუხუნის გამო დაბრკოლებას არ შეიქმნიდნენ, შიშს არ დაემონებოდნენ.

შემოდგომის სუსხი მიაცილებდათ სასაფლაოსკენ გეზაღებულ პროცესიას. სასახლეს უკან ბავშვით ხელში ატატებული ვერა მიჰყვებოდა, რომელიც დის სიმწარეს უფრო მეტად გაემაგრებინა. გამწარებულს ისეთი შეგრძნება დაუფლებოდა, რომ პირის ერთი გაღებით ჯერ არ გაგებული ღრიალი აღმოხდებოდა, სწყუროდა საკუთარი ხმა მთელ სამყაროში გაეზნია, ყველას გაეგო, რომ დედამიწის ზურგზე არსებობს ქალი,

რომელსაც უჭირს ცოცხლად ყოფნა, გლოვის დათმენა უჭირს, მაგრამ რა წამსაც გაახსენდებოდა ყელზე ხელებშემოხვეული უძწეო, ობლად დარჩენილი ბავშვი, რომელის მზრუნველ დედას მიწიერი საგანესთვის ამზადებდნენ, მის გამო თავშეკავებით უძალიანდებოდა თავს.

წინდაწინ გაჭრილ, გამზადებულ საფლავში ჩასვენებულ სასახლეს იქ მყოფნი თითო მუჭა მიწას აყრიდნენ და ბუტბუტით ჩააყოლებდნენ ნათქვამს: –მსუბუქი ყოფილიყოს, მსუბუქი ყოფილიყოს...

მეზობლის ზურგს უკან ტანსაცმელაბურღული ბურღა ატუზულიყო, თვალის ორთავ კაკლიდან გადმოსდიოდა მდუღარ-მდუღარე ცრემლები, ტიროდა, მთელი თავისი ალალი გულით, მთელი მისი შინაგანი სამყაროს შესაძლებლობით...

ეზოში ანასტასიასთან სიღონია დარჩენილიყო. გლოვობდა მუხლდაჩოქილი, ხან ტირილს შეწყვეტდა და გულმხურვალე ლოცვას იწყებდა. ასეთი განცდა აღარ ჰქონია კირილეს თვითმკვლელობის შემდეგ, ორივე ძალზედ მძიმე აღმოჩნდა მისი ფაქიზი სამყაროსთვის.

სასაფლაოდან შინ დაბრუნებულმა ვერამ ანასტასიასთან მიიყვანა გიორგი. ის თავისი პატარა სამყაროდან გამომდინარე, ვერ აღიქვამდა არსებულ სიტუაციას, ვერ ხვდებოდა დედის გაუჩინარებას, ან იქ, იმ ცერემონიის ჩატარებას მნიშვნელობას. მის პატარა სამყაროში სიკვდილის შესახებ არანაირი ცნობა არ არსებობდა, მხოლოდ სიცოცხლე იცოდა, სიკეთე და უანგარო ღიმილი, ღიმილი ყველა სულიერის მიმართ:

–ვერა, ძვირფასო, ყური მიგდე! –დაიწყო საუბარი ანასტასიამ გლოვისგან ჩახლენილი ხმით. –ახლა მხოლოდ შენზე და ბავშვზე უნდა ვიფიქროთ, რასაც გეტყვი, გთხოვ, დამიჯერე და ჩემს დარიგებას ნუ გადახვალ.

მოსასმენად მომზადებულმა ვერამ ხელები გულზე დაიკრიფა და სმენად გაიკრიფა:

–ღმერთის მერიდება, თორემ იმ ზომამდე ვარ მისული, ლამისაა ცოცხალზე მიწა წავიყარო, ახლა ჩემთვის ცოცხლად დამარხვა უფრო დიდი შვება იქნებოდა. ჩვენი საწყალი და, ანნა მოგვიწამლეს, ბოლო მოუღეს მის გაუთავებელ გლოვას დახვრეტილი ქმრის გამო, აკრძალულ თემებზე საუბრის გამო... შემთხვევითობამ განაპირობა თუ ჩვენი ცხონებული სიძის ჩვენებამ, არ ვიცი, მაგრამ ვერ მოუნელებელი აღმოჩნდა ვილაცისთვის დაპატიმრებული ანნას განთავისუფლება. ანნა მოწამლეს, ჩვენ რეპრესირებული ოჯახი გექვია, ახლა მთავარია ვიკმართ ეს ენით აუღწერელი სიმწარე ჩვენი გენის გამგრძელებელი გიორგის გადასარჩენად, ამან –თქვა და ხელით ძილისგან თვალეზმინაბული ბავშვისკენ მიანიშნა –ჩვენი ოჯახის ფუძეს უნდა უპატრონოს. ვერა, აიტაცე ბავშვი და ბაქოში გაემგზავრე, იქ სამსახურსაც იშოვი და პირად ცხოვრებასაც აიწყო.

ვერამ სიბრაზით ხელები განზე გაშალა, საყვედურის თქმა სურდა დისტოვის, ამის გაფიქრებაც კი როგორ გაბედე, მე შენ წამითაც ვერ მიგატოვებო, მაგრამ თქმაც კი არ აცალა ანასტასიამ.

–შუკოსავით ნუ დატრიალდები ჩემს ნათქვამზე, არც კი გამიბედო შეწინააღმდეგება, ბავშვის სიცოცხლე უნდა იხსნა, აქ ბედნიერება არ გიწერიათ, ამ ეზოში უბედურებას უბედირება მოსდევს, გული მიგრძნობს ეს არ იქნება დასასრული, თუ აქედან არ აიბარგები!

–ღმერთმა დაგვიფაროს ნასტინკა!

–გადარჩენისთვის უნდა იბრძოლო, გააკეთე რაც აუცილებელია, გაემგზავრე აქედან ბაქოში, იქ იოლად გაიტან თავს. ჩემზე ნუ იდარდებ, მე აქაც არავინ მახლებს ხელს, არავის ვუშავებ არაფერს. საკუთარ თავს მივხედავ, ახლა ჩემი სადარდებელი თქვენა ხართ.

ვერა თვალცრემლიანი უსმენდა დის დარიგებას, ვერ წარმოედგინა უმოძრაოდ დაყუდებული ნასტასიას ბედისთვის მინდობა. გარკვეულწილად ეიმედებოდა კიდევ მისი, ის ხომ დედის მსგავსად მზრუნველი უფროსი და იყო ოდითგანვე. ანასტასიას მდგომარეობის შემდეგ კი ანნა ედგა გვერდში დედასავით მზრუნველი.

ის ღამე თეთრად გაატარა ვერამ, დედ-მამის ნაქონი წითელი ჩემოდანი თავისი და ბავშვის ჩასაცმელებით გატენა, მძინარე ბავშვს საბანი ამოუკეცა გვერდიდან და სამზარეულოს მაგიდას ჩამოუჯდა. ახსენდებოდა თავისი ბავშვობა, გარდაცვლილი ანნას ცივი სხეული, მისი სასახლის ჩასვენება მესაფლავეების მიერ გათხრილ, ცივ სამარეში. მაგიდის ტილოთი უხეშად იმშრალებდა თვალიდან გადმომსკდარ მსხვილ ცრემლებს. სძულდა ცხოვრება, ადამიანური ღალატი, მიმდობი გულუბრყვილობა, კეთილშობილება, ადამიანისთვის დამღუპველ თვისებად ევლინებოდა ყოველივე. მერე დათას სახე წარმოუდგა თვალწინ მოწოლილი ხუმრობისას რომ იცოდა, ყველასგან განსხვავებული იუმორის გრძნობა ჰქონდა, სპეციფიკური მოყოლის მანერა, დათა მაყაშვილი ადამიანური გატანის დიადი ნიჭით იყო დაჯილდოვებული:

–თქვენთვის ვილოცებ, ნურაფრის შეგეშენდება უცხო მხარეში, პირიქით, ნაცნობ ადგილას აღარ დაგედგომლება, ნურავის უამბობ რეპრესირებული ოჯახიდან რომ ხარ, ნურავის გადაუშლი შენს ტკივილ-გასაჭირს, რათა გაბრაზებულ გულზე სწორედ იმ ტკივილზე არ დაგაჭიროს ფეხი, ნურავიუს გადაუშლი შენს გულისნადებს, რათა ბოროტს არასდროს ძინავს.

–მშვიდობით დაიკო!–ტირილისგან თავი ვეღარ შეიმაგრა ვერამ, არადა ღამით პირობა მისცა თავს ცრემლის გარეშე გადავივლი ეზოს, რათა გიორგის ახალ გზაზე სიარულით ცრემლი არ დავაბედო.

დები ერთმანეთს ჩახუტებოდნენ, ანასტასია მედგრად გამოიყურებოდა, წასული ხმაც მოსვლოდა, გულში იხუტებდა მტირალა ვერას და ამხნევებდა.

–უკანმოუხედავად წადი ახლა, წერილი მომწერე, როგორც კი ჩახვალ. ზედ შენს სახელსა და გვარს ნუ მიაწერ, სხვისი სახელით გამომიგზავნე. წადი ახლა, გიორგის მიხედვით და შენს გათხოვებაზეც იზრუნე, ცხოვრების თანამგზავრი მამაკაცის ამორჩევისას გახსოვდეს: მაღალი სულის ელვარება, მათხოვრის სამოსშიც კი ინარჩუნებს ძვირფას სამკაულისებრ სიდიადესა და ბრწყინვალეობას.

ვერა უკანმოუხედავად გადავიდა ეზოს, ცალი ხელი პატარა დიშვილისთვის ჩაეჭიდა, რომელიც მომცრო ნაბიჯებით ძლივს მიუყვებოდა დედის მიერ გაკვალულ გზას, მეორე ხელით ძველისძველ ჩემოდანს მიათრევდა. თვალის მიფარვამდე მიაცილებდა მზერით ანასტასია, რომელიც მტკიცე ხასიათს ავლენდა ნაძალადევად გასამგზავრებელი დისა და დიშვილის წინაშე. მათი ეზოდან გადასვლის შემდეგ მიწის ბელტივით მოიკუნტა, თავი მუხლებში ჩაირგო და მწარედ აქვითინდა.

XV

ვერამ რკინიგზის სადგურზე მატარებლის ბილეთი შეიძინა, გულმა ვერ მოუსვენა ფოიეში მომლოდინეს, ახლომახლო კაპიკად საუბარდირებულების ავტომატ ტელეფონი შენიშნა, ბავშვიან-ჩემოდნიანად საჩქაროდ მიიღბინა, თაროზე სქელტანიანი წიგი-,სატელეფონო ცნობარი“ აიღო და გამალებით დაუწყო ძიება მეზობელ სიდონიას ნომერს.

ტელეფონს რამდენიმე ზარის შემდეგ უპასუხა ქალმა: – სიდონია დეიდა, ვერა ვარ, შენი მეზობელი... მივეგზავრები, შორს, გეხვეწები ანასტასიას მიმიხედე, მე აუცილებლად დავბრუნდები...

ერთი წუთის შემდეგ ვერას ტელეფონი გაეთიშა, ტირილი სურდა, მაგრამ პატარა ბავშვის სახეს შეხედა თუ არა, მის დიდრონ, ცისფრად მოელვარე თვალებს, დაკულულებულ ფაფუკ თმებს, ლოყებში ჩაფლულ ღიმილით გადაბადრულ ტუჩებს, რომელიც ორი ღრუბლის ქულათა შუა მოქცეულ პირმცინარი მზესავით იღიმოდა, გადაიფიქარა. ხეში აიყვანა პატარა, მეორე ხელით ძირგაცვეთილი ჩემოდანი მიიწია და ბაქანზე შემდგარი მატარებლისაკენ გასწია.

ახალი ცხოვრებისთვის გეზადებულმა პირველი დამე ბაქოს სადგურში გაათია, ბავშვი თბილად შეფუთნა და სკამზე მუხლებზე წამოიგორა. პატარა მგზავრს მალევე მიეძინდა. მომავალი დღის გეგმებიც უკვე დაისახა მიზნად, ინათებდა თუ არა დღე, მაშინვე გაეშურებოდა საერთო საცხოვრებლის მოსაძებნად, აუცილებლად მოიძიებდა ახლომდებარე საბავშვო ბაღს და მხოლოდ მას შემდეგ ფაბრიკებსა და ქარხნებს ჩამოუვლიდა სამსახურის

საძიებლად. ხელზეც წამოვლო მეზობლებისგან მიღებული დის
დაკრძალვისას შესაწევარი მანეთიანები.

შავ ლაბადასა და თავგისფერ ბერეტში გამოწყობილმა თმები ხელით
შეისწორა და თავს სისუსტის უფლება ჩამოართვა. თავდაპირველად
შიმშილისგან ატირებული ბავშვი ბაღში მიიყვანა, მისი გაფორმება არ
გასძნელებია. ბავშვის დედად გაეცნო აღმზრდელს და მისი დაპურება
საჩქაროდ მოითხოვა. ასე იყო თუ ისე, რამდენიმე დღის შემდეგ ვერა უკვე
სამკერვალო ფაბრიკის მუშა იყო, საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა და
მარტოხელა დედის სტატუსსაც ფლობდა. დამოუკიდებელი ცხოვრება არც
ისე საშინელება ყოფილაო, ფიქრობდა. ამაზე ადრე ვერც კი წარმომედგინა,
პირველი წერილიც გაუგზავნა თბილისში მომლოდინე უფროს დაიკოს.
„კარგად მოგეწყევოთ, ყველაფერი კარგადაა, არაფერი გვიჭირს, გიორგი ბაღს
ადვილად მიეჩვია, ვმუშაობ ფაბრიკაში, მხოლოდ შენ გვენატრები უზომოდ“.

ყველაფერი თითქოსდა ნორმალურად აეწყო, თუმცა წარსულის
ტკივილები ნაკვალევში ჩასდგომოდა და ფეხდაფეხ მადევარი ხშირად
ახსენებდა თავს, ზედმეტ ბედნიერებას ქალი გაურბოდა.

ის დღეც არასდროს დაავიწყდება, ზაფხულის პაპანაქება იდგა, ბუდი
ასდიოდა ქალაქს. ასფალტი დუღდა, ვერას ხელჩაჭიდული გიორგი ბაღში
მოჰყავდა, მაგრამ შურნალ-გაზეთების ჯიხურს გვერდი აუარა თუ არა,
თვალში მოუვიდა გაზეთების პირველ გვერდზე გამოტანილი დიდი შავ-
თეთრი ფოტოები, საიდანაც ჩიხტი-კოპიანი ქალი იდუმალი ღიმილით
მომღიმარი იმზირებოდა, სათაურსაც დააკვირდა, მიხვდა, თბილისი
იუწყებოდა, დიდი ბელადის დედის გარდაცვალებას. ის დღე კარგად
ახსოვს, 1937 წლის 4 ივნისი იდგა. მაშინ პირველად გააცდინა ვერამ
სამსახური. არც ბავშვი აღარ მიიყვანა ბაღში, გასეირნება გადაწყვიტა
რატომღაც, გაუცნობიერებლად მოაწვა გლოვის ემოცია, ანნა გაახსენდა,
პატიმრობიდან დაბრუნებული, უთმო თავს თავშლით რომ იფარავდა. ანნაზე
დაწყებული ფიქრი დათა მაყაშვილით მთავრდებოდა, მისი აჩქარებული
სიარულის მანერა, სულ სადღაც მიიჩქაროდა, მისი იუმორი, ხუმრობანარევი
ნაუბარი თუ ღიმილით სამსე გამოხედა. დედ-მამის გარდაცვალება არაფერი
ყოფილა ამ სიმწარესთანო, გულში ივლებდა აზრს და საკუთარ თავზე
გამოცდილ ობლობას, გიორგისთვის ვეღარ იმეტებდა. ეცოდებოდა
უდემამო გიორგი.

ჯერ საქანელაზე გასართობად წაიყვანა, მერე სანაყინეში. მაგიდას
მიცუცქებულ ნაყინით ცხვირ-პირ ამოთხვრილ პატარას დაკვირვებული
მზრუნველობით შეავლო თვალი და უთხრა: –აბა, დამიძახე, დე-და, მე დედა
ვარ შენი, ვერა კი არა!

ნაყინის მირთმევით გულდამტკებარმა გიორგიმ დიდად კმაყოფილმა
წარმოსთქვა –დედა.

–აი, ასე, სხვა დროს შენს წამოსაყვანად რომ მოვალ ბაღში, ვერა კი არ
დამიძახო, დედა დამიძახე, გაიგე... დე-და!

ბავშვი ტუჩებს ილოკავდა და მექანიკურად უქნევდა თავს მაგიდასთან მის წინ მყოფ დეიდას. იმ წამს ცხოვრებას პირწმინდად წაეშალა სათუთი მესხიერებდან წარსულის მოგონებანი, მას გულწრფელად ეჯერა ვერას დედობის. ბავშვს გაუცნობიერებლად უყვარდა ვერას მზრუნველი ხასიათი, თვითონაც ხალისობდა მის გულზე მოსასვლელად. საერთო საცხოვრებელში შედარებით გვიან, მოსაღამოვებულზე დაბრუნდნენ მთელი დღის მოსეირნე დეიდა-დიშვილი.

ვერა საწოლზე ჩამოუჯდა დასაძინებლად დაწოლილ ბავშვს, ანასტასია გაახსენდა, უპატრონოდ მიყრუებული სახლის გვერდით ჩამოხლული. როდესაც ბაქოში წვიმდა, ვერა მადლა ცაში იხედებოდა და თვალებს ხუჭავდა, წარმოსახვაში ოცნებობდა, მადლა, ცისკენ აეწვდინა ხელები და ეთხოვა ცისთვის, თბილსში ეულად დარჩენილი, მიტოვებული დის თავზე გადაედარა, ან ფუძეული ღრუბელი გადაეფარებინა და წვიმით არ დაეღუპა, ისევე, როგორც თაკარა მზიანობისას, მზისკენ ხელებაწვდილს სთხოვდა, თბილისში ერთ პატარა სახლის ბაღში, მუხლდაჩოქილი დის თავზე ნამეტანს ნუ დააცხუნებო.

ორ წლინახევრის იყო გიორგიც, ახალ საერთო საცხოვრებელში რომ გადაბარგდნენ. ახალ ცხოვრებას დედისეული მოგონებებიც პირწმინდად წაეშალა მისი სათუთი მესხიერებიდა, გულწრფელად ეჯერა ვერას დედობის. დეიდასაც ხომ დედის სუნი უდისო, ნათქვამია, ალბათ ამიტომ ყოველგვარი ეჭვის გარეშე მიიღო დეიდა დედად პატარა გიორგიმ.

რამდენიმე წლის შემდეგ, ერთ მზიან დღეს ვერას ბაღიდან გამოყვანის დროს ბავშვმა ჰკითხა: –დედა, მე მამა მყავს? –და ისეთი სევდიანი თვალებით შეხედა დეიდას, რომ საცაა სამყაროს მაგიერ ატირდებოდა.

წამიერად გაახსენდა ვერას მამამისი, დათა მაცაშვილი, მისი ჩვეული იუმორის გრძნობით, შეყვარებული თავის დაზე, უხაროდა ვაჟიშვილის შეძენა, მაშინ იგრძნო თავი ბედნიერად, კარგად ახსოვს ვერას, გვიან ღამით სამზარეულოში შესულს წყლის გამო, როდესაც დის ოთახში სინათლე შენიშნა. ჩუმად შეიხედა, ასეთ გვიანობამდე რას აკეთებენ, ხომ მშვიდობა აქვთო. ფეხაკრეფით მიიპარადა მიხურული კარი უდნავ უხმაუროდ შეუღო. ანნას პირმშოს გვერდით ლოგინზე ტკბილად ეძინა, დათა კი ბავშვის სახვევების უთოობას გაეოფლიანებინა, ალბათ ცოლისთვის შრომის შესამსუბუქებლად აუთოვებდა.

გიორგის კითხავს მამის არსებობის თაობაზე ვერა ჩაეკითხა: –რატომ კითხულობ, მოხდა რამე?

–ნწუ, –გააქნია თავი ბავშვმა. –ბაღიდან სლაგა და იგორი მამიკოებს გამოჰყვათ ხოლმე, მე მამა მყავს?

–გყავს!–გული ვერ ატკინა ვერამ ბავშვს, რომ ეთქვა არ გყავსო, ახლა ამ პატარა ბიჭის მოზვავებული ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება მოუხდებოდა, რატომ არ მყავს, ვერ აუხსნიდა რეპრესირებული დედამამის

შესახებ და ამიტომაც ლამაზად შეფუთული ტყუილი არჩია მის დასამშვიდებლად.

–სადაა? შორს, როცა ჩამოვა, გპირდები, ისიც გამოგიყვანს ხოლმე ბადიდან.

–სად შორს?.. მალე ჩამოვა?

–კი, ძალიან შორს, თბილისშია, არც ისე მალე ჩამოვა.

–რატომ? უთხარი რა, მალე ჩამოვიდეს, ალიოშამაც მკითხა მამაშენი გყავსო?

–ალიოშასაც აკითხავს მამა?

–არა, ალიოშას მამა არ ჰყავს, ასე თქვა, მომიკლესო.

–მართლა?!–დაიბნა ვერა, ბავშვის წინ ჩაიშუხლა და თვალებში გამომცდელად დააკვირდა, ოღონდაც მისთვის გულის დამნისველელი ფიქრი არ შეენიშნა, ოღონდაც მის თვალებში სევდა არ გამომკრთალიყო, ყველაფერს იზავდა, თავზე დაიმხოვდა ცას, სამყაროს, ყველაფერს დაითმენდა.

–მერე, ის ალიოშა ტირის ხოლმე?

–ხო, მამა მეც მინდაო, ამბობს და მერე ტირილს იწყებს. იცი, მინდა ჩემი მამა ბაღში მოვიდეს და ჩემმა მეგობრებმა დაინახონ.

–მოვა, შენს მეგობრებს უთხარი რომ მამაშენი თბილიშია, სამუშაოდაა გაგზავნილი, როცა ჩამოვა აუცილებლად გავაცნობთ შენს მეგობრებს, კარგი?–სიხარულით გამოცოცხლებულ თვალებშიცისფერი ვარსკვლავები აციალდნენ, ბუნდოვანად აქოხრილ ოქროსფერ კულულა თმაზე ხელი ნაზად გადაუსვა და საცხოვრებლისკენ გასწიეს. ბავშვი ხტუნვით მიჰყვებოდა დეიდას გვერდით.

ვერა იძულებით ჩაუღრმავდა ფიქრებში საოცნებო მამაკაცის არსებობას, ამაზე მხოლოდ უოცნებია, თორემ შეყვარებული არასდროს ჰყავდა. არც არავის გამოუთქვამს სურვილი მის შეყვარებაზე. ან ვინ მოასწრებდა ამას, ვერას ყოველდღიური დილა გადარბენით იწყებოდა და გადმორბენით სადამოვდებოდა. მხოლოდ ერთხელ ახსოვს, დათას და ანნას დაპატიმრების შემდეგ სამსახურიდან დაითხოვეს, როგორც მოღალატეთა ოჯახის წევრი, მაშინ მეზობელმა კოლამ ურჩია კოლმეურნეობის ფერმაში მწველავად მუშაობის დაწყება. დაიწყო კიდევ, თეთრ ხალათში გამოწყობილი დილა-სადამოს წველიდა ფერმის სავსე ცურიან პროხებს, სორე დიმ დროს, როდესაც ვერას ცხოვრება უხალოსო მდინარის დინებას მოიყვებოდა, სწორედ მაშინ გამოუჩნდა თაყვანისმცემელი. ტანად ზორბა, მხარ-ბეჭიანი, ბოხი ხმის პატრონი, უფროსის მოადილედ მუშაობდა, ჩაისფერი საქაღალდე ჰქონდა პიჯაკის იდლიაში გაჩრილი და ხშირად იცოდა ფოცხივით დიდი,

შავი უღვაშის ფხანა. ეს ჩვევად ჰქონდა, ყოველგვარი აღელვებისას, ანდაც მცირედი ემოციის დროს, გამაღებელი მოჰყვებოდა უღვაშის ფხანას.

სწორედ ამ უღვაშიანმა შენიშნა თუ არა თავის დაქვემდებარებულ ფერმაში მომუშავე მწველავი-ვერა, მაშინვე თვალი დაიჭირა მასზე, ხან გარკვევით ეკითხებოდა რაღაც უმნიშვნელოს, ხან გაურკვეველად ესაუბრებოდა რაღაც არასებულზე... მაგალითად არაერთხელ გამოუთქვამს გულისტკივილი ყარაჩოღელების არარსებობაზე, არადა ძველ ტფილისს ყარაჩოღელი ისე უხდება როგორც წყალს თევზიო, ყარაჩოღელები ყველანი ან დაიხოცნენ და ან 1921 წლის მერე დახვრეტის შედეგად გადაშენდნენ. ზოგმაც ყარაჩოღელობაზე უარი განაცხადა და მათთვის განკუთვნილი შესანიშნავი ტანსაცმელი თანამედროვე სამოსზე გაცვალა. კინტოები საჭირონნი აღარ იყვნენ, ამიტომაც ისინი ბუნებრივად გადაგვარდნენ, მაგრამ აი, ყარაჩოღელები, მჯერა რომ კიდევ გამოჩნდებიან თბილისში, რადგან, როგორც ის ირწმუნებოდა, არ არსებობდა თევზი უწყლოდ და წალი უთევზოდ. თევზი დიდი და თვალშისაცემი უნდა იყოს, თორემ წყალში თავკომბალებიც არიანო.

ქალი ხვდებოდა მამაკაცის ყურადღების მიზეზს, თუმც მის ნანერვიულებელ გულამდე ვერ დადიოდა ვინმესთა სასიყვარლო ტრფიალი.

უღვაშიანმა სდია, სდია წადმა-უკუღმა ვერას, მაგრამ ახალგაზრდა ქალის უყურადღებობით დაღლილმა ერთ დღესაც ხელი ჩაიქნია და თავი დაანება.

მის მერე ვერასთვის მცირედი ყურადღებაც კი აღარავის გამოუხატავს. მისი ცხოვრება მონოტონური რუდუნებით მიუყვებოდა თავაწყვეტილ ცხოვრებას, უხალისოდ, მიზანს კი სახელად გიორგი და ანასტასია ერქვა:

– შეყვერებული გყავს? – ჩეკითხა ერთხელ თანამშრომელი ფარვანა, როდესაც გაიგო ვერას მარტოხელა დედობის ამბავი.

– არა, არ მყავს.– აიჩეხა დარცხვენით მხრები მაშინ, რადგან ქმარმიტოვებული ქალი სირცხვილისა და გაჭორვის მიზეზი ხდებოდა ყოველთვის.

– არც საყვარელი არ გყავს? – არ ცხრებოდა ფარვანა.

– არა, რას ამბობ!

– თუ არა, უნდა გაიჩინო, ერთი მაინც,

ვერას ეწყინასავით თანატოლ-თანამშროლის ნათქვანი, თუმცა არ შეიმჩნია:

– მერე, მას რომ ცოლმა გაუგოს?

– შენც ეცადე სანამ ძალიან არ შეგიყვარებს, ცოლმა ვერ გაუგოს. როცა დრო დაგიდგება და ეგ დრო აუცილებლად დგება, მიჩვეულზე უშენობა რომ

აღარ შეძლება, მერე ადვილია, ცოლს ბოლობოლო შენ გააგებინებ, კეთილისმსურველის სახელით დაურეკავ ან წერილს მისწერ, ისიც გაიგებს, ითაკილებს, ეჩხუბება, შენც ეგ არ გენდომება? ქმარსაც მზამზარეულად იშოვნის!.. უღონდ ეცადე თავიდან ცოლმა არ გაგიგოს, ისე, თუ ნაადრევად გაიგებს და აი დარდი. შენსას მაინც გაიხალისებ.

– ასე არ შემიძლია, უნდა მიყვარდეს მამაკაცი რომ მასზე ფიქრი შევძლო, თანაც უცოლო უნდა იყოს! თუმცა სიყვარულისთვის ეხლა სადღა მცალია...

– სიყვარულს რა მოცლა სჭირდება? – ეუბნებოდა ფარვანა, – შეხედე და გაუღიმე, ის გაგიცინებს, მერე მის წინ ხელებით თმები კეკლუცად შეისწორე, თვალეში შეხედა და მხიარულად შეანათე და მორჩა, უყვარხარ.

ვერამ დადუმება არჩია, არც მთლად ასეა საქმე, მამაკაცის შეყვარების ხალისი არ ჰქონდა, თითქოს მთელი სხეულიდან, მისი ძალ-ღონე ვიდაცას ამოეცუმბა და ახლა უგრძნობ, მექანიკურ თოჯინას დამსგავსებული შინაგანად უგრძნობი გამხდარიყო სხვების მიმართ.

– არა, მე რომ ქმარი მყოლოდა, ბავშვი მას მამად წარადგენდა ბაღში და ასე აღარ დაწყდებოდა გული სხვისი მამების შემხევედარეს. ჩაილაპარაკა თავისთვის, სახლში მისულმა ვერამ და ჩაიდანის ადუღებას შეუდგა.

XVI

მარტოდ დარჩენილი ანასტასიას გული დადარდიანებოდა, დების ბედით, მაგრამ ვერას მოწერილი წერილიდან მეორე წერილამდე მოლოდინით სულდგმულობდა. ყოველ დილას შედიოდა მასთან სიდონია და ეხმარებოდა პირადი ჰიგიენის დაცვაში.

მერე იქვე პატარა კუნძე ჩამოუჯდებოდა და ბურდას ამბებისთ ცდილობდა გაერთო. ანასტასია ხათრს ვერ უტეხავდა, თუმცა არ ეამბებოდა მის გულსა და სულს. დების ბედით შეწუხებულს ახლა ნუგეშად რელიგიური გრძნობები ევლინებოდა, გარდაცვლილი სატროფოს სულის შესახებ ფიქრი გულს მალამოდ ეფინებოდა, სატროფოს სიზმარში ისე ნათლად ნახულობდა, რომ ცხადისგან ძნელი გასარჩევი ხდებოდა.

სიდონია კი არ საუბრით არ ასვენებდა. უამბობდა ბურდას სიყვარულის პირველწყაროს, ევას შესახებ, თუ როგორ მოსთქვამდა ყოველ დილაუთენია საწყალი ვაჟიშვილი, როგორ განიცდიდა თვალნატყერი ევას უნახავობას, როგორ იბრძოდა სოფელში დასაბრუნებლად, რადგან თუნდაც ერთხელ მაინც მოეკრა თვალი სატროსთვის, ძნელი ყოფილა ცალმხრივი გრძნობებით, იტყოდა და ნათქვამს კენესას დააყოლებდა ხოლმე.

მთელი დღის განმავლობაში მჯდომარე ანასტასიას სტუმრები არ ელედო, მაგრამ ძველი ნაცნობის სტუმრობა იქ მყოფთათვის მოულოდნელი აღმოჩნდა. გალობა ახალი დასრულებული ჰქონდა ანასტასიასთან ერთად ქალებს, რომ დათოვლილი ჭიშკარის კარი ხმაურით გაიღო. ეზოში ორ მამაკაცს აქეთ-იქიდან ხელკავგაყრილი ძალზედ მოხუცებული ბერიკაცი მოჰყავდათ.

დათოვლილ გზას მისი ნაკვალევი შთამბეჭდავად აჩნდებოდა დიდი ზომის ფეხსაცმლის ლანჩის უცნაური მოხატულობის გამო. ბარდნიდა, მსხვილი ფიფქები პირდაპირ წამწამებზე ეფინებოდა ანასტასიას და მოშორებულ მანძილზე ადამიანის სახის გარჩევა უძნელდებოდა. მოხუცი მამაკაცი ანასტასიასთან ახლოს მიიყვანეს და შედარებით მაღალ სკამზე ჩამოსვეს, მოკრუნხული ფეხები ძლივს გაშალა მოხუცმა, ხელები და ნიკაპი უკანკალებდა, თავსაც ვერ იმაგრებდა, ერთთავად ცახცახი გაუდიოდა.

ანასტასიას მიესალმა თუ არა მამაკაცი, მაშინვე იცონო მისი ჩვეული ხმის ტემპით, განსხვავებული დიქციის მანერით. ანასტასიას გულში იოტის მარცვლის ოდენა ღვარძლი არ მოიპოვებოდა, არ შეეძლო ვინმეს წყენა გულში ისე მკაცრად ჩაეჭირა, რომ სხვა გრძნობებისთვის ადგილი აღარ დარჩენოდა. არ შეეძლო ადამიანი დასჯისთვის გაემეტებინა და გულსა თუ გუნებაში ჯვარზე გაეკრა. წამება მხოლოდ ბორტეულთა გამონაგონია, რომელსაც საკუთარი მერყევი ფსიქიკის სამკურნალო საშუალებად წარმოესახებათ. რაც მეტად აწამებენ სხვის სხეულს, მით მეტად ეჩვენებათ საკუთარი თავები ძლიერ, ყოვლისშემძლე და სხვაზე უპირეტესობადნაქცევ მბრძანებლად, მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითია.

ანასტასიას წინ სკამზე, მოხუცებული ვაჰარ გარგაროვიჩი იჯდა, დამოუკიდებლად გადაადგილების უნარს მოკლებული, ამიტომ ახლდნენ თანმხლებნი. ვაჰარი მის წინ მუხლდაჩოქილი, კაფანდარა ქალის წინ ჩამომჯდარი, გამომცდელი თვალებით უყურებდა ძველისძველ ნაცნობს, შინაგანი დარდის ჭია მოსვენებას არ აძლევდა, რაც ეტყობოდა ეს უმანკოების სადარი ქალი, რომელიც სიყვარულის გამო განწირული თოვლიან ამინდშიც კი თავს არ იცოდებდა:

–მიცანი?–იკითხა ძალიან მოკრძალებული ტონით და ქალის შინაგანი სამყაროს განწყობას გარეგანი რეაქციის გამომჟღავნებით დააკვირდა.

–გიცხანით.–მოკრძალებულად უპასუხა ქალმა და გაუღიმა.

–მას მერე, ალბათ... გულში ვეღარ მაპატიეთ, ალბათ ჩემზე ბრაზობთ, გპუღვართ...

–გაპატიეთ, არ მძულხართ, არც მაშინ მძულდით.

–მე თქვენ მიყვარდით...

– არა, თქვენ სიყვარული არ შეგიძლიათ, უბრალოდ მოგწონდით, სიყვარულსა და მოწონებას შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც დაჭაობებულ ადგილსა და მოკამკამე წყაროს მქონე ყვავილოვან წაღკოუტს შორის. თუმცა არც ჭაობია ცუდი, იქ ცოცხალი, ნაირფეროვანი ბაყაყები ბინადრობენ, კიდევ ბამბუკებიცაა...

– რა ვიცი, ეგრე მოხდა, ეგრე აეწყო, ეტყობა ბედისწერა გვედგა ეგეთი, ანნამაც უარი მტკიცა, მისმა შეყვარებულმა სულ ნოლზე დამსვა, გადამიწვა და გადამიბუბა იქაურობა. აქედან გავემგზავრე, მაგრამ ერთი რომ მოგეცარება ხელი ადამიანს, მერე ფეხზე დოგმა ძნელი ხდება. იქაც ვეღარ ავიწყე ცხოვრება.

– ბედისწერას ჩვენ ვქმნით, ჩვენთვის გაუცნობიერებელი ფიქრებით, მსჯელობით, სხვისთვის თავსმოხვეული აზრებით, აბლაბუდის ქსელივით.

– ხო, მართლა, მარია სადაა? არ მითხრათ რომ...

– დიახ, გარდაიცვალა.

– დიდი ხანია?

– რამდენიმე წლის წინ, 1935-წელს.

– 1935-ში?.. ვაი, ვაი... რა მოუვიდა საცოდავს? რა კარგი ქალი იყო, რომ გამეგო პატივს მივაგებდი და დაკრძალვას დავესწრებოდი. – ნერვიულად აათამაშა დამტკნარი, კოტიტა თითები მამაკაცმა. – და თქვენი დები? ანნა და ის პატარა რომ გყავდათ, ანცი გოგო, სულ რომ დახტოდა, პატარა ეშმაკუნები რომ უცინოდნენ თვალებში...

– ანნა, – თქვა ნაღვლიანი ხმით, და ღრმად ამოიოხრა, ისე, თითქოს, გულს დარდი და ბოღმა ამოაყოლაო – დაიღუპა.

– ისიც კაცო, ისიცა? სუმთლად ჯეელს, იმას რაღა დაემართა?

– ანასტასიამ უხმოდ, მხრების აჩეჩვით გამოხატა სევდა პასუხგაუცემელ კითხვაზე.

– დაა... ის ოინბაზი, თქვენი დის შეყვარებული რო იყო... ისა, იმის ბედი როგორა წავიდა? – ანასტასიამ ნათლად შეამჩნია მამაკაცისდამოკიდებულება, თუ როგორ გადაიყვანა საუბარი შენობიდან თქვენობით ფორმაში.

– დათა მაყაშვილი?.. დათა და ანნა მაშინვე დაოჯახდნენ, აქეთ, ამ ეზოში ცხოვრობდნენ, თავს მეველებოდნენ, იმათ სულელებს ვეამბორე, მაგრამ ცოტა მოგვიანებით გააფორმეს სამოქალაქო ქორწინება. დათა დახვრიტეს, რას ვიზამთ, მასობრივ რეპრესიას მასობრივი ხასიათი აქვს.

სახეზე გაოცება აღბეჭვდოდა ვაჰარს, პირი ღია დარჩენოდა და ერთხანს ასე იჯდა, მაგრამ როდესაც უკეთესად გააცნობიერა ნათქვამი, ფეხზე

შეეცადა წამოდგომას, გვერდით მდგომმა მხლებლებმა ხელკავი გამოსდეს და ფეხზე წამოდგომაში დაეხმარნენ.

–ეგ, რა ცუდი რამე მითხარით, ვახ, ვახ, ღმერთო, აი, პირჯვარს ვიწერ, ნათელი... ნათელი ჰქონდეს...–გაოცებული სახის გამომეტყველებით ზეცისკენ იხედებოდა მოხუცებული, თვალები ცრემლებს დაენისლა, სახეზე დიდრონი ფიფქები დასდებოდა.

–თქვენს ძაღლს, დიდად მოკრძალებულად ექცეოდა, ცივ ნიავს არ აკარებდა, ეზოს არ იყო გადმოცილებული, რომ კითხულობდა, ძაღლმა თუ ისადილაო.

–აბა, რომელი ჩემი ძაღლი?–გაიკვირვა ვაჰარმა და სკამზე ჩამოჯდომა მოისურვილა.–აბა, რომელი?

–ბასარა, აქ რომ გყავდათ, გამგზავრებამდე!

–ბასარა?–შეუძლებელია, ბასარა ხომ მოსაკლავად გავაყოლე ერთ ჩემიანს?–გადახედა ნიშნისგებით გვერდით მდგომელა შავპალტოიან ჯეკლ მამაკაცს. ამ უკანასკნელმაც მხრების აჩეჩვით ანიშნა ძაღლის მდგომარეობის შესახებ, არა ვიცი რაო.

–ესე იგი, არ მოუკლავს, მომატყუა, მაგაში ფული წამცინცლა, ხედავთ? აქ გაზრდილი იქ ველარ მიხერდებოდა, ახალი ჩასული ვიყავი, თითქმის ერთი დღის, ჩემ ხელმოცარულ, უხასიათო მდგომარეობას მისი გაუთავებელი ყმუილი ემატებოდა. ერთ ბიჭს ფული გადავუხადე, ტყეში რომ გაეყვანა და სანადირო თოფით მოეკლა. ხედავთ? მამატყუილა!–გადახედა აქეთ-იქიდან ახალგაზრდა თანამემამულეებს.

–ძალიან კარგი უქნია თუ არა მოუკლავს, სიცოცხლე ყველასთვის ტკბილია, მათ შორის ძაღლისთვისაც. აქ მოუვიდა დათას.

–მაშ ტყუილი არაფერია?... ფული რომ გამამტყუა!

–ფულით სიცოცხლეს ვერ იყიდით, ფული მხოლოდ მის შესანარჩუნებლად ან ხელსაყოფად თუ ივარგებს. კარგი ძაღლი იყო, თვინიერი და მოსიყვარულე. დათას ძალიან უყვარდა, თუმცა იმას ყველა უყვარდა, ისევე, როგორც ჩემს დას.

–ის პატარა ანცი გოგო რომ გყავდათ, ის სადღაა?– იკითხა ცნობისმოყვარე სახით.

–ვერა?–ანასტასიამ ცოტა შეაყოვნა პასუხი, ტუჩები მოპრუწა, მერე თვალებით, თითქოს ცის ბურუსით გაჯერებული, უხილავი ჰორიზონტი მოინიშნა. თოვლის დიდრონი, ფუმფქლი ფიფქები სახეზე ეცემოდა და მომენტალურად დნებოდა.

–ის პატარა ანცი გოგო, გაიზარდა, დაქალდა, სხვა ქვეყანაში ცხოვრობს, ქმარი და ერთი ბიჭი ჰყავს. –თქვა ანასტასიამ და ვერას სათუთად სსენების გამო პირჯვარი გადაიწერა.

მცირედხნიანი დუმილი ჩამოწვა მათ შორის. ანასტასია მოკრძალებული სახით მჯდომი ტანით მსუბუქად არწევდა სხეულს აქეთ-იქით. თავზე ფუმფქლი თოვლის კორიანტელი თეთრი ქუდივით დასდებოდა, მხრებზე ძველისძველი პლედი ჰქონდა შემოხვეული, პლედი ერქვა თორემ ძონძს უფრო ჰგავდა, ალაგ-ალაგ ნაფხრეწქცეული და გაცრეცილი. წლებს თავისი ექნა, თუმცა ფერგაუსვლელად დაეტოვებინა ანასტასიას გულისწორის, კირილეს ნაქონი პლედი, რომელიც დათას უკვე გარდაცვლილი კირილეს სახლიდან წამოიღო და დღემდე სათუთად ჰქონდა შემონახული. სუსტ მხრებზე მოეხვა თოვლივით დაფარული, ხელით გულისპირს მიეკრა. ესათუთებოდა სატრფოს ნაქონს, ახლაც მას ეჭიდავებოდა და თითქოს იმ უსულო, მოხვეულ ქსოვილს პატრონისადმი ერთგულებას უმტკიცებდა:

–მე ვერ წარმომედგინა ასეთი დასასრული, შენი ცხოვრება რაღა ცხოვრებაა, ასე რომ ზიხარ... და მეც აგერა, 82 წელში შევდივარ, ძალიან ავადა ვარ, აღარც იქითა ვარ და აღარც აქეთა. ხელები, თავი, ნიკაპი, ფეხები სულ ერთთავადა მიკანკალებს, ექიმმა თქო საყლაპავი მილის შევიწროვებაცა აქვსო, კინაღამ დავიხრჩე რამდენჯერმე, რაღა. საჭმელი მშია და შიშითა ვარ, ყლაპვისა მეშინია. ყველი და პური მენატრება, ჭამა არ გამოდის. მინდა პატიება მეთხოვა შენთვისაც და ანასტოვისაც... თუ რამ გამაჩნდა აღარაფერი დამრჩა, ეს კოლექტივიზაციის გამო ჩემი ნებით გადავეცი საგვარეულო ადგილ-მამულები. ვერ გადაიტანეს დედაჩემმა და მამაჩემმა–მშობლების გახსენებამ თვალზე ცრემლი მოაწოლა, ხელი დანანებით ჩაიქნია და გააგრძელა. –შინაგანად რაღაც მაწვალებს, თითქოს მებრძვის, რასაც ვიტყვი, პირუკუღმა მიტრიალდება. გულზე მაწვებოდა, თითქოს რაღაც, და სუნთქვაში ხელს მიშლიდა. იქნებ მეცა ვტყუი შენთან და ეგ ცოდვა მაწვალებს?.. მაპატიე, ანასტასია ივანოვნა, მაპატიე, შემობრალე და თქვი ხოლმე ჩემზე, მიპატიებია-თქო.

ანასტასიას გაეღიმა: –არაფერი არ არსებობს უპატიებელი, მერწმუნეთ, თქვენ მხოლოდ მიზეზი თუ იყავით, მაგრამ მიზეზი ერთი კონკრეტული თუ არ იქნება, მეორე, უფრო ზოგადი გამოჩნება, მიზეზებს გულხელდაკრეფილი არ უნდა დაუხვდეთ, ჩვენ უნდა ვყოფილიყავით ძლიერნი და ძლიერად დავხვედროდით საწუთროს ყოველ განსაცდელს.

–გეტყობოდა ძალიან გიყვარდა ის ვაჟი, მაგრამა, უქონელიაო, ამბობდა მარია, მახსოვს...

–სიყვარული ეს ის უხილავი სამყაროა, რომლიდანაც დაბადებისას მოვდივართ და რომლისკენაც ეშურებიან მხოლოდ დამსახურებულნი სიკვდილის შემდეგ. მიყვარდა, ახლაც მიყვარს.

–მაშინ სიყვარულზე ასე დაურიდებელი საუბარი ცოტათი სამარცხვინოც იყო, ამაზე მხოლოდ გიჟპოეტები თუ წერდნენ ლექსებს, თორემ გაგანია

გაჭირვებულ, საშიშშილო მდგომარეობაში ვინ დაგიდებდა სიყვარულს. როცა გშია და გწყურია, სიყვარული მაშინათვე ქრება. სიყვარული ფიქრების გასართობადაა მოგონილი. ეგ იცოდა მარიამაც, და ალბათ, მაგიტომ ცდილობდა თქვენზე ჭკვიანურად ზრუნვას.

–წრფელი სიყვარული მუდმივად გამოცდის წინაშე მდგომია. მახეს ხან ერთი მხრიდან გიგებს და ხანაც მეორიდან, მაგრამ ძლიერს ამ პატარ-პატარა ხრიკობანის არ უნდა ეშინოდეს, მთავარია საკუთარ გრძნობების წინაშე გულმართალი იდგეს, თორემ არაწფელ სიყვარულს, ისეთს, აი, ანგარებაზე აგებულს რომ ვუწოდებთ, გამოცდა ან მახე რათ უნდა, ანდაც არ არსებული სიყვარული როგორ დაინგრევა, როგორ გაცამტვერდება?

–გულზე მომეშვა შენი ნაუბარი, რა ტკბილად ვბაასობთ, რომ არ მენახე არ იქნებოდა... მაინც ეხლა მოუნდა ამ ცასაც ჩემ ჯიბრზე თოვა, თანაც რამსიმსხობესა ყრის, ხილვადობას აჭირებს ე ფანტელები.

წასასვლელად მომზადებული ფეხზე ძლივს ააყენეს გვერდით მყოფმა მამაკაცებმა. აქეთ-იქედან ხელკავგამოდებული ბაბაჯანით დაიძრა ადგილიდან. ანასტასიასთან ახლოს მივიდა, თვალეში შეხედვას ვერ ახერხებდა, შემკრთალი ტონით ჰკითხა:

–შეიძლება ხელზე გეამბოროთ?

ანასტასიამ თხელი ხელის მტევანი გამოაძვრინა გადათოვლილი პლედის ქვეშიდან და მის წინაშე მდგომ მოხუცს გაუწოდა. ის ხელზე ძალზედ მოკრძალებული მანერით ეამბორა, თვალეზე მოწოლილი ანკარა ცრემლის კიაფი შენიშნა ქალმა, მოხუცის დამჭკნარი ხელი ახლოს მოიწია და ლოყაზე მიიბჯინა.

საოცრად მადლიერი თვალეებით შეჰყურებდა ვაჰარი თვალდახუჭულ ქალს, რამდენიმე წამს გასტანა ამ მდგომარეობამ, თუმცა მოხუცი ვაჰარის გულს საუკუნედ მოეჩვენა, შინაგან სამყაროში სინათლე იგრძნო, მზის სხივების მსგავსი, რომელსაც სითბოთი და სიმსუბუქით გაეჯერებინა გული:

–რა სათნო ქალი ყოფილა, რავი ჩემდროს ეგრეთი მოსაუბრე არ იყო და... –მიაბიჯებდა მოხუცებულობისთვის დამახასიათებელი ნაბიჯებით და თავისთვის ბუტბუტებდა ვაჰარ გარგაროვინი, უხმოდ მიჰყვებოდნენ გვერდით ხელკავგამოდებული მამაკაცები.

ზურგიდან მიმავალი სტუმრები თვალეებით აღარ გადაუცილებია ეზოს, ზედ მოხვეული კირილეს ნაქონი პლედი სახესთან აიწია და კიდეებზე კოცნა დაუწყო, თვალდახუჭულს წარმოსახვაში გაიდეალებული მამაკაცის სიღეუტი დაუდგა თვალწინ, მისი მანერები, მისი სურნელიც იგრძნო, თვალგახელილს მისგან მხოლოდდა ერთი დახეული, დროისგან განაცრეცი პლედი შერჩენოდა.

თეთრად აელვარებული თოვლის კორიანტელი დგებოდა მჯდომარე ანასტასიას ეზოში.

XVII

ბაქოში მყოფმა ვერამ გათხოვების შესახებ გადაწყვეტილება ელვის სისწრაფით მიიღო, რადგან მის ანაბარა დარჩენილ გიორგის უმამობის გულისტკივილი არ ეგრძნო. თაყვანისმცემელი თავისივე სამსახურში გამოიჩინა. ვიქტორ სოზონოვი ურიგო მამაკაცი არ იყო, თავმოვლილი, აკურატულად ჩაცმულ-დახურული, ყოველ წუთას თავზე ხელის გადასმას შეჩვეული თვალს უშტერებდა დაულაღაგად მშრომელ ვერას. ვერა მიუხვდა თუ არა მამაკაცის ინტერესდამოკიდებულ ყურადღებას, აღარ დაერიდა. სასადილოში თვითონვე მიუახლოვდა მას და ერთ მაგიდასთან სადილობა შესთავაზა. გაცნობითაც თვითონ გაეცნო: –ვერა ნიკიშევა.

–ვიქტორ სოზონოვი,–გულზე ხელის მიდებით დაუკრა თავი ჯენტლმენური თავაზიანობით მამაკაცმა.

–იცი, მე თბილისელი ვარ,

–ხო?... გამოგია თბილისი.

–ნამყოფი არ ხარ?

–არა, მაგრამ რა პრობლემაა, შემიძლია შევბუღება ავიღო და გავემგზავრო, თუ გინდა ერთად წავიდეთ, მაინც შენი მშობლიური ქალაქი ყოფილა, მეგზურობას ხომ ვერ გამიწევდი?

–სიამოვნებით, ძალიან ღამაში ქალაქია.

იმ დღიდან ჯერ დამეგობრდნენ, დაახლოებით ერთი კვირის თავზე კი ვიქტორი ვერასთან საერთო საცხოვრებელში გადაბარგდა. ხელიც იქ, ბაქოში მოაწერეს. ვერა მთელ იმედებს გიორგის აღზრდა-გაზრდაზე ამყარებდა, ამიტომ ცდილობდა ბავშვი არ ყოფილიყო გულჩათხრობილი, თანატოლ-მეგობრებისგან განსხვავებული,

ვიქტორს მიჰყავდა ყოველდღივად პატარა გიორგი ბაღში და მასვე გამოჰყავდა. სამსახურიდან დაბრუნებული ვერა სამზარეულოში იწყებდა ტრიალს, დედისა და მეუღლის როლი საუკეთესოდ მოირგო, სადღაც გულის კუნჭულში გაუცნობიერებელი ტკივილის და დანაშაულის შეგრძნება ტანჯავდა. იქნებ ეს დანაშაულია ჩემი დის, ანნას ბავშვი რომ მივისაკუთრე, დედა დავაძახებინე და სიმართლე დავუმალო, განიცდიდა, თუმცა ის კადრიც ნატლად, დეტალურად ახსენდებოდა, როდესაც ღამით შავლაბადიანი უსიამოვნო სტუმრების

წინ დათას ხელდახელ გამომცხვარი ტყუილი, მაშინ სულ პატარა გიორგი ვერას შვილად წარუდგინა მათ. ვერა ყველაფერს იზამდა ყველა ტკივილს და ყველა სირთულეს გადალახავდა გიორგის ბედნიერებისთვის. მეუღლეს მის ნება-სურვილს მორჩილად დაუყვება, გიორგის მამა დააძახებინა და თბილი და მოსიყვარულე მამად ექცა ბავშვს.

ხშირად ავლებდა პარალელებს მებრძოლი სულის მქონე, გამხდარი აღნაგობის დათა მაყაშვილსა და საკუთარი თავის მოყვარული, ჩაფსკენილი გარეგნობის ვიქტორ სოზონოვს შორის. განსხვავება თვალში საცემი ჰქონდათ, მაგრამ ვერა ვიქტორის დიდად კმაყოფილი იყო, რადგან გიორგის მამა დააძახებინა და საბჭოთა საზოგადოების მენტალობიდან გამომდინარე ასე თუ ისე, შვილიანი ქალი შეირთო ცოლად. ამაზე არაერთი დამცინავი რეპლიცა და ჭორი მოუსმენია, თუმცა ქალის დაბეჩავებული წარსულის ტკივილებს აინუნშიაც არ მოუდიოდათ რაიმე სახის ემოცია გამოეხატა საზოგადოების მიერ გამოთქმულ აზრებზე. კმარა, ისედაც ბევრს ვგდეთ ყური, ნეტა ჩემს დაიკოსაც არ დარიდებოდა, იმ უხეირო მეზობლებს არ გაკარებოდა. ვი იცის, იქნებ დღეს ცოცხალი ყოფილიყო, აქ ჩემთან ერთად ბაქოში გვეცხოვრა, ანდაც იქნებ თბილისიდან გამოქცევაც აღარ დაგვჭირვებოდა, ნასტინკასთან ვიქნებოდით, გიორგის ნამდვილი დედის სიყვარული ეცოდინებოდა... თუმც მე ჩემი დაიკოს ხსოვნას პირობა მივეცი რომ გიორგის უდედობას არ ვაგრძნობინებ...“-ხშირად გაუყუჩდებოდა ხოლმე ფიქრებს ვერა.

XVIII

ღვთისმშობლის ტაძრის კუთხე-კუნჭული თვალდახუჭულმა იცოდა ბავშვობიდან, მოგალობე ანასტასიამ. მისი თითოეული ხატი, წიგნი. ახლა ის ტაძარი აბანოდ ექციათ, ამის წარმოდგენა კი ანერვიულებდა ქალს და მის მღელვარებას აძლიერებდა. ტაძრის აბანოში სიარულს აიძულებდნენ ჩინოვნიკებსა და მათი ოჯახის წევრებს, ტაძრის წინ მუდამ მოდარაჯე მილიციის მორიგე ბრიგადე იდგა, რომელნიც დიდი გულისყურით აწარმოებდა წამსვლელ-მომსვლელთა შესახებ აღრიცხვიანობას.

ანასტასია წარმოიდგენდა თუ არა ტაძრიდან გაზიდულ ხატებს, ტაძრის ძველისძველ ნივთებს და იმ ადგილას, სადაც რწმენით გაჯერებული ხალხის სალოცავი და გულისმოსაოხებელი იყო, ბრაზდებოდა. მისი ბაღიდან ხელისგულივით მოჩანდა ქუჩა, გამვლელ-გამომვლელებს იოლად აწვდენდა ხმას, მათ გასაგონად იწყებდა თხოვნასა და ვედრებას: ნუ ივლით იმ აბანოში, სადაც ჩვენი წინაპრების მიერ გულმხურვალედ აღვლენილი ღოცვანი მადლად გვეფინებოდა და გვევლებოდა ჩვენს ოჯახებს,კერებს, ჩვენს ქალაქს, ქვეყანას, ხედავთ რა იცის რწმენის უგულვეყოფამ? წითლები,

ყველგან წითლები ჩანან. ღმერთს ვინ ებრძვის? ვისაც ყველაზე მეტად ეშინია საკუთარი ცოდვების, რომელიც თვით მატერიალიზმის კეთილდღეობისთვის ჩაიდინა. ყველამ ნათლად იცის გული ორ ღმერთს ვერ იტანს, ვერც ღმერთსა და კერპს ერთდროულად. ერთს, რომელიც ყველაზე კეთილშობილია, აუცილებლად გააძევეს მეორე, რათა ადამიანთა გული უკეთ გრძნობდეს ფარისევლობას. უღმერთობა უნდა ცოდვილს, რათა ჩადენილზე პასუხის მომკითხავი არავინ ჰყავდეს, ამიტომ იქმნის ილუზიას მატერიალური მსოფლმხედველობის და თავის გვერდით სხვებსაც აიძლულებს უღმერთობას. არადა, არ არსებობს ადამიანი გულში, თუნდაც სუსტად მაინც ღმერთის რწმენა არ ჰქონდეს და გულში უფლის სადიდებლად სანთლის პატარა ღვენთი არა ბუუტავდეს. ჩიტი წყალს რომ სვამს მაღლა იხედება ღვთის სადიდებლად, ჩვენ კი სადიდებელი ტაძარი აბანოდ გვიქცეის, ტარტლი იქ ჩამოირეცხეთო... ნუ ივლით დასაბანად ტაძრებში, რომელნიც წმინდაა, ნუ შებილწავთ თქვენი წინაპრების ნალოცავ ნაკვალევს.

ხალხმა ღმერთი რომ იწამოს, წითლებს ვინდა იწამებს? არადა მათ თავიანთი ხატება სურთ ყველგან, რათა ადამიანებს უფრო მეტად ეჯეროთ და სწამდეთ მათი, შეშინებული მორწმუნენი კი იოლი დასაჭერია ხელთ, იოლი სამართავი, არადა ვირიც კი გაუჭიუტდება ხოლმე ზოგჯერ დედაბუნებას. შვილიც, როცა დამოუკიდებელ სარჩოს მოულობს, მშობლები უპატარავდება თვალში, ესენიც დაპატარავდებიან. ღმერთის უარყოფით, წითელ ადამიანს თავის მწარედ ცოდვილი წარსულის დავიწყება სურს.

საკუთარი ბაღიდან ანასტასიას მიერ თხოვნა-მუდარის ამბავი ქუჩაშიგამვლელ-გამომვლელებსადმი, უყურადღებოდ არ ჩაუვლია სამართალდამცველთა ყურს. მითუმეტას, თუ გავითვალისწინებთ იმასაც რომ აბანოდ გადაკეთებულ ტაძარში ხალხი აღარ დადიოდა, მხოლოდღა პარტიული ხალხის ცოლები შვილებიანად თუ შეკუნკულდებოდნენ და ისიც არა დასაბანად, არამედ სრულიად ტყუილად, სხვის თვალში მოსაჩვენებლად. უფლის რწმენამ ვარდის კოკორივით გაუშლელად იცის გულის კუთხეში მიყუჩება, მიხუმათება, მაგრამ ოდესღაც აუცილებლად გადაიფურჩქნება და პატრონს ტკბილი საუნჯის ნაყოფით აღაფრთოვანებს.

ერთ დილას, როდესაც გაზაფხულს ნაადრევი პირი ექნა ზამთრის გასაბუნძულებლად, მზის სითბოს მოძალებული ძალი და ღონი ამკობდა ბაღს და ზამთრის ნალექისაგან დარჩენილ სინოტივეს აშრობდა, ხეებიც ისე გადაბადრულიყვნენ, საცაა კვირტობის დასახეთქად იწყებდა თავმომწონეობას, ჩიტები საგაზაფხულო არიებს გალობდნენ ყოველი მზის ტაფობზე ამოწვერისას, ორი მილიციელი გადავიდა ნიკიშეგების ეზოში. ყველაფერს დაკვირვების თვალთ აკვირდებოდნენ და საეჭვოს აღმოჩენას ცდილობდნენ. ერთმა წლობით დაკეტილ სახლს მიუკაკუნა, ვერას გამგზავრების შემდეგ ამ სახლში კაცი-შვილი არ შეჭაჭანებულიყო, გარედან ბოქლომიც კი ჰქონდა გამომბული, რომლის ჟანგმოკიდებული გასაღები ბაწრით წიწოვან ხეზე ეკიდა. მეორე მილიციელი ქაღალდის

ფურცელ-კალამ მომარჯვებული, საგანგებოდ მოემზადა დაკითხვის ჩანაწერისთვის:

-სახელი და გვარი?!-ამოიღუღლულდა ანასტასიას წინ მდგომმა.

-ჩემთან დასაკითხად მოდიხართ და სახელი და გვარი არ იცით?

-გვიპასუხე რასაც გეკითხები!.. სახელი და გვარი!

-ანასტასია ივანოვნა ნიკიშევა.

-გავიგეთ, თურმე ილანძღებით!

-ვის ვლანძღავ? თქვენ თუ თქვენ?-ჯერ ერთს, მერე მორე მილიციელს შეავლო ქალმა თვალი.

-კონკრეტულად მე ვერვინ გამლანძღავს!-ჩაიბუზღუნა მეორემ.

-აბა, კონკრეტულად თუ თქვენ არა, მაშ ვის ვლანძღავ?.. დამისახელოთ.

-კარგით, იქ დაგისახელებთ!

-სად იქ?

-განყოფილებაში.-გასცა დიდმნიშვნელოვანი პასუხი პირველმა მილიციელმა.-ხალხი დადის თურმე თქვენთან... რატომ?

-ვინ ხალხი დადის? ჩემთან უცხო არავინ მოდის, ყველა ღვთის შვილია და ჩემიანი.

-რატომ დადიან, მკითხაობთ?

-ღმერთო, შენ გადმომხედე.-ჩაილაპარაკა უკმაყოფილოდ ანასტასიამ და ვედრებისათვის ცად ალაპყრო თხელი ხელები.-შენ გაუნათე გონება უგუნურთ და შთააგონე სიკეთის არსი.

-კითხვაზე მიპასუხეთ, მკითხაობთ?

-არა, მე მკითხავი არ ვარ.

-აბა, წინასწარმეტყველობთ?

-არა.

-მაშ, ხალხი რატომ დადის თქვენთან?

-იმიტომ, რომ მარტოხელა ვარ, ჩემს სანახავად მოდიან, ჩემს გამოკვებაზე ზრუნავენ, სათბილობელი მოაქვთ, მივლიან, მერე აქ, ხის სკამებზე ჩამოჯდებიან ხოლმე და ვბაასობთ ყველაზე უზენაეს თემებზე, ყველაზე თბილ და მოსიყვარულე ამბებზე. აქ ვინც დადის დიდსულოვანი ადამიანები არიან, რადგან კეთილ საქმეს ჩადიან.

-შენ სულ ასე ზიხარ, გაუნძრევლად?

–დიას!

–თუ ასე ზიხარ, ზამთარში რატომ არ გაიყინე?

–აქ მოსული ადამიანები იმდენ სითბოს და სიყვარულს მიტოვებენ, რომ მყოფნის გასათბობად.

–გათბობა არ გაქვთ?–იკითხა უფროსმა და სახლი უშნოდ თვალმოჭუტულმა შეათვალიერა.

–დიას, მაქვს, აი! – თქვა ქალმა და ხელით თავის წინ სივრცე მოინიშნა.

ერთმა მილიციელმა მეორეს გადახედა და საფერთქელთან მიიტანილი თითი დაიტრიალა.

–რამე ხომ არ გელანდებათ ხოლმე?–იკითხა მეორე მილიციელმა ირონიული ცნობისმოყვარეობით.

–დიას!–თქვა ანასტასიამ და უკმაყოფილოდ მოკუმა ტუჩები.–ახლაც მელანდება თქვენს თავებზე ორი რქა, თქვენ ამას ვერ ხედავთ, მაგრამ თუ წესიერად არ იაზროვნებთ და ბრმა გონების ნაყოფებით ცდუნდებით, წითელი კუდებიც გამოგებმევით, მერე თქვენი ოჯახის წევრებსაც კი შეეშინდებათ თქვენი. კუდიანებს დაგიძახებენ და ფუი ეშმაკის ძახილი სიზმარშიც არ მოგასვენებთ. შენ, მამა გყავს გარდაცვლილი, მორწმუნე იყო და მთელი ცხოვრება ხის ჯვრით დადიოდა, შენ კი ამის გცხვენოდა და მამას ბნელი გონების ადამიანს პირში უძრახდი, ხომ ასე იყო?.. არ გცხვენია?–უთხრა პირველს და მერე მეორისკენ მიაბრუნა პირისახე–შენ კი, ცოლთან პრობლემები გაქვთ, უნაყოფობას იმას აბრალებ, არადა ყველაფრის მიზეზი თვითონ ბრძანდები! კიდევ აიძულე ცოლს წმინდა ტაძარის შეურაცხყოფას? დაიხსომე, ჭუჭყის მადლიერება ჯობია, წმიდათა-წმიდის შელახვას, წარმავალი სხეულის ვითომ გასუფთავების მიზნით! იცოდე, თუ კიდევ ივლი ბარბაროსების მიერ აბანოდნაქცევ ღვთისმშობლის ტაძარში დასაბანად, უარესი დაავადება დაგემართება, მოურჩენელს რომ ეძახი, ის.

ნათქვემის გამო სახე გადაუფითრდა მეორე მილიციელს, მუხლებს ჰკითხა და ეზო ელვის სისწრაფით დატოვა, პირველმა კი დოკუმენტის შევსება ააჩქარა:

–ეგ რა არის?

–მოსაწვევი დოკუმენტი. დასაკითხად უნდა მობრძანდეთ აქვე, რაიონული მილიციის შენობაში–თქვა ხმის კანკალით მილიციელმა.

–კი, მოვალ, ისევე, როგორც ერთდროს მამაშენი მოვიდა შენს წამოსაყვანად, როცა დაჭერილი ჰყავდი უსამართლოდ ე, მაგ სამართალდამცავ მილიციას, მოზარდობისას.

მილიციელმა თვალები დააჭყიტა, სახე წითლად აენტო, მერე უკან მიიხედა, კარგად შეათვალიერა თავისი თანამშრომლის ადგილმდებარეობა, გული დაიმშვიდა იმით, რომ ადგილიდან მოწყვეტილს ისეთი სისწრაფე აეღო რომ გადაერბინა თვალთახედვის არეალი, ქუჩაში ნემსის ყუნწის ხელადა მოჩანდა. ეზოში დარჩენილმა მილიციონერმა ჯებეზე მოკრძალებულად გაიკრა ხელი, იქიდან წითელთუმნიანი ამოიღო და დარცხვენით ანასტასიას ხელებში ჩაუდო:

–მამაჩემის სახელზე სანთლები დაანთეთ რა, გთხოვთ,—ყელზე კანი გამოუწია ორი თითით მეტი ვედრებისგან— მამაც მორწმუნე მყავდა, სულ მიშლიდა რაღაც-რაღაცებს... მე აბანში მხოლოდ ერთი, ჰა-ჰა ორჯერ ან სამჯერ ვარ ნამყოფი, ისიცა სამსახურის გამოსობით, რომ დავენახე, თორემ სახლში „ლახანკაცა“ მაქ და წყალიცა.

მილიციელმა დაკითხის ოქმი იქვე, ანასტასიას თვალწინ დახია, ნახევები მიწაზე დაყარა და ჭარხალივით სახეაღეწილი ეზოს საჩქაროდ გაეცალა.

XIX

ვერა განაცვიფრა ქმრის- ვიქტორ სოზონოვის რბილმა რეაქციამ, როდესაც მაღაზიაში რძისა და ორცხობილის საყიდლად ჩამოსულმა, იქიდან ახალი ამბავი ამოუტანა. ამბავი მეტად საგულისხმო იყო ყველასთვის, მაღაზიის გამყიდველი ცრემლებს თეთრი ხალათის კალთებით იმშრალედა, რადგან მეტი ტირილით სახელოები გასაწური გახდომოდა. მყიდველები სახეზე გადაფითრებულიყვნენ, მხოლოდ ერთი ტანმსხვილი მამაკაცი როხროხა ხმაზე მჭეჭარედ ამღერებდა აზრებს ომის შესაძლო დაწყების შესახებ.

შეშფოთებულმა ვერამ ქმართან მიიბრინა, ამბავი ამცნო და მის რეაქციას დააკვირდა, იყო თუ არა მაღაზიაში გაგებული ამბავი საგანგაშოდ სანერგოულო თუ მაინცდამაინც არა. გაზეთთან მოკირკიტე ქმარმა ერთი აათვალიერ-ჩაათვალიერა ცოლი და ნიშნისმოგებით ჰკითხა:

–და რაა მერე?–გვერდი იცვალა მჯდომარემ კუშეტკაზე და ისევ გაზეთს მიუბრუნდა.

–როგორ თუ რა, ამბობენ ომი იწყებაო, გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორისო, ურთიერთობაა დაძაბულიო, გემის?!

–ვინ არისო დაძაბულიო?–გაზეთის ქვეშიდან მედიდურად ამოხედა შეშინებულ ცოლს.

–ვინ კი არა, ურთიერთობაა დაძაბულიო, ურთიერთობაო, გესმის?! ხალხი ყველაფერს ყიდულობს, მაღაზიებს აცარიელებენ, სარეცხის საპონს ყუთებით ეზიდებიან, წინასწარ იმარაგებენ ყველაფერს... რა გვეშველება თუ ომი დაიწყო.

–დაიწყოს და დაიწყოს, თუ დამიძახებენ წავალ ომში.

–გაგიჟდი, შენი სიკვდილიდა მაკლდა,–ქვითინი აღმოხდა ვერას, ჯიბიდან ყვავილებით აჭრელებული ცხვირსახოცი ამოიღო და თვალების შემშრალებას მოჰყვა.

–რა გატირებს, რა ვთქვი სანერვიულო, აბა?.. ომი რომ დაიწყოს მე თუ არ წავედი, ის თუ არ წავიდა, სხვა თუ არ წავიდა, ომში ვინდა წავა?.. დაწყნარდი ვერაჩკა, შენამდე არ მოვაკარებ არც ფაშისტებს და არც ჰიტლერს.

–რა იოლად იცი საუბარი, თუ ომი დაიწყება ჩემს დას რაღა ეშველება? მიმიტოვებია მარტო, ეულად და მხოლოდ წერილების წერით ვიფარგლები, ჩემს დასთან უნდა გავემგზავროთ, გესმის?! –გამოსძახა მეორე ოთახიდან მოფუსფუსე, აცრემლებულმა ვერამ ქმარს –გესმის?!

–მესმის, აბა, არ მესმის? გაემგზავრე!–ისევე გაზეთს დაუწყო კირკიტი სოზონოვმა.

–მარტო მე?.. და შენ, ბავშვი?

–რა, მე და ბავშვი?–გაიკვირვა მამაკაცმა.

–ის, რომ თქვენც ჩემთან ერთად უნდა გამოემგზავროთ!

–ხო, უნდა გამოემგზავროთ! –გაიმეორა მექანიკურად და ისევე გაზეთს იყო მიბრუნებული რომ ახლდა გაიაზრა ვერას გამოძახილი გვერდითა ოთახიდან.

–რა? ჩვენც უნდა წამოვიდეთ?.. და რამდენი ხნით?

–სულ, სულ უნდა წავიდეთ. ჩემი საბრალო და ისე მივატოვე, თვალიც კი არ დაგახამხამე. მეშინია, ომი რომ მართლაც დაიწყოს და აქ ჩავრჩეთ... ჩემს დასთან მიჯობს, იქ მაინც ერთად ვიქნებით, დარდთან ბრძოლას ერთად უფრო ვუმკლავდებოდით, ერთმანეთს ვიცოდებდით და ვამხნევედით, ჩემი და ჩემთვის იმედია ნავსაყუდელია, ნებისმიერ დროს მხარზე თავის ცამოდება შემიძლია და დარდებიდან დაცლა. მორჩა, გადავწყვიტე, ჩემს დასთან მივდივართ, ყველანი!

–მერე, ჩემს სამსახურს რა ვუყოთ?–გაიოცა სოზონოვმა და გაზეთს ცალი გვერდი უხალისოდ მოუკეცა. გადაკეცილს ხელი გაუსვა მექანიკურად.

-რა დაა... წამოდი, სულ წამოდი, თბილისშიც იშოვი სამსახურებს.

-იქაცაა ფაბრიკები და ქარხნები?

-ყელამდე, ყელამდე ჩაიფლობი მათ ჩამონათვალში.

მეორე დღიდან შეუდგა ვერა ბარგის ჩალაგებას. ხუთი წლის გიორგი ბაღში არ გაუშვა, სამსახურიდან წამოსვლის შესახებ ტელეფონით განაცხადეს ცოლ-ქმარმა. ვერას მიეჩქარებოდა ანასტასიასთან შეხვედრა, მის გულში ჩასახუტებლად განსაცდელი სიტბოს წინდაწინ გულისამაჩუყებელი გრძნობით ავსებდა, წრფელი ცრემლი უნამავდა უძილობისაგან ამოღამებულ თვალის უპეებს.

ქუჩაში გასულებს თვალში მოხვდა ადამიანების ფორიაქი. ზოგს ერთი ყუთი სარეცხის საპონი ეყიდა და სახლში შესანახად მიჰქონდა, ზოგი ფქვილით დატვირთულ ტომრებს იმარაგებდა, ომის მომლოდინეს წინასწარი ეკონომიკური გასაჭირით წარმოდგენილს, სახლში იგროვებდნენ მარაგს. რკინიგზის სადგურიდან კიდევ ერთხელ შეავლო თვალი ქალაქს, თვალთ ემშვიდობებოდა მის გზებს, ქუჩებს, შენობებს, ჰაეროვანი პეიზაჟების ხედებს, ბაქო აღმოჩნდა მისთვის ის ქალაქი, რომელმაც საკუთარი თავი და სიყვარული აპოვნინა, სიმშვიდეს აზიარა.

მშობლიურ ქალაქში დაბრუნებულ ვერას თბილისი ეუცხოვა. ირგვლივ ნაირ-ნაირი სახლები წამოჭიმულიყვნენ, სამშენებლო გუგუნის მოისმოდა ყოველი მხრიდან. წინ მიდიოდა ფეხით, ათვალიერებდა არე-მარეს და გაოცებული რჩებოდა იქაურობით, ყველაფერი გამოცვლილიყო ხუთწლიანი მიტოვების შემდეგ, ხალხიც კი ეუცნაურებოდა, მათი თმის ვარცხნილობები, მხრებამდე აჭრილი თმები და ბოლოებამოპრეხილი ვარცხნილობით, კაბები მუხლისთავებამდე დამოკლებული, წელში მოყვანილი და ქვევით ქოლგებივით დაქანებული. აჭრელებული მაღაზიის ვიტრინები, ადგილობრივად წარმოებული სათამაშოებით, ჭურჭლით, ავეჯით, ტანსაცმლით. ქსოვილების მაღაზიები გადაჭედილი ხალხით. ხშირ-ხშირად ჩაუქროლებდა გაკრიალებულმინებიანი პობედა-მანქანები.

ჯერ ტრამვაით იმგზავრეს, მერე ფეხით აუყვნენ ალილუევას ქუჩისკენ მიმავალ განიერ გზას. ალილუევას ქუჩა ორმაგად დაეგრძელებინათ, ვიდრე ეს ვერას ცნობიერებას ახსოვდა. ახალ-ახალი შენობები, ახალი გზის საფარი, აჭრელებული, ნაირფერად შეღებილი ჭიშკრები, სოზონოვი ხელმოკიდებული ბავშვით დიდი ინტერესით ათვალიერებდა ქალაქს, მათ მცხოვრებლებს, ამდენი ლამაზი ქალი ერთად არასდროს ენახა, ასე მოპრანჭულები.

ვერას ჩემოდნები ეკავა ხელთ, მიდიოდა, აღტაცებული იმ აზრით რომ ქალაქი განსაკუთრებულად გალამაზებულიყო მისი არყოფნის პერიოდში, ახალი შენობა-ნაგებობებით დამშვენებულიყო, ახალი მოდა შემობრძანებულიყო ქალების ჩაცმულობაშიც, თმის მოღურ ვარცხნილობასაც დაემკვიდრებინა თავისი სტილი. ლაქის ხელჩანთათებიც განსაკუთრებულად პატარა ზომის, გაბრჭყვიალებულები ეკავათ.

აღიღუევას ქუჩის დასაწყისში, ძველი დანგრევის პირამდე მისული სახლები სადღაც გამქრალიყვნენ და მის მაგიერ, ლამაზი შენობები წამომართულიყვნენ. ვერას უეცრად ანასტასია და თავისი სახლი გაახსენდა, ნეტა ჩემი ბინა თუ ისევ იქ დგას, ნამდვილად მიმინგრევდნენ, ანღაც ვინმეს შეასახლებდნენო, გაიფიქრა და ამ გაფიქრებულმა აზრმა გულს დარდი შეაყარა, ელდანაკრავივით გაიქცა, ისეთი გარბოდა, რომ უკან მოტოვილი ქმარ-შვილი ვეღარ ეწეოდა. ვერამ თავისი სახლის ძველი ჭიშკარი შორიდანვე დაინახა, საღებავგადაცლილი, სიძველით თავშემოჭმული, თითქოს იმ ძაღლს ჰგავდა უპატრონოდ მიტოვებული მოწყენილობისგან ყურებჩამოყრილი დამნაშავის გაუცნობიერებელი შეგრძნებით ერთ ადგილზე დაყუდებული ადგილიდან დაძვრას რომ ვერ ახერხებს. სხვა დროს აქედანვე ხედავდა მჯდომარე დაიკოს, ახლა გაზაფხულზე პირთამდე ამოწვერილ სარეველა ბალახში, რომელიც მთელ ბაღს მოსდებოდა, აღარ ჩანდა. გამოყრუებული სახლიდან, მისი ეზო-ბაღიდან ჩამი-ჩუმი არ მოისმოდა, თითქოს, სულიერი არ ჭაჭანებდა შიგ, ისეთ სიჩუმეს დაესადგურებინა, რომ ჩიტიც არ ხტოდა, ჭიანჭველაც კი არ დანამცეცებდა მის მიწაზე. თითქოს, ვერას შემდეგ კიდევ უფრო მიეტოვებინა ყველას და ყველაფერს. მხოლოდ ზედ ჭიშკართან მამალი ჭინჭარი იყოყლოჩინებდა თავს.

გული აუფორიაქდა ვერას, ჩემოდნები იქვე მიყარ-მოყარა და ელდანაკრავიანივით ფეხის ბრახუნით შეაღო ჭიშკრის მოფამფალებული კარები. შიგნით შევარდა, რიყის ქვებით დაგებული ვიწრო გზა სირბილით გაირბინა, ხელმარცხნივ, ბაღის შუაგულში წყნარად მუხლადუდებულ დას შეაფეთა თვალები. ირგვლივ, მის სიმაღლე ბალახში იჯდა, სათნოდ, მშვიდი ღიმილით მიჩუმათებული. ანასტასია მოტეხილი ეჩვენა ვერას, თმებშეჭადარავებული, გაფითრებული, ის სინორჩე, გაფურჩქნული ვარდის ბუჩქივით რომ მოჩანდა ბაღის შუაგულში მჯდომი, სადღაც, დაკარგულ დროსთან ერთად გაუჩინარებულიყო, სილამაზით ახლაც ლამაზი იყო, ოღონდ სხვაგვარად ლამაზი, სილამაზეს შარმი და ხიბლი შესცვენოდა, საფერთქლებიდან ჭადარა კარგა გვარიანად ფეხმოკიდებოდა. ისევ გრძელი თმის ნაწნავი ჰქონდა მხარზე გადმოგდებული, წელამდე ჩამოსდოდა მისი ბოლო. გამხდარი, უფერული, მხრებში მოხრილიყო. თვალები, ფეხმარდი დროისა და სიმარტოვის გამო, მზერა შეცვილი. მის კიდებთან შენაოჭებული, წარბები ისევ ისეთი, მრგვალი და თხელი, ისარივით მორკალული. შუბლიც დახაზოდა რვეულის ფურცელივით.

ვერამ ახლა სახლს მიმოავლო თვალი, ისევ ისე ბოქლომდადებული, როგორც გამოჰკრა ხელი ხუთი წლის უკან გამგზავრებისას. ვერამ ცრემლი ვერ შეიმაგრა, ცრემლებდაღვარული სახე დას გვერდზე გახედვით აარიდა:

–ვერკა, ბავშვი სადაა? –ჩაესმა ყურთ ანასტასიას შეშფოთებული ხმა, –ჩვენი გიორგი, ვერკა...– დის თვალში ანასტასიას ხმაც შესცვლოდა.

–გარეთაა, ნასტინკა, ჩემს ქმართან.

–უფ–ამოიოხრა მჯდომარემ–მადლობა უფალს, რარიგ ველოდი მის დაბრუნებას.

ვერას ახლავდა გაახსენდა ქმარ-შვილი, ქუჩისკენ სირბილით გაიქცა, სიხარულით გაეგება. ყელზე შემოეხვია სახლისკენ ნელი ნაბიჯით მიმავალ ქმარს, რომელსაც ხელჩაჭიდებული მოჰყავდა ხუთი წლის გიორგი მშობლიურ კერაზე. მარტოდ დარჩენილი ანასტასია აქვითინებულიყო სიხარულით, დის დაბრუნება მას სახეიმო განწყობას უქმნიდა. გვედით გაიქნია ხელები მექანიკურად, სახეზე დამდენი ცრემლების ზღვა ამინდის ნალექისგან გაცვეთილ კაბის კალთას უსველებდა. ვერამ გიორგის ხელი მოჰკიდა და თითქმის თავდაუზოგავი სირბილით მიუყვანა ნასტინკას:

–გაიცანი შვილო, ეს შენი დეიდაა, შენი საკუთარი დეიდა–ტირილისგან სიტყვები ეყლაპებოდა ვერას.

ანასტასიამ მკერდზე მიიკრა ბავშვი, რომელიც სახის მოყვანილობით, თვალების შემონათებით ბიოლოგიური მამის ასლი იყო, თვალის შეფერილობით ჰგავდა მხოლოდღა დედას. ბავშვის შეხედვის ერთმა წუთმა თავიდან განაცდევინა მისი მშობლების წარსული თვალწინ დაუდგა დათა მაყაშვილი და მისი ჩვეული მანერების მქონე სიარული, მშფოთვარე საუბრის ტონი, მისი ხელგაშლილობა და გულკეთილობა, ანნას ტანჯვა ქმრის დაკარგვის შემდგომ, დის გადახოტრილი თავი, წამებისგან ამოწყლიანებული თვალები, გაუფერებული ტუჩები, მისი სიკვდილის მოახლოების წამები. წარსულის კადრების გახსენებამ ერთიანად ააცახცახა. ბავშვს გულში იხუტებდა, თავსა და ზურგზე უსვამდა ხელებს და გრძნობდა, მისი პატარა გულის ძეგრას, რომელიც ესოდენ აახლოვებდა მის ცხოვრებასთან, ეს პატარა, მაგრამ საოცრად ფასდაუდებელი სიცოცხლე მისი სუნთქვის მთავარი მამოძრავებელი ძალა, გულის ფეთქვის მიზეზი და სიხარულის წყარო გამხდარიყო:

–ნასტინკა, ეს ჩემი ქმარია, გაიცანი! –მოახედა მის წინ, წელამდე აბიბინებულ ბალახებში მდგომი საშუალოზე ოდნავ მაღალი, ქერათმიანი, და ცისფერთავლება, კოხტად ჩაცმული, ორმოციოდე წლის მამაკაცი. ანასტასიამ ისიც გულში ჩაიკრა, ისე რომ ბავშვი მკერდიდან არ მოუცილებია. მშობლიურ კერაზე გაუცნობიერებელი ემოციებით დატვირთულმა ბავშვმა ვიქტორისკენ გაიწია. ანასტასიაც, მიუხედავად სასწაულებრივი მონატრებისა, მის ნებას მორჩილად დაჰყაბულდა და ხელი უშვა. მარტოდ დარჩენილი დები, ახლა ერთმანეთს ჩაეკრნენ, შეგნებულად ერიდებოდა ვერა ამ მომენტს, დანამდვილებით გრძნობდა, რომ გულაჩუყებული თავს ვერ შეიმაგრებდა და დის წინაშე უსაზღვროდ დაიცვებოდა მოწოდებული მონატრებისგან, თანმდევი სევდისგან, გარდაცვლილი სიძე-დის გახსენებისგან, ყველაფერი მის წინაშე გაახსენდებოდა და ემოციების დაცლამდე გულს ვერ მოიბრუნებდა, ადვილად ვეღარ შეიშრობდა ცრემლს. ამას კი ანასტასიას აფორიაქება მოჰყვებოდა.

ერთმანეთს მიხუტებული დები ტიროდნენ, ხანდახან სახეზე შეხედავდა ვერა, ხელებით თმებზე მიეაღერებოდა, მის დანაოჭებულ შუბლს ხელის გულს ნახად მოავლებდა და ისევ მკერდზე ეხუტებოდა:

– მითხარი ხომ კარგად იყავი ბაქოში, ხომ იპოვე ბედნიერება...

– ჩემი ბედნიერებისთვის უშენობა მაკლდა. გიორგიმ ასე იცის, რომ მე დედა ვარ და ჩემი ქმარი მამაა, ასე გამოვიდა – დაკვირვებით შეათვალიერა ვერამ დის რეაქცია ნათქვამზე და განაგრძო: – მისთვის არ მითქვამს რომ ჩვენი დის-ანნას შვილია...

– კარგად მოქცეულხარ, დაე, ასე იცოდეს, უკეთ იქნება, ამბობენ დეიდას დედის სუნი უდისო, ბავშვს ცოცხალი დედა ესაჭიროება და არა გარდაცვლილი...

ანასტასიას სევდიან ნათქვამზე ვერამ შვებით ამოისუნთქა, ეგონა ვერ გამიგებსო, მტკიცედ მისაყვედურებს და დის ხსოვნის უპატივცემულობაში ჩამითვლის, მისთვის დედის სტატუსის ჩამორთმევისთვისო, მაგრამ

ანასტასიას ნათქვამის გამო ძლიერ გაიხარა. მაშინვე ფეხზე წამოხტა, ბოქლომის გასაღები მოიძია, ჟანგმოდებულს ძლივს მოარგო. სახლის კარის გაღებისთანავე ეცა ჩაშმორებულის სუნი, შესასვლელის კუთხეშივე ნაცრისფერ ქუდიანი სოკოები გაჩენილიყვნენ, დიდი თავები გაეკეთებინათ და სინესტეც კარგა გვარიანად დაეჭირათ მთელ სახლში, მათი აღმონაცენის თავზე სახლის სახურავი ქარს გადაეხადა და წლობით დინა წვიმა-წყალს ოთახებში კედლებსა და მოკრძალებულ ავეჯზე. ერთი კედლიდან მეორეზე სიდიდით მოზრდილტანიან ობობას იმხელა აბლაბუდის ქსელი ჩაეხლართა, რომ გავლას შეუძლებელს ხდიდა და შემზარავად გამოიყურებოდა, გაღებულ კარსა და თავახდილ სახურავს შორის ორმხრივად გამჭოლმა ქარმა ჩაიქროლა, რამაც ჰაერში შეანარჩუნა დიდრონი აბლაბუდის ქსელი, ზედ ობობებმა სწრაფი მოძრაობით გადაირბინ-გადმოირბინეს და კედლის მოზრდილ ყურეებში მიიმალნენ. შორიდან დაუწყეს დაუპატიჟებელი სტუმრებივით შემოჭრილ მეპატრონეებს მოზაიკური მხედველობით თვალთვალი.

იმ დღიდან სახლს კაცის ხელიც დაეტყო და ქალისაც, ბავშვის ქრიამულითაც გაიხარეს კედლებმა, სარეველა ბალახიც გაქრა ბაღიდან. მუხლდაყუდებული ანასტასიაც ახალი, დის ნახელავი კაბით შეიმოსა. ვერამ მონატრებულ დაიკოს წელს ჩამოცდენილი ნაწნავები დავარცხნა და შეუღამაზა. არემარეზე დედამამიშვილზე ტკბილად მოღუღუნე არვინ ყოფილაო, ეაღერებოდა ეზოში გამოსვლის ყოველ ჯერზე ანასტასიას.

ახლა გამარგლულ-გასუფთავებული ბაღიდან კარგად ხედავდა უკვე ქუჩას ანასტასია, მის გამვლელ-გამომვლელებს კვლავაც დიდი საღმით შეუძახებდა ხოლმე და ღვთის სიყვარულისკენ მოუწოდებდა: – გახსოვდეთ, ადამიანი სიყვარულისთვის იბადება, სიყვარულის სამყაროდან მოსულს ქვეცნობიერად გვესმის მისი ძალა და ამიტომ უხილავად თუ ხილულად მის ძიებში ვართ, მაგრამ ამაში მდგომარეობს ჩვენი უგუნურობა, სიყვარულს

ძიება არ ჭირდება, მიიხედ-მოიხედეთ და რასაც დაინახავთ თქვენს სიახლოვეს, მშობელს, დედამამიშვილსა თუ ახლობელს, ყველას მიმართ სიყვარულით გაიმსჭვალეთ. თქვენი სიყვარული აგამადლებთ, გაგაკეთილშობილებთ და ბოროტებას ახლოსაც კი არ გაგაკარებთ.

გამვლელ-გამომვლელნი დაკვირვებული თვალით ათვალიერებდნენ მჯდომარე ანასტასიას ეზო-კარ-მიდამოს, რადგან უწინ სარეველა ბალახები მაღავდნენ და ფარავდნენ იქაურობას. ზოგი უკვე სცნობდა კიდევ და შორიდანვე თავი დაკვრით ესალმებოდა.

მწარე სიტყვამ ამყრალება იცის, მყრალი სიტყვის ამოსვლას კი სულ უთქმელობა სჯობსო, დამიჯერე, თუ სიტყვებთან ბრძოლაა საჭირო, სჯობს უთქმელი და სიტყვაძუნწი გერქვას, ვიდრე მწარე სიტყვა-ბოდიალა. – შეუძახებდა ხოლმე გამვლელთ, ისინიც მის დარიგებას ყურს უგდებდნენ, თანხმობის ნიშნად უღიმოდნენ ან ხელს უქნევდნენ.

სიძემ არ იცოდა ანასტასიას ამბავი, რატომ დამიმალეო, უსაყვედურა ვერას,

–მე სულ გეუბნებოდი რომ დაიკო მყავს-მეთქი!

–მეუბნეოდი, როგორ არ მეუბნეოდი, მაგრამ თუ ვერ მოძრაობდა, ერთ ადგილას იჯდა დაუძღვრებული, გადაადგილება რომ არ შეეძლო, ეგ კი არ გითქვამს.

–რომ მეთქვა, რას იზამდი?–ჰკითხა ვერამ და დაკვირვებულად შეხედა ქმარს მისი რეაქციის გამოსაცნობად.

–უფრო დავაჩქარებდით აქეთ გამომგზავრებას, აბა რა გული მოგვითმენდა მეზობლების იმედად დარჩენილი დის უნახაობას? აბა, არ გეცოდებოდა როცა გაგახსენდებოდა მოტოვებული უმწეო და, რომელსაც ხან წვიმა დაუდის თავზე და ხან თოვლი... ეს რა ნახა ჩემმა თვალებმა, იმხელა ბალახში იჯდა ქალი არა ჩანდა. როგორ მიატოვე მარტოდ-მარტო?

–აბა რა მექნა?

–თან უნდა წამოგეყვანა, სადაც მიდიოდი იქეთ უნდა გექნა მაგისტრისაც პირი, ტყუიხარ, სტყუი–ხმას აუწია მამაკაცმა და გაბრაზებულს სახეზე აღმური წაეკიდა, სკამზე ჩამომჯდარმა ისევ განაგრძნო უკმაყოფილო საუბარი ცოლის მისამართით – არ მესმის, შენს დას, შენს სისხლსა და ხორცს, მისატოვებლად რომ გაიმეტებ, სხვას რას უზამ?... მაგალითად მე, მე არ მიმატოვებ? მე რომელი შენი სისხლი და ხოცი მნახე...

ვერას გულის სიღრმეში სიამოვნებდა კიდევ მამაკაცის საყვედურებიანი მზრუნველობა მისი დის გამო, სიხარულით ისმენდა თითოეულ სიტყვას, მაგრამ თავის გასამართლებლად რაიმეს თქმას არც

კი აპირებდა, როდესაც მიხვდა რომ მისი ქმარი კიდევ კარგა ხანს არ აპირებდა შესვენებას, რადგან სიტყვათა მოძალებულს ისე ჰქონდა გეზი აღებული, რომ ალბათ ვერ კი ფიქრობს დროის ფუჭად გასვლასო, –გაიფიქრა ვერამ და გადაწყვიტა ქმარი ტკბილი ენით დაეშოშმინებინა. კალთაში ჩაუხტა ვიქტორს, სახეზე შეჰკლიმა და გულზე ხელმიდებულმა შეჰფიცა: –გეფიცები, ჩემთვის ყველაზე წმინდას, საყვარელს, გეფიცები ჩემი დედ-მამის ხსოვნას, შენ არასდროს მიგატოვებ, არც ჩვენს შვილს-გიორგის, არც ჩემს დაიკოს, მე ეს მინდოდა, ყველანი ერთად ვყოფილიყავით, ამ სახლში – თქვა და თვალთ მიმოეფერა ყველაფერს, – ამ გარემოში, სადაც ჩემმა და ჩემი დების ბავშვობამ გაიარა, ჩემი დედიკოს და მამიკოს თბილი ბუდეა ეს, მათი აშენებული, აქ ყველაზე უკეთ ვგრძნობ თავს. მერწმუნე აქ ვეღარც ომის დაწყების შიში და პანიკა შეგვაშინებს და ვერც გაჭირვება, აღარც ნავთზე და პურზე გამბული რიგიანობის მეშინია და არც სხვა რამის. აბა, მითხარი, შენ და გიორგის, რომელნიც ჩემ სისცოცხლეზე მეტად მიყვარხართ, როგორ მიგატოვებთ? უთქვენოდ ერთი ამოსუნთქვაც კი არ შემიძლია, ლუკმა არ გადამივა ყელში, ეს გული ფეთქვას შეწყვეტს, ასე დამემართა სულ პირველად შენი ნახვას, ახლაც თვალწინ მიდგას შენი სახე და ჩაცმულობა, პირველი ნახვით გამოწვეული შთაბეჭდილება არასდროს წაიშლება ჩემს გონებაში... მაშინ, გავიფრიქრე, ნეტა ამ კაცის ცოლი მანახა, რა ბედნიერ იღბალზე ყოფილა გაჩენილი-თქო, რა ვიცოდი რომ თურმე ჩემს თავს შევენატროდი...

მამაკაცს ესიამოვნა ქალის ტკბილი ნაუბარი, პატარა ბავშვივით სმენად გაკრეფილიყო და სახეს კეთილი ღიმილი დაფენვოდა, თვალებში თბილი ემოციები აციმციმებულიყვნენ და გულში ტკბილად ეღვრებდა ცოლის ბაგიდან წარმოთქმული თითოეული სიტყვა.

XX

–ხანდახან ისეთი წრფელი გულისა და სულის ადამიანი მესტუმრება, რომ მინდა ჩემი გული ამოვიგლიჯო სხეულიდან და მას ვაჩუქო, გადაშლილ ხელის გულებში ჩავუსვენო მადლიერების ნიშნად. ასეთი ადამიანები განსაკუთრებულად უყვარს მამაზეციერს. –გაუზიარა სათქმელი დასაპურებლად მისულ ვერას ნასტიამ.

–ზოგი შინაგანად ბავშვივით უეშმაკო და უბოროტოა, შეიძლება რამე თქვას, იწყინოს, გაწყენინოს, მაგრამ გული ახლადგადაშლილი ვარდის კოკორივით ფაქიზი აქვს, აი ისეთიც მინახავს, ხასიათში გამეფებული ბოროტება რომ არ ასვენებთ, ცინიზმით სახსევს, გულღვარძლის სხვაზე გადანთხევა რომ სურს, რათა სხვისი სიმწრის მაცქერალმა თვითონ დროებით მაინც ჰპოვოს შვება, გაიხაროს. ასეთები ჩემში მუდამ შფოთვას იწვევენ, ადრე მათაც მორჩილად და

მოკრძალებულად ვღებულობდი, ახლა აღარ... როგორც კი ასეთ ადამიანს მოვკრავ თვალს ჩემს სიახლოვეს, მაშინვე ეზოდან მივაბრუნებ ხოლმე.

ვერა გააკვირვებული უსმენდა უფროს დაიკოს: –მერე, შენ შორიდან რას ხედავ ადამიანის გულღვარძლს?.. ან მის ხასიათში გემეფებულ სიბოროტეს?

–ვხედავ ვერაჩკა, ვხედავ, ნეტავი ვერ ვხედავდე და.. ეგაც ერთგვარი ბედნიერებაა, ოღონდ ბრმა ბედნიერება.

–რა?– გაიოცა ვერამ და მის წინ მუხლზე მჯდომარე დაიკო ნიშნის მოგებით შეათვალიერა

–ყველა ადამიანს თავისი მსგავსება დაჰყვება უკან, მასზე ატყვია კეთილშობილებისა თუ სიბოროტის ხელი, არ არსებობს ისეთი კეთილი ადამიანი, რომელსაც სიბოროტის მარცვლები ნაყლაპი არ ჰქონდეს და პირიქით, არ არსებობს ბოროტებით სხეულ გაჯერებული ადამიანი, სიკეთე მუდმივად დავიწყებოდეს. მაგრამ რა როგორ სჭარბობს, მაგაზეა დამოკიდებული, შეგნებული ბოროტება სხვაა და შეუგნებლობით გამოწვეული კიდევ სულ სხვა. სხვისი ცდუნება ორმაგი ბოროტებაა, მრავალჯერადი ცოდვითი საზღაურით. ბოროტებს, რომელთა გული მრავალსაუკუნოვანი გამყინვარებით მოცულან, ეზოდანვე ვაბრუნებ, მათ ლოცვაში თუ მიუახლოვდება ზეციურნი, ციურნი, თორემ მე, უბრალო მოკვდავმა ისინი როგორ გავათბო?.. იცი, ჩვენი ანნას მომწამვლელი იყო ამას წინებზე, ჩემთან სურდა მოახლოვება, მე ვუკივლე, ახლოს არ მოვიკარე, ეზოს შემოსასვლელიდან ფეხიც კი არ გადმოვადგმეინე. ის იმიხვდა რატომც ვემდუროდი, საჩქაროდ გაეცალა აქაურობას, იმის შიშით, რომ ჩემი საცოდავად მოწამლული დის შესახებ რამე არ წამომცდნოდა.

–შენ რა იცი, ვინაა ანას მომწამვლელი?

–ვიცი, ვერაჩკა, ვიცი, ნეტა იმ დღესაც ასე უხეშად მოვქცეოდი, აქედან გამეგდო, ახლოს არ მომეშვა, მაგრამ ისე ჰქონდა ანნას თავგზა აბნეული რეპრესირებული ქმრის გამო, რომ მეც ამბბნია და თავისი თავიც.

ვერას თვალწინ წარმოუდგა წარსულისდროინდელი მოგონებანი; ანნა თავისი სუსტი, თხელი სხეულის ნარნარით ეზოში მოფუსფუსე, წინასაფარშემოხვეულს უყვარდა დაგვა-დასუფთავება.

განსაკუთრებულად იცოდა დათა მაყაშვილის მომლოდინემ გააქტიურება, ხან ეზოს მივარდებდა, ხანაც სამზარეულოში მოჰყვებოდა საქმიან ფუსფუსს. „დათას ხინკალი უყვარს, იმერული ხაჭაპურის ცომის დამზადება მასწავლა დედამისმა“, ამბობდა და შინაგანად ისე ღელავდა, თითქოს ზღვის მოქცევისთვის ემზადებოდა. დათას დანახვისთანავე მშვიდი ხასიათი დაისადგურებდა ხოლმე მასში. ვერას ის დღეც ნათლად ახსოვდა, გამწარებულს როგორ ჰქონდა თვალის გუგები

გაფართოვებული, როდესაც დათას დახვრეტის შესახებ შეიტყო, როგორ გადარეული მოთქვამდა, ადგილს ვერ პოულობდა, სიმშვიდის საძიებლად ოთახის ხან რომელ კუთხეში ჩაიმუხლებოდა და ხან რომელ ადგილს მიჯდებოდა, გამალებული ოხრავდა. მეზობელი სიდონიას გაფრთხილებაც არად ჩააგდო, მაინც ბელადებისა თუ სისხლიანი რეპრესიების ძაგებასა და განკითხვაში იყო. იქამდე ვერ მოისვენა, სანამ თავსაც არ მოსწია და ანაცვალა ქმრის ხსოვნას საკუთარი სიცოცხლე.

–ვერა, შეხედე!– ნასტიას ჩუმად ნათქვამმა ფიქრებიდან გამოარკვია. ნასტიას ხელით მითითებული ადგილისაკენ გაიხედა. ქუჩის მხრიდან მათ ხის ღობეს შავად ალაპლაპებული ავტომანქანა პობდა მოსდგომოდა, მინები გარედან ისე აპრიალებული ჰქონდა, რომ სალონში არაფერი მოჩანდა. მანქანა ერთხანს ასე გაშეშებულივით იდგა, მერე ნელი მოძრაობით დაიძრა, ბოლოს თვალსაც მიეფარა. ამის შემხედვარე ვერას შიშის ურუნტელმა დაუარა.

–ღმერთო, შენ მიშველე, ეს რაღა იყო?.. ნუთუ აღარ დამთავრდა ჩვენს ოჯახზე ზვერვა და ტრაგიზმი? ესლა სადღა გავიქცე ნასტინკა, გიორგი სად გადავმალე?

–ნუ დარდობ, აქ რაიმეს ხედავ ზიანისმომყენებელს?–დაამშვიდა აფორიაქებული უმცროსი და ანასტასიამ. – ჩემთან მოსვლის უფლება ნებისმიერს აქვს, ეს ქალიც ცოდვას, თვითონ არაფერი დაუშავებია, გარდა იმისა რომ ტირანი შვილის ცოდვები გადადის მასზე.

–ვისზე ამბობ?–გაიკვირვა ვერამ–შენ ამ ავტომობილით ვინმე გსტუმრობს?

–აი, როგორც ხედავ, ახლა მესტუმრა, –ჩაეღიმა თავისთვის ნასტიას, გვერდით მიხედ-მოიხედა, მერე დას შეანათა ზღვასავით კამკამა თვალები და დასძინა: – აი, მოსვლა რომ უნდა, ხომ ეტყობა, სხვა დროსაც დააპირა ჩემთან შემოსვლა, მაგრამ აქ მყოფ ხალხს რომ ხედავს აღარ მეკარება. ანუ, მარტოდმყოფ ჩემთან თუ შემოვა. ისე, ვერ გაუბეღია.

–და, განა, ვინაა ასეთი?

–არის , ვერაჩკა, არის, და ზუსტად ვიცი, რისი კითხვაც სურს, მას შვილი აგზავნის ჩემთან.

–ვერაფერი გავიგე ნასტინკა, განა ვინაა ასეთი რომ არ მეუბნევი, ან რისი კითხვა უნდა?

–თვითონაც ნახავ ვინაა ასეთი, ცოტაც მოიცადე და... მაგრამ, თუ რისი კითხვა უნდათ, გეტყვი, ოღონდაც არ შემიშინდე: მაგათ აინტერესებთ, ომი ვისი მოგებით დასრულდება, აი, ეგაა მათი დაინტერესება ჩემით, სხვა კი არაფერი. შენ ნუ გეშინია, ახლა ხელს აღარავინ გახლებთ, აღარავის სჭირდება ჩვენი ხელის ხლება.

–ნასტია–ვერამ გაოცებისაგან თვალები დააფახულა და პირზე ხელაფარებულმა იკითხა– მართლა იქნება ომი?

–იქნება ვერაჩკა, იქნება, აუცილებლად იქნება, დიდი მსოფლიო ომი ახლოვდება და ეს ომი ჩვენი გამარჯვებით დასრულდება, ძალიან გაგვიჭირდება, მსხვერპლიც ძალზედ დიდი იქნება... ომში დაღუპულთა განსაკუთრებული მზრუნველობით ელოლიავებიან იმ უკვდავ სამყაროში, რომლის არსებობის მათ მოშიშ დიდკაცებს არ სჯერათ. –ანასტასიამ მოსიყვარულე თალებით გადახედა შეშინებულ დას, თავზე ხელით მისწვდა ახლად დაყენებული ქორი ალერსით მოუქეკა –შენ ნუ გეშინია ძვირფასო, თბისლიში ტყვია არ გავარდება, აქამდე თბილისის ქუჩებმა ისედაც ბევრი სისხლი ნახა. ბევრი, უდანაშაულო ახალგაზრდის სიცოცხლე მოისპო სრულიად უმიზეზოდ, ერთი ხელის მოსმით მოიცვალა მათი სისცოცხლე, გვერდით მყოფთა მორალური სიძლიერეც, თავისუფალი აზრის გამოხატვის უნარიც. ადამიანებს ფიქრის ეშინიათ, დაფიქრებული ადამიანის აზრს ვერ კითხულობენ, ამიტომ იმის ფიქრით, რომ შესაძლოა ის უბრალო მუშაკი თუ ხელოსანი, ფიქრისას მათზე ცუდს ფიქრობდეს, უნდა ხელყონ. შენს არ ყოფნაში, აგერ, ჩვენი მეზობელი სიდონიას ქმარი-კოლა დახვრიტეს, კოლმეურნეობაში ბრიგადირად მუშაობდა საწყალი, თბილისის შემოგარენში დათესვის პროცესს ადევნებდა თვალყურს, მერე მოუშარეს, ხორბლის თესლი 4სმ-სიდრმის ნაცვლად ნსმ-ზე ჩაგითესავს, რამაც ნაკლებმოსავლიანობა გამოიწვია და სახელმწიფო აზარალეო. გაუყენეს დასახვრეტ გზას. იდარდა სიდონიამ, იდარდა და აბა, რაღას უშველიდა, რაღას მოაწევდა სანუგეშოს. დარჩა მარტოდმარტო საცოდავ ბურდასთან ერთად.

–ბურდა როგორღაა, ისევ ისეთი გიჟმაჟოა?–იკითხა ვერამ და ახლად დახედა ანასტასიასათვის მოტანილ საუზმეს თითიც არ ჰქონდა დაკარებული.–შენ რა არ ისაუზმებ?

–მერე ვისაუზმებ, სხვა დროს.

–როდისღა სხვადროს?–გაწიწმატდა ვერა–იცი, რა გულით მოგიმზადე? ბაქოში ყოფნისას შენ გამო ლუკმა არ გადამდიოდა ყელში, სულ მეფიქრებოდა, ჩემი და ალბათ მშიერი ზის და ლუკმა ენატრება-თქო, ახლა მაინც დამასვენე შინაგანად, ცოტა შეჭამე ჩემიგულისთვის მაინც!

–ხომ იცი ვერაჩკა, არ მიყვარს ჭამაზე დაძალება, როდესაც მაძალებენ უფრო აღარ ვჭამ. ცოტაც მოიცადე, მომივა მნახველი და იმასთან ერთად შევჭამ. ისე სულ ჭამაზე გამუდმებული ფიქრი მავენებელია, სიცოცხლისათვის დრო გამოზომილია, და იმასაც ჭამაზე ფიქრით ნუ განვლევეთ, უფრო ლამაზისა და პოზიტიურის ფიქრით დავიტვირთოთ უმჯობესია.

განაწყენებულმა ვერამ ლანგარზე დადებული ცხელი ჩაი, კარაქ-ჯემიან პურის მოზრდილ ნაჭერთან ერთად ხელში დაიკავა და ბრაზისაგან ტუჩებმოპრუწული სახლში შებრუნდა.

ქმარ-შვილს ჯერ კიდევ დილის ტკბილი ძილით ეძინათ. ფეხაკრეფით შეიპარა სამზარეულოში და ჩუმ ფუსფუსს მოჰყვა. სამზარეულოს ფანჯრიდან დაკვირვებულად დააქებდა მჯდომარე დაიკოს, რომელსაც ლოცვისთვის მიეყო ხელი. ვერა აკვირდებოდა მარტოდ დარჩენილი ანასტასიას მანერებს, თითქოსდა უხილავ სამყაროს ესაუბრებოდა, წინააღმდეგობის უნარიც გასჩენოდა, ანასტასია ისეთი პირმომცინარი, გულუბრყვილო, პატარა ქალიშვილი აღარ იყო, ასაკის მატებასთან ერთად განსხვავებული თვისებებ-მანერები შესძენოდა. საუბრობდა სრულიად მარტო, ხელებს ისე იშველიებდა, თითქოს მის წინ მდგომს ესაუბრებოდა, სიტყვაძუნწობაც დამართნოდა, პასუხის გაცემა თუ არ მოეწადინებოდა, არამც და არამც ძალით თავსაც კი არ დაგიქნევდათ. ხანდახან სახე მოელუშებოდა, დაუსევდიანდებოდა, უწინ ასეთი სახის გამოგეტყველებისას ცრემლების კორიანტელს აყენებდა, სცვიოდა დაპაღუპით, კალაპოტნაპოვნი მომცრო ცრემლის ბურთულები ჯერ ლოყებზე დაედინებოდნენ, მერე თხელ გულმკერდზე იწყებდნენ წვეთვას, იქიდან მუდამდღე ერთ მდომარეობაში გეხვევებულ მუხლებზე დაივანებდნენ ადგილს. ახლა ნასტიას აღარ ეტირება ისე ხშირ-ხშირად, როგორც ეს წარსულში ხდებოდა, მხოლოდ ლოცვისას გადმოსოდა ცრემლი, ისიც დამჯდარი ცრემლი, ისეთი, წინდაწინ კარგად გაცნობიერებული ტირილის მიზეზი რომ აქვს. ეს ცრემლი უფრო სამადლობელო ცრემლი იყო, ვიდრე სამწუხრო.

თუმცა ვერა საკუთარ თავს ზოგჯერ უტყდებოდა, რომ ზედმეტად მისტურად ფიქრობდა საკუთარ დაზე, რომ ის ჩვეულებრივი ნასტინკა იყო, ისეთი, როგორიც უწინ, ბაქოში გამგზავრებამდე, ახსოვდა: ერთი უბრალო, სევდიანი და სიყვარულის გამო თავდაჩაგრული კაფანდარა ქალი... ვერა სინანულით დაიდანაშაულებდა ხოლმე თავს, საკუთარ დას კარგად ვერ ვემსახურები, მეტი სითბო და აღერსი სჭირდება ჩემგანო, მე კი უჭმელობაზე ერთ ამბავს ვტეხავ, ისედაც გულნატკენს საკვების გამო უარესად ვტკენ გულსო.

...მაგრამ ერთხელ, როდესაც ანასტასიასთან მიყვანილი ხელებგაკოჭილი ბიჭის ამბავს შეესწრო, სრულიად შეიცვალა დის მიმართ წარმოდგენაც და დამოკიდებულებაც. იმ ამბის შემხედვერე გაოცებას ვედარ მაღავდა და თავს უმკლავდებოდა ცნობისმოყვარეობისგან მოწოლილი კითხვების შეკავებაში.

სისხამ დილას ეზოში ხალხის ჩოჩქოლის ხმა მოესმა ახლადგადვიებულ ვერას. ფანჯრიდან შენიშნა უცხონი მჯდომარე ანასტასიას გარშემო შეჯგუფულიყვნენ, მის წინ მუხლებზე მტირალა ქალი დამხობილიყო და ტირილისაგან ნაყლაპი სიტყვების გამო აზრს კარგად ვერ გადმსცემდა. ხალხში მამაკაცები მეტად სჭარბობდნენ მტირალა დედაკაცებს. ვერას გაუცნობიერებელმა შიშის ზარმა დაუარა, რომელიც ახლადგადვიებულზე უფრო არასასიამოვნოდ შეიგრძნობა, გუნება-განწყობა შეეცვლა, სახე მთლად გადაუფითრდა, სასწრაფოდ გადაიცვა ტანთ და ეზოში მჯდომარე დის უკან დადგა,

რომლის წინ დამხობილი ქალი მოთქვამდა ტირილით და მჯდომარე ანასტასიას შეველას სთხოვდა. მამაკაცებს ხელეზგაკოჭილი თერამეტიოდე წლის ვაჯი ჰყავდათ აქეთ-იქიდან ხელკავგაყრილი. ბიჭი ისტერიულად ტიროდა, თუმცა გარკვევით სიტყვებს არ აყოლებდა ტირილს, მხოლოდ გაუცნობიერებლად ღმუროდა:

– მიშველე, რამე დამარიგე მჯდომარე ანასტასია, როგორ მოვიქცე არაფერი ვიცი, თავისი მოსაკლავად იწევს, რამდენჯერ გადავარჩინეთ, გამუდმებულად ვყარაულობთ, დღეც და ღამეც თვალს არ ვაშორებთ, მორიგეობა გვაქვს დაწესებული, უკვე რამდენიმე თვეა ასე ვიტანჯებით, უმიზეზოდ დაეწყო აკვიატებული აზროვნება თვითმკვლელობის შესახებ... – მოსთქვამდა თვითმკვლელობის წყურვილით შეპყრობილი ვაჟის დედა და ერთთავად ცახცახებდა, მხრებიან -ნიკაპიანად. – რა აღარ გქენით, რა ხერხს აღარ მივმართეთ, ექიმსაც ვაჩვენეთ, შედეგი არ გვაქვს, ერთადერთი შვილი მყავს, როგორ მივუშვა თავის სურვილის აღასრულებლად, დამეხმარე ანასტასია, შენს იქით გზა აღარ მაქვს, ან ის მაინც მითხარი როგორ ვუშველო, ან მისი არ ყოფნის შემდეგ მე როგორღა ვიცოცხლო... დედა ვარ, გამიგე გთხოვ–

ანასტასია ქალის ტირილზე თვითონაც ასლუკუნდა, თავზე ეაღერებოდა და დამშვიდებას სთხოვდა.

– ჯერ უნდა დამშვიდდე, რომ რამე ვუშველოთ,

– როგორ დამშვიდდე, როგორ, როდესაც ჩემი ერთადერთი შვილი თვითმკვლელობის მსხვერპლი უნდა გამიხდეს, ვგრძნობ უკვე წინდაწინ ამას, საფრთხე უკვე ყურისძირას მიზის.

– დედის მშოთვარე ხასიათი პირდაპირ კავშირშია შვილის ხსიათთან, დედა-შვილი ხომ ბიოლოგიური ძაფებით არიან დაკავშირებულნი ერთურთთან. შენს ხასიათში აღმოცენებულ ისტერიულ მდგომარეობას უფრო უარეს შედეგამდე მიჰყავს შენი გაჩენილი შვილი. ეცადე, ეცადე დამშვიდდე! – ატირებულ დედას თავზე გამალებით უსვამდა ნაზად ხელს, მერე მისი აკნკალებული ხელი გულში მიიკრა, თვალდახუჭულმა წარმოიდგინა თუ რას გრძნობდა ავადმყოფი შვილის დედა, ერთხანს გულში ნათელმა მზის სხივიც შეიჭრა იმ აზრით გარემოცული, რომ მისი პატარაობის დროს დედა ავადგამხდარი ნასტინკას ხელსაც ასე მიხუტებდა მკერდში, მისი დედაც ასეთი განცდებით ადევნებდა თვალყურს შვილის გამოჯანმრთელებას, დედა-დედაა, მისი შინაგანი ინსტინქტი მომართულია შვილის ჯანმრთელობისკენ, გაივლო გულში აზრი და ამ აზრმა კიდევ უფრო გულჩვილად განაწყო აცრემლებული ქალის მიმართ. ახლა თვით ქალი ჩაიკრა გულში, შუბლი ამბორით დაუთბილა, ღიმილით ჩახედა ნიაღვარივით მშფოთვარე თვალებში, მკერდზე მიკრილი ჰყავდა მანმადე, სანამ აღელვებული ქალი არ დამშვიდდა, ცრემლებიც დაუშრა და სახეზედ ნერვული ტანჯვისაგან

აყრილი მიმიკები მშვიდად არ დაუდგა. ქალს ხელი უშვა ანასტასიამ, ვაჟს ხელ-ფეხი გაუნთავისუფლეთო, ითხოვა მამაკაცების მისამართით.

–რას ამბობთ, ხელ-ფეხი რომ გაუნთავისუფლოთ ნიკას გაგვექცევა, ამას წინათაც გაგვექცა, ძლივს დავიჭირეთ, ისევ გაკოჭილი ჯობია და.. –ნათქვამის დასრულება არ აცადა მამაკაცს, რომ ისევ ხელმეორედ ითხოვა ანასტასიამ იგივე.

მამაკაცებმა საგულდაგულოდ გაკოჭილი ნიკას ხელ-ფეხს ჩალისფერი თოკის გროვა შემოაცაღეს, ბიჭმა იგრძნო რა თავისუფლება, გასაქცევად მომარტა ტანის თითოეული კუნთი, რამდენიმე ნაბიჯითაც კი გაიწია, მოცილდა გვერდით მდგომ მამაკაცებს და ის იყო ზურგშექცეული მოსწყდა ადგილს, გასასვლელი ჭიშკრისკენ დაიძრა, რომ იქამდე ვეღარ მიაღწია, ძირს მიწაზე გადაიქცა და ენა გადაყლაპულივით დამუნჯდა, ხმის ამოდებასაც ვეღარ ახერხებდა, გულისდამწყველი მამაკაცები მისცვივდნენ და წამოყენება დაუპირეს, წამოაყენეს კიდევ, მაგრამ ფეხზე ვეღარ დადგა, ხელგაშვებული ძირს მიწაზე დაეცა. ბიჭს მოძრაობის უნარი დაკარგვოდა, ენას პირში ვერ იბრუნებდა, ამის მხილველი დედა, რომელიც ანასტასიას მიაღერებდა შემგედ სიმშვიდე დაბრუნებოდა, დამბლადაცემული შვილის ხილვისას ისევ ხელმეორედ აქვითინდა. მჯდომარე ანასტასიამ ლოცვა იწყო, თავისთვის ჩუმად ბუტბუტებდა, მისგამ მხოლოდ აქა-იქ თუ გაიგნებდა გარკვევით საუფლო სადიდებულ სიტყვას, დანარჩენს ჩქარი ბუტბუტით ამბობდა სიტყვებს. ხანდახან მრგვალ შუბლს მიწას ფაქიზად შეახებდა, წელში გასწორებისას კი გამაღებით პირჯვარს ისახავდა. ასე გაგრძელდა მანამდე, სანამ დადამბლაგებულმა ბიჭმა თავისით მიწაზე წამოჯდომა არ მოახერხა. მამაკაცები სარგადაყლაპულებივით იდგნენ და უყურებდნენ მჯდომარე ანასტასიას ლოცვას, შორიახლოს მიწაზე წამომჯდარი ბიჭის სახის გამომეტყველებას, რომელიც ლოცვის შესაფერისად ეცვლებოდა მიმიკები სანდობისა და სიმშვიდისაკენ. როცა ლოცვას მორჩა, იქაურობა თითქოს ისე მიწყნარდა, რომ საკუთარი გული ცემის ხმას გაიგონებდა კაცი. ანასტასიამ ბიჭს თავისთან მისვლა სთხოვა. ეს უკანასკნელი მიწაზე მჯდომი, ხოხვით გაეშურა მისკენ. ახლოს მისული გვერდით მიუჯდა, ჩუმ დიალოგებს მიჰყევს ხელი. ასე ედუდუნებდნენ ერთერთს, დოქიდან მორაკრაკე წყლის მსგავსად ისმოდა გაურკვეველად სიტყვები. ბაასი რამდენიმე საათს გაგრძელდა, ბიჭს სახე დამშვიდებოდა, ანასტასიას ნაუბარზე ხანდახან გულიანად ჩელიმებოდა ხოლმე, სახეგადაბადრული დედა შორიახლოს ტრიალებდა, მერე საიდანდაც საკვები გაჩნდა, მოხარშული დედალი, თონის პურები, გუდის ყველი, ლოყაწითელი ვაშლები, გაიშალა ანასტასიას წინ პატარა მაგიდა და გახარებული დედა-შვილი შემოუსხდნენ აქეთ-იქიდან. მამაკაცებში მდგმმა ერთ-ერთმა მათგანმა წასვლისას ჯიბეზე გაიკრა ხელი, წითლად მოელვარე ქაღალდის ფული ამოუღო და ანასტასიას მუხლებქვეშ შეუცურა, გულზეხელმიდებული მადლობას მადლობაზე არ

იშურებდა. ამის შემხედვარე ვერა გაცემას ვერ ფარავდა.
დამშვიდობებისას ბიჭი ხელზე ეამბორა გადაბადრულ ნასტიას:

–მჯდომარე ანასტასია, ხომ შეიძლება კიდევ გესტუმრო, ისე მოსანახულებლად შემოვირბენ ხოლმე, დაგესაქმები თუ რამ დაგჭირდება. – ნიკამ დიდი რუდუნებით წარმოსთქვა სათქმელი. ანასტასიამ თანხმობის ნიშნად მომღიმარი სახე დაუკრა, ახლოს მოდგმული მაგიდიდან წითლად მოეღვარე, დიდრონი ვაშლები აიღო, თვალდახუჭულმა სამადლობელო ღოცვა წარმოსთქვა, მერე ხელები ცისფრად მოკამკამე ზეცისკენ აღაყპრო და ვაშლები ბიჭს გაუწოდა. –როცა შემოგვლევა ჩემკენ გამოიარე, კიდევ გაგატან სამოთხის ხილს,

ბიჭმა სიხარულით ჩამოართვა ღოცაწითელა ვაშლები და აღტაცებით გადახედა ახლოს მდგომ დედას, რომლის სიხარულს საზღვრები დაეკარგა, ისევ ტიროდა მხრების კანკალით დედა, ესევე სლუკუნებდა მოკუმული ბაგეებიდან, თუმცა ეს ტირილი სხვაფრივ განსხვავდებოდა უწინდელი ტირილისაგან, ახლა სიხარულის ცრემლები ტოვებდა თაფლისფერი თვალების კალაპოტს.

XXI

ომის დაწყების ყველაზე ძალიან ვერას ეშინოდა, ზარავდა მის შესახებ რაიმეს მონახმენი, ჯიუტი მთიდან ჩამოწოლილი ზვავის გამანადგურებელი შედეგივით ცელავდა ომზე ფიქრი, ...

ანასტასია იყო ერთადერთი, რომელსაც ომისადმი შიში გაქრობოდა, სხვებს ამხნევებდა: –ნუ შეგეშინდებათ, თბილისში ტყვია არ გავარდება, მაგრამ დიდ ძალასთან მოგვიწვეს შერკინება. ჩვენი მამაკაცები თავს არ დაზოგავენ, გავიმარჯვებთ, ჩვენ გავიმარჯვებთ ოღონდაც დიდი მსხვერპლის ფასად... დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ამქვეყნიდან გასვლის მიზეზს, ის თავისი ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა, სიცოცხლის თვით გაუფრთხილებლობით დაუდგა სიკვდილი, საკუთარი ხელყოფით, თუ სრულებით უდანაშაოლო სხვისი მსხვერპლი შეიქმნა.

მჯდომარე ანასტასიას ნაუბარს გაფაციცებით უსმენდნენ მასთან მისულნი, მათი რაოდენობა განსაკუთრებულად იზრდებოდა ნაშუადღევისთვის. ყველას სურდა ანასტასიას საუბრით საკუთარი სიმშვიდის პოვნა. ყველას შიშის ზარი იპყრობდა ქუჩაში ომის შესახებ გაგონილი, თუმცა ანასტასიას სიახლოვეს მშვიდდებოდნენ.

შავად ალაპლაპებული პობედა ხშირ-ხშირად აწყდებოდა ალიღუეკას ქუჩას. ანასტასია იმდენად მიეჩვია მის ყოველდღიურ ხილვას, რომ მისი შეგვიანებისას ქუჩისკენ აპარებდა მზერას. მერე

ხელის დაქნევა დაუწყო, ხელს ხან მისაღმების ნიშად აუღებდა, ხანაც ისე უბრალოდ დაუქნევდა ხოლმე ხელ, ჰაეროვან ხელის მტევანს.

ერთ დღესაც მთელი დღე იქ დააღამა შავმა პობედამ. აშკარად ნიკიშევეების ეზოს ხალხისგან განთავისუფლებას ელოდა. შეღამდა თუ არა, პობედიდან მაღალი, ათლეტური აღნაგობის, მუქ სამოსში გამოწყობილი მამაკაცი გადმოვიდა, დაურიდებლად შეაბიჯა ნიკიშევეების ჭიშკარში, და სანამ მჯდომარე ქალწულს მიუახლოვდებოდა, უთვალავჯერ შეათვალიერა ეზო-კარმიდამო. მიახლოვებულმა ანასტასიას ქედი მოუხარა და ძალზედ ჩუმად, ახლოსმდგომი ვერასთვის გაუგებრად, რაღაც ჩაეკითხა. ანასტასიასგან მიღებული თანხმობის შემდეგ კი სწრაფი ნაბიჯებით გაექანა პობედისკენ რომელიც ერთგულად ელოდა მცველს.

მან უკანა კარი ფართოდ გაუღო შიგ მყოფს, გადმოსვლისას ხელი შეაშველა, შავებში ჩაცმული, ასაკიანი ქალბატონი მორცხვი მხერით ათვალიერებდა იქაურბას. ეზოში თამაშით გართულ პატარა გიორგის ნიკაპთან ხელი აღერსით მოუთათუნა.

ანასტასიამ ვერას სთხოვა, სტუმართან მარტო დაეტოვა, ვერამ თხოვნა შეუსრულა, გიორგის მოკიდა ხელი და სახლში შეიკეტა, თუმცა ფანჯრის მიღმა არსებულ სიტუაციას თვალმოუცილებლად ადევნებდა თვალყურს. სტუმარი ქალბატონი მუხლზე დაეშვა ანასტასიას წინ, რაღაცას გამალებით უამბობდა, მერე მისი ხელებს ეამბორა. აშკარა იყო სტუმარს დიდად ესიამოვნა ანასტასიასთან ბაასი. ისინი დიდხანს საუბრობდნენ, მერე კარგად დაღამებულზე წავიდა სტუმარი, ისევ აედევნა მაღალი, ათლეტური აღნაგობის მამაკაცი, ისევ გაღო ფართოდ პობედის უკანა სალონის კარი, აშკარად დაცვის მოვალეობა თუ ებარა მამაკაცს.

ვერას ცნობისმოყვარეობა სძალავდა, მათი წასვლის შემდეგ მიეჭრა დაიკოს და კითხვების კორიანტელი დააყენა.

– ქალბატონი კიდევ მოვა აქ, და უფრო ხსირად ივლის ვერაჩკა, ვიდრე ეს შენ წარმოგიდგენია.

– ვინ იყო? თანაც დაცვა ახლდა, შავი პობედა?.. ვინ არის, მითხარი რა დაიკო?

– გიორგიმ დაიძინა?

– კი

– ხომ ივასშმა?

– კი, დაიკო, კი, მაგას ნუ დარდობ და ძალიან გთხოვ სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ. ვინ იყო ის ქალი?

–მართა ჯაყელი, რიგით მეორე ბელადად წოდებული, დიდი ბერიას სათნო დედა.

–ხუმრობ?..

–არა

–არა, შენ ხუმრობ, თუ არა და მე ნერვიულობით რა მომივა იცი?

–არაფერი გაქვს სანერვიულო, ვერა, შენ მთავარია გიორგის მიხედო, ლამაზად აღზარდო, ადამიანობა და სიკეთე ასწავლო, რწმენისადმი პატივიცემა იცოდეს და მერწმუნე, კარგი ვაჟკაცი დაგვიდგება.

ცის ვარსკვლავებით მოჭედელ კაბადონზე მთვარე ლაღად ნავარდობდა,

–ძილის დროა დაიკო.

–ვიცი, მერე რაღას უცდი, შედი შინ და დაიძინე.

–მე კი დავიძინებ, მაგრამ შენი აქ დატოვება ყოველ ღამით მიძინებს. ვერ შევეგუე შენ აქ ყოფნას.

ვერა ანასტასიას მიუცუცქდა, მის კალთაში ჩაუღო თავი და ასე გაენაბა სამსე მთვარის სიკაშკაშეს.

XXII

1941 წლის 22 ივნისს ხალხი უკვე დადასტურებულად ბჭობდა ომის დაწყების შესახებ, ყოველი დასახლების მახლობლად ხის დიდ, რადიოქელზე რეპროდუქტორი ეკიდა, რომელიც გადმოსცემდა ომის დაწყების ზუსტ თარიღს – 1941 წლის, 22 ივნისის 03 სთ-სა და 45 წთ-ს მესამე რაიხის ფიურერ ჰიტლერის ბრძანებით ვერმახტის სამხედრო ძალებმა საბრძოლო იერიში მიიტანეს საბჭოთა კავშირზე... ძმებო, და დებო, დედებო და მამებო, ნუ გეშინიათ, ჩვენ გავიმარჯვებთ–გადმოსცემდა დიდი ბელადის, სტალინის ხმით რადიო დიქტორი ვინმე ლევიტანი, რომელის უიშვიათესი ხმის ტემბრს მსმენელში საბჭოთა კავშირის საომარი პერსპექტივისადმი პოზიტიური თავდაჯერებულობა შეჰქონდა. ხშირად იუმორსაც მიმართავდა დიქტორი, რომელზედაც ბჭობდნენ, რომ პირტიტველა ჭაბუკი, სულ რაღაც 19-ოდე წლის ყოფილა.– ჰიტლერს იმდენად ეშინია ამ ომის, უღვაშები გაუპარსავს და დაბნეულს ზედა ტუჩთან დარჩენია მოსაპარსიო... ანდაც შიშისაგან ქვეშჩასვრილი ჰიტლერი ომის ფრონტზე ვერ გადის, რათა ჯარისკაცების ერცხვინება, რას იტყვიან მისი შემხედვარე, ჩვენ როგორ შევაკავოთ საბჭოთა მოწინააღმდეგენი, როდესაც ჩვენი ფიურერი საკუთარ შარდს ვერ აკავებსო? ასეთი უხამსი ხუმრობების გამო იყო სწორედაც დიქტორ-

ლევიტანზე პირადად მესამე რაიხის კანცლერისაგან დაწესებული დიდი ოდენობის პრემია, მის დაკავებასა და გადაცემაზე.

ყოველ დღე დილის 12 საათზე ხალხი იკრიბებოდა რადიოანბაზე დამაგრებულ რეპროდუქტორთან, რათა კიდევ უფრო ნაყოფიერი წარმოდგენა შექმნოდათ საბჭოთა ჯარების წარმატებასა და წინსვლაზე, პირადად ლევიტანისგან გაეგონათ სწორი ნათქვამი, სტალინის ხმითაც გადმოსცემდა ტექსტს, რომლის ჭეშმარიტებაში ეჭვი ვერავის შეჰქონდა.

ანასტასიასთან უამრავი ქალი იყრიდა თავს, ფეხმორთხმულნი წრეში მოიქცევდნენ ხოლმე მას, ლოცვებსაც კითხულობდნენ და პარალელურად ხელსაქმობდნენ, ზოგი მატყელს საჩეჩელზე ჩეჩავდა, ზოგი თითისტარაზე ართავდა, ზოგნიც წინდებს ქსოვდნენ. ანასტასია ქუდებსა და კაშნეებს ქსოვდა, მერე ერთად ახარისხებდნენ და ფოსტის საშუალებით ამანათებით აგზავნიდნენ ჯარისკაცებისათვის ფრონტზე. ხელსაქმობა ხელთ კარგად ეწიფებოდათ, ყოველდღიურმა შრომამ რაოდენობრივად და ხარისხობრივად გააუმჯობესა მათი ნაქსოვები. მათ ვერაც მიუჯდებოდა ხოლმე მონაწილეობის მისაღებად. გიორგი უკვე 5-6 წლის ჰყავდა, მართალია წერაკითხვა თვითონ არ იცოდა, მაგრამ მისი ქმარი ყოველდღიურად უტარებდა სასწავლო გაკვეთილებს, სახლის პირობებში ავარჯიშებდა, ეს მანამდე, სანამ თვითონ ვიქტორი კომისარიატში არ დაიბარეს, საყოველთაო მობილიზაციის გამო. ხალხს უჭირდა, ეკონომურადაც და მორალურადაც. ეს უკვე ომის დამახასიათებელი თვისება იყო.

შეჩვევა სცოდნია ყველაფერს, მოსახლეობა, რომელიც ძირითადად ქალები, ბავშვები და დაუძღვრებული მოხუცები შეადგენდა, მიეჩნია ყველაფერს.

ანასტასიას ეზოში დიდიდანვე ჩაებმოდნენ ხოლმე ქალები საქმიანობაში, იდგა დიდი ხელგამრჯეობა. საუბრობდნენ, ხან ამ მთისას ჰყვებოდნენ და ხან იმ მთისას, ვის ყურს რა გაეგონა და ვის ენას რა ეთქმოდა. – ერთი უნარშეზღუდული კაცი-აფაკო ჩლახა-ჩლუხით დაიარებოდა და მამაკაცებისგან დაცარიელებულ უბნებს ჩემულობდა, უფროსი ვარო. ერთხელაც დაუნახავს მეზობლად მცხოვრები მამაკაცი, რომელიც დაჭრილ-დასახიჩრებული ფრონტიდან დროებით გაენთავისუფებინათ.

– შენა აქა რატო ხარ? – უკითხავს დამტვრეული ქართულით. იმასაც ანგარიში ჩაუბარებია, დაჭრილი ვარ და სანამ გამოკეთდები გამანთავისუფლესო, ევა როგორ იქნება ფრონტიდან გამოქცეულს გავხარო, აბა ერთი მაცალე, თვით შტალინთან უნდა გადაგამოწმოსო, ქართველ ნაფრონტალს გაჰკვირვებია უბადრუკი ადამიანის თავგასულობა, მაგრამ უფრო მეტად გაკვირდა, როდესაც აფაკო რადიოდელზე ამძვრალა, რეპროდუქტორთან ახლოს მიუდია პირი და შიგ ჩაუძახავს: – „ალო, მაშეკვა...შტალინა, ერთი ქართველი დაიჩიროს, გახრიტოს თუ გაუშოს?–მერე რეპროდუქტორს მიადო ყური და თვითონვე ამოიღულულა ბოხი ხმით,

–გახრიტოს, გაახრიტოსს... –ტაკ ტოჩნა,– მიიღო ჩესტი რადიოდელზე ამპერალმა და ისევ უკან იწყო ჩამოსრიალება.

–აი, ხო ნახე, ფირდაფირ შტალინს დავაკავშირე, თქო ომიდან გამოქცეულია და გახრიტეო, ვოტ!–თქვა დიდი თავდაჯერებულობით და დანიშნულებისამებრ გაცემული ბრძანების შესასრულებლად განეწყო.

გაბრაზდა ქართველი ნაფრონტალი, შე უდღეურო, ვინაა ომიდან გამოქცეული? ახლა წახვალ და შენნაირებს დააჯერებ ფრნტიდან გამოქცეულია და დეზერტირობისათვის დახვრეტაზეა გადაცემულიო, ერთი-ორი წიხლი უთავაზა და მუშტიც კბილებთან უქნია, მსგავსი სისულელე მეოედ არ გაგიგოო, თორემ ჩემი ხელით გამოგოთოფავო.

ანასტასია ნიკიშევას ეზოში ხელმოსაქმე ქალები დიდად კისკასობდნენ ამ ამბავზე, იუმორი არ აკლდათ, მიუხედავად იმისა შინაგანი განწყობა დაძმარებული ჰქონდათ, თუმცა ერთურს არ უფუჭებდნენ ხასიათს. ხან ვის მიუტანდა შავ ტელეგრამას ფოსტალიონი და ხანაც ვის სახლში დადგებოდა სამგლოვიარო წიოკი.

– „შავი დეპეშა“ ისეთი უსულგულო ცივისსხლიანი ცხოველია, რომ ვის კარზეც მოინდომებს დაჩოქებას, არ დაიხვალაიებს, აუცილებლად მივა და დაიჩოქებს. –დაიჩივლა ანასტასიათან საქმოსნად მყოფმა ერნამ.

–სიკვდილს ხახაში ჯეელები რომ უვარდებიან, ეგაა საბრალისი, თორმა ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, აქაურობას უკვდავებად ვერ გამოგვეკერებით – მხარი აუბა საუბარში მეზობლად მცხოვრებმა ირინემ.

–სიკვდილს რას გაუგებთ, –დაამშვიდა ანასტასიამ და წინდის ჩხირს გვერდი მოუნაცვლა –მაგრამ, მთლად სიკვდილზე გადაკლული ფიქრი, როცა ჯერ ცოცხლი ხარ, არ ივარგებს. სიცოცხლე სიცოცხლის წუთებისა იყოს და სიკვდილიც თავისისა, ახლა, როა სიკვდილი თითოეული ჩვენნიანის ყურისძირს მიმჯდარი და სასთუმალთან თვლემს, ისე უნდა ვიცხოვროთ რომ მისი არ გვეშინოდეს. აბა , ცოცხალმა თუ სიკვდილზე იდარდა, მისი სიცოცხლეც უკვე სიკვდილის ფაზაში გადასულა და ეგაა. სიკვდილი არ უნდა გაამეფო, არ უნდა გააკერპო, ის თავისი გზით წავა თუ ყოველდღიურად ფიქრით არ მოისაკლისებ.

–ანასტასია, თუ სიკვდილზე არ უნდა ვიფიქროთ, შენ რაღატომ შესწირე მთელი შენი ახალგაზრდობა მკვდარი ადამიანის ხსოვნას?–ჩაეძია ეკატერინე ცნობისმოყვარეობრივი წყურვილის მოსაკლავად – თუ სიკვდილზე არ უნდა ვიფიქროთ ცოცხლებმა, შენ ხომ პირიქით მოგივიდა... ერთ, გარდაცვლილ ადამიანზე ფიქრმა მთელი შენი ახალგაზრდობა შეიწირა.

–შენ მაგას არავინ გაკითხებს–ჩაჩარა ბურთი გვერდით მჯდომმა,–რა შენი საქმეა მის ცხოვრებაში ცხვირის ჩაყოფა?

–დამშვიდდით ჩემო კარგებო, ჩემი მდგომარეობა სრულებით სხვაა... ის განზრახ სიცოცხლის თვითხელყოფა იყო, უპატიებელზე უპატიები ცოდვის შვილი აღმოჩნდა ჩემ გამო ჩემი კირილე, მე თავი ვაღდეგებულად ჩავთვალე, ჩემი სიყვარული ის იყო, ახლაც ისაა და სამომავლოდაც მას ეკუთვნის თითოეული ჩემი მდგომარეობა.

–ძალიან გიყვარდა?– ჩაეძია საქმოსანთაგან რომელიღაც.

–ძალიან, ძალიან მიყვარდა, მაგრამ ძლიერ სიყვარულს ბევრი მახე უგია გზის პირებზე, და კიდევ საცთუნებლადაც ბევრი რქოსანი მოველინება ხოლმე პირის საკიდად. სიყვარული სულის მდგომარეობაა, სამყაროს ოახისია, რომელშიც ბედნიერება უღევი მარაგით თავმოყრილა, ჩვენ კი ამას ხშირად ვერ ვხედავთ, თუ ვხედავთ - ვერ ვუფრთხილდებით. მხოლოდ დაკარგულზე ვიცით დაფასება. ჩემში მუდამ ცოცხლობს კირილეს ფაქიზი ხსოვნა, ასე იქნება ჩემი სიცოცხლის ბოლომდე, ერთადერთს ვთხოვ უფალს, იქამდე მაცოცხლოს, სანამდეც მის სულს მშვიდი სამყოფელი არ დაუმკვიდრდება, სანამ არ მოისვენებს ჩემი კირილეს სამშვინველი... მესიზმრება ხოლმე, –თქვა ანასტასიამ და პულოვერის შელახული მაჯებით ცრემლი შეიმშრალა. – ახალმომხდარზე არასდროს დამსიზმრებია, მერე სულ რამდენჯერმე, ამ ბოლო დროს ხშირად მეზმანება, მადლიერების გამოხატვა არ შეეძლო, შინაგან აღივსებოდა ხოლმე მადლიერებით, კეთილად განწყობოდა და არასდროს ივიწებდა, მის ზურგს უკან მდგარი ფარივით იცოდა გამაგრება, მაგრამ სიტყვიერად არ შეეძლო წამდაუწუმ რევერანსის კეთება მადლობის გამოსახატავად, არც მადლიერების გამომხატველი სიტყვიერებით შეაბეზრებდა თავს არავის, მის თვალებში მაცქერალი მიხედვებოდი მადლიერებასაც და კმაყოფილებასაც. ასეთი იყო, ახლაც ასეთად მესიზმრება, ისევ ისეთი მოუტეხელი ხასიათის, მაგრამ მადლიერებით სავსე მზერით, თან ვებრალეები, თან უხარია ჩემი ერთგულება, ერთი-ორჯერ ეჭვიანობა შევნიშე, ეჭვიანობდა ჩემი სიყვარულის გამო, მაგრამ... ხომ იცით ახლგაზრდობაში გიქრის, უმიზეზო ნიავიც კი ფრთებს გასხამს, აყოლა იცის. აი, უკვე დამჯარი ასაკი რომ დგება, მერელა ხვდები ახალგაზრდულ სიმსუბუქეს. სიყვარულის გამო შეცდა, მეც შევცდი, შედეგად მან თვითმკველობით დაასრულა სიცოცხლე, გამწარებულზე, როდესაც მისი ვაჟკაცური სხეული უსახო სისხლში ამოთხვრილ გვამად გადაიქცა, მეც გავიფიქრე მიმებაძა მისთვის, მაგრამ უძლეველმა ძალამ შემაკავა, ვენაცვალე მე მას, სულ სხვა კუთხით დამანახა არსებული, შემეცოდა ჩემი კირილეს სული, არც დიდად სანებივრო ცხოვრება ჰქონდა აქ, და ახლა იქაც...

ანასტასიამ ტილი იწყო, ხმა აუკანკალდა, ხელები უშვა საქსოვ ჩხირებს, თითოზე დახვეული ძაფი მოიშორა და თხელი, თლილთითება ხელები ნამტირალევე სახეზე აიფარა.

–ნასტინკა! – ახლოს მიეჭრა ვერა, მკერდზე მიიხუტა მტირალი დაიკო და თავზე აღერსი და შუბლზე ამბორი უწყო – ძალიან გთხოვთ, ნუ გაახსენებთ წარსულს, ძლივს დამიწყნარდა, დამიმშვიდდა შინაგანად, ისევ

ნუ დაგვიყენებთ მშფოთვარე წლებს, ჩვენ წარსულში მწარე გზებზე მოგვიხდა ფეხშიშველთ სიარული, ბევრჯერ ვიტკინეთ გული, გთხოვთ, მეზობლებო, ნუღარ გვაიძულებთ გავისხსენოთ ეკალ-ბარდით მოსილი ნაკვალევი.

ვარა გულისტკივილით ითხოვდა მეზობელი საქმოსანი ქალებისაგან დის წარსულის გაუხსენებლობას, მისი სასიყვარულო თემის ტაბუირებას, ყველანი დუმდნენ. ანასტასია ქვითინს მორჩა თუ არა, თვითონვე მოუწოდა ქალებს ხელსაქმისადმი ერთგულება: –ვინ იცის ჩვენი ნაქსოვები რამდენ ჯარისკაცს ათობს და ახარებს, რამდენს იმედიანად განაწყობს, სამშვიდობოზე მყოფთ ვახსოვართო... ეს ჩვენგან მცირედი მოწყალებაა მეომარი ვაჟკაცებისთვის, მაგრამ უმცირესი მოწყალებაა კი ზოგჯერ უდიდესი სიკეთის ტოლფასია, მოწყალების გაღებით ჩვენი შინაგანი სამყარო ტკბილი სანოვაგით იკვებება, ლაღად თამამდება, შედეგად სამომავლო სიძლიერეს გვიქადის.

ქალები სადამოხანს დაიშლებოდნენ ხოლმე. მზა ხელსაქმეს ვერას აბარებდნენ, ეს უკანასკნელიც დაფაცურდებოდა, დაახარისხებდა, თითო ქუდს, კაშნეს, წინდას ერთად შეფუთავდა, ერთი ჯრისკაცისათვის საამანათოდ, მომცრო წერილსაც დააწერინებდა ქმარს– „ჩვენო საამაყოვ და დამცველო, სამშობლოს სადარაჯოზე მდგომო რაინდო, ღორსეულო საბჭოთა ჯარისკაცო, მინდა იცოდე რომ მადლიერი ვართ შენი ასეთი უხადო ბრძოლით, სამშვიდობოც მალე დაგვიდგება. გამარჯვება, შენი თავდაუზოგავი ბრძოლის გამო, ჩვენკენ იხეიმებს, მიიღე თბილისელი ქალებისგან თბილი ნაქსოვები, გახსოვდეს ჩვენ თქვენსა და სამშობლოს გამარჯვებაზე ვლოცულობთ. “დილით ფოსტაში ჩაიტანდა, საამანათო განყოფილებაში იკვე სცნობდნენ კიდევ, სიხარულით ჩამოართმევდა ფოსტის მოფუსფუსე თანამშრომელი, ლამზირა და საგულდაგულოდ გაამწესებდა ამანათებში. ლამზირა ომამდე ფაშფაშა, დიდმკერდიანი და დიდთავა, დაბაბიანი ქალი იყო. ომის დაწყების შემდეგ კი ტანზე ჩამოსმა, აღარც მკერდი ჰქონდა ძველებურად თვალისმოსაჭრელად დიდი და მრგვალი, თავიც ზომით დაუპატარავდა და ფაფუქი დაბაბიც შემოაცვდა, გამოსედვაც შეშინებულისა ჰქონდა, მხოლოდ საყურეები იმზირებოდნენ უწინდებურად ლალიფრად, ნახევრად ძვირფას ქვებს არც ომის დაწყება აღარდებდათ და არც უიმისობა. საყურეებს სიმძიმის გამო ყურის ბიბილოები ჩამოეგრძელებინათ და პატრონის თავის ამყოლად ქანქარებდნენ. ამანათების გამზადების შემდეგ ლამზირა ამანათებს ხელს მზრუნველურად წაჰკრავდა და ვერას გასაგონად წამოაძახებდა: – გამარჯვებაში.

–ამინ, ღმერთმა გისმინოთ! –გამოეპასუხებოდა ყოველჯერზე ვერა.

–ერთი ჰიტლერისათვის უღვაში დამაწიწკინა ჩემი ხელით და მეტს არას ვნატრობ!- კბილებში გამოსცრიდა ხოლმე ლამზირა და მომუჭულ ხელს მაგიდაზე ისეთი ძალით დაჰკრავდა, მასზე არსებული ნივთები ჰაერში შეიცეკვებდნენ ხოლმე. მაგიდის დაკრულზე წამიერად ვერაც

კრთომით შეაფახულებდა ნაზ წამწამებს, რამდენიმე წუთის შემდეგ კი ძველებურად დაემშვიდობებოდა ლამზირას და კარის პარმალზე მყოფი მიაძახებდა:

– კიდევ მოვალ.

– მოხვალ, მოხვალ, აბა სად წახვალ? ვაი ჩვენ თავს... – ჩაიდუღდნებდა თავისთვის ლამზირა და ვერას მოსვლამდე მოფუსფუსე ძველ საქმიანობას მიუბრუნდებოდა. ერთი შეხედვით ვერას ხილვა იმედით აღასვებდა, საკუთარ თავში ძალისხმიერებას პოულობდა, მისი წასვლის შემდეგ კი ისევ დაისევლიანებდა. ტანად თავისი მაღალი, ზორბა ბიჭი, ფრონტის წინა ხაზზე მეომარი ჭაბუკა ახსენდებოდა, დღე და ღამ იმის ფიქრში იყო, მის გამო დარდობდა, ოღონდაც ცოცხლი ჩამომივიდეს და გინდაც უხელ-უფეხოდ ხეიბარი იყოსო, ეჩურჩულებოდა ხოლმე თავის თავს. ჭაბუკა შენი ვინააო, თუ ვინმე ჰკითხავდა გაუთხოვარ ლამზირას, პასუხს უმაღ დაახვედრებდა, ჩემი ძმის შვილი, ჩემი გამოზრდილი, იმას შემოეველოს ჩემი ჯანი და სიცოცლყო. მართალია ჩემი ძმა დიდი ხანია რაც ლენინგრადში გადასახლდა, ცოლითა და ორი შვილით, მაგრამ ეს ბიჭი ჭაბუკა ჩემთან დატოვა, ჩემ გამო, მარტო რომ არ მეგრძნო თავი...

სადამო ხანს ხელსაქმოსნებისგან მარტოდ დარჩენილი ანასტასია თავს ფიქრის უფლებას აძლევდა. ძველი ჭრილობებით დანადგლული თვალს გაუშტეებდა ცეცხლისფერი ღრუბლებით მიკიბულ ზეცას, იხსენებდა სატრფიალო ყმაწვილურ ამბებს, თავს ოდნავი ნუგემის შეგრძნებით ათამამებდა. ყოველ ჯერზე სხვადასხვა თავსგადახდენილ ამბავს იხსენებდა და გულისგულში სიხარულის ნათელი სხივი უკიაფდებოდა, რადგან მან თავისი რაინდის გამო ყველა სირთულე დაძლია, ყველაფერი აიტანა, წვიმა-თქემსა და ყინვა-ყიამათს არ დაერიდა, საყვარელი რაინდის სულის დასახსნელად დიდი ღოდის ტვირთვა უხდებოდა ციცაბო აღმართზე, და მიზნის მიღწევამდე თითქმის ნახევარზე მეტი გალია.

ფიქრებმა ძველი მომენტი გაახსენა, ის და კირილე ცეკვის სასახლეში, ვალსის დროს, კირილეს მამაკაცური მზერა მის ფაქიზ მანერებთან თანხვედრაში მოდიოდა, ანასტასიას ძალზედ მსუბუქი ცეკვის მანერები ჰქონდა, თავდავიწყებაში გადაჰყავდა ვალსს მოცეკვავე ქალ-ვაჟის წყვილი... და როდესაც ვალსი დასასრულს ინებებდა, მაშინდა აღმოჩენდა ნასტინკა რომ მოცეკვავე საზოგადოებას წრეში ჰყავდათ მოქცეული, შეძახილები და მქუხარე ტაში კირილეს სიხარულისა და აღტაცების ემოციებს ჰგვრიდა: – ბრავო... აი, მესმის გრაცია, ღმერთო ჩემო სად ისწავლეს ასეთი მდიდრული ცეკვა?... ეს პირდაპირ საოცრებაა, ასეთი ვალსი მხოლოდ პარიზში თუ მინახავს...

ამბის მოგონებანი ანასტასიაზე დადებითად მოქმედებდა, მშვიდი ღიმილი ეფინებოდა სახეზე, ხანდახან თვალებს მოუხუჭავდა ლამაზ მოგონებას და გონებაში წარსულის კადრები ნათლად ცოცხლდებოდნენ, ამ დროს

ანასტასია ისევ წარსულში დარჩენილი პატარა გოგონა, ნატინკა ხდებოდა, თავისი გარეგნული იერ-მიმიკებით, ხასიათობრივი სიკეკლუციით, სიყვარულისგან გადახალისებული გულით. ანასტასია გვიან იძინებდა, როცა ცაზე მონარნარე მთვარე გაუტოლდებოდა და ზევიდან მომცინარი მიმიკებით გადმოხედავდა, მაშინდა მოამთავრებდა გულმხურვალე ლოცვას, მხრებზე პლედს მოიხურავდა, თავს მუხლებში ჩაირგავდა და რიჟრაჟამდე ნანტრ ძილს მისცემდა თავს, დამით რას ნახავდა სიზმრად, ზოგჯერ სიხარულით იღვიძებდა, ვერას ადგომამდე სამპირ ლოცვასაც ასწრებდა, მერე ხელ-პირს დაბანდა, სატუალეტო პროცედურების დასრულების შემდეგ, საუზმის დაძალებასთან დაკავშირებით პოლემიკაში გამოიწვევდა, თან უხაროდა დის თავგადაკლული მზრუნველობა, თან სწყინდა რომ ზედმტად აწუხებდა და თვითონაც წუხდებოდა. საკვებზე სიტყვისა და დროის ტყუილუბრალოდ ხარჯვა რა ხეირს გვაყრისო, ჩაილაპარაკებდა და მორჩილ-ღიმილიანი სილამაზით შეანათებდა ვერას თვალებში.

ვერას დილით უყვარდა წინკარში პატარა ტაბურეტზე ჩამომჯდარი სულგანაბული რომ ადევნებდა თვალყურს დის ლოცვას, ხეებზე ჩიტების ფუსფუსს, ბაღში მონავარდე და ხის ტოტებთან მოფართხალე ნიავის ანცობას, უწინ მეზობლის მიტოვებულ სახლზე მერცხლები ბუდეებს იშენებდნენ, ბინას იდებდნენ, მრავლდებოდნენ, ფრთიანდებოდნენ და შემოდგომით თბილ ქვეყნებისაკენ იმ იმედით მიემგზავრებოდნენ, რომ გამოზაფხულებისთანავე უკან დაბრუნებულიყვნენ. გაზაფხულის პირი კუდმაკრატელა მერცხლების ჟღურტულით იწყებოდა. ომის დაწყების შემდეგ მათ ეზოში მერცხლები აღარ გამოჩენილან, ნეტა მარტო ჩვენთან აღარ დაბრუნდნენ თუ სხებთანაც დაივიწყეს ჩამოფრენაო, ფიქრობდა თავისთვის გართული რა დროსაც მათთან კოჭლი ფოსტალიონი მხარზე გადაკიდებული დიდი, მოლურჯო ჩანთით ეახლა.

–პოვესტკა მოგიტანეთ, ფრონტზე გასაწვევი, –ჩაილაპარაკა უხალისოდ და გამომცდელი მზერა ანასტასიას მიაპყრო.

ვერამ ხელები პირზე აიფარა და ასლუკუნდა. ანასტასიამ მშვიდი თვალებით შეხედა დას: –ნუ გეშინია ვერა, დაგიბრუნდება შენი ქმარი, თანაც მალე, შემართება არ დაკარგო, გესმის?

ვერამ თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა დას, ფოსტალიონს ჰაერში გაშეშებული ხელიდან ფარატინა ქაღალდი ჩამოართვა და სახლში შეირბინა მძინარე ქმართან:

–რა ვქნა, არავის ვუყვარვარ და არავის ვუნდივარ ავისმომასწავებელს მეძახიან, მე რა დავაშავე, შავი ბარათი რომ მოვა ხოლმე ფრონტიდან, რამდენიმე დღე ვზვერავე ოჯახს, ვინ უფრო მაგარია რომ იმას გადავცე-თქო, ზოგს არც კი ვუჩინე, ვუმაღავე და დაფხრეწილ დეპეშას მტკვარს ვატან, აბა, დედა თუ მოხუცებულია, ქანქარითა და ვარაუდით რომ დადის, მიდი და უთახრ, შენი შვილის სახელზე შავი ბარათი მოვიდა-თქო, სიკვდილამდე ორი დღის სიცოცხლედა დარჩენია და ისიცა მე გავუმწარო?..

მაგრამა სულ არ მიტანაცა ხო მარ შეიძლება, რომ გამიგონ, სამსახურიდან გამაგდებენ, შეიძლება თავი ერთ ადგილიან ვირის აბანოშიც ამომყოფინონ –თქვა და ორივე ხელის თითებით პატარა სარკმელი გამოსახა და თვალებთან მიტანილმა უშნოდ გამოიციქირა. ხომ მართალი ვარ მჯდომარე ანასტასია, ღმერთმა მაინც ხომ იცის რომ ამ გულით მხოლოდ სიკეთე მემეტება ყველასთვის— ეს ბოლო წინადადება, თითქოს სასხვათაშორის, თავისთვის ჩაილაპარაკა და ისევ კოჭლობით გადავიდა ნიკიშეგების ეზოდან. გზაზე ღიღინ-ღიღინს მოჰყვა გაურკვეველი სიტყვებით.

XXIII

კომისარიატში გამოცხადებამდე კარგად შეიმოსა ვიქტორი. ბავშვი გადაკოცნა: –აბა, შენ იცი, ჩემს ჩამოსვლამდე წერა-კითხვა არ დაივიწყო, ბევრი იკითხე, წერილებსაც გამოგიგზავნი, პირადად წაიკითხე და დედაშენსაც შენ წაუკითხე, თორემ მაგან კითხვა არ იცის.

–მამა, ფრონტიდან რომ წამოხვალ წითელვარსკვლავიან მედლებს ხომ წამომოღებ?–გახარებული ურბენდა გიორგი ფრონტზე წასასვლელად გამზადებულ მამას.

–აბა, რა, როგორც კი შევიპყრობ გიტლერს, მაშინვე დავბრუნდები, მედლებსაც წამოგიღებ, წითელვარსკვლავიანებსაც და წითელლენტიანებსაც, გამაგრდი მომავალ ჯარისკაცო!–შესძახა მამამ შვილს სამხედრო შემართებით, ბავშვმა კი მამის შეძახილზე ტანი გაჭიმა, სამხედრო სამწყობრო ნაბიჯით იწყო ეზოში სიარული. თვალცრემლიანი შეჰყურებდა ვერა ქმრის გამგზავრებას.

–ქალო, ცრემლი არ დამანახო, არ მიყვარს შენი ტირილი, რა მკვდარს ხომ არა მხედავ, იცოდე დავბრუნდები, რამე რომ დამემართოს გიორგის მიხედე და აღარ გათხოვდე, არ მინდა სხვას, ვიღაც გადამთიელს დაუძახოს მამა, გესმის ჩემი? –დაეკითხა შემართებული ტონით ვერას და ცოლი მკერდში ჩაიკრა. ახლად იგრძნო ვერამ, რომ ქმრის ასე მედგარი საქციელი ცოლის გასამხნეველად გამოეგონა, თორემ შინაგანად ისიც იმ ადამიანური ფიქრებით შეშფოთებულიყო, რომელიც სიკვდილის მოახლოვებული საფრთხის გრძობისას აედევნება ხოლმე ადამიანს და მოსვენებას უკარგავს. სიძემ ანასტასიაც მიიკრა მკერდზე, შუბლზე კოცნის მერე ვერას გასძახა: – ამას მიმიხედე იცოდე, დავბრუნდები თუ არა, პირველს ამას მოვიკითხავ, არ მითხრას ვერამ მაწყენინაო, თორემ პასუხს აგებ ძირგაცვეთილი, დიადი მეომრის წინაშე!–

მკერდზე მიხუტებულმა ანასტასიამ თბილად მოუაღერსა ხელი ლოყაზე, თვალეში ჩახედვით თითქოს დაფარული, შენიღბული შიში გაუქრო და სიმშვიდე მოჰგვარა, ნუ ღელავ, მალე დაბრუნდები, ყველაფერი ძველებურად დაგხვდება, ისევ ისე გააგრძელებ ცხოვრებას, როგორც

აქამდე ცხოვრობდი. სხვებიც გაამხნევე, უთხარი ჩემზე, იმან თქვა ომი ჩვენი გამარჯვებით სრულდება—თქო, ფაშისტი პიტლერი წინ დიდი დანაკარგის ფასად წავა, მაგრამ შედეგს ვერაფერში მიაღწევს. უთხარი, უმი ბოროტი ძალების ზეიმია, მაგრამ ამას არ შეუშინდნენ ჯარისკაცები, ომს დასასრული აქვს, ისევე როგორც დასაწყისი, დასასრული ჩვენი გამარჯვება იქნება.

ჭიჭკისკენ მიმავალ სიძეს ზურგიდან პირჯვარი გადასახა, ლოცვის ძალა დაადევნა ფრონტზე მიმავალს. გიორგი და ვერა ქუჩის ბოლომდე ჩქარი ნაბიჯით მისდევდნენ შემართებით მავალ ჯარისკაცს, რომელიც უკვე ორმოცწელს კარგად გადაცილებულიყო. ომის დაწყებისას თავდაპირველი საყოველთაო მობილიზაცია ახალგაზრდა ჯელებზე გაგრძელდა, ფრონტზე გაუჭირდათ ჯარისკაცები და ორმოცწელს გადაცილებულთა გაწვევაც გამოსცეს კანონად. სწორედ ამ კანონის თანახმად ვიქტორ სოხოლოვსაც უწევდა ფრონტზე ბრძოლა.

კომისარიატის წინ უამრავ, სოხოლოვის ასაკის მამკაცს მოეყარა თავი. ისინი კომისარიატში აღრიცხვის შემდეგ მატარებლისკენ მიიქაროდნენ, ამბობდნენ მატარებელს ერევანში ჩაჰყავს და იქიდან სამედიცინო შემოწმების შემდეგ პირდაპირ ფრონტის წინა ხაზზე გზავნიანო. ვერამ და პატარა გიორგიმ სადგურამდე გააცილეს ვიქტორი. სარკინიგზო ტრანსპორტი დაძრა თუ არა ხელის ქნევას მოჰყვნენ, იქამდე იქნევდა ხელებს გიორგი, სანამ მატარებელმა ელვისებურ სიჩქარეს არ უხმო ყვირილით და ლიანგაგებზე ჩუქ-ჩუქით თვალს არ მიეფარა. ფრთაჩამოტეხილ მხრებს ტკივილით გრძნობდა ვერა, თუმცა ქმრის დანაპირებს ასრულებდა, ცრემლი არ გადმოაგდო მის გამო, ყელში ბურთი გასჩროდა და ნერწყვის ხშირი ყლაპვით ცდილობდა მის გაქრობას:

—დედა, მამა მალე დაბრუნდება?—ჩაეკითხა ნაღვლიანი ხმით პატარა გიორგი.

—უჰუ! — ამოიღულღულა და თავის დაკვრის მეტი ვერა მოახერხა შეგნებულად შეკავებული ტირილის გამო. ბავშვს თავზე მიუალერსა, ხელში აიტაცა და სახლისაკენ ჩქარი ნაბიჯებით გასწია.

ხელსაქმოსანნი წრიულად განლაგებულიყვნენ ანასტასიას წინ, ისევ ჩაებათ სწრაფი ტემპით სამუშაო, ისევ იდგა ბჭობა და ბაასი ლევიტანის მიერ გადმოცემული ახალი ამბების გამო.

—პიტლერს უთქვამს, როცა მოსკოვის თავზე ჩემს დროშას ავაფრიალებო, პირველ რიგში ლევიტანს ენა უნდა ამოვაცალო — ერნამ შიშისმიერი ხმით წარმოსთქვა და ვერც კი შენიშნა თუ როგორ მიუახლოვდნენ დედა-შვილი, გიორგი და ვერა მას.

—გეგონს, გეგონოს, საუბარში ნისკარტი არ გიცვდება-თქო, ვინმემ უნდა უთხრას—გაგულისდა ირინე—ამოაცალო რა, რაღა გიჭირს, ემანდ დროშის აფრიალებაზეცა უოცნებია ჩია კაცს.

უქმრობას განიცდიდა ვერა, ხანდახან სამფეხა ტაბურეტს ჩამოიდგამდა ბაღში, მზეს მიფიცხებუი იხსენებდა ბაქოში სოზონოვთან პირველი შეხვედრის დეტალებს. გიორგის უფრთხილდებოდა, მისი ოჯახის ერთადერთი გამგრძელებელი იყო, სამ დას ეს ერთი მომავალი ჰყავდა, უდედოდ, უმამოდ დარჩენილი, თუმცა ამის ეჭვად აღებაც არ შეეძლო მას, დედად ვერას სცნობდა, მამად ვიქტორ სოზონოვს. ფრონტზე მყოფ მამას გულმოდგინედ ელოდებოდა გიორგი, ვერას ენახებოდა ბავშვი კვლავაც დასაობლებად, რომელზედაც ხანგამოშვებით ეგოისტური შინი იპყრობდა, დის შვილი კი არა, ჩემი შვილიაო, ფიქრობდა გუნებაში. გამუდმებით ეჭვისთვალეებით უჭვრეტდა მეზობლების ნაუბარს, ვაითუ, ერთ დღესაც წამოსცდეთ გიორგის თანდასწრებით სინამდვილე. ასეთ დროს გული ბოლმით ევსებოდა, გაუცნობიერებელი დვარძლი იპყრობდა ხან რომელი ენაჭარტალა მეზობლის მიმართ და ხანაც რომელი.

იმ წელს მკაცრი ზამთარი დაიჭირა, თოვლიც ბევრი ჩამოიყარა ციდან, უღვევად ბარდნიდა და თეთრდებოდა იქურობა. თეთრი იყო თბილისი, მხოლოდ თავზე გადმოკიდებული დროშა ელვარებდა წითელად. დაღვრემილი იყო ვერა, დანა პირს არ უხსნიდა, რა ხანი იყო რაც მის ქმარს სამკუთხად მოკეცილი წერილი არ გამოუგზავნია ფრონტის ხაზიდან, არც არა მოსე მწერლად იყო აქამდე გადაქცეული, მაგრამ თვეში ერთხელ მაინც გაუფლანბნიდა ცოლშვილს, კარგად ვარ, წინ მივიწვევთ, მე არა მიჭირს რა, მარტო უთქვენობას განვიცდიო... ახლა ამასაც აღარ იწერებოდა. თოვლი ფეხქვეშ ჭრაჭუნობდა და ვერას ნაკვალევს იტოვებდა მისი გავლისას, მალიმალ გადადიოდა ქუჩას ფოსტალიონი კუკურის სანახავად, შორიდანვე სცნობდა სიკოტლეზე, გაედევნებოდა ხოლმე მისი ბუზისოდენად დანახვისას და იქმდე უძახდა, სანამ არ გააგონებდა, მოახდებდა და ხელით უარყოფის ნიშანს არ მისცემდა. ვერა დაღონებული ბრუნდებოდა შინ, მხრებჩამოყრილი, უღონოდ დაშვებული მკლავებით.

თოვლში ნამცეცა მყინვარწვერივით იჯდა მუხლებზე ანასტასია. მასავით ძლიერი და სიყვარულისადმი უდრეკი. თოვლს მისი თავი, ტანი თეთრად შეემოსა, მხოლოდ სახე მოუჩანდა, ისიც გაურკვეველად. წამწამები თეთრად დაფიფქულიყვნენ, აპრეხილ ცხვირზეც დასდებოდა წერტილებად ფიფქების გროვა. დის შემხედვარეს გული ეტკინა ვერას, მკერდში მწველი ჭვალი იგრძნო, სუნთქვაში უშლიდა ხელს, გულზე ხელმიდებული გადავიდა სახლის ზღურბლს, გიორგის გუნდა შეეტანა სახლში და უკმაყოფილოდ სინჯავდა გასადნობად გამზადებულს:

—გიორგი, ცოცხი აიღე და დეიდაშენს თოვლი ჩამობერტყე, ძალიან გთხოვ, შვილო.— დაუყვავა ვერამ პატარა გიორგის, თვითონ შეწუხებული, მკერდზე ხელმიდებული სკამზე დაეშვა. გიორგიმ თვალი შეავლო შემოსასვლელის კუთხეში მიყუდებულ ცოცხს და აქანდახს. მერე ცოცხი დაიტაცა და გარეთ, თოვლში ხალისიანად გაიჭრა. ზურგიდან მიუახლოვდა ანასტასიას და ცოცხის მოქვეით სურდა თოვლის გაყრეინება, რომ ვერაფერს გახდა, თოვლს ცემა დაუწყო, სრულებითაც

ვერ ხვდებოდა რომ თოვლისთვის მოქნეული ცოცხი დეიდას ხვდებოდა. ის ამ დროს ფანტელებს ებრძოდა, ცოცხი მისი იარაღი იყო, თოვლი კი მასთან თამაშის ძირითადი მონაწილე. გულშეღონებულმა ვერამ ფანჯრიდან დალანდა ცოცხის ცემით თავმომწონე გიორგი, გარკვეულ ომის მანევრირებეს ასახიერებდა, ხან აქეთა გვერდზე ისკუპებდა და გადახტებოდა, ხან იქითა გვერდზე. ანასტასია კი მორჩილად, გაუნძრევლად იტანდა ფანტაზიური ბავშვის ქმედებებს.

გადარეული გამოენთო გარეთ ვერა, რომელსაც გიორგის საქციელის შედეგად მკერდში დამდგარი ჭვალის დაღვიწყნოდა და გულში მწველი გრძნობაც. ხელი სტაცა ცოცხს და ბავშვს გაუჯავრდა: –მე შენ ეგ გთხოვე? შეიძლება დეიდა სცემო? – დედის გაბრაზების გამო აღურსული გიორგი თავჩაქინდრული გაშეშდა ერთ ადგილას. ვერამ ცოცხით ფაქიად ჩამობერტყა თოვლი დას, ჯერ მხრებიდან მერე ზურგიდან, ძლივს გამოუჩნდა პლედს თავის გახუნებული ფერი, სახლში შესულ გიორგის დეიდისადმი სიყვარულზე ესაუბრა, ძილის წინაც ანასტასიას შესახებ უამბობდა, მის გულკეთილობასა და მოსიყვარულე ხასიათზე.

XXIV

მართლაც და, ვიქტორ სოზონოვი მალე დაბრუნდა ფრონტიდან. წელიწადიც არ იყო გასული მისი გამგზავრებიდან, ხელში დაჭრილი, უუნაროდ ჩაუთვლიათ და სამხედრო სამედიცინო კომისიაზე გაყვანილი დაუბრაკავთ. სამხედრო სამოსით შემოსილი, საჰაერო რეზინის კამერა აკიდებული ხალისით მიაბიჯებდა თბილისის ქუჩებში. უკაცრიელი ქუჩები ექოდ იტაცებდა მამაკაცის დანატრებული ნაბიჯების ხმას. გიორგის დაძახებით გადააბიჯა ნიკიშევების ჭიშკარს:

–აი, ხომ გითხარი ვერკა, ნუ იდარდებ, მალე დაგიბრუნდება შენი ქამრი–თქო, ხომ ვამბობდი–შეჰხაროდა ანასტასია მის წინ გადაბადრულ დას და სიძეს, სიხარულით გაბედნიერებული გიორგი დავლურს უვლიდა დედ-მამის გარშემო,

–დამშეული იქნები, ახლავე გაგიშვებ რამეს–ვერას თვალებში ვარსკვალავები აკიაფებულებენ, სიხარულით მეცხრე ცაზე ფრენდა.

–ცოტაც მოიცადე, ვერკა, დედალზეც დაგვეწვევა–ანასტასიას ნათქვამი უკბილო ხუმრობად მიიღო ვარკამ, თუმც მისი ნათქვამისადმი მიუხვედრებლობა ხშირად ემართებოდა, სახლში შეირბინა სამხარისთვის,

მაგიდაც მოუმარჯვა ფრონტის ხაზიდან ახლადდაბრუნებულს. სოზონოვი ანასტასიასთან ჩამუხლულიყო, საუბრით გართულს თავის თავისთვის არ ეცალა, ზურგიდან გიორგი მიკრობოდა და პატარა, გამხდარი ხელები კისერზე შემოეჭდო. ვერამ ლანგარზე დაილაგა მწვანილი, ახლად გამომცხვარი მჭადები, და ის იყო წინკარში გამოდგა თუ არა ფეხი, გაოცდა. ანასტასიასთან დიდებული სტუმარი მობრძანებულიყო, სოზონოვთან საუბრობდა ომის ამბებზე, ცალი ხელით გიორგის ქოჩორზე ეალერსებდა, მის სიახლოვეს ორი ახოვანი ახალგაზრდა მამაკაცი ჩამომდგარიყო და ქალბატონის უსაფრთხოებაზე მზრუნველნი ეჭვის თვალს ავლებდნენ ბაღსა თუ გარშემო ყველაფერსა და ყოველს. ეს ის ქალბატონია, რომელსაც არ უყვარს როცა მისი თანდასწრებით მთავრობას ახსენებენ, კეთილად რა თქმა უნდა, თორემ აუგის გაფიქრებას გულშიც კი ვერ გაიფლებდა მიწიერი, ქალი თითქოს წინდაწინ ღებულობდა საამისო ღონისძიებას... – როდისღა მოვიდა, ამ წუთას არ გამოვიხედე?– გაიფიქრა ვერამ და გაოცება უფრო მეტად დაეცყო სახეზე, როდესაც დის წინ ჩამომდგარ პატარა ტაბლაზე მოხარშული დედალი, სხვა სანოვაგესთან ერთად დაინახა. გონებაში კიდევ ერთხელ გადახარშა ანასტასიას ნათქვამი, ცოტაც მოიცადე, ვერკა და ბარემ დედალზე დაგვეწვევაო,

–ქალბატონო მართა, გთხოვთ დაბრძანდით, ფეხზე დაიღლებით,–გაეგება ვერა მართა ჯაყელს, რომელიც ჩაცმულ-დახურულობით სიპეწინიკის ნატიფი განსახიერება გახლდათ, სახეზე სათნო ღიმილი დასთამაშებდა და თვალეში სევდისფერი ვარსკვლავები ციმციმებდნენ. ანასტასიას წინ ჩამოიდგა პატარა სკამი, ჭადარაშევლებულ თავზე თბილად მოუალერსა ხელისგულებით: –ხომ კარგად ხარ, ჩემო ანასტასია?–მის ხმაში მომატებული წლებისა და წარმოუთქმელი განცდის ნაზავი მოკრძალებულად შეპარულიყო, ერთი შეხედვით მოკაზმული ქალბატონი, დაცვის თანხლებით მოსიარულე, სევდიანი გულის მატარებელი გახლდათ. შავად აპრიანებული ავტომობილი ნიკიშეგების შელახულად ჭიშკართან უცდიდა ქალბატონს.

იქ მყოფნი, ყველა მიხვდა რომ ქალბატონს ანასტასიასთან სურდა საუბარი, ამიტომ მარტონი დატოვეს. ბაასმა დიდხანს გასტანა, სახლში შეეუხუღნი ვერა და ვიქტორი ფანჯრიდან გაფაციცებულნი ადევნებდნენ თვალს მობაასეთ, მათ მოშორებით მდგარი დაცვა კი თვალთ წონიდა ყველაფერს.

როდესაც მჯდომარე ანასტასია და ქალბატონი მართა ლოცვაზე გადავიდნენ, გაფაციცებით მოთვალთვალე ვერა და ვიქტორი მიხვდნენ, რომ ქალბატონის სტუმრობა დასასრულს უახლოვდებოდა, ასეთ დროს უკვე შეეძლოთ ეზოში დაურიდებლად გამოსვლა, მათთან პურის გასატეხად აღარ ღარჩა ქალბატონი მართა, ჩემი შვილები მიცდიან სახლში, განსაკუთრებით ლავრენი მომელის გულით ვგრძნობო. ანასტასიას გამომშვიდობების ნიშნად თბილად ჩაეხუტა, თვალეში კრძალვით ჩახედა და ყელგამოწეულმა სთხოვა: –ანასტასია, გენაცვალე, იქნება ილოცო ჩემი

ლავრენტისთვის, შესთხოვე რწმენა გაუძლიეროს, ძველი კათმოყვარეობა და სიმშვიდე მინდა დაუბრუნდეს.

ანასტასიამ მორცხვად გაუღიმა, მოკრძალება ნებას არ აძლევდა სიტყვებით ზედმეტად გამოეხატა სათქმელი, რომელსაც შესაძლოა გულისტკივილი გამოეწვია მის წინ მდგომი დედის გულში, რომელსაც შვილის წარმატებული კარიერა სიამაყის საფუძვლს არ აძლევდა: –თქვენზე ვილოცებ მართა, თქვენზე მესიამოვნება კიდევ უსასრულოდ ღოცვა.

ქალბატონი მიუხვდა ანასტასიას ნათქვამს, მის ღიმილნარევი გამომეტყველებას წყენის ნიშანწყალი არ ეტყობოდა, ტკბილად აუთამაშდა ტუჩის კუთხეები, სახეზე დამჩნეული ნაოჭები ახლადდაფენილ თოვლისფერ თრთვილზე გავლილი მსუბუქი ფრთოსნის ნაკვალევივით აჩნდა, შეფაკულ დაწვებზე ხელი გადაისვა და ჭიშკრისაკენ ნელი ნაბიჯებით დაიძრა. მას გვერდიგვერდ ამოუდგნენ ახმახი დამცველები, რომელნიც წამიერადაც კი არ ტოვებდნენ უმეთვალყურეოდ ქალბატონს.

ტაბლას სიხარულით მიუსხდნენ ოჯახის წევრები, ვერამ საინზე დააღაგა სტუმრის მიერ მოტანილი ძღვენი, მოხარშული დედალი ნაჭრებად დაჭრა და სუფრის თავში ჩადგა:

–ღვინოც მოუხდებოდა ამას. –ჩაილაპარაკა სიხალისით სოზონოვმა და თეფშზე გადაღებულ ქათმის ხორცის ნაჭერს პირი მოუმარჯვა.

–ეგ დედიკოს კურტუშია,–გაისმა მოულოდნელად გიორგის ბავშვურად გულწრფელი ნააზრევი, რომელსაც ხმამაღალი სიცილი მოჰყვა ჯერ ვერასგან, მერე კი ვიქტორისაგან. თვალეზაფართოვებით შესცქეროდა ბავშვი მის ნათქვამზე მოკისკისე დედ-მამას და ვერ მიმხვდარიყო, თუ რა თქვა სასაცილო, კარგად ახსოვდა რომ მართა ბებოს მოტანილი, მოხარშული დედლის კურტუმის კნატუნი, დედამისს ძალიან უყვარდა.

–ღმერთმა გაახაროს მართა ჯაყელი, –თქვა მოკრძალებულად ანასტასიამ და მწვანილის ფოთლები თხელ თითებში შეათამაშა.–რამდენჯერაც მობრძანდება, იმდენჯერ ხელდამშვენებული მოდის,

–რომ არა ქალბატონი მართა, ომიანობისას, ამ გაჭირვებულ ჟამს ვინ გვადირსებდა მოხარშულ დედალს?–ვერამ ქმარი მზრუნველურად შეათვალაიერა და დასძინა: –გიორგისთვის ტკბილეულობაც მოუტანია, და არაერთხელ.

–ხელგაშლილი ყოფილა, ბავშვიც რომ არ ავიწყდება–სოზონოვს ბოხ ხმაში აღტაცება დასტყობდა.

–კეთილად ხელგაშლილი, მისი გულითადობა საამაყოა, რამდენს განიცდის შვილის საპასუხისმგებლო თანამდებობის გამო.–ანასტასიას მეტის თქვა არ სურდა მართას შესახებ, ღიმილიანი თვალებით შეჰხარა მის პირაპირ მდჯომ სიძეს – აბა, რას გვიამბობ ომისას?

–ნასტინკა, არ მესმის, ასეთ სათნო დედებს მკაცრად გამობრძმედილი რკინა-ფოლადის შვილები როგორ უჩნდებათ? ნუთუ დედისეული არაფერი დაჰყვებათ ხოლმე გაჩენისას?

–ვერა, რაც შენ არ გეკითხება, ნუ იტყვი, ჩვენი საქმე რაც არაა, ენა-პირს ნუ ათქმევინებ! – სიმკაცრე დაეტყო ხმაში ვიქტორ სოზონოვს – იცი, ადამიანს კბილები რად მისცა გამჩენმა? იმიტომ კი არა რომ ვაშლი კბიხოს, არამედ იმიტომ რომ დაგრძელებულ ენას გალავანით აღემართოს და პირში დატეულს გარეთ გამოყოფის საშუალება არ მისცეს.

ვერას სულაც არ სწყენია ქმრის უხეში ნათქვამი, პირიქით გულის შიგნით არეალი გაუნათდა, თავისზე მზრუნველი მამაკაცის ნაუბარი მაღამოდ ედებოდა მის იარებს, დროებით, ნაუცბათევად მის მოშუშებაშიც კი ეხმარებოდა. საკუთარი და, ანნა გაახსენდა. მისი გაუთავებელი ბჭობა რეპრესიებით გამოწვეულ სიმწარეზე, გამუდმებულ ძაგებას მოჰყვებოდა ხოლმე და სიავის მსურველი იყო ყველა უდანაშაულოს სისხლით გასვრილი ჩინიანი პირისა. ანნა, უმცროსი დის ხსოვნაში, უკვე რომანტიულ წიგნებში დაბადებულ პერსონაჟს ჰგავდა, საწერი კალმის საშუალებით მხატრულად აელვარებული თვალ-წარბით, ფაქიზი კანით, თხელ-თხელი აღნაგობით, მაგრამ დიდი სიყვარულის შესაძლებლობების შემკული ნიჭით, მის სიყვარულს სახელად დათა მაყაშვილი ერქვა; რევოლუციური ხასიათის, დაბადებიდანვე მშფოთვარე მანერების მქონეს ჩამოჰგავდა, ისიც რაინდული თვისებებით ჩამოქნილი კაცი, ღირსება მისთვის სიცოცხლის ტოლ-ფასი იყო. მასაც უყვარდა ანნა, მის გამო ბრძოლაც შეეძლო, უკან დახევა არ ახასიათებდა, მაგრამ ვერას მუდმივად სჯეროდა რომ ანნას გაცილებით მეტად უყვარდა სატრფო, ვიდრე ის მამაკაცს. ალბათ, ქალისა და მამაკაცის სიყვარულის გაზომვა-აწონვა რომ ყოფილყო შესაძლებელი, სასწორზე ორი საინი ტოლხაზოვნად დაეკიდათ, ერთზე ქალის სიყვარული დაედოთ, მეორეზე კი მამაკაცის, რა თქმა უნდა, ქალის დასძალავდა. ქალი ბუნების უნაზესი ქმნილება გაცილებით გიჟია სიყვარულის გამოხატულებისას, ვიდრე მამაკაცი. ანნა სიყვარულში დაეცა, სუსტი მუხლი მაშინ უკანასკნელად ჩახარა, როდესაც თავისი საყვარელი მამაკაცის უსიცოცხლობა შეიტყო. ვერა ფიქრობდა, რომ მასაც შეეძლო სიყვარული, მაგრამ არა ისეთი, როგორც ანნას წრფელ გულს ეწიფებოდა. ანნას კითხვა უყვარდა, განსაკუთრებით ფრანგ კლასიკოსთა რომანების. თვითონაც რომანის გმირს ჩამოჰგავდა, მისი სიახლოვისას, ისეთი შეგრძნება უეფლებოდა ვერას, რომ თითქოს დედამიწა გაფართოვებულიყო ანნას სიხალისით, მისი მოქნილი და სხარტი მანერებით, მისი თავგანწირული სიყვარულის ნიჭიერების გამო. ანნასთვის დათა მაყაშვილი სამყაროს შუქმფენი წერტილი იყო, რომლის სიყვარულით ბედნიერება საზრდოობდა, მთელი არსებით უსაზღვრო სიხარულს მიეცა, როდესაც საკუთარი ორსულობა შეიცნო, მათ სიყვარულს ნაყოფი კეთილად გამოეღო. ბოლო დროს სიზმრისგან მშფოთვარეც ახსოვდა ანნა. როდესაც ცის კიდებზე ამოწვერილი მთვარე ლაპლასს იწყებდა, ანნას უშნო ზმანება აწვალებდა. სიზმრიდან გამოყოლილი უხასიათობა დათას სახლში

არყოფნისას უმძაფრდებოდა. ხშირად იპყრობდა უმიზეზო ნაღველი. სიზმარი ცუდად აუხდა, რეპრესიებმა მწარედ უწია მოსიყვარულე წყვილს. სახლში მობრუნებულ თმახოტორა ანნას დათა მაყაშვილზე იმედიანი ფიქრი აცოცხლებდა, მაგრამ მისი დახვრეტის შესახებ შეიტო თუ არა, მწუხრმა შეიპყრო ძირისძირობამდის. ერთახნს, გამთენიისას ქმრის სახელი ისეთი სიძლიერით იკივლა, რომ სამყარო შესძრა, სურდა მისთვის ხმა მიეწვდინა გამწარებულ გულზე, სადაც არ უნდა ყოფიყო ის, სამყაროს რომელ წერტილშიაც კი, სცოდნოდა რომ ის მას ეძებდა... დათას სახელმა ცა და დედამიწა მოიცვა, ხმა ექოდ აიტაცა სამყარომ და უსასრულობაში გააბნია. თითოეულ ვარსკვლავს, გაზოგან-მტვროვან ნისლეულსა თუ ღრუბელს მისწვდა ინფორმაცია შეყვარებული ქალის სასოწარკვეთილი ძახილისა, ის ეძიებდა ნებისმიერი სახით ნაქცევ ქმრის დანატოვარ გრძნობას. ეს ხმა აიტაცა უსასრულოდ ერთიანმა სამყარომ თანაგრძნობის გამო და მერე წამიერად დაიცრია ჰაერში. ანნას სიცოცხლის უკანასკნელი დღეც შავმწარედ ახსოვს. როდესაც მოწამლული დის დაკრუნხულ სხეულს დახედა, გამწარებულს სისხლი აუვარდა თავში, მშხეფვარედ დაუწყო საფერთქლებში ცემა... მაინც ეს სიყვარულის ძალა რა მწარედ გადაგვეკიდა სამივე დასო, განიცდიდა. ამაზე დიდხანს უფიქრია ძილის წინ, ხანდახან ისე გაიტაცებდა ხოლმე სიყვარულის თავგანწირვის შესახებ ფიქრი, რომ ძილის რული უფრთხებოდა. მაინც ვინ გვასწავლა, ვინ შთაგვაგონა ასე გიყვარდეთ თქვენი სიყვარულიო, უფრთხილდებოდეთ და მის გამო თავსაც სწირავდეთო?.. ალბათ, დედამ მუცლიდანვე გადმოგვაყოლა ეს თვისება. ის ჩვენზე ორსული თუ გამუდმებით ფიქრობდა სიყვარულის თავგანწირვაზე, ანდაც მხატვრულ ლიტერატურას კითხულობდა, მთელი არსებით შეიგრძნობდა ნაწარმოებში გადმოცემულ სიყვარულს, ერთგულებასა და ღალატს, ალბათ მუცლადმყოფთ დედის ნააზრევ-ნაფიქრალი მტკიცე კანონად გვებეჭდება გონებაში. ანასტასიასთან ამაზე გადაკვრით თუ უსაუბრია ფრონტზე მყოფი ქმრის განცდიანობისას: – რატომაა ასე, ჩვენ დებს სიყვარულის გიჟური განცდა გვეუფლებს, როცა სხვა ქალები ამაზე დიდად არ განიცდიან, შესაძლოა განიცადონ, მაგრამ ჩვენსავით სიცოცხლეს არ ანაცვალებენ, ზედ არ გადაყოლიან. ვინ გვასწავლა, ვინ შთაგვაგონა ასეთი გიჟური სიყვარული?

– ეს გიჟური სიყვარული არაა, ნამდვილი სიყვარული წრფელია თავისი არსებობით, მისი გამოვლინებებისას კი აღარ ფიქრობ როგორია ის, გამოხატულება ჭკვიანურად თავშეკავებულია თუ არაჭკვიანურად განცდიანი. ნამდვილი სიყვარული აქ, მწველ გრძნობად იგრძნობა – საუბრისას ანასტასიამ თხელი ხელი მკერდზე მიიღო – თუ მას უჭირს, აქ გტკივა, თუ ულხინს-მაინც აქ გსიამოვნებს, რომ ამბობ, სხვები ასე თავს არ წირავენო, შენ რა გგონია, ყველას სიყვარული გულწრფელია? ის, რომელი სიყვარულიც თავგანწირვაზე არ გადის, არაა სიყვარული. ის უკვე ან მოწონებაა, ანდაც სიმარტოვით გამოწვეული თანაგრძნობიერება. სიყვარულში ღმერთივით მზრუნველი უნდა იყო, მხოლოდ ხანგრძლივად მხურვალე ლოცვისას და წრფელი სიყვარულისას გრძნობ პირდაპირ კავშირს უფალთან, იმ უფალთან რომელიც ჩვენი სიკეთით თბება, ჩვენი

სიყვარულით ტკბება, შეგვხარის ისე, როგორც ახლადნამშობიარებელი დედა ხარობს თავისი ყრმის პირველი ნახვისას. დედას შეუძლია შვილის გამო ყველანაირი შეურაცხყოფა დაითმინოს, ყველანაირი დაბრკოლება გადალახოს, ტკივილით შობოს და სიხარულით აღივსოს, იწვალოს მისი გაზრდით და დედასთან დამოკიდებულების ყოველი მცდარი ნაბიჯი სიყვარულითა და მორჩილებით აიტანოს. დედის თვისებებისამებრ ჩვენი უფალიც ასეთია, ჩვენს გამო ეწამა, და კვლავაც ეწამება, თითოეული ჩვენი ტკივილი სტკივა. უცაბედად მოვლენილი სიყვარული ღმერთის საჩუქარია ჩვენთვის. ანნა ბედნიერია, რათა სიყვარულის ის გამოვლინება შეიგრძნოს, რომელსაც ზოგიერთ ადამიანს სიცოცხლის ხანდაზმულობამდეც კი არ დაეზმანება, წარმოდგენითაც კი ვერ წარმოიდგენს. მეც ბედნიერი ვარ ვერაჩკა, ბედნიერი... რადგან ჩემი სიყვარულის გამო დაუძლეველი დაგძლიე, ნათლად ვგრძნობ მიზანთან ახლოს ვარ, კირილე არ ყოფილა ქაოტურად მოვლენილი, ქარს აყოლილი მსუბუქი ხასიათის პიროვნება, ის ძლიერი ვაჟკაცი იყო, მას საზღვრებშეუკავებელი სიყვარული შეეძლო, მეგობრები უყვარდა და მათ დალატს სიზმრადაც ვერ გაივლებდა... მე ვუყვარდი, ჩემი სიყვარული მისთვის ხატება იყო, მე ვიყვარდი... ვუყვარდი, და თანაც იმდენად, რომ საკუთარი სიცოცხლეც კი შემომწირა. მერწმუნე, სხვის თვალში ალბათ ჩემგანაც გადადგმული მსგავსი ნაბიჯი, დიდად ერთგულების დამადასტურებელი იქნებდა, მაგრამ, მე მიზნად სხვა რამ დამისახა ჩემმა სულიერმა მხარემ, მე ჩემი მხრებით ამაქვს კირილეს სატარებელი მძიმე ჯვარი აღმართზე.

– აღარ გეკითხები, როდის გაივლი-თქო, მაგრამ გულწრფელად მაინტერესებს, როდისმე თუ ველირსები შენს სახლში შემოსვლას, მენატრება სამზარეულოს მაგიდასთან მეჯდე, გემრიელ ბლინებს გიცხოვდე და თბილი რძით გიმასპინძლებოდე.

ცა ნაცრისფერში მოიქუფრა, წვიმისათვის მომზადებულს გრუხუნი გაუდიოდა და ყრუდ აღიქმებოდა მუქი ფერის ღრუბლებში.

– აქ გამიმასპინძლი ვერკა, სახლში შემოსვლას რა ძალა აქვს, ვიცი გიყვარვარ, მეც მიყვარხარ ჩემო დაიკო, განა შენზე მშობლიური ვინმე მეგულება? ჩემი ცხოვრება ესაა, აქ თავს კარგად ვგრძნობ, კირილეს ხსოვნა არა მტოვებს უყურადღებოდ, არც უფალი მიმეტებს ავისთვის, სეტყვისას თავის ტკბილ კალთას მაფარებს, იცი ისეთი ტკბილია, ისეთი ... ტირილი მინდება, თუ ვერ შეიგრძნობ, ვერც წარმოიდგენ, არადა რა ადვილია მისი შეგრძნება, მასთან მიახლოება, უფალი მესაიდუმლედ ისეთ ადამიანებს ირჩევს, რომელნიც ასაკის მიუხედავად ბავშვური გული და განცდები ახასიათებთ. მერწმუნე, ასეთად ძნელია გარდაქმნა, მაგრამ არა შეუძლებელი.

– მაინც როდემდე იჯდები ასე? ხომ ხედავ სიბერისკენ ვქენით პირი, ხომ აღარ ვახალგაზრდავდებით არა? – ვერამ ცას დაკვირვებულად ახედა, ზეცამ წვიმის რამდენიმე მსხვილ წვეთიანი ნიშანი მისცა მიწას, მოქუფრული ციდან გრუხუნი კვლავაც გაისმოდა.

–ესეთი ცხოვრება ჩემი არჩევანი იყო, ჩემო დაიკო, მე ამ არჩევნით მოხარული ვარ, შენც მინდა გიხაროდეს და არა განიცდიდე. მე ჩემი კირილეს სულის გამოხსნამდე ვიქნები ასე, მერე კი დამშვიდებული მის სანახავად გავემშურები. მე სიცოცხლის ბოლო ამოსუნთქვამდე აქ ვიქნები.

წვიმა მსხვილი წვეთებით დაიწყო, ვერა შეუწუხდა მოგრუხუნე ამინდს: – თავსხმას აპირებს, ქოლგას გამოგაწვდი, შეეფარები მაინც. – ციდან წამოსული გრუხუნის გამო თითქმის ყვირილით გააგონა გულისწადლი მჯდომარე დას.

–ქოლგა რად მინდა, შაქარი კი არ ვარ დავდნე, მე წვიმის არ მეშინია, პირიქით მიყვარს წვიმა, მასთან ერთად ვუუუუნებ ხოლმე, შენ არ გესმის თორემ წვიმასთან საუბარს დიდი ხნის ნაჩვევი ვარ.

–გამაგიჟებ შენ, უფრო სწრედ უკვე გამაგიჟე! –უკმაყოფილოდ გადასძახა და წვიმისაგან მობუზული სწრაფად შევარდა სახელში. პირსახოცს წასწვდა ხელით და თმის გამშრალებას შეუდგა. პარალელურად გასცქეროდა ფანჯრიდან წვიმაში უძრავად მყოფი დის სილუეტს. ეცოდებოდა, გულის კოვზი უწყებდა წვას, მაგრამ თავს ზევით სხვა გზას ვერ ხედავდა. კარგად ახსოვდა დათა მაყაშვილის ჯიუტ ხასიათს მეტი სიჯიუტით დაუხვდა ნასტია, როდესაც მის თავზე სამშენებლო მასალებით მოინდომა გადახურვა. არც სოზონოვს დაუხვალა სიჯიუტის გამოვლინება, გამოთქვა თუ არა აზრი თავშესაფრად მოქოხილი, პატარა ფარდულის აშენებაზედ. მხოლოდ ტყემლის ხის იმედად იყო მჯდომარე ანასტასია, რომელმაც ზრდის მიმართულება შეიცვალა, გვერდულად გადაწეული თავზე გადაეფარა ტოტებით, თუმცა წვიმასაც ატარებდა და თოვლსაც. ზაფხულის მწველი მზის დროს მცირე ჩრდილს კი იკაავებდა, მაგრამ არა იმდენად რომ ჩრდილქვეშ გაგრილება შესაძლებელი ყოფილიყო. მთელი ღამე გადაუღებლად წვიმდა, ვერას ისეთი შეგრძნება დაუფლებოდა, თითქოს მასაც აწვიმდა თავზე, თითქოს გალუმპული ტანისამოსი შემოტმასნოდა მის ტანს და სიცივისაგან აკანკალებულს, ტანზე სუსხის ეკლები აყრიდა. ლოგინში თბილად ჩათბუნებული ფსიქოლოგიურად კანკალმა აიტანა, ააძაგდა ტანით, კბილს კბილზე ვერ აჭერდა, ისე აკაწკაწებდა. გათენებისას საჩქაროდ წამოხდა, წვიმას გადაღებით არ გადაედო, მაგრამ ისე შხაპუნად აღარ მოთქაროდა, ახლა ნაზად აუუუუნებდა არემარეს. ვერამ ანასტასიას გამოსაცვლელი ტანსაცმელი გაუტანა, გამოცვლაში თვითონაც მიეხმარა. ცხელი ჩაის მომზადებას შეუდგა დისათვის.

ომიანობის პერიოდმა არნახული გაჭირვება მოიტანა. თუმცა დები ნიკიშევები იოლად შეეწინენ გასაჭირს, რადგან ბავშვობიდან გამოწვრთნილები იყვნენ, სილატაკისადმი ადაპტირებულნი. ქალაქში პური იშვიათად ცხვებოდა, ისიც მცირე რაოდენობა იყოდებოდა მოსახლეობაზე, დანარჩენი ფრონტზე იგზავნებოდა. ფქვილის საყიდლად დიდი რიგების გადალახვა იყო საჭირო, ხოლო ნავთს ტალონებით არიგებდნენ, მაგრამ ვაი იმ დარიგებას, დიდძალი ღონისა და შნო-მარიფათის გამოვლენის შემთხვევაში თუ მიაღწევდა რამდენიმე დღიან რიგში მყოფი ადამიანი. ვერასთვის სილატაკე დასარცხვენ მდგომარეობას ნიშნავდა, ამიტომ ხელმოკლეობას ისე მაღავედა, როგორც გასათხოვარი ქალწული ასაიდუმლებს მანკს. მაჯებგაცვეთილ პულოვერს ისე ამოუკეცავდა ზედაპირს, რომ გაცვეთილი კი არა, შეახულადაც კი არ მოჩანდა. ფეხსაცმელს გაცვეთილ მხარეს ისე გაუპრიალებდა თმის საცხით, ახალნაყიდს დაამგვანებდა. დებ ნიკიშევებში სილატაკე შიშისმიერი განცდებით არ აღიქმებოდა, თუმც მათ გარშემო არსებულ საზოგადოებაში სწორედ ზემოხსენებული სილატაკე მტრობის მიზეზი ხდებოდა.

საუზმის შემდეგ მზით გამოთბარ სხივებს ჩამოუჯდებოდნენ ხოლმე ვერა და მისი ქმარი. სიწყნარის წუთებით იმშვიდებდნენ გონებას. გიორგი ბაღში მოუსვენრად ხტოტა, ხეებზე ცოცვა აითვისა თუ არა, შეიყვარა. ხან რომელ ხეზე შემოსკუპდებოდა გუგულივით და ხანაც რომელზედ. ვერას უყვარდა ჰაერში ჩიტების ნავარდობისთვის თვალის დევნება. ასეთ დროს გარდაცვლილი და, ანა ახსენდებოდა, საუზმის შემდეგ წინკარში ჩამომჯდარი კუდმაკრატელა მერცხლების ნავარდობით იხალისებდა სიყვარულით სამსე გულს. თხელ, გრძელთითება ხელებში რომელიდაც სქელტანიან წიგნს მოიქცევდა და დრამატული ნაწარმოების კითხვას მერცხლების გაუჩინარების შემდეგ იწყებდა. ფურცლავდა დროგამოშვებით თითოეულ ფურცელს და მასზე დაწერილი შინაარსის შესაბამისი გრძნობები აღებეჭდებოდა ხოლმე სახის მიმიკებზე.

ვერა ფიქრში სინანულით იხსენებდა განვლილ ცხოვრებას, თავისი შესანიშნავი და აწ უკვე გამქრალი პერსონაჟებითურთ. მისი ქმარი, ვიქტორ სოზონოვი უსაქმურობამ გადალალა. გულის გადასაყოლებლად ხეზე კვეთას მიჰყო ხელი, ჯერ კიდევ ბავშვობისას მამამ ის გამოცდილ ოსტატს მიაბარა, რათა ხეზე კვეთის ხელობას სრულყოფილად დაუფლებულიყო. დაეუფლა კიდევ, ოღონდაც შეძლებისდაგვარად. ყოველდღიურად, საუზმის შემდგომ ეზოში მზის თბილ სხივებს მიფიცხებული ხეზე კვეთდა ტაძრის პორტალს. ფრონტზე ყოფნისას ოცნებობდა სახლში ყოფნაზე, ცოლ-შვილის შემხედვარე სიხარულით აღვსილი შრომა-გარჯას მიჰყოფდა ხელს, მათი კეთილდღეობის გამო. მერე შრომით მოქანცული თავაწყვეტილი ქეიფით დაისვენებდა. ოცნება სამომავლოდ გადასდო, ომის პერიოდში ვის რა, ან როგორ ექეიფებო, გაიფიქრა და ისევ ხეზე კვეთის რაკუნს მიჰყო ხელი.

ნასტასიას ფოსტაში ამანათების განყოფილების თანამშრომელი, ლამზირა ეახლა. მცირედი ხელნაქსოვი მოეტანა, ფრონტზე გასაგზავნად. ანასტასიასთან ახლოს მისული, მის წინ დაიჩოქა:

–ანასტასია, შენ უნდა მითხრა სიმართლე ჩემი ჭაბუკას შესახებ. ამას წინებზე შავი ბარათი მივიღე ფრონტიდან, ვითომ ქერჩში დაღუპულაო, არ მეჯერება ანასტასია, ჩემს გულს ბედენა არ აქვს, არც ცრემლი მდის და არც გულს ეტირება. გთხოვ, რამე მიშველე, თუ შეგიძლია სწორი მითხრა, ვიცი შენ არ გიყარს ასეთი დაძალება, მაგრამ უნდა ვიცოდე ჩემი ძმიშვილი, ჭაბუკა ცოცხლებში მოვისხენიო თუ მკვდრებში.

ანასტასიამ ღიმილიანი თვალებით შეხედა. თავდაპირველად დუმდა. მხოლოდ ტანით, უმნიშვნელოდ ირწეოდა წინ და უკან. დუმილი ღრმა ფიქრში გადაუვიდა. მის წინ მუხლზე დამდგარი ქალი ვერ ითმენდა დუმილს, რომელიც მწარე ეკლებად ესობოდა მკერდზე:

–მითხარი რამე, გენაცვალე, მითხარი რა, გთხოვ! –დაარღვია დუმილი დიდად შეუკავებელი ხასიათის გამო.

–მე რა უნდა გითხრა, ლამზირა! –გაუღიმა კეთილად ანასტასიამ –დედის გულმა უკეთ იცის მისი შვილის სიცოცხლის შესახებ. შავი ბარათი ხან საჭიროებისამებრ მოდის, ხანაც არასაჭიროებისამებრ, ტყუილად. ხან იკარგება და ხანაც მისამართი ეშლება.

ლამარამ თავი ხელებში ჩარგო და აქვითნდა. როცა ქვითინით გული იჯერა ხელები დაუკოცნა ანასტასიას: –ხედავ როგორ მაშინათვე გამოიცნო?–მიმართა ვერას–ჩემი შვილი რომ არის, ჩემი სისხლი და ხორცი!

–აბა, ჩემი ძმის შვილიაო, ასე არ ამბობდი?

–ჰო, ასე ვამბობდი, ასე მინდოდა მეთქვა, აბა ხო მარ ვიტყოდი, ჩემი და ჩემი საყვარლის სიყვარულის შედეგია-თქო? ასე რომ მეთქვა, ხალხი ნაბიჭვარს დაუძახებდა, არ მინდოდა ჩემი უსაქციელობის გამო გული სტკენოდა, მის თანატოლებში თავმოყვარეობა შელახვოდა, ამიტომ ჩემს ძმისშვილად დავუყარე ხმა, ძმა აქედან მაგის გულობისთვის გამექცა, სადაც პატარა კამათი მომივა კაცებში, მაშინათვე შენს ზნეობას წამომადახებენო, ამიტომაც გამერიდა. მარტო დავრჩი ჩვილთან ერთად. გავზარდე, ხელი არ მოვტეხე და ფეხი, აღზრდა არ დავაკელი და გაზრდა. ახლა ომშიაც დამივაჟკაცდება, ერთი სული მაქვს ჩამოვიდეს, მუხლებში ჩაუვარდები და ყველაფერს ვეტყვი, სიმართლეს გავუმხელ, ამ გულსაც აღარ შეუძლია მეტის დატევა.

–და ის,–შეაწყვეტინა ვერამ მოთქმით საუბარი ლამზირას–ის, კაცი, ახლა სადაა?

–ვინ კაცი?

–ის, შენი ჭაბუკას მამა! ნამდვილი მამა.

–მას ცოლშვილი ჰყავს, თავიდანვე ვიცოდი, მაგრამ ამის გულისთვის უკან არ დამიხევია...

–შვილს თუ ნახულობს, თუ იცის მისი ომში წასვლის შესახებ?

–არა, პატარა იყო ჩემი ჭაბუკა მისმა ცოლმა რომ შეიტო ჩვენს შესახებ, ასე მოვილაპარაკეთ, ოღონდაც ხალხი არ აელაპარაკებინა, უბანი არ შეეყარა, საიდუმლოდ შეენახა ეს ამბავი და მის ქმარს სათოფეზე აღარ გავეკარებოდი.

–რატომ მოიქეცი ასე?

–ჩემი ჭაბუკას ავტორიტეს გაუფრთხილდი. ვაჟიშვილის ავტორიტეტი დედის სამკაული და სიცოცხლის თილისმაა, ხომ იცი.

ანასტასია მომღიმარი შეჰყურებდა შვილის სიყვარულით აღტაცებულ დედას, რომელიც ისე აჭიკჭიკებულიყო, თავის წილობით შენახული საიდუმლოება ერთი ხელის მოსმით გაეთქვა. თუმც არც ნანობდა, ვაჟიშვილის სიცოცხლე აიძულებდა თვითონაც შეგნებულნი ძალისხმევით დახვედროდა არსებულს, საზოგადოებაში გაგრძელებულ შესხედულებას შვილის უმამოდ აღზრდის შესახებ მედგრად აღდგომოდა წინ.

ლამზირას ვაჟიშვილი მართლაც დაუბრუნდა, ოღონდაც მაშინ როდესაც რეპროდუქტორმა რადიო დიქტორ-ლევიტანის პირით გადმოსცა რაიხსტაგის თავზე ქათარიასა და ეგოროვის მიერ საბჭოთა კავშირის დროშის აღმართვა.

დიდი სამამულო ომი დასასრულდა. თბილისი ქუჩებში სასულიერო ორკესტრი დაიარებოდა და ხმამაღალი მუსიკით ამცნობდნენ და სასიხარულო განწყობაზე აყენებდნენ ქალაქში დარჩენილ მოსახლეობას: ქალებს, ბავშვებს, მოხუცებსა და ომში დაბრაკულ, ხეიბარ მამაკაცებს.

ქუჩა-ქუჩა მოხეტიალე სასულე ორკესტრს უკან სიკილ-კისკისით მიჰყვებოდნენ ახალგაზრდა ქალები, მოულოდნელად გადმოუსტებოდა წინ ინსტრუმენტებიან მუსიკოსებს თმებდაკოსავებული, მაღალი, ზორბა ტანის, ჩითის კაბიანი ქალი და მთელი ხმით შემოუძახებდა: –ძირს ჰიტლერი, ძირს კაცთამკვლელი ფაშიზმი, ძირს ნაცისტური რაიხკანცლერი, ძირს ყველა მკვლელი, სოკოს სპორიდან აღმოცენებული მხდალი მამაკაცი...

მევირაღა ქალს ემოციური განცდებისაგან სახე წამოუჭარხლდებოდა და ნერვული სტრესი ემართებოდა, რაც გულის ფრიალსა და ყურებში შემაწუხებლად მოშხუილე ხმით გამოეხატებოდა.

ხელკავს გამოსდებდნენ აქეთ-იქიდან მუშა ქალების ერთობა და დამშვიდებისკენ მოუწოდებდნენ: –ადარ იჯავრო, საჯავრელი აქამდე იყო, მანამ ცოცხალი და ომის დუხზე იდგა, ახლა დარდის მაგიერ უნდა ვიხეიმოთო, ამშვიდებდნენ აქეთ-იქიდან.

ხან რომელი სახლის ეზოდან გამოვარდებოდა ომის დამთავრებით გახარებული შაოსანი, ძაძვით მოსილთ მშვიდობას მაინც გაენათებინა მათი მგლოვიარე სხეულის კუნჭულები, ცეკვა-თამაშსაც არ იკლებდნენ მოხეტიალენი: – სტალინს გაუმარჯოს, ჩვენს მხსნელს, ვაშა სტალინს... იოსებ ბესარიონოვიჩი ჩვენი პატრონია, ჩვენზე მზრუნველი, ჩვენთვის მშვიდობის მომტანი, გაუმარჯოს ! –გაჰყვიროდნენ სასულე ორკესტრთან ერთად მოხეტიალე ხალხის ტალღა, რომელიც უფრო და უფრო რიცხობრივად მრავლდებოდა და საადღუმე დემონსტრანტებს ემსგავსებოდნენ.

სასულე ორკესტრმა აღილუევას ქუჩაზეც ჩაიარა, ნიკიშევების ბაღიდან მჯდომარე ანასტასია და მის სიახლოვეს მდგარი ღიმილიანი დედა-შვილი, ვერა და გიორგი ხელებს უქნევდნენ მუსიკის თანხლებით მოსიარულეთ. თბილისის მოწყენილ ქუჩებს დიდიხნის დროინდელი, სადღაც დაკარგული, ხალიანი განწყობა დაბრუნებოდა. ამინდიც თბილი ჩამომდგარიყო დედაქალაქში.

ომის შემდგომ პერიოდში ნიკიშევების ეზოში ხალხი არ ილეოდა. მოდიოდნენ ანასტასიასთან ფრონტზე დაკარგული ჯარისკაცის დედები და სთხოვდნენ, გაეგო, თუ მათი შვილები ცოცხლებში ერივნენ თუ მკვდრებში. მჯდომარე ანასტასია დედებს მასთან ერთად სთხოვდა ლოცვას, დედისეულ ღვთისმშობლის ხატს ეამბორებოდა და მის წინ მდგომს თუ გაუღიმებდა და უპასუხოდ დატოვდა, ქალი გახარებული უწყებდა ამბორს ლოყებსა და შუბლზე, გახარებული ტოვებდა ნიკიშევების ეზოს. ხოლო თუ მცირედი ყოყმანის შემდეგ, ანასტასია თავისი მუხლების წინ ცოტაოდენ მიწას მოაგროვებდა თხელი, სუსტი თითებით და შინდაუბრუნებელი ჯარისკაცის დედას გაუწვდიდა, ცრემლებად იღვრებოდა. დედის ცრემლებზე ანასტასიაც აცრემლდებოდა, თითოეული დედის ტკივილი პატარა ბავშვივით მიჰქონდა გულთან, ისეთ ტირილს იწყებდა, რომ მერე სლუკუნში გადასდიოდა. ანასტასიასათვის თვალებდაწითლებულზე ენაცვლებოდა გათენება დადამებას და პირიქით.

–ანასტასია, გენაცველე, მიცანი? –მოკრძალებით მიუახლოვდა გამხდარი, თხელი აღნაგობის ქალი მუხლზე მჯდომარეს.

–გიცანი–გამოეპასუხა და ტირილით დაწითლებული თვალები ხელით მოისრისა. შეძლებისდაგვარად გაუღიმა, ხელები ჩასახუტებლად გაუშალა. ქალი თბილად ჩაეხუტა, მერე ტირილი აუვარდა.

–ნუ ტირი, დამშვიდდი–სთხოვდა ანასტასია მტირაღს.

–გახსოვს, ჩემი ნიკა თავის მოსაკლავად რომ იწვევდა, ხელ-ფეხ გაკოჭილი მოგიყვანე, გახსოვს?

–მახსოვს, ჩემო კარგო, ღვთის საყვარელო შვილო, კარგად მახსოვს.

–შენი გადარჩენილი ნიკა, ფრონტზე წავიდა, იქიდან წერილებს კი იწერებოდა, თანაც ხშირ-ხშირად, მერე წერილები შეწყდა, აღარცა მწერდა, არც კარგი ვიცოდი მისგან და არც შავი... – ქალმა ქვითინს უმატა, ეზოში მოფუსფუსე ვერამ ქალბატონი იცნო, მის შვილთან დაკავშირებული თავგადასავალიც ნათლად ახსოვდა. წყალი მოუტანა სულის მოსათქმელად.

–ახლა ომი გათავდა, კი გამეხარდა—განაგრძო სასოწარკეთაში მყოფმა ქალმა—მაგრამ, არ ვიცი, ჩემი ერთადერთი შვილი ცოცხალია თუ მკვდარი, ის არ ჩამოსულა, ყველანი დაბრუნდნენ, ჩვენ უბნელები, ჩვენ კორპუსელები, სანათესაოდან, სამეზობლოდან... ჩემი შვილი, ჩემი ნიკა კი არ ჩანს, არ ვიცი ომი დამთვარდა და უნდა მიხაროდეს თუ ახლა დაიწო ჩემთვის ცხოვრების დასასრული...

ანასტასია დედის სიტყვებმა ააფორიქა, თვალდახუჭულმა ლოცვა იწყო, ვერამ მომტირალს პირთან თითის მიტანით ანიშნა გაჩუმება, ისიც ანასტასიას შეჰყურებდა სულგანაბული, მისთვის წუთი ზედმეტი ხანგრძლივობით იწელებოდა. ლოცვისას ანასტასია წამდაუწუმ პირჯვარს იწერდა, თავი მუხლებთან მიჰქონდა და მიწას მსუბუქად შეახებდა ხოლმე მიწას. მორჩა თუ არა ლოცვას, სულგანაბულ ქალს თბილად მომღიმარმა შეხედა, მისი სახიდან წამოსული მშვიდი გამომეტყველება მსწრაფლ გადამდები იყო ახლომყოფთათვის:

–ნუ იდარდებ შენს შვილს, დედა, ის დაგიბრუნდება, აუცილებლად დაგიბრუნდება. წადი ახლა შინ, მშვიდად იყავი და მისი გზის დასალოცად დროს ნუ დაინანებ. წადი ახლა დედა, წადი! შენი ადგილი სხვა დედებს დათმე, ისინიც ენით აუღწერელი განცდებით მოსულან.

ისეთი სიმშვიდით წარმოსთქვა ანასტასიამ რომ, გეგონებოდათ დედამიწას მთელი თავისი არსებობის მანძილზე წამოქუხებითაც არ დაუქუხავს, მიწას არასდროს სტკენოდეს და ცას უღრუბლობა არასდროს განეცადოს.

ქალი მართლაც იოლად დაჰყაბულდა დარიგებას, სულდამშვიდებულმა დატოვა ანასტასიას ეზო-კარმიდამო. გრძნობდა, რომ ერთადერთი შვილი, რომელიც ნანის-ნანატრად ჰყავდა გაჩენილ-გაზრდილი, მალე დაუბრუნდებოდა.

მოსკოვში ავტოვაგზლის ბაქანზე შემდგარი ჯარისკაცი დიდი მოთმინებით ელოდა თბილისისკენ მიმავალი მატარებლის გამოჩენას. ნატკენი მარჯვენა ხელი თაბაშირში ჩაესვათ სამხედრო ჰოსპიტალში წოლისას, როგორც კი გამოეწერათ მაშინვე დედისკენ გამოსწია გულმა. ბაქანზე მდგომს სიგამხდრისაგან ლამის გული წასვლოდა, აქეთ-იქიდან

ულამაზესი გარეგნობის ქალების ჯგუფი იდგა, ხან რომელი მიუახლოვდებოდა ნიკას და სთხოვდა: –მე პედაგოგი ვარ, მარტოდ დარჩენილი, წამიყვანე რა შენთან...

ნიკა უკმაყოფილოდ თავგაქნეული ზურგშექცევით დგებოდა მისგან, ახლა მეორე მიახლოვდებოდა და ის უწყებდა გაცნობასა და ხვეწნა-მუდარას: –მე ექიმი ვარ, უდედმამო, ლენინგრადის ბლოკადის დროს ყველა ამომიწყდა, გეხვეწები წამიყვანე რა? ცოლი თუ არ გყავს, წამიყვანე, გთხოვ!

ნიკას ყველა ეცოდებოდა, მათი ცქერით გული უკვდებოდა, რომ შესძლებოდა ყველას ერთდროულად მოჰკიდებდა ხელს და თბილისისკენ უკრავდა გეხს, მაგრამ ფეხზე ძლივს მდგომი, გადაჩეხვაზე მყოფი, ცოლის მოსაყვანად ვეღარ ფიქრობდა. განსაკუთრებით კი ერთ, დაახლოებით თხუთმეტიოდე წლის ქალიშვილზე შეუწუხდა გული: ახლადწამოჩნდი, ულამაზესი გარეგნობის, ტანწვრილი, გრძელკანკეხა, სლუკუნით მოსთქვამდა თავის ობლობას: –ბიძია, მამაჩემს გავხარ, არა უფრო პატარა კი მგონიხარ მასზე, ფაშისტებმა დამიხვრიტეს დედასთან ერთად, გთხოვ ბიძია, წამიყვანე, შენთან მინდა, ჩემს მამას ვფიცავარ, არასდროს გაწყენინებ, ძარღლივით გაგიერთვულდები, ბევრ შვილს გაგიჩენ... –

ოჰ, როგორ ერთდროულად აეწვა შიგნეულობა ნიკას, როგორი თანაგრძნობით უმზერდა ქორფა ქალიშვილს, ვინ იცის, იქნებ მამამისი მასთან ერთად ერთ დივიზიაშიც იბრძოდა, იქნება ნაცნობიც იყო, ერთბატალიონში მყოფი ჯარისკაცები ბრძოლისას ერთმანეთის მსგავს მანერებს დებულობენ, იქნება ეს მსგავსება იგრძნო გოგონამ, როგორ სტკიოდა მის მაგიერ გული, როგორ ეკუმშებოდა მკერდი, არადა არც გულგრილობა უნდოდა დაენახებინა ამ მტირალა ადამიანისათვის, უნდოდა მისთვის საკუთარი თავის უმწეობა ენახებინა, რომლის დასადასტურებლად მეტი ვერაფერი მოიფიქრა, გარდა იმისა, რომ მარცხენა ხელი სიძველითა და ტყვიებისაგან საცერივით დასვრეტილი ფარაჯის უბეში შეიყო და მუჭით მწოვარა ტილების ბლუჯა გამოუტანა. მომუჭული მუშტი გაშალა თუ არა, მტირალა გოგონა მაშინვე შედრკა, ტირილი შეწყვიტა, ნიკას ხელის გულზე ერთმანეთში მოფუთფუთე ტილებს თვალგაფართოვებული დააცქერდა, მერე ტანთ გააჟრჟოლა, უკუსვლით წავიდა და თვალთახედვის არეალიდან გაუჩინარდა. ერთხანს ხელგაშეშებული იდგა ნიკა, ვერა გაეგო, ქალიშვილის გადმოსახედიდან ცუდი საქციელი ჩაიდინა, უზრდელია თუ უფრო საცოდავი. შენთვის საამაყო გულწრფელობა ყოველთვის არაა სასიამოვნო სხვისთვის. ნეტა რა იფიქრა ჩემზე, უზრდელი, ბილწი, უგულო, ნეტა სხვა რამ ხომ არ იფიქრა? გაივლო მწარედ გულში. ჩემი საქციელით, ვინ იცის, მამა, რომელსაც მე მამგვანებდა, შევაძულე? ქალიშვილებისთვის ხომ მამა სათაყვანებელი კერპია, იქნებ მის ხსოვნას ჩემგან გულმოკლული აუგად იხსენიებსო, გაიფიქრა და ბაქანზე ჩამომდგარ მატარებელს თვალი ამაყად ვეღარ გაუსწორა. რამდენიმე დღის მშვიერი ნელა ალასლასდა,

მუხლი ძლივსდა მომართა დასაჯდომად. აი, ამას ჰქვია ჯანის მწიბრიდან გამოსვლაო, ფიქრობდა; ახალგაზრდას რომ მუხლი ვეღარ გემორჩილება, მარჯვენა ხელი ამპუტაციას რომ ძლივს გადაურჩება, ტყავი რომ აღარ აკრავს და მარტო ცარელა ძვალზე დადებული თაბაშირი გულისგასაწვრილებლად გჭამს, ჰოსპიტალში ტკივილგამაყუჩებელი და ანტისეპტიკური მედიკამენტების არ არსებობის გამო, მრავალძარღვას ფოთლებით უყუჩებდნენ და ჭრილობაზე ადებდნენ ექიმები და მედღები... უბემი ტილი გიწვრილებს გულს, მაგრამ ეს ტილი გახარებს, რადგან ყოველი მისი ნაკბენი და ნაწიწკნი თავს გახსენებს, რომ ცოცხალი ხარ, თორემ მკვდარს ხომ ისინი ვეღარ ეკარებიან, ძვლადჩამომხმარი სხეული ჩაკჩაკით მიგიდის შინ დასაბრუნებლად, მაგრამ მაინც გიხარია და ბედნიერი ხარ, რადგან დიდ სამამულო ომში თავგანწირვით იბრძოლე და სხვებისგან განსხვავებით გაგიმართლდა, რომ ცოცხალი გადარჩი, სიცოცხლის სიტკბოებას განსაკუთრებულად გრძნობ, როდესაც სიკვდილს ახლოს ხედავ. შეუძლებელია სივდილმა შორიახლოს ჩაგიაროს და მისმა სიშმაგემ გული არ შეგიფართხალოს, ტანზე მსუსხავი ეკვლები არ დაგაყაროს. გაქანებული მატარებლის მოძრაობას მთელი ტანით ასდევდა ტანხმელი ნიკა, მის გულს დედასთან შესახვედრად მიუხაროდა.

თბილისში, ისევე როგორც სრულიად საბჭოთა კავშირში შინაბერა ქალების ისე მომრავლებულიყვნენ, რომ გათხოვილი ქალი უკვე უიშვიათესთა რიცხვს მიეკუთვნებოდა. თუ სადმე მამაკაცი არსებობდა, ისიც ან ხეიბარი, ანდაც ცალთვალა, ცალფეხა, ცალხელა ან ძალზედ მოხუცებული უნდა ყოფილიყო.

XXVI

მოსმარებულ ელექტროენერგიაზე ტარიფების კლება სასწრაფოდ იწყო საბჭოთა მთავრობამ, თვეში სამი კაპიკი იყო გადასახდელი, თუმცა სპეციალურად გათვლილ ნათურებზე ვრცელდებოდა ეს გადასახდელი, დიდი ზომის ნატურებიც იყო გაყიდვაში, მათზე ფასი თითქმის ორმაგდებოდა.

ფაცია ტანდაბალი, ხმელა, კოჭლი კაცი იყო, რწევით იცოდა სიარული, ფაციას მეორენაირად შუქის კაცს ეძახდნენ ნახალოვკელები. ელექტროენერგიის გადასახადებს კრეფდა მოსახლეობაში, თვის ბოლოსთვის ყველა ოჯახს ჩამოუვლიდა, თან ნათურებსაც საგულდაგულოდ დაუთვალაიერებდა ყველა ოთახსა და სარდაფში, მერე სამ კაპიკსაც გადაახდევინებდა და სააღრიცხო ჟურნალში ფაქიზად ჩაიწერდა. კალიგრაფია ჩაწიკვიკებულ-ჩამძივულს მიუგავდა. გაბრაზებაც გაანჩხლებული იცოდა ტანდაბალმა ფაციამ, მისი გაკაპასებული ხმა ყურის ბარაბანს სტკენდა მსმენელსა და მნახველს. ალილუევას ქუჩაზე რწევა-

რწევით მიდიოდა და გაბრაზებულ ხასიათზე მყფი თავისთვის დუდღუნებდა: –გალიფე შარვალს რომ მიწუნებენ, რა მოდნი კაცია, რა საკბეჩი ლოყები აქვსო... არა, მაგ ბარიშნა ქალებმა ის თუ იციან რომ მე ეგეთი ეშმაკობები უფრო მათფთრებს და მანჩხლებს. რა თვალეები დავიფსო გალიფე შარვლის ქათინეურების გამო?.. იმოტონა ნათურებით რომ გაუნახჩახებიათ სახლი, გეგონებათ ციხე-დარბაზების ბატონ-პატრონები მყვანდენ, თანაც ნამუსზე მაგდებენ, შენა კაი კაცი ხარ, მიროტასა კი არა გავხარ, ღობე-ყორეს ედება და ყურებდაგრძელებულს ისდა რჩება სანუგეშოდ ვისიმე რამე გაიგოს, რომ კანტორაში ანბავი ჩაიტანოსო... მაშ, რათა პარტია არ გამიწყრება, როცა მე ეგ ვითამ ბარიშნული ხრიკობები ვჭამო. თან მეკითხებიან, ფაცი გენაცვალე, შენა ცოლიანი ხაარო თუ არაო?... აი, ჩვენა რომ გვხედავ, გასათხოვრები ვართო, მაგათაც ეგ უნდათ, რამე ქათინაურისმაგვარი კადრო, მაშინათვე გაიქცევიან მილიციაში დასაბეზღებლად, შუქის დარდი კი არა ჰკლავს, ქალების გამო დაიარებაო სახლიდან-სახლშიო... მიდი, მერე და იმართლე თავი, ან ვიდას რადაში ჭირდება შენი სიმართლე?... ისე როგორც საცოდავ ბედზე გაჩენილ მიროტასა, ვიდაც მაჯლაჯუნა ქალმა წიოკი ასტეხა, ბანაობისას სახლში შამომეჭრაო, მითომა ლამპოჩკებზე დარდით გული შადონებიაო... დაიჭირეს მიროტასა და უკრეს თავი კატორდაში. აბა, ჩვენი ხალხი სამამულო ფრონტზე გმირობით თავგაწირული დადისო, შენა კიდევ ტიტველი ქალების ჭვრეტას უნდინარო, აბა ამათ მენდლებს შახედეო?–უთქომთ!

ბუზღუნ-ბუზღუნით მიდიოდა ფაცია, ნიკიშევეების სახლს რამდენიმე მეზობლის სახლი აშორებდა, ვერა სახლში შევარდა, საჩქაროდ მიიდგა მაგიდა, ზედ ახტა და დიდი ზომის ნათურა, პატარით შეცვალა. მაგიდიდან ნაფეხურების მტვერი გადაწმინდა და ძველ ადგილმდებარეობას დაუბრუნა. შვიდი წლის გიორგიმ კარი გამოაღო და ეზოში თავქუდმოგლეჯილი ყვირილით გაიქცა: –აღარ მოხვიდე ფაციოი, აღარააა, დედაჩემმა დიდი ზომის ნათურა მოხსნა და პატარა გაუკეთა. – გარეთ ქუნაში გავარდა გიორგი და ფაციას ამაყად შეხედა.

ვერა და ანასტასია განცვიფრებულნი შეჰყურებდნენ გიორგის ნამოქმედარს. ვერა ელოდა, ბავშვის ნათქვამის გამო ბრაზიანი ფაცია სახლში ყვირილით შეეჭრებოდა, მერე ჯარიმის ქვითარს დაუტოვებდა და ამას გარდა სიტყვიერ ლანზღვას არ დაიშურებდა, ქურდს და ბაცაცას ძახილით შეამკობდა. ასე ექცეოდა ფაცია დენის ქურდებს.

მაგრამ, ახლა ასე არ მომხდარა, ფაციამ გიორგის ყვირილს ერთხანს გაკვირვებული სახით გაუჩერდა, ნათქვამის მნიშვნელობის გაცნობიერების შემდეგ კი ზურგი უბრუნა და აქამდე გამოვლილი ალილუევას ქუნა, უკან გადაიარა. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა სახეზე დაწერილი, რომ, თითქოს ბავშვის ნათქვამი ვერც კი გაეგო, აქ არა შემოჰყოლიაო, ისეთი უზრუნველი შინაგანი განწყობით მიიჩქაროდა და კოჭლობის გამო უხერხულად მიიქცევდა ცალ გვერდს.

გიორგიმ თვალი დაადევნა მიმავალ ფაციას. მერე სახლში დიდი საქმოსანივით ხალისიანად შეიჭრა. ეზოში გაბრაზებული ვერა და გაღიმებული ანასტასია დაუხვდა, რამაც ძირფესვიანი დაბნეულობა გამოიწვია ბავშვის გონებაში, თუ დედა გაბრაზებულია, ანასტასია დედა რაღამ გაახარა, თანაც ასეთი გადაბადრული არასდროს მინახავსო, ფიქრობდა გაოგნებული:

– ასე მეორედ აღარ მოიქცე! – ვერამ საჩვენებელი თითი გაფრთხილების გამო დაუქნია გაბრაზებულ გულზე. ბავშვი, რომელიც ვერ მიხვედრილიყო დანაშაულის მიზეზს, გასუსული ელოდა ვერას გაბრაზების გამოხატულებას. – იცოდე, სხვადროს არ ვიცი რას გიზამ! .. გასაგებია? – შებღვირა დედამ.

გიორგიმ უხმოდ დაუქნია თავი თანხმობის ნიშნად და ანასტასიასკენ გაიხედა. ის კვლავაც გადაბადრული იჯდა, სახე გაბრწინებული. თვალს არ აცილებდა დედა-შვილს:

– თუ გასაგებია, შედი სახლში და ასოები ლამაზად გამოწერე, მინდორზე არ გადახვიდე, არ დაჯღაბნო რვეული, მამაშენი რომ დაბრუნდება შეგიმოწმებს, და თუ გინდა დღევანდელი შენი საქციელი მას არ მოვახსენო, უნაკლოდ გამოწერილი უნდა დაახვედრო.

დამნაშავედ თავჩაქინდრული გიორგი, რომელიც კიდევ ვერ მიმხვდარიყო დანაშაულის მიზეზს, სახლში უხალისოდ შევიდა, მაგიდას რვეულ-კალმთანად მიუჯდა და სამეცადინოდ მომზადებულმა მხრები აიჩეხა.

– რამდენი ხანია ასე არ გავხალისებულვარ – თქვა ანასტასიამ ვერას გასაგონად. – აი, ამიტომ მიყვარს ბავშვი სახლში, ისეთ რამეს მოიმოქმედებს რასაც დიდად წლობით ნაფიქრის შედეგადაც აზრად არ მოუვა.

– არა, საიდან მოიფიქრა ეგ, ეგონა გაახარებდა ფაციას?

– ჩვენი გიორგი ბავშვია, ვერაჩკა, კეთილი ბავშვი, გულითა და სულით სურს სხვისი გახარება, რა ქნას, როგორც შეძლო ისე გამოუვიდა გახარება. – ანასტასიას ნათქვამზე ვერას გულიანად გაეცინა:

– არა, ის ფაცია რაღამ შეაკრთო, ვითომც ვერ გაიგო გიორგის ნათქვამი, ზურგშექცეულმა ცხრამთა გადაიარა, ჩვენ არაფერი გვითხრა, მაგრამ აბა სხვა გამოეჭირა, მაგის ყვირილი მერე გენახა. დავპირდი, თუ გინდა მამაშენს არ ვუთხრა, ლამაზად გამოწერილი დაახვედრე-თქო,

ვიქტორ სოზონოვს ამბავი დაწვრილებით მიუტანა ვერამ, ჯერ კიდევ ეზოში, ჭიშკარს გადაცილებულს მიეახლა და დაწვრილებით უამბო გიორგის ნამოქმედარი. სოზონოვი კარგა გვარიანად ხარხარებდა: – ბავშვს კარგად უნდა აგუხნათ, რომ სხვა დროს არ უნდა უთხრას ასეთი რამ.

აუხსნა კიდევ, თუმცა გიორგის კითხვამ, თუ რატომ უმაღლედნენ ფაციას დიდი ნათურით სარგებლობას, და რატომ ბრაზდებოდა ისიც დიდ ნათურებზე, უარესად გააცინა სოზონოვი:

–ჰო, მიდი აბა, აუხსენი ბავშვს!–სიცილით გამოსძახა სამზარეულოდან ვერამ –ეხლა სხვა თაობები მოდიან, ზედმეტად ცნობისმოყვარენი, გონებაგახსნილნი... ვერაფერს მოატყუებ, აღარც ზღაპრების სჯერათ... რატომ ვუმაღავთ ფაციას დიდი ნათურებით სარგებლობას, აუხსენი აბა!

სოზონოვს კობეპი შეეკრა მაღალ შუბლზე და ფიქრმომარჯვებლი ქოჩორის ფხანას მოჰყოლოდა. ვერამ წინსაფრზე ხელები შეიმშრალა და ფანჯარას გაფარებული მოყავისფრო ფარდა გაუწია. ანასტასიასთან მისი კეთილისმურველი ნაცნობები სტუმრებოდნენ. ფრონტიდან მშვიდობიანად დაბრუნებული ნიკა, მშობლებთან ერთად მოსანახულებლად მობრძანებულიყო. ანასტასიასთვის მოსაკითხიც მოეტანათ, მათ შორის წითლად აღაქდაკებული ვაშლები:

–ანასტასია, გენაცვალე – თბილად მომღიმარი ებაასებოდა ნიკას დედა მჯდომარე ანასტასიას–გახსოვს, რომ მითხარი ნუ გეშინიაო, შენი ნიკა ცოცხალია და დაგიბრუნდებაო? აგერა, დამიბრუნდა, სამამულო ომის გმირ-მონაწილედაც აღიარეს, სამსახურებიც შესთავაზეს, არა ერთი და ორი, მეუბნება, მოვიფიქრებ, ავწონ-დავწონი და არჩევანს გააზრებული შევხვდებიო, უამრავ ქალიშვილს აქვს თვალი დადგმული. ოჯახსაც მოეკიდება ალბათ...

ტკბილად მობაასეთ თავს მილიციის ფორმაში გამოწყობილი უფროსი ლეიტენანტი წაადგა. –თქვენი პასპორტები, –გასცა ბრძანება სტუმრების მისამართით.

–რა პასპორტები?–გაიოცა ნიკამ, – აქ მოსასვლელად პასპორტი მჭირდება მე?

–აქ რა მისიით მობრძანებულხართ?

–ბატონო, რა მისია, რის მისია, რას გულისხმობთ?

–იმას, რომ საზოგადოებრივი ფუქსავატობის აღმოსაფხვრელად კანონია დაწესებული–თქვა მილიციის ლეიტენანტმა, რომელსაც კუშტად შეკრული კოპებში წარბებშუა დააჯდა. –აქ სამკითხაოდ მოსული ხალხის მიღება უნდა აიკრძალოს, საზოგადოებრივი აზრის სიბნელეს ბოლო უნდა მოედოს, ის დრო წავიდა დედამიწა კონსერვის ქილაში მოქცეული და ზევიდან ცისფერ ზეწარგადაფარებული რომ ეგონათ.

–რას ბრძანებთ?–გაიოცა ნიკამ–მე აქ არც სამკითხაოდ დავდივარ და არც ფუქსავატობისთვის.

–დავიჯერო?–თქვა და ისეთი გამჭოლი მზერით შეათვალიერა მოსაუბრე, რომ ამ უკანასკნელს ტანში გასცრა.

–როგორ უბედავთ არდაჯერებას?–ჩაერთო საუბარში აქამდე მდუმარე მსმენელის როლში მყოფი ნიკას დედა –თქვენ წინაშე სამამულო ომის გმირი დგას, უამრავი მედლისა და ორდენის მფლობელი, იცით რამდენჯერაა დაჭრილი ფრონტზე?.. არ იცით?!

–ეგ გასაგებია ქალბატონო, მაგრამ აქ რას აკეთებთ?!

–რას უნდა ვაკეთებდეთ ურიგოს? ჩვენი ნაცნობია, ახლობელი–ხელი წაიღო მდუმარედ მყოფი, მჯდომარე ანასტასიასკენ–მოსანახულებლად მოვედით, სხვა დროსაც მოვალთ,

–სხვა დროს ვეღარ მოხვალთ, რადგან აქ მორიგეობა უნდა დავაწესოთ, აბა ვნახავთ, ჩიტიც ვერ შემოფრინდება ჩვენი ნებართვის გარეშე.

–რის გამო აწესებთ მორიგეობას, ადამიანებს ერთმანეთის მონახულებას გვიშლით? განა ერთმანეთთან სტუმრობა და თითო ტკბილი სიტყვის თქმა გვეკრძალება?.. და ამას საზოგადოებრივ ფუქსავატობად და მკითხაობად მოისაზრისებთ?–გაკაპასდა სტუმარი ქალბატონი. –ან აქ ვინ მკითხაობს, აბა სად ხედავთ მკითხავს?

–მე? მე რასაც ვხედავ... ვხედავ! ხვალიდან აქეთ ნუღარ შეწუხდებით, თქვენი საქმე აკეთეთ!

–რაზე ვმკითხაობთ ამხანაგო ლეიტენანტო, იქნებ ისიც განგვიმარტოთ, ბანქოზე თუ ყავაზე? იქნება სეკას თამაშიც დაგვაბრალოთ ფულზე, ანდაც ადამიანობაზე, სინდისზე?–ნიკას ხმაში ცინიზმი გამოსჭვიოდა. –მთელი ხუთი წელი ფრონტზე იმიტომ ვიბრძოდი, რომ აქ სამკითხაოდ მოვსულიყავი, ანდაც სათამაშოდ, საზოგადოებრივი ფუქსავატობისთვის?

–ნუ აძლევთ თავს დიდ უფლებებს, თქვენ თუ მოსანახულებლად დადიხართ, სხვები გვყავს შემჩნეულები მკითხაობაში, ამ ქალთან მოდიან–თავით მიანიშნა ანასტასიასკენ, რომელსაც თავი მორჩილად დაეხარა და მიწას ჩასცქეროდა სინანულით–ონერედი არ წყდება, წამსვლელ-მომსვლელთა. ამ დროს ფაბრიკები, ქარხნები უმუშახელოდ არიან. მე ბრძანებას ვიძლევი, ხვალიდან აქ არცერთი თქვენთაგანი აღარ დაგინახოთ!

–ჩვენ, ამხანაგო ლეიტენანტო?.. ჩვენ შეიძლება შემოვიდეთ ხოლმე საკუთარ ბაღსა და სახლში?–წინკარში მდგომი ვერა ახლავდა შენიშნა ამაყად მდგომმა ლეიტენანტმა, რომელსაც ვერას დამცინავად აჟღერებულ კითხვას მოკლედ მიუგო.

–შეიძლება!

–და ვაითუ ხელი წაგვიცდეს და სამკითხაოდ ჩამოგუჯდეთ აქ მჯდომ ქალბატონს?

–ეს ქალი თქვენი ვინაა?

–როგორ ვითხრათ, ჩემი და გახლავთ, ჩემი დვიძლი და, ჩემი სისხლი და სორცია, არ ვიცოდი მკითხავი თუ იყო, თანაც საზოგადოებრივ ფუქსავატობაში თუ ედებოდა ბრალი, სახლში არც ბანქო გვაქვს და მითუფრო არც ყავა. ეტყობა სადღაც, ბადის რომელიღაც კუნჭულში თუ მაღავეს... ანუ შეიძლება ახლოს მივიდე ხოლმე ჩემს დასთან? დანაშაულში სომ არ ჩამეთვლება?

ვერას დამცინავ ტონს ვეღარ გაუძლო მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა, ხმაამოუღებლად გაეშურა ჭიშკრისკენ, თუმც თავის ქნევაზე ყველა მიუხვდა მის გაუხმოვანებელ მუქარას.

მეორე დღის დილიდანვე მილიციის მანქანამ მორიგეობა დააწესა მჯდომარე ანასტასიას ეზოს წინ. შიგ შესვლას უკრძალავდა მომსვლელთ, რამდენს აბრუნებდნენ უკან და რამდენიც უკანმოუხედავად გარბოდა შეშინებული. ზოგი არ ემორჩილებოდა, განსაკუთრებით ავადობით შეწუხებულნი, ხან ხეწნით და მუდართით, ხანაც ცრემლებით ცდილობდნენ მორიგე მილიციელების გულის მოღობას. სამართალდამცველების უარი მტკიცე და შეუვალი იყო.

–უფროსი ლეიტენანტი, ახანავი ნოე! –წარსდგა მასთან მისულ ვიქტორ სოზონოვის წინაშე ფორმიანი სამართალდამცველი.

–გასაგებია, უფროსო, მაინტერესებს, ჩვენ რომელი ჯიბგირები გენახეთ, კარის წინ მორიგეობა რომ დაგვიწესეთ?

–მკითხაობა საზოგადოებრივი საქმიანობისადმი ბნელი აზროვნების ჩამოყალიბებასა და გავრცელებას უწყობს ხელს, მკითხაობაზე კომუნისტური საზოგადოების მოცდენა არ შეიძლება, მაშინ როდესაც ფაბრიკა-ქარხნები საბჭოთა სახელმწიფოს მიერ დადგენილი გეგმის შესასრულებლად დღეებსა და ღამეებს ასწორებენ, ჩვენს ქვეყანას უსაქმურობისათვის არა სცალია, უსაქმურები რომ ვყოფილიყავით, მეორე მსოფლიო ომს კი ვერ მოვიგებდით, ხომ გახარიათ სამამულო ომში ჩვენი გამარჯვება?

–რა თქმა უნდა! –თავი დაუქნია სოზონოვმა.

–ჰოდა, ახლა შრომაში უნდა გავიმარჯვოთ, გეგმას უნდა გადავაჭარბოთ, ეგ ქალი თუ ხელს გიშლით ინვალიდობის გამო, შეგიძლია სახელმწიფო სამსახურებს ჩააბაროთ, სპეციალური ინტერნატ-თავშესაფარი გვაქვს მათთვის საგანგებოდ შექმნილი, ხელსაქმობენ და სახელმწიფოსთვის სასარგებლონი არიან.

–თქვენ იცით ამ ქალმა თავისი ხელსაქმით რამდენ ჯარისკაცს გაუგზავნა ფრონტზე ნაქოვი წინდები, ქუდები? ქალები აიყოლია და ყოველდღიურად შრომობდნენ, ჩვენი თუ არ გჯერათ, ქალაქის ფოსტაში მიბრძანდით და შეამოწმეთ, მისი სახელით, რამდენი ამანათია გაგზავნილი ფრონტზე... და კიდევ თქვენ საუბრობთ ფუქსავატობაზე?

–ამ ეზოში ხალხის მისვლა-მოსვლა სამართლებრივად იკრძალება. თუ რამ პრეტენზიები გაწუხებთ შეგვიძლია განყოფილებაში მიგაბრძანოთ წესების განმარტებისთვის.

–კეთილი, მე წავალ, მაგრამ ზოგი ავადმყოფი მოდის სანუგეშებლად, ზოგიც ძალზედ მოხუცებული, იქნებ ისინი მაინც შემოუშვათ?

–შენ კაცო ქართული არ გეყურება? წადი თორემ პრობლემები შეგექმნება! ვაა, რამდენი გაუთლელი არ შემხვედრია, და ესენი რომ არაიან, ეგეთი ჯერ არა! – უფროსმა ლეიტენანტმა ნოემ გაშლილი ხელის მტევნები განცვიფრებისგან უშნოდ შეათამაშა ჰაერში.

სოხოწოვმა მშვიდობიანად ამჯობინა გაავებულ მამაკაცს გაცლა.

ანასტასიასთან მიმსვლელ-მომსვლელებს აღარ უშვებდნენ, რამდენი იხვეწებოდა ყელგამოწვდილი ეზოში შემვებას, მაგრამ ნოეს კატეგორიული ტონი აიძულებდა მეორედ აღარ მოსულიყვნენ. ამის მაცქერალი მდუმარედ იტანდა მჯდომარე ანასტასია, ასე გრძელდებოდა იქანდე, სანამ...

ერთ წვიმიან დღეს, როდესაც ბალი ატალახებულიყო, ქუჩაში ალაგ-ალაგ დიდი ზომის გუბეები დამდგარიყო, პლედმოხვეული ანასტასია ერთადგილზე გაშეშებული მორჩილად იჯდა, ჭიშკრის კარები ხმაურით შეაღო ნოემ და უხეში ნაბიჯებით გადააღაჯა ეზოს ზღურბლს. ნასტასიას აქოშინებული მიუახლოვდა, ერთხანს ნაბიჯი შეაჩერა, უღონოდ ჩამოყარა ხელები, სახით ატალახებულ, შავ მიწას დააშტერდა. ერთი ხანობა ასე იდგა, მანამ სანამ თვით მასპინძელმა თბილი ხმით არ მიიპატიუა თავისთან: – მომიახლოვდი ნოე, კუნძზე ჩამოჯექი, ინებებ ჩემთან საუბარს ამ წვიმაში?

ნოემ პატარა ბავშვით დაუქნია თავი, მორჩილად დაჰყაბულდა ნათქვამს, მახლობლად ჩამომდგარ სისველით გაუღენთილ კუნძზე მოკრძალებულად ჩამოჯდა. მილიციელების განუყრელი ატრიბუტი - ქუდი მოიძრო თავიდან, წვიმამ გაულუმბა მოკლედ აჭრილი თმები, სახეზე მსხვილად დაუდიოდა შხაპუნა წვიმის წვეთები, შიგადაშიგ წამწამებზეც ეკიდებოდნენ.

–ყველა ღვთის შვილია, ყველას უხარია ტკბილი სიტყვა და კეთილი საქმე, ტკბილ სიტყვაზე მოგახსენებდი, სამოთხის კარის გასაღებია ალაღმართლობით ნათქვამი სანუგეშოდ გაღებული ტკბილი სიტყვა, ადამიანის მოდგმიდან მხოლოდ მცირედს თუ წარმოუდგენია მისი უძლეველი ძალისმიერების... ისევე როგორც ტკბილი სიტყვა, ასევე მწარე სიტყვაც ძლიერია. იცი მწარე სიტყვას მოლადურები რას უძახიან? არ იცი ხომ? მე ვიცი, დამიგდე ყური, მწარე სიტყვა მკვლელი ხეხრხია ადამიანის შინაგანი ბუნებისთვის, მისით გამოწვეული ტკივილი შეიძლება იმდენად ძლიერი აღმოჩნდეს, რომ სიცოცხლის მოსასწრაფებლად თოფიან კაცს

აჯობოს. აბა, მითხარი შენი მოსვლის მიზეზი! – იკითხა ანასტასიამ ჩვეული სიმშვიდით და კუნძუზე ჩამომდარ სტუმარს თანაგრძნობით შეხედა.

– როგორ დავიწყო არც ვიცი, მე არ ვიცი, უნდა მჯეროდეს თუ არა თქვენი სასწაულები! – მსხვილი ნერწყვი გადაყლაპა დარცხვენით მოუბარმა და მიწას დაშტერებულმა ერთმანეთზე გადაჭდული თითები კალთაში აათამაშა – რომლებზედაც ბევრს საუბრობენ მოქალაქეები, თუმცა მე სხვა გზა აღარ მრჩება, მინდა გთხოვო, თუ შეგიძლია ნამდვილად დახმარება, ნუ გამიწერები წარსულში ნაბოლიალებ ჩემს სიტყვებზე, ნუ დაიშურებ ძალისხმევას, და მერე, მე ვიცი შენი პატივისცემა.

– რა პატივისცემა, არაფერი მინდა, დიდად ფუფუნების მოყვარული აქ არავინ ვართ, ჩვენი ფუფუნება რწმენაში კეთილად განმტკიცებული ადამიანები არიან. მათთან ურთიერთბას ვერანაირი ფუფუნება ვერ შეგვიცვლის. მითხარი, ნუ დაირიდებ სათქმელს. იცი, ერთ კოდალას მუცელი სტკიოდა, ნაწლავებში მოუნელებელი მასა ტრიალებდა და საწყალი, დავრდომილი მოწყენით ჩამომჯდარიყო თავის ჩვეულ ალაგს. აი, ზემოთ – ანასტასიამ ხელი ბაშლი მდგომი ნაძვის ხისკენ წაიღო – ჰოდა, ერთხელაც დაგუძახე, კოდალებსაც, ისევე, როგორც ადამიანებს, ყველას თავთავისი სახელები აქვთ, რომლებსაც კარგად ეპატრონებიან. მოფრინდა, გულისპირიდან მისთვის გამთბარი ვაშლი გაუწოდე, არ შეჭამა, თავიდან გამიჯიუტდა, მაგრამ როცა ტკივილმა სხვა გზა აღარ დაუტოვა, შეჭამა. იმ დღიდან სულ თავს მეგვლება, ამ ბაღს აღარ სცილდება, ვეკითხები ხოლმე, თაფლი ხომ არ უსვია აქა, ახლა სხვაგან წადი-თქო, მაგრამ გაგონებაც კი არ უნდა, პატივი მინდა გცე და შენი ხეები ჭიადუასგან უნდა დავიცვაო. შორს გაგვიგრძელდა ნათქვამი, წვიმის ხომ არა გეშინია? – ჰკითხა სასხვათაშორისოდ და შხაპუნა წვიმის ფონზე თვალბრწყინებულმა ცას ახედა.

– ნწუ, წვიმის არა!..

– წვიმის კი არ უნდა გეშინოდეს, პირქით, ცოდვების ჩამორეცხვას უწყობს ხელს, წვიმის კი არა, ცოდვების უნდა გეშინოდეს, და სხვისი კი არა, საკუთარი თავის შიში მოსვენებას არ უნდა გვაძლევდეს. თავში ვის რა მოგვივლის ფუქსავატი ფიქრისას, აი, ეგაა მეტად დამაფიქრებელი. ფიქრით შემოდის შავბნელი აზრები, რომლებიც ცოდვათა მდინარის სათავეა. აბა, მითხარი შენი სათქმელი!

– ჩემი შვილი ძალზედ ცუდადაა, ბალნიცაში მყავდა, ექიმებმა დიაგნოზი ვერ დაუსვეს, მუცელს იტკიებს, საცოდავი, სულ მოღუნულ მდგომარეობაშია, ნიკაპი მუხლებში აქვს ჩარგული, როგორც კი იშლება აუტანელი ტკივილი სტანჯავს, აღარც ჭამს, აღარც სვამს, გაუტკივარების წამლებს აძლევენ და არ შეეღობა. ეხლა მეუბნებიან, უნდა გაეჭრათო, უნდა ვნახოთ რა აწუხებს, ისე ვერა სვავენ დიაგნოზს. მიშველე ანასტასია, თუ შეგიძლია,

ანასტასიამ ხმამაღლა დაიწყო ლოცვა, ხელით ანიშნა ფეხზე ადგომა სტუმარს, ისიც შეძლებისდაგვარად, გაუცნობიერებლად იმეორებდა ანასტასიას ბაგიდან წარმოთქმულ სიტყვებს. როცა ლოცვას მორჩა, გულისპირის ჯიბიდან ვაშლი ამოიღო, პირჯვარი გადაწერა და შეწუსებული სახით მდგომ ნოეს გაუწოდა: –აი, აიღე და აჭამე შენს შვილს, მერე მოდი და მიაბნე, როგორ იქნება.

–უშველის?

–უშველის!

ნოემ მადლობის თქმაც ვერ მოახერხა, წვიმისგან გალუმპულს სახელოებიდანაც კი წვიმა მოუჟონავდა. ვაშლით ხელმომარჯვებული ჩქარი ნაბიჯებით გადავიდა მჯდომარე ანასტასიას ეზოს, მანქანა ელვის სისწრაფით მოსწყვიტა ადგილს.

ზუსტად სამი დღის შემდეგ, როცა მზეს კაშკაშა სხივებით გაებრწყინებინა ირგვლივ თვალთახედვის არეალი, ნოე კვლავაც მოადგა მილიციის კუთვნილი ავტომობილით მჯდომარე ანასტასიას ეზოს. ვერას რამდენიმე თეთრი ქათამი ეზოს კუთხეში მოემწყვდია და საკენკით უმასპინძლდებოდა. არც ესამოვნა ნოეს დაუპატიუებელი სტუმრობა:

–ანასტასია, შენს მარჯვენას ვენაცვალე!–დაიძახა გაბედულად ომახიანი ხმით და მუხლდაყუდებულ ქალს მარჯვენა ხელზე ეამბორა. კარგადაა, არანაირი გაჭრა, ვაჭამე თუ არა... ყველაფერმა გაუარა, კარგადაა, თურმე გადაუმუშავებელი საკვებით ჰქონია ნაწლავები სამსე, მაგრამ იმ ვაშლის ჭამის მერე, ყველაფერი მოუწესრიგდა. თავიდან გამიჯიუტდა არ ჭამდა, ჩემი მეუღლეც ბავშვის მხარეს იყო, მიძალიანდებოდნენ, მაგრამ დავარწმუნე და... ახლა მეხვეწება, წამიყვანე, მინდა ჩემი თვალთ ვნახო ჩემი შვილის გადამრჩენელიო.

–სხვებსაც ეგრე სასწრაფოდ სჭირდებოდათ ჩემი დის ლოცვა და მისი ხელიდან აღებული ვაშლები, მაგრამ თქვენ, უფროსო ლეიტენანტო-ნოე, აქ არ უშვებდით! – მკაცრად მომართა სახეზე კოპები ბალის კუთხეში მყოფმა ვერამ სტუმრის მისამართით.

–ვერა!–გასძახა უკმაყოფილო ხმით ანასტასიამ დას –გთხოვ!

ვერა გაჩუმდა, სტუმარმა კი თავი უხერხულად იგრძნო, თითქოს სინდისი გაუაზრებლად, ისე, რომ დაფიქრების საშუალებას არ აძლევდა, ქეჯნიდა. ვერასკენ კრძალვით გაიხედა და ჩუმის ხმით დასძინა: –ახლა ივლიან... ვისაც დასჭირდება სამკურნალო ვაშლი დაუკითხავად შემოვა, ოღონდაც, მე სამსახურის მანქანიანად ჭიმკართან დავდგები, მაგრამ თქვენ მე ყურადღებას ნუ მომაქცევთ, ჩემს სინდისს ვფიცავარ, ჩემს კაცურ სიტყვას არ გადავალ, ხმასაც კი არ გავცემ მომსვლელთ, ჩემთვის ფორმალურად ვიჯდები, თუ ვიდგები... –დაბნეულობა დაეცყო მოსაუბრის აჭარხლებულ სახეს, დამშვიდობებისას ანასტასიას გამხდარ, სიფრიფანა ხელზე კრძალვით ეამბორა.

იმ დღიდან კვლავაც ვაშლებით ხელდამშვენებული უამრავი წამსვლელ-მომსვლელი უქცევდა გვერდს ნიკიშევების ეზოს რიყის ქვებით მოვარაყებულ, ვიწრო გზას.

XXVII

ვიქტორი ყოველ დილას სამსახურში მიიჩქაროდა. მუყაოსფერი საქალაქდით დაიღლიავეებული არხეინად ჩაივლიდა ხოლმე ალილუევას ქუჩას. თითო ნაბიჯს მოზომილს დგამდა და თითოეულის გადადგმისას განსაკუთრებულ ფიქრს დააყოლებდა ხოლმე გემრიელი ლუკმასავით. ვერაც ადრინად დგებოდა, ჯერ დისტვის უნდა მიეხედა, მერე გიორგის აღვიძებდა, ასაუზმებდა და სკოლის გზით ერთად მიდიოდნენ, გზას იგრძელებდა შვილის გამო ვერა, თორემ სამსახურში ქუჩის გადაკვეთით, გზის შემოკლება თავისუფლად შესაძლებელი იყო. ვერამ თავდაუზოგავი შრომა იცოდა, პატარაობიდანვე შეჩვეულ-შეგუებული იყო მუშაობას. ხანდახან ფიქრობდა, რომ შრომაზე იყო შეყვარებული და მის გარეშე არ შეეძლო, სხვა თუ არაფერი, გულს მაინც ხომ აყოლებდა. ჭრა-კერვა კარგად ეხეხრხებოდა, თარგის ზომებს აღარც კი იღებდა, თვალისზომით იცოდა ყველაფერი, პირდაპირ გამოჭრიდა ქსოვილს. უყვარდა სამსახურში სიარული, იქაური კეთილი განწყობა და თანამშრომლების ხალისიანი დამოკიდებულება, მათი იუმორი. სადამოლობით თანამშრომლები კინოთეატრს სტუმრობდნენ, მათ საბჭოთა კონოს გარეშე უბრალოდ არ შეეძლოთ, ვერას კი კინოში გული არ მისწევდა, სახლში ერჩინა ყოფნა, საქმე თავზე და პირზე საყრელად ჰქონდა, ამას ემატებოდა დასთან მოსულ სტუმართა რაოდენობაც.

ვერამ მუშაობა დიდხანს ვეღარ შეძლო. ერთ დღეს თავი შეუძლოდ იგრძნო, სისუსტე ადრეც ჰქონია, მაგრამ არა ასეთი, თავიდან გასაძლები ტივილები სტანჯავდა, მერე ტკივილმა იმატა, თანაც იმდენად რომ ლოგინად ჩააგდო. განიცდიდნენ ყველანი, გიორგი კი ყველაზე მეტად. მწოლიარე დედას ხან ჩაის მიუტანდა ტუჩებთან, ხან წყალს. რძეს აღარ ეკარებოდა ვერა, შეიზიზდა, არადა როგორ უყვარდა ადრე. გიორგის დედის საქციელი აკვირვებდა და აღაშფოთებდა, რომელიც იძახდა რომ დას გზა უნდა გაუნთავისუფლოს, რათა სუფთად გაუყვეს გზასო, ამისათვის დღედაღამ ლოცულობდა, გუმღხურვალეს ცრემლები სდიოდა და გულისპირს უსველებდა.

ოთხი თვე იწვალა ვერამ. მისი გარდაცვალების დღეს ქარიშხლიანი ამინდი დაემთხვა, რომლის ყურისწამლები ხმა არ ასვენებდა სიჩუმეს, ყველა უპატრონო ნივთს ჰერში აფრიალებდა და იტაცებდა, უმისამართოდ კარგავდა:

–ახლა კი დედიტაც დავობლდი! –ვერას სასახლის გატანის შემდეგ ჩაილაპარაკა თავისთვის ანასტასიამ და მაღალი ხმით აქვითინდა. ხმა აღარ ჰქონდა ჩვეულებისამებრ ნაზი ხმის ტემბრი, მის ხმას სიმკაცრე შეჰპარვოდა, გვერდით მყოფნი ამშვიდებდნენ, სანუგეშო სიტყვების კორიანტელს არ იშურებდნენ მგლოვიარეს მიმართ. ანასტასია კი ტროდა, ქვითინებდა, მოთქვამდა...

იმ დამეს ნათლად გაახსენდა გონებაში, ერთად მოსეირნე წყვილს, მასა და კირილეს, როგორ დაადევნა ზურგიდან ხმა ქაშუეთის ტაძრის მშენებლობისას ბერმა: –გახსოვდეთ, არასდროსაა ადამიანი ისე ახლოს ღმერთთან, როგორც სიყვარულისა და მგლოვიარობის დროს. ეს სიტყვები ნათლად ახსოვდა ანასასიას და ზოგჯერ ეგონა კიდევ, რომ მუდმივად მას დასდევდნენ, დაჰყვებოდნენ კირილეს გვერდით ყოფნისას. მერე, როდესაც ამ ბაღში ჩაიმუხლა, არც მაშინ დაუკარგავს ძალა ბერის ნათქვამს. ფიქრი და ოცნება ფუჭია, ღოცვა ძლიერი და მატერიალიზებული, ისევ ღოცვის ძალით თუ მოვიკეთებთ –ფიქრობდა მუხლზე მჯდომარე და თვალებიდან დაპა-ღუპით ჩამოსულ ცრემლებს შელახული ჯემპრის სახელოებით იმშრალებდა.

ვიქტორმა ძლიერ განიცადა ვერას გარდაცვალება, მაგრამ კაცმა ასე იცის, ძლიერი ტკივილისას ისეთი საფიქრალი უნდა გამოძებნოს, სამომავლოდ საზრუნავს რომ მოითხოვდეს მისგან. გამოძებნა კიდევ მსგავსი ფიქრი, თავისი თანამშრომელი ქალი, რომელიც მუდური ვარცხნილობით იწონებდა ყოველთვის თავს, გამუდმებულად კარგ ხასიათზე მყოფი შინაგან ბედნიერებას ხაზგასმით ავლენდა. ქალი კარგი გასართობი აღმოჩნდა, თუმც ცოლის გარდაცვალება მწარედ ჩააფიქრებდა ხოლმე, ხანდახან ისე გაიტაცებდა წარსულის მოგონებანნი, რომ საკუთარ თავს ავიწყებდა და აკარგინებდა მის უთავბოლოებაში. მოგონებებიდან გამორკვეული აღმოაჩენდა რომ სახლის გზას აცდენოდა და საკმაოდ დაშორებოდა კიდევ. ვიქტორ სოზონოვმა ცოლის ბედი გაიზიარა წელიწადნახევარში. ობლად დარჩენილი გიორგი განსაკუთრებით ეცოდებოდა მჯდომარე ანასტასიას:

–უნდა გაუძლო შემოგველე, უკვე დიდი ბიჭი ხარ, 14 წლის ხარ, უკვე დიდ ბიჭად ითვლები, შენს ასაკში ბიჭს ქარფშუტობა აღარ უხდება, დაღვინება შეენის. ყველაფერს ძლიერი უნდა დაუხვდე, მშობლის სიკვდილის დროსაც ძლიერი უნდა იყო, იმიტომ რომ უპატრონო მკვდარი უფრო ცოდვას ვიდრე უპატრონო ცოცხალი. მის სახელზე გაღებული მაღლი, თუნდაც მისი მისამართით წარმოთქმული ტკბილი სიტყვა, კარგი მოგონება, ათასმაგად წაადგება თავს გზაზე მყოფს. ყოჩაღად უნდა მოიქცე, შემოგველე –ანუგეშებდა დიშვილს და მის წინ ჩაცუცქულს ქერა ქონორზე თითებით ეალერსებოდა: –ამბობენ, დეიდას დედის სურნელი აქვსო, ნუ დაიდარდებ შემოგველე ცხოვრების სიმკაცრეს, შენ იყავი ძლიერი, როცა შენ ძლიერი ხარ, დედაც, სადაც არ უნდა იყოს ის, სიძლიერით ფრთაშესხმული ხდება. შვილზეა დამოკიდებული დედის

სისუსტეც და სიძლიერეც. დღეს მინდა გითხრა ის საიდუმლო, რაც შენ აქამდე არ იცოდი.

გიორგიმ დეიდას იჭვნეული თვალებით ახედა, მიხვდა რომ მას რაღაც მნიშვნელოვანი უნდა ეთქვა, გულმა გამეტებით დაუწყო ბაგა-ბუგი, შემოდგომის ფერშეცვლილ ფოთოლს დაემგვანა მისი ხასიათი:

–აკი გითარი, დეიდას დედის სუნი ასდის-თქო, ვერა დედაშენი კი არა დეიდა იყო. შენი ნამდვილი დედა, ანუ ვინც გაგაჩინა და ამ ქვეყნად მოგაგვლინა ანნაა. შენი დედა, ახლაც თვალწინ მიდგას რა ბედნიერი სახეები ჰქონდათ შენს ნამდვილ მშობლებს, ანნას და დათა მაყაშვილს შენი დაბადების გამო. ერთდროულად დაგცქეროდნენ, დათა ამაყად დააბიჯებდა ეზოში, ოჯახსა და კარმიდამოზე ისე დაყარა გული, სახლიდან გასულა აღარ უნდოდა, როცა უწინ შემოსვლას ძლივს ახერხებდა. ვერამ გადაგარჩინა, ავბედიან ჟამს, დაგიტაცა ორი წლის ბავშვი და ბაქოში წაგიყვანა, აქაურობას გაგარიდა, თავის შვილად გცნო.

გიორგის თვალებზე მოწოლილი სევდა ცრემლებად გადაცქეულიყო, ნელა-ნელა კარგავდა თვალთა კალაპოტს, დაწვებზე დადენილი ლოყებზე მძიმედ მოგორავდა. სუნთქვა შეკრული უსმენდა დეიდის ნაუბარს, მერე მთელი ღამე იმეორებდა მეხსიერებაში ნათქვამ სიტყვებს, ძველისძველ კადრებს, ვერას ამაგს, მის ალერსს, ხანდახან იჭვნეულად ჩაუღრმავდებოდა მის საქციელს, რამე ხომ არ ეტყობოდა უდედობის, მაგრამ ამაოდ, ვერას თითოეული ქმედება გიორგის მიმართ დედობრივი მზრუნველობით იყო გაჯერებული. გიორგი მიხვდა რომ მისთვის სულერთი იყო ვერა დედა იქნებოდა მისი თუ დეიდა, რაც მთავარია ნამდვილი დედა მას აღარ ჰყავდა, ხოლო დეიდამ მას დედობრივი ალერსა, ზრუნვას და სითბოს აზიარა, არასდროს უგრძენია ვერას ხელში უდედობა, მისი გარდაცვალების შემდეგ კი ნამდვილად იგრძნო უდედობით გამოწვეული სევდა, ტკივილი. განცდები გულს უმძიმებდნენ და უგუნებო ხასიათზე ამყოფებდნენ. ვერას, მისი სიკვდილის შემდეგაც, დედას დაუძახებს, გული სწყდებოდა რომ აქამდე არ იცოდა, თორემ ხომ უფრო მეტად, უფრო ბევრჯერ ჩაეხუტებოდა მკერდში, მადლობასაც გადაუხდიდა დედური სითბოსათვის.

ცის თაღზე ამოწვერილი მთვარე ნელი მოძრაობით ჰორიზონტს მიეფარა, მოზარდის ფხიზელ თვალს არც დილის რიჟრაჟზე ცის ქათიბის შევარდისფერება გამოჰპარვია. გაახსენდა, ადრინადა ამდგარი ვერა პირველ რიგში ეზოში გარბოდა დის მოსანახულებლად. დღეს მისი მზრუნველობით იწყებდა, გიორგიც დედის მსგავსად მზრუნველობას ვერ მოაკლებს დეიდას, მაგრამ იმასაც ხვდებოდა, რომ დის ამაგს ახლოსაც ვერ დაუდგებოდა მისი მზრუნველობა და შრომა. მალე ჰპოვა ამ აზრში დარწმუნება, როდესაც ანასტასიას გრძელი, შევერცხლილ-შეთოვლილი თმების დავარცხნაში ვერ დაეხმარა. ანასტასიას უმოძრაობამ ზედა კიდურებში ძალა გამოაცალა. სუსტი, კაფანდარა ხელების ზევით აწევა და თმის ვარცხნა აღარ შეეძლო. გიორგი მას თმას კარგად ვერ

ვარცხნიდა, ხშირად წიწკნიდა. ერთხელაც ძლიერად დიდებილება სავარცხლის ჩამოსმისას, ბლუჯა თმა შემოაცალა, დეიდას სთხოვა, მეორედ აღარ დამავარცხნინო, თორემ ხომ ხედავ უხეშად გამომდისო. ან კი თოთხმეტი წლის ბიჭს მეტი მოვლა ვეღარ მოეხერხებოდა, მის დაჩივლებას დეიდა მღუმრე ღიმილით შეხვდა. გამოხედვით მიუხვდა თანხმობას დიშვილი. სკოლაში ნასაუზმევი ვერასდროს მიდიოდა, სულ ჩქარობდა არ დაგვიანებოდა, ამიტომ მისი მომზდებისთვის ვეღარ იცლიდა. სკოლიდან დაბრუნებულს ანასტასიამ თავისთან მოუხმო, მაკრატლის მოტანა და თმების შეჭრა სთხოვა. მოზარდ გიორგის თავის მხრივ გაუხარდა კიდევ, დილით იოლად დავარცხნიდა, დეიდის თმის წიწკნა მისთვისაც არასასიამოვნო შეგრძნების მომტანი იყო. სიხარულით გამოარბენინა დეიდის ნაქონი დიდი ზომის მაკრატელი, რომელსაც ჭრა-კერვის დროს იყენებდა ვერა. კისერთან მიუტანა მაკრატლის პირი. ნაწნავი, რომელიც წელამდე სწვდებოდა, წამში მოკვეცა. თვალდახუჭული განაბოდა მაკრატლის კრიჭინს. აშკარა იყო, უსიამოვნო განცდა ჰქონდა, ენანებოდა მოკვეცილი თმა, მაგრამ მოზარდის შეწუხების გამო დანებდა ამ გამოსავალს. კისრამდე შემოწვდა თმა, მის ბოლოებს უსწორმასწორო მონაჭერი მკვეთრად დასტყობოდა, კიბე-კიბე ანაჭრელი თმის დაერიდა მჯდომარეს. თხელი მანდილი მოიხვია, ბოლოები ყელთან შემონასკვა და ხელები მუხელებზე უხალისოდ, დაუძღურებულად დაუშვა. მომსვლელთანაც მანდილით იჯდა. ცივი ამინდების დადგომამდე საქსოვი სთხოვა გიორგის, მანაც ძლივს მოუძებნა სახლში, ოთახის რომელიღაც კუნტულში მიაგნო ნართებში გაბლანდულ ჩხირებს. ნაჭრის ტომარიანად გაუტანა და მუხლზე მჯდომარეს წინ დაუდო. ანასტასიამ ფერთა კარგი შეხამება იცოდა, ოდესღაც ვერა მას რჩევას ეკითხებოდა ხოლმე საქმიანობისას. საქსოვი ძაფის გორგლები გარშემო შემოიწყო და ქუდების ქსოვას მიჰყო ხელი. ლოცვასა და ლოცვის შუა დარჩენილ თავისუფალ დროს ქუდებს იქსოვდა. სხვადასხვა ფერიას და ფორმის ქუდები დაიქსოვა. თმის მოკვეცის შემდეგ აღარავის უნახავს თავლიად, ერიდებოდა უსწორმასწოროდ აჭრილი თმის, თუმცა ერთხელაც კი არ დასცდენია საყვედური შემჭრელის მისამართით. გიორგის ისედაც მადლიერი იყო, მასზეც იცოდა ლოცვა, მიმავალს ზურგიდან პირჯვარს გადასწერდა და ჩუმი ხმით ლოცვას დაადევნებდა ხოლმე. დილის პროცედურებს ვერანაირად ვერავინ უკეთებდა, იქამდე კი ანნას ჰქონდა მორჩილად მსუბუქი ხელები. მის ხელებთან შეხება ანასტასიას გულში სიამოვნებდა, მშობლიურობის განცდა ეუფლებოდა. გიორგიც ცდილობდა დეიდის მზუნველობას, დილას ადრიანად დგებოდა, ხელ-პირის დასაბანად თიხის სურით წყალი მიჰქონდა, ლითონის ტაშტსაც კარგად მოუმარჯვებდა ხოლმე, მხარზე მისთვის პირსახოცი ჰქონდა გადაკიდული. ფაქიზად იცოდა პირის გამშრალეობა, წყალს ბოლომდე არ შეამშრალეებინებდა ქსოვილს. თმას ახლა თვითონ ივარცხნიდა, თავისი თხელი ხელებით.

მომსვლელთაგან ზოგიერთნი მომვლელობას სთხოვდნენ ანასტასიას, თუმცა თავიდან კატეგორიულად უარობდა. ვერავის კადრებდა სათავისოდ ზედმეტად დასაქმებას. გიორგისთან უხერხული დამოკიდებულება

ეუფლებოდა, როდესაც ღამის ქოთანს უქცევდა. მხოლოდ დილით საჭიროებდა ფიზიოლოგიური პროცედურების ჰიგიენურობას. ემალირებული დიდყურა ქოთანი უკვე გაცვეთის პირამდე მისულიყო. უხერხულობისას თავის დაბლა დახრა და ბამბის ქულასავით თეთრ კანზე აჭარხლება იცოდა. ხანდახან, მიწაზე დაფენილ კაბის კალთის ქვეშ თხელ თითებს შეაცურებდა და გამოღებულ ხუთკაპიკიანებს მადლიერების ნიშნად გიორგის უწვდიდა. თავის პენსიასაც მას ახმარდა.

მზისგულა ამინდში უფრო მეტი მნახველი აწყდებდა მის ეზო-კარმიდამოს. ვაშლებით ხელდამშვენებულები მოდიოდნენ და წასვლისასაც მჯდომარე ანასტასიასაგან ლოცვად შეწვეული ვაშლები მიჰქონდათ, ანასტასიასთან სხვა მადლი სუფევს და ეს მადლი თან მიგვაქვსო, იბახდნენ.

გიორგი დროის შესაფერისად ნელ-ნელა ვაჟკაცდებოდა, ანასტასიას ეზოში შემოსულ გიორგის ხილვისას სახეზე კეთილი ღიმილი ევინებოდა და გულში ნათელი ადგებოდა. განსაკუთრებით მასთან გამოლაპარაკება უყვარდა.

დრო გადიოდა და სიბერე ნაბიჯ-ნაბიჯ მოჰყავდა მეგზურად, რომელსაც სავესე ჯიბეებში ტკბილეულობის ნაცვლად სიჭაღარავე, ნაოჭიანობა, იმედიანობის წელში მოტეხვა ელაგა. ამბობენ თუ წარსულს ხშირად იხსენებ, გამოდის, რომ სიბერეს შეჰყვარებიხარო. ანასტასიას თვალებთან სიფრიფანა კანი შენაოჭებოდა, ხელებსაც თავისებური ასაკობრივი იერი დასტყობოდა. ღიმილისას ტუჩის კუთხეებში კანზე ნახაზი უჩნდებოდა, მაგრამ მაინც ჰქონდა მშვენიერების ხელი ნათელ კვალად დატყობილი. სილამაზე კვალწმინდად არ იკარგება, სიბერეშიც იცის ერთიხანობა სხვისი თვალისათვის შესამჩნევი თავგამოდება.

ანასტასიას ახალგაზრდობისდროინდელი სილამაზე მისი ღიმილიანი თვალების გაბრწყინებისას შესამჩნევად გაიელვებდა ხოლმე. მნახველნი მისი აღმატებული მშვენიერების არსებობაში იხტიბარგაუტყუებელი არასდროს რჩებოდნენ.

დროუამს შეუმჩნეველი, მაგრამ დიდრონი ნაბიჯებით უყვარს გაბოტვა. გიორგი გაიზარდა. ეზოში შელაჯებულმა უღვაშიანმა ფოსტალიონმა „პოვესტკა“ მოუტანა, ჯარში გიდახებენო. მისი თანატოლები ასეთ დროს გასაცილებელ „ვეჩერს“ იხდიდნენ, პატიუბდნენ ამხანაგ-მეგობრებს და მთელი ღამით მხიარულობდნენ, ვაჟები ჯარის მოვლის შემდეგაც, დაბრუნებისას უფრო გრანდიოზულად აღნიშნავდნენ ე.წ. „ვეჩერს“. თუმცა გიორგის მსგავსი რამ არ აღუნიშნავს. მეორე დილასვე გამოემშვიდობა დეიდას და სამხედრო კომისარიატისკენ მიმავალ გზას მოწყენილი სახითა და მოკრძალებული ნაბიჯებით დაადგა. თან მიჰყვებოდა დეიდის ნათქვამი: –შენს თავს მიხედე, გაუფრთხილდი, ჩემი დარდი არა გქონდეს, ნურც სახლ-კარის დარდს შეაწუხებინებ თავს. ხანდახან ერთი-ორი სიტყვა გაჯღაბნე და გამომიგზავნე, წერილებს სულმოუთქმელად დაველოდები. შენთვის ვილოცებ, გფარავდეს უფალი... –დეიდის სიტბო, რომელიც

მკერდში ჩახუტებისას განიცადა, ისე გაეთხო მისი შიგნეულობა, რომ გამბედაობა და სიხალისე შეემატებინა.

გიორგის თავისებურად ეფიქრებოდა დეიდა: ვინ მიხედავდა დილაობით, ვინ დაბანდა ხელპირს, ვინ დაეხმარებოდა ღამის ქოთნის საჭიროებისას?.. საკვები მნახველთ კი მოჰქონდათ, დიდრონი, ლოყებდალაქაქებული ვაშლებიც მუდამ ჰქონდა, მაგრამ თვითონ ჭამა არ უყვარდა, ვიღაც სჭირდებოდა გვერდზე მყოფი საუზმის დასაძალებლად. ხანდახან რამდენიმე დღე გადიოდა ისე, რომ ანასტასია ლუკმას გემოსაც კი არ გაუგებდა. ბუნებით ასეთი იყო, არც სხვისი მადიანი ჭამა მოსწონდა, მუცელამოყორილი ადამიანი ადამიანი აღარაა, სიმაძღრისმიერმა ჭამამ სტომაქის გაღორება იცის. მერე მისნაირად აღრუტუნება, თავიდან მარტო მუცელი ღრუტუნებს, კარგად გაშინაურებულზე კი სახეც მას ემგვანება და აზროვნებაც. ჭამას თუ გადაყვეი, გაძეხი, სულიერ სიმრავალფეროვნეს ვეღარ დაინახავ, თვალს სილამაზისადმი ესთეტიზმის გრძნობის აღქმა დაეკარგება, სამყაროს თვალუწვდენელი საუნჯე ერთფეროვანი ეჩვენება, ნაყროვანებით დამძიმებული სულიერ სიმსუბუქეს შვებად ელის, გრძნობებისგან თანდათან იცლება მისი აზროვნება, მხოლოდ მშრალი გონებითლა ფიქრობს, მხოლოდლა უსიამოვნოს, რადგან სასიამოვნოს აღქმა აქვს დაკარგული, და რაღა რჩება მათ გარეშე ადამიანი?—იბახდა ახლომყოფების გასაგონად და სახეზე მორცხვი ღიმილი ეფინებოდა.

XXVIII

სამხედრო სავალდებულო ჯარიდან ზუსტად ორი წლის შემდეგ დაბრუნდა გიორგი. სუსხიანი დეკემბერი იდგა, ძვალსა და რბილში ატანდა ცივი ქარის ნაკადი. თოვლის ჩამოსაყრელად გამზადებული ცა ნათელ ფერში შენისლულიყო. რკინიგზის სადგურიდან ჯარისკაცული დიდი ნაბიჯებით მოდიოდა სახლისკენ, ერთი სული ჰქონდა იქ მისულს სახლ-კარი და დეიდა ენახა, მონატრებულზე ჩახუტებოდა, ხანდახან იტყუებული შიში გაჰკენწლავდა მგზავრის გულს, ვაითუ დეიდაჩემი აღარ დამიხვედესო, მაგრამ თავს გაუცნობიერებლად ანუგეშებდა, ასეთ შემთხვევაში მეზობლები დეკემბით მაცნობებდნენო.

სახლამდე ჩქარა მიდიოდა, მაგრამ სახლს მიახლოებულმა, უკვე მშობლიურ, ალილუევას ქუჩაზე ფეხმა ინსტინქტურად ნაბიჯებს უკლო, გულმა უფრო მეტად იწყო ბაგა-ბუგი, თითქოს ყელში ამოსახტომად იმზადებდა თავს. აგერა მიუახლოვდა კიდევ დაბალ მომრგვალებულ თავიან ჭიშკარს, რომელზედაც ხე მომპალავიყო დარბილებულზე აქა-იქ ამოდრუნტული და თვალში საცემად განახევრებულიყო. მნახველი მისხვდებოდა, რომ აშკარად უკაცობა დასტყობოდა ჭიშკარს. აღარც მწვანე ფერი შერჩენოდა სადმე. ჭიკარი არც შეუღია, ზევიდან გადაიხვედა, ფოთლებგაცვენილი ხეების ფონზე იოლად უნდა ეხილა მჯდომარე დეიდა, თუმცა იქაურმა სიტუაციამ გააოგნა, დაბნეულმა ნაბიჯის გადადგმა ვერ მოახერხა, ადგილზე გაქვავებული ადევნებდა თვალყურს იქ მოფუსფუსე

ქალების მოქმედებას. დეიდა არ ჩანდა, ხიდან ხეზე-გამბულ ბაწრებზე თეთრი ზეწრები ჩამოეფარებინათ, წყალიც მოემარაგებინათ, ზეწრების იქით ორი ქალის თავი მხრებიანად მოჩანდა, ზეწრებს აქეთ თვალხილულად კი კიდევ ორნი იდგნენ და ხან წყლით სამსე ვედროებს უწვდიდნენ შიგნით და ხან გასამშრალებელელს. დეკემბრის სუსხში თბილად დასხმული წყლის ადგილიდან ორთქლი ზეცისკენ იწვევებოდა. ალბათ ბანენო, გაიფიქრა გიორგიმ და ცოტა არ იყოს გულში სიბრაზემ დაუარა, ამ ყინვაში რა დროს დაბანაა, გაცივდებაო, მაგრამ ეზოში შესვლა ვეღარ გაბედა, არ დაირიდონ, მალე მორჩნენ თავის საქმეს, და მერე შევალო გაიფიქრა და ჭიშკარს მოშორდა.

ქალები ანასტასიას დაბანას მორჩნენ თუ არა, აბანოდგადაკეთებული ღვთისმშობლის ტაძრიდან წამოდებული წყალი გადაავლეს, გადავლებულს ჭურჭელში საგანგებოდ აგროვებდნენ წასაღებად. მის ნაბან წყალში სახელში მყოფ ავადმყოფს სვამდნენ და აჯანმრთელებდნენ. ეს სასწაული არაერთს ჰქონდა გამონაცდევი. დაბანილ ანასტასიას ჩააცვეს და მხრებამდე შეჭრილ თმაზე თავისი ხელით მოქსოვილი მოღურჯო ქუდი დაახურეს. იქაურობა მიასუფთავეს, ზეწრები თავის ბაწრებიანად ჩამოსხნეს. ვედროები და ლითონის ტაშტი თავთავიანთ ადგილას მიაბინავეს და ბაასიც გააჩაღეს.

გიორგი უხმაურო ნაბიჯებით გადავიდა ჭიშკარს. დეიდის ხმა გარკვევით მოესმოდა:

– ერთ ახალგაზრდა ქალბატონს გალიაში დედალ-მამალი ჩიტები ჰყავდა. ქალბატონს ისინი ძალიან უყვარდა, უვლიდა, ფაქიზად ეპყრობოდა. თვითონაც კეთილშობილი იყო, ჭიანჭველას ფეხს არასდროს დაადგამდა, მაგასაც სიცოცხლის წყურვილი არგუნა ბუნებამო, ობობას არასდროს გასრესდა, ბუნებას დასარეგულირებლად გაუჩენიაო, ეგ რომ გავწყვიტოთ ბუზები და ჭია-ღუები გადაგვჭამენო, და თუ ზომაზე მეტად გამრავლდნენ ჩიტები მოუღებენ ბოლოსო. ასე, რომ მინიმალურადაც კი არ ერეოდა ბუნების წინაშე, არც თავის სიამოვნებაზე დადიოდა, მე არ მომწონს ობობა და ამიტომ უნდა მოგკლა-მოვიშორო თავიდანო, არასდროს გაუფიქრია. გალიაში მყოფ ჩიტუნებს კი ცივ ნიავს არ აკარებდა, საუკეთესო საკვებით ანებივრებდა, არც წყალს აკლებდა და არც მზით გამთბარ ალაგზე გაყვანას. ჩიტებს გამრავლების პერიოდი დაუდგათ, მამალს სისხლის ყვილი აუტყდა ძარღვებში, დედალს კი ტყვეობაში კვერცხის დადება არ შეეძლო. ამიტომ უთანხმოება დაეწყო წყვილს. გამუდმებულად ჩხუბობდნენ, ისტერიაში მიდიოდა ნაცემი დედალი ჩიტი. საქმე ვერა და ვერ აიწყეს. დათმობა არც ერთს არ ეწადა, განსაკუთრებით კი ვნებააყოფილ მამალს.

ერთ-ერთი მორიგი ჩხუბისას, კეთილმა ქალბატონმა მათი გაშველება გადაწყვიტა, იფიქრა სხვა გალიაში გადასვამდა, წყვილს დააშორებდა და ამით მათ შორის არსებულ კონფლიქტს ამით მოავგარებდა. მამალი ჩიტი დედალს თავში გამეტებით ურტყამდა ნისკარტს, ეს უკანასკნელი კი უკმაყოფილოდ გამოსცემდა ბგერებს, გალიის ხან რომელ კუთხეში

აიბუხებოდა უმწეოდ და ხანაც რომელში. კეთილმა ქალბატონმა ხელთათმანი გადაიცვა ხელზე, მეტი უსაფრთხოებისათვის, რადგან მამალმა ჩიტმა კბენა იცოდა. გალიაში შეყო ხელი, მამალი ჩიტი შავი ხელის ხილვისას ემოციურად აფრთხილდა, მაგრამ უფრო გამაღვებით აფრთხილდა, როდესაც ეს სიშავე მას დაედევნა დასაჭერად. დაიჭირა კიდევ, ქალბატონმა ხელთათმანში მოქცეული მამალი ჩიტი დიდი სიფრთხილით გამოიყვანა გალიიდან, ჩიტს ხელისგული ტანზე კარგად ევლებოდა, ნისკარტი და ფერადად აელვარებული კუდი ხელთათმანს გარეთ დამშვენოდა. ქალბატონმა მეორე ხელით სხვა გალია მოიმარჯვა, მის ღია კარებში შეყო ფაქიზად ხელი და მომუჭული ხელი გაშალა. ჰოი, საოცრებავ, მამალმა ჩიტმა ერთი კი გააღო ნისკარტი, საიდანაც მცირეოდენი სითხე ამოუშვა და სულიც განუტევა. ქალბატონი ისტერიულად მოთქვამდა, მაგრამ შიშისგან გულგახეთქილ მამალ ჩიტს რაღა მოაბრუნებდა? მერე დედალმაც იდარდა უიმისობა, შეჩვეული მეწყვილე ერჩინა სხვას, დარდისაგან აღარც ჭამდა, აღარც სვამდა. აბა, დარდიანი გულით როდემდეღა იცოცხლებდა? ქალბატონი კი თავის თავს ვერ პატიობდა ვითომ სიკეთის გულობისთვის კი გადაიყოლა. შენზე სუსტი და უმწეო შესაძლოა შენმა სიკეთემ გადაიყოლოს. სუსტს ისედაც გაუცნობიერებელი შიში აქვს მორალურად ძლიერი ადამიანის მიმართ. მორალურად სუსტი შესაძლოა უფრო პროვილეგირებული და მატერიალიზებული იყოს მიწიერად, მაგრამ სულიერად ძლიერის, რომელსაც ყოველგვარი გააზრების გარეშე გრძნობს, შიში იპყრობს. არ მაჯობოს, არ დამჯაბნოსო. ესაა კაცობრიობის დიდი ტკივილი. სუსტები ებრძვიან ძლიერებს, და არა პირიქით, მორალურად ძლიერს, თუნდაც დატაკუნას სუსტი ბუნების, თუნდაც გავლენიანის, დაჩაგვრა აზრადაც არ მოუვა. ცეცხლსასროლი იარაღიც ხომ სუსტი ადამიანის მონაგონია და მისი სიყვარულისთვისაც ერთნაირი ბუნების ადამიანები ისწრაფვიან.

წარმოიდგინათ რომ უსასრულო თქვენ სამყაროში მოგზაურობთ დიდ ტრანსპორტზე ამხედრებული, რომლის სადავეც და საჭეც თქვენსავე ხელშია. თქვენ კაპიტანი ბრძანდებით თქვენივე ტრანსპორტის და საითაც მომართავთ იქით შეიცვლით სამგზავრო კურსს. ტრანსპორტი კი თქვენი გულია. ასეა, სამყარომ დიდი სიყვარულის შესაძლებლობისთვის გული გიბოძათ, თქვენ კი მის კაპიტნად დაგნიშნათ. გზა არ უნდა აგერიოთ, სიყვარულით უნდა იმოგზაუროთ და ყოველჯერზე მიღწეული წარმატებისა თუ წარუშეცდობლობისა გამოცდილება შექმნილზე წინსვლა უნდა გააუმჯობესოთ.

მჯდომარე ანასტასიამ სიხარულით გადაიბადრა, როდესაც მასთან მიახლოებული სამხედრო ფორმიანი დისშვილი იხილა. ხელები ერთად მიატყუპა და გულზე მიიღო, მკერდში ჩაიხუტა გიორგიმ დეიდა, მის აკანკალებულ სხეულს გრძნობდა, და ხვდებოდა, თუ, როგორ თრთოდა მისი გული და როგორ თანხვედრაში იყო თვალებიდან აღმოცენებულ სასიხარულო ცრემლებთან.

მდომარე ანასტასიას მზრუნველობა ისევ გიორგიმ ითავა, მაგრამ როდესაც ნახა, ღამის ქოთანი ის დაძველებულიყო, რომ პირი სრულიად ბასრი გახდომოდა, გაოცდა. მეორე დღესვე შეუძინა ახალი, ემალირებული ხასხასა ფერის ქოთანი, მაგრამ დეიდამ მასზე კატეგორიული უარი განაცხადა, საჩუქარი უბრალოდ არ მიიღო:

–რას უწუნებ, რა თვალში არ მოგდის?–განიცდიდა გიორგი მაგრამ მხოლოდ თავის გაქნევით უბრუნებდა უარყოფით პასუხს. ბევრისგან ბევრს ეცადა დისშვილი, მაგრამ ვერას გახდა, ვერ დაიყოლია ახალზე. ბასრპირიან ქოთანზე მჯდარ ქალს, უამრავ ადგილას უსერავდა კანს და ისედაც გამხდარს, ზედ კუნთზე ესობოდა ბასრი პირი, სისხლი წელამდე ასდიოდა, უსველებდა კაბას, რომლის მუქ ფონზე აღისფერი სისხლი მნახველის თვალისთვის შეუმჩნეველი იყო.

შეშფოთებულმა მეზობლებმა უამბეს დისშვილს, მისი ჯარში ყოფნისას მომხდარი:

ქალაქის რაიონის სახანძრო ბრიგადებს საქმე გამოსჩენოდათ, ქუჩა-ქუჩა დადიოდნენ და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებს ატარებდნენ, ყველა სახლის ეზოში დგამდნენ ლითონის დიდ კასრებს, რომელშიც გამუდმებით დაგროვილი წყალი უნდა ყოფილიყო, გვერდით ცარიელი ვედრო მოდგმული, ხანძარსაწინააღმდეგო დანიშნულებისათვის გამოსადეგი. ანასტასიასთვისაც დაუდგამთ რკინის კასრი, თავისი ვედრითურთ.

ანასტასიას ის წყლით არ აუვსია, ან კი როგორ შეძლებდა ოთხ ათეულ წელზე მეტი ხნის მჯდომარე, მუხლდაყუდებული, უმოძრაოდ მყოფი კასრის წყლით ავსებას. კასრი მისთვის ხელმისაწვდელზე ახლოს იდგა, მას მოუხერხებია და ღამის ქოთანი შიგ ჩაუცლია. ასე იმეორებდა დილაობით, მაგრამ როდესაც სახანძრო კომიტეტთან შესამოწმებელ შემოვლაზე იყვნენ, ანასტასიას ბაღსაც მიაშურეს. შიგ ჩაიხედეს კასრში წყლის ნაცვლად სანახევროდ ავსილი რაც იხილეს, იმაზე აღშფოთდნენ. ამით ხანძარს ვერ ჩააქრობთო, უყვირიათ, წყალი უნდა ესხასო, მეზობლის ქალებს აუხსნიათ შემოწმებელი მეხანძრეებისთვის ქალის ყოფითი მდგომარეობა, მათ გულისმობობის ნაცვლათ უკმაყოფილოდ უთქვამთ, მაშ ეხლა შიგ რაცაა, მაგას რა ვუყოთო. ამაზე ანასტასიას გაბრაზებით მიუგია: – ეგ კასრი ბერიას მოედანზე ჩაიტანეთ და იქ დადგითო.

ბერიას ხსენებაზე შიშისგან ყველას ტანთ დაბურძგლა. მეზობლის ქალები ბაღშივე გაუჩინარებულებიყვნენ, ზოგი სად მიმალულიყო და ზოგსაც სახლისკენ მოეკურცხლა. ხოლო შემოწმებაზე მოსიარულე მეხანძრეები კი დიდი ნაბიჯების ტლანქი მოძრაობით ბაღიდან თავქუდმოგლეჯით გაქცეულან.

არც იმის თქმა დავიწყებიათ მეზობლებს, საიუველიო მაღაზიიდან ახალგაზრდა ბიჭს ძირფასი ნაკეთობის სამკაული მოუპარავს, მას მილიცია დადევნებია. ბიჭს გზად ურბენია, იარაღმომარჯვებული მილიცია ფეხდაფეხ მისდევდა თურმე, მაგრამ სროლას ხალხით მოსიარულე ქუჩაზე ვერ

ბედავდა. მორბენალ ბიჭს მჯდომარე ანასტასიას ეზოს ჭიშკარი ღია დაუნახავს, შიგნით შევარდნილა და მუხლდაყუდებული ქალი რომ დაუნახავს, დაბნეული გაშეშებულა. უკან მადეგარი მილიციაც მოსდგომიან, სირბილით გადადღილები სუნთქვააჩქარებულნი ქმენდნენ. მათი დანახვისას ანასტასიას ხელები განზედ გაუშლია და დაბნეული ბიჭისთვის უთქვამს: – მოხვედი ტარიელ? გელოდი, აქამდე რატომ დაიგვიანე? ხომ გთხოვე საჩქაროდ მოსვლა?

ბიჭიც ჩასახუტებლად მისულა, შეშინებულს თავი მის სუსტ მხარზე ჩამოუდია და გაყუჩებულა. მილიციას ეჭვიმიტანილი ბიჭისთვის ჯიბეები ამოუქექავთ, თავიდან ფეხებამდე გაუჩხრეკავთ, მაგრამ საეჭვო ვერაფერი უნახავთ, მით უფრო ნაქურდალი საიუველირო ნივთი. მათი წასვლისას გაოცებულ ბიჭს უკითხავს, საიდან იცოდი ჩემი სახელიო? მომდიმარ ანასტასიას კი უპასუხია, ტარიელს რა ცოდნა სჭირდებოდაო. მერე დაურიგებია ბიჭი, უთხოვია ნაქურდალის უკან დაბრუნება, ბიჭსაც შეუმჩნევლად დაუბრუნებია ადგილზე ნივთი. ამის შემსწრე მეზობლებიცა და მნახველნიც იუმორით უამბობდნენ თავს გადახდენილ ამბავს.

ანასტასიასთან სამეცნიერო კვლევითი უნივერსიტეტიდან სიარულს მოუხშირა შუახნის ასაკის მატერიალური მსოფლმხედველობის (როგორც ის საკუთარ თავს უწოდებდა) რეალისტ-ეგოლუციონისტმა. თავზე ქოჩორაჩეხილს ლოყები, მაღალი ჰემოგლობინის ქონის ნიშნად, ადაჟლაუებოდა. დიდრონ თვალებში ჭეშმარიტების საძიებელი აზრი გამოკრთომოდა. ტანმსხვილს მუცელზე ქონი შემოჰპარვოდა. თავისფერი ლაბადის ბოლო ცალმხარეს ჩამოშლოდა, რაც ერთ ნაწილს მეორისთან შედარებით განსაკუთრებულად გრძელს წარმოაჩენდა. იმდენად დაგრძელებოდა ლაბადის ნახევარსიგრძე, რომ სიარულისას მიწაზე მისთრევდა. ეზოში მკაცრი ნაბიჯების სწრაფი მონაცვლეობით შემოვარდებოდა თუ არა, მნახველებით გარშემორტყმულ მუხლდაყუდებულ ქალთან მიირბენდა და რამე საოცარ კითხვას ჰკითხავდა:

– ქალბატონო, აბა, მიპასუხეთ, კვერცხი უფრო ადრე გაჩნდა დედამიწაზე თუ ქათამი? – იკითხა მრავალმნიშვნელოვნად და თვალები მეტი ცნობისმოყვარეობისაგან მოუჭუტა.

– რას ეძახით კვერცხს? თქვენ წარმოიდგინეთ და კვერცხშიც სამყაროა თავმოქცეული, ოღონდ ვისთვის სიცოცხლის დასაბამი სამყარო და ვითვის კუჭგასაძლომი საჭმელი, აი ეგაა საკითხავი.

მატერიალისტ-ეგოლუციონისტს სახელად გელოდის ქალის პასუხმა დიდად აღფრთოვანება ვერ აპოვნინა სამეცნიერო ცნობისმოყვარე საკითხებში, ამიტომ ისევ შეეცადა მატერიალისტური მსოფლმხედველობის გამოყენებით რელიგიური შეხედულებების უარყოფას: – აბა, მითხარით, სამყარო, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით არის მატერიალური. სად მდგომარეობს იდეა სულიერი სამყაროს არსებობისა და რატომ ვერ ვხედავთ თუ მართლა არსებობს?

ანასტასიამ თვალი შეავლო ქვევიდან ზევით მის წინ მდგარ მეცნიერს, რომელიც გამუდმებულად იწვევდა პოლემიკაში და მცირედხნიანი დუმილის შემდეგ უთხრა: – თქვენ ახლა მატერიალური ბრძანებით?

–სულისკვეთებითაც და ფიზიკურადაც!–მტკიცედ დაუქაღნა ქოჩრიანი თავი მეცნიერმა.

– და ახლა თქვენ თავს ხედავთ? თქვენს სახეს, ყურებს, ცხვირს?

მამაკაცი შედრკა, მერე დასძინა.

–სახეს, ცხვირსა და ყურებს უსარკოდ ვერა!

–ვერ ხედავთ, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ არსებობთ!

–სამაგიეროდ გხედავთ ჩემს წინ მყოფთ, მატერიალური სხეულის მქონე მსგავსთ, თქვენს ცხვირებსაც და ყურებსაც.

–თქვენ საკუთარი ყური ვერ დაგინახავთ და სხვა ვისი ნახვა გწადიათ ბატონო გელოდი?თქვენი ცხვირის სასიკეთო თვისებებს თუ ვერ ხედავთ და ვერ გრძნობთ, სხვისი ცხვირი თქვენ რას გარგებთ? სხვა თქვენ გამო ჰაერს ვერ ისუნთქავს. აი ეგაა თქვენი მატერიალიზმი.

გელოდი უკმაყოფილოდ მოპრუწული ტუჩებით მიტრიალდა წასასვლელად, თუმც საჩვენებელთითაწეულმა ერთხანს მოიხდა და მუხლდაყუდებული ქალის მისამართით დაიძახა: – თუმცა მე მაინც დავბრუნდები, კიდევ დაბრუნდები! – ისევ იბრუნა პირი ჭიმკრისკენ და ქუჩაში გასული თვალის დახამხამებაში გაუჩინარდა.

XXIX

ზამთრის სუსხმა მწველი ყინვებით გადაიარა, მაგრამ გაზაფხულდა თუ არა, უფრო მეტი სიმწვავე მოჰყვა საზოგადოებაში. ბუმბერზი ბელადის გარდაცვალებამ შეძრა ქალაქი და ქვეყანა და სრულიად საბჭოთა კავშირი. დიდიან-პატარიანად ქუჩაში გამოსულნი ხმით მოთქვამდნენ, ტიროდნენ, მოხუცნი განცდებით თმას იწეწავდნენ, ბელადის გარდაცვალებით გამოწვეულ მწუხარებას ვერაფერი ანელებდა. საზოგადოებრივი განცდა ძლიერი აღმოჩნდა. ყველგან ბელადის სურათებს მიჰქონდა არემარე, ფოტოებით გადაჭედილი ფოტო ატელიე, მაღაზიის ვიტრინებზე გადმოკიდებული შავლენტშემოვებული ბელადის ფოტოები, სკოლებში საკლასო ოთახებსა თუ დერეფნებში. ბელადის ფოტოებს გამვლელნი უჩერდებოდნენ და თვალცრემლიანები უმზერდნენ სიანანულით დიდი განცდებით.

თუმცა, როდესაც რამდენიმე თვეში ბელადის მარჯვენა ხელი ორჯერ დახვრიტეს, ორჯერადვე ორივე მათგანი ირწმუნებოდა რომ ის მხოლოდ

ბელადის მარჯვენა ხელის ორეული გახლდათ, ხალხმა დიდად გულთან ახლოსაც არ მიიტანა. მას საბჭოთა სამშობლოს დალატთან ერთად უამრავი ბრალი დასდეს, მათ შორის ქალებისადმი უდიერი მოპყრობა, მათთვის ნამუსის ახდა და მერე თავიდან მოცილების მიზნით საკუთარ სარდაფში ჩაყვანილს კლავდაო. საცხოვრებელი სახლის ქვეშ კატლავანი ჰქონდა, რომელიც სამსუა ქალების გახრწნილი გვამებითო. უყვარდა ტელეფონით არშიყი და პატარა გოგონების გაცნობა, ხმას იყენებდა, ვითომ პირბადრი ყმაწვილი ყოფილიყოსო, ტკბილი ენის მეთოდით იტყუებდა არასრულწლოვნებს და მცირედ ასაკოვნებსო...

მისი სახელობის მოედანს, რომელიც ადრე ლენინის მოედნად იწოდებოდა, სახელი გადაარქვეს და ისევ უწინდებურად მოიხსენიეს, ლენინის მოედნად. არადა ბერიაშ საკუთარი ნებით მეფისნაცვლის შენობა პიონერთა სასახლედ აქცია, ეს მის შემდეგ რაც სასახლე ჯერ ბელადის დედას გადასცა, რომელიც ვერასდიდებით ეგუებოდა დიდრონ ფოიეებსა თუ დარბაზებს, თავისთვის ერთი პატარა ქოხმახი ჰქონდა აშენებული ვაკის გამწვანებაში და დღის უმეტეს ნაწილს იქ ატარებდა ლოცვაში, და თავის ძველისძველ ოცნებას, შვილი ბელადობის ნაცვლად სამღვდელოებაში ჰყოლოდა, გულისტკივილით იგონებდა. კეკეს გარდაცვალების შემდეგ სასახლე საბჭოთა პიონერ-ბავშვებს დაეთმო. მითქმა-მოთქმა ქუჩებში არ ცხრებოდა.

ალილუევას ქუჩაზე მცხოვრებნი, რძის რიგში მდგომნი, განსაკუთრებით ბჭობდნენ, რომ ხრუშჩოვს კრემლის შესასვლელები სხვაგვარად გადაუკეთებია, მათში დაცვაც გაუძლიერებია, რადგან ორივე დახვრეტილი თუ ბერიას ორეულობას ჩემულობდა, ესე იგი, თვითნ სადღაც ახლოს იმალება და არაა გამორიცხული მოულოდნელად თავს წაგვადგესო—ამბობდა ერთი ქალბატონი და ნიშნისმოგებით გამჭვირვალე ქსოვილის თავშლის ბოლოებს ნერვიულად ათამაშებდა.

—შენ ეგა თქვი და ისიც უთქვამს, რომ საქართველო ისეთი ძაღლების ქვეყანაა სადაც „დალოი სტიდის“ რელოვუციამ ფეხიც კი ვერ მოიკიდაო, მანდ კაცი სხვა რამეს გახდებო?რა საწადელს მიადწევო?... თურმე, როდესაც რუსეთში „დალოი სტიდის“ რევოლუცია მძვინვარებდა, სწორედ მაშინ ერთი ვაგონი უტანსაცმელო, სულ ნარჩევი ტალიკ-ტალიკი გარეგნობის ტიტველი ქალები ჩამოუსხამთ გორში, მაგრამ რომ დასტაკებიან ქართველი ქალები, ისე უპუტიათ, თმები კი არა, ბუწუწებიც კი არ შეურჩენიათ იმ საცოდავებისთვის, ქართველი კაცი ახლოს არ მიუკარებიათ, შეხედვითაც არ შეუხედებინებიათ. ნაცემ-ნაბეგვი ტიტველი ქალები იძულებულნი გამხდარან უკან წასულიყვნენ,

—თურმე სძულს აქაურობაცა და აქაური ტრადიციებიცა,— მოლაპარაკე ქალმა დესერტი ლუკმასავით დააყოლა ნათქვამი და ბადიან ჩანთაში ფაქიზად ჩალაგებული რძის ბოთლებით ხელდამშვენებული იქაურობას გაშორდა.

ქალების ნათქვამი რამდენიმე წლის შემდეგ გამართლდა, როდესაც ბუმბერაზი ბელადი პიროვნების კულტის მოყვარულ პათოლოგად აღიარა ხრუშჩოვის მთავრობამ, მისი ეროვნება კი სამარცხვინო აზიელად. ბრძოლა გამოეცხადა სრულიად ყველაფერს, რასაც სიტყვა ქართული შეესაბამებოდა და შეესატყვისებოდა. კულწარულად მოარული ხმები საზოგადოებას პანიკაში აგდებდა, ქართველებს ღამით შორეული ციმბირის აუთვისებელ ტაიგაში გასახლებას უპირებენო, როგორც წესი ღამით აპირებენ თავდასხმას თოთოეულ ოჯახზე და ამისთვის მატარებლებიც უკვე მობილიზებული აქვთო. შიში უფრო მეტად მძაფრდებოდა ყოველი შებინდებისას.

—ღამევ, შენ უწყი, მხოლოდ ჩუმი ნაფიქრის ბჭენი—იმეორებდა ჩუმათ გიორგი და ცდილობდა საზოგადებრივი პანიკისგან თავის გარიდებას. თუმცა გაზაფხულის ერთ დღესაც, ახალგაზრდობამ, რომელთა შორისაც სტუდენტები ჭარბობდნენ მშვიდობიანი დემონსტრაციები დაიწყო ქართველობისა და საქართველოს სამომავლო გადარჩენისთვის. ისინი იცავდნენ უკვე გარდაცვლილი ბუმბერაზი ბელადის ეროვნებას, ცდილობდნენ მავანთათვის ხმის მიწვდენას, რომ უძველესი კულტურისა და დამწერლობის მქონე ქვეყანა ჰუმანური პრინციპების მოყვარულია და არა პირიქით, აგრესორული გენეტიკის მქონე ტომების ქვეყანა, როგორც მწვერვალზე მყოფ მავანს, რომელსაც თავისი თავის ვერა გაეგო როდის ხუმრობდა და როდის ამბობდა მართალს, ეგონა.

ხალხში დარხეული ხმები, როგორც ყოველთვის მართლდებოდა. ახლაც ისეთი ხმები მიდი-მოდიოდა, რომ ძველი თბილისის ერთ-ერთ სკვერში დადგმულ სტალინის ძეგლის აღება წინმსწრები მოვლენა იქნებებოდა ქართველების ერთ ღამეში გასახლების პროცესისა. საქართველო უქართველებოდ უსაფრთხო და ნეტარი იქნებაო, უთქვამთ სულ ზემოთ.

მომიტინგე ხალხმა, რომელსაც ძირითადად სტუდენტობა შეადგენდა, გადაწყვიტა სტალინის ძეგლის დაცვა, რომელიც აღების შესახებ ბრძანება უკვე გაცემული იყო. მომიტინგეებს ზურგიდან დაუშინეს ტყვიების წვიმა, დაიხოცა და დაიჭრა უამრავი, დაჭრილებთან არავის უშვებდნენ დასახმარებლად. მსხვერპლი დიდი იყო. გარდაცვლილები არავის დაატირებინეს, ცინკის კუბოებში თვით ჯალათებმა ჩაუწვინეს და ოჯახის წევრების თანდასწრებით, ყოველგვარი სამგლოვიარო ცერემონიის გარეშე დაუკრძალეს. ახლობლებს ტირილის უფლებაც კი ჩამოართვეს.

სტუდენტების სისხლით კიდევ ერთხელ შეიღება დედაქალაქის შუაგული. ზურგიდან დაშენილ ხალკით ტყვიების კორიანტელს ყაყაჩოსფერი გუბეები დაეყენებინა დედაქალაქის ქუჩებში. ეს მოხდა 1956 წლის 9მარტს.

ცენტრი კი ავრცელებდა ინფორმაციას, რომ შეიარაღებულ დემონსტრანტებს ტყვია გულში ჰქონდათ მოხვედრილიო.

ლოცვის შემდეგ ქალებს რკალურად შემოეწყოთ სკამები და ხელსაქმობდნენ შეშფოთებული ბაასის ფონზე. –თურმე, ეს ჩვენი უფროსი ჩაფრენილა მთლად უფროსი-ნიკიტას სახლში, შეუტყვია, თურმე, საქართველოს გადასახლებაზე საუბარი მთავარ კომიტეტში. მისულა იმის გაპრანჭულ ცოლთან და ერთი კარგათ გამოუთვრია ქართული ღვინით. მერე ქალს ხელებში ჩავარდნია და ატირებულა, ესე და ესეო, დამთავრდა ქართული ღვინის ამბავიო, გასახლებას გვიპირებენ და ღვინოს ვინდა დაწურავსო. იმის ცოლი თურმე გაბრაზებული დასწვდომია ტელეფონის ტრუპკას, დაურეკავს ქმრისთვის და უთქვამს, წამში აქ გაჩნდიო.–მეზობელმა ლამზირამ მანდილის ბოლო ცხვირზე მოისვა, ნერწვი გადაწყლაპა და ხელთ მომარჯვებულ წინდის ჩხირზე თვლების დათვლას შეუდგა.

– მერე?–ამბის გაგრძელებისკენ მოუხმო გვერდით მჯდომმა ცირუმ.

–რადა მერე, ქმარს კარი შეუღია თუ არა, ცოლს ერთი სილა გაუწვინია ლოყაში, ასე უთქვამს, პადლეც, შენ გინდა ეს კაცი უმუშევარი დატოვო, ხელავე გადათქვი შენი პრიკაზიო.

ქალებმა მოკრძალებულად ჩაიღიმეს, –ანუ გადავრჩენილვართ გასახლებას თუ ჯერ კიდევ ეჭვქვეშ ვართ?–ცირუს ნათქვამში სევდაც, იუმორიცა და შიშიც ერთად განზავებულიყო.

ანასტასია კი ხელსაქმობდა მდუმარედ, თავაუღებლად, მის სახეს ისედაც კარგად აჩნდა განცდებისა და სევდის ნაკვალევი.

XXX

გაზაფხულის მიწურული იდგა. მზის სხივების ქვეშ ჩამომჯდარ გიორგის ფიქრისთვის მიეცა თავი. პეტერბურგში გამგზავრებაზე ოცნებობდა. ეს ოცნება კი მას შემდეგ დაიწყო, რაც პეტერბურგიან დაბრუნებული, წარმოშობით შულავერიდან მეგობარი თემო ესტუმრა. თემო ავადობის პერიოდში დედამისს დაჰყავდა ანასტასიასთან. ისინი დედა ანასტასას ეძახდნენ და მასთან ერთად ლოცულობდნენ. კვრიაში რამდენიმე დღით სპეციალურად ჩამოდიოდნენ შულავერიდან დედაქალაქში. თემოს სუნთქვასთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა. გამუდმებულ შიშში ვარ დედაო, ტირილით შესჩიოდა ანასტასიას თემოს დედა- ნათელა. ექიმები ვერაფერს მეუბნებიან სასიკეთოს, დღეს თუ არა ხვალ შესაძლებელია მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდეს, მიზეზიცა და დიაგნოზიც არა აქვთო. ერთ-ერთი მორიგი ლოცვის შემდეგ ანასტასიამ ნათელას უთხრა, რომ შულავერი უნდა მიეტოვებინათ და საცხოვრებლად პეტერბურგში გადასახლებულიყვნენ, ვაჟიშვილის უკეთესი მომავლისათვის.

–მერე იქ კარგად ვიქნებით?

-კარგად იქნებით!

-და ჩემი შვილი რომ არ წამომყვეს?

-წამოგყვება!

-მერე, იმ სიშორიდან შენ რომ ვერ გნახავთ?

-ჩემი უნახავობა არაფერია, ღმერთი ყველგანაა, თუ რამ გაგიჭირდეს, თუ რამ გაგეხარდეს ღმერთს მოუმაღლიერე. გიხარია თუ გწყინს, ისიც შენს მდგომარეობას იზიარებს, შენს გამო წუხს და შენს გამო ხარობს. მთავრია ყოველთვის გახსოვდეს ის, და არა მარტო გაჭირვებისას, ადამიანებს სიხარულის ჟამიანობისას ხშირად ივიწყებს ღმერთს, რასაც ვერ ვიტყვით მწუხარებაზე. ეცადე, ღმერთი არ დაივიწყო. ახლა კი მშვიდობით, გამგზავრებისთვის მოემზადეთ!

ისინი მართლაც დაემგზავრნენ, შულავერის ორსართულიანი ბინა გაყიდეს, აიბარგნენ და სრულიად უმისამართოდ გაემგზავრნენ უცხო ქალაქში, სადაც ნაცნობადაც კი არავინ ეგულებოდათ. ეს ამბავი ზუსტად ორი წლის წინ იყო, დედა-შვილის, ნათელასა და თემოს გამგზავრება დავიწყებას მიეცემოდა, რომ არა ახლახანს თემოს სტუმრობა, დედამისის ნახელავი მოქსოვილ-შეკერილები, მცირეოდენ ფულად თანხასთან ერთად საჩუქრად მოუტანა ანასტასიას. ოჯახს მოგეკიდეთ, ბინაც შევიძინეთო, სამსახურებიც გვაქვსო და რაც მთავარია, ავადობას აღარ კი შევუწუხებივარ, მგონი სრულადაც გადამავიწყდაო, ყვებოდა ბედნიერებისგან თვითკმაყოფილება დაუფლებული, მოსუქებული ახალგაზრდა მამაკაცი. მის თვალებში სასიხარულოდ კრთოდა მოციმციმე ვარსკვლავები, სახეგადაბადრულს გული პეტერბურგში დარჩენილ ორსულ ცოლთან მიუწევდა.

რატომაც არა, ფიქრობდა გიორგი, მე უფრო მყავს ბებია-პაპის მხრიდან პეტერბურგში სანათესაო, მოგვარეებიც, მართალია არ ვიცნობ, მაგრამ ხომ უნდა გავიცნო? კიდევ ერთი მიზეზი აქედან აბარგებისა. პეტერბურგში ჩავალ, იქ მოვიწყობ ხელს, მერე ჩამოვალ და აქაურობას გავყიდი. მართალია სახლი დიდად კირქვით ნაშენი არაა, ხისაა, მაგრამ ეზო და ბაღი კარგ ფასად გაიყიდება, აქეთ-იქიდან სულ სამშენებლო გუგუნის მოისმის, ზოგან კორპუსს დგამენ და ზოგან კერძო სახლებს აშენებენ, ყველგან თავაუღლებელი მშენებლობებია გაჩაღებული. ადგილი ძვირად ფასობსო, ფიქრობდა და სამომავლო გეგმებს ოცნებებში ალაგებდა.

იქნებ მართლა გამგზავრება სჯობს? დეიდასაც წავიყვანდი, თორემ აქ მისი უმწეობით გული მეკუმშება, ხალხიც გამუდმებით გვსტუმრობს, ან ვინ არიან, რა უნდათ? ნაცნობებიც ხომ მიდი-მოდიან, მაგრამ ისეთი ცხრა უცხო მოგვადგება ხოლმე, საიდან რა გაიგესო, გაოცებული ვფიქრობ, საქრთველოს კუთხე აღარ დარჩა ადამიანი არა გვსტუმრობს, სომხეთიდან ხომ საერთოდ, თითქმის ყოველ კვირა დელეგაციური ვიზიტით მოდიან, არც რუსეთიდან ვავიწყდებით ხალხს. არადა რას იტყვიან ისინი ჩემზე?..

შუაგულ ბაღში ტყემლის ხის იმედად ჰყავს დეიდაო, თოვლჭყაპია თუ წვიმა-თქეში თავზე დაუდისო, ღამის ქოთანია და ახალს არ იკარებს, ძველისძველ, პირდაბასრულ ქოთანზე ზის მთელი დღედაღამ, მისი პირები კანს უჭრიან, სისხლდენას იწვევენ, წელამდე სისხლის გუბე უდგება, მაგრამ მაინც არ ეშვება იმ ქოთანს...

ამასწინებზე ექიმი მოუყვანა, შეეშინდა სისხლის გამო. ექიმი რად მჭირდებაო, გაიკვირვა დეიდამ, თუმცა დისშვილის მზრუნველურ საქციელს აღარ შეეწინააღმდეგა, მის გულში სიხარულის ნაწერწკალი აელვარდა, რომელმაც ყველა კუთხე-კუნჭული სასოებით გაუნათა. ექიმმა დიდხანს სინჯა, ფონედოსკოპით ხან ფილტვებზე მოუსმინა, ხან გულზე, მერე ტუჩები გაოცებისგან მოპრუწა, განცვიფრებულმა ხელები მაჯიანად აქეთ-იქით მიმოაბრუნა, და იკითხა, არასდროს არაფერს შეუწუხებინართ? ანასტასიამ უარის ნიშნად თავი გაუქნია, არც გაცივებს?.. არც სიცხეს?.. არც ხველებს ან ცემინებს?.. ასეთი ჯანსაღი ჯანი ჩემს პრაქტიკაში ჯერ არ შემხვედრია—გაიოცა და მექანიკურად ხელი შევერცხლილ თმაზე გადაისვა. ჭრილობებს დავამუშავებ, სესფისი არ განვითარდეს, ჟანგიანი პირი აქვს ქოთანს—ითხოვა ექიმმა, თუმცა ანასტასია წინააღმდეგი წავიდა, არანაირი ჭრილობის დამუშავება, არანაირი დახმარება არ მინდაო.

ასე იყო თუ ისე, გაოგნებული ექიმი ტყემლის გადახრილ ხეს უმზერდა საეჭვო თვალთ, იქნება მისი ნაყოფი უხდება უკვდავების წამლადო, მიზეზებს ეძებდა მჯდომარე ქალის სიჯანსაღის ელექსირის ამოსაცნობად. თუმცა ამოდ.

ერიდებოდა ექიმისაც ახალგაზრდა მამაკაცს, როდესაც ფულს იქით უტოვებდა, ჩემს სახელზე ერთი ღამის ქოთანი უყიდეთო. არას დიდებით არ გამოართვა გიორგიმ, ახალი ქოთანი გამოურბენინა სახლიდან მტკიცებულების გასამყარებლად, აგერ ბატონო ექიმო, სულ ახალთახალი ვუყიდე და ახლოსაც არ იკარებსო.

—ბიჭო, დეიდაშენი სახლში შეიყვანე, და იქ მიიღოს სტუმრები — დაარიგა ჭკუა ძმაცაცმა, სტუმრობისას, ერთხელ, დრისით, მზისით.

—არ მომყვება სახლში!

—რატომ?

—აქ ურჩევნია!

—მაშინ სახლში დიქტის ლისტები მაქვს, ფიცრებიც, მოვიტან და გადახურვა მაინც გავუკეტოთ, განა რა მასალა დასჭირდება, პატარა ფარდული გავგვეკეთებინა, თორემ ცოდოა ქალი, შენ არ გეცოდება დეიდაშენი? იმ დღეს თავსხმა რომ იყო, მე მეცოდებოდა, ალბათ სულ დაასველებდა, ქოლგა მინდოდა მომეწვდინა, მაგრამ ღამე იყო უკვე.

გიორგის მოერიდა ძმაცაცის ნათქვამის, რამდენჯერ უცდია გადახურვა, მაგრამ დეიდა ყოველთვის უარობდა, არც ქოლგას სწყალობდა

მაინცდამაინც, საშაქარლამოში გასაყიდი შაქარყინული ხომ არ გგონივარ, წვიმამ დამადნოსო.

არადა, გიორგი მეგობრებთან სირცხვილით იწვოდა, ვინ იცის ფიქრობენ არ ეპატრონებაო, დეიდა არ ეცოდებაო. საკვებიც მოაქვთ ხოლმე მალიმალ, ალბათ ფიქრობენ რომ უჭირთ და საჭმლის ფული არ აქვთო, ფიქრობდა და თავისაუნებურად ფიქრს გაუცნობიერებელი სიბრაზე ემატებოდა. არა, უნდა გავემგზავრო, იქ მაინც ვეღარ დამინებსავენ ჩემი ძმაკაცები!—გადაწვიტა გიორგიმ, ამას აღარ დავეკითხები, გაიფიქრა და თვალი შეავლო ჩაჩუმებულ, მიწაზე მზერა შეჩერებულ მჯდომარე დეიდას, რომლის გამხარ სხეულს წვრილი, გრძელი მკლავები უღონოდ ჩამოეშვა, თხელი თითებით მიწას შეხებოდა, თითქოს, ეფერებოდა ისე ფაქიზად, მსუბუქად უცაცუნებდა თითის პატარა ბალიშებს. სახეზე უკმაყოფილება დასტყობოდა, თვალეში ცრემლისმომგვრელი სევდა ჩამდგარიყო. ნეტა ხომ არ იგრძნო ჩემი ფიქრიო, ერთხანს გაიფიქრა გიორგიმ, თუმცა ამ აზრისგან შეეცადა თავი შორს დაეჭირა. ასეთი ფიქრს არაერთხელ დაუტანჯავს ბოლო დროს.

არა, აშკარად ჩემი ფიქრები ესმის, ან გრძნობს, მაგრამ არა უშავს, მთლად უკეთესი, ალბათ ახლაც ხვდება გამგზავრებას რომ ვფიქრობ და მდუმარედ მეთანხმება, ვინ იცის, იქნებ უხარია კიდევ? —გაიფიქრა და ეზოდან გადავიდა, ძმაკაცისაგან რჩევა სურდა აელო, ელმავალმშენებელი ქარხნის თანამშრომელი იყო და იქნებ რაიმე სასიკეთო მირჩიოსო. ურჩია კიდევ, სამტონიანი კონტეინერი ათხოვა, შიგ ავეჯიც ჩაგეტევა, ბარგიცა და ბარხანაცო. ასე სამტონიანი კონტეინერით მიადგა რამდენიმე დღის შემდეგ დეიდას დისშვილი. ავეჯი ბევრი არაფერი გააჩნდათ, მაგრამ რაც იყო, დედისეულ-მამისეული დანატოვარი, არ ემეტებოდა დასაკარგად. მის ბავშვობისას ახსოვდა კიდევ უამრავი წიგნებით სამსე თაროები, კედლებს გასწვრივად გასდევდა. ახლა რამდენიმე წიგნის მეტი აღარ მოეპოვებოდათ. აღარც კარადის თაროები. დაუდო რაც დასადები იყო კონტეინერში, ეზოში ნივთების ზიდვით მოფუსფუსე ჩუმიად გააპარებდა ხოლმე მზერას მომლოცველი დეიდისკენ, რომელიც თითქოსდა ვერ ამჩნევდა თუ ვერ ხვდებოდა გიორგის ჩანაფიქრს. მორჩა თუ არა კონტეინერის დატვირთვას, ახლა ჯერი დეიდაზე მიუდგა. მასთან ახლოს მისულმა მოკრძალებული ღიმილით დაუყვავა:

—ნუ, ახლა შენ უნდა მოგათავსო, რამენაირად, შენ არ შეგეშინდეს, ისე აგიყვან ხელში, არაფერს გატკენ, გზაშიც ისე გამგზავრებ არაფერი შეგაწუხებს.

ამის გამგონე ანასტასიამ მუდარით სამსე თვალეები შეანათა გიორგის, ერთხანს ასე უმზირა, მის თვალეებში მთელი მისი წარსულის ნაკველევი მოჩანდა, მის თითოეულ ნაოჭს დიდი განცდა და ემოცია ახლდა თან. გიორგის ვერ გაეგო, დეიდას უხაროდა თუ სწყინდა დისშვილის გადაწყვეტილების, ამიტომ დიდი გულისფანცქალთ ელოდა მისგან რაიმეს თქმას, თუმც, როგორც ატყობდა, დეიდა სათქმელს აყოვნებდა, დუმილს

უფრო ისეთი მშვენებით შეემოსა მისი ფიზიკური მდგომარეობა, ბგერითი ხმოვანება საჭიროდ აღარც მიაჩნდა.

–ჩვენ პეტერბურგში უნდა გავემგზავროთ, აბა, როგორ აგწიო, მითხარი, –ხელები მოჰკიდა ასაყვანად გიორგიმ. ანასტასიამ დისშვილის ხელებისგან გაინთავისუფლა თავი, მერე უარის ნიშნად გაუქნია სევდიანი სახე, თვალებში მორცხვი ვარსკვლავები აუკიაფდნენ.

–ვერ გავიგე, ხომ უნდა გაგიყვანო, ხელს რატომ მაშვებინებ?

ანასტასია დუმდა, სათქმელს აყოვნებდა. გიორგი უღონოდ ჩამოჯდა მის სიახლოვეს მდგარ კუნძზე. სუსტი სიო ანცობდა ბაღში, თმებთან თამაშით გართულიყო. იცოდა დაელაპარაკებოდა, მოცდა იყო საჭირო, იქნებ აზრთან შესაგუებლად დრო სჭირდება, ანდაც ადგილის გამოსამშვიდობებლად ლოცულობს გულში, –ფიქრობდა და გულს ფესვებმოდირკული ბოღმა ეშვებოდა, თავისუფლდებოდა იმ გაუცნობიერებელი აზრისგან, რომელიც შესაძლო უარყოფითი პასუხის შემთხვევაში უნდა აღმოცენებულიყო. კუნძზე ჩამოჯდამდე გულში სიავე და ბოღმა უტრიალებდა, მძაფრი ქარტყილები აპირებდნენ ხასიათობრივ გამოვლენას, დარწმუნებული იყო რომ აზრს ვერაფერ და ვერაფერი გადააფიქრებინებდა, არ არსებობდა წინაღობა, რომელიც შეაკავებდა მის პეტერბურგში გამგზავრებას. მოსისინე გველების ღობე რომ გაველოთ, მაინც გაარღვევდა და თავისას გაიტანდა. ასე იჯდა გარკვეულ ხანს, იცოდა დღეს თუ დაულამდებოდა, გამგზავრებას ხვალსთვის გადადებდა, მაგრამ მაინც არ გადაუხვევდა სასურველ აზრს, რომლის სიმყარეს მტკიცედ იცავდა.

ჰორიზონტისკენ გადაწვერილი თბილისის მზე ჩასასვლელად ემზადებოდა. ცოტაც და მოღამდებოდა უიმისოდ. დეიდის პასუხის მოლოდინში გიორგის სიბრაზე გაქრობოდა, ხასიათში დამკვიდრებული ფიცხი სიჯიუტე სადღაც გამქალიყო. იჯდა მშვიდად და მიწაზე მცოცავ ლოკოკინას ჩასცქეროდა, რომელსაც საცხოვრებელი ნიჟარა ზურგზე საგულდაგულოდ წამოეკიდა და ნელი მოძრაობით ერთი ადგილიდან მეორისაკენ მიიზღაზნებოდა. თავზე წამოწეულ ორ, პაწაწინა ანტენას სველი ბრჭყვიელება გაუდიოდა. მის ნელ, მშვიდ მოძრაობას დამკვირვებელ გიორგის თვალში სიმშვიდე შეეტანა. სიმშვიდე, გაღამდები ხასიათობრივი განწყობილებაა, რომელიც მნიშვნელოვნად შეიცავს ბედნიერების ელემენტებს.

ასე იჯდა დამშვიდებული, შინაგანად ნათელჩამდგარი ხასიათით, თითქოს რაღაც უხაროდა კიდევ, მაგრამ რა, ამას კარგად ვერ აცნობიერებდა. ლოკოკინამ იცოცა, იცოცა და იმდენი ქნა სახლის კედელს მიადგა, ზურგზე ბინაწამოკიდებულმა ზედ იწყო აცოცება.

მჯომარე ნასტასიას ეზო-ბაღში სასიამოვნოდ გამჯდარიყო სინჟმე, ყურს სიამოვნებდა და გულს მალამოდ ედებოდა. გიორგი ისე გართულიყო მოფუსფუსე ლოკოკინის მხერით მომენტალურად

გადავიწყებოდა თავის მიერ აბოხოქრებული უწინდებური აზრი. ფიქრიდან დეიდის მშვიდმა დაძახებამ გამოარკვია: –გიორგი!

გიორგიმ მიხედა დეიდას, რომელსაც ისეთი სიმშვიდე ეფინა სახის თითოეულ ნაკეთზე, თითქოს არამიწიერი ჰარმონიულობა მიწიერ ხილვადობას განეზავებინა. იჯდა მოწიწებით, ისეთი კრძალვა დადსებოდა მის სახესა და სხეულს, რომ თვალდახუჭული სულიერიც კი მოიხიბლებოდა:

–რაო ლოკოკინამ, ბევრი იცოცა, იწვალა და ისევ სახლის კედელზე მოიყარა მუხლი? მანდ უნდა ბინის დადებაც და გამოძინებაც?

–მე რავი! –აიჩეჩა მხრები არცოდნის გამო.

–ჰო, არადა, რამდენი იწვალა, შორს სურდა გამგზავრება, წინა ფანჯრიდან დაიწყო მოგზაურობა, იქიდან ჯერ მე მომიარა, მერე ბაღს წრე დაარტყა, დიდი მანძილი გაიარა, იმგზავრა, ბოლოს გადაღლილ-გადაქანული ისევ ამ პატარა, მოძველებული სახლის კედელს ეახლა საბოლოო სამყოფელისთვის. –ანასტასიამ მცირედხნიანი პაუზის შემდეგ განაგრძო:

–ასეა, სადაც არ უნდა წახვიდე შენს მშობლიურ გარემოს ვერცერთ შემთხვევაზე ვერ გაცვლი. გეტკბილება ის ადგილი, სადაც დაიბადე, გაიზარდე, ფეხი აიდგი. გიყვარს შენდაუნებურად. ადგილიც ასეა, ამდენი ცქერით გგრძნობს, ემშობლიურები და მასაც უყვარდები. ამ სახლში დავიბადე მეც და ჩემი დებიც, ვერა და ანნა. გუშინდელი დღესაგით მახსოვს მათი ბავშვობა. ჩემზე უმცროსები იყვნენ... ასე მგონია, მათი ხსოვნა ამ სახლის მიღმა აღარ მექნება. მეც და ჩემს დებსაც უსათნოესი დედა და ოჯახზე მზრუნველი, მოსიყვარულე მამა გვყავდა. აი, ეს სახლი მისი აშენებულია, ეს ხეები –თქვა და ხელით მიანიშნა თითოეულ მათგანზე– დედაჩემის დარგულებია. წარმომიდგენია, ერთ დროს ნამცეცა წკირებივით ნერგები, ახლა ბუმბერაზ ხეებად გადაქცეულა. დროც ასეა, როდესაც ასაკი გემატება, ხვდები, რომ თანდათანობით ძლიერდება ისიც, თანაც ჩვენზე გაცილებით უფროსი და მრავლის მნახელია. აი, ამ ადგილებზე დააბიჯებდნენ ჩემი მშობლები, მათი ნაკვალევი მიყვარს, მიყვარს და რა ვქნა. ამ ადგილას შევიცანი ჩემი თავი, ამ მიწის თითოეულმა გოჯმა უამრავი ბედნიერება და სიმწარე მანახა. ყველაფერი ჩემია, არ შემძლია დავიწყება, მესიყვარულება ეს ადგილი, და ვგრძნობ, მასაც ძლიერ ვუყვარვარ.

გიორგის ახლად გაახსენდა გამგზავრებით შესახებ აღტკინებული ფიქრები და ოცნებები. თუმცა იმდენად მშვიდად გრძნობდა თავს, რომ აყალმაყალის ატეხვის თავი კია არა, ხვეწნა–მუდარაც კი არ შეეძლო. მარტო კითხვა მოახერხა.

–განა პეტერბურგი არ გიყვარს? იქიდან არ იყვნენ შენი მშობლები?

–მიყვარს, როგორც არა, მიყვარს. თბილისის თბილი მიწა, თბილი ცა, თბილი მზე და მთვარეც მიყვარს. აი, აქ დავიბადე და სამშობლო ამ ადგილების თვალთახედვით იწყება. აქ ჩემი ცხოვრებაა, ჩემი სუნთქვა. მე თბილისიდან ფეხს ვერ მოვიცვლი.

–იქ უფრო უკეთესად ვიქნებით.

–სულ რომ ოქროს ზოდებს შემპირდე, აი, ჩემი ოქროს ზოდი–ანასტასიამ ნაზი, თხელი თითებით მიწა მოთხარა და ხელის გულზე მოიქცია. მეორე ხელის თითებით მსუბუქად ეალერსებოდა .

–გახსოვს ნათელა და თემო? რაც აქედან წავიდნენ, უკეთესდ არიან, თემომ ცოლიც მოიყვანა, აქ რომ იყო, პეტერბურგში დატოვილი ცოლი უკვე ორსულად ჰყავდა.

–მე ნათელა კი არა, ანასტასია ვარ. არც შენა ხარ თემო, გიორგი ხარ დაბადებიდან. ახლა გინდა შეიცვალო? შენც გეყოლება ცოლიც, შვილებიც... მაგისტრის აქაურობის მიტოვება საჭირო არაა. ჩიტი რომ ჩიტია, სულ პატარაა, და შესაბამისად ნამცეცისოდენა გული უცემს მკერდში, მასაც თავისი მშობლიური ადგილი უყვარს, იმ ნამცეცა გულში ყველას სიყვარულისთვის რჩება ადგილი, სამშობლოსას კი ყველაზე დიდი ალაგი უკავია. ადამიანის გულს ნამცეცას ხომ ვერ დაუძახებ, იმოტონაა, მთელი სამყაროების სიყვარული ჩაეტევა შიგ. თანაც გული უზომოდ წელვადია. რაც მეტი გიყვარს, მით მეტად დიდდება და რაც მეტად ძუნწობ სიყვარულისას, მით მეტად პატარავდება, თანაც იმდენად შეუძლია დაპატარავდეს, რომ სულაც გაქრეს მკერდიდან.

–ჰმ, –ჩაიციან სასხვათაშორისოდ და სახლის კედელზე ნიჟარაში დასაძინებლად გაყუჩებულ ლოკოკინაზე გადაიტანა ფიქრი.

–ჰო, რაზე გეცინება, უგულო ადამიანის არსებობის შესახებ არ გაგიგია შენ?

–ადამიანს თუ თავისი ადგილი არ ეყვარება, ის, რომელზედაც ფეხი აიდგა, ენა აიდგა, სიყვარული ასწავლეს, სხვას ვის ან რას შეიყვარებს? ასეთ ადამიანს მკერდში გული აქვს გამქრალი.

უკვე კარგად ჩამოლამებულიყო, კარგ ხასიათზე დამდგარ გიორგის ტკბილი ძილის რული ეპარებოდა. დაცარიელებულ სახლში შევიდა და კუთხეში ობოლი ბავშვივით მიგდებულ ძველისძველ საწოლზე წამოწვა.

დილაადრიან, ადრე ამდგარი უკვე ხასიათობრივად სხვა ტალღაზე დამდგარიყო. დეიდასთან უკმაყოფილოდ გამოვიდა, საყვედურებით უწყო ავსება, შენ გამო ვერ მივდივარ აქედან, განა ასე ძნელია ჩემი გულობისთვის ჩემ ნებას დაყოლიებაო?

ანასტასია იჯდა ჩვეული მშვიდი სახის გამომეტყველებით, გრძნობდა დისშვილის მძაფრ რეაქციას მისი სურვილის საწინააღმდეგო მხარის

გადგომის შემდეგ. გიორგი აფორიაქებული მოსთქვამდა საყვედურებს, წუხილსა თუ გულისტკიველს. თუმცა ეს უკნასკნელი იმასაც საუკეთესოდ ხედებოდა, რომ დეიდას გამგზავრებაზე ვერასდიდებით დაიყოლიებდა. ანასტასიას არასდროს უყვარდა კამათში ჩამბა, პოლემიკა მისთვის არ არსებობდა, მშვიდად იცოდა რაიმეს ახსნა-განმარტება, მაგრამ თუ ადრესატს მისი ნათქვამი ყურს გაუგონრად ხედებოდა, დუმილს ირჩევდა. თუმცა ბოლო დროინდელმა მოვლენებმა, უამრავი აკარგანობის შემხედვარემ, იძულებული გახდა ხანდახან ხმა ამოეღო და ბოლო ნოტაზე ამღებელი ხმით ეყვირა. ზოგს ეზომიც კი აღარ უშვებდა, ზღურბლზე ფეხგადმობიჯებულზე უწყებდაყვირილს, განსაკუთრებულად განიცდიდა, როდებაც ადამიანები მის მდგომარეობას სამარჩიელო, ანდაც სამკითხავო მდგომარეობისთვის იყენებდნენ. შორიდანვე სცნობდა ასეთებს. ახლოს არ იკარებდა, არც მათ მოტანილ ძღვენსა თუ ვაშლებს იტოვებდა. თუ რომელიმე გაუძალიანდებოდა, ხელს აუკრავდა და მოტანილს იქვე გადაუყრიდა. ადამიანი მხოლოდ იმას ცდილობს გაგაკეთებინოს, რაც მას სურს. სხვისთვის კვერის დამკვრელად არ გავუჩინივარ ზეციერს, მე თავისუფლება მარგუნეს, და სხვას ვერ დავემონები, იმისთვის, რომ ის არ შემომწყყრეს, მე სამკითხავო არენის მარჩიელი არასდროს ვყოფილვარ. მკითხავობა ჩემთვის ცოდვაა, მე მხოლოდ ადამიანებისთვის უფალის შესახებ ვქადაგებ, მათი გასაჭირისთვის ვლოცულობ, მათი ავადობის გამო ვწუხვარ...

არადა ზოგს რა მოუვლის ბაშკაში და ზოგსაც რა, ვიდაცას ვიდაცის გულის მონადირება სურს და ამისთვის ჯადოქარს ეძებს ჯადოს გასაკეთებლად, ასეთი ადამიანი ფიქრის გამოც კი დაისჯება, იმდენს სხვას არ სწევს, რამდენსაც თავის თავს. არადა, გაგებაც არ სურს, არც გისმენს იმდენადაა აღტკინებული საკუთარი ნაფიქრალით. არა, ასეთებს ახლოს ვერ გავიკარებ, რაც სხვისთვის გემეტება შენთვის იქნება, სიკეთეს გაიმეტებ და კეთილად აგიხდება, ბოროტებას უსურვებ და მძვინვარე ბოროტი ძალები შენთვის მოიცლიან.“ ფიქრობდა ანასტასია და ხანდახან თავის ნაფიქრს უზიარებდა ყოველდღე მასთან მოსულებს. ისინი მის გვერდით იყვნენ, მათ იგრძნეს მჯდომარე ქალის უზადოდ კეთილშობილური ძლიერება, ისინიც გრძნობდნენ ანასტასიას შინაგან განწყობილებას, მას არაერთხელ უგრძნია მათი ფიქრების, შინაგანი განწყობისა და ბუნების შესახებ. ზოგი განსაკუთრებულად უყვარდა, მათთან პურის გატეხვაც უხარდა, მიუხედავად იმისა რომ ჭამის მოყვარული არასდროს ყოფილა, მაინც ნაძალადევადა გადაყლაპავდა მათი ხელიდან მიწვდენილ ლუკმას. ზოგს იმდენად შეჩვეოდა, რომ ანასტასიასთან მოუსვლელობის შემთხვევაში საკვებს აღარ ეკარებოდა. მონატრებულზე მათთვის ლოცულობდა. ფიქრებში გართულ ანასტასიას გაავებული დისშვილის ხმა ჩაესმა ყურთ.

–რას ამბობს ხალხი, თუ იცი? ჩემზე ამბობენ ზარმაზი ზღუქი და ტლუ დისშვილი ჰყავსო, თუ არ ამბობენ, მომავალში მაინც ხომ იყვიან?.. მე ცოლო არა ვარ?.. ძმაკაცი აქ ვერ მომიყვანია სირცხვილით, ამას წინათაც

მეუბნებოდა ილო, ჩემი სკოლელი რომ იყო, ის, დიქტები და ფიცრები უნდა გაჩუქო და მოგეხმარები, გადახურვა გავუკეთოთ, თორემ წვიმა-თოვლში რომ ზის გული მეწვებაო. არა, მე არა მცხვენია, თუ სირცხვილ და ნამუსგაწმენდილი გგონივარ!

პატარა ბავშვის გამომეტყველება მიეღო დეიდას ახალგაზრდა დისშვილის ნაქოთქოთარის გამო. თვალეში მოწოლილ ცრემლებს ძლივს იკავებდა. გიორგიმ სახლიდან გამოარბენინა სახელოსნო იარაღები, მერე ფიცრებიც გააჩინა უმაღლე საიდანღაც. ანასტასიას თავზე ხელით მოზომა და წინასწარ გათვლილი სიმაღლით გადახურვის ხელობას შეუდგა: –ხმა არ გამცე, ორი ვარიანტი გაქვს, ან ჩემთან ერთად წამოხვალ პეტერბურგში, ანდაც გადახურვას ვაკეთებ, და შიგ იქნები,

დასჯილი ბავშვის თვალებით ადევნებდა თვალს გიორგის, მის სწრაფ მიხვრა-მოხვრას, ორი ხის მეტრიანი ბოძები უკვე ჩაერჭო მიწაში, ახლა მის თავზე გადახურვას ამზადებდა სახელდახელოდ, ფიცრებს აზომებდა, სიგრძეს ხერხით ასწორებდა. თვალში არ მოუვიდა გვერდულად გადაგრეხილი ტყვემლის ტოტი, რომელიც მჯდომარე ნასტასიას ევლებოდა თავზე, ჩამუხლვის დღიდან მის თმებზე ყვავილობდა, და მის თმებზე მწიფობდა. გაზაფხულის პირს შორიდან შემხედვარეს, თეთრად აფეთქებული ტოტი, ისე რკალურად შემოევლებიდა ხოლმე ქალის თმასა და მხრებს, საქორწინო პატარძალი გეგონებოდათ. გიორგიმ ხელით მოსინჯა ტყვემლის ტოტი, რომელიც დიდად თვალში არ მოუვიდა, მოხერხვა გადაწვიტა, ხელით შავტარიანი ხერხი მოუმარჯვა, და ის იყო სახერხად გაამზადა მარჯვენა, რომ ანასტასას მუდართ სავსე ხმა ჩაესმა:

–ნუ გიორგი, ნუ მომაჭრი თითებს... თანახმა ვარ ყველანაირ ტანჯვაზე, ოღონდ მაგას ნუ მომიჭრი, მან მუხლსზევით სხეული ვერხვივით გაჭიმა, ცრემლიანი თვალეებით გიორგის მიაჩერდა, რომელიც კიდევ ერთხელ დარწმუნდა მისი ხმის კეთილხმოვანებაში, ხანდახან ელანდობოდა რომ დეიდის ხმას განსაკუთრებული უღერადობა ჰქონდა, რომელიც სასიამოვნოდ განაწყობდა ადამიანის გონებას. ღვთაებრივობა იგრძნობოდა ხმის თბილ ტემბრში, გულს სიამოვნებდა და მტკივნეულ ადგილებზე იარის მოსაშუშებელ სწრაფ მომქმედ მაღამოდ ეფინებოდა. ახლაც იგრძნო იგივე, ტყვემლის ტოტს ხელი უშვა, მცირედხანს ადგილზე გაირინდა, გულზე მოციმციმე სითბო, რომელიც დეიდის ხმას ტკბილად გამოეწვია, გაუყუჩდა. ასე იდგა ერთხანს, მერე ისევ გადახურვას მიუბრუნდა ფიცარი დაიიღლიავა და წინდაწინ მიწაში დასობილ ბოძებზე დაღურსმვა იწყო. ფიცრების სიგრძე-სიგანე მჯდომარე დეიდას კი ეყოფაო, გაიფიქრა, და ისევ ტყვემლის ტოტი მოზომა თვალით, რომელსაც ურჩად დაედუნა ტოტის წვერო და გადახურულ ფიცრულს უკანა მხრიდან მოდგომოდა, ცოტაც და ისეც უწინდებურად დაუღუნევდა თავს დეიდა მას, ისიც მის ქუდიან თავს შემოევლებოდა ძველებურად. არა, ეს ტოტი რაღას გადამეკიდა, ესეც მე მეჯინიანებო, გაიფიქრა გიორგიმ და სახლში შევიდა. ფანჯრიდან კრიტიკული თვალთ აკვირდებოდა თავის სახელდახელოდ გადახურულს,

ნაუცბათევის ფონზე არაუშავდა, მაგრამ დიდად არ მოიხიბლა, უკეთესადაც შეიძლებაო.

იმ ღამეს, შესათვალთვლებლად სპეციალურად წამოდგა გიორგი. ეზოში ბნელოდა, უმთვარობის გამო, ქუჩაშიც ღამპიონი გადამწვარიყო. ხელში ფანარი მომართა და ბაღში გავიდა დეიდის სანახავად. მოქოხილიდან მუხლებით გამოჩოჩილიყო, გადახურულს ნახევარმეტრზე მაინც მოშორებოდა და ისე ლოცულობდა, ცისკენ მომზირალი პირჯვარს მალიმალ იწერდა. უკმაყოფილება დაეწერა სახეზე დისშვილს, თუმც მისი ლოცვისთვის ხელი აღარ შეუშლია, უსიტყვოდ უკანვე დაბრუნდა. მხოლოდ გათენებულზე აკვირდებოდა ისევ გადაფიცრულს, თავშესაფარი იყო ერთგვარი, უკანა გვერდიც რომ არა ჰქონდა. ახალმა აზრმა გაუელვა თავში, უკანა გვერდიც უნდა მოეფიცრა, უკეთესი იქნებოდა დეიდისთვის, თოვლიანი ამინდიც კი წარმოიდგინა, ღია მხარიდან თოვლი დაუვიდოდა და დეიდას ისეც დაასველებდა. განუწყვეტელ ფიქრში გადაუვიდა ეს აზრი. ხან რას უწუნებდა გადანახურს და ხან რას, მაგრამ ყველაზე პარადოქსად აღიქვამდა დეიდის ნამოქმედარს ის გადახურულიდან წინ წამოჩოჩებულიყო და თავსხმა წვიმიანობის დროსაც კი არ შედიოდა თავის შესაფარებლად შიგ:

–მე წვიმის არ მეშინია, ვისაც წვიმა ურჩხლურად ელანდება, დაე ის შევიდეს შიგ. მე წვიმისას უფრო მეტად ვლოცულობ, რათა ცოდვების ჩამოსარეცხვის შიში არ მაქვს. – განუმარტა გიორგის: დიშვილს რაღაცის თქმა სურდა მისთვის, მაგრამ პირზე მომდგარი სიტყვა გადაყლაპა, დაითმინა და სახლის ზღურბლს გადავიდა.

XXXI

რაიკომის პირველი მდივნის სტუმრობა პირველად არ იყო, ის სხვა დროსაც ახსოვთ ანასტასიასთან მყოფ მნახველთ. ამ ბაღის გზას არაერთხელ აღუბეჭდავს მისი ფეხის ნაკვალევი. ვაშლით სამსე დიდრონი, წნელით მოწნული კალათით შემოსულს მადლობაც კი მოუხდია ანასტასიასთვის. ეს ამბავი არც ისე დიდხნის წინანდელია. რაიკომის პირველ მდივანს ანასტასიასთვის უკითხავს, რამეს ხომ ვერ მირჩევდითო, ესეც იქიდან გამომდინარემ ჰკითხა, როდესაც საქართველს გადასახლებაზე ყურმოკვრით საუბრობდნენ დიდიან-პატარაიანად. ერთ ღამეს შესაძლოა თავს დაგვესხას წითელი არმიის სპეცდანაყოფის რაზმი და ძალის გამოყენებით მატარებელში შეგვიძახონო. სწორედ მაშინ იყო რაიკომის პირველი მდივანი ანასტასიასთან კითხვით: – რამეს ხომ ვერ მირჩევდით?

ანასტასიამ მუხლს ზევით ტანი ვერხვივით შემართა, წელში გასწორებულმა თავი კდემით გაუსწორა რეალობას, მერე დამაჯერებელი ტონით აუწყა სტუმარს: –ნუ გეშინიათ, საქართველოს გადაშენება არ

უწერია, ვერც ვერავინ გაასახლებს ქართველებს. ეს სისხლიანი მიწა ხალხისაა, ის არის ახლა და იქნება მომავალშიც. უამრავჯერ შედეგებზე უდანაშაულოთა სისხლით ეს მიწა-წყალი, უამრავჯერ შეუფარებია სხვა ქვეყნიდან დავერდომილნი, უამრავჯერ მიუბარებია ამ მიწას უმანკოთა სხეულები. ეს მიწა ძლიერია, აქაური წყალი ნაკურთხია, ეცადეთ დაკეტილი ტაძრები გააღოთ, დანგრეულის აღდგენა ხალხს მიანდოთ, წირვა-ლოცვა არ მოაკლოთ. ნუ შეზღუდავთ მლოცველის უფლებებს, ხშირი ღოცვის შემდეგ ადამიანიდან ბოროტება თავისი აზრებითურთ გაცამტვერდება, ბოროტება ბოროტი აზრებიდან ჰპოვებს დასაწყისს. არადა ბოროტს სხვა მლოცველის მიმართაც კი შიშისმიერი გრძნობა უჩნდება რაც ღვარძლიანი დაცინვის გამოსატყვით იმშვიდებს თავს. ტაძრის კარები ფართოდ გაუღეთ მლოცველთ, დარდი ნურაფრის გექნებათ.

ამ სიტყვებმა გული გაუკეთა რაიკომის პირველ მდივანს, ხანდახან გზად შემორბენას მოიმიზეზებს ხოლმე, თუმცა სპეციალურად აღებული გეზის მხილების გულში ერიდებოდა.

ანასტასიამ ახლაც შეათვალიერა თბილი მზერით, იცოდა ჩამოსაჯდომად არ დაუჯდებოდა, უდროობას მოიმიზეზებდა, დილით უთენიაზე იცოდა შემორბენა.

–რამეს ხომ ვერ მირჩევდით?–გაუმეორა კითხვა მამაკცმა.

–წელს დიდი წვიმა იქნება, მტკვრის მარჯვენა და მარცხენა მხარეს ჯებირები გაამაგრეთ, თორემ მტკვარი თუ გაავდა, მტრისას.

მამაკცმა დამშვიდობება ქალბატონის ხელზე ამბორით იცოდა, ავტომობილისკენ მიმავალს ზურგის ქარი უფრიალებდა შავ ლაბადას.

იმ წელს მართლაც წყალდიდობამ გააოცა საუბრის მოწმენი. ყველას კარგად ახსოვდა მჯდომარე ანასტასიას და რაიკომის მდივნის ნაუბარი წყალდიდობასთან დაკავშირებით, ჯებირებიც შეცვალეს იმ წელს საჩქაროდ. წვიმის დროს მტკვარი ისე ადიდდა ჯებირებთან გადმოსვლა იწყო და გზებზე ნიაღვარივით მოთქარუნობდა, სარდაფები დატბორა, შენობებიც დააზიანა, მაგრამ ადამიანთა მსხვერპლი არ მოჰყოლია. ზოოპარკიდან მაიმუნები გაიქცნენ, ერთ-ერთი მაიმუნი გლდანის დასახლებაში რომელიღაც კორპუსის სახუავიდან ჩასულა აივანზე და ლოჯიაში დივანზე წამოკოტრიალებულ, ფეხბურთის ყუებით გართულ მამაკაცს აივანიდან მაიმუნის ფხაკა-ფხუკი აინუნშიც არ მოცვლია, მაგრამ როდესაც იმავე მაიმუნმა ცხვირწინ ჩაურბინა და კედელზე დამაგრებულ სარკეში პრანჭვა დაიწყო, მამაკაცის მეუღლის სავარცხელი თავზე გადაისვა, მერე მის ტუნსაცხს გაუსინჯა გემო, საიდანღაც მძივი ჩამოხსნა და გულისპირი დაიმშვენა, აი, მაშინ კი გაოგნდა მამაკაცი, ვერა გაიგო ლუდის ბრალი იყო ყოველივე თუ მოღანდების. ეს არსება მაიმუნი იყო თუ ცოლი ელანდებოდა მაიმუნად. შეშინებული გაგარდა აივანზე და კარი გარედან გადაირაზა:

–მეზობლებო, მიშველეთ! –საშველად იხმობდა ხან რომელ აიენისკენ ხელებგაწვერილი და ხანაც რომლისკენ. ეს ამბავი კი ასე დასრულდა, მილიციის მიერ დაჭერილი მაიმუნი ჩიკო კვლავაც გაიქცა, მერე მისი კვალი დაიკარგა, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ჩიკომ თვითონ, სამართალდამცველებისგან დამოუკიდებლად მიაგნო ზოოპარკის ტერიატორიას, მის წინ მდებარე კაფეში შევიდა და ხაჭაპურის ჭამით გართულ ქალბატონს მოუჯდა გვერდით. მთელი კაფე წიოკით დაიცალა დიდი ზომის მაიმუნის გამო. საცოდავი ჩიკო, ხანერთ მაგიდასთან ჩამოსკუპდებოდა და ადამიანების დანატოვარი საკვებით ინუგეშებდა თავს და ხანაც დიდი ვიტრინიდან გამვლევების ცქერით. მასთან ურთიერთობა და სიცილი მხოლოდ გალიაში მჯდომარესთან სურდა ხალხს. ერთი ნაჭერი ხაჭაპურისა და გამდნარი ნაყინის მირთმევა მოასწრო დაჭერამდე. გალიაში გამომწვევდუღს კი ხაჭაპურიც დაენატრა და ნაყინიც. ეს ზედმეტად აუხდენელი ოცნება იყო მისთვის.

XXXII

გიორგის მიერ გაბრაზებულ გულზე სახელდახელოდ გადახურულს დიდად ვერ ეგუებოდა ანასტასია. წინ წამოწეული ისევ ღია ცის ქვეშ იჯდა წვიმაში, თოვლშიც და თაკარა მზის მცხუნვარებისას: – ბუნებასთან საურთიერთობოდ მისი ნალექიანი თუ უნალექო ხასიათის გაგება უნდა შეგეძლოს, ბუნება ყველაზე ძლიერი და უღალატო მეგობარია უდიდებულესობათა შორის. მისგან მხოლოდ სიძლიერეს თუ ისწავლი, სუსტებს მასთან სამეგობროდ ფეხი არ ჩასდით.

არაერთხელ უთქვამს ანასტასიას თავის დისშვილისთვის, თუმცა მას ამის გაგება არ სურდა. ის მაინც თავის ფიქრებს მიაჭენებდა ფაფარაშლილი ცხენით. დაკვირვებით შეავლო თვალი სახლის კედლისა და მოქოხილ, მოფიცრულ ტუალეტს შორის მდებარე ადგილს. თვალში მოუვიდა, გონებაში გაივლო კიდევ პატარა ფარდულის აგება, ახლა კარგად დაფიქრდებოდა, წინასწარ ნახაზსაც შეადგენდა, ნელა-ნელა და ხარისხიანად ააგებდა ფარდულს, დაახლოებით მეტრა და 20სანტიმეტრამდე იქნებოდა. თანაც ჭიშკართან ახლოს ააგებდა და მნახველებსაც უფრო მოხერხებულად მიიღებდა დეიდა, იმ მოქოხილში უფრო იოლად დაბანდნენ ქალებიც, რომელთაც განსაკუთრებული წყურვილი ამოძრავებდათ ანასტასიას მზრუნველობაში მონაწილეობის მიასაღებად. ახლა სახელდახელოდ მიფუჩქებელი აღარ გამოუვიდოდა უწინდებური გადახურვისამებრ.

უკან მიბრუნდა, ჩაფიქრებული აუყვა რიყის ქვით მოვარაყებულ ვიწრო გზას, ხელები წელზე შემოეწყო და დაკვირვებული ზომა-წონიდა საკუთარ აზრს გონებაში. დეიდას შეავლო თვალი, პირმომდიმარი იჯდა ყვავილებით გარშემორტყმულ მიწაზე. რომელიღაც მნახველს მისთვის მინდურის

ყვაილები უხვად ებოძებინა საჩუქრად. მინდვრის სურნელს მძაფრად აფრქვევდა სუსტი სიო ეზოში. ეტყობა ველური მინდვრის ეს სურნელი ენაცნობება, ანდაც რაიმე მოგონებებს აღუძრავსო ტკბილად, იმიტომაც გარინდებოდა ერთ წერტილში მზერას, სახე მშვიდად მომწუსხველი, თბილი ღიმილდაფენილი. ასეთი ღიმილი უყვარდა დეიდის გარეგნობაში გიორგის. ახლა შეეცადა უცხოს თვალთ შეეხედა მისთვის: ზედმეტად გამხდარი. თხელი აღნაგობის, მუხლზე მჯდომარე, მოყავისფრო კაბა გადაფარებოდა მის მუხლებს, ტერფებს, რომელიც ერთთავად მიწას ეხებოდა უკვე დეიდის მთელი სიცოცხლის მანძილზე, თუ არ ჩავთვლით 19 წელს, მაგრამ ის 19 წელი გიორგის არ ახსოვდა, ის მხოლოდ თავისი პატარაობიდან იხსენებდა დეიდის არსებობას, როდესაც დედამ, ვერამ ის ბაქოდან ჩამოიყვანა ხუთი წლის ასაკში, სახლში დაბრუნდნენ. აი მაშინდელ გაცნობილი დეიდა ჩარჩა გონებაში, ლამაზი, ვერხვივით ტანშემართული, მჯდომარე, ერთხანს ხეს ადარებდა დეიდას, ეგონა მასავით მიწაში გართხმული ფესვები ექნებოდა, მასავით ყვაილობდა გაზაფხულობით, რადგან თავზე რკალურად შემოვებული ტყემლის ტოტი ყვაილობდა მის გრძელ, წელს ქვევით ჩამოწვერილ, დაწნულ თმაში, შემოდგომით მწოფობა ემართებოდა რადგან მომრგვალო ტყემლის ბურთულები ჩამოეკონწიალებოდა ტოტზე, გვიან შემდგომისას ფოთლებშეფერადებული იჯდა, ნარინჯისფერ-მოყვითალო ფერში აუჭრელდებოდა ხოლმე თმა, ზამთარში ხესავით გადათეთრდებოდა თოვლისგან, ხესავით ფოთლებშემოცარული იჯდა, მაგრამ გაზაფხულის დადადგომისას იმედიანად იმზირებოდა.

დრომ თავისი ქნა, სიბერე ყველას უქადის დანაოჭებას, წელში მოტეხვას, თმის გაჭაღარავეებას, კანის ფერშეცვლას... ახლა, განსხვავებით უწინ წლებისგან, დეიდის შემყურეს უმწეო ადამიანის შთაბეჭდილება აღებეჭდა შინაგანად, უფრო დაპატარავებული, ერთი ნამცეცა მოჩანდა ეზოდან ბაღში მუხლდაყუდებული დეიდა. ძველმანებში შემოკონკილს სუსტი მხრები თვალშისაცემად მოუჩანდა, თხელ, დანაოჭებულკანიან ხელებს ფაქიზი მოძრაობა უწინდებური შემორჩენოდა, ხშირად იცოდა სიფრიფანა თითებით მიწის მოგროვება, მერე ხელის გულზე მოიქცევედა, აკურნუსებულ ცხვირთან მიტანილს თვალდახუჭული, გრძნობით დასუნავდა, შეიგრძნობდა მიწის სურნელს, მერე ისევ უკან აბრუნებდა და თითებს უსვამდა ნაზად, თითქოს ეფერებოდა შავი მიწის თითოეულ ნაფხვენს. სიბერეში ადამიანის ძელები 9სანტიმეტრით პატარავდებო, ერთხელ სატელევიზიო გადაცემაში ყურმოკრული კარგად დამახსოვრებოდა გიორგის. ალბათ დეიდაჩემიც დასუსტდა, დაპატარავდა, თორემ უწინ უფრო გრძელი მოჩანდა აქედან, ახლა ერთი მუშტის ხელაღაა, ანდაც ცოტა მეტო, გაიფიქრა გიორგიმ, და წელზე შემოწვობილი ხელები ჩამოუშვა. მეტი დამაჯერებლობისთვის ხელის მტევანი მომუჭა და თვალისგან რამდენიმე სანტიმეტრმოშორებულმა დეიდისკენ თვალთახედვას მოუზომა, მუშტმა დეიდა საეროთ გადაფარა.

–გიორგი!

მოესმა დედის თბილი ხმა ცალთვალმოჭუტულ, მუშტმოდერებულ გიორგის, ამ ხმამ ძველ დროში დააბრუნა: ეს ხმა ეთბილებოდა, მშობლიურ სიმყუდროვეს უბრუნებდა, ობლობას უვსებდა, დედის დანაკლისს უამებდა. როგორ უყვარდა ეს სითბოთი და მზრუნველობით გაჯერებული ხმის ტემბრი, თუმცა დეიდას ასეთი ხმა ყოველთვის როდი ჰქონდა გიორგის მიმართ. ხანდახან უმკაცრდებოდა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გიორგის დამრიგებლური ტონით უხსნიდა ცხოვრებისეულ სირთულეებს, ჭკუას არიგებდა. სადღაც გულის რომელიღაც კუნჭულში შერცხვა დისშვილს, უმწეო დეიდამ საკუთარი მიმართულებით მუშტმოდერებული რომ იხილა, სინდისმა ქენჯნა უწყო. სწრაფად დაუშვა ხელი, უხერხულობისგან სად წაეღო აღარ იცოდა, ისევ წელზე შემოწყო არჩია:

–დეიდა, მე...ისე, –აღარ იცოდა თავის გასამართლებელი არგუმენტის მოსაძიებად რა აზრს დასდგომოდა, უხერხულობიდან ისევ დეიდამ იხსნა.

–გიორგი, ახლა ჩემთვის ვფიქრობდი,

–რას ფიქრობდი დეიდა?

–მახსენდებოდა ძველი დრო, აი იქ–ხელით მიანიშნა დისშვილი–პატარა ქოხი მდგა, ბატების სახლს ვეძახდი. ორი ბატი მყავდა, ორი ოლოლი, იცი რა სასიხარულოდ დაიარებოდნენ ბაღში, რწევით, ტაატით, ძალიან სასაცილოდ გამოსცემდნენ ხმებს.

–საიდან გყავდა ბატები?–გიორგის სურდა ეთქვა დედაშენმა მაჩუქაო, რა მნიშვნელობა ჰქონდა რომელ დედას იტყოდა, ანნას თუ ვერას, ორივე მისთვის ტკბილ მოსაგონებელი იყო, ანნა არ ახსოვდა, მაგრამ მისი სახელის ხსენება გულს უნატებდა. ვერა კარგად ახსოვდა, ვერას სიცოცხლის ბოლომდე დედობრივი მზრუნველობა სდევდა თან.

–იმან მაჩუქა, ჩემმა გულისწორმა!–თქვა ანასტასიამ და გიორგიმ ნათლად აღიქვა მის ხმაში ფესვგადგმული ტკივილიანი სევდა. ყურმოკვრით იცოდა დედის თავს გადამხდარი, მისი სიყვარულის ტრაგიკული დასასრული. გულისწორად მოიხსენიებდა მას, სახელს აღარ ახსენებდა, გრძნობდა, რაც დრო გადიოდა მისით განსაკუთრებულად საუცხოო გრძნობა ეუფლებოდა, სახელის ხსენებას ერიდებოდა, ალბათ უფრო მეტად მტკივნეულად ესობოდა გულის იარებს, სიტყვებს არჩევდა მუდამ, იოლად გადაყრა არ იცოდა, გიორგისგანაც ამას ითხოვდა.

–იმან გაჩუქა?–შეუბრუნა კითხვა.

–ჰო, სულ პატარები უყვნენ, ერთი ციდეები, როცა მომიყვანა. ერთ მწიგნობარს იცნობდა, განსწავლული ინტელიგენტი მამაკაცი იყო, ქართველობაზე საამაყოდ შეყვარებული, წიგნებს აბეჭდინებდნენ არალეგალურად დაარსებულ იატაკქვეშა სტამბაში, მაშინ ხომ ისეთი დრო იყო, აქაურებისთვის მშობლიური ენა იკრძალებოდა, წიგნებს უწვავდნენ და სკოლებიც გაუუქმეს. მაშინ ჩუმად ბეჭდავდა ის განსწავლული ინტელიგენტი, ჩუმად აკრავდა დაბეჭდილ წიგნებს დროგებზე, თვითონ

ფაეტონზე ამხედრებული, სოფელ-სოფელ დადიოდა და ჩაჰქონდა წასაკითხი, ენის დავიწყებას ებრძოდა. ჩემ გულისწორს სთხოვდა გაეოლას, ამას კარგი საბუთები ჰქონდა, სოლდატის, გზად შემხედრ ოხრანებს რომ არ დაეწვათ წიგნები... არა ერთხელ გადაუწვამთ თურმე.

–მერე რა იქნა?

–ვინ? ის?... ის საცოდავიც მოკლეს, ჩემ ამბამდე ორი წლით ადრე. საკუთარ ფაეტონში უმოწყალოდ დაახალეს ზურგიდან ტყვია. გაყიდული ჰყავდა თავის მსახურს. წითლები არც თვითონ მოსწონდა და არც წითლებს მოსწონდათ ის. ჩემსას, ძალიან დასწყდა გული, მთელი ქალაქი, და მთელი ერი დარდობდა ამ ამბავს.

გიორგის ეუცნაურა დეიდის მონათხრობი, ადრე არასდროს იცოდა ასე, სხვის გასაგონად გულის გადაშლა წარსულის მიმართ. შინაგანად რამე ხომ არ უჭირსო გაიფიქრა და ფეხმორთხმით ჩამოუჯდა ახლოს დეიდას. უყურებდა ასე დაპატარავებულს, უმწოდ შესახედს, მაგრამ გამუდმებულად სულიერად ძლიერ, შინაგანად გაუტყეველი შთაბეჭდილების დამტოვებელ ქალს. იქნებ, მე ვგონებ ასეთად, მაგრამ მორალურად ისიც სუსტიაო, თუმც მედგრად მებრძოლი, გაიფიქრა და ფიქრმა გულში ტკივილის შეგრძნება გამოიწვია. სანუგეშო სურდა რაიმე ეთქვა.

–არა უშავს, ბატები კიდევ გვეყოლება.

–მართლა?

გიორგიმ დეიდის სახეს თვალი ვერ მოაცილა, როგორ გადაებადრა წამიერად სახე ბატების ხსენებისას. ამის შემხედვარემ გახარებით დასძინა: –მე მოგიყვან, აი, მალე, გპირდები!

მოზრდილი ბატები მართლაც მოუყვანა, ორნი იყვნენ, დედალ-მამალი. სადაც ადრე ხელით მიანიშნა, სწორედ იმ ადგილას მოუქოხა ბატებს საბატე-სადგომი. დეიდას უხაროდა მათი მოძრაობა, ხმაური, ფანჯრიდან გამოხედავდა ხოლმე გიორგი და სასიკეთოდ ჩაედიმებოდა, როდესაც ბატების ცქერით სახეგაღიმებულ დეიდას მოჰკრავდა თვალს, ის ბატებს შორიდან ეთამაშებოდა, ბული-ბულის ძახილით თავისკენ იხმობდა, ისინიც ისე იყვნენ გათამამებულნი ანასტასიას ალერსით, დაძახებულზე თავდაღუნულნი გარბოდნენ მისკენ, ხან ერთი უშვერდა მოსაფერებლად თავს და ხანაც მეორე.

გიორგიმ ფარდულის აშენებას მიჰყო ხელი, თავის გასამართლებლად მოუმიზეზა, ავტომობილის ყიდვა მინდა სამომავლოდ და ხელს შემეშლი აქ რომ იჯდე, იქ უნდა გადაგიყვანო, არ სიამოვნებდა ნათქვამი ანასტასიას, პატარა ბავშვივით დაღუნავდა თავს, ხელებს სახეზე აიფარებდა უკმაყოფილო და ცრემლმომდგარი თვალების დასაფარად. მაგრამ სიტყვის შებრუნება აღარ შეეძლო.

XXXIII

სამსახურიდან დაბრუნდებოდა თუ არა გიორგი, მაშინვე ფარდულს მოუბრუნდებდა ხოლმე. სიმაღლით მეტრანახევრიანი ფარდულის დამოუკიდებლედ აშენება მაინცდამაინც არ გასძნელებია. დეიდისთვის ნებართვა არ უკითხავს, პირდაპირ მოისურვა ხელში აყვანა. ტანი ერთმდგომარეობაში გააშეშებოდა, ქარივით დამსუბუქებული ხელში სიმძიმის შეგრძნებას არ ტოვებდა. ფეხებს საჭიროებისმებრ ვეღარ ხრიდა მუხლში, ქანდაკებასავით დაუმორჩილებელი ტანით ფარდულში შეიყვანა გიორგიმ, და შიგნით, კედლის კუთხეში მიუჩინა ადგილი, იმ იმედით რომ ციდან მოსული წვიმა და თოვლი მას ვეღარ დაასველებდა. შიგნით ელექტრონათურაც გადაუყვანა, რელიგიური წიგნებიც იმედიანად დაულაგა, ფოსტალიონის მიერ მოტანილი ჟურნალ-გაზეთებიც შეუტანა, კომუნისტის, ნორჩი ლენინელი, „პრავდა“, „კრესტიანა“, „ზდაროვიე“, არც ერთ მათგანს არ შეხედა ზედ, მოწყვეტილი, ჭკობისთვის განწირული ყვავილივით გამოიყურებოდა, თავი ძირს დაეღუნა, ფერმკრთალი სახე და ხელები უღონოდ ჩამოეყარა, ანასტასიას არ მოსწონდა ეს ადგილი, მზის ამოსვლას კარგად ვერ ხედავდა, ვერც ცის რიურაუს ადევნებდა თვალს, როგორ გადადიოდა ვარდისფერი ცა მოლურჯოში. კარებს მაინც ნუ გაუკეთებო, სთხოვა:

–მაშ რა ვქნა? ზამთავრში ყინვა და ქარი შემოვივა!

–მე მაგეების როლი მეშინოდა რომ ახლა შემეშინდეს.

–კარგი, კარები არაა აუცილებელი, სქელ პლედს გამოგიტან სახლიდან და ჩამოგიფარებ.

–დაბნელდება, დღის შუქს არ შემოუშვებს.

–სამაგიერო ქარს დაიჭერს!–გიორგისთან წინააღმდეგობის გაწევა აღარ სურდა ანასტასიას. უწინდებურად ეკვროდა მიწას, ოღონდაც ახლა ფარდულის ფიცრულ კედლებს, მის გადახურვას უყურებდა ბუნებისა და ცის მაგიერ. დამით მუხლებით ძლივს-ძლივს ხოხავდა, და იმდენს იზავდა ხოლმე, რომ ფარდულის კიდეზე გამოეხედა, ხელმარჯვნივ ჩასობილ ხის მეტრანახევრიან ბოძს მიაყუდებდა ცალ მხარს და ასე უმზერდა ცას, ვარსკვლავებს. თუმცა მის წინ აწვერილი ხის ტოტები სანახევროდ უფარავდა ცისკენ თვალთახედვის არეალს.

–სასწაული, –თქვა ერთხელ მასთან ყოველდღიურად მოსიარულე ქალმა, სესილიამ.–ტყემლის ტოტი, რომელიც აქამდე მუდამ მომრგვალებული იყო, ტოტიც გამსხვილებულ–გამერქნეული, თავს რომ გქონდა შემოვლებული, შენი აქეთ გადმოყვანის შემდეგ გასწორებულა.

–ჰო?–გაიკვირვა ანასტასიამ– ცისკენ უკიდავს პირი. ყველაფერი ხომ ცისკენ ისწრაფვის, ჩიტიც, მცენარეც, ფსკერზე მცხოვრები თევზიც კი, წყლიდან ამომხტარი ცისკენ რომ შეიფრთხიან და უკან ეშვება.

უწინდებირად მოუმრავლდა მნახველი ანასტასიას, უწინდებურად შემოეღაგა გარშემო დიდრონი, ლოყაწითელი ვაშლები. ქალებმა იცოდნენ, ბაღის კუთხეში ცეცხლს დაანთებდნენ და სადილს მოხარშავდნენ, მერე პატარა ტაბლას მოუდგამდნენ წინ და თვითნაც გვრდიგვერდ მიმჯდარნი ერთად სადილობდნენ. ანასტასია მათი ხათრით თუ მიირთმევედა, იმასაც ძალზედ მცირედს, ნელა ელოლიაგებოდა კოვზს დროის გასაწელოდ. თუ ქალები სადილს ასე არ მოამზადებდნენ და თვითონაც მაგიდას მიმსხდარი არ მიირთმევენ, ანატასია პირში ლუკმას არ იღებდა. ასე გადაივლიდა ხოლმე რამდენიმე დღე-ღამე, მშირს შიმშილის გრძობა ვეღარ ტანჯავდა. ფარდული არ მოსწონდა, ბაღში ერჩია, ძველ ადგილას, მაგრამ ვეღარაფერს ეუბნებოდა დიშვილს, ზედმეტად არავის შეწუხება არ უყვარდა.

ათმა წელმა განვლო მის ფარდულში ყოფნისას. ამ ათმა წელმა კიდევ ბევრი მნახველი და მომლოცველი შესძინა და გააცნო.სასწაულების მოწმე ქალები კიდევ უფრო მეტად აღფრთოვანებულნი რჩებოდნენ საკუთარი რწმენის ჭეშმარიტების გამო.

ერთელაც უძილობაშეყრილი გიორგი ჩამოუჯდა დეიდას, ზაფხულის დადგომისთანავე იგრძნობოდა თბილისის ცხელი ჰაერი, აღუღებული ასფალტის სუნი, საიდანაც ალკოჰოლით სითამემეს აყოლილი მამაკაცების საქეიფო სიმღერებისა და დამპა-ზურნის ხმები მოჰქონდა ღამის ნიავს. მოუსვენრობას აყოლილი ჭრიჭინა ჭრიჭინით იკლებდა ბაღს. ზაფხულის ღამის თბილი ნიავი სასიამოვნოდ ეალმუნებოდა სახესა და ხელებზე.

ანასტასიას ასეთ დროს, როგორც წესი, არ ეძინა. თავისთვის ეულად მყოფი გამოჩნებულყო და მშვიდი სახის გამომეყველებით ბრჭყვიალა ვარსკვლავებით მოჭედილი ცის თაღს თვალგაშტერებული უმზერდა, მშვიდ სახეს კმაყოფილებით სამსე ღიმილი დასთამაშებდა, ბაგეებზე მოკრძალება აღბეჭვლოდა:

–არა გძინავს?.. მეც არ მეძინებოდა, იქნებ რამე გეთქვა სამომავლოდ სასიკეთო, –გიორგი ფარდულის წინ მდგარ ხმელ კუნძზე ჩამოუჯდა, ფეხი ფეხზე მოხერხებულად გადაიდო, ხელით პერანგის გულის ჯიბეს სიგარეტ „კოლხეთის“ კოლოფი მოუსინჯა, თუმცა მისი მოხმარება გადაიფიქრა. მერე დეიდის სახეს დააკვირდა, რომელსაც ფარდულში გაყვანილი ელექტრო განათების ფონზე იდუმალურად სასიხარულო გამომეტყველება ეწერა. ალბათ წარსულის კარგი მოგონებები თუ აღედრათ, გაიფიქრა და საუბარში აყოლიება განიძრახა.

–დეიდა, ბატებს აქედანაც ეთამაშები-ხოლმე?

ანასტასიამ კმაყოფილებით დაუქნია თავი, ისეთი თვალთ უმზერდა ღიმილს, ისეთ სიყვარულს აყოლებდა მზერას, თითქოს უკანასკნელად ხედავდა, თითქოს შორსმიმავალ გზაზე მდგარს საბოლოოდ ესიყვარულებოდა. დისმივლს ეუცხოვებოდა სიხარულით გადაბადრული ასეთი გამომეტყველება, რომელიც სხვა დროს ვერ შეენიშნა მისთვის, ამიტომ ცოტა არ იყოს და რიდავდა მის წინაშე რაიმეს თქმა, გუნება-განწყობა არ შეეცვალოსო, ფიქრობდა. საუბარი ისევ ბატებით განაგრძნო, იცოდა მათზე საუბარი არაფერს ავნებდა მის სიფაქიზეს.

– დეიდა, წინა ორი ბატი უფრო თვინიერნი გყავდა თუ ესენი? – თქვა და მძინარედ მიჩუმათებული საბატისკენ მიანიშნა ხელით – უკეთესნი არიან ესენი იმათზე, თუ მაინც ისინი გერჩივნა?

ანასტასიას მშვიდმა ბაგეებმა საზღვრები დაკარგა. უხმოდ, ფაქიზად განზე გაწეულს მძივივით ჩაწიკვიკებული თეთრი კბილები გამოუჩნდა.

– მაშინ ნასტია ვიყავი, ზოგისთვის ნასტინკა. – თქვა და თითქოს მზერა წარსულის კადრებით დაენისლა. – ცხოვრებას სხვა თვალთ ვუყურებდი, ისეთი მზე მიყვარდა, მეწამულსა და ლაქვარდოვან სივრცეში ჩაძირული, ნათელი სხივების კორიანტელს რომ მიმოფენდა ირგვლივ. მეგონა, ასეთ მზეს მეტი სილამაზე მოჰქონდა სამყაროსთვის. მზის სილამაზე რომ იგრძნო მატერიკისათვის ცოცხალი უნდა იყო, ცხოვრებას შენი სიკეთით ხალისს უნდა სძენდეს. უნდა შეგეძლოს გიყვარდეს ღირსეული და უყვარდეს ღირსეულად. ღირსეული ადამიანი გემოვნებიანი ჩაცმა-დახურვითა და სიცილ-კისკისის მოღური გამომეტყველებით კი არ უნდა შეაფასო, არამედ გამოსაცნობად საკუთარ გულსა და სულს უნდა მიანდო. ყურს თუ კარგად მიაყურადებ, ის არ სცდება არასდროს. მაღალი სულის ელვარება მათხოვრსა და დავრდომილშიც კი ინარჩუნებს უძვირფასეს სამკაულისებერ ბრწყინვალეებსა და სიდიადეს.

თავმდაბლობა ყველაფრის მაღამოა. თუ თავმდაბლობას ვინმე სისუსტესა და უმეცრებაში ჩაგითვლის, დაგცინებს და დამცირებას შეეცდება, ნუ გაუწყობი, რადგან თავმდაბლობის ფასი მხოლოდ უგუნურმა არ იცის, გვიან გაიგებს და გვიან შეიცნობს მის ტკბილ ფასეულობას.

ცხოვრება სიყვარულია, მეც მიყვარდა მთელი ჩემი გულით, მთელი ჩემი არსით, იმასაც ვუყვარდი... თავისი შესანიშნავი აღნაგობით, ზღაპრულად მომწესხველი ღიმილით, მამაკაცურად ბოხი ხმის ტემბრით სამყაროს მშვენებასა და ხალისს სძენდა. გულმართალი და ალაღმართალი ხასიათის, თვითონ როგორც იყო, ყველა ისეთი ეგონა, ყველაფერზე გულუბრყვილოდ საუბარი უყვარდა. არადა ჭკვიანი რაც არ უნდა ბევრს ლაპარაკობდეს, ნამდვილი სიჭკვიანე მუდამ უთქმელად აქვს გადანახული თავისთვის... გულკეთილიც იყო, თავგანწირვაც შეეძლო სხვის გამო... არადა, მის გარშემო მეტწილად ისეთები შემორჩენოდნენ, პირადი თავგანწირვა რომ არ შეეძლოთ, და მხოლოდ სხვისგან მოითხოვდნენ თავგანწირვის კასკადს.

ჩემი სიყვარულის წინაშე თავი დამნაშავედ სცნო, აღარ გავიხსენებ იმას, რაც არსათქმელია, მაგრამ იმ ტრაგიკულ დღეს მივხვდი, ჩემი ცხოვრება უნდა შეცვლილიყო, მე ძველებურად ვეღარ გავაგრძელებდი სუნთქვას, მეგონა მთელი სამყაროს ტვირთი უფრო მსუბუქი აღმოჩნდებოდა ზურგზე მოსაკიდებლად, ვიდრე ჩემს უსასოო მდგომარეობაში ყოფნა. მადლიერი ვარ უფლის... მე მისით მივხვდი, მთელი ჩემი დარჩენილი ცხოვრება რომ უნდა შემეცვალა. გულს გონებისგან საიდუმლოდ ყოველთვის აქვს გადანახული თავისთვის რაღაც... შემონახული მქონდა მიჯნურობისეული ლამაზი მოგონებანი, იმით ვიხანგრძლივებდი საოცნებო ფიქრებს. ადამიანმა იმ ერთი ტრაგიკული დღის გარდა, ლამაზი მოგონებებიც ხომ შემომინახა?.. ჰოდა, ისინი სამედოდ გადავინახე ჩემს გულში. იმ ტრაგიზმის შემდეგ მივხვდი, ცხოვრება რომ გაგიოლდეს მიზანი უნდა დაისახო, მიზნის მიღწევას თუ სინდისიერი პატიოსნებით შეძლებ, ცხოვრებისეულ სირთულეს გაიადვილებ. მისია დავისახე, მე ჩემი სატრფოს სული სამშვიდობოს უნდა გამეყვანა, სასუფეველში უნდა დაევიანა მის უმანკო სულს, სიტკბოება არ უნდა მოკლებოდა. ყველა მეკითხებოდა, როგორ გაიგებო, მის სამშვიდობოს გასვლასო?.. და მეც ვპასუხობდი, ჩემი უკანასკნელი ამოსუნთქვით მიხვდებით-თქო. მისია შესრულებულს, ახლა აღარაფრის მეშინია, პირმართალი ვარ. ამდენმა წელმა ჩემი შინაგანი ბუნება მეტადრე ძლიერი და იმავდროულად ღმობიერი გახადა.

რაც არ უნდა რთული იყოს განსავლელად, მაინც ტკბილია ცხოვრება, თუ მისი სიტკბოება გინდა იგრძნო სხვისთვის სიხარულის მინიჭება უნდა შეგეძლოს, ეს კი ნიჭია. ყველას როდი ხელეწიფება სხვისთვის სიხარულის მინიჭება ანდაც სხვისი სიხარულის ატანა? მაგრამ ადამიანებს მიმბაძველობა აკავშირებთ ერთურთთან, შენ რომ სიკეთით აღსავსე იქნები სხვებისთვის, ამის შემხედვარე შენ მოგბაძავენ, ისინიც შეეცდებიან სიკეთის ქმნას. ლოცვა დააყოლე ხოლმე ყველაფერ სასიხარულოს, ყველაფერ სასიქადულოს, ყველაფერ გემრიელს. როგორც კუჭმა იცის შიმშილის შეგრძნება, ასე იცის სულმა ლოცვის წყურვილი. შფოთვა ეგაა, სულის წყურვილი ლოცვისადმი. აბა, სცადე და გულით ილოცე, ნახე როგორ დაგიმშვიდდება შინაგანად ყველაფერი, თითოეული აშლილი ფიქრი დალაგდება, აფორიაქება აბობოქარებული ოკეანის ტალღასავით მიწყნარდება, მიჩუმათდება. მატერიკზე სიყვარულის მეტი მამშვენებელი სხვა არა მოიძებნება.

გიყვარდეს, გწამდეს, გჯეროდეს, ესენი ღვთაებრივი სიტყვებია. მოურჯულებელი ადამიანის მობრუნება რომ გინდოდეს, ეს ძღვევამოსილი სიტყვები შეუძახე, უთხარი: –მე მჯერა შენი, მე მიყვარხარ, ნახე როგორ შეიცვლის შენდამი დამოკიდებულებას. შენს თავს წლებს ნუ დაუთვლი, პირიქით, წლებს ანდე შენი ცხოვრება, დაე მათ გითვალონ შენ, უფლისთვის კი წლებს მნიშვნელობა არ აქვს, მისთვის შენა ხარ სიყვარულის გამო მნიშვნელოვანი, და არა დრო, რომელიც ხშირად აიძულებს მიწიერთ თვითმტკობი მონოლოგებით საუბარს.

ყველაზე უდიდესი ნიჭიერება კი მიმტვევებლობაა. მაღალსულიერ, სულგრძელობით აღსავსე ადამიანს თუ ძალუძს მიტვევების გონიერების გამომხეურების, მისი შესაძლებლობის დაუფლების. სამაგიეროს გადახდას ნუ ეცდები, მაგიტ ნუ შეურაცხავ საკუთარ თავს და ნუ აკადრებ მღაბიობას, რათა დაცემულზე მეტად არ დაეცე, წამოსაყენებელი კი ყოველთვის არ მოგეძებნება გვერდით, პირიქით, ისეთებიც იქნებიან შენი დაცემა რომ აღაფრთოვანებთ, მათზე არ უნდა განაწყენდე, არ უნდა გაწყრე. შეუნდე, მიუტვეე და გზა განაგრძე. ასეთებს თუ ყოველჯერზე გაუჩერდი, დრო და ენერგია დაახარჯე, დღეგრძელობისკენ მიმავალ გზაზე მყოფი შუამდეც ვერ მიაღწევ, მიუტვეე და გზა განაგრძე. ბოლომდე ნურავის ენდობი, ნდობით მხოლოდ უფალს ენდე, ის არასდროს გაგიმეტებს ღალატისთვის, არასდროს გაგწირავს, სხვასთან ბოლომდე გულის ნუ დაცლი, უფალს ულოცე და მას მიანდე შენი საიდუმლოებანი.

გიორგი სულმოუთქმელი უგდებდა ყურს მოგალობე ფრინველივით გალობას აყოლილ დეიდას. ხანდახან ეჩვენებოდა, რომ მისი ნაუბარი ჭიკჭიკს უფრო წააგავდა, ვიდრე საუბარს, რომლის ტკბილსურნელოვანმა ხმამ ძილი მოჰგვარა ფეხზეც წამოდგა წასასვლელად გამზადებული:

–ღამე ნებისა, დეიდა!

დეიდამ საპასუხოდ არაფერი გააგონა. უკან მოიხედა უკვე მიმავალმა, ქალის სახეს შეავლო თვალი, ის იჯდა უწინდებურად მშვიდი ღიმილის მქონე, ღამაში თვალებიდან წამოსული მომწუსხველი მზერა მზრუნველურად ადევნებოდა ბილიკზე მიმავალ ღისშვილს. ცისფერი თვალთა ხედვით ზურგიდან აცილებდა ძილმორეულ გიორგის.

XXXIV

1970 წლის 7 ივნისი გათენდა. დილის მზის სხივები მანათობლად შემოჭრილიყვნენ და ფანჯრის რაფაზე პირმომცინარედ ირეკლებოდნენ. სამსახურში წასვლამდე, ჩვეულებისამებრ, დეიდისათვის წყლის მისაწოდებლად გადავიდა გიორგი. ხელში თიხის სურა დაეჭირა, ფარდულისაკენ აელო გეზი. ახლოს მისულმა დეიდა იმავე მდგომარეობაში იხილა, როგორშიც დატოვა წინა ღამეს. ის ფარდულის წინკარში მუხლდაყუდებული, ცალი მხრით ხის ბოძს მიბჯენილს, სახეზე უჩვეულო სიმშვიდე აღბეჭვდოდა, რომელსაც მოკრძალებული სიხარული და სასოება ახლდა თან. ბაგეებზე თბილი ღიმილი დაფენვოდა:

–დეიდა! –შეუძახა გიორგიმ, თუმცა ქალს არანაირი რეაქცია არ ჰქონია მის დაძახებულზე. უცნაურიაო, გაიფიქრა გიორგიმ, ასეთ დროს ძილი არასდროს სჩვეია, ახლა სძინავს თუ უკვე...– ხელით შეეხო მხარზე, ლოყაზე. ანასტასია გაუნძრევლად იჯდა, თითქოს მშვიდი, უმფოთველი ძილით ტკბებოდა. გიორგი წელში გასწორდა, წყლის სურა იქვე მიაგლო,

პირველი გადაიწერა, ერთხანს ასე იდგა დაბნეული, ვეღარ ხვდებოდა, რა უნდა ექნა, რა მოემოქმედებინა. მერე ეზოს ჭიშკრი ფართედ გააღო, ჭირისუფლობის ნიშნად. ეზო მალე აივსო მეზობლებითა და ნაცნობებით. მასთან ყოველდღიურად მოსიარულე ქალები ხმით აქვითინდნენ. გლოვით შეჰყურებდნენ ერთ ადგილზე დიმილდაფენილ, მშვიდი სახით მძინარე დამგვანებულ ანასტასიას.

–უკაცრავად, და... რამდენი წელი იჯდა ასე?–იკითხა ერთმა მამაკაცმა, რომელიც ეხმარებოდა საჭირისუფლო საქმეანობაში, მიცვალებულის ტახტზე დასვენებისას.

–რა ვიცი,–მხრები ნაღვლიანად აიხეჩა აცრემლებულმა გიორგიმ,

–რაც იჯდა 64, 65-ე წელში გადავიდა–გამოეპასუხა სესილია, რომელიც ბოლო დროს ყოველდღიურად დაიარებოდა ანასტასიასთან.

–როგორ?–გაოცდა პირველთაგანი მამაკაცი. –64 თუ 65 წელი... ასე გაუმოდრავებლად, ერთ ადგილას? არა, ეტყობა კიდევ, ფეხებს ვეღარც მუხლში ვუხრი და ტერფებიც უკვე ისე აქვს შეხორცებული, როგორიც მჯდომარე მდგომარეობისას ჰქონდა მიღებული. ვერ გავასწორებთ მიცვალებულს, რა უნდა ვქნათ?

–იქნებ მუხლი გადავუმსხვრიოთ?

თქვა რომელიღაცამ ხალხის უკანა რიგიდან, თუმცა მის ნათქვამს ჩოქოლი მოჰყვა: არავითარ შემთხვევაში, ცოცხალი არ გიშლიდათ თავის მჯდომარებას და ახლა შეგიშლით ხელს?.. თქვენ რა ხელს გაძღვეთ მუხლში გაშლა?.. როგორ შეიძლება?.. ჯალათი ხართ?! – მოისმოდა აქეთ-იქიდან შეძახილები.

გადაწყდა, მჯდომარეს მსგავსად, მუხლმოხრილი უნდა დაეკრძალათ. მეკუბოვე მოუყვანა გიორგიმ სპეციალური სასახლისათვის ზომების ასაღებად. შავგერემან, გამხდარ ხელოსანს, გაოცებისაგან თვალები გაფართოვებოდა: – თითქოს ძინამს, აი, ეგეთი რამე პირველად ვნახე, მუხლს ვერ ახრევიანებ?.. დასანანი, ნათელში გიმყოფოთ,– იბახდა და დაკვირვებით იღებდა ზომებს სპეციალური სასახლისთვის.

ქალებმა გაპატიოსნება დაუწყეს, კაბა გახადეს და სხვა ჩააცვეს, გაჭაღარავებული თმა დაუვარცხნეს, ის თმა, ერთდროს რომ ქერა ზილფებად ეყარა მხრებდა და ზურგზე, ნიავს რომ უყვარდა მასთან საგანგებოდ თამაში, თვალშისაცემს რომ ხდიდა შემხვედრო უცნობ-ნაცნობებისთვის, საგანგებო ბძინვარი რომ იცოდა მზის სხივების გამობრწყინებისას, სატრფოს ხილვისას რომ თრთოდა, კრთოდა გულიდან წამოსული ემოციების შესაფერისად ... კაბის გამოცვლისას მიცვალებულის გამხდარი სხეული სანთელის ფერდადებული იყო, უსიცოცხლო, უგრძნობი, გაყინული. მეგრდზე მიკრობილი ჰქონდა სქელი, ოთხკუთხედი ფორმის სიძველისგან ყავისფრად გაცრეცილი ქაღალდი, კუთხეებშემოცლილი, ალაგ-ალაგ გადაკეცვისაგან იხეოდა კიდევ. ქალებს გაუკვირდათ ანასტასიას

მკერდზე მიკრული ქაღალდი, დიდხანს ატრიალეს ხელთ, იქნება რაიმე ანდერძია, რომელიღაცამ გამოთქვა აზრი, ალბათ ლოცვა ექნებოდა ზედ ჩაწერილიო... დიდი ბჭობის შემდეგ აღმოჩნდა რომ მკერდზე მიკრული უბრალო ქაღალდი კი არა, ფოტოსურათი იყო, კადრგადაშლილი. წლებით მჯდომარე ქალის სხეულზე დადენილ წვიმა-თქემს, თოვლს წაეშალა მისი გამოსახულება, ალბათ თვით მისმა პატრონმა იცოდა კია ფოტოზე კადრგადაშლის შესახებ, მაგრამ იმდენად ეძვირფასებოდა მისი არსებობა, იმდენად აკავშირებდა ის წარსულის სიტკბოებასთან, მის სიყვარულთან რომ გამოსდახულებადაკარგული ფოტოც კი ბედნიერებას ამბაფრებდა. ქალს უყვარდა ოდესღაც ფოტოზე აღბეჭდილი, რომელიც წარსულში დარჩა, მაგრამ წარსული რა წარსულია, თუ მისმა განუმეორებელმა სათუთმა მოგონებამ ტკბილად მკერდში არ დაივანა ალაგი. ნეტა ვინ იყო მკერდზე მისუტებულ ფოტოზე გამოსახული? ეს კითხვა გამოუცნობი დარჩა იქ მყოფთათვის.

მუხლგაუშლელი დაკრძალეს, კუკიის სასაფლაოს მიაბარა გიორგიმ 84 წლის დეიდა. სახლში დაბრუნებულს სიცარიელე შემოეფეთა, დეიდით გამოწვეული სიმშვიდე, მყუდროება, ხალხმრავლობა სადღაც გამქრალიყო. ახლა პირველად იგრძნო უდევლობა, რომელიც დეიდის გარდაცვალებს შემდეგ გამმაფრებოდა. დეიდას დედის სუნი უდისო, გაახსენდა ანასტასიას ნათქვამი და მიხვდა, თუ რატომ ეტკინა შინაგანად, რატომ მოაწვა ყველა გრძნობა ერთთავად, სახლს პარმალზე შეუჩერდა: – ბედნიერი კაცი მქვია, ზოგს ერთი დედაც კი არ ჰყავს, მე კი სამი მყავდა–ჩაილაპარაკა თავმანუგეშებელმა და თვალზე აკიაფებული ბრჭყვიალა ცრემლი ხელის გულებით შეიმშრალა.

XXXV

დეიდის დაკრძალვიდან მეორე დღესვე შეამჩნია გიორგიმ, ტყემლის ტოტზე ფოთლების შეყვითლება. თავიდან ფოთლები შეახმა, მერე თვითონ იწყო ხმობა. იქნებ ეს ხმელი ტოტი შემოვახერხო ხესო, გაიფიქრა, თუმცა მოსაცილებლად ვერ გაიმეტა. გაახსენდა მჯდომარე დეიდას თავზე როგორ ევლებოდა ტყემლის ტოტი, მის თმებზე ყვავილობდა, მის თმებზე მწიფობდა, საშემოდგომოდ ნარინჯისფრდებოდა. დეიდის ფარდულში გადაყვანის შემდეგ გაიწორა სქელმერქნიანმა ტოტმა ტანი, ცისკენ აიწვერა, თორემ იქმადე რკალურად ევლებოდა უმანკოდ მჯდომარე ქალწულს.

ანასტასიას დაკრძალვიდან მეორემოცე დღეს ტყემლის ხე, მთლიანად გამხმარი, მოჭრა გიორგიმ.

აღილუევას ქუჩის თერთმეტ ნომერში არაერთი მნახველნი, ნაცნობნი თუ უცნობნი მიმოდრიოდნიან ყვავილებითა და ვაშლებით ხელდამშვენებულნი, მჯდომარე ანასტასიას დაყუდების ადგილას ლოცულობენ. მის საფლავსაც არ ივიწყებენ. გამუდმებულად მიაქვთ დიდრონი, მრგვალი ვაშლები, ზედ ჯვრის ფორმით ალაგებენ, ლოცულობენ, მერე ნაწილი მიაქვთ, ნაწილსაც ზედ უტოვებენ, მომსვლელისთვის დასახვედრად.

მის საფლავზე მომლოცველნი არაერთ სასწაულებრივ განკურნებასა და მოვლენაზე საუბრობენ. აქ ყველაზე ხშირად შეყვარებულ წყვილებს ნახავთ, საკუთარ სიყვარულს ავედრებენ: სიყვარლისთვის თავგანწირულო, მეოხ გვიყავ ჩენი სიყვარული, შენი კეთილი კალთით დაიფარე ჩვენი წრფელი გრძნობა, ევედრე უფალს ჩვენთვის—გამუდმებულად მოისმის მის საფლავთან ხალხის ვედრება. ამის მნახველთ გულში სათუთი გრძნობა გაგივლით და კიდევ ერთხელ დაგარწმუნებთ, რომ სიკვდილით ცხოვრება არ მთავრდება.

2016წ. 31 მარტი.

